

მასალები

საქართველოს
შინამრეწველობისა და
წვრილი ხელოსნობის
ისტორიისათვის

ავად ი. ჯავახიშვილის
საერთო რედაქციით

5
ტომად

ტომი

IV

ნაწილი

I

მესაქონლეობა

ტომში შეტანილია საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის აკად. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შეკრებილი მასალების ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია მესაქონლეობასა და მეფრინველეობასთან. განსაკუთრებით მდიდარია და მნიშვნელოვანი მასალები დაკავშირებული მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონლის მოვლა-მოშენებასთან; აგრეთვე წველასა და რძის ნაწარმთან, ტყავის დამუშავება-გამოყენებასთან, ცხენის, ვირისა და ჭორის მოვლა-მოშენებასთან და სხვ. მასალები ასახავენ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებასა და ცოდნას ამ დარგში, რასაც დიდი პრაქტიკული და მეცნიერული ღირებულება აქვს. აღნიშნული დარგები მნიშვნელოვანია თავისი ტერმინოლოგიით.

ტომს ერთვის სათანადო საძიებლები და ილუსტრაციები.



სარედაქციო კოლეგია: აკად. გ. ჩ ი ტ ა ი ა (თავმჯდომარე), აკად. პ. გ უ გ უ შ ე ი ლ ი, აკად. ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, პროფ. მ. გ ე გ ე შ ი ძ ე (თავმჯდომარის მოადგილე), პროფ. ქ. გ რ ი გ ო ლ ი ა, პროფ. ივ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, მეცნ. კანდ. ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე (თავმჯდომარის მოადგილე), მეცნ. კანდ. ა. ს ო ხ ა ძ ე (მდივანი)

რედაქტორი ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე

წი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

მესაქონლეობა საქართველოში უძველესი დროიდან სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენდა. ქართველმა ხალხმა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შექმნა და ჩამოაყალიბა მესაქონლეობის ტრადიციული ფორმები და სახეები, რომლებიც ტოლს არ უდებენ მეურნეობის ამ დარგში სხვა ცივილიზებული ერების მიღწევებს. საქონლის მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყვანა, საკვები ბაზის ოპტიმალური გამოყენების დახვეწილი სისტემა, შრომის რაციონალური ორგანიზაცია თუ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება-შენახვისა და კონსერვაციის მაღალგანვითარებული ხერხები და საშუალებები ქართველი ხალხის სამეურნეო კულტურის ისეთ მონაპოვრებს წარმოადგენენ, რომელთა კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს.

ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოში მესაქონლეობის ტრადიციულ ხასიათსა და მაღალგანვითარებულ ფორმებზე მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალების, ისტორიული წყაროებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით შეიძლება მსჯელობა. სპეციალურ ლიტერატურაში ეს მონაცემები სათანადოდაა მიკვლეული და გაანალიზებული. შევხებით მხოლოდ რამდენიმე ზოგად მაგალითს, რომლის მიხედვითაც ნათლად ჩანს ამიერკავკასიისა და საქართველოს მესაქონლეობის დაწინაურებული მდგომარეობა ჩვენთვის საინტერესო პერიოდში — XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში. ოფიციალური მონაცემებით გასული საუკუნის 80—90-იან წლებში ამიერკავკასიის მთიანი მოსახლეობის 40 %-მდე ცხოვრების ძირითად საზარდოს მესაქონლეობიდან იღებდა. ამ პერიოდში ამიერკავკასია მსოფლიო მესაქონლეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად ითვლებოდა. არასრული სტატისტიკური მონაცემებით აქ აღრიცხული იყო 1 900 000 მსხვილფეხა საქონელი, დაახლოებით 5 000 000 ცხვარი და 770 000 ცხენი. საერთოდ ამიერკავკასიის შედარება მესაქონლეობით განვითარებულ ევროპის ქვეყნებთან ფრიად საგულსხმოდ ფაქტებს იძლეოდა. 100 სულ მცხოვრებზე მსხვილფეხა საქონლის რაოდენობით ამიერკავკასიის ეკიბრა მეოთხე ადგილი გერმანიასთან და შვეიცარიასთან ერთად, ცხენის რაოდენობით მეორე ადგილი, ხოლო ცხვრის რაოდენობით — პირველი დანიასთან ერთად. მსხვილფეხა საქონლის იმავე შეფარდებით ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხები უსწრებდნენ ევროპის ისეთ სახელმწიფოებს, როგორც იყო დაახლოებით, სერბია, საბერძნეთი, შოტლანდია, შვეიცარია, პოლანდია, ნორვეგია და ა. შ. ამ მონაცემებით ამიერკავკასია მთლიანად საქონლის რაოდენობით ევროპული ქვეყნებიდან მეორე ადგილზე იდგა და მხოლოდ დანიას უთმობდა პირველ ადგილს.

ამიერკავკასიის მესაქონლეობის ამ დაწინაურებულ მდგომარეობას სხვა რევოლუციური შორის მნიშვნელოვან ფონს უქმნიდა საქართველოს მესაქონლეობაც. 1884 წლის კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ანგარიშში წა-

რმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებით თბილისის გუბერნიაში აღრიცხული იყო დაახლოებით 500 000 მსხვილფეხა საქონელი, 1 900 000 ცხვარი და 80 000 ცხენი. ქუთაისის გუბერნიაში შესაბამისად 150 000 მსხვილფეხა საქონელი, 128 500 ცხვარი და 40 000 ცხენი. ამ მაჩვენებლების მიხედვით საერთოდ საქართველოში მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა აღწევდა 650 000 სულამდე, ცხვრისა 2 020 000 სულამდე, ხოლო ცხენისა 120 000 სულამდე. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აღრიცხვისა და სტატისტიკის მასალებში არ ყოფილა წარმოდგენილი საქართველოს ყველა კუთხე, აგრეთვე მასში არ შესულა მონაცემები ჯორის, ვირის, თხისა და ღორის რაოდენობის შესახებ, მაშინ საქართველოს მესაქონლეობის ხედრითი წონა ამიერკავკასიის მესაქონლეობაში კიდევ უფრო გაიზარდება.

მესაქონლეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქართველი ხალხის ისტორიაში დიდ ყურადღებას აქცევდა აკად. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის პრობლემებზე მსჯელობისას მას არაერთხელ აღუნიშნავს მეურნეობის ამ დარგის ადგილი და როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დაწინაურების საქმეში. სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიის მასალების შეკრებისას, ქართველი ხალხის მეურნეობის სხვა დარგების გვერდით ივ. ჯავახიშვილმა მესაქონლეობასაც ვრცელი პროგრამა წაუძღვარა. ამ პროგრამის მიხედვით მესაქონლეობისა და მეფრინველეობის შესახებ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრებილი საველე-ეთნოგრაფიული მასალები, რომლებიც წინამდებარე ტომშია წარმოდგენილი, სცდება შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიის კონკრეტულ მნიშვნელობას და მეურნეობას ამ დარგთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის მეტად საყურადღებო სურათს წარმოაჩენს.

სხვადასხვა რეგიონებსა და ბუნებრივ-ისტორიულ ზონებში შეკრებილი მასალები პირველ რიგში გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს მესაქონლეობის ძირითადი ფორმებისა და ქვესახეების შესახებ. ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გამოვლენილი და დადგენილი მესაქონლეობის ფორმებიდან (მთური, მთაბარული და ბარული მესაქონლეობა) წინამდებარე ტომში განსაკუთრებით მრავალფეროვანი მონაცემებია მოტანილი მთური ანუ ე. წ. ა ლ ჰ უ რ ი მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ი ს შესახებ. მესაქონლეობის ეს ფორმა, რომელიც ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ ენეოლითიდან მომდინარეობს, ითვალისწინებს მთიანეთის სათიბ-საძოვრებისა და საზამთრო საყვები ბაზის მაქსიმალურ გამოყენებას, სადაც საქონლის სავაზაფხულო, სავაფხულო და სამეომოდგომო საძოვრებზე სეზონური ვერტიკალურ-ზონალური მოძრაობა, ზამთრობითი კი ბაგური მოვლა-პატრონობა შესამებულება მთური მიწათმოქმედების ინტერესებთან.

არანაკლებ საინტერესო მონაცემებია მოტანილი ტრადიციული ფორმის მთაბარული მესაქონლეობისა და მეცხვარეობის შესახებაც, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ე. წ. ტ რ ა ნ ს ჰ უ მ ა ნ ს ე ს სახელწოდებითაა ცნობილი. მესაქონლეობის ეს ფორმა მთის სავაფხულო საძოვრებთან ერთად ბარის სავაზამთრო საძოვრების თანმიმდევრულ გამოყენებას ითვალისწინებდა, სადაც გამორიცხული იყო საქონლის ბაგური მოვლა-პატრონობა ქართველი არქეოლოგების ვარაუდით, მთაბარული მესაქონლეობისა და მეცხვარეობის განვითარებული ფორმები შუა ბრინჯაოს ხანის იორალაზნისპირეთისა და თრიალეთის ყორღანული კულტურების სინქრონული უნდა იყოს. საქართველოს ისტორიის ცალკეულ ეპოქებში მესაქონლეობის ამ ფორმის ინტენ-

სივობა ერთნაირად როდი ვლანდებოდა. უცხოელ დამპყრობთა გამუდმებულნი შემოტევებისა და ფეოდალური დაქუცმაცებულობის პირობებში დროდადრო იშლებოდა მეცხვარეობის ამ ფორმის წარმოებისათვის აუცილებელი საზამთრო და საზაფხულო საძოვრების ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ ქართველი მეურნე ყოველთვის გულისყურით ეკიდებოდა მის აღდგენას. ამ მხრივ აღსანიშნავია XVI—XVII სს. აღმოსავლეთ საქართველოში დროდადრო შექმნილი შედარებით მშვიდობიანი ვითარება, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მთიანეთის საზაფხულო და ბარის საზამთრო საძოვრების დაკავშირებისა და აქაური მეცხვარეობისა და მესაქონლეობის სწრაფი აღმავლობისათვის.

გვიანფეოდალური ხანიდან იწყება დასავლეთ საქართველოში მთაბარეული ტიპის მეგრული მეჯოგეობა-მესაქონლეობის დაწინაურებაც, რომელიც განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის XIX ს. მეორე ნახევრიდან, სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებასთან ერთად. სამწუხაროდ, შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიის მასალებში მეგრული მეჯოგეობის შესახებ მეტნაკლებად სრულყოფილ მონაცემებს ვერ ვხვდებით.

ამ ნაკლის გარკვეულ კომპენსაციად შეიძლება მივიჩნიოთ წინამდებარე ტომის შესული მრავალფეროვანი მასალები საქართველოს ბარული მეცხვარეობის შესახებ, რომლის განვითარება-გენეზისის პროცესები მეტნაკლებად ჩამოყალიბებულ სახეს ანტიკურ ხანაში, გუთნითი მიწათმოქმედება-მესაქონლეობის შერწყმული ფორმის სახით აღწევს. მესაქონლეობის ეს ფორმა გულისხმობს სასოფლო მენახირეთა ზედამხედველობის ქვეშ გაერთიანებული საქონლის ჯოგებისა და ცხვრის ფარების სეზონურ მონაცვლეობას სოფლისშიგა და ახლომდებარე საძოვრებზე, ტყეებში, სახნავ-სათესებზე, ანუ ულზე და სხვა გასადევარზე, ზამთრის გარკვეულ თვეებში სოფლად ბაგური კვების პირობებში შენახვით. მართალია, ბარული მესაქონლეობა თავისი ხვედრითი მიწით ვერ უტოლდებოდა მემინდვრეობის, მევენახეობისა და მებუდეობის საწერნეო კულტურებს, მაგრამ მიწათმოქმედებისათვის საჭირო მუშა ძალის უზრუნველყოფისა და ნიადაგის ბუნებრივი განოყიერების აუცილებლობის, აგრეთვე მოსახლეობის რძის პროდუქტებით დაკმაყოფილების თვალსაზრისით იგი ადგილობრივი სამეურნეო პროფილის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. ამ გარემოებამ განსაზღვრა ბარული მესაქონლეობის გაძლიერების მრავალფეროვანი ფორმების აღმოცენება, რომელიც მუშა და მერძეული საქონლის მოვლა-პატრონობისა და ექსპლუატაციის რთულ კომპლექსებს (კალო, ბერა, აგვარა/მეკარვეობა, ხანულობა, მოღვაძობა) შეიცავდა და ბარული ინტენსიური მეურნეობის წამყვან დარგებთან შერწყმისა და შეხამების რაციონალურ სისტემას ქმნიდა.

შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიის მასალების საველე-შემკვრებლობითი მუშაობის პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი საკვები ბაზის, პირველ რიგში კი სათიბ-საძოვრებისა და სხვა გასადევარის დახასიათებას, მათი ექსპლუატაციის ფორმებსა და საკვები ბალახეულის ბოტანიკური შემადგენლობის განსაზღვრას. საზაფხულო და საზამთრო საკვები ბაზის დისპროპორცია, რომელიც საქართველოში ყველა ისტორიულ ეპოქაში მწვევად იგრძნობოდა, აიძულებდა ადგილობრივ მეურნეს გამოენახა საქონლის გამომზამთრების მცირეოდენი რეზერვებიც კი. საქართველოს მთიანეთის მოსახლეობას გამოუმუშავებელი ჰქონდა ადგილობრივი სამეურნეო-გეოგრაფიული გარემოს ათვისებისა და საქონლის გამომზამთრების მეტად მწყობრი და თანმიმდევრული სისტემა. ამ მხრივ საყურადღებოა მთიან კუთხეებში ბოლო დრომდე შემორჩენილი ე. წ. ლაბავის ანუ საბოსლოს ტიპის

პარალელური სამეურნეო ბაზები. ინტენსიური და მრავალდარგოვანი მეცხოველეობის პირობებში ლაბავი-საბოსლოს ტიპის ბაზები სოფლისაგან მოშორებული ტყისა და მდინარის პირებში, ხეობათა ქარებისაგან დაცულ და მოფარებულ ადგილებში სამეურნეო ბაზების გამართვას გულისხმობდა, სადაც ეწყობოდა სათიბ-საძოვრების მცირე ნაკვეთები, ზოგჯერ სახნავეები, ბოსტნები და საფუტკრეები. საქონლის მოსავლელად აქ ჩასახლებული ოჯახის წევრთა ერთი ნაწილი აქვე ინახავდა საქონლის გარკვეულ ნაწილს გვიან შემოდგომასა და დარე ვაზაფხულზე, ხშირად კი ზამთრობითაც. თოვლის მოსავლამდე პირუტყვი ტყიან-ბუჩქნარ საძოვარზე იყო გარეკილი, ხოლო ზამთრობით ადგილზე დამზადებული თევითა და ტყის ფოთლოვანი საკვებით იკვებებოდა. ზამთრობით დაგროვილი ნაკელი გამოყენებული იყო ადგილობრივი სათიბ-საძოვრების, სახნავეებისა და ბოსტნების გასანოყიერებლად. მეურნეობის ეს სისტემა, რომელიც ორ დამოუკიდებელ სახლსა და შესაბამის სამეურნეო კომპლექსს გულისხმობდა ხალხში ო რ ხ ე ლ ა ო ბ ი ს, ო რ გ ა ნ ო ბ ი ს სახელწოდებით იყო ცნობილი.

მესაქონლეობის საკვები ბაზის დახასიათებისას დიდი ყურადღება ექცეოდა საძოვრების ბოტანიური შემადგენლობის ფაქტორსაც. მასალებში მოტანილია მრავალფეროვანი მონაცემები ამა თუ იმ კუთხისა თუ ზონის საძოვრების ბალახეულის შემადგენლობისა და ყუათიანობის შესახებ. მოსახლეობა ბალახეულის მარგებლიანობა-ყუათიანობის ღრმა ცოდნასთან ერთად ადგენდა მათი გავრცელების არეებს ბარში, მთისძირისა და მთიანეთის ზონებში, აკვირდებოდა ამ ბალახეულის მოსავლიანობის ხასიათს, მარგებლიანობის ხარისხს. ძრავალსაუქუნოვანი პარქტიკისა და შრომითი ჩვევების სფეროდან გამოსული ეს ღრმა ხალხური ცოდნა-გამოცდილება ხშირად ვლინდებოდა სათიბებსა და საძოვრებზე ზოგიერთი კეთილშობილური ჯიშის ბალახეულის თესვაში, სათიბ-საძოვრების დაზიანებული ზედაპირის აღდგენა-მოპირკეთებასა და სხვა ხალხურ ღონისძიებებში.

საძოვრების ბალახეულისა და მისი დამახასიათებელი თვისებების ღრმა ხალხური ცოდნა უშუალოდ იყო დაკავშირებული საძოვრებზე მორიგეობითი ძოვების სისტემის გამოყენების დროსაც. მორიგეობითი ძოვების დროს მტკიცედ იყო განსაზღვრული საძოვრების თითოეული უბანი, მისი განლაგება და რელიეფურ-კლიმატური თავისებურებანი, ბალახეულის დამახასიათებელი თვისებები და ა. შ., რომელთა მიხედვითაც მესაქონლენი იყენებდნენ საქონლის ჯოგებისა და ცხვრის ფარების საძოვრებზე თანდათანობით მონაცვლეობისა თუ საძოვრის სხვადასხვა უბნებზე ჯვარედინი მოძრაობის სისტემებს.

ყურადღებას იპყრობს საქართველოში ტრადიციულად მომდინარე ხალხური სანაშენე საქმიანობაც, რომლის შესახებაც წინამდებარე მასალებში მრავალფეროვანი მონაცემებია მოტანილი. დაწვრილებითაა დახასიათებული საქართველოს მთიანეთის, მთისწინა და ბარის მერქეული, მუშა და საქაპანოსატრანსპორტო საქონლისა (ძრახეული, კამეჩი, ცხენი, ჭორი, ვირი) და ცხვრის ჯიშები, მათი გარეგნულ-ექსტერიერიული ნიშნები, პროდუქტიულობა, შრომისუნარიანობა, ამტანობა, სიცოცხლისუნარიანობა და გარემო ეკოლოგიური პირობებისადმი შემგუებლობა. ყველა ამ საკითხთან ერთად მხედველობიდან არაა გამორჩენილი ხალხური სანაშენე ცენტრების საქმიანობა, რაც ადგილზე არსებული თუ მეზობელი კუთხეებიდან შემოყვანილი მაღალპროდუქტიული საქონლის შერჩევა-შეჯავრებასა და მის მოვლა-პატრონობაში იყო ასახული. ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ეხმარებიან და ადასტურებენ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას კოლხური ძროხის მაღალი საბონიტეტო

თვისებების შესახებ, რაც ჯერ კიდევ ანტიკური ცივილიზებული სამყაროსათვის ყოფილა ცნობილი. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ბერძენ კოლონისტებს საქართველოს შავიზღვისპირეთის ახალშენებიდან სხვა სააღმშენებლო საგნებთან ერთად, პირუტყვიც უნდა გაეყვანათ. გამორიცხული არ არის, რომ ბერძენებს პონტისპირა ქვეყნებიდან და კერძოდ კოლხეთიდან თავიანთი მეცხოველეობის გასაკეთილშობილებლად ძროხეულის საუკეთესო საჭოშე ეგზემპლარებიც გაეყვანათ, მით უმეტეს, რომ საბერძნეთში ცხენისა და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯიშების გაუმჯობესების მიზნით, მაღალი თვისებების მქონე პროექტიული საქონელი სხვა ქვეყნებიდანაც შეუყვანიათ. დადგენილია ის გარემოებაც, რომ ქართული მთური ძროხეული (ხეუსურული) რომელიც გენეტიკურად ძველკოლხური ძროხის ჯიშთან უნდა იყოს დაკავშირებული, საუკუნეების განმავლობაშია შერჩეულ-გამოყვანილი და სათანადო მოვლა-პატრონობის პირობებში თავისი მონაცემებით (რძის მაღალი ცხიმინობა, მთის რელიეფსა და კლიმატთან შემგუებლობა და ა. შ.) ბევრ კულტურული ჯიშის ძროხეულს არ ჩამოუვარდება.

კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით საინტერესოა საქართველოში იმერული და თუშური ცხვრის ჯიშების წარმოშობა-გენეზისისა და მოვლა-მომშენებლობის საკითხებიც, რაც საუკუნეების განმავლობაში ქართველი გლეხის სამეურნეო აღლოს, დაუღალავი ძიებისა და უშუალო შრომისმოყვარეობის შედეგს წარმოადგენს. განსაკუთრებით საყურადღებოა ძროხეულისა და ცხვრის მთაბარული ჯიშები, რომლებიც ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომ პერიოდში საქართველოში მეგრული ძროხეულისა და თუშური ცხვრის სახით იყო წარმოდგენილი და საფუძვლად ედო ქვეყნის შინაგან მომთაბარეობას. სხვათა შორის ამ მიზანს ემსახურებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებსა და განსაკუთრებით კი მთაბარული მეურნეობის რეგიონებში ცხენის, ჯორისა და ვირის მომშენებლობაც, რომლებიც მეჯოგე-მეცხვარეთა მთიდან ჩარისაყენ თუ პირუტყუ მოძრაობისას ძირითადად სატვირთო-საჭაპანო თუ სატრანსპორტო საშუალებას წარმოადგენდა. ამ სახის საქონელი იყო ძირითადად გამოყენებული ქვეყნის შიგა და გარე მეზობელ კუთხეებთან სავაჭრო-სააღმშენებლო ურთიერთობის დროსაც, რაც კიდევ უფრო ზრდიდა მის მნიშვნელობას ქართველი გლეხის საოჯახო მეურნეობაში. და ბოლოს, ცხენსა და ჯორს დიდი ხედვრითი წილი ედო ქვეყნის სამხედრო ძლიერებაში, მაშინ როდესაც ცხენოსანი ლაშქარი საომარი ტაქტიკისა თუ სტრატეგიის თვალსაზრისით ფეოდალური საქართველოსათვის მართლაც რომ შეუღატებელ ძალას წარმოადგენდა-სამშუხაროდ ამ ტომში შესული მეტად მრავალფეროვანი მონაცემები ცხენის, ჯორისა და ვირის ადგილობრივ ჯიშებზე, მათი მოვლა-მომშენებლობისა და ექსპლოატაციის ფორმებზე მხოლოდ ბედნიერ გამოხაკლისს წარმოადგენს, რაც კიდევ უფრო ზრდის მის მეცნიერულ ღირებულებას.

მასალებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქონლის სხვადასხვა დაავადებებისა და მკურნალობის ხალხური საშუალებების აღწერას. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრებილი მრავალფეროვანი მასალები საქონლისა და ცხვრის დაავადებათა მკურნალობის ხერხებსა და საშუალებებზე ერთხელ კიდევ ადასტურებს სამკურნალო წიგნებსა და კარაბადინებში მოტანილ მონაცემებს ქართული ხალხური ვეტერინარული ცოდნის ტრადიციულობის შესახებ. მეტად საყურადღებოა მონაცემები მეცხვარეთა და მენახირობის დასტაქრობასა და ბეითლობაზე, რომელთა მაღალი ოსტატობა აპირობებდა ჯოგებისა და ფარების სისაღესა და სიჭანსაღეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ხალხურ ვეტე-

რინარიაში გამოყენებული ფხვნილით, აბებით, ყინულით, ვაყინით, ყაყაჩოს ზეთით, მარილწყლის ხსნარით, ძმრით, ხის ნახშირითა და სხვა სამკურნალო საშუალებებით წამლობის რაციონალური ელემენტები საფუძვლად დაედო თანამედროვე მეცნიერული ვეტერინარის სამკურნალო საშუალებებს.

მასალების კთხვა-პროგრამის დიდი ნაწილი მესაქონლეობის პროდუქციას ეთმობა, რაც, როგორც ცნობილია, შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზას წარმოადგენდა. მეტად ძვირფასი და მრავალფეროვანი მასალებია წარმოდგენილი ნაბდისა და ღართის, კილიკისა და ქენის შეთლვის, დამზადებისა და გამოყენების შესახებ. ასევე საინტერესო მასალებს ვხვდებით რძის პროდუქტების დამზადების ტექნოლოგიურ პროცესებსა და კონსერვაციის ხალხური ხერხების შესახებაც. მაგ, მასალებში დიდი ადგილი უჭირავს სხვადასხვა საქონლის წველის წესებს, საწველელ ჭურჭელს, ნაღების, ყველის, ხაჭოს, არაქანის, მაწონისა თუ მაჭიკის გადამუშავებას, აგრეთვე ამ პროდუქტების შესანახი ჭურჭლეულობის აღწერასა და ფიქსაციას. არანაკლებ ყურადსაღები მასალებია წარმოდგენილი სხვადასხვა სახის საქონლის დაკვლის, დაცვაების, ხორცის დაჭრისა და ამოღების ხერხების შესახებაც. ცალკე აღწერილი ტყავის გადამუშავება-გამოყვანა და ტყავეულის ნაწარმის კერვა, ჯამბარების გრეხა, სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ხელჩანთების, გულდებისა და აბგების დამზადება და ა. შ.

ასეთია ძირითადად შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის მასალებში წარმოდგენილი მონაცემები საქართველოს მესაქონლეობის შესახებ. ამ მონაცემებს ითვალისწინებდა ივ. ჯავახიშვილი მაშინ, როდესაც საქართველოს მესაქონლეობის ფორმათა მრავალფეროვნებასა და მეცხოველეობის მრავალდარჯიანობას განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ქვეყნის ეკონომიკური მთლიანობის გამტკიცების საქმეში. განვითარებული მეურნეობის პირობებში მესაქონლეობის პროდუქტები და მის ბაზაზე დამზადებული შინამრეწველობის და შინასახელოსნობის ნაწარმი, მეურნეობის სხვა დარგების პროდუქციასთან ერთად აწონასწორებდა ქვეყნის ეკონომიკურ მთლიანობას. ივ. ჯავახიშვილის შეხიშვებით, საქართველოში „ბარელს მთა სჭირდებოდა და მთიელს კიდევ ბარი; უერთმანეთოდ მათ არსებობა არ შეეძლოთ“. ნ. ბერძენიშვილი საგანგებოდ უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, თუ რა სავალალო შედეგები მოჰყვა ამ ეკონომიკური მთლიანობის დარღვევას მაშინ, როდესაც ტრადიციულად მესაქონლეობით დაწინაურებული სამხრეთ საქართველოს მოწინავე პროვინცია — ჯავახეთი XIV—XV საუკუნეებში ოსმალთა უღელქვეშ აღმოჩნდა. საქართველოს სხვა პროვინციებთან ურთიერთობას მოკლებული ჯავახეთის მოსახლეობა იძულებული იყო მოეწვალა მეურნეობის ტრადიციული დარგი — მესაქონლეობა და ჯავახეთის პირობებში არარენტაბელური მეურნეობის — მეხორბლეობისათვის მოეკიდა ხელი. სხვათა შორის ჯავახეთი ამ მხრივ გამონაკლისს როდი წარმოადგენდა. ქართველი ხალხის ტრადიციული ბინადარი მეურნეობა, მიწათმოქმედება-მესაქონლეობის სიმბიოზური შერწყმული ფორმებით, არაერთხელ ქვეულა ველის მომთაბარეთა შემოტევისა და განადგურების ობიექტად. ასეთი განსაცდელის ეამს სწორედ დამჯდარი მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის რაციონალური სისტემები იყო ქართველი ხალხის ძალისა და ძლიერების ერთ-ერთი ძირითადი წყარო, რომლის მეოხებითაც იგი ყოველთვის ახერხებდა უტყუეგლო დამპყრობთა მიერ თავსმოხვეული კულტურა და მამაპაპური ტრადიციული მეურნეობის მაღალკულტურული ფორმები და სისტემები დაეპირისპირებინა მისთვის.

შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის მასალების წინამდებარე ტომში ცალკეა წარმოდგენილი მეფრინველეობა. მართალია, საოჯახო მეურნეობის ამ დარგზე მასალებში მეტად ძუნწი და ფრავმენტული ცნობებია წარმოდგენილი, მაგრამ სხვადასხვა სახისა და დანიშნულების შინაურ ფრინველთა ნომენკლატურის, მათი მოვლა-მოშენების, გამრავლებისა და გამოყენების შესახებ წინამდებარე ტომში შესული მონაცემები მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, რომ მეფრინველეობის კულტურის ტრადიციული ფორმები დღემდე არ გამხდარა სპეციალური კვლევისა და შესწავლის ობიექტი.

შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის მასალების დღემდე გამოცემული სამტომეულის მსგავსად მესაქონლეობისა და მეფრინველეობის მონაკვეთიც შეიცავს სათანადო საილუსტრაციო ნაწილს. სამწუხაროდ, მასალის შეკრების პროცესში უშუალოდ ველზე გადაღებული ფოტოსურათები და გრაფიკული არქიტექტურული ჩანახატები ამ ტომშიაც ძალზე მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, ამასთან ფოტოანაბეჭდებისა და ფოტოპირების უმრავლესობა უხარისხოდაა შესრულებული და ვერ პასუხობს გამომცემლობის სადღესი მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა, წინამდებარე ტომში მაინც შევიდა ადრე გადაღებული და შესრულებული საილუსტრაციო მასალის გარკვეული ნაწილი.

გავითვალისწინეთ რა მეურნეობის ამ დარგთა განსაკუთრებული ადგილი და როლი ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის სხვადასხვა სფეროებში, გადავწყვიტეთ წინამდებარე ტომის საილუსტრაციო ნაწილი შეგვევსო ჩვენს ხელთ არსებული ფოტო და არქიტექტურული მასალებით. ამ მიზნით გამოვიყენეთ ჩვენს მიერ 1958—1975 წწ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მესაქონლეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის მიზნით საველე-კვლევაძიების პროცესში გადაღებული ფერადი სლაიდები და შავ-თეთრი ფოტოები, აგრეთვე არქიტექტურული ჩანახატები და ანაზომები. საილუსტრაციო მასალების შერჩევისას შევეცადეთ წარმოგვედგინა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მესაქონლეობისა და მეცხვარეობის ბარისა და მთიანი ზოლის სეზონური დასახლების კომპლექსები, მესაქონლეთა და მეცხვარეთა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, საძოვრებისა და სათიბების ხედები, მესაქონლეობასა და რძის მეურნეობასთან დაკავშირებული დგამ-პურქელი და ა. შ. ამასთან, ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში შევარჩიეთ ყველაზე უფრო ტრადიციული კომპლექსები, საგნები და ნივთები, რომლებიც გამოირჩევიან რევოლუციამდელი ყოფისა და კულტურის დამახასიათებელი ნიშნებით.

საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის მასალების მესაქონლეობისა და მეფრინველეობის მონაკვეთის გამოცემა უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის საქმეა. სპეციალისტებისა და ფართო მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახდა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი მონაცემები, რომლებიც არა მარტო შუქს ფენენ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან სამეურნეო კულტურას, არამედ ხელს უწყობენ იმ პროგრესიული ტრადიციების გამოვლენასა და სათანადო გამოყენებას, რაც სამწუხაროდ ბოლო პერიოდში დავიწყებამს შეიკა. სწორედ ასეთმა მიდგომამ გამოიწვია ჩვენს რესპუბლიკაში მეცხოველეობის ტრადიციული ფორმების მოშლა, რასაც თან მოჰყვა ჩვენი ქვეყნის ამ ისტორიულად ჩამოყალიბებული მეურნეობის პროფილის დარღვევა. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა საქართველოს მთიანეთში ოდითგანვე დაწინაურებული მეცხოველეობის თანდათანობით დაქვეითება, მისი არარენტაბელურ დარგად გადაქცევა და საბოლოო ჯამში მთიანეთის მოსახლეობის გაუ-

მართლებელი მიგრაცია ბარის რაიონებში. ვფიქრობთ, წინამდებარე ტომში შესული მასალების სათანადო გამოყენება, წარსულის პროგრესული ტრადიციებისადმი შეგნებული მიდგომა და მათი პრაქტიკაში დანერგვა ხელს შეუწყობს მეცხოველეობის განვითარებასა და აღმავლობას ახალი მოთხოვნილებების შესაბამისად. საქართველოს მთიანეთის სამეურნეო-კულტურული და ეკონომიკური აღმავლობა და ქვეყნის შინაგანი მიგრაციის წონასწორობის აღდგენა დღევანდელ პირობებში დიდადაა დამოკიდებული მესაქონლეობისა და მეცხვარეობის ტრადიციული ფორმების აღორძინებასა და განმტკიცებაზე.

წინამდებარე ტომისათვის სათანადო მასალები გამოსაცემად მოამზადა და ტომი შეადგინა მ. ჯაფარიძემ.

მესაქონლეობასთან დაკავშირებული დოკუმენტური ილუსტრაციები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ვ. შამილაძემ.

ქვემოჩამოთვლილ კუთხეებში ჩაწერილი ტექსტები ენობრივად შეამოწმეს საქართველოს მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სპეციალისტებმა: აკადემიის წ/კ. ივ. გიგინეიშვილმა (ქიზიყი, შიგნი კახეთი, გარე კახეთი და ერწო-თიანეთი), დოც. რ. ლამბაშიძემ (საინგილო), პროფ. თ. უთურგაიძემ (თუშეთი), პროფ. ა. ჭიჭინაძემ და კ. გაგუამ (სამეგრელო).

საძიებლები შეადგინეს: ლ. სოხაძემ, ც. კვანტალიანმა, დ. შენგელიამ, ნ. თაქთაქიშვილმა და მ. ფერაძემ.

ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე

მესაქონლეობა
მეფრინველეობა

ს ი ა

იმ პირთა, რომელთაც შეპირბან მასალები 1935 წელს საქართველოს
შინამრაველოებისა და წმრილი ხალხსნობის ისტორიისათვის

1. სტეფანე მენტეშაშვილი, მასალები შეკრება ქიზიყში
2. ლუბა ბოკორიშვილი, მასალები შეკრება შიგნი კახეთში
3. იოსებ შვედლიშვილი, მასალები შეკრება ვარე კახეთსა და ერწო-თიანეთში
4. იოსებ პაპიაშვილი, მასალები შეკრება საინგილოში
5. გიორგი ბოკორაძე, მასალები შეკრება თუშეთში
6. ვასილ ჩოხელაშვილი (ტუქსიშვილი), მასალები შეკრება ფშავეში
7. ალექსი ოჩიაური,
8. ნათელა ოჩიაური, მასალები შეკრება ხევისურეთში
9. ვახტანგ ჭაფარიძე, მასალები შეკრება ხევში, მთიულეთ-გუდამაყარში და ქართლში მტკვრის ჩრდილოეთით (მდ. ქსნისა და არაგვის ხეობებში)¹
10. კონსტანტინე კახიანი, მასალები შეკრება ზემო ქართლსა და ქვემო იმერეთში
11. ირაკლი ქანაშვილი, მასალები შეკრება ქართლში, მტკვრის სამხრეთით
12. კონსტანტინე გვარამაძე, მასალები შეკრება მესხეთსა და ჭაყაზეთში
13. ბარბარე (ბაბო) წერეთელი, მასალები შეკრება ზემო იმერეთში
14. აბელ კიკვიძე, მასალები შეკრება ქვემო რაჭაში
15. ნიკოლოზ რეხვიაშვილი, მასალები შეკრება ზემო რაჭასა და ლეჩხუმში
16. ფაფალა გარდაფხაძე, მასალები შეკრება ქვემო სვანეთში
17. კონსტანტინე გრიგოლია, მასალები შეკრება ზემო სამეგრელოში
18. ანა ზუბუტია, მასალები შეკრება ქვემო სამეგრელოში
19. სოლომონ ანდლულაძე, მასალები შეკრება გურიაში
20. ქეთევან ლომთათიძე, მასალები შეკრება აჭარაში
21. თამარ ანდლულაძე, მასალები შეკრება აჭარაში
22. იოსებ გრიშაშვილი, მასალები შეკრება თბილისში
23. ქეთევან გოგიჩაიშვილი, მასალებს კრებდა თბილისში, ქალთა შორის

¹ მასალების I ტომში დაბეჭდილია შეცდომით „მდ. ქსნისა და ლიახვის ხეობებში“ (იხ. გვ. 30).

ქ ი ზ ი ყ ი

მეძროხეობა

მთხრობლები: ბასიკო ნიკოლოზის ძე გურამიშვილი, 81 წ. უწიგნური (სოფ. ბოდბე); ნიკო ვასილის ძე მესხრიშვილი, 82 წ. წიგნიერი (სოფ. ოზანი); ვასილა თომას ძე ხუციშვილი, 75 წ. წიგნიერი (სოფ. ჭიშთი) და სხვანი.

ქიზიყში მსხვილფეხა რქოსან საქონელთაგან ძროხასა და კამეჩობას აშანებენ. კაი კამეჩობა წინამხარსა და გაღმა ლეკში იყო თურმე. კარგი კამეჩი უფრო იმ ადგილებში გამოდიოდა, სადაც წყალი ბლომად არის. კამეჩს წყალი უყვარს-საქობოელებსა ჰყოლია ბევრი და განთქმული კამეჩობა, რადგან ისინი გაღმა მხარში მწყსიდნენ, წითელგორში. გაღმა წყალიც ბევრია და სიგრილვეც. კარგი კამეჩი იცის ყარაღაჩმატ, მაგრამ უწყლობა ცოტა ხელს უშლის. ამიტომ არის რომ ქიზიყური ძროხა ალაზანსა და ოლის პირებზე ყრია სულ კამეჩების გულისთვინ. ამბობენ, იმოდენა კამეჩობა ვიცოდით, რომ ალაზანში რომ ჩაწვის, ალაზანი ბუდიდან გადმოაგდიან, დააგუბიან, იქით გადაუგდიან ხოლმეო! ზოგი სოფელი, მაგალითად, საქობო, თითქმის მგაკამეჩეობას მისდევდაო.


საქობოელებს კალოები და ძროხის ბინები ალაზანზე ჰქონდათ წინათ, ტიბაანის დასწვრივ, თითქმის ქვემო მაჩხაანის მიწდვრის მეზობლად; ალაზანს გაღმაც გადი-გამოდიოდნენ. ალაზანთან ახლომყოფელობა უწყობდა ხელს მეკამეჩეობის გაძლიერებას. ზოგს ისეთი ძლიერი მეურნეობა ჰქონია ამ მხრივ, რომ მოსაწველად და საღვებად „თათრის“ (ალბათ ლეკებისა) დედაკაცები ჰყოლიათ დაქირავებული-შინაური დედაკაცები საღ აუვიდოდნენ ამდენ საქმესო. ამას გარდა ქართველი ქალი შინასაქმეს აკეთებს მხოლოდ, გარესაქმეზე მუშაობა წინათ დიდი სირცხვილი იყოო. ბინები კი სოფელს დღისავალს არის დაცილებული, სადაც მარტო მამაკაცია მწყემსებითურთ.

ხარი და ფური კი უკანა მხარისაა, ნამეტნავად ბოდბური, განთქმული. უკანამხრელნი ცივგომბორის მთის სამხრეთის შლილობაზე და ივრის პირებზე მწყსიან თავიანთ ძროხას. ზაფხულში ჰავა ზომიერია, გრილა, ბალახიც კარგი იცის, ყვავილიანი (ანდაზა: „თივა მთისა სჯობს, რევენო, პური და ღვინო — ბარისა“). წინამხარში ცხელა, ზოგჯერ მთლად დაიწვება ხოლმე სიცხით იქავრობა. ძროხა წყალში ვერა წვება და ამ მზეში იწვის. წინამხარის ძროხა ქოსსა, ლურჯი (ვერცხლისფერია, მაგრამ ასე ეძახიან), მსხვილიც არის კაცმა რომ თქვას, უკანა მხარის ძროხაზე უფრო მსხვილიც. ნამეტნავად ფერდამწენილია ყაშების ძროხა (ცივგომბორის მთის უკანასკნელი გორები მულანლოს პირდაპირ), როგორი ფერისაც არ უნდა მიიყვანონ ფური, მისი ჩამომავლობა რამდენიმე ხნის შემდეგ გვერცხლისფერდება. თვითონაც ფერს დაიწმენდს, ბალანი გაუსუფთავდება და გამკვირვალე გახდება. უფრო ჩხიანი საქონელია წინამხარში.

უკანა მხარის ძროხა უფრო ბალნიანია, ცოტა არ იყოს წვრილივით, ფერადი და მუქი ფერისა. გაღმა მხარისა და აგრეთვე ალაზნის პირზე მობინადრე ძროხა, რომელიც გაღმა ვადის, ისიც ფერადია (წითელი, მურა, მარეში, შავი, კრელი და მისთანა). იციან ხოლმე: გაღმა და უკანა მხარეში სულ ვაშლა-ვაშლა საქონელიაო. ე. ი. ფერადიო, ღვინისფერაო.

საძოვარი მინდორიც (რადგან მთა ადგილია, გორაკებია) უკანამხრელებს მეტი აქვთ. ვიდრე წინამხრელებს (შეიძლება საერთო რაოდენობით წინამხარის მინდორი მეტი იყოს, მაგრამ სულ ვაკეა და თითქმის სულ სახნავი, შოროქანს გარდა. ამართმ უფრო ბევრსა ხნავენ. წინამხრელებს უფრო ბევრი პური მოსდით, ვიდრე უკანამხრელებს. ასეც კი იციან: რაც მართო ყარაღაჩში პური მოვა, მთელ ქიზიყში არ მოვა იმდენიო; ყარაღაჩია მაზანდის მიმცემიო). ზოდზე და არბოშიკი ითვლებოდა ძროხით მდიდარ სოფლებად, ცხვრით კი — ზემო მაჩხანის და არბოშიკი.

მქონიარე ოჯახიშვილებს ძროხის ბინები ცალკე ჰქონდათ, როგორც სოფელს. ისე კალოებს მოშორებული, მინდორში, იმ ადგილებში, სადაც საძოვარი იყო. ზამთრის ბინებიც იქ აქვთ და ზაფხულის ბაკებიც (იხ. ხუთვერსიან



სურ. 1. მსხვილფეხა საქონლის სადგომი—გომი ქიზიყის საზაფხულო საძოვრებზე.

რუკაზე ე. წ. „ბინები“). მცირე მქონიარეთ კი, ვისაც ოციოდემდე ჰყავდა, ე. ი. იმდენი. რომ ცალკე ბინის გამართვა არ შეეძლო, კალოზე ჰყვანდათ და კალოს ახლო-მახლო ატრიალებდნენ. სოფლის ნახირი კეთდებოდა, ისე მწყისდნენ. ყველა სახლიდან მისდევდა თითო ბაღი. ზოგი ერთმანეთს მიაბარებდნენ — სუ-

ლს ნიტრა პურად. ამათაც ზაფხულში ბაკებში ჰყავთ, ზამთარში — გომებში. ზოგი გლეხი საქონელს ერთად უღევდა და საამხანაგოდ გააკეთებდნენ ბინას. საქონლისათვის სჯობიაო, რომ შიგ მინდორში იყოს და კალოს მოშორებულიო. საქონელი სოფლის თვალში რომ ტრიალებს, არ ვარგაო. მყიდველს თავის დღეში საქონელში არ შევიყვანთ, თვალი არა ჰკრასო. გასაყიდ საქონელს განზე გამოუყვანთ, მოფარებულ ალაგას, თუ იყიდა, რა კარგი, თუ არადა უკანვე წაიყვანათ. საქონელმა თვალი იცისო.

ძროხაში მშრალი ძროხა ცალკე დაუდით, კბო-ღედა — ფური — ცალკე, ნახირში კი დარეულია ერთმანეთში. ამას გარდა შესაბამი საქონელი ხელში უჭირავთ, ის ძროხაში არ არის, ცალკე ჰყავთ.

აჭურება საქონელზე ჰკიდია, ზოგი მეყველწლივია, ზოგი — მეწლეურე. გაზაფხულზე რომ შეიღეშება, ე. ი. გასუქდება, ბუღას აიღვენებს და გაიღვენება. ზოგი შემოდგომაზე იღვენება, უფრო კი — ზაფხულში. თუ კაი მწყემსია, ბალახსა და წყალს უმარჩევებს, ხამხა და ხამ ბალახში ატარებს, მაშინ მალე იღვენება. ახურებული ფური სხვას დაუწყებს ხტომას. საფსმურიდან დენას დაუწყებს, როცა დაგრილდება, გაჩერდება. აღარც ბულა მიუღდება. საფსმურშიც შეეშება და ძძუტებიც დაეტენება. ცხრა თვეზე მორიგებს.

ხბო თავიდან მოდის, წინა ფეხებით. თუ ვერა შობს, მეძროხე ან ხელს შეუყოფს, ან ფერდებიდან გაასწორებს, იცის ადგილი, სადაც არის. ხბოს რომ გააჩენს, მემრე ბუღესაც დაადგებს. ბუღეს ზოგი ფური ჰამას დაუწყებს ხოლმე სიყვარულით. არ ვარგა, ურძეო გამოვავო. მეძროხე [ბუღეს] მოაშორებს, მიწაში ჩაჰტლავს. ხბომ ხსენი უნდა მოწოოს, ან თითონ მოსწოვს, ან მეძროხე ძოაწუებინებს. ხსენი წებოსავით არის. მეორე დღეს შეიძლება გამოწველოს, თუ ხსენია, ყვითელი იქნება. მოსწვამს!, ტკბილია, მარჩილს მოაყრის და შესკამს მეძროხე (ხსენის ჰამა ზოგმა უარპყო, როგორც შეიძლებაო). თუ რძე აქვს, გამოუწველის, რომ ძძუტ არ გაუფუჭდეს. ოთხი დღის შემდეგ დაუწყებს წველვას. კარგი ძროხა ორ ხელადახ იწველის, ხამი — ხელადახ. მართალია, ცოტას იწველის ქიზიყური (ან როგორც ისინი ეძახიან „ჩვენებური ქართული ფურიო“) ფური, მაგრამ რძე ნოყიერი აქვსო. იმავე პირობებში სხვა ჯიშის ფურის რძე უფრო წყალივით არისო.

ახლად გაჩენილს — წლამდე — კბო, კბორი, ანუ ბოჩოლა ჰქვიათ.

ხბოს უფრო სრული სახითაც ხმარობენ, უფრო მრავლობითს რიცხვში — კბორები. ბოჩოლას კი პატარას, ჩვილ ხბოს ეძახიან. ხბორებს, ზამთარში რომ დაიგებენ ფურები, საკბორეში გადაიყვანენ, რომელიც გომის იმ ნაწილს წარმოადგენს, სადაც მეძროხე იმყოფება. იქ თბილა და მოსუფთავებულაია, კედლებზე ლასტები აქვს აფარებული, რომ ხბომ მიწა არა ჰკამოს. პატარაობაში მიწასა სკამენ ძალიან. ერთი წლის შემდეგ, ორ წლამდე, ე. ი. ერთ გამოზამთრებულს ტანა ეწოდება. მეორესაც რომ გამოიზამთრებს, ე. ი. ორი წლისა რომ გავა და შესამეში გადადგება, უკვე მამალს მოზვერს ეტყვიან და იმავე გაზაფხულზე დაჰყოლავენ (დაჰყვერავენ), შეიძლება ტანობაშიც დაკოდონ. დღედალს დეკეული ეწოდება და შეიძლება იმავე ზაფხულს გაიღვენოს. დეკეულს უშობელსაც ეძახიან. მოზვერს იმ შემოდგომაზე გუთანში გამოჰქნიან და დახარდება, რაჟი გამოიქნება.

კარგ ძვალმსხვილსა და ჯიშისან ტანობაშივე შეეტყობა, თან კარგი ნაფერი ისა იქნებოდა და იმას ინახავდნენ ბუღად, არ დაჰყვერავენდნენ. ბულა იმუშავებდა შვილ-რვა წელიწადს, მემრე გამოცვლიდნენ ან დაჰყვერავენდნენ და ხარად

ულელში შეებადნენ ან დაჰკლავდნენ. ტყავს რუმბად ამოიღებდნენ. რუმბი მხოლოდ ბუღისა კეთდება, სხვისა არ შეიძლება.

მოზვერი რაკი გამოიქნება, კარი ჰქვიან, თუმცა ოთხ-ხუთ წლამდე კიდევ მოზვერიც ეთქმის. ულელში ხარი ათ-თხუთმეტ წელს იმუშავებს. ზოგი საქონელი ყაირათიანია, თავს ინახავს და დიდხანსა სძლებს. შენახვავზეც არის დამოკიდებული.

დეკეული პირველად რომ მოიგებს, ხამი დეკეული ეწოდება, მემრე — ორნაყოლი, სამნაყოლი და ა. შ. პირველ წელიწადს ცოტა რძეს იწველის, მემრე თანდათან მატულობს, მესამეზე უკვე დონეზეა დამდგარი. ფური ათ-თორმეტ წელიწადს გასძლებს, საიქ თხუთმეტ წელიწადს ემსახურება საქონელი პატრონს. მუყველწივე მალე ტყდება, მენწლუფე, ანუ ბერწი (წელიწადს რომ გამოუშვებს) — გვიან; ბერწი საქონელი მუდამ მავარია, ჯანშენახული (ანდაზა: „ერთი წლის ბერწობით ფური არ დაიკვლება“). თუ ფური სულ არ იგებს ურწანი ჰქვიან. თუ ვინცობაა ფურმა მკვდარი ხბო დაადლო, გაბერწებას ეძახიან.

კამეჩმა თორმეტი თვე იცის მაკობა. კამეჩისას ახლად გაჩენილს ზაქსა და ბუჩინასა და ყოყინას ეძახიან. ბუჩინა, ანუ ფუჩინა ჩვილ ზაქს ეწოდება. ორსამ წლამდე ზაქი ჰქვიან, მემრე — კამეჩი, მამალს — კარკამეჩი, დედალს — ფურკამეჩი. ერთმა გლეხმა მითხრა: „ერთი ფურკამეჩი მყვანდა, ოცდახუთ წლამდე იცოცხლა, არც ერთი კბილი არ აჯლდა, თექვსმეტი ზაქი გამოზარდა“.

საფურე საქონელს ულელში არ აბამენ. ხელმოკლე გლეხები ფურკამეჩებს აბამენ ულელში, აგრეთვე — ურწან ფურებსაც.

ოჯახიშვილებს იძღენი საქონელი ჰყვანდათ, რომ არ საჭიროებდნენ ყველა სამამლის გამოქნას. მე თვითონ შევესწარი ქვემო მარხაანში ერთ ოჯახიშვილს, რომელსაც თორმეტუღელა ათ-ათი წლის, ე. წ. მოზვრები ჰყვანდა. მოზვრებს ეძახოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ულელში არ შემბულიყვნენ თავის დღეში, გამოუქნელები იყვნენ; თითქმის გაველურებულები იყვნენ, თავიანთ ნებაზე დადიოდნენ თურმე მინდორზე, საძოვარზე და წყალზე. მეძროხეს არ ეპუებოდნენ, ადამიანს ერჩოდნენო. სხვოლი, ლურჯი, კოტა მოზვრები იყვნენო. სახელისათვისა ჰყვანდათო.

საქონელს თუ მალა აწვდილი კონტა რქები აქვს, კოტას ეძახიან, თუ რქები დაბლა აქვს დახრილი, ლაბა ჰქვიან, თუ ურქია, იმას დოლას უწოდებენ ძროხის მწყემსს მეძროხეს ეძახიან, ხოლო, თუ სოფლის ნახირი დაუდის სამწყემსავად — მენახირე ჰქვიან.

ზაფხულში ძროხა შუადლისას საყარზე მიდის და ეყრება. იქვეა წყალიც. საყარი მინდორშია მზის ქვეშ. იქვე ახლო ტყე რომ იყოს, ხე, არ მივა საქონელი, ბუზი აწუხებს, მზეზე არიან. კამეჩები წყალში ყრიან. ზაფხულში საქონელი ბაკეშია. ზამთარში საქონელი გაუდით საძოვარზე; ქიზიყში მაინცდამაინც დიდი თოვლები არ იცის, თუ მოვიდა, ორსამ დღეში აიღებს და ესეც დიდ უბედურებად მიაჩნიათ. ძროხა პოულობს მუცლის გასაძლომს. ღამე აძლევენ საძმელს — ბზეს, თივას.

საქონელი დახარისხებული ჰყავთ და ისე აძლევენ საკვებს — მუშა საქონელს ყველაზე მეტს აძლევენ, მემრე მეწველს აძლევენ; ყველაზე ნაკლებს კზადს აძლევენ. ხბორებსა და ტანამანებს, როგორც ახალგაზრდებს, კარგი ხარისხის საკვებს აძლევენ. გომეშიშიცა და გარეთაც ბაკეში აქვთ მოწნული, ასე ორიოდ შტკავლის სიძაღლედ და იმაში უყრიან საკვებს. ძროხები ერთმანეთს რომ არ მიუტცივდნენ, ზოგი მონავარი საქონელია, სხვებს იბრყივებს, მეძროხე

ჰყარაულობს. ადრე, თვალნათლივ, მოაქმევენ და მემრე დააბინაეებენ, დაან-
წყვედევენ გომებში. რაც უფრო ცივა, მით უფრო ადრე შეპყრიან გომში და
გვიან გამოუშვებენ. თუ საქონელს სიცივემ დაჰკრა, მორჩა, ის ზამთარს ველარ
გაატახს. დიდი სიფრთხილე უნდა. გიორგობისთვიდანე ამწყვედევენ გომებში თუ
ამინდი გაფუჭდა. ერთი ანდაზაა: „გიორგობისთვემ წლები დაწყვეტა და იან-
ვარს დააბარალესო“.

კამეჩები რადგან ძალიან მოცივარები არიან, ამიტომ გარეთ რომ უშვე-
ბენ, თუ ძალიან ცივა, დახუტარევენ ხოლმე ნაბადს ან სხვა რამეს, საბანსაც კი
თუ გაჭირდა. სიცივე მაგდენი არაფერია, უსაზღვლოა უჭირვებთ საქმეს. თით-
ქმის იშვიათი ზრუნავს წლიურ საყვებზე, დაჩვეულები არიან, რომ ჩვეულებ-
რავი კაი ზამთარი იცის ხოლმე ქიზიყსა და ზამთარში მინდვრად ბალახი ბევრია.
საძიხელება მამინ ტრიალდება, როცა ზაფხული გვალვიანი მოვა, ბალახს ვერ
გასთიბავენ. არც ბზე იქნება, რა თქმა უნდა, გვალვიან წელიწადს და არც ზრუ-
ნავენ, რომ საიდანმე შეივსონ დანაკლისი. ამას თუ ზედ დაატყდა ცუდი ზამთა-
რი, აღარაფერი გადარჩება, საქონელი სულ ამოსწყდება ხოლმე. ზოგი, დიდი
ძროხის პატრონი, ამ მდგომარეობას იმით აღწევდა თურმე თავს, რომ ალაზანს
ვალმა გაუდიოდა და იქით ნეკერზე გამოჰყვანდა. ტყეებში სიცივეც ნაკლებად
იცის. ჰალაში ხემ ფითრი იცის, ნეკერის გარდა, იმასაც უკაფავდნენ და აჰმეგ-
დნენ. ფითრიც გასუქებული კამეჩი თოვლშიც რომ გორავდეს, მაინც არა უშავს
რაო. ფითრი ძალიან ასუქებს კამეჩს. ყველაზე ძალიან საქონელს მარტში უჭირს,
იხოცება. ამაზეა გამოთქმული:

„იანვარი მოზუზუნებს, როგორც რომ მშვიდი მგელიო,
თებერვალმა დაუბერა, როგორც კარგი საბერველი,
მარტმა თქვა: თოვლქყას ეაპირებ, ღმერთო, მიმართე ხელიო,
ორ შურად გაგზალო კამეჩის გავა სქელიო.
აპრილმა შემოუთვალა: მარტო, ხარ კუეთხელიო,
ურემში შევლეთ უღელი, შევაბათ ყოყინებით,
ჭერქერებ დაეთათათო, მემრე ყანებს ეყოთ ხელიო“.

მეძროხეს ხელში ერთი მოზრდილი ჯოხი უჭირავს, ზედ გუფა ჰკიდია, რი-
მელიც თუ კოხტად არის დაწულ-მოქარგული, ყალჩაღს ეძახიან; შიგ ერთი
დღის საგძალი უდევს და დასდევს ძროხას; ხანჯალი ჰკიდია, ვინიცობაა დასჭი-
რდეს; წინათ თოფიც ეკიდათო.

მეძროხეს, თუ კაი გაზრდილი იყო, უღელ ტანას აძლევდნენ წელიწადში,
ზოგს — ერთ მოზვერს; მენახირეს — სულზე ნიტრა პურს.

ყველა მეძროხე საქონელის პატრონი, იმ საქონლისა, რომელიც მასა ჰყავს,
ერთ-ერთ ნაწილს, ასოს (გულს, ღვიძლს, მხარს და მისთანას) ასთქვამს,
ოღონდ საქონელში ყისმათი მომცესო, ზოგი ნამრუდალსაც (მოპარულსაც) არ
შესტამს, ყისმათი წამივიაო, ზოგი კი პირიქით, თვითონ არის გაჭნილი და ქურდი.

ერთი-ორი გამონათქვამი არსებობს, რომელიც საინტერესო უნდა იყოს:
„ლექებმა საქონელი დაიტაცეს, ბლავანი აღარსად გაუშვესო; ნანაჯოგვიანად
დაიღუპაო“.

საქონლის ავადმყოფობა. წელაკვი — საქონელი წელში კლაკენას დაიწ-
ყებს და ძირს დაცემას. მიწის მგელი ერთბაშად დაეცემა და გააქრობს, თუ
მიასწრეს, წყალს ასხამენ. გაზაფხულზე ნორჩი ალაფა რომ არის, საქონელი
ხარობს, ძალიან ძლება და იხოცება; ალაფა მუცელს უჭრისო. არიდებენ ალა-
ფას.

მთხრობლები: იოველ ტიტას ძე ნატროშვილი, 67 წ. უწიგნური, 30 წელი ნეცხვარეა (სოფ. ზემო მახხაანი); რამაზ მიხეილის ძე შინჯიკაშვილი, 38 წ., წიგნიერი, ბავშვობიდანვე მამასთან ყოფილა ცხვარში (სოფ. მელაანი); კოტე სანდროს ძე ჭანიკაშვილი, 55 წ. (სოფ. კელმეჩური)² და სხვანი.

ჩემმა საუკეთესო მთხრობელმა გამოცდილმა მეცხვარემ ი. ნატროშვილმა სახერხოდ მიიჩნია თხრობის ყოჩის გაშვებიდან დაწყება. მეც მას მიეყვები კვალდაკვალ.

ადგილს უფარდებენ ყოჩის გაშვებასაც და ცხვარსაც. წინამხარს — ყარლანს, სხვა დროს უხდა ყოჩის გაშვება, უფრო ადრე უნდა, უკანა მხარს — სხვა დროს. უკანა მხარშიც განსხვავებაა: შირაქსა, სამუხსა და ჩათმას სხვა დრო უნდა, უკანა მხარის კალოებს — სხვა დრო. იმდენს ცდილობენ, რომ სამთოდ ბატკანი მოზიჯებული ჰყვანდეთ, რომ კარგად შეძლოს მგზავრობა. მაგრამ, თუ გვიან გაზაფხული იცის (უკანა მხარში), მაშინ ადრე ცდას ზარალი მოაქვს. თოვლქყყაბი ღუპავს მომგე ცხვარსაც და ბატკანსაც.

ვისაც ხამი საქოვარი, ყორული აქვს, ის სათებერვლოდ გაუშვებს ყოჩს. სიიანეროდ გაშვება არ ივარგებსო. ვისაც ყორული არა აქვს, ის სამარტელ გაუშვებს ყოჩს.

ქრისტიანობისთვის დან, შობიდან მრავალის დაბადებამდე, ე. ი. შვიდ თბბათვემდე ყოჩი დაძღვარია, არ იწვევს ცხვარზე, მემრე დაიწყებს ცხვარზე წვეას სწორედ მაშინ დარჩეულია უკვე ყოჩი და გაუშვებენ ენკენისთვეში. ყოჩი თუ ენკენისთვის ნახევარში (აქაც და ქვემოთაც ძველი სტილი იგულისხმება. გლენკაცობა თავის ანგარიშიანობაში ძველებურად არის მიჩვეული) გაუშვებს, ე. ი. პირველ ალავერდობას (ალავერდობა თოთხმეტ ენკენისთვეს იცის ძველი სტილთ. თოთხმეტს რომ დღეობა იქნება, იმას პირველი ალავერდობა ჰქვიათ, მეორე ალავერდობა სწორზე იცის, ე. ი. ოცდაერთს)³, მაშინ იანვრის დღეებს დაიტანს, თუ — სწორზე, ე. ი. ოცდაერთ ენკენისთვეს, მაშინ თებერვლის სამ დღეს დაიტანს და ისე დაიძვრება დოლი. რვა ენკენისთვეზე ადრე ყოჩს არავითარ შემთხვევაში არ გაუშვებენ. ენკენისთვის ხუთი დღე რომ კიდევ იქნებოდა. მაშინ თუ შეჰყრიან ყოჩს, პირველი მარტისათვის მოვიდოდა. ქიზიყში ამაზე გვიან აღარ შეიძლება თურმე ყოჩის გაშვება. მელაანელების სიტყვით კი, ისინი, როგორც ზემომხრებნი, ყოჩს ენკენისთვის გასულზე, ღვინობისთვეში უშვებენ. რადგან გვიან იღვიძებენ იქ ბუნება, ბალახი. მარტისთვის მოდის დოლი.

ყოველ ას ცხვარზე სამ ყოჩს უშვებენ. წინ-წინ ნაკლებიც უშვიათ. ხუთ თვეს ხუთ დღეს აკლებს, ცხვარს ბატკანი ავრე დააქვსო.

წინათ ყოჩს არ არჩევდნენ და ზოგი ბატკანს მთაში იგებდა თურმე. „კარგა ხანია, რაც ჩვენ რვა აპრილის მემრე ბატკანს აღარ ვაგებინებთო“, დასძინა ი. ნატროშვილმა. რვა დღე გიორგობისთვე რომ ჩამოვა, არჩევენ ყოჩს. ცხვარი სახამ იწერებდა, არა უქირს რა.

ზამთრისთვის ზოგი ნაღვლობს საკობს, რომ ცხვარი კარგა გაიყვანოს, ცდილობა ყველანა დასცილდეს, ზოგი არა ჰპატრონობს.

² დღევანდელი მღარო.

³ დედანში ყოფილა — „... მეორე ალავერდობა სწორზე იცის, ე. ი. 20-ს“; ივ. ჭავჭავაძის ხელთ აქაც და ქვევითაც გასწორებულია — „ე. ი. 21-ს“.

ყარღან-ავშანს უთიბამენ საზამთროდ. მლაშეა, კარგაო. „ეგრე მლაშეა, რომ ერთი მუხლი სჭამს ცხვარი იმასა და მეტს არა. იორზე იცისო“.

ცხვარს მთიდან რომ ჩამოჰლადავენ, წინამხარში მლაშეს მოახვედრებენ: საჭუგაანოზე, ხაშლა თეფაზე, საქვემოთაჩხაანოზე, აუღლებულ კვაზე (შოროქ-ხიხი ძლაშე ადგილებია). მემრე შირაქში აიყვანენ. ორ-ორი, სამ-სამი დღე დგებიან თითო ალაგას. მემრე ჩაღლენ იორზე. საზამთრო ბინები იქა აქეთ (ზემომაჩხაანელბს). გიორგობისთვის პირველში ჩადიან ბინაში.

60000 ცხვარი ჰყოლია ზემო მაჩხაანს, — ოცდახუთი ბინა.

ხუთასიოდე ცხვარზე ორ-სამ ურემ თივას იქონიებენ. როცა თოვლი მოეა, ერთ ორ-სამ დღეს თუ გასძლო, მაშინ მიუყრიან. თივა არ უნდაო, ცხვარი ზამთარშიც სძოვსო. თივამ თოხლის ხოცვა იცისო, ჰიას უჩენს, გველძუას ეძახიან, ყახყრატოში უჩნდება, ფირტვში ძაფივით არწივი; ჰკლავს.

ვისაც ბევრი ცხვარი ჰყავს, თოხლი და მშრალი ცხვარი ცალკე დაუდის, მოსაგები — ცალკე, ვისაც — ცოტა, იმას შიგ ერივია. მშრალი ცხვარი შორს მიდის.

მელანელი რ. შინჯიკაშვილის სიტყვით, ცხვრისთვის საზამთრო ადგილებს იღებდნენ თურმე იჯარით. ნათიბებს ინახავდნენ თურმე ყორუღად. დღისით ორანაში (სასოფლო საძოვარი) დაუდიოდათ, საღამოთი კი — ხამ საძოვარში. ყორული ნაწილ-ნაწილადა ჰქონიათ, რომლის ნაწილს დოღამდე შეიყოლიებდნენ ხოლმე თურმე. მემრე სხეას აღარ უნდა. მარტო მომგვს აძოვებენ. ამათ ორანაში მშრალს გათიბულ ბალახს მაშინ აკმევენ, როცა ავღარია. ფარეხში შეუტანენ ახალმოგებულ ცხვარს.

კვირის თავს და კვირის თავს მარილს აკმევენ, რომ ცხვარმა კარგა ჰქამოს. თუ კარგი კვება აქვს ცხვარს, ყოველ დღეს უსუფთავებენ ფარეხს, თუ არა, ორ დღეში ერთხელ.

მეცხვარე სადოღისთვის ინახავს ბინის უკან ყორულს. როცა დოღი დაიძვრება, ცოტა-ცოტა მიუშვებს და მოაკმევს. ზოგი, რომ გაიგებს, წინამხარში ლურჯი მოსულაო, აჰყრის ცხვარს, წამოიყვანს და იქ დაადოღებს.

„დოღს როგორც ავიღებთ, ერთ თვეს ვრჩებით, ავიყრებით და ჰაიდა შირაქისაკენ“.

თუ ცხვარი დამძრალი მოვიდა, მაშინ ბინას მოუთბუნებენ: ზევიდან ბანს ხაბადს დაჰხურავენ, კარებს გემრას მიაყრიან. ცხვარს ოფლი მოუვა. ოშნივარი უნდა ამოვიდეს მალა. მაშინ კარგი მეცხვარე ავა, ბანს ცოტა იშიღს უზამს, რომ ჰაერი შევიდეს. თუ თბილი დილაა, მზე რომ კარგა ამოვა, მიივლ-მოივლის, მაშინ გამოუშვებენ ცხვარს ფარეხიდან, თუ არა, კარგა რომ მოსადილდება, მაშინ გამოუშვებენ. თუ ძალიან ცივა, მაშინ სულაც არ გამოუშვებენ, ბინაში იქნება. თუ თბილა, შეღამემდინაც აძოვებენ.

მეცხვარე ფეხზე, ყურზე აცნევს⁴ სიცივეს. ცხვარსაც ეტყობა. თუ ერთი-ორი ცხვარი გაჩერდა, მოიბუზა და აღარა სძოვს, მაშინ [მეცხვარე] ჩქარა-ჩქარა დაილაღავს ბინისაკენ.

მეცხვარე ფარას არ ანდობს ისეთ მწყემსს, რომელიც ერთი ხუთ-ექვს წელიწადს ნამყოფი არ არის ცხვარში, რომ ვარაოდი იცოდეს, არ დაუძრეს ცხვარი. ყველაზე საწუხისი ცხვრის დამძრომაა. თუ ჰარი ჰრის, ცივა, ცხვარი დღეგება, დასანგლდება; მაშინ პატრონმა უნდა იცოდეს, რომ ცხვარი ძრება, იღუპება. თუ ცხვარი სძოვს, გინდა თოვლი მუხლზე იყოს, ჰყინავდეს, არა უშავს რაო. დოღის დროს ასს ცხვარზე ერთი კაცი უნდა. უხელობა ლუპავს საქონელსო. ერთიც დამხმარეა საჭირო ზედმეტად.

⁴ სეა.

დოლი. როგორც კი იტყვიან, რომ ერთი კვირის მემრე დოლი იქნებაო, მაშინ ან მეცხვარე წაივია, ან მწყემსს გამოჰგზავნის და ნავთს, მარილს, ფქვილს, საპალეს მოიძარავებენ იმდენს, რომ დოლის აღებამდე ეყოთ.

დოლამდე ცხვარი ერთად არის დარეული. დოლის დაძვრიდან კი დაარჩევენ, ან ცალ-ცალკე ფარებში, ან ლასტებით: მოსაგები ცალკე იქნება, თოხლი — ცალკე. როცა მკვე ცხვარი მოგებას დაიწყებს, მაშინ მოგებულს ცალკე გაიყვანენ კორაკანაში, მოსაგებს — ცალკე. კარგა რომ დაიგებს, გაბევრდება, ბატანს საბატკნეში გადაიყვანენ. საბატკნე გარეშემო ამოწულია, რომ ბატკანმა მკვე არა ჰვამოს. ქვეშ კავახს (ხმელი შამბია) უფერენ, რომ სინესტე, სისველე არ შემოადგეს. ბატკანი სუფთად უნდა იყოს. ბინას დაასუფთავენ, საბატკნეებს გააკეთებენ — კორაკანებს — პატარა მანებს ჩაპყრიან და გოდორით მოსწნავენ ისე, რომ შიგ არ ჩასულიყო ცხვარი, ან არ ამომხტარიყო. დედა-შვილს სხამენ შიგ.

კორაკანა ბინაში კედლის მხარეზეა მოწული. ცალ მხარეს ბინის კედელი აქვს კედლად. მემრე, როცა ბატკანი გაბევრდება, საბატკნეში შეჰყრიან. მწყემსი ფარებში წევს. აანთებს ლამფას და დაათვალიერებს — მოიგო თუ არაო. ან თუ მუცელი სტიკავს, დაულოდინებს და მოაგებინებს. მეორე დღეს ცალკე გადაიყვანს. დოლი ღამე უფრო იცის თურმე, რადგან ყოჩი დღისით ბალახს ეშურება, სძოვს, საღამოთი ჭერ ისევენს, მემრე წამოხტება და ნერბავს. უფრო გათენების ხანს იგებს. იმ დროს შიგ ბინაში არიან მწყემსები, ყურადღებას აქცევენ, რომ ან გამრუდებული იქნება, ან უპირს, ჰშველიან.

ცხვარი ბატკანს რომ მოიგებს, დედა გაჰლოკავს, მემრე მოაწუებს. თუ არ მოაწუა, მწყემსი მოაწუებინებს. მაგალითად, ღამე რომ მოიგებს ცხვარი, თვითონ გამწვავებულია, მიეძინება. ბატკანი წავა და დაიწყებს სიარულს, გაითხუნება. მეორე დღეს რომ გამოუშვებენ ცხვარს, დედა დაიძულვებს ბატკანს, რადგან გათხუნულია, თავისი სული აღარ ასდის, ამას დაიძულვება ჰქვიან. საჯიროა მცხობი, რომ დედა შვილს მიუყვანოს. ცხვარბატკანს ცალკე კორაკანაში გაიყვანებ, ან ცალკე დაბამენ, მემრე დედა შვილს ჯიგარს დააყრის და მოაწუებს. ზოგი თუ სძულობს, ზოგი ჰყურობს, როცა რამდენიმეა დაძულებული, მაშინ ვარაუდით მიუყვანენ. ერთ დღე-ღამეს გვერდზე ჰყავს დედას, მემრე აძსლეტავენ და გაიყვანენ საბატკნეში. მანამ გააყოლებდნენ, დილა-საღამოს აწუებენ.

ახლად მოგებული ბატკანი მეტწილად თვითონა სწოვს. დედა თუ ხამი შაქია, გამწვავებულია, ყურს არ უგდებს, სძულობს; მაშინ კორაკანაში ჩააგებენ, მოაწუებინებენ, ისიც ჯიგარს დააყრის, აიყვანს. ზოგჯერ რამდენიმე ცხვარი ერთად იგებს, ირეკა, ვეღარ იცნობს, რომელი რომლისაა, მაშინ უნდა მცნობი, რომ დედა შვილზე მიიყვანოს. სცნობს ცხვირსა, თავზე, აგებულებაზე, როგორც გინდა იყოს, მაინც ექნება დედისა რამე. როგორც მშობიარე დედაკაცს უპირს, ისე ცხვარსაც უპირს. მცოდნე უნდა მოიყვანოს და გარედან უნდა გაასწოროს. ზოგი შიგ უყუფს ხელს და ისე ჰშველის; თუ ვეღარ უშველეს, დანთ გამოსჭრიან, რომ ცხვარი მაინც გადარჩეს. გარედან გასწორება სჯობიაო. თუ ვერ უშველეს, დასივდება და მოკვდება.

ცხვარმა ბატკანს ხსენი უნდა მოაწუოს, უიმისობა არ იქნებაო. თუ ხალი ხსენი არა აქვს, დამძრალია ცხვარი, მაშინ მწყემსმა უნდა გამოწველოს ის, საღ ხსენს მოიდგამს და იმას მოაწუებს, თორემ მოკვდება ბატკანი.

ცხვარში შაპარულა იცის — ყოჩი გაბოზდება, გაიპარება და ცხვარს გაბნერბავს; ადრეულად მოიგებს. დაჭდება ზოგი ცხვარი, მწყემსს დაეძინება, გა-

იპარება და გაჰნერბავს. ნელა მოგებული (ე. ი. გვიან მოგებული) იცის იმან, რომ ზოგი ცხვარი მოიშლება და მეორედ გაინერბება; ზოგი თავის დროზე არ არის მონდომებული.

მოსაგებ ცხვარს კაი გამოცდილი მწყემსი დასდევს. ახლად მოგებულ ბატკანს აიყვანს თუ თოვლს, ჰყვას, ზურჯინში ან ტყავის კალთაში გამოიხვევს, არც კი შეუსვამს, მიუყვანს მცნობსა და ეტყვის: ეს ამის მოგებულა, ეს ამისია. ზოგი ლაფითა ნიშნავს, ბალახს შეაბამს ზურგზე, თუ ძალიან აჯამი მწყემსია.

დასადლოებელი ადგილი ბინის გვერდზეა მოწული კუდალებული წნუროთ, რომელსაც სამერი ეწოდება. „ზოგჯერ მაკე ცხვარს აუყვანია სხვისი ბატკანი სიყვარულით. და ერთი კვირის შემდეგ მოუგია თითონ. იმ ბატკანს თავისი დედაც ჰყურობს. შემდეგ ააშორებენ, თავის შვილს ჯიგარს დააყრის, ორივესა ჰყურობს“. „ზოგი ცხვარი ორს, ტყუპს რომ მოიგებს, ორივეს ისე ჰყურობს, რომ ერთი ბატკანი რომ მივიდეს არ მოაწუებს, სანამ მეორეც არ მივა. ერთხელ ერთი დაუქალით თხასა და მეორეც აიშორა. თავთავიანთი ძუძუ აქვთ, მეორეზე არ მივა“.

საბატკეში ბატკანს არ აცხუნებენ; ცივად ინახავენ. მალლა სათვალე აქვს, კარებსაც ძალიან არ მოათბუნებენ.

გაზაფხულზე, თუ ამინდი კარგია, მოწველა სჯობია ერთი ათ-თხუთმეტჯერ, თორემ ბატკანი გათამამდება და ჭია უჩნდება მთაში მუტეღში და იხოცება. ვინც სწველის, არ ეხოცება, დავვიცდითაო. აქაური (ე. ი. ბარისა) ყველი მალე უნდა შეიჭამოს, რადგან ბალახი ჯერ არ არის დაპურებული, უღალაო და რძეც უღალაო გამოდის.

დოლის გათავებამდე ბატკანი შუადღისას გამოჰყავთ საბატკნიდან ბაკში, მოსწოვს და მუწუების შემდეგ ისევ საბატკნეში ერეკებიან. დოლის გათავებიდან ბატკანი გაჰყვება, რომელიც ჯერ ჩვილია, დარჩება ისევ, ზოგი ერთი თვისაა, უკვე მოჩრისხებულია.

ბატკანს რომ დედას დაურევენ მოსაწუებლად, მიჰყვებიან, ჯერ ერთ მხარეს აპოვნიებენ ცხვარს და ბატკანს, მერე მიაყოლებენ და ბოლომდე აპოვნიხებენ და დააწუებიან. ცხვარ-ბატკნის ასე დარევენ და დაწუებიან გახარდალავებას ეძახიან.

როცა დარჩეული ჰყავთ და სწველიან, დილა-სალამოს აწუებენ, როცა არა, შიგა ჰყავთ დარეული. დააწუებენ, ანუ დამერავენ, შემდეგ დასხლეტავენ. მწყემსი ბაკის კარებში ჩადგება, ცხვარს გაუშვებს, ბატკანს დასტოვებს, რომელიც დილია, იტყვის: „ბარაქა ცხვარსა, სიძთელე ბატკანსაო!“ ცხვარი ბლახზე წავა ან ბინაში შევა, თუ სალამოა, ავახმევენ. ბატკანი საბატკნეში შევა. ბატკანი სანამ მოჩრისხდება, არჩევენ, ჩვილია და უჭირს სიარული, შემდეგ კი გააყოლებენ დედას, რომ შეეჩვიოს. ერთ-ორ-სამ კვირაზე ბატკანი მოჩრისხდება.

ზოგმა მეცხვარემ იცოდა: მავანი ცხვარი რომ მოიგებს, თუ მამალია, კურატად დავაყენებო. როგორც კი პირველი მამალი ბატკანი გაჩნდებოდა, რომელიც კაი ბიჭა-ბატკანი იქნებოდა, სამხთოდ აიღებდა, მაშინვე ყურს მოაქრიდა — საშობაოდ, თავი კარგი დოლი ავიღოთ; ხშირად უფრო წმინდა გიორგისთვის ვიცოდით. ყველგან, საცა გაავიჭირებოდა, ვიტყოდით: „ღმერთო წმინდა გიორგო!“

ყველა მეცხვარეს ათქმული აქვს ცხვრის ერთი ნაწილი. არ შესჯამს რაც უნდა იყოს. რ. შინჯიკაშვილმა თქვა: „მე ცხვრის გულს არ შევქამ, რაც უნდა იყოსო“.

მთაში გაშვება. სამთოდ მზადებას რომ დაიწყებენ, ჯერ ერთი წამოვა ბინიდან შინ, დაიბანს, დაირეცხავს, დაიკერებს, გაიმზადებს ჩათოს, გულან და სხვას. ახლა — მეორე და სხვა. ოც აპრილზე ადრე არ წავლენ და შვიდ მაისზე გვიან. ზემომარჩხანელებმა გიორგობის (ოცდასამ აპრილს იცის, მათი დღეობა) მეორე იციან წასვლა. დღეობას გადაიხდიან და მეორე დღეს წავლენ. შვიდ მაისს ძელიცხოვლობა იცის ჭუგაანში და იმათ იციან უფრო ამ დღეობის გადახდის მეორე დღეს წასვლა, ზოგი იმავე დღეს მიდის. ჭუგაანელები უფრო ლევი მთაში მიდიან და ადრეც ჩამოდიან ზოგიერთი. დასცინიან კიდეცა: „ლევი მთაში და იმის საქმელად მორბიანო“. ადრე წასვლა სჯობიაო. ადრე წასვლისას ლუბი, ჭანდაგი კვდება გზაში, გვიან კი ნაბარევი ასდევს და რომელიც კარგი ცხვარია, იმასა ხოცავს. მშრალი ცხვარი, აწადი, თავისუფლად დიდის ხაშვებში (უხვედრ საძოვარში), ჭანად არის, ბარშივე სუქდება. მთაში მსუქანი ვეღარა სძოვს და იხოცება.

ყველა მეცხვარე ცდილობს, რომ წინ გავიდეს, სხვებს გაუსწროს, ხამ ბალახზე იმან გაიყვანოს ცხვარი, გზა-გზა კარგ ბალახზე ატაროს. ლ. ნატროშვილსა სკოდნია (განთქმული მეცხვარე, რომელიც ამჟამად უდაბნოს ცხვარშია), რომ მარტიდანვე აცნობინებდა პურსა და ანმობინებდა. თადარიგ წინა დღითვე უდგებოდა. იმას კაცი ვერ გაასწრობდაო. კაცზე ორი ფული გამომცხვარი გამზნარი პური მიაქვთ საჯმალად. ერთ თვეს ეყოფათ. მთაში ასდევთ. იმ ვარაუდით მიაქვთ პური, რომ მთაში აპყვეთ, რადგან სანამ მოიმარაგებენ, ფქვილს ჩაიტანენ. ქუმელს გააკეთებენ, მანამ უნდა ეყოთ ორთულამდე თოთხმეტ-თხუთხმეტ დღეს უნდებიან გზას თუ კარგი ამინდია. აქედან (ე. ი. ბარიდან) მიაქვთ ხახსნე, ღუქარდი, გულეზი, თითო მწყემსზე — თითო ნაბადი, ტყავი, „შინელი“, ორი შალვარი, ორი ახალოზი, სამიხელი საცვლები, სამი წყვილი წინა.

როცა მთაში მიდიან, დილით რომ აშშლიან ცხვარს, ერთი მუხლი უნდა გაუჭავრდნენ ძალიან, სადილობამდე, ადგილი ამორჩეული აქვთ, „გინდა ოცი, ასი თუმანი დაგვიჭდეს, დღეში ერთხელ უნდა ვაძულოთ. უნდა იმთენი ეცანო, რომ წინ წახვიდე და მუხლსწრო ადგილს, რომ მემრეც იქ მიხვიდე. თუ უკან ჩამოვრჩი, იმთენს უნდა ეცადო, რომ წამოსწივო, ღამე უნდა იარო; ზოგან ძალით, ზოგან ფულით და უნდა ახვიდე მთაშიო“.

ქიზიყელები ბარიდან მთაში წასვლით პირველად მელანის ბოლოს აძუებენ, მეორე — ბალიურს, მეორე — ლაპრებს, აწამბურს, ბაღბიანს, სამგორებს, ლოქინს, ქალაქიპირს, მსხლიანს, ბედნისძირს, გოხნარს. თითო დასვენებას თითო დღე უნდა. წალკამდე ძოვნიტ ჩადის. ჰოქიანში ორი დღე რჩება. აბურში სძოვს მეორე, კიდევ ეშტიანში რჩება, ყაურმაში, აღბაბაში. აქედან უკვე ნება იყო, გინდა ერთი კვირა ეძოვნა, მთა არის, არავინ დაუშლიდაო.

წასვლაში ბატკნის დედა ცხვარი ბატკნითურთ ცალკე მიდის, მშრალი — ცალკე.

ავლენ თუ არა მთაში ადგილას, დაარჩევენ — ქორფას ცალკე, მშრალს ცალკე, ბატკნის დედას ცალკე. მწყემსები წავლენ, ზოგი მარლის მოსატანად, მოამარაგებენ — ზოგი შაბს, ზოგი ტოპაკას, ზოგი წივას. ჯერ ბალახი არ არის, თოვლია. ქოხს გააკეთებენ: ზოგი ხეზე წავა, ბაკს გააკეთებენ. ცხვარი დადლილია და ბინის გარშემო ატრიალებენ. პირველ ხანებში ერთი კაცი ჰყავთ ცხვართან. ხელს ბინას ანმარებენ, ჯერ ბინის გაკეთება, დაბინავება არის საშური, დასაბინავებლები არიან. შვიდ-რვა დღეს მოუნდებიან. ცხვარი დაისვენებდა. მეორე დაარჩევენ ცხვარსა და თიბათვიდან დაიწყებენ წველას.

ბატკანიც ბინაზე დგას თიბათვის ნახევრამდე, მშრალიც, ხაწველი მიდის, საბა-
ლახოდ საბაროსკენ, სადაც ბარი ადგილებია, ბურახიანი. მთებში თოვლია ჭერ.

მემრე რაც ბარიდან გასაპარსი ცხვარი წავიდა, იმას გაპარსავენ. ყველაზე
სათუთი ბატკანია, იმას კარგი გამოყვანა უნდა, კარგი გამოცდილი მწყემსია სა-
ჭირო, დაუზარელი, გულმოდგინე. ამიტომ არის რომ იცილებიან მწყემსები —
— არა შენ წადი ბატკანში, არა შენაო. ი. ნატროშვილის სიტყვით: „ძალიანა
ვბრძოლობთ, ბატკანში არა შენ წადი არა შენო, არა შენი მწყემსი წავიდეს, არა
შენიო. მემრე როგორც არის, ორი მწყემსი გამოიყოფა და იქნება და იქნება
ბატკანში შემოდგომამდე. ბატკანს კარგი გამოყვანა უნდა, მწყემსი შიშობს,
ვაი თუ საქონელი გამიფუჭდებაო. ხამს არ ანდობდნენ. ზოგი კი, რომელიც შე-
ჩვეული იყო, გამზადებული იყო, თითონ წავიდოდა.

ბატკანს არ უნდა მაჰკარბოს მარილი და არ უნდა მააკლოს წყალი. მარილს
რომ აჰმევეს, უნდა გაატაროს და გამოატაროს წყალზე. როგორც ყვავილს მზე
დაჰკენობს, აგრეა ბატკანიც. ბატკანს ღამეში ერთი ორჯელ აშლა უნდა; რომ
დაწვება ბატკანი, ადგომა ეზარება, ცალ გვერდზე რომ წეება, ქვეშითა გვერდი
უცხელდება და სცხება, მატყლიც ვერ ეზრდება კარგი. ღამე ნაშალ ბატკანს მა-
ტყლი თამამი ეშლება, პირდაპირ უყვავის. ზოგმა იცის თოვლზე ყრა, აღარ
დამიხსენდებაო. ელიაობიდან დაიწყებს ბატკანი პარსვას (ოც მკათათვიდან).
ჩამოჰყავთ ნოტო-ნოტო, დაპარსავენ და მეორე დღეს აჰყავთ ისევ.

ბატკანი საბატკანშია, სულ ზევით, მაღალში, ცივ ადგილას, რადგან ნაზი
გამოსაზრდელია, ბევრგვით უნდა გაზრდა! საბატკნეს ყორულს ინახავენ, რომ
იმაზე სხვამ არ გაიაროს. ერთი ყორული კიდევ ბინაზე აქვთ, რომ ჰპარსავენ
ბატკანს, იქ უნდა ძოვოს. მშრალი ცხვარი საბატკნის ქვეშით არის, ისიც გრილ
ადგილას. მშრალი ხამს თავის დღეში ვერ მოჰხვდება, თუმცა შორს კი მიდის.
საწველავე ცხვარი თბილ ადგილას მოდის, ხამ ბალახში, რომ რძე არ გაიშროს.
თბილში ბალახი დაჰურებულია, ცივში კი ბალახი ჭერ არ არის, ჭოსა ადგი-
ლებია. წელს ვერ ითბობს ცხვარი. მეწველს სხვილი, მაღალი, ბურახიანი ბალა-
ხი უნდა, რომ მაღე გაძღეს. ყოჩი ბინაზეა სულ ნერბის დრომდე. კოჭლი და
ლუბიც ბინაზეა.

საბატკნის ბალახი ქორფაა, ალაგაც მეტია შენახული იმისთვის. მემრე:
შემოდგომით ცხვარსაც იქ უშვებენ ხოლმე, იქა სუქდება.

ბინაში თხუთმეტი კაცია, ცხვარი ოთხი ათასი, აქადან ათას ორასი ბატკა-
ნია, იმდენივე, ე. ი. ათას ორასი — საწველი, მშრალი — ათას ხუთასამდე, ხუ-
თასამდე — ყოჩი და ჰედილა, სამოცი — ცხენი, ოცდაათი — ვირი, ოცდაათი
— ძალე (სამადლეს მთაში ყიდულობენ).

ორი მწყემსი ბატკანშია, ორი — მშრალში, ერთი — ყოჩებში და ჰედი-
ლებში, ერთი — ცხენში, ცხრა კაცი — საწველში. აქადან ორი მეწველს სა-
ძოვარზე დასდევს, ორი საღამოთ მიეშველება, ძალეებს წაასხამს, არხაჭზე —
საყარზე ყარაულობენ. საწველი დაბალ ადგილებში ჰყავთ, თბილად უნდა იყოს.
რომ რძე არ გაუბრუნდეს უკან, არ გაშრეს, დილით ეს ბიჭები უკანვე მოდიან.
ბინაში დიდი საქმეა და დარჩენილი შვიდი ბიჭი იმ საქმეს უნდა.

ბარში დაბრუნება. ენკენისთვის ნახევარში, ხან გასულში დაიძვრება ცხვა-
რი. ბარში თუ ნედლობაა, ალავერდობისთვის (თოთხმეტ ენკენისთვის) ჩამო-
იყვანენ, ბარში უფრო სუქდება მამინ, ხოლო თუ ბარში კმელობაა და მთაშიც
თოვლი არ მოდის, გასვლამდე რჩებიან.

მთიდან ბარად გამომგზავრებაში არც საბალახე გასდით და აღარც არაფე-
რი, რადგან ყანები დამკილია, ბალახები დათიბული. მარტო ქალაქში ბაყი მის-
დიოდათ — ათი-თხუთმეტი მანეთი (ომამდე). მთიდან ბარად ათ დღეზე მოდი-

ან. ყველა ძრიან მოდისო. ცხვარს აქადანაც ძრიან მიუხარიანო. ძრიან არ მიველის ცხვარი. რათ უნდა მოვეცივითო, სულ ერთია, მინდორი მინდორია“.

მთიდან რომ მოდიან, ღამე ძალიან ჰყარაულობენ თურმე, რადგან მსუქან ცხვარს თათარი ჰპარავთ.

ქალაქის პირში ცხვარს მოატრიალებენ. ბინა ქალაქში ბაკებში აქვთ, დაბინავებულა.

ჩაპალავეს საკლავს ქალაქში, ქედლიობას, ყოჩებს ჰყიდიან. ომამდე ბებერი ცხვარი სამი მანეთი ღირებულა, ქედილა — ხუთი მანეთი, ბატკანი ავლაში — შვიდი აბაზი, თორმეტი აბაზი. ჩამოვლაში თოხლია უკვე.

მთიდან ქიზიყში ჩამოსვლის შესახებ ი. ნატროშვილი შემდეგს გადმოგვცემს: „ჩამოვალთ აქ მთაში (უკანა მხარში ცივგომბორის მთა იგულისხმება), მანდ მოვედით ჭორის ბინას, ცხენის ბინას შინ მოვიტანთ. მეორე დღეს გავალთ, გავიტანთ ღვინოს, საკლავს დავეკლავთ“. მონარევები (ერთი ბინის ცხვარი სულ ერთი კაცისა კი არ არის, რამდენსამე მეცხვარეს ერთადა ჰყავთ გარეული ცხვარი, რომ ერთი ბინის ცხვარი ოთხი ათასამდე შეთავსდეს. ვისაც ერთადა ჰყავს ცხვარი გარეული, იმ მეცხვარეებს მონარევები ეწოდებათ) დავარჩევთ — ვინ საით წვალოთ, ვინ საით. ვიანგარიშებთ დანახარჯს; ხარჯი გზისა ცხერისა ცხვარზეა, ცხენისა — ცხენზე, კაცისა — კაცზე. ერთი, მთაში რომ ავალთ, იქ გავასწორებთ ანგარიშს, მეორე, აქ რომ ჩამოვალთ, აქ გავასწორებთ ანგარიშს.

„ცხრაოც თუმანს ვიკვლიდით ორთულის მთაში. ეტეოდა ოთხმოცი ათასი ცხვარი, შვიდასი ცხენი, სამასი ჭორი. მთელი მთა მარტო ზემომამჩხანელებს გვეჭირაო“.

გაჩეხიდან პირველ გაპარსვამდე, ე. ი. შემოდგომამდე, ანუ ბარში ჩამოსვლამდე ბატკანია; გაპარსვის შემდეგ თოხლია წლამდე, ე. ი. მეორე გაზაფხულამდე. გაზაფხულზე მეორედ გაიპარსება და გახდება მამალი, რომელიც იყვერება — ქედლია, დეღალი — შაქი. დეღალ ცხვარს ორნაყოლიამდე შაქი ეწოდება; პირველ ნაყოლზე ხაში შაქია, მეორეზე — ნაშაქარი. მესამე ცხვარი ჰქვიან სულ. დედა ცხვარი გაზრდის შვიდ ბატკანს, მერვეზე აღარ ივარგება, აღარც მატყლი აქვს: „ძნელად არის რვა ნაყოლი ცხვარიო.“ ყოველ წელიწადს რომ აჩინოს რვა-ცხრა წელს ივარგებს, თუ ბერწად დარჩა, ხანდახან ათ-თორმეტ წელიწადს.

გამოზამთრებულ, გაზაფხულზე გასულ თოხლს დაჰყვერენ და ქედილა იქნება, რომელსაც ხამ ჰედლიანაც ეძახიან (ყვერის კაკლებს გადაუვარებენ, ზევით ასწევენ და ჰქვედიან მავრა კანაფს ან ბაწარს მოუჭირებენ, ცხვარი ცოტას შევლებს, ავად გახდება. მოვლა უნდა, რომ არ გაფუჭდეს). „დაყვერილია და იმისთვის ვეძახით ქედლიასო“. როცა ქედილა რამდენსამე წელს დარჩება, იტყვიან — მოვლილიაო; იმისდა მიხედვით თუ რამდენი წლის მოვლილია, ამბობენ: ერთმოვლილი, სამმოვლილი, ... რვა მოვლილიც მყვანდა დედაჩემისთვისო,“ თქვა ი. ნატროშვილმა ქედილა ათ წლამდე, ე. ი. ათმოვლილიც იქნება, მარამ იშვიათადო. ზუთ ზევით, უფრო კი სამ წლამდე ყოლიობენ, იმას ზევით აღარაფერს მატყლობს, პატარავდება, მატყლსაც კლებულობსო. ქედილა საქორცეა, როგორც კი მოვა თავის დონეზე, უნდა გაიყიდოს, დაიკლასო.

ზოგს მამალ ცხვარს ნერგად უშვებენ, არა ჰყვერავენ, რომელსაც ყოჩს ეძახიან. ყოჩი ზუთ წელიწადს იმუშავებს, იმის ზევით აღარ ვარგაო, ისიც თუ ძალიან კარგია, თორემ ზუთშაშვებულებიც არ ვარგაო (შაშვება ყოჩის ცხვარში ნერგად გაშვებას ეწოდება. ერთ წელიწადს რომ გაუშვებენ, ერთშაშვებული იქნება, მეორე წელიწადს — ორშაშვებული და ა. შ.). ყოჩის შესახებაც ამბობენ: ერთმოვლილი, ორმოვლილი და ა. შ.

ყოჩს არჩევენ მატყლზე, აგებულებაზე, ჯიშზე. „მინც იმისი ნაფერი სჯობიაო“. მაშხეც და დედაზეც მაგარი ცხერის შვილი უნდა იყოსო. ყოჩს მემრე, თუ დაყვერეს, ნაყოჩარი ეწოდება.

„ჩვენი ცხვარი და თუშური ცხვარი ორიე ერთია, ორიეე ცივათ თერთია, მატყლიანია, ბოში ცხვარია ვერ იტანს ვერც სიცივეს, ვერც სიცხეს“.

ყარაბალის ცხვარი წითელია, სხვილია, ზამთარში მაგარია. იტანს სიცივესაც და სიცხესაც.


ლეკური ცხვარი ყარაბალისას ჰგავსო.

კოთალი უმატყლო ცხვარიაო.

დოლა საჭონელი საერთოდ ურქოსა ჰქვიანო.

ყბაშავი ცხვარიც არის და სხეაც, ნიშნის მიხედვით.

ბინის მოწყობილობა. ჭვაბი დიდი, ერთი ცხვარი უნდა ჩავიდეს; მეორე ჭვაბი — ფეშხვიანი, მესამე — ფელიციანი, ანუ თავკისერი ჩავიდეს (მებატყნესა აქვს. ბატყანი რო მოკვდება, ერთი ფეშხვა მებატყნისაა. თუ იცის, რომ დაბლა ხორცი აქვთ, შეიძლება სულაც არ გამოგზავნოს). შემშრალესა და მესაწველეს ჭვაბი არა აქვს, ბინად მოდიან: ამას გარდა საჭირთა: ცხრა ღურქი, ერთი კოდი, ერთი დიდი ჭვაბი — კალტის მოსაჯდელი, საჯი — ფათირების (თხელი ლავაშივით) გამოსაცხობად. ძველად თხუთმეტ კაცში ორი თოფი ჰქონიათ, მეტი არ იყო საჭიროო. თოფი რომელიმე მეცხვარის საკუთარი იქნებოდაო, ტყვიოწყაძალი ყოფილა საბინაო. ხანჯალი და დანა ყველას ექნებოდა, აგრეთვე ჯოხიც.



სურ. 2. მეცხვარის ბინის საერთო ხედი და გენგეგმა შირაქის საზამთრო სამოვრებზე.


სამაღლეს მთაში ყიდულობენ. თვეში ძალზე ფუთი უნდა ჭერის ფქვილი, რომლისასაც სალაფავს უკეთებენ (მდულარე წყალს დაასხამენ ფქვილს და თხელ ფაფასავით გაუქეთებენ სალაფავს); ამას გარდა ლეშია და შრატია.

კაცი პურსა და ჯალსა, ანუ ქუმელსა ჭამს. კაცის თავს ან ორი ფუთი პურია საჭირო თვეში, ან ორი ფუთი ქუმელი.

ვისაც ბევრი ცხვარი ჰყოლია, ბინაც იმისი ყოფილა, კოდიც, ჭვაბიც, საჯიც და სხე; კითხულიც იმისი ყოფილა და აღებ-დაღებაც; ბინისთავი ისა ყოფილა, ვისიც ხე (ბინის საჭირო მასალა), ბინის მოწყობილობა ყოფილა. ერთი კაცი ხარჭალი ყოფილა ცხვარში — უფროსი. პატრონი ავალებდა თურმე, ერთ-ერთ მწყემსს თავისი მწყემსების უფროსობას.

ერთი ბინა ოთხი-ხუთი ათასი ცხვარია. ისეთი კაცებიც ყოფილან, რომელნიც საკუთრად დადიოდნენ თურმე.

ცხვრის პარსვა. ბატკნის პარსვა ელიაობიდან დაიწყება (ოცი მკათათვიდან). ჩამოჰყავთ ნოტო-ნოტო და ჰპარსავენ და მეორე დღეს აჰყავთ ისევ. ცხვარს ყველა თავისასა ჰპარსავს. გაპარსვაში ყველა მოვალეა, რომ ერთმანეთს უშველოს. მატყლს აქავე, ალაგობრივ მოდის შემატყლდე და იქა ჰყიდიან. ცხვრის პარსვა ენკენისთვის პირველიდან იწყება. ბატკანს იმიტომა ჰპარსავენ; ადრე, რომ საზამთროდ მოასწროს მატყლის მოსვლა, თორემ დაძრება. ორი-



სურ. 3. ბინის, ბაქისა და ფურნეს გ გმა და ზრალი ა—ა შირაქის საზამთრო საძოვრებზე.


კვირის განმავლობაში გაიპარსება ცხვარი. გაზაფხულით აპრილის გასულში იპარსება. რომელიც ჭანად არის, ბარშივე იპარსება, ოღონდ ძირში არ უნდა გაიპარსოს, ეტყობა ახალი მოსული მატყლი, იმის ზევით ნაზამთრი უნდა გადააცალოს, თორემ ვაი თუ ჰყვები მოვიდა, დაპხოცავს.

ცხობილი შეცხვარის არაკი იქაც იციან: ერთმა მეცხვარემ დაიკვეხო, რომაო „იგრე გავიდა მარტიო, არ მამკვლომია ციკნი ბლარტიო“ მიაყოლა და დაპარსა ცხვარიო. მარტმა სამი დღე აპრილისაგან დაისესხა, დაუშვა თოვლქუყაბი და გაუწყვეტდა საქონელს, რომ ერთი ხერხი არ გამოეგონაო: ფარეხში შეყარა ცხვარი, მალა ძელზე კატა დაუყიდა და იმის ჩხავილზე ცხვარი ხან აქათ გაძოგრიალდებოდა, ხან იქით. ცხვარს აღარც ჰუმა გაძსენებია და აღარც სიცივეო. მეოთხე დღეს იშილი ქნა და გამოიღარაო. როგორც იყო გადაარჩინა ცხვარი, მაგრამ თქვა: „მარტის ერთი დღე, რომ წინ გედვას, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო“.

ცხვრის ნაწილს მთაში ჰპარსავენ ასელისას. მშრალი ხამი შაქი ოთხ-ხუთ გირვანქას გაიპარსავს. შვიდი გირვანქაც ყოფილა იშვიათადო, შემოდგომით, გაზაფხულით კი — ერთი-სამი გირვანქა. ზოგი სულ გაღვერილია და რას გაიპარსავს. გაზაფხულის მატყლს — რისვს — წმინდა ბეწვი აქვს. კარგაც ფერადდება, მაგრამ ცოტას იპარსავს ცხვარი; შემოდგომისა ბარაქიანია, მაგრამ სხვილი, ჭოყარი ბეწვია. ჰედლიასა და ყოჩს კაფაცი, ანუ ფაქაცი მატყლი აქვს, სხვილი. ბატკანი ერთ-სამ გირვანქას გაიპარსავს. ბატკნის მატყლი, კრაველი-

ყველასა სჯობია. ერთი ცხვრის განაპარსს ნაპარსი ჰქვიან და ზომის ერთეულად ჰქონიათ უწინ და ეხლაც სათვალავშია მიღებული.

გაზაფხულ-შემოდგომისას და ბატკნისას სულ ერთი ფასი ჰქონია — ფუთი შვიდი-რვა მანეთი ყოფილა ომამდე.



სურ. 4. ფარების ეგემა და კრილი a—a და b—b შირაქის საზამთრო საძოვრებზე.

„ზოგს საშინაოდ ვარჩევდით და მოგვექონდაო, უფრო ბატკნისას ვარჩევდით“.

ცხვარს გასაპარსად წააქცევენ, ჯერ მუცელს გაუპარსავენ, შემდეგ ფეხებს გაუკრავენ ჩათოთ. ჯერ ცალ მხარეს გაუპარსავენ ზურგამდე, შემდეგ — მეორე მხარეს. პარსავენ დუქარდით. თუ სადმე გაუჭრა დუქარდმა, დაფქულ ნახშირს დააყრიან, რომ ბუზი არ დააჭდეს და არ ჩამატლოს. მატყლს გადაპკრებენ ისე, რომ მონაკრეკი გარეთ მოჰყვეს და მკლავზე გამოჰკვანძავენ. ამას ეძახიან ნაპარსს.

გაგონილი მაქვს პატარაობას მამიჩემისაგან და ჩაწერილი მაქვს 10—15 წლის წინ:

შირაქში ერთმა მოყმემა (სარ მეცხვარემ) სიზმარი ნახა ჰყრიანი:
 ამ ორ-სამ დღეს ან მე მოვეკვდები, ან ცხვარს ეცემა ზიანი.
 აედემ (ადგა), ყველას გაუყავ (გაუყო), ვისიც რა (მ)მყენდა ზიარი,
 მეტ-მეტი გადაეყოლე, — არ მინდა ნაწყველიანი.
 შევძახე, სარქალ გიორგის — ლურჯა მამგვარე ტიალი, ეგ უფრო
 ერთგული არი.

დილით ელდრიდან (შირაქით) წასული, საღამოთ აღვანში არი.
 ქალემმა ნატერა აიღეს, „ვისია ლურჯა ტიალი?!
 სულ ჩვენ მეცხვარის ცხენსა ჰგავს, რა ტურფად მოაქვს გრიალი!“
 საცოლე კარებზე მოდგა — „რას ამბობ ქალო, ქაალი?“
 ჩვენ მეცხვარეს აქ რა უნდა, დოლი ექნება ძრიელი“.
 — „რას გაურჯინარ შეილო ზახაი, დოლი გექნება ძრიელი“.

— „ჩქარაი ლოჯინ დაავეთ, მე მოვალ სულ დაბნეული!“
ადეკით, მიეშველენით, ცხვარ-ცხენი დარჩა ტიალი!

ცხვრის ავადმყოფობანი. ტყირპა. ცხვარს რომ წამოსცხება, ტყირპა იცის..
ჩანამ ჰაერი არ გაცივდება, თავს არ დაანებებს.

ჩიჩრალი — იცის გაფუქებულმა ბალახმა. წინამხარმა იცის. ანახევრებს
ცხვარს.

ბედნიერი — იცის გულის ყურებზე, აყრის და კლავს. არ ვიცით რაზე უჩ-
ნდებაო. წამალი არ იციან.

ყვავილი (ანუ ყვავილი) — წინათ არც ამისი წამალი სცოდნიათ და ცხვარს
ესა ლუპავდაო. ეხლა ყვავილი ადარაფერიო, სწამლობენ. წინათ სცოდნიათ,
რომ თოფი არ უნდა დაცალოსო, წყალი არ უნდა აადუღოსო, ყვავილიანი
ცხვრის ხორცი არ უნდა ჭამოსო. ყვავილი ჩნდება ყველგანო.

პეპელა — უჩნდება ლვიძლში. ჰაობში, ნაგუბარში, ჰყანტიან ბალახებში.
რომ ძოვს, იმან იცის. ხმელ ბალახზე აჩნდება, შემოდგომას ან ზამთარს. უეც-
რიე აჰკვეთავს ჭამას და მოჰკლავს. მანამ ნალველაში გადავა, უძლებს, როცა იქ
გადავა, კვდება. „როცა დავკლავთ პეპელიან ცხვარს, გავეკრით და პეპელა გა-
მოფრინდება (ჩნდება) ხოლმეო“. წინათ წამალი არა სცოდნიათ. ეხლა სწამლო-
ბენ თანამედროვეე სამეურნალოწამლო წესებით.

ნახარევი. გაზაფხულობით ცხვარს თუ დაუგვიანდა და ვერ ავიდა თავის.
დროზე მთაზე, ბარში დასცხება. მთაზე რომ ავა, გააცივ-გააცხელებს, დაღონ-
დება, ჩამოჰყრის ყურებს, აჰკვეთავს ბალახს. მოკვდება. ამასთან ნალველა-
უჩნდება. ხორცი ყვითელი აქვს. ცხვირზე სდაღავენენ თურმე. ზოგჯერ არჩენ-
დაო.

ხუთილი. — უჩნდება ხშირად ბატკანს. მოსარჩენად არხაჯს უცვლიდენ
თურმე. შიგ ჯღაბს (ზღარბს) უშუებდითო. მეორე დღეს ჯღაბი იპარება და თან
მისდევსო. ფეხები ეკრუნჩხებათ, მემრე კორძები უჩნდებათ. გადასადებიაო.

აკოკლობა — მთაში აჩნდება, ბაკში წველვის დროს. ჩლიქებს შუა ეყვლე-
ბა, უხურდება და თ უფუქებს. ბიშმას ეძახიან. წყლუთრის მოსარჩენად დამწვარ
შახამანს ხმარობენ.

რეტი — რეტიანი ცხვარი ტრიალებს და დარბის. ამის მოსარჩენად დილით
უმძრახი ყურებს უხვრეტენ. არ იციან, რაზე უჩნდება.

სიხაშლე — ბატკანს მთაში რომ ააშორებენ, მარილს იხარბებს და ყვინტ-
ლის დენას დაიწყებს, ფერდები ცემას დაუწყებს. გაჰბერავენ, ფერდებზე ხე-
ლის ცემას დაუწყებენ. ერთ სამ დღეს თუ გაუძლო, მორჩება.

მაშრატელა. ძუძუს ტყვილი. ძუძუ დაუსივდება, აღარ მოიწველის. წა-
მალი არ იციან. როცა ცოტა დაუცხრება, წველვა უნდა, თორემ დაყარდება.
მეორე წელიწადს რომ მოიგებს, აღარ მოიწველის. აგეთ ცხვარს დაყარებული
ცხვარი ჰქვიან.

გველძუა. ზამთარში თუ თოხლმა ბევრი თივა ჭამა, ზოცვა იცის, ჰიას.
უჩენს, გველძუას ეძახიან, ყანყარატოში უჩნდება, ფირტვში, ძაფივით არწივი,
ჰკლავს.

ცხვრის სერის სახეები და სახელები. ყველა მეცხვარეს თავის ცხვრის.
სხვისი ცხვრისაგან გასარჩევად, შემოღებული აქვს განმასხვავებელი ნიშანი. ამ
ნიშანს უფრზე დებენ და სერს ეძახიან. ცხვრის ცნობა რადგან ისე შეუძლებე-
ლია, ამიტომ ჰსერავენ. თუ ვინცობა თავისი სერის ცხვარი ნახა მეცხვარემ,
დაიჩემებს. ერთ სოფელში ორი ერთნაირი სერი არ შეიძლებოდა თურმე. სხვა-
დასხვა სოფელში კი შეიძლებოდაო. პაპას რომ სერი ჰქონოდა და ცხვარი გა-

მოპლეოდა და მემრე სხვას იმის სერზე დაეყენებინა ცხვარი, მემრე შვილი-
შვილს რომ ცხვარი გაეჩინა ისევ, თავის პაპის სერს მოედევებოდა, წაართმე-
და, გადაასერინებდაო. ეგრე იყო წინ-წინ ადათიო.

რადგან ცხვარი ბევრსა ჰყავდა და ახალ-ახალი სერის გამოგონება ძნელია,
ამიტომ სერს ორსავე ყურზე ნაირ-ნაირად უშვრებოდნენ ერთიმეორისაგან გა-
სარჩევად. აქვე მომყავს ყველა იმ სერების ნიმუშები და სახელები, რომლების
შეკრება შეეძელიო.

ფრთგავარდნილი, მორათმოპრილი, ანუ ყურდაპრილი, წინდანამოპრი-
ლი, ისრის კილი, ანუ ბოძური, დანიბირი, გახეული, ხერხული, ანუ სამი ჭდე,
წათლილი, გამოპრილიო.

მეცხვარეების წესი და კანონი. თუ სხვისა ცხვარი სხვის საბატკნეში გადა-
ვიდოდა, დაუჭერდნენ და დაუკლავდნენ, ეერ მოედევებოდა. საბატკნეში შესე-
ლა არ იქნებოდათ. თუ გაეპარებოდა. მაშინ არაფერი იქნებოდაო. სამშრალეში
და საწველეში რომ გადასულიყო, მაგდენი კანონი არ ედვა, დაეკლა არ შეიძლე-
ბოდაო.

თუ ცხვარი დაიკარგებოდა, ვისიც იყო, იმისი დაიკარგებოდა. არც მწყემსი
და არც ბინა არ უზღამდა, გინა მიბარებულად ყოფილიყო. ამაზეა გამოთქმული
ერთი ანდაზა: „ფარაში მგელი შავარდა და ვაი ერთის პატრონსაო“. თუმცა ეს
ანდაზა უფრო იმაზეა ნათქვამი, რომ მიბარებულს თითოროლა ცხვარს თი-
თონვე, მწყემსები, დაკლავენ და შეუჭამენ ხოლმე და მემრე ნადირსა და სხვა
რამეს აბრალებენ. მწყემსი თუ მოიპარავდა და გაუგებდნენ, ერთი შვილად
ყოფილა, აზღვევინებდნენ.

ერთი უშტაბაში ჰყოლიათ და ერთი გზირი. თუ რამე ქურდობა მოხდებო-
და ბინაზე, კაცი მიჭერდებოდა და გადასწყვეტამდნენ. ზაფხულში არაფერი
ეტყოდნენ, რადგან „ევი თუ დაეკრა ფეხი, ცხვრისთვის თავი გაენებებინა და
გამოქცეულიყო, ცხვარს რაღა ეშველებოდა, ხელი დაეკლდებოდა. უთმენ-
ლით შინ ჩასვლამდეო“. შემოდგომობით შინ რომ ჩამოვიდოდნენ, შეჭურდებო-
დნენ და გამოუცხადებდნენ — ერთს ერთში პატრონს მისცემდნენ, დანარჩენს
სამთოდ დასდებდნენ. შეიძლება პატრონს ეპატივებინა და ეზღვევინებინა მარ-
ტო. ვისაც სხვა დროსაც ჩაედინა ასეთი რამე, იმას ადებდნენ სასჯელს.

მე ჩემს პატარაობას ზაქარა თამაზაშვილისაგან გამოგონია, შეჭურებულ
ხალხში მომხდარი და უთქვამს: „თუ ვინმე მოიპარავდა, ერთი სამად იყოო,
ხოლო თუ ვინმე ტყუილად ცილს დასწამებდა, ცილისდამწამებელ ერთი შვი-
ლად აზღვევინებდნენო“. მაგალითად ერთი ამბავი მოიყვანა: „ვიღაც მეცხვა-
რეს (სახელი აღარ მახსოვს) მთაში ერთი მაკე ცხვარი დაჰკარგოდა. მწყემსისა-
თვის დადებრალეებინა, — შენ მომპარეო. მწყემსს არ ეკისრნა. გადაეწყვიტათ
ერთი სამად. მეორე წელიწადს მთაში რომ ასულიყვნენ, სამი ცხვარი დაჰხვედ-
როდათ. თურმე ცხვარს ბატკანი მოეგო. შემოდგომაზე შვილი დედაზე გასუ-
ლიყო — ედვადშვილათ. ცხვარი დამაკებულიყო და მეორე წელსაც ბატკანი
მოეგო; რომ ენახათ ცხვარი, სერზე ეცნოთ ვისიც იყო, ეთქვათ: ამ კაცმა თავის
მწყემსს ცილი დასწამა და ტყუილად აზღვევინა ერთი სამადო. ახლა ამისთვის
ეზღვევინებინათ ერთი შვილად. ოცდაერთი ცხვარი გადაეზღვევინებინათ მეც-
ხვარისთვის და ჩაებარებინათ მწყემსისთვის. სამწუხაროდ. ზ. თამაზაშვილი კა-
რგა ხნის გარდაცვლილია და მისი კითხვა შეუძლებელია. ჩემმა მოთქვამმა ზე-
მოხსენებული წესი არა დამიდასტურა. ამბავს საოცრად ზღაპრული იერი აქვს,
მაგრამ საინტერესოა მაინც, რომ ასეთი შეხედულება არსებობს.

თუ მეცხვარე დაზარალდებოდა ან მტრით ან ჰირით, ოჩხს დაშვრებოდა,
დაჰპატივებდა, რომელიც ბინისთავი ხალხი იყო; ისინი აჩუქებდნენ თითო-

ორლა ცხვარს. ამით ღვინოს იყიდდა, ერთი კაცი აპყვებოდა, ბინა-ბინა ივლიდა და თითო-ორლა ცხვარს აჩუქებდნენ. ისევ შეაყენებდა.

ქიზიუში ერთი ასეთი მოარული არაკივით არსებობს, რომელიც მეც გამიგონია (ს. მ.): ერთი მეცხვარე დაცემულა, ცხვარი გამოჰლევია. ამდგარა, დაუშვრია ოჩხი. ერთ-ერთ ბინაში გამართულა ქეიფი. კარგად რომ შეზარხოშებულან, დაუწყვიათ გადალოცვა — ზოგს რამდენი უჩუქებია, ზოგს რამდენი, ვისაც რამდენი შესძლებია. ერთი კაცი სულ ბოლოს მჯდარა ჩუმად. ყველას რომ გადაულოცნია, ამდგარა და აგრე დაუწყვია:

„თქვენც კარგათ მოგხსენებათ, ბორჯომი დიდი მთა არი;
სამი ათასი ცხვარი მყავ, იმის ბატანი სხვა არი,
სამასი სული ცხენი მყავ, იმისი კეიცი სხვა არი,
სამოცი სული ძაღლი მყავ, იმისი ლეკვი სხვა არი,
სამასიც მიჩუქებია, მასზე ნაკლები რა არი“.

ოცი წლის ბიჭი მწყემსად რომ მოერიგებინათ ერთი წლით, ოცი თოხლი მიეცემოდა. თავისი ასი ცხვარიც შეენახებოდა უსაბალახოდ, უხარჯოდ. ყველას წალი მეცხვარისა იყო. ფუთს მისცემდა, მოჭრით, მწყემსს. მწყემსს აძლევდა მეცხვარე შალვარს, ტყავს, ნაბადს დაპხურავდა, ქალმანს, ქუდსა. შევიდოდა, თავისუფლად აარჩევდა რომელი ტყავიც უნდოდა და შეიკერდა ქუდად, გაჰქონავდა და დაიხურავდა ამას გარდა, მწყემსს სჭირდება ახალოხი, საცვლები (ორ-ორი ხელი მთაში ასვლიდან ჩამოსვლამდე, რა გინდა ღარიბი იყოსო), „შინელი“. ორასი სული ცხვარი რომ ჰყოლოდა მწყემსს, ჭამაგირს აღარ მისცემდნენ, სხვა ყველაფერს მისცემდნენ, ნახევარ ყველის წილსაც მისცემდნენ. ცხვარი უხარჯოდ ენახებოდა ჩამოსვლამდე. ჭოხის მწყემსს ეძლევა თვეში სამი თოხლი მთაზე, ოთხი — ბარად.

თუ მწყემსს არაფერი ეყოლებოდა, მაშინ ოცი-ოცდათხუთმეტი თოხლი მიეცემოდა კარგს კაი ფასი აქვს, ავს ავიო. მცნობს თავისი ცხვარიც ენახება და საიქ უცხოვრო მწყემსის ჭამაგირიც ეძლევაო.

სარქალი ზოგი ორი კაციც ჭამაგირს იღებდა თურმე. ზოგი ხუთასი-ათასი ცხვრის პატრონი ყოფილა, ხუთ კაცად დადიოდა და სხვისა ცხვარში ყოფილა სარქლად. ხარჯს „ხაზინი“ იხდიდა, ყველის წილი თავისი ყოფილა. თუ სარქალი მონარევებშია არჩეული, ჭამაგირი არ ეძლევა. საბალახოს ასაღებად რომ წავა, ან სხვა, იმის ხარჯები საბინაოა.

ყველა მეცხვარეს, ი. ნატროშვილის სიტყვით — „ნამდვილ მეცხვარეს, ცხვრის ერთ-ერთი ასო ათქმული აქვს, ან მეჯი იქნება ან ბეჭი, ან ღვიძლი, ან გული, ან შესქამს, რაც უნდა იყოსო. გაზაფხულზე როცა დაარჩევს, როცა დაპხურავს, ღვინოს ჩაიტანს, დაილოცება, ისედაც, როცა ვინმე მოვა, უნდა თქვას: „ბარაქა ცხვარსაო!“

ერთ მწყემსთან ორი ძაღლია, ერთი ცხენი (ივარაუდება გზაში) და ერთი ვირი, რომ ამთ აზიდონ იმისი ბარჯი.

მეცხვარის ძაღლები. მწყემსობაში ძაღლს უდიდესი ფასი და პატივი აქვს. კარგი ძაღლი მწყემსადა ღირსო, იტყვიან ხოლმე.

ძაღლებს დღეში ორჯერ აკმევენ ქერის ან სიმინდის ფქვილის სალაფავს, ვისაც არა აქვს, მარტო სალამოს აკმევენ. ლეკვს დილა-სალამოს აუცილებლად აკმევენ. სალაფავს, სამჭერაც, თუ ააშორეს. სალაფავისათვის წყალს აადუღებენ, ფქვილს დაასხამენ, დამღვრიან, ფაფასავით გააკეთებენ. ცოტა რომ შენელდება. დაუდგამენ ძაღლს საკმელად.

ქიზიუში ქოფაც ძალღებში ორ ჯიშს არჩევენ — ქოსასა და ბანჯგვლიანს. ქოსა ძალლი უფრო კარგი გამოდის, თუ პატა ბარგაიანიც (ზორბა, ტანალი) არის, ფხიძელია, ანჩხლია, მაგრამ ნადირს ვერ ერევა, რადგან მომცრო ტანისაა. ბანჯგვლიანი ზორბაა, მაგრამ ვერ არის ყოჩალი, ზანტია. ძალღს იმაზე არჩევენ, იცის ძალლიც განთქმულია, იმის ნაფერს ელტვიან.

გაგეშვით შემდგენარადა ჰგეშავენ: როცა მეორე, სხვა მსწყემსი მოდის, იმას უტევენ. ისიც ჯოხს იქნევს. ლეკვი ჰყეფს, არ უშვებს და იგეშება. მემრე უცხო რომ მოდის, სცნობს და ერჩის, იგეშება ნადირზეც. როცა ცხვარი დაფთხება, სხვა ძალღები გაიქცევიან, იმასაც დაუტევენ. თუ ნადირის სუნი არ იცის, მაშინ იმას რომ წააწყდება ნადირი. როგორც უქოლინარს, რადგან არ იცის და სიფრთხილე არა აქვს, იმას მიეტანება უტბად, რომ წააწყდება და გაექცევა, მაშინ გაიგებს, რომ რაღაც სხვა ყოფილად და მთელი ღამე იყფებდა და ეგრე გაიგეშებაო.

საერთოდ ქიზიულები შემდეგ სხვადასხვა ჯურა ძალღებს არჩევენ: შინაური ძალღი, ძროხის ძალღი, ცხვრის ძალღი. სამივე ერთი ჯიშიდან წარმოდგებაო და ქოფაკსაც ეძახიან ხოლმე. შინაური ძალღს ეზოს ძალღსაც ეძახიან.

სანადირო ძალღები: მეძებარი, მწევარი. ფინია პატარა ძალღსა ნიშნავს. გორშიაც პატარა ძალღსა ნიშნავს. ყურშა მინდორშიაო, გონიერი, მაგარი, მომცლელი ძალღიაო. ყურშაზე ერთი სიმღერაც არის:

„ყურშა გავგზავნე სანადიროთა,
ნადირს მოველი სასადიროთა.
შენ ჩემო ყურშაო...“ და სხვა.

ყურშა და აგრეთვე გორშიაც ხშირად ზღაპრული ელფერით არიან მოსილნი. გოშპარა ძალღიც პატარა ძალღს ნიშნავს და ზღაპრული ელფერი აქვს.

წველა და რძის ნაწარმი

მთხრობლები: ბასიკო ნიკოლოზის ძე გურამიშვილი, 81 წ., უწიგნური (სოფ. ბოდბე); ნიკო ვასილის ძე მებხრიშვილი, 82 წ., წიგნიერი (სოფ. ოხანანი); ვახილა თომას ძე ხუციშვილი, 75 წ., წიგნიერი (სოფ. ჯიმიტი) და სხვანი.

ფურის წველა. ფურის მოწველა ორჯერად იცინა: ვისაც კალოებზე ჰყავს, ისინი დილა-საღამოს სწველიან, ხოლო ძროხაში — შუადღისას, საქონელი ბინაზე რომ მოდის (მეწველი) საყარზე, მაშინ სწველიან, დღეში ერთხელ მხოლოდ. ფური რომ მოვა, ხბოს მიუღებენ, წაუგარებს, მემრე ააშორებენ და რქებზე მიაბამენ, ძროხაში ბაქში დაამწყვდევენ. საწველელს (თიხისას) მიიტანენ. მარცხნიდან მიუღებდნენ, მარჯვენა ხელი უჯანა ფეხისაკენ უნდა ჰქონდეს მომწველავს, რომ, თუ ვინცობაა, ფურმა წიხლი გაიქნია, მარჯვენა ხელით შეაჩეროს, რომ საწველელი არ წააქციოს და რძე არ დაღვაროს. თუ ფური ჰკვიანია, საწველელს მიწაზე უდგამენ ქვეშ, იცინა, რომ არ წააქცევს, თუ გიჟია, მაშინ მომწველავი ლაჯებში ჩაიდგამს და მუხლისკერებით დიჭერს. მომწველავი ჩაუქნტებულა და ისე სწველის და არამც და არამც ჯდომელა. ფური, რაც უნდა ჰკვიანი იყოს, მაინც ტრიალებს, არ ისვენებს და მომწველავიც უნდა ისევე მოძრაობდეს. თუ ფური რძეს კარგა აძლევს პატრონს, არ იწურავს, მაშინ სამ ძუძუს უწველიან და ერთ ხბოს უნახავენ, თუ იწურავს, მაშინ ოთხსაც გამოუწველიან. ფური თუ არ არის მეწველი, მაშინ შეიძლება მხოლოდ ორი გამოუწველონ და ორი ხბოს შეუწახონ.

ხბოს გამოზრდას უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე რძესა და მის ნაწარმს. სწველიან შემოდგომამდე, მემრე მინანებენ თავსა და ხბოს აწუები-
ნებენ. ხბო უნდა გათამამდეს, რომ ზამთარში არ დავარდესო, ფურმაც უნდა
შეიმატოს, რომ ჭერ ერთი გაიდევნოს და მეორეც ზამთარს გაუძლოს. ზამთარ-
ში მეძროხე თავის საკმელს მოსწველის და მაწვნად ჩაიდებებს. დაახლოებით
ხუთ თვესა სწველიან.

რძის მოსწველიან თუ არა, გასწურავენ, აადულებენ და მაწვნად ჩაადდე-
ბენ ან ქილაში ან ქვაბშივე. მაწონს წველასაც ეძახიან. მეორე დღეს მაწონს
ხადლობელში ასხამენ და დღევებენ. სადლობელი ხისია, ეხლადაეხლა თიხისაც
შემოვიდა. მთლიანი ხეა (ცახვი) გულგამოლებული, რომელსაც ზემოდან პი-
რი აქვს ჩასასხმელ-წამოსასხმელად, თავსა და ბოლოს ძირები აქვს ჩამსხდარი.
თავსა და ბოლოს გვერდებზე კორებივით აქვს თოკის მოსამბელად. თოკს მალ-
ლა კოჭზე, ან ლატანზე ჩამობამენ, ზედ თავითა და ბოლოთი სადლობელს ჩა-
მოაკიდებენ და დაუწყებენ ქანებას. პირზე ტილო აქვს მოკრული. თუ გაცივდა
დღევებაში, ცხელი წყალი უნდა დაესხას, თუ დნება კარაქი, მაშინ — ცივი, რომ
შეკრას. პირს ხდიან და უყურებენ, რას სჩადის, მოდის, თუ რა არის. მორაყე-
ვენ, თუ მოსულია ხვარხვარ, ხიხვირ-ხიხვირ ღრუბლივით მოიგდებს. ცალი
მხრიდან ჩამოჰსხნიან, ფეხზე დააყენებენ, ქვაბში წამოსახამენ, შიგ ცივი სუფთა
წყალი დგას. კარაქი ზევით წამოვა, ხელით მოჰხდიან და თეფშზე ამოილებენ,
რომელშიც აგრეთვე სუფთა ცივი წყალია, იმან უნდა შეკრას.

კარაქის მოხდის შემდეგ რაც დარჩება, იმას დოს ეძახიან, რომელსაც ზა-
ფხულში ხვრეტენ, გაგვავრილებსო. უგზავნიან იმ მეზობლებს, რომელსაც მე-
წველი არა ჰყავს: დოს თხოვნა არავითარ სითაყილეს არ წარმოადგენს, გა-
გზავნაც და თხოვნაც უბრალო და ჩვეულებრივი მოვლენაა. როცა ბევრია დო,
მას პარკში, ანუ ტორაკაში ჩაასხამენ და სწურავენ და გაწურულ დოს მიერთ-
ვენ. ზოგი დოს მოადულებს და აზღაჯს გააქეთებს. დო დულილი იჭრება, გას-
წურავენ, შრავი გაუვა. პარკში რაც დარჩება, მარილი შეაზავებენ და ქილე-
ში ინახავენ საზამთროდ. გაწურულ დოს ზოგი ახმობს და ზამთრისთვის ინახავს,
ზოგი ხარშავს, ცერცოთ შეანელებს და დოშხალადად შეინახავს. ზამთარ-
ში წვნიანს აკეთებენ.

ერთი ფური ერთ ზაფხულს ორ ფუთს კარაქს გააქეთებსო, კამეჩი — გაცი-
ლებით მეტს. კამეჩი მეტსაც იწველის, ნოყიერი რძეც აქვს და დიდხანსაც იწვე-
ლება. კარაქს რამდენსამე ერთად აგროვებენ, რომ იტყვიან, ესლა მავან ჰურ-
პელა აგვიტყვისო, დაახალასებენ. დახალასებაში ფუთზე ათ გირვანქას დოიკ-
ლებსო. კარაქი უმარილოდ ინახება დახალასებადმდე, შეიძლება თავზე ცოტა
შოაყაროს, რომ არ გაფუქდესო. დახალასებულ კარაქს, რომელსაც უკვე ერბოს
ეძახიან, ქილაში ინახავენ, თავზე ცოტა მარილს მოაყრიან, რომ არ გაფუქდე-
სო. ქილას პირზე ცხერის ტყავის ნაჭერს მოაკრავენ. წინათ ერბო ქვევრებშიც
უნახავთ. ბევრი ყოფილა. ყიდვა-გაყიდვა მაგდენად არ იყო, ყველასა ჰყვან-
დაო.

ფურის ერბო ყვითელია და უფრო უკეთესს ხარისხისად ითვლება, კამეჩი-
სა თეთრი, მოგოგირდისფრო და ფურის ერბოზე — მდარედ. საკმელად კამეჩის
კარაქს ამჭობინებენ. მაწონიც კამეჩისა უკეთესია და სქელი, ისეთი ნოყიერი,
რომ ძლომაზე არ შეუძლიან კაცს ჰამაო. კამეჩის მაწონს ციებ-ცხელებიანს არ
აჭმევენ, მაშინვე გააცივებსო.

წინათ ბინის ახლოს რომ გაივლიდა კაცი, ადამი იყო, მეძროხეს უნდა შე-
ეპატეებინა და მაწონი ეჭმევიანა, ადამი იყო ისიც, რომ ყველას თავისი ჭამი
თვითონვე უნდა გაერეცხა.

რძე რომ გაჩერდება, ზევიდან ნალებს მოიგდებს. რძე რომ დარჩება რამდენსავე ხანს, თუ არ გაფუქდა, თავისთავად შედლდდება, რომელსაც ჩუმან ეძახიან. რძე რომ აიჭრება, ნაკუწ-ნაკუწ, ღაჭოს ეძახიან. ახლად მოგებულის რძეს რომ მოსწველიან, ხსენის შემდეგ, ისიც იჭრება, ან ჩაადედევენ, იმასაც ღაჭოს ეძახიან.

ქიზიყში არაყანი არ იციან რა არის. აგრეთვე ქიზიყში ძროხის რძის ყველს არ აყეთებენ, არ არის მიღებული. ყველი ცხვრისაა განთქმული.

ფურს რაშიც რძე უდგას, იმას ჩიქანსა და ცურს ეძახიან, ხოლო საიდანაც გამოდის რძე, თითებივით რომ ჩამოჰკიდავს ოთხი, ძუძუ ეწოდება.

მთხრობლები: იოველ ტიტას ძე ნატროშვილი, 67 წ., უწიგნური, ოცდაათი წელი შეცხვარება (სოფ. ზემო შარხაანი); რამაზ მიხეილის ძე შინგიაშვილი, 38 წ., წიგნიერი, ბავშვობიდანვე მამასთან ყოფილა ცხვარში (სოფ. მელაანი); კოტე ხანდროს ძე ჯანიკაშვილი, 55 წ., (სოფ. კელმეჩორი) და სხვანი.

ცხვრის წველა და ყველი. წველას მთაში რომ ავლენ, დასჯენებენ ერთ კვირას და მემრე იწყებენ. ბარში თუ მოწვილს. იმას ანგარნში არ ავდგენ. ნამდვილი წველა მთაში იწყება. ბარში დოლის გათავებიდან ერთი თვის შემდეგ იწყებენ წველას. პირველ ხანებში, სანამ ბატანი ნახევრად მაინც აინაზრებდეს თავს, საღამოთ ააშორებენ და დილითა სწველიან და თან აყოლებენ, მემრე კი. როცა თავს აინაზრებს, სულ ააშორებენ.

ცოტა რომ წამოცხვან, სადრობისა (11-12 საათზე) დასდგნიან, ჯერ პურსა სჭამენ და მემრე დაიწყებენ წველას. ცხვარს არხაჯე მოჰყრიან და იქა დგას, რაც ბაკში ეტევა, ჩაჰყრიან და მოსწველიან პირდაპირ ღარულად; ერთ ცხვარს იქნება ათჯერ წაავლონ ხელი და ზოგი სულ მოწველავე დარჩეს. ართა მეორენაირი მოწველის წესიც. რომელსაც ბერაში მოწველას ეძახიან; ცხვარს ბაკში შეჰყრიან. მწველავები ბაკის კარებთან დასხდებიან, დაიჭერენ ერთ ცხვარს. ჯერ ერთი მოსწველის, მემრე მეორე, მესამე... ზოლოს — მეცხრე. სულ ყველას ხელში უნდა გაიაროს ცხვარმა, მემრე გაუწვებენ და წავა. ახლა მეორეს დაიჭერენ, ამავე წესით მოსწველიან.

ბერაში წველას ამჯობინებენ. აღარც ერთი ცხვარი არ დარჩება მოწვეულავით. ბაკში ბევრი იწველება, ბერაში კი ცხვარსა და მწყემსს აქვს შეღავათი. ზოგი სოფელი ბაკში სწველის თურმე. ზოგი — ბერაში (არბოშიკი, ქვემო შარხაანი, ბოდბე და სხვა).

ზოგი მეტსა სწველის. ზოგი ნაკლებს. ეჭიბრებიან თურმე ერთმანეთს, ვინც წინ მოსწველის, ე. ი. ვინც წინ აავსებს ღურკს, ტოლჩას, სანაძლო — მავანი ქალი — იმისია. ღურკები, ტოლჩები აქვთ და იმაში სწველიან. ღურკი ხისაა (ცაცხვი). ტოლჩა („ვედრო“) — „ეტესისა“. ღურკს რომ აავსებენ, მიიტანენ და კოდში (ხისაა) ასხამენ. კოდს თავზე საწურავი, ანუ ხაკი აქვს. კრიკალია. ჯობები აქვს გადებული და ზედ ბლახი ქუჩი აყრია, იმაზე კიდევ მარლა, ანუ ჭალა-შია აფარია. ამაში სწურავენ რძეს. წველას რომ გაათავებენ, ახლა მოყველება უნდა.

წველას რომ გაათავებენ ბერაში, რძეს მოაწუწებენ ცხვარსა და იტვიან: „ბარაქა ცხვარსა და გაწყვეტა ღვდლებსაო“.

თუ ცივი დღეა, მამინ რძეს ხან გააცხელებენ. რო არ გაცივდეს. დიდას მოურჩევენ, ზაბოუსაც ეძახიან, ერთ მეთადის ტოლს მოურჩევენ. კოდს ნაბლებს შემოახვევენ, რომ თბილად იყოს. თითს ჩაჰყოფენ, შეატყობენ. მოსულია თუ

არა. მოყველდება. ჭერ დელამუტი, ანუ დელამა იქნება. თუ ცივია, თბილ წყალს ასხამენ. ჭერ ხელს ან ჯოხს მოურევენ, თუ ცივია, კიდე თბილ წყალს ასხამენ, რომ მალე დაიშრატოს. კიდე მოურევენ ახლა დელამას, ყველი ქვევით წავაშრატს მოხხდიან. ერთ ტოლჩას (საწყლე პატარა ჭურჭელია სპილენძისა, ნახევარი ზელადა ჩავა) საყველდებელს დაასხამენ, რომ მეორე დღისათვის ჰქონდეთ დღეა. არ დაივიწყებენ. შრატს ზოგი გადაპლერის. ზოგი აზლავს, ანუ კალტს აკლავს.

კოდში რომ ყველია ჩაძირული, იმას დასჭრიან ხანჭლით, ტოპრაკებში ამოიღებენ და ქვაზე. ან ფიცარზე გააკეთებენ; გასწურავენ და კვერეულის სახეს მისცემენ. მიწა მოთხრილია წინდაწინვე. ქვით გარეშემო ყორღანი აქვს, შიგ ქვით ბალახი უფენია. ტოპრაკიანად ჩასდებენ შიგ. ზევიდან ახალ ბალახს დააფარებენ. რომ ენავი არ აღოს — ყველი რომ მკვადება ბალახი იდგვიფება, ყველი რომ ოშხივარს აუშვებს, ის ბალახი ყველზე ზედ გადაიტანს თავის ფერს და მუქყიანი იქნება. თუ ბალახი ძველია, დააენგინებენ. ახალ ბალახს თეთრი გამოჰყავს ყველი. ერთ ღამეს ეყოფა ფული. მეორეს დღეს დილით უნდა ამოიღოს ყველი და ჩაწყოს. ერთი მუჭა მარილი ძირში ჩაიყრება გულში, მემრე თითო ყველს თითო მუჭა დაეყრება. რაც დღია ყველი, მით მეტი მარილი სჯობია. ყველი ცამტ გირაქება მეტი არ ვარგა, დიდი უშუქდება. რაც ერთ ტოპრაკში ამოვა, ყველსაც ეძახიან, კვერსა და კვერეულსაც.

ყველს სითბილე უნდა. თუ დილით ახხადა და ყველს ოშხივარი არ აპვარდა, არ ვარგა. გაცივებული ყველი არა ფუფდება. ვისაც არ უნდა რომ გააფუფოს. ის ნახევარი საათის შემდეგ ამოიღებს და ჩაწყობს გულში. გაფუფებულს პეწი კარგი აქვს, სუფთაც არის, მაგრამ სუბუქიაო, გაუფუფებელი კი — ძძიმეო.

ყველები ბინაში არის ბინა გოხებისაა. გულები წყრზე აწყვია. ზელაზედ დაწყობა არ შეიძლება. ზედ უფარია ყველას თავ-თავისი ნაბადი. გულას ბრუნება უნდა, ახალს — მეტი, მემრე ნაკლები. ჭერი თითონ გაუშვებს შრატს, რომელსაც გაუფუფდება და შრატს შეიშრობს, მემრე შრატს გაუკეთებენ, ან უმეტეს შემთხვევაში, წყალს მოუღლებენ, წავს გაუკეთებენ. რასაც წყალი მარილს აიღებს, აქმევენ. ააღლებენ, გაცივდება და დაასხამენ. მთიდან წამოღებისას წავს უღვრიან; სჯობიაო, რადგან სუნი ეცემო. მოაქვთ ყველი ურმითა და ცხენებით.

შრატს მოაღლებენ დიდ ქვაბში. ქაფქირს ურევენ. ყვითლად მოვა. ტოპრაკში ამოიღებენ, გასწურავენ. წმინდად მარილს დაჰფქევენ, იმავე დიდ ქვაბშივე გააზღავენ და გულში შეინახავენ. ეს არის აზლავი (აზლავი უფრო დედაკაცებმა იციან, ჩვენ კალტს ვეძახით).

პირველ თიბათვეს იწყობა წველა და ელიაობას (ოც მკათათვეს ძველი სტილით) თავდება.

ერთი ცხვარი გააკეთებს ხუთ-რვა გირვანქა ყველს. აზლავს ხანა ვკდილით, ხან არაო და ვარაული ვერ ვიციო. თუშები ბაჭში სწველიან და მეტს აკეთებენ.

ყველის წილი კაცსა და კაცის ხარჯზეა, ვინც ხარჯს გასწევს, ყველსაც მიიღებს. ზოგი სამ კაცად არის, ზოგი — ერთ კაცად, ის სამ წილს მიიღებს, ის ერთს; ის იმის ცხვარს უვლის, ის ყველს იღებს.

მონარევები ჭერ-ჭერთა სწველიან; ერთ დღეს რომ ერთისთვის იწველება ცხვარი, მეორე დღეს — მეორისთვის და ა. შ. კოდსა ზომავენ ჯოხით და უქდელებენ და იცოდინებენ (დაისწავლიან), ვინ რამდენი მოიწველა თავის ჭერში. ჭერი რომ გათავდება, მემრე ერთ დღეს მოსწველიან და გადაუთავებენ ვისაც დააკლდა. ზოგჯერ (მელანის მხარეს) საერთოდა სწველიან და ბოლოს კა-

ცზე ჰყოფენ ყველს. ასე ცოტა კეთდება ყველი, რადგან არ უფროთხილდებია-
ნო. თუშები ცხვარზე იყოფენ ყველს.

უწინ ფუთი ყველი შვიდი-რვა მანეთი ღირდაო.

გუდის გაკეთება. გუდად ცხვრის ტყავს, ჰედლიოსას აკეთებენ. გუდად ამო-
სადებ ცხვარს თავს მოაპრიან, ფეხებს დააპრიან, თავდაყირა დაჰკიდებენ და
დუმის მხრიდან მარტო დუმის სარჩიელს (დუმში სასკორავთან უბალნო ტყა-
ვია) მოუტყავებენ, მოაპრიან, დანარჩენს მიაყოლებენ და ცერის ფრჩხლით ჩა-
ატყავებენ. არსად უნდა გაიჭრას, ან გაიხივოს. კისრიდან გააძრობენ ტყავს-
გააშრობენ, ქატრში გამოიყვანენ, გარეცხავენ, გაღმობარუნებენ და ბალიანის
მხრიდან ჩააწყობენ ყველს.

[ყველის] დედის მომზადება. მაჰიკი ძროხას აქვს კუჭზე. მოაპრიან,
გარეცხავენ, დააყრიან მარტოს ერთ წილს და თეთრ შაზს ორ-სამ წილს, რაც მე-
ტი იქნება უკეთესიაო. შხვზე გაიტანენ, გაასმობენ. თუნდა წლამდეც იხმარე-
ბაო.

თბილ წყალში ჩაადგებენ შვინდს (ხმელს), შაბს. მარტოს, ძმარს, ხორბალს
(გინდა ქერი იყოს. ყველის გასაკეთებლად არის), ცოტას შეათობებენ. მაჰიკის
ნაჭერიც გდია შიგ. სულ ერთ გირვანქამდე მოგროვდებაო. წყალი პირველად
ერთ ხელადამდე უნდაო, იმას რომ დაასხამენ, მემრე შრატს დაუმატებენ. გა-
აკეთებს თხუთმეტ ყველს (თითოს ათ გირვანქანსაო).

მაჰიკი მსუქანი ძროხისა უნდა იყოსო.

ღვრიტა. სახსნე. რძე ნაწოენი ბატკანი, ბალახი რომ არ ექამოს ჭერ, რომ
შოკედება, იმას ამოუღებენ კუჭს და იმისას გააკეთებენ ღვრიტას. ესეც ისე კეთ-
დება, როგორც მაჰიკი.

მ ე ლ რ ი მ ბ ა

მთხრ. ფირან ლუკას ძე უსუფაშვილი, 55 წ. უწიგნური (სოფ. კელმეჩური),
ასანელ ბიძებთან ყოფილა მელორედ.

ლორისთვის უნდა მოცლილი, ჰალიანი და წყლიანი ალაგი იყოსო. საჭმე-
ლად კურკა (მუხის რკო) და წიფელი უნდაო.

ლორი თუ ჯანად არის, შეიძლება, რომ იანვარშიც გაიკეშოსო. თუ თამამია,
რვა თვისაც გაიკეშება; ოთხ თვეზე დაჰყრის გოჭებს. ხაში შაქი სამ-რვა გოჭს
დაადებს. „კაი ლორი თერთმეტ-თორმეტს ავდებს: ცამეტიც მიწახავს, მეტი
კი არაო“. სანამ გოჭს ჰამას შეაჩვევდნენ. მანამ დედა ლორს აწმევენ, რომ ასწი-
ვოს გოჭი, ე. ი. გაზარდოს, გაათამამოს. ერთ თვემდე გოჭი შეეჩვევა ნაწილს,
ჰამას დაწყებს. ორი თვისას ააშორებენ, არა უშავს რა, შესძლებსო. „თვისა არ
იქნება, არ აშორდება, თამამი ვერ გაიზრდება, დანადიტავდებაო.“ ორი-სამი
კვირის გოჭს დედას დააშორებენ, ნელ-ნელა გადააჩვევენ. ლორი გაწრება. მემრე
ერთადაც რომ შეჰყარონ და ასეც უშვრებიან დედა აღარ მიუშვებს. თურმე
ძუძუ გამშრალი აქვსო. თუ კარგ საქმეშია, ერთი თვე და მეორე თვეში გაიკეშე-
ბა. წელიწადში სამჯერ მოასწრობს თუ ჰოსმენად არის ლორი, თუ ფარაშია —
ორჯელ.

ფარაში ბურვას ცალკე არჩევენ, გამოუყოფენ სხვა მწყემსს, მსხვილი
ლორი ცალკე ივლის. მსხვილ ლორს ცალკე აქვს ბინა, წვრილს — ცალკე.

მამალი ლორი — კერატი — შიგ არის სხვილ ლორში, როცა აჯვრდება დე-
დალი ლორი, მივა.

ღამე დედა და გოჭი ერთად არის. საკმელზე დედა წავა, გოჭი დოღფარში რჩება. ცალკე კაცი უვლის.

ორ თვემდე, ვიღრე ნაწილს შეეჩვევა, გოქია, ნაწილის შეჩვევიდან ბურვავი დაერქმევა. ექვს-შვიდ თვემდე ბურვავი იქნება. მემრე დედალს შაქს ეტყვიან. მამალი თუ დასაყვარია, კერატი იქნება, დაყვარილი — გედილა. ქედილი მეორე წელიწადს ტახი იქნება. ხოლო დედალი ორ-სამჯერ რომ დაჰყარის, მემრე ნეზვი ეწოდება.

ხუთ-ექვს წლამდე ღორი იზრდება და მემრე კი აღარო. მელორე, თუ არ უჭირს. ღორს ინახავს მანამდე და მემრე ჰყიდის, სხეილში კარგ ფულს იღებს.

დედა ღორი ექვს წლამდე იმუშავებს. კერატი უფრო მალე ტუდებაო.

ღორს ზაფხულში არაფერს აჰმევენ, ჰალაშია. მინდორში, თავთავში, თავისი ჰირითა რჩება. გოჭს კი დოღფარში ქერს აჰმევენ. სულზე ნახევარ გირვანქას მაინც. დილა-საღამოს აჰმევენ. ბურვავს უფრო კარგ საკმელზე უშვებენ, რადგან ის შორს ვერ მიდის და საშიშიც არის, არ იცის. ნადირი წაიღებს. დიდი კი პოულობს საკმელს. შორს მიდის, არც საშიშია, ნადირი გვიან დაიჭერსო. ზანთარში, ქრისტეშობისთვიდან მარტის გასვლამდე, ღორს ჰმევა უნდა დილა-საღამოს. ბურვავს ჭერზე გირგვანქა მაინც უნდა აჰამოს. დიდ ღორს არ უნდა ჰმევა. თუ კარგ ალაგას არის, წავა, იპოვის რამეს. ღორის დამწყვედევა არ შეიძლება. ნალველა დახზოცავსო.

ზანთარში ღორი გომებში ჰყავთ. გომი დაბალია, ცხერის ბინასავით არის. გომში ყველა დედა ღორისთვის კედელთან წნელის დოღფარია გაკეთებული; ადლის სიმაღლისაა, ლასტის კარია აქვს შებმული. შეადგებენ ერთ დედა ღორს თავის გოჭებთანად და იქნება შიგ. ყველა დედა ღორისათვის ცალ-ცალკეა გაკეთებული დოღფარი. დღისით, გაშვებისას, მელორე კარებში დაუდგება, დედა ღორს ჭონს შემოკრავს, გაადგებს, გოჭებს შიგნით მიაფთხენს და დაუკრავს კარებს. დოღფარი კვირაში სამჯერ მაინც უნდა გასუფთავდეს, თორემ „პატა იგეთი საქონელია, რომ მალე უჩნდებათ სატკივარიო“.

საღორეში შეიძლება რამდენიმე კაცის ღორი იყოს.

კარგ ალაგას, თუ საჭმო ბევრია, ერთი კაცი ორმოც ღორს მოუვლის. კარგი მომვლელი გოქსა და ბურვავს უნდაო, ხოლო ფხიძელი კი — დედა ღორს, რადგან ის შორს მიდის. წუწილი ღორის მოლაღვა და ბაკში ჩაყრა შეიძლება, სხეილსა კი არაო. სხეილი სულ გარეთ არის.

ღორმაც იცის ურწნობაც და ბერწობაც. ოთხი მაყე ღორი ორ-სამ წელიწადში ორასამდე გახდებაო. „თითო დაყრაზე ექვსი რომ ვიანგარიშოთო, აქაღან ორი გოჭი ზედვე რომ მოვანბაროთ. ოთხი მაინც პრჩება პატრონსო. აქაღანაც ერთი პურს მივეცეთო, ერთი — მატყლსა, ერთი — სტუმარსა და ჩვენს ჰამას, ერთი მაინც მოგება გვრჩება“ „ერთ ღორზეო“. ასე იციან მოთვლა მელორეებმა საერთოდ. მელორეობა სარფიან მეურნეობად ითვლება და საწყალ კაცს ურჩევენ ხოლნე ღორში წასვლას. მაგრამ საქმე ის არის, რომ ჭიზიში ყველა არ მიიჩნევენ ღორის ხორცს. ათქმული აქვს ზოგს, ნამედნავად მეცხვარე ხალხს. შესაძლებელია. ესა თუ ის გლეხი მეცხვარე არ იყოს, მაგრამ მისი წინაპრების მიერ ათქმული. მასზეც ვრცელდება. ზოგი გვარი მთლიანად არა სჭამს ღორის ხორცს.

ყველა მესაქონლეს (მეცხვარე იქნება ის, თუ მეძროხე, თუ მელორე) თავისი საქონლის (ე. ი. იმ საქონლის რომლის მეურნეობასაც ის ეწევა) ერთი ნაწილი უუპველად აკეთილი აქვს, არ შესჭამს, რაც უნდა იყოს, არ ვარგაო. ამ მელორეს კუბაჩა ჰქონია ათქმული.

ქიზიუში გავრცელებულია ე. წ. ქართული ღორი, რომელიც მოკლე და მაღალი იზრდება, მხრებში უფრო მეტად არის მაღალი, გრძელი ღინგი, ანუ ნიჩხური აქვს. ფერად არის შრეში, შავი ხუტუტუჭაგრიანი და ლეგა. ცალ-ცალკე ჯიშის სახელები არ იციან. თუ ქართული და ევროპული ღორის შეჯვარების შედეგად გაჩნდა ღორი, იმას ნაბოშარს ეძახიან, დიდი იზრდება და კარგადაც გვარობს. ორი-სამი წლის ტახი შინ გასუქებული ათი ფუთი გამოდისო, ფარისა — შეილი-რეა ფუთი.

დიდ ღორს ატყავებენ ქალმად, პატარას კი ჰფუფქავენ, ან სტუსავენ ძეძვის თაღმებს აანთებენ, ბურყავს ორი კაცი ხელში დაიჭერს და გასტუსავსო. უფრო უწინ სკოდნიათ გატუსვა.

ზაფხულობით, აპრილიდან ღორი რომ სუქდება, ჯაგარს ყურევიწებს. დაიჭერენ, გომში შეიყვანენ და ჯაგარს გააგლეჯენ. მალე სცევა. კონა-კონა შუკრავენ და ჰყიდიან. ომამდე ვირვანქა ექვსი აბაზი ღორდაო.

ღორის ხორცს ზამთარში სქამენ მხოლოდ. წინათ ზაფხულში თავის დღეში გოჭსაც არ შეეკამდითო. ჰია ჰყავს ზაფხულშიო.

ზამთარში რომ ჰყრის გოჭებს, იმას, მოჩრისხვდება თუ არა, შეუთხელებენ, ნაწილს დაუბოცავენ და შამფურზე მთელ-მთელად შემწვარს მიირთმევენ. ზამთარში უსაქმლობაა და ღორი ვერ გაზრდის ყველა გოჭს.

ღორის სატყივარი. ლოყ. დანდობილა (უეცრიე) ფერლებს დაუწყებს ცემას, ახველებს და გაჭრება (მოყვდება). ორ დღეს არც კი შეჰყვება. არ იციან რაზე უჩნდება.

ყვავილი. უჩნდება სხვილ ღორს და დედისაგან გადაედება გოჭს. „მე ეგრე შავაციწივე, რო ყვავილიან ღორს რო გოჭები დაუჩნდეს, წითელია, რაც ყვავილიანობას უნდა ნიშნავდეს. მე სიცივეს ვაბრალებ. ყვავილი წლიანიც იცის. ექვსთვიანიც, ოთხ-სამთვიანიც. თან გამოსდევს გოჭს გაჩენის დროს. უსუფთაობამ იცის. თუ ყვავილი იჯადა, მემრე მე აღარ მინახამ რო დაეყარნოსო.“ ამბობს ჩვენი მთხრობელი. ყვავილი იშვიათად ჰყლავს. ერთ თვემდე ექნება, მე-მრე გაუვლის. ყვავილი ერთიმეორეზე გადადის. წამალი არ იციან.

ხუხუნავი. ყელი უსივდება და ახრჩობს. სწრაფად ახრჩობს. წამალი არ იციან. არც ის იციან რაზე უჩნდება.

წელავი. გვერდ-გვერდ მოიწინიხება ღორი, წავა, წავა და ისევე გასწორდება. „აგეთი ღორი დაგვიკლავ, მინახამ და წელის ტუინი გაწყალებული აქონია“. თვითონვე გაუვლისო.

სამონღლის დაძვლა

მთხრობლები: მიტო შანშაშვილი, წიგნიერი, 40 წ.; ილო მკედლიშვილი, წიგნიერი, 35 წ.

ძროხას დაჰკლავენ, გაატყავებენ, თავს მოაჭრიან, მემრე — კისერს; მემრე ასო-ასო დასჭრიან: არტალებს ამოიღებენ ოთხსავ — ორი ბარკალია (უკანა), ორი მჯარი (წინა). გასჭრიან — გვერდს დაარტყამენ გადაიღებენ ფაშვ-ფუშვსა, ნაწლებსა და ჯიგარს. მკერდის წვერს გადასჭრიან და ცალკე ამოიღებენ გვერდებს პურტიანად (თხელფერდი, ანუ ფენთხი) ცალკე ამოიღებენ. მემრე ამოიღება საპარავი, ანუ კუმაჩა (||აგუზიო). სუგები ცალკე ამოიღება. ამოიღება მკერდის უკანა ნაწილი და ჩაღლადაჯი (კისრის უკანა ნაწილი, მხრებ შუა) ცალკე. თირკმელები, სუეები და ელენთა, ანუ ტვირბა ანუ ფიწილი ცალკე დაი-

წყობა. როგორც სამწვადე: ჭიგარი თავისი ღვიძლით, ფირტვით და გულთით — ცალკე. ელენთა უგვირგვინოს არ ექმებაო, გვირგვინში გაშადებდო.

ყველაზე უკეთესად. სუკებს რომ თავი დავანებოთ, ჩალაღაჯი ითვლება, მეგრე მკერდის წვერი. მეგრე — მკერდის უკანა ნაწილი, ჩალაღაჯთან რომ არის, გვერდები და მეგრე დანარჩენი.

ცხვარი, თხა და ღორი ასო-ასო არ იჭრება; გააფეშვავებენ ხოლმე — ხერხემალზე სპრიან სიგრძივ. მეგრე მიაყოლებენ და, ვისაც რამდენი უნდა, უპრიან ფეშვიდან.

იარაღად იხმარება საყანაზო დანა — ბრტყელი მორგვალებულპირიანი და მახათი — ფოლადის მობრტყე ნაჭერი დანის პირის ასაწყობად.

კამეჩის ხორცი არ არის მიღებული. კამეჩი რომ ბერდება, ქალაქში (თბილისში) ჰყიდიან. ზაქს შემოდგომობით ასუქებენ ჰაჭაზე (არაყს რომ ხდიან, გამონახანდს ჰაჭას ჰყრიან, იქვე საარაყის გვერდზე მოულობავენ და შიგა ჰყავთ), ძალიან სუქდება. დაზამთრებისას ჰკლავენ. ზაქსავე და კამეჩსაც ასუქებენ ზამთარში ფითრით გაღმამხარში (გამოღმა ფითრი არ არის საკმარისი). იტყვიან. „გატუსული ზაქი იცოდნენ უწინო.“ მე არ შეეწრებოვარ.

კამეჩის ხორცი თეთრია, ე. ი. ქონი აქვს თეთრი, ხოლო მჟლე-ხორცი — მოლურჯო; ძროხის ხორცი ყვითელია, ე. ი. ქონი აქვს ყვითელი, მჟლე ხორცი — მოწითალო. ცხვრის ხორცი თეთრია. თხისაც ასეთივეა, მაგრამ მალე და მაგრა იყინება. და მცოდნე თვალი ატყობს. თხის ხორცი მიღებულია შემოდგომაზე, რთვლობას. ცხვარი თუ დასიცხულია, იმისი ხორცი ყვითელია.

ანდაზა:

„როცა გავა, გავად გავა,
ფერდის ფენთხივ გავად გავა.“

საქონლის ტყაპის შინაზნა და გამოყვანა

საქონლის ტყავს⁶ ან დაბახი იყიდის, წაილებს და დაბახანაში გააკეთებს (იხ. დაბლობა)⁷, ცხვრისა და თხის ტყავი ან მეტყავისთან წაეა (იხ. ჰონობა), ან — მეუპრავთან (იხ. მეუპრაობა). ზოგიერთი გლეხი სხვილფეხა რქოსანი საქონლის ტყავს შინ იტოვებს საქალამნედ.

როცა ტყავი საქალამნედ უნდათ გამოიყვანონ, იმას იმავე დღეს გაართხავენ სადმე ვაკე ადგილას, ან — სხვენზე. პატარა-პატარა პალოებს დასთლიან, ტყავს ყოველი მხრივ გასკიმავენ, რაც შეიძლება ძალიან დათლილ პალოებს დაკრავენ ნაბირებში და ნაცარს დაყრიან, მიუს-მოუსვამენ, რომ ყველგან კარგა მოჰხდეს და ასე დასტოვებენ.

გართხმული იქნება და ნაცარი ეყრება ერთ კვირამდე, თუ კი მზიანი ამინდია, თუ საფარშია, სულაც გართხმული იქნება გამოსვლამდე. რაკი განმება, მეგრე აიღებენ და სხვენზე შეაგდებენ. სამ-ოთხ თვეში, ზოგი უფრო გვიანაც, ტყავი გამოვა და დაიჭრება შოლტებად. შოლტებად ტყავს გარდიგარდმო სპრიან ხოლმე უფრო, რომ თვითეულ შოლტს გაჰყვეს როგორც ზურგის ნაწილი, რომელიც ყველაზე უკეთესია, ისევე თხელ ფერდიც, რომელიც თხელია და მალე ცვდება. გავის ანაჭერიც კარგ საქალამნედ ითვლება.

თავრიელსაც (თავის განატყავები) ასევე გაართხავენ ხოლმე. ფეხის განატყავებს ფერჯიელს ეძახიან.

⁶ შეჭრებს მთხრობელი დასახელებული არა ჰყავს.

⁷ ტექსტი „დაბლობის“, „ქონობის“ და „მეუპრაობის“ შესახებ გამოქვეყნდება „მასალუბის“ V ტომში.

ზოგი ტყავს მიწაზე კი არ გაართხავს ხოლმე, არამედ გრძელ-გრძელ ჯოხებს დასჭრის, თავსა და ბოლოს დაუმწვეტებს, ერთ წვერს ტყავის ერთ მხარეს გაუყრის, მეორეს — მეორე მხარეს და ისე გასთათხავს ხოლმე. რამდენსამე ჯოხს უკეთებს ასე, როგორც გარდიგარდმო, ისე სიგრძივაც. გართხმული ტყავი უფრო თანასწორზომიერად იჭიმება, ვიდრე გათათხული.

თუ ტყავი დაშოლტეს და სისხლი ეტყობა, ისევე უნდილია, სუნიც ექნება და წყალში მალე დალბება, ძონძივით გახდება. გამოსული ტყავი თეთრი, მოლურჯო უნდა იყოს.

კაი ხარის ტყავს ამკობინებენ მუდამ კამეჩისას. მართალია, კამეჩის ტყავი სქელია და გამძლე. მაგრამ ძალიან იცის განზობა და ფეხებში უჭირებს კაცს. კამეჩის ქალამანი ზამთარში კარგია.

ცხენის, მირისა და ჯორის მომზადებლობა

ქიზიყში მეცხენეობა ძეცხვარეობასთან ერთად არსებობს. მეცხვარეები რომ მომთაბარეობენ, ბარგის გადასატან-გადმოსატანად სჭირდებათ. ამასთან ერთად, მომთაბარეობა, საძოვრების სიდიდე და მოცალეობა ხელს უწყობს ჯოგების ყოლას (ჯოგი მხოლოდ ცხენების კრებულს ეწოდება). ჯოგი ცხვარს დასდევს. ჯოგი ვახაფხულზე სოფელმაც იცის, რომ ცხენები კალოობამდე დაასვენონ და დაასუქონ. მაგრამ ის სეზონურია, მხოლოდ განაფხულზეა. მეჭოგავც დროებითა ჰყავთ აყვანილი სოფელს.

ქიზიყური ცხენი პატარაა, საშუალო ტანისა, რკვალავიანი, წვრილფეხებიანი, კაჩაჩუბაღნი, პატარაჩლიქიანი და უბაყაყო. ძალიან მაგარი ჩლიქი აქვს. ისე რომ, თუ აედრები არ არის, მალე არ მოსცდებდა. თავი ხმელი აქვს, საშუალო და ლამაზი მოყვანილობისა. იტანს სიცივეს, სიმშობს და ჯაჯას. გულიანია. დიდხანა სძლებს სხვა ცხენებთან შედარებით, ოცდაათ წლამდე მუშაობს. ფერად წითელია, ქოსაა. ძუა კოხტა აქვს და ფაფარი წმინდა. არც ძუა და არც ფაფარი ხშირი და ბურტყლიანი არა აქვს. ეხლა იშვიათად მოიძებნება ჩვენს ქართული ცხენით.

ქიზიყში ზოგად სახელად ცხენია მიღებული. ზღაპრებში იხსენიება ზოლმე რაში, რომელიც ძალიან კარგი ცხენია და შავი ფერისად არის მიჩნეული. ზღაპრებშივე იხსენიება და ისეც — მერანი. რომელიც აგრეთვე კარგი ცხენია და თეთრი, უფრო მოლუოჯო ფერისად არის მიჩნეული. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ შავი ცხენი ქიზიყში არ არის მიჩნეული. ცუდის ემბლემად ითვლება. დედაკაცები და ძველი წესების ხალხი კარგად არ უყურებს. სიზმარშიც შავი ცხენის ნახვა ცუდის მომასწავებელია. თეთრი, ანუ ლურჯი (ლურჯიც არსებითად თეთრია, წყლისფერი, ბალანი ურევია ლურჯი და ჰფერავს. არის ხალიანი ლურჯი და ბნელა ლურჯი). კარგის მომასწავებელია, სიზმარში მისი ნახვაც კარგის ნიშნად ითვლება. თეთრცხენიანი კაცის ნახვა სიზმარში წმინდა გიორგიდ ითვლება. წმინდა გიორგი თეთრ ცხენზე მქდომარედა ჰყავთ წარმოდგენილი.

რაც შეეხება ჰუნესა და რემას, ქიზიყში აღნიშნული სიტყვები არ იციან. მხოლოდ ერთმა მითხრა ნუკრიანში, რომ „ტაივი სპარსულია და მძიმესა და საპანის ცხენსა ჰქვიანო“.

მაშალ ცხენსა და დაუყვერავს, დაუკოდავს აჯილდასა და ულაყს ეძახიან, დაკოდილს — იაბოს, დედალ ცხენს — ჭაკსა და ფაშატს; ახლად გაჩენილს

8 შემკრებს მოზრობელი დასახელებული არა ჰყავს.

კვიცხა და ქურანას ეძახიან. ორ-სამ წლამდე კვიცია, სამი-ოთხი წლისა კვიცი ცხენია. მემრე ღაცხენდება.

სამი წლისას გაჰხედნიან. თუ მეცხვარეა პატრონი, მთა-ბარად მოგზაურობისას პირველად ბარგს აკიდებს, მემრე. რაკი წელს შეაჩვევს, შესხდებიან კიდეც. ან ზედ მძიმე რამეს, ქვას მაგალითად, აკიდებენ და თან სხდებიან, წინ მიუძღვის ერთი ან ორი კაცი, რომელთაც ლაგამი უჭირავთ, გაატარებენ და გამოატარებენ. რამდენსამე დღეს გაუმეორებენ. ხამი კვიცი ხტის, გადავარდება გადმოვარდება, შეიძლება გახედნაში კაციც მოკლას, მემრე მოიღლება და მოთვინიერდება.

ჯოგში ცხენი დიდიან-პატარიანად ერთად არის, რაიმე განსაკუთრებული წესი არა სუფევს (ცხენებისა და აგრეთვე ვირების სადგომის შესახებ იხ. აღმშენებლობაში სათანადო თავი)⁹

ცხენის წინა ფეხის შიგნით სახრელს ხაკვრეტგაზა ეწოდება.

ცხენმა წელიწადი იცის მაკობა.

ქიზიყი, როგორც ცნობილია, განთქმულია თავისი ვირებით. ვირები, მართლაც, ბლომად არის ქიზიყში. მეცხვარისათვის ვირი ცხენზე უფრო მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ვირი თან დასდევს ცხვარს, ზედა ჰკიდია მწყემსის ბარგი, ხურჯინი და სხვა რამ, რაც მწყემსს ყოველდღიურად სჭირდება; თუ ბატანი დავარდა, ვირს ხურჯინში უსვამენ. ცხენი ვერ ივლის ცხვართან, ვირი კი ცნობილია თხასავით კლდის პირებზე სიარულით. შარაგზაც რომ იყოს, ვირი მაინც კლდის პირზე გაივლის. ამას გარდა, ქიზიყში წყაროები შორსა აქვთ და წყლის საზიდად ვირი ჰყავთ გამოყენებული. საკოყეებია მოწნული, გადაკიდებენ, შიგ კოყებს ჩაუდგამენ და ჰერი წყალზე ვირი და პატარძალი. სხვა მსრიაც, ვენახები რომ შორსა აქვთ, საგძლის მისატანად და იქიდან სხვადასხვა ჰირნახულის მოსატანად ვირია გამოყენებული. ამასთან ერთად, ვირი აღვილი დასამორჩილებელია, ცოტა საქმელი უნდა და რა გინდ უხვირო საკვები არ მიუტანო, მაინცა ჰქამს. ქიზიყში კაციები ხან შინ არ არიან და ამას გარდა, ზოგიერთი საქმე დედაკაცებისა და ბავშვების მიერ კეთდება, რომელნიც ცხენს ვერ მოიმორჩილებენ, გინდა მოიმორჩილონ, ვერ მოუვლიან.

ქიზიყში ვირი თითქმის ყველასა ჰყავს ზემო მაჩხაანსა, მირზაანსა და ბოდბე-მალაროში, რადგან წყალი არა აქვთ და ვირებით ეზიდებიან. ამას გარდა, ვირებით გახთქმულია ქედელი, ნუკრიანი და სიღნაღი. ამაზეა ნათქვამი ერთი ლექსი:

„თელაელებს თხა უყვართ,
სიღნაღელებს ვირები;
რინე ერთად გადავამათ
და დავუკრათ სტირები“.

ქედელსა და ნუკრიანში ვირებს ერთგვარი სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ, რადგან აღნიშნული სოფლები ეწევიან მეთრიმლეობას, მეჭვიშეობას და მეჭვეობას. აღნიშნული საქმეების ტრანზიტს აწარმოებენ ვირებით, ზოგს თორმეტი ვირიც კი ჰყვანდა ხოლო თურმე, მთელს კახეთში მშენებლობა უამათოდ არ იქნება.

აღნიშნულ სოფლებში უღაყი ვირები ჰყავთ, რადგან ისინი ამუშავებენ, ხოლო ქვემოთ ქიზიყში — ფაშატი ვირები, რადგან მარტო წყალს აზიდვიენებენ და აშენებენ. ერთმა ნუკრიანელმა ასე მითხრა: „ჩვენსკენ უღაყი ჯორებია (ვირს გულისხმობს), თქვენსკენ (მე ქიზიყელი ვარ, თუმცა ნუკრიანიც ქიზიყია)

⁹ „ასალეზი“, ტ. 1, სამეურნეო ნაგებობანი, გვ. 62.

ფაშატი, ჩვენ ვამუშავებთ, თქვენ კი აშენებთო და დედაკაცებს წყალს აზიდვი-
ნებთო „ამავე კაცის სიტყვით,“ ქიზიყური ვირი შუბანისა „უმუცლო, თავა-
ტარა, ყურტკეიტა, ფიცხი. აქ ერთი ჭურა ვირია, რომელსაც მოზამთრეს ვეძა-
ხით, ხმელზე (ე. ი. თივაზე) ვერა სძლებს. ვაცნევეთ და ვერიდებით, არა ვყიდუ-
ლობთო.“ ანაგა-კარდენახისაყენაც ულაცი ვირები ჰყავთ მხოლოდ. ცხენები —
იშვითად. ვირია მათი ცხენიც, ურემიც და ყველაფერი.

ნუკრიანელები სამუშაო ვირს დღე-ღამეში ხუთ გირვანქა ქერსა და ათ
გირვანქა ბზე-თივას აძლევენ. კარგი ვირი ოც-ოცდახუთ წელს იმუშავენსო
ძველად კი ვირი ათი-ოცი მანათი ღირდაო.

ქიზიყური ვირი, ჭორი, საკედარი, საკიდარი ოთხივე სახელი ერთსა და იმა-
ვე პირტუყვის აღსანიშნავად იხმარება. რაც შეეხება ცხენისა და ვირის შეჯგა-
რების ნაყოფს მას ჭორ-ცხენას ეძახიან.

ახლად გაჩენილ ვირს ჩუტრუქსა და მუტრუქს ეძახიან. ერთ გამოზამთრე-
ბულს — ტანავირს, ანუ ტანაჭორს, ორ-სამი წლისა უკვე ვირია. დაუყვერავს
ულაცი ეწოდება. დაყვერავს — იაბო (ჰყვერავს გაზაფხულზე, აპრილში. წა-
აქცევენ. ყვერების ტყავს დანით გასჭრიან, ყვერებს ამოულაგებენ. მემრე შაბს
დააყრიან და ჩხირებს მოუჭერენ). დედალ ვირს ფაშატს, ანუ ჭავს ეძახიან.

ვირმაც წელიწადი იცის მაკობა. მაგრამ იტყვიან ხოლმე, „ვირმა თავისი
სივირით სამი დღე გადააცილაო“. ზოგი იტყვის, „ერთი დღე გადააცილაო“.

სახედრისა და საკიდრის აჯაშუმლობა. საჭლომ ცხენს უნავირს, ანუ საკმანძს
(resp. საკანძავი) ადგამენ. ცხენს შიშველ ზურგზე ჭერ სარბილობელს რას-
მე დაადებენ, რომ ცხენს წელი არ გაუფუჭდეს. სარბ-ლობელი მოთელილი
ნახადია, რომელსაც საოფლე ჰქვია. საოფლის შემდეგ თექალთოს დაადებენ.
თექალთო ტყავში შეკერილი ნახადია. კობტაა, რომ ცხენი დაამშვენოს. თექალ-
თოს შემდეგ ყაჯარს გადააფარებენ მოსართავად. სილაშაზისათვის. ყაჯარი მო-
ქარგული მალდია. ზოგი ყაჯრის მაგიერ ჩულსა ხმარობს. ჩული დიდია, ხალიჩუ-
რი, ან ფარდაგულია. საჭლომ ცხენს ჩული სასურავადაც აქვს. თავლაში რომ
აბია, რომ არ გაცივდეს. თექალთოს შემდეგ კებს ადგამენ, რომელზეც გაწყო-
ბილია ან ბუმბულით, ან ირმის ბაწით, ან მატყლით გატენილი ბალიში ბალი-
ში ტყავისა, სამოგვე ან კემუხტი (გაქემუხტებული თხის ტყავი). ბალიშს ზემო-
დან მოსართავად მშვლის ან ირმის ტყავს აკრავს ზოგი. დედულას ბალიშს
ზემოდან იერიშს გადააფარებდნენ ხოლმე: აბრეშუმით, მოქარგული მალდის ნა-
ჭერი ყოფილა.

კეხი შედგება ფრთებისა (ორი) და ორი ტახტასაგან.

უნავირის (კეხის) ფრთებზე უკან მობმულია საძტე, რომელსაც ცხენს კუ-
ლის ძირში ამოსდებენ ხოლმე, რომ თავდაღმართში ცხენს საკმანძი წინ არ
წაუვიდეს. ფრთაზევე მობმული აქვს ორი თასმა, ერთი წინ და ერთი უკან. რომ-
ლებსაც მოსართავები ჰქვიათ. ერთ ამათვანს, რომელიც უკან არის და მუცელ-
ზე უნდა ამოეჭიროს. მუცლის თასმასაც ეძახიან. ბალიშს რომ დაადებენ, ერთ
თასმასაც მაშინ ამოუჭირებენ ისე, რომ ბალიშიც შიგ მოიყოლოს, რომელსაც
გარსაკის უწოდებენ. ყველა თასმა იკვრება მარცხნიდან.

საკმანძს აქათ-იქიდან კეხის ფრთებზე ჩამობმული აქვს უზანგები ფეხის შე-
სადგემელად. ზოგ საკმანძს სამკერდული და გულავშარაც აქვს. სამკერდული
მუცელზე წინა მოსართავშია გაბნეული, ცხენის წინა ფეხებზეა გამოივლის,
მკერდზე რგვლი ბაღთა აქვს, საიდანაც ორტოტად იყოფება, ერთი ტოტი
ცხენს ერთი მხრიდან აუვლის ყელზე, მეორე — მეორედან და გადაცმულია
ტახტაზე. მოსართავშივე გაყრილია სხვა თასმაც, რომელიც აგრეთვე მკერდზე

გამოივლის. ორტოტად მოდის, ერთი ტოტი ლაგმის ერთ გრიგვალს მოებმება, მცორე — მეორეს. ამას გულავშარა ჰქვია.

ცხენს პირში ამოდებული აქვს ლაგამი. ლაგამის ტოტები მხედარს ხელში უჭირავს. ლაგამს თავის ტოტებიანად აღვირს ეძახიან. ულაგმო აღვირს ავშარა ჰქვია. ცალტოტანა ცხენს ავშარა ჩვეულებრივ ყოველთვის ზედა აქვს, რომელზეც გრძელი საბელია მობმული. რომელიც მხედრობის დროს აკეცილია და უნავირის ტახტზე მარჯვნივ წინ ჰკიდია. როცა ჩამოხდებიან, ლაგამს წამოშორიან და საბლით დააბამენ. ცხენი ჰამს.

უნავირს უკანა ტახტზე ორი წყვილი თასმის საწყვეტი აქვს ხურჯიანის, ნაბღის. ან სხვა მისთანათა ჩასაკრავად.

საკმანძის აღვირი, სამკერდული, უნავირის ტახტები და მისთანა თითქმის ყოველთვის შევერცხლილია. ისევე, როგორც მათრახის ტარიც.

ახლა რაც შეეხება საკიდრის¹⁰ აკაშმულობას. ცხენს ქვეშ ისევ სარბილობეს რამეს უდებენ. ნაბაღს, თექალთოს. ზევიდან მარტო კეხს ადგამენ და გარსაკრს ან ქარშიკს ამოაკრამენ. გარსაკრი და ქარშიკი თხის ბალნის ბაწრისაა, რომელსაც მეცხვარეები ქსოვენ ჭეჭიმის ყაიდაზე.

ცხენს უკან კუდის ძირში საძუე აქვს ამოდებული.

ვირს თექალთოს მაგიერ ქევანს ადებენ. ქევანიც თექალთოს ყაილისაა. მაგრამ არა ტყავისა, არამედ ნაბღებისა და მისთანათა შეკერილი. კერენ შინადედაკაცები. ზოგი ისეთი ქევანია. რომ პირდაპირ იმაზე ჰკიდებენ ტვირთს, ზოგს კი კურტანს, ანუ ფალანს ადგამენ. ფალანსაც ქარშიკს. ანუ გარსაკრს ამოუჭირებენ. ფალანს უკან ფალდუში II პალდუში აქვს, რომელიც ვირს გავაზე მოედება ხოლმე. როცა ვირი მარტო ქევანით იკმანზება. მაშინ რაც მუცელზე ამოეჭრება, ისავე გამოსტარდება გვერდ-გვერდ და საძუედაც ექნება. ასე რომ, ერთი თოკი მუცელზეც მოეჭირება და საძუედაც გაუქეთდება.

¹⁰ საკიდარი — ტვირთის შიდავი ცხოველი, უმთავრესად ვირი (იხ. სტ. მენტეშავეილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1948) რედ.

უიზნი პახეთი

მეძროხეობა და მებაზმეჩეობა

მთხრობლები: გიო ლუარსაბის ძე ყარაულაშვილი, 80 წ. (სოფ. ვარდის-უბანი); ბესო გიორგანაშვილი, 80 წ. (სოფ. ბუშეთი)

ქვემოთ წარმოდგენილი ნაამბობი გიო ყარაულაშვილს ეკუთვნის, ბესო გიორგანაშვილი მთლიანად ადასტურებს ზემოხსენებული მოამბის ნათქვამს.

წინათ კამეჩსაც ბეერსა ეზრდილით, ძროხასაც. ძროხამ ადრე იცის მაკობა და კამეჩმა გვიან. რომელი კამეჩიც ძალიან გათამამებულია, შეიძლება ადრეც იმაკოს, მაგრამ უფრო ეხლა იწყობა — ამ მარიამობისთვიდან და ღვინობისთვის გასვლამდინ გასტანს. მემრეც შეიძლება რომ იმაკოს, მაგრამ ძნელათა მაკობს ამაზე გვიან. კრელათ იცის მაკობა საქონელმა: ერთბაშათ არ იცის, ცხეარი ხომ არ არის, რომ ერთბაშათ დეერიოს და ერთი ყველი ჰქონდეს?

კამეჩი გააჩენს ათი თვის შემდეგ, ათი თვე რომ შესრულდება, უნდა ზაქი ჰყუანდეს. ზაქი გაიზდება, მაგრამ პირველში — ჩვილზაქობას, — მანამ ზაქი კარქა ჰქამას შეიძლება. დაუვდებთ ორ-ორ ძუძუს. როცა ჰქამას შეიძლება, მემრე თითო ძუძუზე დავაკმაყოფილებთ. მოწველითაც, რასაკვირველია, ვწველით კამეჩსაც და ძროხასაც. კამეჩის ერბო მეტი მოდის ძროხისაზე.

ძროხამ წინ და უკან იცის მაკობა. შეიძლება, რომ თუ მსუქანი ძროხაა, ზამთარშიც იმაკოს. მაგრამ ხშირათ თიბათვიდან იწყობს მაკობას — შვილიერობას. მემრე, ჩემო ბატონო, ცხრა თვე უნდა ატაროს მუცლით. ზოგი მარტშიც მიივებს, ზოგი აპრილშიც. ზოგი თიბათვეშიც მიივებს. შემთხვევაა, რომ იანვარშიც მიივოს, მაგრამ ხშირათ გაზაფხულით მიივებს. აბა რომ ვთქვა, ერთნაირად არ არის მოგების ყველი.

როგორც კამეჩებზე მოგახსენე ძროხასაც იგეთი მოვლა უნდა. ხბო მანამ პატარაა და მანამ ჰქამას შეიძლება, ძუძუს უვდებთ ხოლმე. მემრე დაუწყებთ წველვას და ვისაც უნდა. ერბოს გააყეთებს და, ვისაც უნდა — ყველს. ცოტა ძროხა ვისაცა ჰყვანდა. ერბოს აყეთებდა, ჩვენ კი ბევრი გყვებოდა ხოლმე და ყველს ვაყეთებდით.

კამეჩი რომ გააჩენს, პატარას ვეძახით ზაქსა, — წლისა რომ გახდება. ტანას ვეძახით. — მემრე ისევ ზაქია და სუ ზაქს ვეძახით ექვს წლამდინ, მემრე კამეჩია. ხბოსაც, პატარა როცაა, ხბოს ვეძახით, — წლისა რომ გახდება, ტანა არის ისიც, ტანა ზაქიო, ტანა ხბოვო — ვიტყვით ხოლმე. ორ წელიწადს რომ გადასცილდება, ბოჩოლას ვეძახით. მემრე, რომ გაიზრდება, სამი წლისა რომ გახდება, მამალს მოწვერს ვეძახით და საფურეს კიდევ დგეჟულს ვეძახით. იმან მამის უნდა იმაკოს და შეილი გააჩინოს. რომელიც თამამია, ორი წლისაც იმა-

კებს და მაივებს ხბოს. მემრე, როცა გაიზღებთან. მოზვერი ხარი გახლება და ხაფურე კილე — ძროხა.

მთაში არის ერთი ჭურა ბალახი. თუ საქონელი ხაშალდარეულია და თუ ფირტივი ძან გაფუჭებული აქეს და მაშინ დააღიენებ იმ ბალახს, ის მოჰკლავს. რომელსაც ძან არა აქეს გაფუჭებული, იმას არჩენს: ან მოჰკლავს, ან ჰაარჩიხს. იმ ხაშლიბალახს ბალახსავეთ ფოთოლი აქეს და დაბალია, როგორც ბალა. იგრე იზრდება. ჩემ შეილსა ფირტივების ფალანგებში წყლები ჰქონდა, ის მოვადლეო. დალია და იგეთი კარგა ვახდა, რომ მენტი აღარ შეიძლება. როგორც წითელი კანიაცი იგეთია. „კაპლივი“ არის. მანამ იმ ბალახს მოუდღელებდი, მთიდან გამხმარი ნეხვი ჩამოუტანე. რომელშიც ეს ბალახი იყო გარეული: ის წყალში მოვადლეო, გადავწმინდავეთ-გადმოვწმინდავეთ და იმასა ჰსომდა. ძან კარგა ვახდა. ზაფხულში ამ კისისხევის მთაში გვეყანდა ხოლმე ძროხა და ვიცოდი რომ იქ ვიპოვნიდი იმ ნეხეს. ზამთრობით ჭიურში გვეყანდა, ზამთარში იქ იყო იმისი გამოსადეგი ბალახი, ზაფხულში კიდეც — აქა.

ეს არის ყველფერი მემროხეობისა¹; 15—16 წლისა ვიქნებოდი, როცა ძროხაში ვაველი და ემ ღრომინ სუ ძროხაში ვიყავი. მამ განა ყველამ იცის ძროხის საქმე. ხბო რომ ჩნდება ხოლმე და ძროხა წვალობს, მე დამიძახებენ ხოლმე. ხბო რომ გაჩნდება უდღეოთ, უეკველათ უნდა მოკვდეს. რა წამს ის დღე შაუსრულდება, როცა მოგების ყავლი აქეს, მაშინვე უნდა მოკვდეს. ახლათ გაჩენილ ღრძილი ამჯდარი აქეს და სალამოთი წვერი შეეტყობა; რომელი ხბოც უდღეოა. იმას არც კბილი ეტყობა და არც არაფერი, ის იღანდალებს, იღანდალებს და მოკვდება.

მეცხვარეობა

მთხრობლები: დათიკო მიხილის ძე მრელაშვილი, 72 წ. (სოფ. იყალთო); იორდანე კუბატაძე, 80. წ. (სოფ. ბუშეთი)².

ზამთარში ბინაში ვინახავდით ცხვარსა, ცხვრის სადგომ ფარხში ვინახავდით. როდესაც დასკირდებოდათ საკვები, თივასა ვყიდულობდით და ვაჰმევედით. ზაფხულში მთაში დაგვიდიოდა და კარგა ხნობამდინ იქ ვამყოფებდით ხოლმე. საძოვარი აღაგები ბევრია. პირველი საძოვარი ხუფრა არის, იმას ველკეთილი მოსდევს, სადუცეც მაგათი მომიჯნავეა. სხვა საძოვრებიც არის: მუხაციხე, ლაქოფათი, ვაკე-გორი, ანდარაზანი, სახარე, წყარუანა, არყუანა, სამამლის გორი, ნაწილარი, მელთკულა, ლეკთვაკე, ნაქერალი, კიქაურა, განჯაურა. უადროი, ნაყორულალი, ხევისბინა, საყორნე, კობტაც არის.

ნაქერალის გზა ლალისყურზე წავა და ლეჩურზე აღის. ლეკებთან ხუფრა არის აბლო, დანარჩენი მთები ენისელსა და ნაქერალ შუა არიან, გადაღმა და გადმოღმა. ყველაზე კარგი საძოვრები არის ხუფრა, სადუცე და ველკეთილი; ბალახი კარგი იცის და წყალიც კარგია იქ. მთასა ვყიდულობდით ხოლმე საბალანეთ და, ვინც იღა იყიდა, იმ მთაზე აცხოვრებდა ცხვარსა.

ათი კაცი, რვა-თორმეტი კაცი ერთად დაედლიოდით ხოლმე, ამხანაგურათ; შაერევედით ცხვარსა და ერთ ბინაში გვეყანდა. ჩვენ ჩვენ ცხვარს ვიცნობდით:

¹ მთხრობლის ამ ტექსტადან ამოღებულია ცნობები ყველის დამზადების შესახებ და გადტანილია სათანადო თავში (იხ. „წველა და რძის ნაწარმი“).

² სათურ — „მეცხვარეობა“ მიემდებოდა ივ. ჯავახიშვილის მიერ.

სერები ჰქონდათ ყურებზე გაკეთებული. წამალსაც უსომდით და ამ ნიშნებით გავიგებდით ხოლმე რომელი ცხვარი რომლისა იყო.

ყველს ამხანაგურათ გავიყოფდით, — კაცზე იყოფოდა: შეიძლებოდა, რომ მე მეტი ცხვარი მყოლოდა და ჩემ ამხანაგს კი — ცოტა, მაგრამ ყველს მაინც ამხანაგურათა ვყოფდით; თუ მეტი ცხვარი მყვანდა, მოვლაც მეტი უნდოდა. მე თითონ სამასი ცხვარი მყვანდა და ოცდაათ ცხვირან კაცს შავიერებდის ხოლმე, ზამთარში ცალ-ცალკე გვყვანდა ცხვარი, მაგრამ შესაძლებელი იყო, რო ორი ამხანაგი ზამთარშიც ერთად დარჩენილიყვნენ.

დღოლ. ღვინობისთვის პირველში შავუშვებთ ყოჩსა და თებერვლის ხუთი დღე რო ჩამოვა, მაშინ დაიბადება ბატკანი. ამას ვერტყვით დოლოზას, დოლშია შასული ცხვარიო.

ახლათ ნამყოფ ბატკანსა და დედას ვამყოფებთ ყორღულში. დღეს რო ბატკანი დაიბადოს, მეორე დღეს დედა მინდორში წავა საძოვრათ. საღამოთი მოპრეკამენ მოსაწუხებლათ, ღამე დედა ცალკე იქნება და მეორე დღით ის მათწუებს და მინდორში წავა. კარგ მზიან დღეში გარეთ, ბაკში გვყავს ხოლმე ბატკანი, ცუდ დღეში კი ხაბატკანში ვამყოფებთ. მწყემსმა მალ-მალე უნდა აშალოს ბატკანი, რო ერთმანეთს არ დააწუნენ და არ დაიხოცონ; ბევრსა ჰკლამენ ხოლმე დაუდევრობით. ბატკანს მარილის ჰმევა არ უნდა, სანამ ბატკანს არ მიიგებს და წველვას არ დაიწყებს, მანამდინ მარილს არ ვაჰმევეთ. ბატკანებს ფოთლებს ჩამოუკიდებენ ხოლმე, რო ჰმას შეეჩვივნენო, ისინიც დაუწყებენ სუსუნას. თუ კარგი ჰაერი შეიქმნა, თამამი ბატკანი ორი კვირის შემდეგ დედას გაჰყვება მინდორში. გაიშართება და ბალახს დაუწყებს ჰმას. ზოგიერთი ცხვარი ბატკანს ყურთაგდებს არ აქევეს, მაშინ მწყემსმა უნდა უპატრონოს, ძალათ უნდა მოაწოვებინოს ძუძუ.

თუ ცხვარი უმარალო ადგილზეა, იქ უსათოოდ მარილი უნდა ვაჰამოთ კვირაში ერთხელ. საცა მლაშე ადგილია, იქ მარილის ჰმევა არ უნდა. გურჯანს ჰქვევით მლაშე ადგილებია და ზევით კი არა.

ქრისტიანობისთვის ნახევრამდინ თუ კარგი ამინდია, შასაძლებელია, რო ცხვარი გარეთ იყოს. თუ ადგილი და სახსარი არის, ზამთრობით ჰქვევით და ჰქვევით ადგილებში სჯობია ცხვრის დაყენება. როცა ცივი ჰაერია, ზევით ვერა გვაობს, ჰქვევით და ჰქვევით თბილა და იქ ხდომულობს.

ზამთარში დღი მოვლა უნდა ცხვარსა: ბინის დასუფთავება უნდა, ჰამა უნდა. სიგძე-სიგძე დაუყროთ ხოლმე თივას და ცხვარიც დამწყრივდება და ჰჰამს. ცხვარი ჰჰამს თივას, მაგრამ, რო გაუჭირდებათ, ბზესაც აუჭევენ. თუ ცუდი ჰაერია და ვერ მიდის გარეთ ცხვარი, მაშინ ორჯერ ან სამჯერ უნდა ვაჰამოთ, თუ მშრალი ზამთარია. სამ დღეში ერთხელ მოჰხვდება წყალსა, თუ ავდრიანია, მაშინ წყალი არ უნდა. როცა ცხელა, წყალი მაშინ ესაჭიროება: ზაფხულში. თუ ავდრიანი დღეები არ არის, ყოველდღე უნდათ წყალი. შესაძლებელია მარტოს პირველშიც გამოვიდეს ცხვარი თუ თბილი ჰაერია, თუ არადა, გვიან გამოვა.

ჩვენ თუშური ცხვარი გვყავს, ისა გვაობს აქ კარგათ. მირინოსის ცხვარი მაიყვანებს, მაგრამ ვერ იგვარა, იმათ ბევრი ხარჯი უნდოდათ. ლეკური ცხვარიც კარგათა გვაობს აქ. ლეკური ცხვრები გრძელკუდიანები არიან, პატარა ბანაჩუკა ცხვრები არიან. ლეკურს ანც დუმა აქვს რიგვანი. არც მატყლსა აქვს იმათსა ბარაჰა. ჩვენში თითო-ოროლასა ჰყავ ლეკური ცხვარი. იმას ძალიან არ მისდევნენ. ხორცის გემოთი ჩვენ ცხვარს ლეკური სჯობია, მაგრამ რძის წველით ის ჩვენ ცხვარზე ნაკლებია. ქართული ცხვარი ლეკურ ცხვარზე სხვილია. ჩვენ ცხვარშიც განსხვავება არის. ზოგს კარგი მატყლი აქვს, ზოგს კარგი დუმა აქვს.

პატარა ცხვარი არის ბატკანი, მარიამობისთვემდინ ბატკანია, — მარია-
შობისთვე რო ჩამოვა. მას შემდეგ არის თოხლი — დედალი თოხლი და მამალი
თოხლი. წლისა რო შათავდება, დედალი შიშაქია და მამალი — ქედლია. შიშა-
ქი როცა ბატკანს მაციებს პირველათ, იტყვიან რო შიშაქმა ბატკანი მაიგოვო.
ბატკანის მოგების შემდეგ ნაშიშაქვარს ეტყვიან და უკვე ცხვარია.

მთაში ცხვარი განაწილებულია: ბატკანი ცალკეა, საწველავი ცხვარი —
ცალკე. მშრალი ცხვარი — ცალკე, ქედლია — ცალკე. მშრალ ცხვარს იმ ში-
შაქს ვეძახით. რომელი ცხვარიც ბერწათა რჩება, ისიც მშრალია. ქედლია და-
ჟორღირა, ყოჩი კი დასაკოლია, ყოჩი სამაკებლად არის გაშვებული. ორას ცხვარ-
ში. მეც ყოჩი მაინც უნდა იყოს. მეცხვარე ხუთ-ექვს წელიწადს შემდეგ ყოჩს
ალარ გაუშვებს. უნდა გამოცვალოს და ახლა სხვა ყოჩი გადურჩიოს.

ზოგ ცხვარს რქა არა აქვს. იმას ვეძახით დოლა ცხვარს. ყოჩებიც არის ურ-
ქო. ისინიც დოლა ყოჩები არიან. ზოგ ყოჩს არშინებენ მეტი რქა აქვს. ქედლია
რაკი იკოდება, რქა ალარ ეზრდება. ზოგიერთ ცხვარს ყურები არა აქვს, იმას
ქულას ეძახიან (ორდანე კუპატაძე ხულას სახელწოდებით იხსენიებს). დე-
დალიც ქულა არის და მამალიც.

ურქოები და უყუროები უფრო თათრებში და ქურთებში ჰყავთ და შეიძ-
ლება იქაური ყოჩი გეერიოს ჩვენ ცხვარში, როცა მთაში გვეყავს და, ჩვენ
ცხვარშიც გამოდის უყურო და ურქო. ურქო თხაც დოლა თხაა, უყურო თხაც
ქულა არის. ურქო თხები უფრო ოსებში ჰყავთ.

იორდანე კუპატაძის ნაამბობიც ეთანხმება ზემოთქმულს, მაგრამ დამატე-
ბით აღნიშნავს შემდეგს: „ზოგიერთ დედალ ცხვარს რქაყოჩას ვეძახით, იმას
ყოჩივით რქები აქვს. რქაყოჩები გალმა მხარეს ჰყავთ ბევრი.

ცხვარში ორი-სამი თხა მაინც უნდა იყოს: მწყემსს რო გარეკვა უნდოდეს
თოვლში, წყალში. თხა ყველაზედ წინ გავა, ის გაბედულია, თხა გაიქცევა და
ცხვარს გაიდევნებს ხოლმე უკან. სხვაფრივ მზნეობას თუ არა, ხეირს არ აყრის
ცხვარსა. ცხვარს ძაან აწვალებს, თხა ჯაგებში ძვრება, ცხვარიც მისდევს და
მატყლი უბარაქოვდება.

მამალ თხას, რომელიც გაწურუთუნული ჰყავს მეცხვარეს, ვაცს ეძახიან.
მწყემსი როცა ცხვარს მიჰყვება, ვაცს წინ ატარებს და შაჩვევს. ზოგი თხა
ვირივით უკან მისდევს ხოლმე ფარას.

პატარა როცა არის, ციკანია, წლისა რო შათავდება, ჩებჩის ეტყვიან, მეო-
რე წელიწადში რო გადავა, დედალი წალუჯა არის და მამალი — ვაცუნა. მემ-
რე მამალი ვაცია და დედალს კი თხას ეძახიან ხოლმე.

თხაც მაშინ იგებს როცა ცხვარი, ის უფრო ეშმაკია ცხვარზე. თუ ბევრნი
არიან ციკნები, ცალკე ამყოფებენ, თუ ცოტანი არიან, ერთად ამყოფებენ. ცი-
კნები მაღლიდან ასხდებიან ხოლმე ბატკნებს და ამისთვის ვამყოფებთ ხოლმე
ცალკე.

პარსვა. აპრილის ხახვარი რო გაბრუნდება, მაშინ გავაპარსათ, იმას ვაზა-
ფხულოს გაპარსვას ვეძახით. შემოდგომის გაპარსვა მარიამობისთვის გასულში
დაიწყება. ცხვარსა ვაპარსათ დუქარდით და ერთი გირვანქაუ რო გაიპარსოს, მა-
ინც ნაპარსს ვეძახით. თუ აღრეულა ბატკანია (თებერვლისა), მარიამობისთვის
პირველში უნდა გაიპარსოს. ზოგი მატყლი აბრაშუმვივით არის; გრძელბეწვა
მატყლიც არის და კვირტაც; კვირტა მატყლს ბუდიან მატყლს ეტყვიან. მატყ-
ლის არჩევა თუ გინდა, ქედლიასი და შიშაქის მატყლი ყველასა ჰკობია, ის არის
გათქმული. იმათა აქეთ საუკეთესო ბეწვი — გრძელი და წმინდა. ზამთარში
ბინაში ითელება მატყლი და ზაფხულის მატყლი აპარბებს ზამთრისას; ზაფხუ-
ლის მატყლი სუფთაც არის და მეტი ლაზათიცა აქვს. ბატკანის მატყლი ყველა-

ზე საუკეთესოა, როგორც აბრაშუმს, ისე ამუშავებენ იმას, შალებს იმისასა ქსოვებ. კრაველს ეტყვიან ბატკნის მატყლსა. „მატყლს სხვადასხვა გარჩევა აქვს. — ამბობს ოორდანე კუპატაძე, — დაბალი მატყელი აბრაშუმით არის, გრძელბეწვა მატყელი კი ხეტია, ბუდიანი მატყელი დაბალბეწვიანია და წონაშიც მძირე შოდის, გრძელბეწვა მატყელი ხაფაცი მატყლია და არც ვარგა. ხამმა კაც-შა რო დაინახოს, გრძელბეწვას არჩევს, მაგრამ არ ვარგა.

თხა წელიწადში ერთხელ იპარსება, მაგრამ იმის ბალანს ბარაქა არა აქვს. ზოგ თხას თვითიყვით ბალანი აქვს, ზოგის ბალანი ტხენის ძუსაყით არის. თათრები ხურჩინებს და ტომარებს აკეთებენ თხის ბალნისას, ჩვენი ტომარის ქსელში ურევვენ ხოლმე ცალწვერს, თუ კარგი არ არის, არც იმაში გაურევენ. აქაურ თხას შამოსავალი არა აქვს, ქურთული თხის ბალნისას მოუდს აკეთებენ; იმ ჯურა თხა ჩვენ არა გვყავს. ქართველი ხალხი არაფერს არა ჰქსოვს თხის ბალნისას, მარტო საბელსა და სამალდეს ვაკეთებთ. ჩვენი ხალხი მატყლისასა ქსოვენ ფარდაებს, ხურჩინებს, შალებს. მატყელი შინაცა გვეჭირდება საწინდელთა და საშალეთ. ქისტებში და თუშებში ნაბღების მოთელვა იციან, ქართველებში კი არ იციან.

ცხვრის დაავადებანი და სამკურნალო ბალახები. ცხვარს ბევრი ავანდყოფობა აქვს: ხან იმნაირ ბალახს შაჰქამს, რო სისხლი აუღდება და ავად გახდება. კრახანს თუ ჰამა, ძალიან აენებს, ქვევრების სარეცხავი კრახანის მაგვარია ისიც. მაგრამ მაღალი არ ირდება და მიწაზე იფარჩხება. სისხლზე რო მოუა, თვალის ძირში გაუქრით ძარღვსა, სისხლი გამოუვა და ეშველება. შორიდან მამდინარე წყალი უხეიროა, ჩალას იკეთებს და ცხვარმა თუ ის ჰყვანტის ბალახი შაჰქამა, პეპელა ააჩნდება და მაშინვე ავად გახდება. თუ ზამთარი კარგი შაჰხვდა ან თუ გაზაფხულზე ადრე მოვიდა მწვანე ბალახი, პეპლიან ცხვარს ის გამაარჩენს. ბალახში იგეთი წამალი ურევია. რო არჩენს და თუ ამ ჩალა-ბალახზე დგა, თავს არ დაიჭერს და მოკვდება.

ერთი ბალახი იცის მთაში. დუსს ვეძახით, მეორე კიდ დოჟია; იმ დუსოსა და დოჟის ყვაილს გავაჩხობდით. დაეფქვამდით. გაურევდით მარილში და ვაჭმევდით ცხვარს. მეტწილს ჰრგებდა ხოლმე. ჭუჩიც კარგია.

ზამთარში ცხვრისთვინ ბოლოკა ბალახი არის კარგი; ბოლოკას ქიზიყში ეძახიან. ჩვენ შეღვგავს ვეძახით. შელევა მარტის გასვლამდინ კარგია და მარტის იქით აღარ ვარგა. ზაფხული რო მოდის, მხურვალე ხდება და სწყყენს.

სამყურა ბალახიც კარგია. ზოგი ძან იყო დასნეულებული და ველარა ჰრგებდა. დუცი და დიყი ლეკის მთაში არის ბევრი, საუკეთესო საჭმელია ცხვრისთვინ. ჩვენში მარტო დიყი არის. დუცი კი არ არის. დუსს თუშის ჰალედიცა ჰქამენ ხოლმე; ზადიან გულ-მუცელს ასაღებს. დუცი ჯონხით იზრდება და პტყელ ფოთლებს იკეთებს; დიყი ხის სისქე იზრდება, იმასაც პტყელი ფოთლი აქვს და ყვაილიც იცის. ეს ბალახები არჩენს ცხვარსა.

ქარცვი და კვრიავიც³ კარგია ცხვრისთვინ, თრიალეთისაკენ ბევრია ეს ბალახები. მეღთყოლა ბალახიც არის. კაპუეტა ბალახიც, ბალბა ბალახსა და ხვართქლასაც ძან ეტანება ცხვარი.

პეპლის ავადმყოფობის შესახებ იორდანე კუპატაძე შემდეგს გადმოგვცემს: „პეპელა ლვილში უჩნდება ცხვარს. იმას ხარძიძრა არჩენს. ხარისძირას დაეფქვამთ, ვაჭმევთ და თუ ავანტყოფობას ძალიან არა აქვს ხელი დარეული. უეპველათ გამაარჩენს. პეპელიანმა ცხვარმა დახაშღებაც იცის. დახაშღებულ ცხვარს ყიფვიც ჩამოუვა. ჩალაში ნატარ ცხვარს ყიფები დაჰკიდავს ხოლმე“.

³ იგულისხმება კლიაი. რედ.

ცხვარს ერთი ავადმყოფობაცა აქვს, ნაბარცვს ვეძახით იმას. გაზაფხულზე თუ ცხელი ადგილიდან მალე არ წავიდა ცხვარი მთაში, გამაჩნდება ნაბარცვი და ჰსოცავს. ბარშივე გამაჩნდება ეს ავანტყოფობა, მაგრამ ცივ ჰაერს რო მოჰხვდება მთაში, იქ უფრო მეტს გამაჩნდება ნაბარცვი. ნაბარცვიანი ცხვარი არ უნდა მოჰხვდეს მლაშე ადგილს და ისევ სითბოთი უნდა გამოჩრჩეს. რომელ ცხვარსაც შატუობენ, რო ნაბარცვი აქვსო, ძან მალლა არ აუშვებენ მთაში. ბევრი რჩება და ბევრიცა კვდება.

ცხვარს რო ელენთა დაუსივლეს და იმით დაიწყოს ხოცვა, ღლეში ორჯელ უხდა ვაბახათ წყალში, ტყირა ადარ გაირდება და სატკივარი გაუბრუნდება.

ცხვარს თუ შასცივდება, მოშუშულ მარილს ვაჭმევთ და საშველობა ექნება.

ცხვარს რო ფეხი მოჰტყდეს, ისე, რო მთლათ არ ჰქონდეს გამორებული, მაშინ დავასელებთ ტილოს, დავაყრით მარილსა და დაუშარტავთ ფეხს. მემრე ფირფიტებივით ჯოხებსაც ამოუყენებთ და გაუმთელდება.

წველა და რძის ნაწარმი

მთხრობლები: ვიო ლუარსაბის ძე ყარაულაშვილი, 80 წ. (სოფ. ვარდის-უბანი); ბესო გორგანაშვილი, 80 წ. (სოფ. ბუშეთი).

ფურის წველა. როცა ძროხას მოეწეულით, აუღლარ რძეს ჩავასხამთ კოდში და ამ თბილ-თბილ რძეს უზნით სადღეს; რამდენიმე ხნის შემდეგ ჩადღდება; ჩადღებულ ყველს ჩაურევთ ხელს, გავთქვეფამთ და შრატს მალლა მალდება და ყველი კი ძირს წავა. შრატს მოვხდით, მემრე ამოვიღებთ ყველს, ჩავდებთ პარკში და ხელით დავზელავთ შიგ, რომ ერთმანეთს მიეკვრას. მოვაკვირულებთ იმ პარკში და, „ვეღრა“ იქნება, თუ რამე, ჩავდებთ შიგ. დილით ჩადებულ ყველს საღამოთი გულაში ჩავდებთ და დავაყრით მარილს. დავაყრით მარილსა და წვაქეცეთ და ხანდახან ვაგორებთ, რომ ცალ გვერდზე არ იყოს გულა. ეგრე რომ ვაგორებთ გულას, მარილი დნება და კარგათ უჭდება ყველს.

ყველის სადღეს მეცხვარეებიც აკეთებენ და ჩვენც. მეცხვარეს თუ ბატკანი შოუკვდება, ამააღლის კუჭსა და იმისას გააკეთებს ყველის სადღეს. სადღის გულისთვის შეიძლება დაკლას კიდეც ბატკანი, მაგრამ ეს ბატკანი ბალახნაძოვნი არ უხდა იყოს. ბატკნის კუჭში ჩადებულ რძესავით არის; ეს ჩადებულ რძე გამაგრებული ხსენია. ამააღლიან იმ კუჭსა და ჩაყრით შიგ შაბს; შაბში გამოიყვანენ, გაახმოებენ და სადღათ ხმარობენ. ამას ღვრიტას ვეძახით ჩვენ. ეს სადღე რომ გვექონდეს, ამასაც ვიხმარებდით, მაგრამ აბა ჩვენ ვინ მოგვცა.

ჩვენ, მეძროხეები, თელავში ვყიდულობთ სადღეს ყასპებისაგან. ყასპები ამააღლიან ძროხას იმ ნაწილს, რისგანაც სადღეი უნდა გააკეთონ; ეს ნაწილი აბია წიგნარას. ამააღლიან იმას, დაჰშაბავენ, გამოიყვანენ, გაახმოებენ. ჩვენ ვიყიდით და იმით ჩავადებდით ძროხისაგან გაკეთებული ყველის სადღეს, შილდანს ვეძახით. გახა ერთსა და ორს აკეთებენ ისინი? იმათ გამოუღვევლად აქვთ შილდანი. ვიყიდით ყასპებისაგან შილდანს, წავიღებთ სახლში, გავათბობთ წყალსა, ჩავყრით შილდანს ქილაში და თბილ წყალს დავასხამთ. წყალს იმისათვის ვასხამთ, რო შრატს არა გვაქვს. როცა შრატს გაჩნდება, მემრე შრატს ვასხამთ იმ ქილაში; წყალს ადარ დავასხამთ, რასაც სადღეს უზნით, იმის საწყართ შრატს დაუმატებთ იმ ქილას. იმ ჩაჭრილ შილდანს რომ ვიხმარებთ სამოთხ ღლეშისინ, მემრე წამოგყრით და გავშინჯავთ; რომელიც ძალიან გალა-

დარკვეულია, გადაყრით, რომელსაც სიმარეს ვატყობთ, ისევე დავაბრუნებთ. ახლა კიდევ სხვასაც ჩამოვაკრით შილდანსა, ჩაუმატებთ ქილაში და შრატს დავასხამთ. თუ ძალიან უნებრო სადელია და ვერაჲ სჭრის, იქნება ორი თეფშიც დავასხათ ათ ვედრა რძეში; თუ კარგი სადელია, იქნება ერთი თეფშიც ეყოს.

ჩვენც ვაკეთებდით ხოლმე სადელსა. თუ ხბო პატარა მოკვდებოდა და ბალახნაძოვნი არ იქნებოდა, იმას ამოვაცილიდით კუქსა, გამოვიყვანდით შაბში იმასაც, როგორც ცხვრისას, გავახმობდით და სადელეთა ვხმარობდით. ცხვრისა დვრიტა და ამასაც დვრიტას ვეძახით, ესეც უკნია და დვრიტას ვეძახით. ჩვენც ვაგვიკეთებია ძროხის შილდანი, როცა ძროხა მოგვეკლოთა. ყასებები კი ხშირად ჰხოცამენ ძროხას და იმათ იმიტომა აქვთ ხოლმე ბევრი.

ერთი ჭურა ზოკო არის, რცხილის ზოკოა, ეგეთი ბუსუსიანი ზოკოა და იმითაც ბევრჯელ ჩამიდედებია ყველი. ერთ გზაფხულზე ავრეკე საქონელი მთაში, ძალიან ბევრი რძე იყო. უთხარი ბიჭებს: „შვილო. რათ აფუქებთ ამოდელა რძესა-მეთქი?“ „ღედა არ გვაქვსო“, — მითხრეს. ჰაი ღელსა, ღელა აქ ბევრი არის-მეთქი. მემრე გავქენი პატარა რძეში ზოკო, ჩადელდა ხელათ, მეგარე ის ჩადებული გადაეწურე. ქილაში ჩავასხი ის შრატი და ახლა იმაში ჩავეყარე ზოკო. ვიდრე შილდანს ავიტანდი, იმით თორმეტი ყველი გვაყავით. იმისთანა კარქი ყველი გამოვიდა, რომ ყვითელი ოქროსავით იყო. ვისაც მოუვიდე, იძახოდნენ, ამისთანა ყველი არ გვიანახამო. ეგრე პურისა იცოდნენ ხოლმე მეცხვარეებმა. ხაში არა გვაქვსო და როგორ გამოვაცხოთ პურიო. შინაურ პურს დავამტვრევდი წვრილათა, დავალბობდი, მემრე იმასა ფქვილში გავებლამდი, შავინახამდი და იმით ვაცხობით პურსა; ემ სიმალეთა ფუვედებოდა და ძალიან კარგი პურიც გამოდიოდა.

ერბო რძითაცა კეთდება, მაგრამ ჩვენ მაწვნით ვაკეთებდით. აქეთ მხარეს რძით არ უკეთებიათ: ვისაც ბევრი ჰყავს. პირიქითელებმა იციან — გარეჯელებმა, დაადგავენ ხონებით რძეს და ნალებს როცა მაკვდებს, იმას მოჰხდინან. იმ ნალებით ერბოხსა ხლდეზავენ და დანარჩენით კი ყველს აკეთებენ. არაფრათ არ ვარგა ის ყველი. დღეს რო მოაწველო, ჩაასხამ, ხვალ რომ მოაწველო, ჩაასხამ და ეგრე შააქუჩებ რძეს ერთი კვირისას — სამი ღღისას. იმას აღულება არ უნდა, თითონა წვება. ამას ჩუმას ეძახიან და ერბოს ამალეებენ ხოლმე იმისგან. იმისი ღო შესანახათ არ ვარგა. ახალი როცა არის. იქმება კი, მაგრამ მაინც არ ვარგა. როგორც ჩვენ წველასა ვლდეზამთ ხალდეზელში, იმ ჩუმასაც იგრე აღლვებამენ.

ჩვენ კი ეგრე ვაკეთებთ: ავადულებთ რძეს, ჩავასხამთ „ვედრაში“ იქნება თუ ქვაბში: ცოტა რომ შანელდება, იგრე რომ ნეკს ცოტათი აწკმენტავდეს, მაშინ უზამთ ცოტა დედას. შავახვეთ თბილათ და შადედდება. საღამოზე რომ შავადელოთ, დილაზე შადედებულია და დილით რომ ჩავადელოთ, საღამოზე ჩადედებულია. მემრე, რასაკურველია, გვაქვს სადლევბელი და იმაში შავდლევბამთ. ეგრე ვარწევთ, ვარწევთ და შავატყობთ. რომ მოვიდაო. ვინც იცის, შავატყობს და. ვინც არა და, ვერა. იმას რა შატყობა უნდა? კაი გამგებნი ვინც არის და იცის, შავატყობს. სადლევბელში ის ჩხრიალს დაიწყებს და მაშინვე შავატყობ, რომ მოსულია. ერთიერთმანეთს რომ მიეკვრება, ხმას აძლევს სადლევბელს; მაშინ კაცი ჰნახავს და გაიგებს. რომ აღარ უნდა შადლევბაო. მემრე სადლევბელს შავარწვებთ, შაქურდება ერბო, მემრე თავდაყირა დავაყენებთ სადლევბელს და დო ძირს წვა და ერბო კიდევ მალდა, თავზე მეექცევა. მემრე ჭამფილაში იქნება თუ ქვაბში, ცივ წყალს ჩავასხავთ, ჩავყოფთ ხელს, ჩემო ბატონო, ამოვიღებთ ერბოს და იმ ცივ წყალში ჩავდებთ, რომ ერბო დაგუნდავდეს და მკვიდრი და მაგარი გამოვიდეს. მემრე ამოვიღებთ იმ ერბოს, ჩავდებთ

ქვაში და ცეცხლზე შავდვამთ. ეგრე გადავადნობთ იმასა, ხარჭი რაც იქნება, იორს. ქვაში დარჩება და ნამდვილ ერბოს კი ქილებში ჩავასხამთ. გადნობაში მარცხს უწამთ. უმარცხო გაფუჭდება. ქილაში რომ ჩავასხავთ, მოვყარავთ სარსა და შავინახავთ. აბა ის ხარჭი კი რა გამოსადევია, იმას გადავყარით.

ზოგი ვერ ატყობს ერბო როდის მოდის, იქნება გაღუდნეს კიდევ და ის კი ძტავაჯეს შავდლებმაში. თუ გადადნარია, ბჭინას დაიწყებს, მაშინ იმას უნდა ცივი წყალი: დღეებაში ცივი წყალი უნდა ჩაასხას და იმან უნდა მიიყვანოს. თუ ცივი არის, ქაფით იქვე და მშინ იმას თბილი წყალი უნდა, თბილი წყალი უნდა დაასხას და იმან უნდა მიიყვანოს. თბილმა წყალმაც ერთათ უნდა მიიყვანოს ერბო და ცივმა წყალმაც ერთათ უნდა შაქუნოს. იგეთი ყურისაგდებოდაცნო.

სადღებელი ხისა არის და გრძელია. როგორც კასრი იგრეა გამოჭრილი; თავება აწეს აქათ-იქით. როგორც კასრსა, იგრე აქეს თავები შამსხდარი. შუა წელში მუცელი აქეს ამოჭრილი, რაც ხელი ჩაიყოფა, იმდოლაზე: ხელი ხალვათათ უნდა ჩაყოს კაცმა ერბოს ამოღებაში. ძირს, ქვეშიდან, იმ ამოჭრილის პირდაპირ ჩაჩვრტილია და დღეებაში შიგ ჩხირი აქეს გაკეთებული.

ერბოს როცა ამოვიღებთ, დოს იმ ნაჩვრტიდან გაუშვებთ. ქვაბს შუადგამთ და ქვაბზე კიდევ საცერს დავდგამთ, როცა ჩაუშვებთ დოსა, თან ვატოკებთ საცერს და ის დო შიგ ჩადის; წმინდა დო ჩადის შიგა და, ხარჭი რაც არის, საცერში რჩება. მას ხაჭოს ვეტყვით, ესეც იქმევა. მემრე იმ დოს მოვადღულებთ, ჩემო ბატონო, გაჯაციებთ ცოტა და ჩავასხამთ პარკში, დავკიდებთ და გაიწურება, დოდაჩნება და შრავი იორს გავა. მემრე, ვისაც შასანახათ გვინდა, გადავზეალავთ მარცხში. პირს მოვყარავთ შავრათ და ჩავადგებთ მიწაში. ძირს სარქველს დაუდებთ და იმ დოთი გატენილ ქილას ზედ დავაპირქვავებთ, თუ რამე ზალი აქეს ახ შრავი, გაიყურება. შავინახავთ ყველივირისთვის; ყველივირისთვის ამოვიღებთ, ვყიდით კიდევ. იგრეცა ეჭამთ და დოშაქამანდაც ვაკეთებთ. იმისი შრავისა არაფერი არ გაკეთდება და ყველი შრავს კი ვინც შაადღებამს, ერბო გამოდის იმისი. ვინც გულს დაუდებს, ის შასდღებავს ამისას ერბოს, ვინც არა და მოვადღულებთ ქვაბში, მემრე პარკში ჩავასხავთ და კალტი რჩება. ნოყიერი რამ გამოდის და ეჭამთ იმას. ერბოს შრავი აღარაფრის გამოსადევია, იმას მყეფრებს დაუდგამთ ხოლმე.

საცა ვყოფილვარ. ყველგან ეგეთი სადღებელია. ფშაველებისა მინახავს. აგეთი სადღებელია. თათრებისა მინახავს, აგეთია, თუმებისაც აგეთია, ჩვენში ხომ სუ ეგეთია. ფშაველების მინახავს ეგეთიც და იმათ კოლიც აქეთ. იმაში წველას ჩაასხავევ და ურკვენ, იმდენსა სთქვეფამენ, რომ ერბო უნდა მოვიდეს. ჩვენში კი მარტო ეგეთი სადღებელია. ჩვენში არ მინახავს, რომ კოდში ჩეესხათ და შეედღებოთ.

კამეჩი რძისა ყველიცა კეთდება. მაგრამ ძროხისას ვერ შეედრება: თეთრი გამოდის და შალეცა ხმება. იმისი ერბოც თეთრი გამოდის, კამეჩის რძე ფიცხია. მართალი რომ მოგახსენოთ, ძროხის რძე ყვითელია, საჭმლისათვის კარგია. აყვითლებს. სინოყიერით კი კამეჩის ერბო ნოყიერია, მაგრამ ის თეთრია. შამარგო უფრო ძროხისაა ერბოცა და წველაც, კაცმა რომ მოუხშიროს და კამეჩის წველა ჰამოს, სიცხეს აძლევს გუნებაში. მე კი კამეჩებით ბევრი მყვანდა და ძროხებზე. კამეჩის რძესა ვდღევამდი, ძროხისას ყველს ვაკეთებდი. როცა ქიაურში მყვანდა ძროხა, იქაც ეგრე ვაკეთებდი. ოთხი წელიწადი, ზამთარ-ზაფხულს, ბუშეტელებთან და ხოდაშნელებთან მერივა საქონელი და ქიაურში გყვანდა ხოლმე.

მთხრობლები: დათიკო მიხეილის ძე მრეღაშვილი, 72 წ. (სოფ. იყალთო);
იორდანე კუპატაძე, 80 წ. (სოფ. ბუშეთი).

ცხვრის წველა. წველვას დაიწყებდით მისის ნახევრიდან და ოც კათათვე-
ში გაშრებოდა. პირველში ძალიან ბევრს იწველის, მემრე კი ნულ-ნელა შრება.
რომელი ცხვარიც აღრე გაშრებოდა, მშრალეებში შუარეველით ხოლმე. ზოგ-ზო-
გი ცხვარი იქნებ არც კი გაშრეს, მაგრამ ჩვენ თითონ უნდა გავაშროთ. დღეს
მოეწველი და ხვალე აღარ მოეწველი, მემრე ორ დღე გამომშვებით მოეწველი
და გაშრება.

ყველს ვადელებთ ბატონისავე კუჭის ნაყოფით. ბატონს ამოვაცლით ღვრი-
ტას და შაზაებებით ჩაფასხავთ შიგ ძმარსა, შაბსა და მარილს. ღვრიტაში ნაწოენი
არის ხოლმე ყველივით ჩადელებული და გარედან ჩიქილასავით აკრავს. ღვრი-
ტას დავეილებთ ბოლზე, გაშრება და როცა დაგვჭირდება. მოვაჭრით და სადე-
დათ ვიხმარებთ. ღვრიტა უნდა დაეჭრათ წვრილათ და თბილი წყალი დავასხათ.
იმას დავასხავთ რძეს და ჩავადელებთ. თუ მეტად გრილი დღე არის, მაშინ ყვე-
ლის დედა უნდა შათბეს, როგორც ძუძუდან ახლად გამოსული რძე არის, იგრე
უნდა შათბეს. თუ თბილი დღე არის, რძეც თბილი იქნება და შათობა აღარ
უნდა. ეხლა აფთივების სადელითაც ადელებენ, მაგრამ ჩვენ იმით არადროს არ
ჩავგიადელებია, იმის შაკეთებული ყველი კარგი არ გამოდის (იორდანე კუპატა-
ძე ზემოხსენებულ სადელეებთან ერთად შილდინსაც იხსენიებს).

საწველათ ხის ღურკები გვაქვს და ჩასადელებლად კი კოდები. ხის კურკე-
ლი რძეს მალე არ აციებს და იმისთვის არის კარგი, ქვაბში მალე ცივდება.
კოდებში ჩავადელებთ რძესა და ნაბადს გადავუფარებთ, რო რძე არ გაცივდეს.
თუ დედა კარგია, ერთ საათში ყველი ამოვა. როცა შადელებება, ხელით უნდა
აურიოთ, ავთქვლიფოთ, შრატს მალლა მიიგდებს და ყველი დაბლა დარჩება. ჩა-
დელებულს ამოვიღებთ პარკებში, გავწურამთ, დავაფარებთ და ორი საათის გან-
მავლობაში გულაში ჩაიდება. თითო ყველს ორი პეშვი მარილი უნდა; გულაში
თითონ ყველი გაუშვებს წვენსა და კარგათ შაინახება. ოღონდ სალი გულა უნდა
იყოს, მთლიანი გულა უნდა იყოს, რო ყველს არ უღალატოს. სანამდინ დავხარ-
ჯავთ, მინამ გულაში უნდა გვედოს. თუ გულა წყალს დაიშრობს, უნდა დევმა-
ტოს, თუ მეტი სიმლაშე აქვს ყველს, მაშინ მარტო წყალს დაუმატებთ, მაგრამ
თუ სიმლაშე აკლია წყალსაც დავასხამთ და მარილსაც ჩავაყრით.

ცხვრის რძისა ერბოც გამოვა, მაგრამ ვისაც ბევრი ცხვარი გვეყავს, შადლვე-
ბას არა ვკისრულობთ, ვისაც ექვსიოდე ჰყავს შეიძლება. რომ იმან შადლვიბოს.
მაწონიცა დედდება, ხოლოთ მეცხვარეები არ გაიმეტებენ ხოლმე მაწვნათ.
ყველს მიაკლდებაო. ცხვრის მაწონი სქელი დედდება, კამეჩის მაწონივით, ს-
ნოყივით ძროხისაზე უფრო ნოყიერია.

მელორეობა

მთხრ. ალექსი უშიკაშვილი, 98 წ. (სოფ. ახმეტა. სათიანო)⁴.

წიხათ, რაც გინდა ბეჩავი კაცი ყოფილიყო, სამოცი ღორი მინცა ჰყვანდა.
ვინც თავიდათავი კაცი იყო, ორასი-სამასი ღორი მინც უყოლებოდა. მე თითონ
დიდი ფარა მყვანდა ხოლმე ღორისა. წინ-წინა, ბერეი ღორი როცა მყვანდა, ზა-

⁴ სათური — „მელორეობა“ მიემუღია ივ. ჭავჭავაძის მიერ.

ფხულობით თიანეთში მიძლიოდა, ეხლა კი მთაში წაეასხამ ხოლმე. ზამთარში ახმეტაში ჩამოერეკავდით და სალორეებში გეყვანდა.

აქ ქართული ღორი გვარობს, რუსული ღორის ყოლა ტყუილია. რუსული ღორი აქ სათხარზე არ ვარგა. ქართული ღორი ძან მრჩო არის, სთხრის და იკვებება. როგორც თხა. უფრო მრჩო არის ცხვარზე, იგრეა ესეც. ეგ რუსული ღორი ეხლა გამაიგონეს, მაგრამ ძნელი გასაზრდელია. როგორც ძველ მამალსა ვარის ხორცი სჯობია, იგრე ქართული ღორის ხორცი სჯობია რუსულისას. წონაშიაც ქართული ღორი მეტი მოდის. ოსური ღორიც ბევრსა ჰყავს აქათ; ისა რუსული ღორივით ყურჩეჩილაა, ხოლოთ თითონ ღორი ქართულის მაგვარია. ოსური ღორი იმითა სჯობია ქართულს, რომ იმან გოჭი მსხვილი იცის. დაბადებოთ მსხვილი გოჭი იცის. მხოლოთ ქართული ღორისთანათ ვერ ანოყიერებს და მალე ვერ ამსხვილებს. ხორცი კი პირველი და საუკეთესო ქართული ღორისა არის.

ღორი როცა გასუქდება. ყოველთვისა მაკობს, თუ ლუბია, — თუ გამხდარია. არა ზურავს და არც იმაკებს. ღორს თუ კი პატივი აქვს, ცხრა თვისაც მაკობს, თუ არადა. აბა ხმელი — ლუბი ღორი რას იმაკებს. თუ ძან კი პატივი აქვს, ორჯელ გააჩენს წელიწადში და. როცა ლუბია, სულაც ვერ გააჩენს. არ შეიძლება. რომ ღორმა გიორგობისთვეში არ იმაკოს: მეორეთ კიდენ პირველ ბალახს რომ ჰნახავს — მარტის მიწურულში, მაშინაცა მაკობს. როცა ახურდებ, ვამაკებინებთ: ფარაში კერატი გეყავს ხოლმე სამაკებლათ. რომელიც მაკობს მარტში, ისა დლოობს მკათათვეში; ოთხი თვე იქნება მაკე და შემერე გააჩენს. ქართული ღორი ორსაც დაადებს, სამსაც, მაგრამ ცხრაზე მეტს არ გააჩენს.

პირველათ რომ დაადებს ღორი, იმას შიშაქს ვეტყვით. შიშაქს ოთხ გოჭზე მეტს არ ვარჩენდით ხოლმე. იგრე ღორისთვის კი შეიძლება ექვსიც შეგვერჩინა. ექვსი რომ შეგვერჩინა, მაშინ ძან კარგათ უნდა გევექმივნა. უფრო ხშირათ ხეთზე მეტს არ ვარჩენდით: ბევრს ვერ ვაზრდიდა და მოუკლავდით ხოლმე.

ღორი რომ დაადებს. იმას გოქს ვეძახით, როცა გაიზრდება და სამი-ოთხი თვისა გახდება, ზურაკს ვეძახით, გაიზრდება და იტყვიან დაზურაკა ეხლაო. წლისა რომ გახდება, ის ღორია.

ღორი კმევისა არის. ვინც აკმევს და კარგათ მოუვლის, ის მსუქანი იქნება და ჭიშინანს ეძახიან იმას. ეხლა ჩემი ღორები მსუქნებია, სხვებისა დამხდრები არიან. მე მთაში მყვანდა და დასუქდენ.

ღორი ყველაზე ძან ღორიჟანასა სკამს, მაჩიკასაცა სკამს, სამყურასაც. რასაც რძე აქვს, ყველა ბალახს შასკამს, ემ წმინდა ბალახს რა შაკმევის? წმინდა ბალახი რომ მოგლიჯოს და შაკამოს, დაჰლეჯავს და ისეე გადაჰყრის. ბალახი იგრე ვერ ასუქებს, როგორც რკო.

მსუქანი ღორის ტყავი იქნება თუ ძროხისა, არ ვარგა. ლუბი ღორის ტყავი გათქმულია საქალმეთ, ხარის ტყავსა სჯობია. ლუბი საქონლის ტყავი კარგია საქალმეთ.

ჩემობას ეგეთი სატყვიარი ღორისა არ იყო. წინათ იყო ერთი სატყვიარი. ღოკს ვეძახდით და წელავსა. ეხლა კიდევ „ტრიხინააო“, თუ რადაცა, ეგ ძალიანა ჰლუპავს ღორს. მაგისაგან იმდენი დემეხოცა, რომ შეილოცი ღორი გადაეყარე.

საქონლის დაკვლა და ტყავის ბამოქსანა

მთხრობლები: გიო ლუარსაბის ძე ყარაულაშვილი, 80 წ. (სოფ. ვარდის-
უბანი); ბესო გიორგინაშვილი, 80 წ. (სოფ. ბუშეთი).

ძროხას რომ დავკლავდით, ფაშვს გადმოვაგდებინებდით, მემრე ავკრიდით თითო-თითო ბარკალს თავთავათ; მემრე მხრებს ავაკრიდით, მემრე ცულით შალას მალა გვერდებს მოვაკრიდით, მერე იმ გვერდებს შუა-შუა დავკრიდით ფელეა-ფელეა და გოდორი იქნებოდა თუ რამე, ჩავაწყობდით შიგა ან ჩამოვ-კიდებდით. თუ მსუქანი იყო, ქონს ავაცლიდით ფაშვზედა. უკან, კულთან რომ არის, იმას კუბაჩას ვეძახით; ახლა იმას ამოვიღებდით ფერდებს უკან. მემრე მალასაც დავკრიდით მოკლე-მოკლეთ, რასაკურველია, და დავაწყობდით ისე. გაყიდვა თუ იქნებოდა, ვისაც რა უნდოდა, იქიდან ჩამოუჭრიდნენ და მისცემ-დნენ. ფაშვისას ხაშს გავაქეთებდით ჩვენ, ან კიდევ სხვას მივცემდით და ის გააქეთებდა.

კამეჩი თუ გაგვიფუქვდებოდა, მაშინ თუ დავკლავდით, თორემ იგრე არა ვკლავდით ხოლმე: როცა აღარ გვინდოდა, ან დაბერდებოდა, ვყიდვდით. ძროხას კი ვკლავდით ხოლმე. ტყავსა გავართხობდით, სუ ყველა ყუნჭულზე ჩხი-რებს შამოურიგებდით და გავახშობდით გრილოში და ქალმათა ვხმარობდით. ზოგი ქატოს დააყრიდა ხოლმე ტყავს, ზოგი — ნაცარს. მაგრამ მე კი იგრე ვართხობდი ხოლმე. ქალმათაც ვხმარობდით და უწინ ხევსურებს ჭამბარებსაც ვაწვევებოდა ხოლმე. ეგრე კობებათ დაჰხედნენ და სწნავდნენ, ხარებს მოუბამდით ხოლმე, იმათ დაწნულ ჭამბარას.

სირაჩებსა ჰქონდათ ხოლმე რუმბები, ისინი ძროხის ტყავისაგან იყო გაკე-თებულნი. თითოში ორმოცდაათი ჩაფიც ჩადიოდა, იმდოლები იყო.

მეცხენეობა

მთხრ. ალექსი უშიკაშვილი, 98 წ. (სოფ. ახმეტა, სათიანო).

უწინ ჩვენ ბევრი საქონელი გვეყვანდა, ცხენიც ბევრი გვეყვანდა ვირი ჩვენ არა გვეყოლია. ეგ ფშაველებსა ჰყავთ. ჭორიც ძვირათ არის აქეთ მხარეს. ის კიდ-ხემსურებსა ჰყავთ. აქაურ ცხენს ჩვენ ფშაურ ცხენს ვეძახით; ამ ფშაურის ცხენის მერე აქ არა დგება რა. მამა-პაპით ეს ცხენი გვეყოლია და მარტო ეგა დგება აქ. არც ყარაბაისი და არც კავკავის ცხენი აქ არა დგება. ქიზიყშიც არის ცხენი, მაგრამ არა გვარობს ჩვენში. არც ჩაჩნის ცხენი გვარობს აქ და არც ქა-ლაქური. აქ რაც განდებდა და გაიზრდებდა, მარტო ისა სძლებს, არ ვიცი ადგილი არ იხდეს, თუ რისგან არის ეგრე. ღორი და ცხვარი საიდანაც გინდა მიიყვა-ნოთ, მაინცა სძლებს.

ცხენს კაი პატივი უნდა, კაი მოვლა უნდა. ზაფხულში მთაში გვეყვანდა ხო-ლმე ცხენის ჭოგი, ზამთარში კი შირაქში გვეყვანდა. სოფელში ჭოგი ვერ გასძ-ლებდა, ამ ერწო-თიანეთსა და ახმეტაში არ შეიძლებოდა, რომ ჭოგი ზამთრით სახლში ყოფილიყო, საზრდო არ იყო და ვერა ვკვებავდით. ვისაც ბევრი ცხენი ჰყვანდა, ისე დადიოდნენ ხოლმე თავგანებებულები; ფშაურისა და თურმის ცხე-ნები იგრე თავგანებებულები დადიოდნენ ღამე, მხოლოდ მეჯოგე ჰყარაულობ-დათ. ვისაც ცოტა ცხენი გვეყვანდა, ფარდულებს უყეთებდით. ზოგი შამოპლო-ბავდა ფიჩხითა, ზედ თავზედაც ფიჩხს დაათარებდა, ჩალასაც, მიწასაც დააყრი-

და, რომ თოვლი არ დასდებოდა. ზოგი კი მიწას ამოსთხრიდა ხოლმე და როგორც საქონლის გომურს, იგრე გააკეთებდა. ქართული სახელი გომური იყო და თვადები კი თავლას ეძახოდნენ ცხენების სადგომს.

ცხენმა, თუ კაი პატივი აქვს, აპრილში უნდა გააჩინოს, ცხენი აპრილში მაკობს და თერთმეტი თვე იცის მაკობა, კამეჩმაც თერთმეტი თვე იცის მაკობა. ზოგი ცხენი კათათვეშია ცვაჩენს, მარიაძობისთვეშია, ზოგი შამადგომაზე დაე მაიგებს, მაგრამ არ გაიზრდება და ძაღლების შესაქმელი გახდება. რომელი ცხენიც ნელათ მაიგებს, იმას ზამთარი უსწრობს და კვიცი ვერ გაიზრდება; ახლათ მოგებულ ცხენი ჩვილი არის, ზამთრის საჭმელს ვერ შასკამს და მოკვდება. ნათქვამია: „კვიცი აპრილისაო და ზაქი მაისისაო, ბოჩოლა კიდევ მარტისაო“. ხნითა ოთხი წლისამ უნდა მაიგოს კვიცი; კამეჩმა და ცხენმა ოთხი წლისამ უნდა მაიგოს. ძროხა კი სამი წლისა იგებს, წესი ეგრეა. ცხენმა და კამეჩმა რომ სამი წლისამ მაიგოს, უმატისოს ვეძახით. ეგეთი ქართული წესები გვაქვს საქართველოში.

ახლათ რომ განდებდა, კვიცი ჰქვიან მეორე გაზაფხულამდის, მეორე ზაფხული რომ მოვა, იმას კვიცს აღარ ეძახიან: იმას კვებულას ვეძახით; მესამეში როცა გადადის, მაშინ ცხენია, სამი წლის ცხენიო, იტყვიან ხოლმე. დასაყვერავ ცხენს ულაყს ვეძახით, გინდა ოცი წლისა იყოს, დასაყვერავს ულაყი ჰქვიან, დაყვერავს კი, გინდა სამი წლისაც იყოს, იაბოს ვეძახით. დედალ ცხენს ფაშატს ვეძახით და ჭაკსაც, ორი სახელი ჰქვიან. ზოგმა იცის „ჭაკი ცხენი არ გინახაშო?“, ზოგმა იცის — „ფაშატი ცხენი არ გინახაშო?“. მოსაგებელ დედალ ცხენს ფაშატს ვეძახით, როცა მაიგებს, მაშინ დედა ცხენია. ჭაკი დიდი ცხენია; როგორც ჭალი ქმარშვილობაში ჩავარდება და დედაყაცს დაუძახებთ, იგრეა ჭაკი ცხენიც. ზოგი ცხენი კვიცს არ გააჩენს, იმას ურწან ცხენს ვეძახით; შიძლება ურწანი იყოს და ბოლოს გააჩინოს, მაშინ ვიტყვიან, რომ ურწანმა გააჩინაო.

კვიცი რომ გახდება სამი წლისა, მაშინ უნდა გაიხედნოს, ორი წლისაზედაცა სხდებიან, მაგრამ ეგ წესი არ არის; ზოგი წლის კვიცზედაც შაჯდება, მაგრამ ეგ რა წესია! გახედნა როცა გვინდა, შავსხდებით ზედ, ან ნაბაღს მოუჭირებთ, ან კიდევ ტიტველაზე შავსხდებით, უფრო კი ტიტველაზე შავსხდებით ხოლმე. თუ უბედური ცხენი გამოდგა, მაშინ იმას მიწას ან მძიმე რამეს აკვიდებთ, რომ ვერც კი ერეოდეს, და ისე გავხედნით. აკვიდებული რაყი იქნება, ველარ გაიქცევა, ველარ შაფრინდება მალა. ყველა კვიცს ეგრე ვხედნით.

ცხენი თუ საჯლომათ გინდა, იმას არც კალოში შაბამ და არც სხვა რამეზე ამუშავებ. ვისაც საჯლომათ უნდა, მარტო ჯდება ზედ, იმის მეტი ცხენი რომ არცა ჰყვანდეს, კალოს სხვას გააღწეწინებს და იმას კი არ შაბამს. საჯლომ ცხენს ჩვენ საფერხეს ვეძახით, იმას არავის არ დაანებებს პატრონი, — „ჩემი საფერხე შენ გერგოო,“ ძმამ ძმა მოკლა.

კაი ცხენი ჭერის მეტსა და თივის მეტს არაფერსაც არა სჭამს. ვისაც ის საფერხეები ჰყვანდა. ჭერზე თითო ლიტრა ჭერს აკმევდა — ერთს დილით და ერთს საღამოთი.

რამი გავვიგონია და არ კი ვიცით, რა არის. ზოგი ამბობდა, რამ სამფეხა არისო და მეოთხე ფეხი ფთე აქვსო; მე კი არც ვიცი და არც მოსახავს ჩვენ მხარეში რამი. არავის ეუოლება ნანახი.

ბარე ქახეთში

მეცხვარეობა

მთხრ. გიგოლა ზაქარიას ძე ლეიშვილი, 81 წ. (სოფ. მარტყოფი).

ჩვენში მესაქონლეობას ძალიან მივდევდით. ვიცი სამი ჯიშის ცხვარი: პირველია თუშური, მეორე — ყარაბახის ცხვარი მაზუხი, მესამე — რუსული, რომელსაც რომ დუმა არა აქვს და მგელივით გძელ კუდს დაათრევს. მაზუხს პტყელი დუმა დაჰქიდავს. თუშურ ცხვარს კი კაი ბოხჩებევით შეკრული დუმა აქვს.

ყველაზე კაი მატყლი რუსულ ცხვარსა აქვს¹, რომელიც კუდს დაათრევს მგელივით. აბრეშუმივით წმინდა და რბილი მატყლი აქვს. შემდეგ თუშური ცხვრის მატყლია კარგი. მაზუხს მატყლი არ უვარგა. მდარეა.

რუსული ცხვრის ზორცი გემოვნებით ტკბილია. აგეთივეა თუშური ცხვრის ზორცი. მაზუხის ზორცი კი ყველაზე დაბალია.

რუსულ ცხვარს, რაკი დუმა არა აქვს, შიგნითა სუქდება, გვამში — იჯეთ ქონებს ჩააწყობს ხოლმე მუცელში, რომ საქონე გულა გეგონება. თუშური ცხვარი დუმასაც იკეთებს და შიგნითაც კარგა სუქდება. მაზუხის ცხვარი ვერც დუმას იკეთებს იგრერიგათ და არც ზურგში აქვს იმდენი ქონი.

ერთი წლის ცხვარს, მამალია ისა, თუ დედალი, ჰქვიან თოხლი. ბატკანი ჰქვიან დოლიდან, ვიდრე შემოჯგომამდე. ზამთრის პირიდან წლაძე თოხლა ჰქვიან. მეორე წელში რომ გადადგება, ჰქვიან შაქი. დედალი ცხვარი რომ მეორე წელში გადადგება, ამასაც შაქი ჰქვიან. ხოლო როცა მოიგებს, დედა ცხვარს ეძახიან. ჭედოლა ჰქვიან ერთი წლის მამალ ცხვარს, რომელიც გამოყვერილია. ოთხისა თუ მეტი წლის ყოჩს რომ გამოჰყვერავენ, ეტყვიან ნაყოჩარს.

ცხვრის ტყავისას ვაკეთებდით გულდებს, ჩასაცემელ ტყავებსაც ვაკერინებდით ჭონებს (ტყავის შემკერავსა ჰქვიან კონი). თხის ტყავებისას გულდებსაც ვაკეთებდით და ტყავებსაც მოვაკუპრინებდით ხოლმე.

მთხრ. მოსე ივანეს ძე სამანაშვილი, 85 წ. (სოფ. სართიქალა). ხევსურული ძროხა სართიქალაშიც გაიჩინეს, მაგრამ არა გვარობს. აქ იმას „ხევსურკას“ ეძახიან.

ტყავის გამოყვანა

მთხრ. კოლა სტეფანეს ძე მარქაროვი, 60 წ. (სოფ. სართიქალა).

ხმელი ტყავები უნდა ჩაიყაროს წყალში და დალბეს ოთხ დღეში. თუ ნედლია, მესამე დღეს ამოიღება; ლეში გვეცლება დემურით და ქვეშ ექნება ვარა-

¹ „ნამდვილად კი მერანო იგულჩისებმა“ [წინწინა ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილს].

ჩო. ეს რომ გათავდება, ქატოს ავურევეთ წყალში, ჩავასხამთ თაღაში, ჩავეყრით შიგ ტყავებს. თუ ზაფხულია — სამ-ოთხ დღეს. თუ ზამთარი — ერთ კვირას. ამოვიღებთ, თუქლამიშს ვუზამთ ვარაჩოზე. მემრე ისევ თაღაში ავურევეთ სი-მინდისა და ქვაყის ფქვილს წყალში. აბს შესჭამს, ამაში გასქეღდება. თუქლა-მიშ ნაქნარს ჩავეყრით ამაში. იქნება ოთხი დღე: მემრე ისევ ამოვეყრით წყლი-დან, მარილს ვუზამთ, ცოტა ქატოსაც და ჩავეყრით ცარიელ თაღაში. იქ ფეხით დავეზღავთ ნაშაქოვს, მემრე ამოვეყრით, გავფხეკავთ ისევ დემურით არხიდან, ე. ი. ლემის ძხრიდან. მემრე აროს ვიზამთ დანით (ე. ი. რაც ბალანი დარჩება, იმასაც გავცლით). მემრე ჩავეყრით თრიმლში. თრიმლი წყალშია არეული. ოთხი დღე იქნება შუგ. ამოვეღებთ, შორს გავფხეკთ. მემრე შორი გაიწურება, მემრე ჩავეყრით ორპირში (თრიმლში), კიდევ გავუშვებთ ორ დღეს, მემრე ამოვიღებთ, კიდევ გავფხეკავთ აქას და კიდევ გავწურავთ, გავფხეკავთ და სამპირში ჩავე-გვებთ. რომ ამოვიღებთ სამპირიდან, მემრე კოდში ჩავეგდებთ, ცოტა მარილს ვუზამთ და ამოვეყრით, გავფენავთ, დავყარით ხელით ორშოვს, მემრე გავფენთ ლატახზე, ვაშრება, მემრე გავწმენდთ ქილობით, გავახმობთ და ეგ არის.

თხის ტყავისა და ქოსალას ტყავის გამოყვანა. თხის ხამ ტყავებს ჩავეყრით წყალში. საღამოზე ამოვიღებთ, გავფხეკავთ ლემის მხრიდან პატარა დემურით ვარაჩოზე. გავყირავთ და იქნება ორ დღეს ზაფხულში, სამი დღე ან ერთი კვი-რა — ზამთარში. გავფეხთ, გავაშრობთ, გავგლეჯთ ბლანს ხელით, წავეიღებთ ჰაგდალში, ჩავასხამთ წყალს, ჩავეყრით კირსა, ავურევეთ წყალში, ტყავებს ჩავე-ყრით შიგა; ორი კვირა იქნება, ამოვიღებთ, თუქლამიშს ვუზამთ და კიდევ ჩავე-ყრით ჰაგდალში (ჰაგდალს ეტყვიან მოთხრილს მიწაში). ორი კვირაც ამაში იქნება; თუქლამიშს ვუზამთ, კიდევ ორი კვირა იქნება. ამოვიღებთ, არხას გავ-ფხეკავთ, მემრე ჰაუზში გავრეცხავთ ფეხით. ორმოცდაათი ცალი ნახევარ დღე-ში ირეცხება. ამოვიღებთ, გავწვეთ ქატოში, იქნება ერთი დღე. ამოვიღებთ იქი-დან, გავრეცხთ კიდევ, ჩავეყრით თრიმლში, კეთდება თრიმლი.

ძთხრ. გიგოლა ზაქარიას ძე ლეიშვილი, 80 წ. (სოფ. მარტყოფი).

ცხვრის ან ბატკნის გამშრალ ტყავს ქონი დოღანაკით დაჰხელავდა, დაარ-ბილებდა და შემდეგ ცელით გაჰფხეკავდა, გაჰწმენდავდა, მემრე გამოსჭირდა. ჯერ კალთას ვამაყვანდა, მემრე ბეჭებს, მემრე გულისპირებს, მემრე სახლე-ებს და შეჰკერავდა. უკან წელზე მოსართავენს გაუკეთებდა.

მთხრ. გიორგი გიგოლას ძე ზუბაშვილი, ქონი (ანუ მეტყავე), 67 წ.

მშრალ ტყავებს ცხვრისას ნელთბილი წყლით დვენამავდი, მემრე დოღანა-კით (იგივე მაჭავანია ი. მ.) მოვექნიდი ან ჩამოვექნიდი, მემრე გავფხეკავდი, რა თქმა უნდა, ლემის მხრიდან, ცელით, ანუ გასასუფთავებელით. ამას ვეტყოდით ხილაქში გამოსვლას. მემრე საშომს დავადებდი: ზოგს ერთი ფოთოლი, ანუ ჩიხუხი ამოვიდოდა, ზოგსაც — სამი. ბეჭები და უკანა კალთა, გამოჭრილი, ერ-თად გადაიბმება წელზე. უკანა კალთა ბეჭებზეა მობმული ექვსი ფოთლითა. წინა ფერღზე გამობმულია ოთხი ფოთოლი, მეორე წინა ფერღზეც — ოთხი ფოთოლი. მემრე შეიკარება მატყლის მხრიდან. წინაც და უკანაც ბეჭებში დავა-ტანდი ხოლმე სიმაგრისათვის მელოტს ანუ აწლულს. მაჭებზე, კისერზე, გულის-პირათ შემოვავლებდი ბეჭებს — შუგ ბატკანს ან სხვა რამეს. უკან, ბეჭებთან, კანძოლზე ვუკეთებდი ტყავის ღილებს.

იარაღები მქონდა: დოღანაკი, უბრალო სათიბელი ცელი, დუქარდი, ნემსი, დასანთლული ძაფი. დოღანაკს ბოლოში აქვს თასმის საფეხური.

ქრწო-თიანეთი

მეცხვარეობა

მთხრ. პავლე ობგაიძე, 35 წ. ყოფილი მესაქონლის მოსე ობგაიძის შვილი (სოფ. მაგრანეთი, ერწო).

ჩვენ გვეყვანდა განსაკუთრებით თუშური ცხვრის ჯიში. იშვიათად ვიჩენ-
დით მაზიხის ნაფერს ტავარაზე (ტავარას ეძახოდნენ ყარსის ოლქში). ამათი
დოღმა ან რეულა, ბევრ ხორცს იძლეოდა. დაახლოებით ცოცხალი წონით ყო-
ჩი გამოვიდოდა ექვსი ფუთი.

ძყავდა ურქო ყოჩი, რომელიც მამაჩემს მოეშენებინა რომელიღაც ჯიშის
ჩვენს ჯიშზე შერევით. ანუ დაფერვით. როცა ეს ურქო ყოჩი მომიკვდა, რამდენ-
ნიმე წლის შემდეგ კიდევ გამოერია ჩემს ცხვარში ურქო ყოჩი. ჩვენა გვეყავს
ყურიანი ცხვარი, შიგადაშიგ კი, ძალიან იშვიათად, გამოერეოდა უყურო-
უყურო ცხვარს ხშირად ვხვდებოდი აზერბაიჯანში. მას ეძახდნენ ბოზახს. ჩვენი
ცხვარი არის დუმიანი. მაზიხის ნაფერი ტავარაზე მდარე ხარისხის ხორცს იძ-
ლევა და უხეში მატყლი აქვს.

ყოჩის არჩევა. კარგი მეცხვარე ყოჩს არჩევს მატყლის, აგებულობის და
რიკის მიხედვით: ცივად თეთრიც თუ იქნებოდა, ეს ყველაფერს სჯობდა. ცივად
თეთრი ნიშნავს, როდესაც ყოჩი მთლად თეთრია და არსად სხვა ფერის ნიშანი
არა აქვს.

რამდენიც რიკი გრძელი აქვს ყოჩს, იმდენად უფრო ლაზათიანია. რიკით
დღუმა შუაზე იყოფა. რიკია დასასრული დღუმისა და ხერხემლის ძელისა. ასეთი
კარგი ყოჩის შერჩევით, კაი საძოვრით, კაი კვებით ზამთარ-ზაფხულ და კაი
მოვლით დაეავარებდით ჯიშს. თუ თავს მივანებებდით, ისევ გადაგვარდებოდა.

თუ კარგი დოღი აიღე და კარგ საძოვარს მიიღწევიანე ზაფხულში, ამასთანა-
ნავე თუ შემოდგომაზეც კარგი ბალახი შეხვდა თოხლს, ჰასაკი იმით დასრულ-
დება.

კარგი მეცხვარე თავის ცხვარს რქებს აძრობს, რომ შემთხვევით უხეიროდ
არ მოსტყდეს, რაც ხშირად ან ჰკლავს ცხვარს, ან აზიანებს. განსაკუთრებით
ზაფხულში, ბუჩების მძვინვარების დროს. დედალ თოხლს გაზაფხულზე ვაძრო-
ბდით რქებს. რქებმოკლილ ცხვარს ვეძახდით რქისძირიანს. საზრდელი რქები
დაგლეჯილი აქვს, მხოლოდ ნუნა არის დარჩენილი, რომელიც გასქელდება და
არკი გაიზრდება. ნუნას მოტეხვა იშვიათად ხდება.

ერთხელ, სრულიად უცაბედად, დაიბადა ჩემს ცხვარში მშვენიერი აგე-
ბულობის, ცივად თეთრი ბატკანი: ლაბაბიც ჰქონდა. ძმამ მითხრა, ეს კარგი ყო-
ჩი დადგებაო. მართლაც გაიზარდა. და შესანიშნავი ყოჩი დადგა. ეს სხვებმაც
შენიშნეს და მოინდომეს ჩემგან სყიდვა, განსაკუთრებით თარებმა: „საწყენად

ნუ მიიღებთ და ნუ გაჰყიდით მაგ ყოჩს, რაც გინდა მიიღეო. ვუთხარ: მე თვითონ მეცხვარე ვარ და ყოჩს როგორ გავყიდი მეტიქი“. მაგრამ მეორედ სხვა მოგზავნენს. რა თქმა უნდა, ყოჩი არ გავყიდე. ეს ყოჩი ყველას უყვარდა და ჯორას ვეძახდით.

მეცხვარობაში დიდი მნიშვნელობა აქვს მცნობარებს. თუ მეცხვარე კარგი მცნობარი არ არის, ცხვარს ვერ ახეირებს.

გუგუთამვილს ისეთი დავგარებული ცხვარი ჰყვანდა თავისი მოვლითა და შერჩევით. რომ მის მწყემსებს ჩანთებში დაჰქონდათ მაკრატლები, სამატლე ჩხირები და სხვა ხელსაწყოები. როცა ცხვარს მატელი თვალეზე გადმეფეფარებოდა. შეაქრქუნდნენ მაკრატლით. ყელ-ყურზე იმოდენა მატელი გეგზრდებოდათ, რო ყურები ძლიელა უჩნდათ. მხოლოდ ეს მატელი ისე განაზღვებოდა, გარბილდებოდა და გაიწმინდებოდა, რომ ზამთარს ველარ იტანდა, ცხვარს მუცელზე ელვერებოდა (სცივოდა).

მაკრატელთან ერთად მწყემსებს ჩანთებში სამატლე ჩხირები, სკიპიტარი და დამწვარი შაბიცი ჰქონდათ. ზაფხულში ცხვარს ღუმალზე, სადაც შარდისაგან სისველე აქვს — ნამწურში — ბუზი მიაყრის სხილს, მეორე დღესვე გასჭრის და ჩაჭდება მატლი. ამას მწყემსები სამატლე ჩხირებით, სკიპიდარით და დამწვარი შაბით მკურნალობდნენ.

რადგანაც თხები ცხვარს აწვალდებდნენ, ცოტა გვეყავდა და იმის ჯიშებს არ მოვლედით. ჩემის აზრით. ქართული თხა და მეგრული თხა ერთი ჯიშისა არის. ცხვრას სადგომები. ცხვარი ზამთრობით დაბინავებულია ფარეხებში. ზაფხულში ცხვრის სადგომს ალხაჯს ეძახიან. ალხაჯი პირდაპირ ცის ქვეშ, შემოუფარგლავი აჩემებული ადგილია.

დოლის დროს საკირო არის ლასტები, რომლებსაც ტუპკირებს ეძახიან და საბატკნე. საწოვარი ნიშნავს ბაკს, სადაც ბატკანს აურევენ დედა ცხვარში. საბატკნე ქოხით არის გაკეთებული: ძირს კაჭახია მოფენილი, რომ ბატკანმა მიწა არ შექამოს. ამ ქაშში შერევენ ხოლმე მოწოვების შემდეგ. ფარეხში არის ერთი კუთხე წნელით გადაღობილი. იქ გადიყვანენ ახლად მოგებულ ცხვარს, რომ დედა თავისი ბატკანი არ აერიოს და არ აიძლოს. აძულდება ჰქვიან, როცა თავის ბატკანს ველარა სცნობს და აღარ აწოვებს.

დოლის დროს საკირო არის ლასტები, რომლებსაც ტუპკირებს ეძახიან და ჩვეულებრივ ლასტებში გაირჩევა იმით, რომ ისინი უფრო გრძელეხი და განივრებიან: ამ ტუპკირებით ფარეხის ფართობი იყოფა, ნაწილდება იმისდა მიხედვით, თუ როგორია მოთხოვნილება: რამდენი მოგებულია და რამდენი დედა. თითო განყოფილებაში (ე. ი. ფარაში) არის სამასი ცხვარი, სამასი ბატკანი — პირველი ფარა.

როდესაც დოლი დაიწყება, ბატკნის დედის რიცხვი გაზდება სამასი, იგი უნდა გადიხსლიტოს, ე. ი. გაირჩეს ცალკე. ამას ეძახიან წინა ბატკნის დედას. ახლად მოგებული ბატკნებით დაიწყება მეორე ფარის (სამასის) შეკება. როცა ის გაუთანაბრდება პირველ სამასს, მეორიდან გაღირჩევა მსხვილი ბატკანი და გადაიყვანება პირველში.

ქორფა დედების რიცხვა (ფარა) არ შეიძლება სამასზე მეტი იმიტომ, რომ მათ სჭირდება ადამიანის ხელი და დიდად მცნობარი მწყემსი. რაც უნდა მცნობარი იყოს მწყემსი, მაინც გაუძნელდება სამასზე მეტში ქორფა ბატკნების დედის ჰოვნა.

როდესაც ცხვარი აიძულდებს თავის ბატკანს და დაეკარგება მშობლიური გრძნობა. იმას ამწყვედევენ თავისი ბატკნით წნელით ამოწნულს, გოდრის მსგავ-

სად გაკეთებულს წუნულში, რომელსაც ფშაურად ქორაქანა ჰქვია, ხოლო კახურად — საყვარებელი.

დრემლა ჰქვია ცხვის კურკლს.

საკვები ბალახი. ზაფხულის საკვებ ბალახებში საუკეთესოა ქარცხვი, კვლი-ავი და სამყურა; ზამთარში — ავშანი, ყარღანი, ხურხუმა და შორაქანი. ხურხუ-მა მლაშეა და, როცა იმას სკვამ ცხვარი, ზამთარს უძლებს, სიცივეს ადვილად იტანს და დოლის დროსაც კარგი რძე გამოაქვს. როცა უნდათ მწყემსებს, ერთ-მანეთს დასციხოს, ეტყვიან ხოლმე დაცინვით: მითომ შენც საქონლის ხურხუმა ხარო, ე. ი. შენ ხურხუმა არა ხარ, უყვარგისი ხარო.

თქმულება. ერთი საწყალი კაცი ცხვის პატრონს დაუდგა მოჯამაგირედ ასეთი პირობით: რაც ოთხ წელში ჰრელი ბატკანი გაჩნდეს, სულ მომეო.

გაიარა სამმა წელმა და არც ერთი ჰრელი ბატკანი არ გაჩნდა. ისე რომ, მეოთხე წელიც მიდიოდა და მოჯამაგირეს ოთხი წლის ამაგი ეკარგებოდა. ამ დროს სიზმარში მოჯამაგირეს ვიღაცამ ჩასჩურჩულა ყურში: კაქუი დაფქვი, შარიღში აურიე და აქამე ყოჩასა. დედალ ცხვარსაც, სანამ ყოჩი დედალ ცხვარში გაერევაო (დაახლოვებით სექტემბრის თვრამეტ-ოცდაორ რიცხვებში).

ასეც მოიქცა მეცხვარე და იმ წელიწადს სულ ჰრელი დოლი გამოვიდა. გაბრაზებულმა ცხვის პატრონმა ბურტყუნით და ბუზღუნით გამოუჩრია ჰრელი ბატკანი მოჯამაგირეს პირობისამებრ.

რადგანაც დედას მოაშორეს ბატკანი და უდებო ბატკანი ბლაოდა, შუა გასლიტა ბატკანი მოჯამაგირემ: ერთ ფარას მარცხნით შემოუტარებდა მთას, მეორეს — მარჯვნივ და, როცა ერთმანეთს შეეყრებოდნენ ბატკნები, ერთმანეთი დედები ეგონათ და ამით იკლავდნენ დედის ნიღარს¹.

ესე გადააჩვია ნამოჯამაგირალმა დედას ბატკანი. შემდეგ უკვე ბალახს შე-წვივა და შემოდგომაზე ამ მოჯამაგირის ყოფილი პატრონი მივიდა სტუმრად ნამოჯამაგირალთან. ნამოჯამაგირალმა სტუმარს ბატკანი დაუკლა და ბატკანში იმოდენა ჩაბაღი (მუცლის ქონი) ამოვიდა, თავზე რომ გადიფარა, მუხლებამდე ჩამოსწვდა. ნაპატრონალს გაუკვირდა და ნამოჯამაგირალმა უთხრა: „დიღას კურდღელი ამოფრინდა დელიდან და ბატკანი დამიფრთხო, თორემ კოჭებამდე უნდა დამწდომიყოო“.

მოკლე ცნობები მესაქონლეობის შესახებ. თიანეთის ძროხა. მთელ საქარ-თველოში არის ოთხი ჯიშის ძროხა: წითელი თარაქამა, ქართული თარაქამა, წმინდა ხევსურული, დანარჩენი — ადგილობრივი მთის ჯიში.

ერწო-თიანეთში გავრცელებულია ხევსურული ძროხა და მთის ჯიში. ხევ-სურული ძროხა იმით არის კარგი, რომ თავის ტანადობის და კვების კვალობა-ზე იძლევა მეტ რძეს. ამასთანავე იწველება უხბოოდ.

განკლარტვა ნიშნავს ცხვის ერთი ფარის განცალკევებას მეორისაგან ტუპკირით.

დაჩოღფოტება — თავზე წაჭლომა, დაჯანა.

ჩონჩღე — დუნე, არასაიმედო.

ქსნური, ანუ თიხის სადღვებელი. ამ სადღვებელს პირს გარდა, სხვა პატარა მილიცა აქვს. სანამ შიგ ჩაასხამენ რძეს, მილში უკეთებენ შუშუტახს (სა-ცობს). ზედა აქვს ორი ყური, ერთი დიდი, პირის მახლობლად, მეორე პატარა. ძირთან. ისიც ზემოდანა აქვს.

ჯოჯო ჰქვია ცხენების ფარას, ირმების ფარას, შვლების ფარას, თხებისა და მგლების ფარას (მგლებისას ზროც ჰქვია).

¹ იგულისხმება ლიარი. რედ.

ფარა არის ცხვრისა და ღორისა.

ნახირი — კამეჩი, თხა, ცხენი, ვირი, ხარი, ძროხა — ერთმანეთში არეულნი. ამასა ჰქვიან. როცა სოფელში საერთო მწყემს (მენახირეს) ყოველი კომლი თითო რასმე გააყოლებს საბალახოდ.

მთხრ. აღექსა ყალიდაშვილი. 26 წ. (სოფ. ქუშხევი, თიანეთის რაიონი).

ჩენი ქვეყანა მესაქონლეობის ქვეყანაა. აქ რომ ერთმანეთს ვხვდებით, ერთმანეთს ვეკითხებით: როგორა ხარ კაც-საქონლიანად?

წინადა გვეყანდა ბევრი ცხვარი, ეხლა აღარა გვეყავს. თითო-ოროლა ძროხა-ხლა გვეყავს და ამ ძროხებში ყველაზე კარგი ჯიშისა არის ხევსურული ძროხა. ბევრს იწველის, ზამთარს კარგა იტანს, ბევრი ჰამა არ უნდა და უხბოდაც იწველება.

ჩენი საქონელი ზაფხულში გაშვებულია მთაში. ზამთრით კი, ვისაც შირაქში არ მიუღდის, აქ უელის: საურველით უურევებს, გომს უხვეტავს ბურდოსა და ჩალას აქმევს. ზამთარში ჩენი საქონელი ყველაფერსა სქამს: გამხმარ კინკარს, ჭყიმს, დიყს, დუცსა და სხვა შამებებს. თუ გვაქვს, თივასაც ვაქმევთ, ზღესაც აქ თებრტეა გვეყავს. ეწველით კიდევ და ვპარსავთ კიდევ. თხის ბალანისას თოკებსა ვგვრხავთ ჩიხრხით.

ჩიხრხი. ჩიხრხის გაღვივდებთ ყელზე. ხიდაკმარაში ტაბიკივით ჩაყრილ ჩიხრს გაუკეთდება ჭვარედინად ფრთები, რომლებიც თავისუფლად მოძრაობენ. ჩიხრს წვერში ჩაბმული აქვს ბაწარი და შემდეგ პატარა ჩიხრი გვეყრება რომ არ გასძვრეს. წვერზე (ბაწარზე) მოვაბამე თხის დაწეწილ ბალანს. ერთი ხელისგულებით ატრიალებს ჩიხრის (ვისაც ყელზე აქვს გადაგდებული ხიდაკმარა) და მეორე აძლევს ბალანს პირში, უმარჯვებს. ასე იგრინება ერთწვერად. რამდენიც დაიგრინება, აიხვევა, ე. ი. გადაიხვევ-გადმოიხვევა ფრთებზე ჭვარედინად და გურგვლად. როცა სულ აიხვება ფრთები, მოორკეცდება და ორწვერად დაიგრინება.

აქ ძროხებს და საერთოდ საქონელს გირკალით აბამენ. ტაბიკის სიმსხო მუხის ხე ისეა მოხრილი, ძროხას კისერზე შემოსწვდეს. გირკალი მოტუსისის დროს ცოტა განივრად არის მოხრილი და ისეა გაციებული, რომ შემდეგ შვილდევით კიდევ მაიყრებოდეს. ამ მოხრილს ჩაქდელ თავებში ჩაბმული აქვს თხილის წნელის ზედაგარდა, ანუ კვალა. ერთ მხარეს მაგარა ჩაბმული კამარის თავეში, მეორეში კი ისე, რომ შვილდევით მიყრის დროს ზედაგარდის ყულფი ჩაქდებოდეს ან ამოიხსნებოდეს ჩაქდელიდან. ჭერ კისერზე ჩამოაცმევენ საქონელს და მემრე ზედაგარდათი დააბამენ მეორე წვერს. ბავაზე არი დაბმული თხილის წნელის საძირე, საძირეზე კი გირკალი.

საკამები და სამკურნალო ბალახი

მთხრ. ბუთლა აღბუთაშვილი, ქისტე (სოფ. ჩაბანო, თიანეთის რაიონი).

კარგ საკვებ ბალახებად ასახელებს: კვლიავი, ქარცხვი, სამყურა, იონჯა, ფაფანჯა (მიწაზე გართხმული ბალახია, ნაოქიანი ფოთოლი აქვს, შიგ წყალი ჩადგება ხოლმე. სამყურაზე ცოტა დიდი ფოთოლი აქვს).

მთხრ. გედეონ ოტიას ძე გელოვანი, 65 წ. (თიანეთი).

არის ბალახი ხარისძირა. მას ბუერის მსგავსი ფოთოლი აქვს და ვაზისას არ აღემატება სიდიდით. ამ მრგვალი ფოთლის გარშემო ხერხივით მჭრელი ხაოა. როდესაც საქონელს წყალმანკი ჩაუდგება, ამ ბალახის ძირს ტყავ-ქვეშ გაუყეთებენ. მას ისეთი ძალა აქვს, რომ სულ იქ მოაგრებს საქონლის გვაში შესულ ზადს და იქიდან გამოპრწყავენ.

არის ბუჩქი ურძანი, ფოთოლი გარეულ პიტნას უგავს, ხავერდიანი და ოდნავ ნაცარაა. საქონელი რომ გაზაფხულზე ახალი ბალახისაგან გაიბერება, ურძნის სახრით დააცხრობენ.

აქ არის ბალახი ურცი. ამას საქონელიც სკამს და ჩვენ ჩიდ ეხმარობთ. ურცს ყვავილი სამყურს მიუგავს და რძიანას მსგავსი ფოთლები ასხია. ერთ-ღერიასხია და ძალიან პატარა იზრდება. მშვენიერი სუნი აქვს და გემოიანია.

წველა და რძის ნაწარმი

მთხრ. ნინო სვიმონის ას. დოჭურიშვილი, 42 წ. (სოფ. ზემო არტანი, თიანეთის რაიონი).

ვაგროვებთ ერთ ძროხის რძეს ოთხ დღემდე აგეთი წესით, რომ გუშინ-დღემა ნაწველმა დღევანდელი, ახლად მოწველილი, თბილი რძე არ გააფუქოს — ახლად მოწველილს დავდგამთ ცალკე, როცა კარგა გაცივდება, მშინ ვად-ურევთ გუშინდელ რძეში — ასე შევაგროვებთ ოთხი ღლისას. მეოთხე დღეს ამას სულ ერთად ჩავასხამთ ჩხუტში და ბარნელათი შავდღვებავთ. თუ ძალიან ცივა, არ მოვა კარაქი, თუ ცხელა, შიგ გადადნება. ამიტომ სიცივის დროს ადუ-ღებულ წყალს დავკრავთ, ხოლო სიცხის დროს — ცივს.

როცა კარაქი მოვა, გუნდებად ამოვიღებთ, ხოლო დოს ვაწწურავთ საცერ-ში, მემრე ვავაცხელებთ ისე, არ ადუღდეს. მემრე ვადმოვდგამთ და მოვხდით შრატს. ძირს დარჩება ხაჭო. ხაჭოს ვაწწურავთ პარკში, მემრე გამოვიღებთ პარ-კიდან, დავხელთ მარილში, გადავავუნდავებთ, შევაწყობთ ძობაწში და საკიდე-ლით ჩამოვკიდებთ ბოლში გასაშრობლად. როცა გაშრება, ჩავაწყობთ თიხის მშრალ ქვევრში, რომელიც მიწაშია. დავხურავთ და შიგ დალბება. ამას ეძა-ხიან დამბალ ხაჭოს.

ყველის გაკეთება. ბოჩოლის ან ბატკნის ღვრიტაში (რომელიც პარკივით არის) ჩავასხამთ ახლად მოგებულის ხსენს, შიგ ჩავყრით შაბს და მოვაკრამთ პირს. ეს ყველაფერი პარკიანად ვახშება. ასე გამხმარ ღვრიტას მოვაპრით პატა-რას, ჩავდებთ პატარა, სუფთა პარკში, მემრე პარკიანად ჩავდებთ პატარა ქილა-ში და ზედ დავასხამთ შრატს.

მეორე დღეს რომ მოწვევლით საქონელს, ნელთბილ რძეში ჩავუშვებთ ღვრიტიან პარკს და იმ შრატსაც, რომელშიც ის იღო. პარკს შიგ ჩავწურავთ, ძემრე მოვურევთ; რამდენიმე წუთის შემდეგ მოვა. მემრე ამოვტეხავთ: კუჭუ-შულა (ე. ი. დღელამა) ძირს წავა, შრატი მოექცევა ზევიდან. მოვშრატავთ და კუჭუშულას პარკში ვაწწურავთ, სახეს მიეცემთ, შიგვე ვაფუქებთ. როცა პარ-კიდან გამოვიღებთ, დავამარილებთ და გუდაში ჩავდებთ. გუდას რომ გავავ-სებთ, გავებრავთ კარგა, რომ ნაკეციბი არ დაპრჩეს გუდასა და დავდებთ. თუ ნაკეცი დამყვა გუდას, დალბება და გაფუქდება.

გუდას მალ-მალე უნდა გადაბრუნება, არ დალაქეს, ხოლო თუ დაიფუტა — გაბერვა. ცხვრის ყველი კარგა დამარილებული წყაას თვითონ გაუშვებს.

ღედის მორევაზე ძროხის რძეს ოდნავ შეათბობენ, ცხვრისას კი არ უნდა შეთბობა².

მეღორეობა

ძთხრ. ალექსი ყალიდაშვილი, 26 წ. (სოფ. ქუშხევი, თიანეთის რაიონი).

ღედა ღორი ხუთი წლის შემდეგ აღარ ვარგა. ღედა ღორს, სანამ გოკვებს დაჰყრის, პირველად ჰქვიან ნეწვი, ერთი წლის ნეწვის ჰქვიან შიშაქი; ერთი წლის დაყვერილ ღორს — ჰედილა. მაშალ ღორს ჰქვიან ტახი, ან კერატი.

ღორს აქ ქონს ადნობენ და ხორცად ხმარობენ. წინათ ქალაქში ჰყიდნენ ხორცად და შინ საქობედ ასუქებდენ. ჯაგარსაც ქალაქში ჰყიდდნენ.

სამონლის ღაცვლა

ძთხრ. პავლე ობგაიძე, 35 წ., ყოფილი მესაქონლის მოსე ობგაიძის შვილი (სოფ. მაგრანეთი, ერწო).

ცხვარს თავს მოაპრიან. მემრე წინა ფეხებს სახსრებში მოჰკვეთენ. მუხლებთან. იქვე ტყავს გადაუწევენ, გაუტარებენ ხანჯალს სახსრებ ზევით და ჩამოაკიდებენ.

მეცხვარეები ტყავს უმეტესწილად გუდად იღებენ. თუ გუდად არ უნდათ, გაჰპრიან, დაამარილებენ, მეორე ღღეს გაჰფენავენ და გაშრობის შემდეგ მზად არის ტყავი.

გატყავების შემდეგ ღუმის ხარჩილს აატყავებენ, მემრე ილიაში დანას მისცემენ, რომ დაგროვებული სისხლი გადმოვიდეს, მემრე თხელ ფერდთან გასპრიან და ჩამაყოლებენ დანას შუა მუცელზე მკერდამდე. მემრე ჭერ ფაშვს გადმაავდებენ, მემრე წიბოს აკვებს ჩაუტრიან და ჭიგარს ამოიღებენ. შემდეგ უკანა შალას გასპრიან სიგრძეზე და განავლის ნაწლავს ამოაცილიან. ბოლოს მხრებს ჩამოაპრიან და მეცხვარეებმა მხოლოდ სამ ნაწილად იციან გაჭრა.

მეცხვარეები ცხვრის ნაწლავებისას ლარებსა ჰგრებენ. თავფეხისასა და ფაშვისას აკეთებენ ხაშს.

ლარები. მაშალი ცხვრის ლარები სჯობია დედლისას. ნაწლავებს ჩაყერილით წყალში. გავკანძვლით (ნაჭამს გამოეწურავლით), გავრცხავლით და მემრე ბნხილით დავხვეწამლით, გავაცილით ნაწლას და, როცა სულ გასუფთავდებოდა ნაწლავი, მემრე გადავგრებლით, გავჭიმავლით. შუეში გავაშრობლით გაჭიმულს და მემრე გავუბამლით ფანდურს (აქ ფანდურსაც ეძახიან, ჩონგურსაც).

თხის ნაწლავებისაგან უფრო მაგარი იგრინებოდა. როგორც ტყავი აქვს მაგარი, ისე — ნაწლავი.

ტყავის ბამოქვანა

ძთხრ. მარიამ ბეწინტურის ას. ყალიდაშვილი, 50 წ. (სოფ. ქუშხევი, თიანეთის რაიონი).

² ღვთისო ბერძულის ცნობა — ხის საწველელის „ტაგანის“ შესახებ, რომელიც დედანში ამ ტყავს მოსდევს, შეტანილია „მასალების“ II ტ., I ნაწ., გვ. 61.

ცხერის ტყავი, ბოჩოლას ტყავი, თხის ტყავი, შელის ტყავი თუ სხვა რაიმეს ტყავი რომ გაშრება, საბლით ჩამოვაბამთ მალლა, მემრე მაჯაგანით დაეზელამთ, დავარბილებთ. მემრე მეტყავეს შევაკერინებთ ჩასაცმელ ტყავს.

მაჯაგანი. მაჯაგანი არის ხე, ძირს დაშვეებული კაპით. კაპში ჩაჭედული აქვს გარდიგარდძოდ ცოტაოდენ ბლაგვი დანა. კაპს გძელი ტოტის ბოლოში თოკით მობმული აქვს წნელის გიგატაჲ (კახურად ჩირჩვალი). გიგატაში ფეხს გავყოფთ. ერთი ხელით მაჯაგანი გვიჭირავს სახელურით, მეორეთი ტყავი და დანითა ვზელავთ.

საინფილმო

მიძროხეობა

საინფილმოში მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ჰყავს მეტწილათ მსხვილფეხა საქონელი — ზროხაა კარ, ფურ, კარკამეჩი, ფურკამეჩი.

კამეჩი ბაკალას ზაქის, ანუ (თურქ.) გადაქს ეძახიან, მეორე წელში გადადგომაში ბერწანაწოვნს-ს, ანუ (ალ.) ნაბერწალს-ს ეძახიან, ხოლო თუ არ სწოვნის — „სუბა გეზანს“ (თურქ.), მართათ მავალი უღედოთ-უშვილოთ; ზოგნი მესამე წელში გადადგარ ზაქს „სუბა გეზანს“ ეძახიან. მესამე წელში დედალის-თანას (თურქ.) „ავარას“ ეზახიან, მამალისთანას — „ქალჩას“. ხშირათ ზაქსაც „ავარა ზაქიდ, ქალჩა ზაქიდ“-ს ეძახიან (ფურზაქი, ხარზაქი).

სამი წლის „ავარად ჰოგურ ააქს, ანუ იღვენებს (ალ.) მამბალ (მაკე) კლევის-მამბილდევს. „სამ წლის თავზე ქალჩაა გააჩრველ, ანუ (ალ.) გაამწყენელი“ (გახედნა, გამოქნა) ხდება. „ერთ) წელს მამბას უკან კარსაც, კამეჩსაც ერთ) შამბულს, მეორე წელს ორ შამბულს... თორმეტ შამბულს ეზახიან“ (ან თურქულათ — „ბირდამდან ჩიხმა, იქი დამდან ჩიხმა... — ერთი ბოსლიდგან ან ძროხის სახლიდგან გამოსულს, ორ ბოსლიდგან გამოსულს. დამ — სახლი).

ფურს, კარს და საერთოდ ძროხისგან ნაშენს „ყარამალს“ (თურქ.) უძახიან. „ფური (ძროხა) ბაკალას, ტანას, ანუ (ალ.) ეზოს ეზახიან. მეორე წელს „ეზოს ბერწანაწოვნს, ანუ (ალ.) ნაბერწალს ეძახიან, მესამე წელში კი „სუბა გეზანს“ (ზოგნი ნაბერწალს და საუბა გეზანს ერთი და იგივე ჰასაკის მეორე წლის ეზოს ეძახიან, „სუბა გეზანს“ — იმ შემთხვევაში, თუ ეზო არა სწოვნის). სამი წლისას მამალს მწწორს, დედალს დეკეულს ეძახიან.

ბევრი ძროხის პატრონი აუცილებლათ ინახავდა ხოლმე ბუღას. თესლიბე (სახეგვით) შანანახ მწწორს და (ალ.) ქალჩასაც ბუღას ეძახიან.

სამი წლის „მწწორს და ქალჩას აჩრვენ, „ანუ (ალ.) მწყენიან. „ცაარილ ურეშში, კალოში — კევრში, ჩალთუქის და „ფრტი ქოთუქში, ან ზოგნი გუთხის სალუქში კაი ყუუათიან კართან ან კამეჩთან აბამენ თუთანაც დაშრომინეა (დალამდე) არ მიპალენ (ანუ მიპალავენ), რომ დაზანტდეს და არ დაწყეს“. გაჩვევის (გახედნის) შემდეგ „თამბალ (თურქ., ბანტი) გამოსულაა, დაწოლაა“ ხშირათ გამჩვეველის ბრალია. თუმცა ბევრი საქონელი „ჩინით თამბალი“-ა (ჩინით ზანტია).

„გაჩრვიზენი, ანუ (ალ.) გამწყენიზენი წინ არ გაჩრვას უკან მწწორსაც, ქალჩასაც ჰყრენ“ (დაკოდვა). „გაჩრვამ სჯობია ჰაჰყ ნაქნარის ან ჰაჰყ გადნაცილევის“ (ჰაჰყ თურქ. ამ შემთხვევაში — ვადას, უავლს გამოქნისას). „ადრიან დაყრრაში მწწორს, ქალჩას კისერ ვუწილაკდევს (უწერილდება), გვან დაყრრაში — გევდან (უკან გავა), ანუ უკანიან“. სათესლეთ, ანუ სანერგეთ შენახულ ბუღას კისერი ძალიან უმსხვილდება ხოლმე.

ფური, ფურკამეჩი „ბუღარასალს“ (იგივე ჰრგური, მამლებს) რომ გამაი-
დენებს, დამამბლდეის (დამაქდება). ორ თვე მარილს არ აკუმევენ, რომ „მამაა
(ანუ თესლ) დაიჭირასავ, მარილ მალე მიცემაში გაბერწდვის“ (ნაყოფის უღ-
როოდ გადავდება). ფურს, რომელიც სრულიად არ იზრვის (არ იგებს). ყისირს,
ანუ ურწანს ეძახიან, ხოლო ასეთივე ფურკამეჩს — „ერამუს“ (იგივე ურწანი).
სამი წლის თავზე ან ადრე „დანაზოვს მუჟკინას“ (თურქ. მუჟაგ) ეძახიან. „წელ
ანასტენ (აცდენა) დანაზოვ ფურს და ფურკამეჩსაც ანასტენ წელს ყის-რს (ამ
შემთხვევაში ბერწი) ეზახიან“.

ახალდანაზოვ კბოს ან ზაქს პირველ ხანებში „ბალახ კმამდინ (კმამდე)
დიად მიხედნა, ზეათი (ჩიით) ვაზლოვად ვუნდა“. მალ-მალე „შახენდა“ სჭირდ-
ბა, რომ „ზეში“ (მზეში) არ დაწვეს და მზე არ მოხტოს (მოხვდეს). „ყბაში“
(პირში) ძალით ფოთოლ უდებენ, აღეკინებენ, რომ „ბალახ კმას დეეჩვას, კარ-
კატან რამდ დადეკუას არ დეეჩვას“.

„ყარამალ“-ი სიცივეს და სიციხეს კარგათ უძლებს. ხოლო კამეჩი მცივანაა
და ვერც სიციხე უძლებს. ამიტომ ზამთრობით კამეჩს უსათუოდ ზროხის სახლ-
ში, ან „ყაზმაში“ (თურქ.), ანუ (ალ.) გომში ინახავენ. საერთოდ ზროხას ზამ-
თრობით ზროხის სახლში ან გომში ჰყრიან. ზამთარში ზროხას სიცივეში გარეთ
არ უშვებენ, მხოლოდ დღეში ერთხელ მაინც გამოჰყავთ გარეთ, წყალს ალუვი-
ნებენ (ასმევენ), ადგილს უზრტენ (უხვეტავენ) ნიჩფით. ნაკლებ გოდროთ ჰყრიან
ან, საწოლ ადგილს უშმარალებენ — წინ ნარჩენ უვარგის ბზეს აყრიან და
„ალაფ ჩაყარელა დახადრე ხავში ან დაწულ ახურში ბზეს უყრიან. ზროხამ(ს)
ჩაყარაში დახაგრამს (რჩოლელას) ამბენ, სხო ზროხეც არ დააწუხასავ“. დილით
„კმელ ბალახს (ანუ ბალახს) კარში უყრიან ბითვმ, ანუ (ალ.) სრუ ზროხას“.
სტოცხავენ (ჩომოცოცხავენ), კინი სავარცხელით ვარცხნიან, „პწმენდენ და წყალ
დალევნევა მოტრიალევას უკან“ (თუ მზიანი დღეა) დახვეტილ-დასუფთავე-
ბულ ბინაში ჰყრიან და ბზეც აძლევენ. მუშა საქონლის წინ ბზეში ქერსაც ურე-
ვენ. ხოლო „სხო დიად დანაქლიევ ზროხას გრომა დაფქვლ ქერი ფქვლით ქვთ“
(სქლათ აფრუქულია) უქეთებენ, რომ „სულზე მოვდეს“ (მოლონოირდეს). ცივ
ზროხის სახლში ზამთრობით ცეცხლსაც ანთებენ. ბევრი ზროხის პატრონს თა-
ვისი ზროხა ზამთრობით ბინაზე ყარასავში მიჰყავდა, რადგან „იქ თავ მათყ-
ველ (თავის მოსატყუებელი) რამდ ბევრი, მაზოვენელ ბალახიც ეკატევაყ. იგ-
რეც კმელ ბალახ, ბურღოვე: ჩალთუქის ფრტის, ზოგეც ქერისაც შაგრევედა იქ
ჰადვლი“ (ადვილია). კაკში და სხვა ზირობის სოფლებში ზამთრობით საშოვა-
რიც თითქმის არ არის და საზამთროთ „ალაფ შაგრევედაც ყეფამს (ძნელია) და
იქთონიც (იმდენი) არ იპოვენეოდაყ“.

„ზირობი“-ს სოფლებში თოვლ ჩამოსულაში შინ შანაგრევე ზროხაა გაზა-
ფხულზე თოვლ გადნომა მიწა და ბალახ გამოჩანევაში კარში გომოდის ნანდო-
მურა (იხე როგორც უნდა) ეტარევის“ (დადის). ზროხა ახალ ლურჯ ბალახზე
(მწვანე ბალახზე) გამოსვლისას „კლეა ეკატევაყ“ თუ სხვა საქმელი არა აქვს.
ლურჯ ბალახზე ახალთ გამოსვლისას ხი(ს) კუჟურსაც, წინყრევსაც (ნეკერს)
ჰკნრტავსყ.

გაზაფხულზე, დათბობის შემდეგ, „იჭერენ“ (იჭირავენ) მეზროხეს, ანუ
მენახირეს — ახალი „გაზაფხულით დიდ საყდარზე, ანუ ქურამუხი საყდარზე
(წმინდა გიორგის სახელობისა) გასულამდინ; ალიაბათელები — ზროხის
ალილში (ბაკში) გასულით გომში მასულამდინ“. მეზროხის „ჰაჰაყი“ (გასამრჭე-
ლო) მორიგებით იყო, მაგალითად, „ალილში გასულით გომში მასულამდინ“
თხუთმეტ მანეთს აძლევდნენ, ან „თავზე (სულზე) ერთ(ს) ბაკან ნასულედს
(სულადს), ერთ(ს) ყარ (თურქ.—ერთ ხელს (ფენას) ტანსომოზს, ჩოფუზს (თექას),

ქალმანს“ (რამოდენიმე წვილს, ან ზროხაზე ერთ ცალ ქალამანს) აძლევდნენ. ზოგჯერ ტანისამოსს სულ არ აძლევდნენ ხოლმე. მორიგება მრავალგვარი არის და იყო.

მეზროხეს სწორათ იჭირავენენ ზამთრობითაც თბილ დღეებში „ზროხას რრუბზე (თურქ., საძოვარზე), ანუ საზოვარზე გააყონელა“ (გასაყვანათ). მეზროხეს იჭირავენ: „უაძათ“-ი (საზოვადობა) ან თუ სოფელი, ან ბინა დიდია, მაშინ — „ობა“ (თურქ.), ანუ (ალ.) უბანი. მენახირეს დღეში ერთ ან იშვიათად ორ კაცს „ნაბათის“ (თურქ., მორიგეს) აყოლებენ ძოვების დროს საშველათ, დახაპრათ საძებნათ, ზროხა(ს) დაზოვაში (მოგებამში) ბახათზე მთავლობა, პატროხეებზე გაავკენიველათ)“ და სხვა. ზოგი მენახირე ნაბათის არ იყენს და ამის მაგიერ გასამრჯელოს უმატებენ ხოლმე. „ნაბათზე“ ზროხის პატრონები ყველანი რიგით მიდიან. მენახირისთვის კმევეც ზროხის პატრონების მოვალეობაა; ამას სირაა მიცემას ეძახიან („სირა“ თურქ.). ერთი სული ზროხის პატრონი ერთ „სირას დან ნაბათს ასტენავს (იციდნს), მეორეზე იციდს“, ორი ზროხის პატრონი კი ყოველ ნაბათს და სირას იციდს.

ზროხას საზოვარზე ადრიან ჰყრიან (ერეკებთან). მოსაწველს დედაკაცები ღაძეულა (ღაძიანით, ადრე) ჰწრლენ და ნახირთან ერთად ჰყრიან. ნახირი საძოვარზე „ასიცხიევიმდინ (ანუ ასიცხიევიწყა) ზოვნის“ და ასიცხიების შემდეგ თითონვე მოდის მთავალზე (ადგილი — გრილო, სადაც ნახირი შუადღის სიცხეში ეყრება და გრილდება). ამ დროს მენახირე და ნაბათი (მორიგე) პურს სჭამენ და რიგ-რიგად იძინებენ, ისვენებენ, თუ უნდათ. მზის გადახრა-ავრილების შემდეგ ზროხა თითონვე იშლება და ეფინება საძოვარს. მეზროხემ ამ დროს აუშლელებიც უნდა აშალოს და გარეკოს იქ, სადაც კარგი ბალახია, რომ დააძლოს. საღამოთი ჰყრიან სოფელში და ყველა ზროხა თავ-თვის პატრონის სახლში მიდის. მენახირე კი ან რიგ-რიგით ათენებს იმასთან, ვისიც „სირაა“, ან კი თავის მუდმივი ბინა აქვს და იქ იძინებს.

ტანე ანუ (ალ.) ჰმობე საყურელა (მოსავლელათ, საძოვებლათ) იჭირავენებს ტანაჩის (მეზბოხს) და ტარევაბაა ნათავენებ და ბალახ მანაზოე ტანეეს და ზაქიეეს (ანუ თურქ. ვადგეეს) ზროხის საძოვარზე გასვლის შემდეგ მიარეკინებენ ტანაჩის საძოვარზე, საღამოთი კი „ზროხაბზენი მალე მოჰყონენ“ (მოჰყავთ) სახლში. „ტანაჩისცი სირაა კეპტევისყ“ (არის ხოლმე), ნაბათი კი მორიგებით არის ხოლმე, საერთოდ „ნაბათი ტანებზე“ იშვიათად მიდის. ზოგჯერ არც მეძროხეს და არც მეზბორეს არ იჭირავენენ. სოფელი ან უბანი „ნაბათით“ (თურქ., რიგით, მორიგობით) მიდის მოსავლელათ („საყურელა“). უწესო მოვლისა და უდროით მიტოვებისათვის ცუდ მეძროხეს ან ტანაჩის (მეზბორეს) „ჰაჰყსაც უჭირდენყ“ (გასამრჯელოსაც უკლებდნენ ხოლმე).

„ზროხაბზე ფყე (ფეხი) მოკეჩაში სინულჩის (დამტკრეულის ექიმი, შინაური) აკრზებედხეხყ“ (აკრევიენებდნენ, ახვევიენებდნენ ხოლმე), ავად გაჯლომაში კი „ბაათალჩიეეს (ბეითალი) აჩრნეედნენყ, ბაათალჩიეეცი ბევერისთანაა ნალბენდეე იქნეოდნენყ“ (იქნებოდნენ ხოლმე).

ზროხა(ს) ყელ გასიევაში — ბოლმაი (ხუნაქსაც ამბობენ) შაყრაში ყელს უდალიდნენ, დაბად (თურქ.,-თურქული) შაყრაში ჰჩერთავდნენ (სერავდნენ, დასერვა). დაბად დიდ სიცხეში (თურქ. ყურალში-გოლვას) ეყრევისყ ზროხას.

სიჩრად (ანუ კარში ტარევაა, ფლარათი) შაყრაში ნიგორა-ზმარს (დანაყილა ნ-ორი ძმარში გახსნილი) ასხამდნენ ყბაში — ავადყოფაა გაჰრასავ“. ზოგჯერ ზროხა.უეებ ზღება ავად; ასეთ შემთხვევებში სისხლს უშვებენ (გამომევაბა) ცხვირით ან ყურით. ზროხის უცაბედათ ავად გახდომის მიზეზი მეტწილათ ბალახ მოხტომას (ბალახის მოხვედრა, წყენა).

ყველა ზროხის პატრონს თავისი ნიშანი — დამღამ ჰქონდა ხოლმე დადებული. დამღის დაკვრა (დადაღვა) შემდეგში შემოსულა, ხოლო აღრინდელი ნიშანი ყოფილა ენ - (ი) (ხერი). ენ დაადრვლა ყურს უჭირდნენ — სკოდასხო ეურათი (ნაირათ).

მეცხმარობა

ცხორს უმეტეს შემთხვევაში „ნირობის“ სოფლები ინახევენ — აშენებენ ბევრს, სხვა „ყარასავის“ სოფლებში კი თითო-ოროლა — ათი-თხუთმეტეტი ცხვარი ჰყავთ ხოლმე. ცხორთან ერთად აშენებენ აგრეთვე ქეჩისაც (თხა, მოსულელებიც ხშირათ თხას ეძახიან).

აქ გავრცელებულ ცხვარს ჩონ ღერას (ჩონ ღერად ცხორს — ჩვენი ხეობის ცხვარი), ანუ ზირიქ-ს ეძახიან. დასაკლავათ ყიდულობენ და ინახევენ აგრეთვე ლეკურ ცხვარს — ტრია-საც, ანუ (ალ.) ბაწარასაც. ჩონ ღერად ცხორ, ანუ ჰირიქ-ი (ალიბათელები ყალთაღის ცხორსაც ეძახიან) ჰყავთ ქურმუხის, შინის და ბურშის (ნუხის მაზრა), სუვაგალის „ღერაში“ (ხეობაში) მცხოვრებლებს და „ყალთალებს“ (წახურელებს და მათ ენაზე მოლაპარაკეთ), ტრია, ანუ ბაწარა ცხორი კი დაღესტნელებს — მახლობელ ამაჟი ღერაჲ-ს ბურკადღევს; მიხრა-ქელებს, კატრიხელებს, რუთულელებს და სხვა. ამავე სოფლელებს ეძახიან აქვს.

ჰირიქ-ი თვში(ს) (ან თვშურ) ცხორს მიჰგავს, მაგრამ ცოტა იმიზგნი წრული (პატარაა, მომცროა).

ტრია ტყელ გზედღეშიან, გზელკუდრუციან ცხორი-(ა). ტრია-ს, ანუ ბაწარას მატყლი ჰირიქის მატყლთან შედარებით უხეშია, მხოლოთ ხორცს მისას უფრო აქებენ. ორივე ჯიშის ცხვრის გაზაფხულის მატყლს მაფაღუს ეძახიან, შემოდგომისას კი გუზაშის. მაფაღუჲ კვრტიანი გარეცხა-დაჩეჩაში სამით ერთ დგევის. ამას ნაბღის და ჩიგლამაჲ-ს დააგველა (მოსათელათ) ხმარობენ, გუზაშის — სართავად-საქსოვად.

ქეჩია ყილით (ანუ ქეჩია თმით—თხის ბალანს) საბღევს, აპურევს, კასრი რაჲზე გადახაცომ ტრიაჲს (პალყას, სალტეს) ჰჭრენ და ქალმნი ბაღევს გრეხენ. თხის ბალანს საბღის და სხვა ამისთანების დასაწნავათ ჯერ წვრილად გრეხავენ რამოდენიმე წვერს ცალ-ცალკე „ჟაპრი სასხრიალეველიზე მინამგზავს რაჲმით“ და შემდეგ სწნავენ. ლეკვე ტუმარაჲ მააქსოვენელ ბაწარ დასტაში ქეჩია ყილს მატყლში ურევენ, ტუმარაჲ მაგარ იქნესაც.

ახლათ ნაღოლებ ბატკანს ორივე სქესის, შემოდგომაზე მით დაბრუნებისას თოსლ-ს ეძახიან. ერცხო ბატკანი დროზე (დროლ დროზე) მამლისთანაჲ ყოჩი(ა), დედლისთანაჲ შიშაქ-(ი). შიშაქი „დაზოვის(ს) ორწლის თავზე ყოჩზე მოდის (ხურაობს) და დაზოვაში ცხორ კეპტევის (ხდება). მამალ-სთანაჲ მესამე წელში „რგაჲი-ა (თურქ.). მასკნი (მასტკანი) მაშარი(ა)“ ა. ის ცხვარი, რომელიც არ დამამბღდება, „ყისირს“ (ბერწს ეძახიან, ხოლო იმას, რომელიც საზოგადოთ უნაყოფოა (უშვილოა), ერამუს (თურქ.) ან ურწანს ეძახიან.

ქეჩია, ანუ (ალ.) თხის ბაჯალას წოკოს, ანუ (თურქ.) ჩეფიჩს (თიკანი) ცოტა მოზრდის შემდეგ ოღალ-ს ეძახიან. ერთი წლის მამალ თხას მეორე წელში გადაძღგარს, „მუქურ“-ს და მესამე წელში გადაძღგარს „ერქაქ“-ს ეძახიან. დიდ მამალ თხას, რომელიც ათათლს (ფარას) წინ უძღვება, სიზ-ს (ვაცი) ეძახიან.

ცხვარი ზამთრობით ზამთრია (ანუ საზამთრო) საზოგარზე — გემრავში (თურქ.), ფარეხი) მიჰყავთ, ზაფხულობით კი იეილაღზე (იალაღი, აგარაკი) — თაში (მთაში).

გაზაფხულზე და ზაფხულში ღამე კარში (გარეთ) ცხორ ნაწოლ ადგილს არხაუ-ს ეძახიან. სექტემბრის დასაწყისში ცხორ თავეე მოდის (მთით ჩამოდის და ძოვნით თანდათანობით აცივებამდე. გემრაში „მიე“ (ანუ მიდის). ამ დროს ბეღრი სანაჯი მიწის პატრონი ფასით ან მათალიბე საქმელ-სასმელის მიცემით თავის მიწაში არხაუს აცივებინებს-აწვევინებს რამოდენიმე (ერთი, ორი, სამი, ხუთი) დღით. მიწის გასანაოყიერებლად.

აცივებისთვის გემრას ამზადებენ: თუ ძველი გემრაა, შიგნიდან ხვეტავენ-აწვევთავენ, რომ ცხვარს ტკიპი არ გაუჩნდეს; გემრის სახურავის წაძხდარ ადგილებს ჰკერავენ (შეკეთებენ). ახლის ასაშენებლათ ოთხსავე მხრით ორ პარალელურ დაბალ კედელს (დაბალ ლობესავით) უწნავენ ერთი მეორისგან ნახევარ ან სამი მეოთხედი ადლის სიგანეზე დაშორებულს და კედლებს — ლობეებს ზედა ჰყრიან მიწას სითბოს შესანახათ. წინა მხრითან უნახავენ შესასვლელს და კართ ლასტს აბავენ. გემრაას თავში და ბოლოში სვამენ თავკაპიან დაბალ ზოვას და ზედ სდებენ თირს (საყვავეს). კაეების მაგიერ ახვევენ მომხვილო ხეებს და ზედ აყრიან ჭაგს, ჭაგზე — ბალახეულს (ბურდოს და სხვა ამისთანას). ბოლოს ზევიდან მიწას აყრიან.

ჩობან-ფეშაქარ საცხოვრეველ ბინას ცალკე აკეთებენ, მათალზე (ფარა, ცხვრის ბინა) წნაყონ ზოხხაე-ცხენ ჩააყრელ-დაამბელს ცალკე. ბინაა დადგმა დასწვენას უკან მაგარ სიცივედ დაწყობაში ცხორ გემრაში შადის. გემრაში წნა-ასლრა (წასასვლელათ) ცხორ დაზრაში (როდესაც დაიძვრება) ტაპანტის (ანუ ღაფანტის) ჩხედიან (ჩობან-ფეშაქარი ვისაც უნდა, ცალკეადება, ვისაც უნდა, უერთდება ბინას). ცხორ გემრაში დაბინიებაში (დაბინიების დროს) მათალ ბარიშან (შერიგებას) ჩხედიან-ჰამგალას (მეზობელ ბინებს) და კაი წაცნოვ-ნან-დომ იხსხევს ჰპატიევენ ყონადლულ (ყონად — სტუმარი, მეგობარი) უსწვენ (უწვენ, წვეულებას მართავენ ხოლმე).

ჩობნის მოვალეობა გემრაა დადგმა და ბინის(ს) საქმევე გაკეთებას (გაკეთება); ფეშაქრის (მწყემსის) კი ცხორ ყურეაე-ზვევაას (მოვლა-ძოვება). გემრაში სამი ჩობანი არება მორიგეთ, სამი კი თხუთმეტი დღით სახლში მიდის. თხუთმეტი დღის შემდეგ პირველი სამი მიდის, ასე მორიგობენ დრო დაწყობაძდობ. დრო (დოლო) დაწყობაში და ცოტა ადრეე ყველა ჩობან-ფეშაქარი ბინაშია, სახლში აღარავინ მოდის ცხვრის მთაში წაყვანამდე, რადგან დოლოობის დროს განსაკუთრებული მეთვალყურეობა სჭირდება ცხვარს.

მათალი პატროხ, ახუ (თურქ.) მათალ მასიი თაეის(ს) კოლა(დ) (მაგიერ, კვალდ) მათლზე აგდევს (სტოვებს) ფასით დაქირაებულ სარქ-არს, რომელიც მთელი მათლის უფროსად ითვლება და ყველა საკითხებს იგი სჭრის. ის ყველა ჩობან-ფეშაქარის დუან (სამართალის) გადამჭრელია. მწყემსს ფარითან ცხვრის დაკარგვა-მოპარვის დროს სარქარი ართმევდა თაეის ცხვარს და გადაჰყავდა იმის „ენზე“ (სერზე), ვისი ცხვარიც იყო დაკარგული: თუ სარქარის გადაწყვეტლებით კმაყოფილი არ იყვნენ, ჩიოდნენ ხოლმე უფრო დიდ დუანთან — მათალის პატრონთან. „ჩობნი დუან აგე (ისეთი) მაგარ იყო, რუმ (რომ) იმას ხემიფი დუანიც ვერ არღევდა“.

გემრაში (ფარებში) ყოფნის დროს ყოჩს და თოხლს ერთად „ჰყუროვენ“ (ძოვლა. ძოვება). მამბალ (მაკე) ცხორს და ყისირ (ბერწი) ცხორს კი ცალკე-ცალკე ცხორ ნახვევ ადგილში (იმ ადგილზე სადაც ცხვარს აძოვებენ) ფეშაქრებს მოჰყვენ: ერთი ჩობანი, ერთი საღმალჩიი ანუ კატურჩიი (მომწველი ესეც ჩობანია) და სარქარი. სარქარი ყველა ბრლუქეებს (ნოტო, ფარა) ათოლიარებს მოჰდევნენ: ერთი ჩობანი, ერთი საღმალჩიი ანუ კატურჩიი (მომწველი მორიგე. ჩობანი და კატურჩიი საღამოს ადრე ბრუნდებიან ბინაში და ყველა

ჩობნები ბინაში მუშაობენ: წყალი, შეშა მოაქვთ, კატურჩია (ანუ საღმალჩია) ხორაგს (საქმელს) აკეთებს; მეორე დილისთვის წრულ ქომბევს, ანუ გოგუს (ხშიადი) აცხობს ცეცხლის გულში ჩასმულ სიპ ქუაზე, ანუ ქარტაშზე (თურქ., ყრუ ქვა) გოგუს ჯრუვალ ცეცხლში გულში ნაქნარ სიპ ქუაზე დრვს (სდებს) და ჯრუვალ (ცხელ) ნაცარში ჰხეხს. მეორე დილაზე თითო ფეშაქარს სამ ბუზხის სწორა (სამი მუშტისოდენა) გოგუს უდრვენ გულაში. საღამოთი ხორაგს დიდ და პატარას თანაბრათ უნაწილებენ. ყისირ (ბერწი) ნაყურეც (ყისირჩის) მწყემსს გემრამი ჰაპყ (თურქ.-გასამრჯელოს) ორ-სამ ბატკნიან ცხორს და ერ(თ) სალმას (უბატკნი) ან წოკიან ქეჩის (ანუ თურქ. ოღლაღლუ ქეჩის) აზღევენ, საღმალჩის (მეწველის თმველელს) ხუთ ბატკანს და ოთხ ცხორს, არუხ-ურუხ (თურქ., მკლე) ნაყურეცს ორ ბატკანს და ერ(თ) ცხორს აზღევენ. გასამრჯელოს სიდიდე დამოკიდებულია როგორც თვით მწყემსის ხარისხის, ისე მორიგებისგან.

დრლი-ს დროს სარქარი ღამე სულ არ იძინებს, სხვები ძალიან ცოტას იძინებენ. დრლი-ს დროს პირს არ იპარსავენ ორმოც დღეს, ცხორში ტრიალებენ, უვლიან, რომ დაზოვაში უყუნდ მანასულ ბატკან ცხვრის მუცელში გაასწორონ და გაუადვილონ დაზოვად (მოგება, მშობიარობა). ზოგჯერ თუ ვერ სწორდება, შიგ ჰკუწენ (სქირან) გამაქონ (გამოაქვთ). ახალ დანაზოვ ბატკანს აღიზს (რძე — ძუძუ) უდრვენ (უღებენ) ყბაში, აწყვევენ (აწოვებენ) აელ ყურსად ხუ იქხესავ (ყურსად — დვრიტა, აელ — ქარი). სარქარმა უნდა იცნოს ხოლმე რომელი ბატკანი რომელი ცხვრისაა.

დოლობის დროს საბატკნეს (ანუ თურქ.ქუზ-ს) ცალკე აკეთებენ (აშენებენ); შიგ სთხრიან პატარ-პატარა ორმოებს და ზედ ჯაგს, ცახს აყრიან, რომ სისველემ ბატკანი არ წაახდინოს. ზევითან სანიაფო ხერელს უნახავენ, რომ ბატკანი სიციხეში არ მაიღზოს (არ მაიღრძოს). ორმოც დღეს ბატკანს თბილად ინახავენ საბატკნეში. მარტო კი თბილ-მზიან დღეს უშვებენ გარეთ ცოტა ხანს. ბატკნები როდესაც მოჰმიათ, საბატკნის კარზე გროვდებიან ხოლმე; მაშინ უნდა დააფხტუნან (დააფხტონ) ხოლმე, რომ ერთი მეორეს არ შეაწყვნენ.

თუ ბატკნის დედას ბევრი რძე (ზეგ) აქვს, დაზოვათი მეორმოცე დღეს სწველიან, ხოლო თუ რძე არა აქვს ბევრი, არ სწველავენ, რომ ბატკანი მიწის ჰამას არ დაეჩვიოს და არ მოკვდეს.

გემრამ მამბალ ცხვრებ (მაკე ცხვრისთვის) ცალკე, ყოჩის, ყისირის ცალკე და ქეჩიის (თხის, დედა თხის) ცალკე კეპტევისყ (არის ხოლმე). იქ სადაც თხები არიან მოთავსებული, მტვერი დგება, ხოლო იქ სადაც ცხვარია, ტალახდება, ამიტომ დროდადრო ცოტა ხნით თხას და ცხვარს ბინებს უცვლიან ხოლმე, რომ ცხვრის ფარენიც ამომშრალდეს.

გემრამში ბატკან ბალახზე გაშმას უკან ცხორს მწოლენ შეჭმელა წოლას (მაწოხი).ყოლს (ყველს) აკეთებენ (ადიდებენ — ადედებენ).

როდესაც ცხვარს ტკიპ-ი უჩნდება, შვიდ ტკიპს ჰყრიან ლერწამში (ყავარ-ში); აქედა ექვისი ერთ სქამს, შემდეგ ხუთი — ერთს, ოთხი — ერთს, სამი — ერთს, ორი — ერთს და ბოლოს ორიდგან ერთი მეორეს სქამს. რჩება ერთი, რომელსაც გენაჩი-ს (თურქ., ტკიპი, მეტკიპეს) ეძახიან. დაზოვაში (მოგების დროს) აიბ ტკიპს ბატკნი(ს) ყბაში (პირში) ჰტყელმპენ (სწყელტენ), ათქმევხევენ (აყლაპებენ) და იმ ფარაში სადაც ეს ბატკანია, ტკიპი აღარ განდდება. ხშირათ ანეთი ბატკანი „ჰამგალა“ ფარაშიაიც მიჰყავთ ხოლმე ხუთიოდე დღით, რომ იმათ ცხვარსაც დასცივდეს ტკიპი.

მწყემსების და საზოგადოთ ჩობან-ფეშაქარის და ძაღლების გამოსაკვებათ ას ცხორზე ათ ფუთ ყირაა (ყერი), აქედგან ორი ფუთი პური (პურის ფქვილი)

მიაქვთ. გარდა ამისა დაწესებულია „საკლავ“ შემოდგომაზე ას ცხორზე ერ(თი) ლეშ, ზამთარი (ზამთარში) კი ას ცხორზე — ორ ლეშ. ამ ანგარიშით რაც მომეტდება, იმას ჩობნები იღებენ თავიანთთვის. ხშირათ მწყემსებს გემრაში გასამრჯელოთ ყოველ ას ცხვარზე ორ ბატკანს და ერთ ბერწისაც აძლევენ. ამ წესით მწყემსებისთვის დარიგების შემდეგ რაც გადარჩება, იმას ჩობნები იყოფენ.

გაზაფხულზე ასიციხევაში ცხორს ჰკრენჩხენ (გაკრეჭვა) და განაკრენჩ მათ ფალუს (გაზაფხულის მატყლი)! ყველა თავის ცხვრისას თვითონ იღებს.

გაზაფხულზე ნაწველი რძითგან თითო ჩაბანს ორ ქაპტა რძე ერგება (ანუ ოცი ვედრა), დანარჩენს — ცხვრის რაოდენობის მიხედვით ჩოფზე (30 ცხვარი ერთი ჩოფი-ა. თურქ. — კენჭს, წილს). ამ რძეს ყველად ადღებენ. მისი დადგომა ცხორ ჰირანლ — ანუ თავში წასულაში — თავში ექვსი ჩობან კეპტევის. ესენი რიგით მიდიან სახლში, ხოლო მწყემსს ეძლევა მარტო ათი-თხუთმეტი დღის შვებულება. საღმალ ნაყურეგ ფეშაქარს (მეწველის მომვლელ მწყემსს) თავში (მთაში) რვიდან თხუთმეტამდინ თოხლს და ნახევარ ქაპტა ზეს (რძეს) აზღევენ, ყისირ ნაყურეგს (ბერწის მომვლელს) კი — რუამდინ თოხლს და თავი (თავისი) ცხრუ (ცხვრის) ზეს (რძეს). ჩობნევიზე ას ცხორზე ორ ქაპტას (ოც ვედრას) ზეა (რძე) მიცემას უკან, დანარჩენს ცხვრის მიხედვით ჩოფზე ჰყოფენ. მეწველთა სათვალავში ვარდება ყველა ბატკან მანაკლომ, ანუ ოლურ-სალიც, რომელიც სამ დღეს მაინც მიიწველება. ჟირაა (ჭერი) მიაქვს იმას, ვისთვისაც იწველება, ისე რომ რძის პატრონი ყველას — ჩობან-ფეშაქარს და ზაღლევისაც აჰმევეს. ყველასგან კუთვნილი რძის მიღების შემდეგ თხუთმეტი ოცი დღის რძეს მათალი(ს) პატრონ ააქს (იღებს), შემდეგ კი ჟირაა წანალეგ (ვინც ჟერს მიიტანდა) ჩობან-ფეშაქარს ერთი-ორი დღის რძეს აძლევს. ჩობანს ერგებოდა ხოლმე მთაში ოთხი-ექვსი ყრლი გუდაა (რძის მიხედვით), ამაზე მეტს ჟირაა წალევით ააქონდა. მათალის აყრა-დაყრაში მანაწოლ ზეს ჰყოფადენენყ. მისაც (ვისაც) ერ(თი) ჩოფ-ცხორ არ აქონდა. არც ზეს აზღევენენ, არც ჟირას ართომდენ და არც საკლავს ადრვიებდენ (დადება, გამოლება). ასეთ მწყემსს მათალი(ს) პატრონ ცოტა ყრლს თავიზგნი აზღედაყ. მას ჟირაას და მარილი(ს) კოლა (მაგიერ) მატყლით უჭერდენენყ. სხოთა ცხრვით მანასეულ შანარევენ მავა ცხორს (თურქ. მოხეტიალე, დაუდგომელი) ცალკ აშენევენდენყ დააკოლა — შეკმელა (დასაკლავთ და საკმელათ), ამას საღმთომზე არ ჰკლავდენენყ (ანუ არ ჰკლვდენენყ). გასამრჯელოში მისაცემ ცხვრებს, რომელიც ერგებოდა მწყემსს მთაში ყოფნის აძლევენდენ ხოლმე ტაპანტიმ ქნაში — გემრაში — შესვლის წინ. მხოლოდ მწყემსს ეძლეოდა ნება დაერჩია ის ცხვრები, რომლებიც მას უნდოდა

ავვისტოში თოხლი ჩამოდის (მ)თითი და სექტემბრის ნახევარში ცხორში ყოჩს რევენ ასე რჩება ნარევათ გემრაში წასულამდე. თოხლს მარიამობი მარხოა გასხლინევაში ჰკრენჩხენ (ჰკრეჭავენ). გაკრენჩხაში თოხლი მატყლითაც, ცხრუ მატყლითაც ათით ერთს (მეათედ მატყლს) გამკრენჩხელ ყირხინ ჰაჰყს — თურქ.,-გაკრეჭვის ფასი) ააქს. დანარჩენი მატყლი ცხვრის პატრონებს ეკუთვნი. გაკრენჩხაში განაჰერ ადგილში ტრრს (მტვერი) თუ აქოყ (აქვთ), დანაყულ კრამეტს აყრიან ან თავისივ კორკალს უსმენ. ცხორ თავქე პატა გვან მოდის და სექტემბრის ნახევარში ჰკრენჩხენ.

ცხვრის დაავადებანი. აცივება—გემრაში შესვლის შემდეგ „ცხორს ყირავ-ში“ (კირხლის დროს) კარში არ უშეშენ (არ უშეშებენ) გაბერწდვის (უღროო ბაქალაი(ს) გადადევება) ან კარში ტარევა (ფალარათი) ოუჩნდვისავ“ (აეჩნდებო).

ქამლამიშ ქნაში (ამ დროს თავჩაქიდებულათ დადის ცხვარი, არა სძოჲს) ტუჩს უღადენ.

ცხორიბე სხოდასხო საზოვარ მოზონმა კაი არა (ყარგი არ არის), დოლი დროზე აი მიზნი ჩანდა (თურქ., ნიკაბი) უსივდვისყ.

ახალ ჩალთუქი(ს) ქირღამი (ადგილი სადაც ჩალთუქი ეთესა ან ჰთესია), ნაჰყანტში მოზონმაში პეკელაა უჩნდვის და მეორე წელს თუ აუნაუერი (საძოვარი შიხდერის სახელია) (ძ)ლაშეჲ შოზონა, აი მაშინ ირჩეგს, ზოგ კლრვ (ყდებმა), ზოგ ჩევის ნაწოლ დროზე (წველის დროს).

თუ დიდ ხანს წყმრიან (ავდარი, წვიმიანი) იქნა ბოზეურმიშ (თურქ.) ჰჩედის=ზეში (ჩძეში) სისხლ ერევის, დიდ წყმრიანში პატა ხანს აღარ ჰწრლენ (აღარ სწველიან).

ყოთურ (თურქ., ჭეცი) დაყრაში ნახუნა ტაშს (შაბაიანს) და ნავთაღისს უსმენ (ეს ამ ბოლო დროს არის შემოღებული, უწინ შავ ნავთ უსვამთ).

ცხორ დიად ბევრ ყოვილადც ეყრევაყ (ეყრება ხოლმე).

ცხორ დაზოვა (მოგება) ბატკან ცოტა მოზდას (მოზრდას) უკან ყურზე თვითეული მეპატრონე თავის ნიშანს — ენს (სერს) უჭრის. სშირად დამატებით ცხვრზეაც ადრევეყ (ადებენ) დაღს. ამა(ს) ყილაგ დამღას ეძახიან.

ცხორს გემრაში ქნაში (ყოფნის დროს) ჰადვლოვით მარ არ ეჭირეოდაყ (არ სჭირდებოდა ხოლმე) შორაქათზე, ანუ (ალ.) შორანზე მიჰალაღენენყ. წყალ დაალენენეელააც კკრაიში — ცოტა მეტ ან ნაკლებ დროში ვრთხელ მიჰყონიდნენ (მიჰყავდათ). შორანზე ნაქნარ (ნამყოფ) ზროხასაც მარილს არ აჰმევენევენყ (არ აჰმევენყ). ყველა საქონლის პატრონი მაგარი ზამთრისათვის იმზადებს ბალახს, ანუ კმელ ბალახს.

„ბალახ შოწვევაში (შომწიფება) ყოროღს (საბალახეთ შენახული ადგილი მინდორში) ჰსომენ ხოლმე ოიღს (ნიშანი, საფთხობელა), რომ ყველამ იცოდეს და არ გააზოვან“. ასეთ ადგილს თავლასაც ეძახიან. ჩალლუდთი (ცელით) ჰკაჰენ (თიბვა. ინგილოები თიბვას ბალახის ხელით დაჭერა-მოჭრას უძახიან), მამულს კი ნამვლით. დაკაჰულ ბალახს ზედაპირი როდესაც გაუხმება, მბაითი, ანუ ფიწლით აბრუნებენ, მეორე მხარის გახმობის შემდეგ თალამევს (კაკურ.) აგროვებენ ზოთულევეში, ანუ კოტმანში (კაკურ.), ანუ (ალ.) ათალამებენ და ურმით მოაქეთ ან სათვეზე, ანუ (ალ.) სათივოზე აყრიან, ან აყარაზე (სხვენში). წყმაღ მანახტომი და კოხე ბალახ უბარაქათომ კეპტევისყ.

საკეები ბალახი. მონუჲ ორნაირია — თონლი ბაში-ი და იგრეჲ მონუჲჲ, ნოყიერი კარგი ბალახია. სამყურა ბალახ, წივან ბალახ, გრგ ჩიშან (თურქ.), ანუ (ალ.) კლანჭა, ჭალიშ — ესენი გაზაფხულის ბალახებია. შემოდგომანუ ამათ ემატება კატი კულაჲ (კატის კუღის მზგავსი თავთავი აქვს), ანუ (თურქ.) ყუშოთ, ღორმუჲ (ჩალთუქში რომ ერევა ხოლმე სულუფი — ფეტვის მზგავსი, იმას ჰგავს), ყავან (ახლათ ამოსულ ჩალას ჰგავს), ყირხბულუმ (სიტყვა-სიტყვით=ორმოც სახსარს. მართლაც ძალიან ბევრი სახსრები და ნემსის სისქე ფოთლები აქვს, კატის კუღს ჰგავს, რბილია). ყირხბულუმ და ყავან-ი ყარასავში ბევრია, მთიან ადგილებში და ხეობებში არ არის. სშირათ ლურჯ ბალახზე ზედ მიკრულ ბალახისფერ გულაში არის ხოლმე ერთნაირი ჭია ჩარ-ი [თუ] ეს ზროხამ შეჰამა, კვდება.

ბალახები. რომელსაც საქონელი სკამს, ბევრია, მათ შორის არის: სულფუფ (ჩაღთუქში ერევა ხოლმე. ნაყოფი ფეტვს მიუგავს), ზიზო (ალ.) გაზღაში ცახ კეპტევის, უინჰარს, უინჰარი დედასაც კმელს დიად ტკბილა სკამს ზროხა, ზურხუნა ფოთოლ, ანდუზი(ს), ანუ ბუპრი ფოთოლ (ძირხინასთან შედარებით ვიწრო, გრძელი ფოთოლი აქვს), მატიტელაა, ლაფჩინა (ბუჩქათ ამოდის, ეფინება მიწაზე), კატი კულაა, აბალახ (თურქ.), ანუ (ალ.) ურო, ქალიშ (შალაფა), მონჟა (ორ-სამნაირი: თხილიბაშ, სამყურაა), წივანა ბალახ, ანუ (ალ.) კლანჭა, ბალდურღან, სიამ (ხვე, სატაცური — ადამიანები საქმელს აკეთებენ), დუნყორაა (ადამიანიც სკამს, აცახებულ ქინძს, ტორახუტს ჰვავს), ყირხ ბულუმ (ყარასავში მოდის, წიწვივით ფოთლები აქვს, მრავალსახსრიანია), ყაგან (ნესტიანში, ქყახტობში ამოდის), ჩირაღდან ყაგან (ჩალას ჰვავს, სახლზეც ჰხურავენ ხოლმე), თომფუხ ყაგან (თავზე კვერს იბამს, ზედ ბამბის მზგავსი რამ ესხმის), კოკიბი ხაკეკ (სულფუფს ჰვავს, მხოლოდ უფრო ფეტვის მზგავსი, თეთრი ნაყოფი იცის), ჩეირ.

მთაში ბევრია ყვავილიანი ბალახები, მაგალითად: ქაქოთ ყოან გოზ (სიტყვა-სიტყვით = ცხვრისთვალა), კარაწ (ადამიანიც სკამს), ხაჩ, ბერზ, წადანბურ, ჩამან და სხვა. აუნაურში — საზამთრო საძოვრებში მთავარი ბალახებია: მეფუნა, ჩანინ, სირქან, ქეთირგან, ყარაღან, შაქარა შორ (ამას ცხვარი ძალიან ეტანება, მარილიანი ბალახია), გენგიზე, დვამა, ჩურუქ, ეზგან, შახთოქან, ჰავარ და სხვა. ზემოხსენებულის გარდა, საინგილოში გავრცელებულია შემდეგი ყვავილოვანი და უყვავილო ბალახები: აუანკერ, პიტნაა, ყაყაჩოა, კუშკუა ჩიჩაქ (იქმევა), ჟავანაა (მჟაუნა), დალოა, დალაყოფაა, საპყიზი ფოთოლ (ყევის ფოთოლი: აპრის დროს კევში რევენ, ამით აკეთებენ. იარაზე — წყულულზე ადებენ, ამწიფებს მას და პირს ღიათ უნახავს, ზოგნი ოფლის მოსაყვანათ ჩანსაც აკეთებენ ამით), ბალბაა, ვირი ბალბაა, წყილი ბალახაა (მზეუქერიტასავით თავს აკეთებს ყვითელი ყვავილით, სახლში ჰყრიან, რწყილს სპობს, უწინ ამით არაყის მზგავსად ნუმადერან-ს ხდიდნენ წამლათ), ჰრედ თავაა, ბოაად (მისი ზურკი-კუქში გასახსნელი წამალია), კოპაა (წამალია, ვაჭრილზე აყრიან), სურსულაა წამალ (თრთვილის წამალი, ყვითელი რძე აქვს), ვაჭიზორაა (ვენახებში მოდის), წიწმატა ბუღაბ (წყალში ამოდის), ენაწყეპიაა, ბამბა ბალახ (წყილი ბალახს მიჰგავ. ზურკითორ აქ(ვს), თავთავ ყვთოლ, ბარამბოა(ს) სულ მოპდის, წამალი მარაზე დავრამი ზედ ახალ კორცს მოჰყონავს), ყააა მარფადი (სიტყვისიტყვით: კონტის ფოთოლს, გოგრის ფოთოლს ჰვავს, მარაზე ადებენ, ძალიან გრილათ-რძავს), უცან (მთაში იცის ძირნაყოფაა. ნაყოფი ძალიან მიაგავს ხახვს, მხოლოდ შხამია ძალღების ან ნადირის მოსაშხამათ ხმარობენ ხოლმე), ყოვი-პუანტაა (ენძელა), იაა და სხვა.

მცოდნე პირები წამლათ სავარგო ბალახებს, ყვავილებს ჰკრეფავენ, ან-მობდნენ და დაფშნობენ თორბებში ინახავენ ხოლმე. მარაა(ს) ამაპროველა მაყლ(ს) ფოთოლს ზურგზე ეკალს ვუფხეკიდნენ და გამხმარ-დაფხენილს ინახავენ. გაზაფხულობით და ზაფხულობით კი ხშირათ პირდაპირ ხმარობდნენ ხოლმე გაუხმობლათ.

წველა და რძის ნაწარმი

ფურის წველა. დილა-სადამოთი მეწველ საქონელს (ფურს, ფურკამეჩს) მიაყენებენ თავის ბაკალასთან (ხბოსთან ან ზაქთან), აგერევენ (პირველათ ხბოს, ზაქს ჩამოაკერეინებენ პირს მუქზე), მოუგერებლათ მეწველი ზროხა (ფური,

ფურკამენი) რძეს არ ჰყრის, არ იწრლევის. მოგერების შემდეგ უჯღებთან ახლოს მუხლებში ტორინწოითი, ანუ ზარფუშით ან ორყურაითი და ორ ძელეს ერთად (ორივე ხელით), ორს ერთად სწველავენ. ზოგ მეწველს შუა წველის დროსაც სჭირდება ხოლმე მოგერება. მაგარ ზუზუიანს ბევრ მოგერევაა ვუნდ, (რბილ ზუზუიანს ცოტა. ზოგი ზროხა ყალბი-ა, განგებ არა ჰყრის რძეს, ასეთს ხშირი მოგერებით სწველავენ.

მოწველის შემდეგ რძეს ასხამენ ხაძრაში და საზეუზე (სარძევეზე) სღებენ და დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ (გაციების შემდეგ) ხაძრაჲ პირს მჭურენ. ასე დამე ვართ დარჩენილი რძე მერ ნაღებს იღებენ. მეორე დღით ნაღებს ხლიან, ნაღები კურკულში — სანაღებოში ასხამენ და იმ რძეში დღით შოწველილ ახალ რძესაც ურევენ, აღუღებენ. ქებას უმი რძით ყრუე კმაჲ აჲ, ხოლო ნაღული რძით კი უფრო ღია ხმა. ახალ დანახოვ ფურის-ფურკამენის რძე სამ-ოთხ დღეს იჭრება, დაჰოა ხდება ხოლმე. ნაღულ რძეს ასხამენ (რ)-ზი-ს კურკულეში, ორყურაეში რამდენი და გაგრილების შემდეგ ერთ კოვზ დოს ასხამენ სადღედეთ. ჩადღებულ რძეს ზამთარში თბილად ახვევენ ხოლმე. ერთი სადღობლის სამყოფი წწლაჲ-ს დაგროვების შემდეგ წწლას და მისი კურკულების ნაჲლებ წწლაჲსოდენ წყალს ასხამენ სავაზით ჩამოკიდებულ სადღობელში და დღობავენ. ცოტა ხანს შადლობას უჲან ქოფუქ (ქაფი) კეჰტეჲ (ხღება), ამ დროს სადღობელ შოილოვსე (შოილავს ხოლმე). მეგრე ხღება წილ-ი (იწილება). აწილაში სოციეში თუ სადღობელ გაციეულ (გაციებულა), კოვზით წილს ააგრიგრ სწევენ, ცოტა განათბოვ წყალს ასხმენ (ოდნავ თბილ წყალს ასხამენ). ამის შემდეგ ცოტა ხნის შადლობას უჲან სადღობელ იყრევის (შეყრა, შეკუმშვა). საკმაოთ შეყარლს სცილიან პირფართო კურკულებში. ქაფქირით ხლიან კარაჲს, კოვზით ზელენ, დოს ადენენ და საკარაჲში ადღევენ, ყათყათ (თურჲ, — ფენა-ფენათ) მარილსაც აყრიან.

კარაჲმობილ დოს სდგამენ ქებათ ცეცხლზე, ჰჭრიან. ცოტა გათბობისას სუზმას (ხაჲო, კაღტო) პირზე იღებენ: ამ დროს სუზმას ქაფქირით ხლიან და სუზმის(ს) თორბაში ასხამენ გასაწურათ. სუზმას ან მაშინვე სჭამენ პურთან, გორკს აყეთებენ (ერბოთი. ყვერცხით. მწვანელით მოკლაულ საუზმით) ან ამარილებენ და ქოთნებში ინახავენ საზამთროთ. სუზმაჲ-ს მოხდის შემდეგ დარჩენილ სწლს (შრატს) ფლავის ხარშვის დროს ზედ ასხამენ, რადგან დოში და სწლში მოხარშული ფლავი გემრიელი გამოდის ან კი ზადლს ან ძროხას ალევხევენ. სწლით ხშირათ ცომსაც ზელავენ, დოჲამაღსაც აყეთებენ და მარილს რევენ, ყველზედაც ასხამენ ხოლმე.

კარგი დიასახლისები მომეტებულ დოს არ ასხამენ. ისინი აგროვებენ აციების შემდეგ დოს ორყურებში, სადაც დოჲ ისრლევის — სქელ დოს ინაზირავენ. ზევიდგან სწლს სწურავენ და სქელ დოს თორბით სწურავენ. ასეთი დო გაწურულ ცხერის წწლას ჰგავს ხოლმე როგორც ფერით, ისე გემოთი. ამას ამარილებენ და ქოთნებში ასხამენ, ზევითგანაც მარილს აყრიან, საზამთროთ ინახავენ; ამას გაწურულ დოს ეძახიან. ზაფხულში კი ასე ნაგრევე (ნაგროვებ). გაწურულ დოს აღუღებენ თავის წყალის ჩამორბამდე და თორბებში ჩაყრილს ორი ფიცრის შუა ათავსებენ. ზედაც ქევენს აყრიან. სამ დღეს ასე რჩება და გაწურვა-გამაგრების შემდეგ თორბებითგან იღებენ, ფშენეტავენ. ანელებენ დაკუწულ ნიახურით, ტორახუტით და პირპილი ყოჲითი, თუ აკლი, მარილსაც აყრიან, სახსია კურკულში (თიხის კურკულში) ჰყრიან, ზედამთი აყრიან ნაზირაღს (ერბოს ნაძირაღს), იმა ზედამთი ასხმენ ცოტა ერბოს (ქონსაც ამბობენ) და ყბაჲ შოკრულა ინახავენ ზამთრიდებე. ამას მოდულეულ სუზმას ეძახიან.

თუ მეწველი ბევრი ჰყავთ, ნაღები(ს) სადღობელ ცალკ დღობენ, თუ აარ — ერთად). რადგან ბევრი კარაქისგან სადღობელი იჭრება (იხრჩობა ხოლმე). ჩუმაი უგოუთბოველა (გაუთბობელათ) თავის თავზე ჩანადიდევ ზემს (რძეა), ამას ჩონ (ჩენი) ხალდ არ აკეთევს. ჩუმაიი სადღობელს დალისტინლეე დღობენ.

ეხლა ხმარებაშია ხის სადღობელი, უწინ კი ჰქონიათ სახსია (თხის) სადღობელ. დიდ მუცლიან გოზაურივი რამდ, მუცელზე ერ(თი) ყულეიკ ჰქონდა და ყულღს უკან ერ(თი) ტრარლიც. ხვრელში ყავარს (ღრწამს) აძვრენადენენ ზერის გამოსამეველთ და დაღერის ასაცილებლათ. ამ სადღობელ სღებდენენ ტომრით შვეკრილ. ბალახით გაქვიდლ სასტულივი რამდზე (სასთუმალით). ბალინივით რამდზე) და წინაყ-უყანაყ ჰქმფავდენენ (სჩქვეფავდენენ. აჰანჭყარებდენენ). გასიხჭვის დროს ყავარს აძრობდენენ და უშხერდენენ, თვით ყავარსაც ეტყობოდა ხოლმე, თუ რა მდგომარეობაშია შიგ ჩასხმული მაწონი.

საკარაქის ავსების შემდეგ მარილიან კარაქს — ზაფხულობით ყოველთვიურათ, ზამთრობით ორ-სამ თვეში ერთხელ ჰყრიან ქვაბში და ცეცხლზე დაღენ (კარაქ დადაღა). ცეცხლზე დიდი ხნის დულილის შემდეგ, როდესაც კოვზში ამოღებული ერბო იღუღებს (კოვზში), მაშინ ასხამენ თიხის ჭურჭლებში — კოჭევეში, ქოთნევეში და ინახავენ სეარამთი ყვბა მოკრულათ). ერთი ქოთანა — შიოივი ქოთანა (შიოიობის ქოთანა) — აქვთ ხოლმე ცალკე დადაშა(თ) (ზედაშეთ). შიოიობას ამ ქოთნის ერბოს თითონაც ხმარობენ და მეზობლებს უსაღინოს (თურქ. უშეწვეღოს) უგზავნიან ხოლმე. ამ ერბოს საკმელ ჩაყრევა არ ჰკმაროვენ, არ ჩოუვარდევა.

კარაქის დადაღვის დროს გამუღმებით ურევენ ჩომჩას, რომ არ გადავიდეს არ გადაიღვაროს. პირველი დულილის დროს ქოფუქიანი (ქაფიანია), პაშტა (საკმოდ ბევრი) დულილის შემდეგ შუაითი იწყოვს დულილს, აი მაშინ ამბოვენ — გამჯრებავ (გაიხრიტა). ამის შემდეგ ნელა, ჩასრწულა (ჩასვენებულათ) დულს ხოლმე. როდესაც საკმოდ დადაღულია, გარდა კოვზში დულილისა, თერთ ქოფუქს იგდებს ხოლმე (თათრები კარაქის დადაღვის დროს ზაფარანს უყვენ ხოლმე). ერბოს ქოთნებში ჩასხმის შემდეგ ქვაბის ძირში რჩება ქონში ვაძღხარ, მოდუდეულ მარილნაზირალ. ნაზირალსაც ცალკე კოჭევეში ინახავენ, მარილის მაგიერ სასხლინო სპემელში გასარევათ (კარგია ფაულაში, სუნმაი მაშუმულა, დოშიჰამადში და სხვაში).

ცხვის წველა. ცხვარი ბარაზე (თურქ. ადგილი სადაც სწველავენ) მოჰყავთ საძოვორდგან დილაზე ზეა ჩეშტზე ქნაში (ერ(თ) საბელზე ქნაში), მწყემსები ახლოს ურეკავენ და მომწველი ჩობნები ჰწაღენ (სწველავენ). წველის დროს ორივე ხელებით უჭერენ ცურს და რძე ოთხთავე უზუჰდითი ჩადის რძის კასრში. მოწველის შემდეგ მოჰყავთ საძოვორზე გარეკილი ბატკნები და ურევენ ცხვარში, მოწონას უკან ერთად მიერეკებიან საძოვარზე. სალაპო ხანს ზეა ერ საბელზე დარჩომაში ანუ (თურქ.) ილქინდიზე (სამხრობას) ბატკანს აცალკივენ და მებატკნეა ჰყუროვს (უგლის); მეორე დღემდე — მოწველამდე ცალკე ინახავენ.

მოწველად რძეს სუფთა ბალახით სწურავენ ქაპტაში (უდრის თორმეტ ბაკახს, ახუ თიხჩანს — ათ „ვედრას“) და თბილ-თბილათ მაიათი (ღვრიტა) ადიღვენ (აღდედენ), კეპტევ (ხდება) დელამაა. შემდეგ დელამას ასხამენ თორბებში და გაწურვას უკან ჰყუწენ (სურან), ბორტოვს ყწლი (ყვილის) გულაში ჰყრიან, ზედ ასხმენ თავის(ს) ხრლს (შრატს), ანუ ალხანას (ადგილობრივი თურქ. ასე ეძახიან), ჰყრიან შიგ მარილსაც და ყბას (პირს) აკრინ (აკრავენ). ყველის გულებს ყოველ დღე გვერდს უცვლიან — აბრუნებენ და დღეში ერთხელ ყურს

უხსნიან, ქარს უშვებენ, რომ ყველი არ აყროვლდეს და გულად არ გატყროსავ. ყველის ჩადელების შემდეგ დარჩენილ სრლს ცეცხლზე სჭრიან (აქრა) და ზედ მანაგდედ მაგაშ-ს ჰქდიან (კალტხ ხდიან). მაგაშს მეტწილათ სჭამენ მაშინვე, ან ბინაში ან სახლებში მოაქეთ. ზოგჯერ დამარილებულს გულებქშიც ინახავენ საზამთროთ. უფრო ხშირათ სრლით ზალღევს ძალს უკეთებენ ხოლმე.

ყველის ჩასადელებლად ახალ დანაზოგ უმოვწოვნელ (მოუწოვნელ) ან ერთხელ მანაწოვენ — მანაქდომ ბატკანი ყურსაღს (თურქ., დვრიტას) ავმოვენ, ინახავენ სადიღეაბე (სადღეისთვის, საღეღეთ). შემდეგ ყურსაღის ნაწილს ხსნიან სრლში (ანუ ალხანაში), შიგ ურევენ მარილს, შინდს ან ქლიავს და ცოტა შაბს (შაბს). ჩადელების დროს თითო პატარა კოტროშს ან ქამ დვრიტას ასხმენ რძეში. საღეღის გამოღევის დროს კიდევ უმატებენ მკავეულს, მარილს და შაბს, ვიდრე დვრიტას ძალა გამოელევა. ბევრ მააი განარევე დელამაი კარში ატარევესყ ინსანს (აფლარათებს ადამიანს).

ერთი ქაბტა რიითგან ოთხ ფუთამდე ყრლი და ყრლი წონ (ყველი და ყველის წვენი) კეპტევის. ყველის გარდა, ჩობნები წწლასაც (მაწონსაც) ადღეებენ; ამას ხშირათ საზამთროთაც აგროვებენ ბევრს.

წოლა(ს) ჩასადელებლათ რძეს აღღებენ და გაგრილების შემდეგ საღედეთ შენახულ მაწონს ასხმენ შიგ. ჩადელებულ წოლას ასხმენ წმინდა ტუმარაში, ყბას აკრან (აკრავენ) და (მ)თი(ს) წმინდა წყალში სდებენ, ზედ აყრიან ქვებს. ასე რჩება მიმდინარე წყალში ერთ კვირას — თ დღეს; წყალი მას შაჩქრფავს, გაიწურევე, ყვე წონ (წვენი) გასულას უკან ამარიღევენ და ყველის გულში აღაგებენ — აწყობენ. ასეთი მაწონი ძალიან ქონიანი და გემრიელია ხოლმე. შესანახათ მაწონს ადღეებენ ხოლმე ცხორ (მ)თით ჩამასლრლ (ჩამოსასვლელ) დროზე.

საქონლის დაცვლა და ტჰავის გამოყვანა

ჰკლავენ ყოჩს, თოხლს, ყისირ (ბერწ) ცხორს, ქეჩის (თხას), ზროხას, ქარს, კამმეჩს ყისირ ფურს (ბერწს, ურწანს), ტანას, ანუ (ალ.) კბოს, ზაქს (გადაქს. თურქ.).

გასასყიდალ საქონლის დამკველს ყსაბჩი-ის ეძახიან.

ზროხაი დაკლაში მუცელთანი სიგზეზე უხვევენ ტჰავს და ერთ გორდს (გვერდს) ჰქდიან (ატყავებენ, ხდიან) დანით, შემდეგ — პატარა ცულღით ან ჩაფაჯლით (თურქ., სათული). ქრშაითი ქვემოღვან ნეკევეს და მუცელზე ნაქნარ კორკს შუადათი ჰქრიან და ჰშიგენ ისე, რომ ნალველ არ გატყროს (არ გასკდეს), გამომოგნაი — გამაქქონ (იღებენ, გამოაქეთ) ფაშფუტარს (ფაშს, წრულ ნაწლიევეს, სქელ ნაწლიევეს, ყურთ ემაზ (ბრიმა ნაწლიევეს), მედლო გელინ დევმაზ (თურქ., — კუკი), ღვზლ-ფვრტს, თავი ყერყანტუათი (ყანყრატოიანთ) და სუსალულით (სასულე); გულს, ტყირას, კუქევეს (თირკმელები); გამომოგნვის შემდეგ ზურგი ზოლთანი (ხერხემალთან) ნეკევეს ცულით ან ჩაფაჯალით სჭრიან, ჰკეპნიან და კარ(ის), ანუ კლავ(ის) (მხარი, წინა ბარკალი) ბარკალ(ის) აქრას უკან, სჭრიან გორდევს-ნეკევეს (ნეკევი) თხელ ფერდის ზედ აყოლებით. ამის შემდეგ მეორე მხარეს — გორდს — ჰქდიან და იმსაც ისევე ჰკავსენ (აკავსაი — ასო-ასო დაქრა), როგორც პირველ გვერდს. მეორე გვერდის აკავსვის დროს კარ-ბარკალ, გორდევ — ნეკევეს, თხელფერდ აქრას უკან კერდს, ბაკანას, ანუ (ალ.) უში ზოლს (გავის ძვალი, ტაშტი), წრულ ნეკევეს, ანუ კეპტნას (ზოგნი სხვა კარგ ხაჭერსაც კეტხას ეძახიან) ცალ-ცალკე იღებენ და ბუხალზე (მრავალჩხი-

ნი ხეა მიწაში ჩასმული) ან ჩხეზე ჰკიდებენ. აკაფსვის დროს ჰკუთლენ (დამბილვა, რბილის აქრა) — გამაქონ სუკეეს და ობოლ სუკეეს (სუკი ნეკენების და ზურგი ზოლი-ს შეერთებასთან არის გარედან, ობოლ სუკეე კი შიგნით); ფაღს, ანუ მაღას (ბეჭი) აკაფსვის დროს ჯერ თავს და კისერს, ანუ კისრი ზოლს [აქრთან] ცალ-ცალკე, შემდეგ სხვა ნაწილებს. აკაფსვის შემდეგ, თუ ზროხად საშინაოთ — საკორცეაბე-ა დაკლული, ჰკუთლენ (დამბილვა), სატუნეს (სატკინე) ცალკე ააქონ (იღებენ), ბილს (რბილს) ცალკე და დედაკაცები სატოლმეს, საპინგაგურ[ეს] (საძებვო), საძწოდეს (სამწვადე) ცალ-ცალკე ჰკუთუნენ ყიმიქაშით (თურქ., ხაკეპით) და კოქპევეში ან ქოთნევეში ალაგევენ. ფაშფუტარსაც ცალკე აკეთევენ.

ზროხის ტყავს აყრიან მარილს, მარილზე — ნაცარს და ერთ-ორ დღეს დაკეცილათ ინახევენ, რომ მარილი და ნაცარი გუჯდეს. ზოგნი გაცდიითავ (გატყავებისთანავე) სართხამით (ორმხრივ განხუტელი სქელი ნეღლი ჯოხია) ართხაშს, ზოგი კი ერთ-ორ დღეს მარილ-ნაცარმოყრილის, დაკეცილათ შენახვის შემდეგ. გართხმულ ტყავს საკომლესთან ან იგრევე, კომლნაჟეკ ადგილში (იქ სადაც ბოლი ხვდება) ჰყუდევენ, დროდადრო უვლიან. თუ ალოწრიანეულ (ალოწრიანებულა), ზედ კიდემ მარილს და ნაცარს აყრიან. გაქმოვას უკან ჩამაქონ (ჩამოაქეთ), დანაყულ ნახშირში ამნასრვლევე (ამონასველები) ბაწრით ტყავს სიგზზე მშოლტად (დაშოლტად) და შოლტ-შოლტ (ერთი საქალამნის სიგანე ზოლათ) ჰჭრიან, კარგ საქალამნეს ცალკე, ცუდს ცალკე. ტყავის უკეთესი ადგილია ზურგი ზოლთან — საღრია, ფაჩევე კი (მუცლის ტყავის და მკლავბარკლის ბოლოები) მდარე ხარისხისაა. ზროხი თავით განჯად — თავრიალ ტყავს ცალკე ართხმენ. პატარა ზროხის ტყავით მეტწილად ხაღრდეს (კოპი, ღვედ) აკეთებენ, მსხვილი საქონლის ტყავით — საქალამეს. ამის მხოლოდ თხელი ადგილები შეიძლება გამოყენებული იქნეს საღრდებზე.

საქალამნეს წყლის გარდა სრლშიაც (შრატშიც) ალბობდნენ ხოლმე მეტი სირბილის მისაცემათ. ზოგიერთი ფარგალ ოჯალი (ოჯახის) შვლს ექონეოდაყ (ეწინებოდა ხოლმე) მენაში მანახულ მურენი წონ (წვენი). მურყენი ყაბობს (სქე-ნი ქერტი) ჰვლდნენ, ქობში კიაგორა (კარგათ) აღულევდნენ, კიდე (მერე, შემდეგ) სქელ წონს ასხამდნენ დიდ მენაში, ზედათიაც კიაგორა ჰხურავდნენყ. საჭირო დროს ამ წვენში ალბობდნენ ორი-სამი დღის განმავლობაში საქალამნეს. მურყენის წვენში ჩამბალი ტყავი კარგი გამოდის ყუთოლ თაფტად ფერით თუთანაც (თითონაც) ჰეჩ (თურქ., სრულებით) არ ყროვლდევის. ზაფხულში ჩასაც-მელ ტყავს ბევრნი შექელ დაბადევენ აზლევდნენ გამაქენელა (გამოსაქენელათ) სანახობრო (სანახევროთ).

ცხორ, ყოჩ დაკლაში ან საყრიგუდეს ან საქერქე-საფაფყეს (საქედეს) ჰვლიან. საყრიგუდეს უკანით) დუმასთანით ბუზნით (მუშტით) და დიდ თითით (ცერით) უგოუქრელა — გვრგლა ჰვლიან. საყრილი გუდეს გახდის დროს ერთი თავთან ყელი აქვს გაჭრილი დანით და მეორე ფეხები აქვს კოქანასთანით (მუხლთანით) დაჭრილი. საქერქეაბე და საფაფყეაბე ცხორს, ყოჩს მუცელთან სიგზზევე ვუჭრიან ტყავს კიდე. თუ სუქანი, დანით ჰვლიან, ტყავზე ქონ ნუ წა-ჰყოსავ (არ წაჰყვესო), თუ კი ჰლეას (მქლეა) — ბუზნით და დიდ თითით.

ქერიითი (თხით) კი ან გუღააბე და ყრლი გუღააბე, ან კი (იშვიათად) სატიკეს (თუ პატარაა), სატიკეორეს ჰვლიან.

საგუდეს უკანითგან წინ კისრისკენ გაუქრელათ რველათ ხდიან (ატყავებენ) ისე, როგორც ცხვარს, ხოლო სატიკეს კი კისრითგან შიგნით ბუზნით ჰხიან. ამას კისრის ფეხების გარდა სხვა განაქერი არა აქვს ხოლმე. ბუზნით ტყავის და ლეშის ვაცალეკეების შემდეგ ლეშს აძვრენენ — გამოაქეთ კისრითგან. სა-

ტიკეთ გატყავებული თხის ლეში ლურჯ ლახტივით ხდება და ბევრნი არა სკამენ ხოლმე.

გატყავების შემდეგ ცხერის, ყოჩის, თხის ლეშს ჰკიდებენ ბუხალზე, უჭრიან დანით მუცელს (მუცლის კუნთებს) და ჰშიგნენ, გამააქონ: ფაშ-ფუტარს, ჩობალს (მუცელზე გადაკრული ქონი ფედრა — ფარდა), გულს, ღვზლს, ფრტვეს (ფილტვეს) თავის ყერსანტუდით და სუსალულით (საყლაპავი და სასულე მილით), ნაწლიევს: წრვლს და ხუქანს, ნაწლიევ დარღვევაში დანარჩამ ჩოფს ახუ ჩონჩხლს, კუშევს (თირკმელები), ტყირა აქრიან და შემდეგ ჩაპალა-მიშ ჰჩედიან(აფეშხავებენ) ჩაფლაჟით (სათული) თუ საყახაყეთ² არ უნდათ. ჩაპას სკრიან მხარ-ბარკალს ცალკ-ცალკე, გორღევს — ნეკევს და თხელ ფერდს ცალკე. თავსა და კისარსაც (კისრი ზოლს) აქრიან აღრევე, გაფეშხავებამდე, გატყავების დროს.

გაყიდვის დროს, მხარს, ანუ მკლავს და ბარკალს თუ მოლიანათ არ ყიდულობენ, ყალამა ჰჩედიან — სიგარძეზე შუადით სკრიან (ასევე უშვებრიან ზროხის მხარ-ბარკალს).

თუ დაკლული ცხვარი ან ყოჩია, ბუხალზე ჩამოკიდება-გამოშიგნვის შემდეგ ღუმას აქრიან ან გვრგლა(თ) (რგვლათ), ან გზლა (სხვა მსუქანი ადგილების გაყოლებით). ცხორ, ყოჩ აკაფხა-ალაგევას (ალაგების) უქან დედაკაცე ღუმას წრულა ჰკუწენ ყიმაქაშით (საკეპი) საკუწავზე. ჰყრიან ქობში, თუ აქოყ (თუ აქეთ) დოს ასხმენ, თუ არ — წყალს, სამყოფ მარისაც ჰყრიან, ცეცხლზე აღნოვენ — აღულევენ. გამდნარს სწურავენ და ნარჩენს კიდევ აღულებენ, სწურავენ, ვიღრე ხიწიწ-ი გაწითლებოდეს. გადადნობის შემდეგ გამდნარ ქონს ხელმოკრეთ ასხამენ ქვაბში და ცეცხლზე ჰდალენ (სდალავენ, აღულებენ) კოვზ მოურეველათ თუ კოვზი მოურიეს, მაშინვე გაჯარდება და გადავა-გადი-ღლება ქონი ქვაბითგან. როდესაც კოვზში ამოღებული ქონი იღულებს, მაშინ სდგამენ ქვაბს ცეცხლითგან, შიგ ერთ ჩომჩა ყევესაც (მთავე შეინდს) ჰყრიან ან იშვიათად ბროწოლს აწურებენ. გაგრილების შემდეგ თხისს ჰურჭლევაში ასხამენ და სეგრაჟით ყბას აკრავენ. გადარჩენილ ხიწიწსაც ასევე ინახვენ შემდეგში საქმელათ და ხორავში გასარევათ.

თხის ტყავს საგუდეთ, საყველისგუდეთ და სატიკეთ ხმარობენ, ხოლო ცხერის, თოხლის, ყოჩის ტყავს კი — საქერქებდთ, ფაფყიბე (საქულისათვის), ყრლი გულაძებ და იშვიათ საგუდეთ (პურის ჩასადები). თხის, ცხერის, ყოჩის და მისთანათ ტყავს წმინდა წყალში რეცხავენ, სახრით სწეკალავენ, შემდეგ საქერქეს და საქუდეს სიგარძეზე სკრიან და ამ ჰჩედიან, ანუ ჰშაპენ. 1/4 გირ. დანაყულ შაბსა და 1/4 გირ. მარისს აყრიან ერთ ტყავზე, შემდეგ ცოტა ქერის ფქვილსაც აყრიან, რომ დაიჭიროს მარილი და შაბი და შეხვეულათ ინახვენ სამ დღეს. მარილი და შაბ გაუდომას უქან ჰფენავენ, აშრობენ. ზოგნი მარტო ქერი ფქულითაც ექცევიან (უშვებრიან აშს). ასეთი ტყავი ფრაყუნამ (ხმელი, თახხი) გამოდის.

საყველისგულე ტყავს გარეცხვის შემდეგ ბეწვიანი მხარით შიგნით აცმენ პატარა ყავზე და ისე ახმობენ, რომ არ მიიფხრუნწას. საქერო დროს საყველის-გულდეს ალბობენ, თმა გარეთ აბრუნებენ, თავბოლოს და ბარკლის ადგილებს უკრავენ, ჰბერავენ და სახრით ჰსხორტენ (ტყეპა), რომ გასაცვიფნი ბეწვი გას-ცვიოდეს და შემდეგში ყველში და ყველის წვენში არ შეერიოს. შემდეგ ყველა შესაკვრელ ადგილებს ახლო-ახლოს უხვრეტავენ და პატარა ჩხირს უყრიან —

² იხ. „მასალები“, ტ. III, ნაწ. II.

ხლართავენ. ჩხირის გაყრა-გამოყრის შემდეგ თხის ბალნით დაგრებილი ბაწრით (ყილით) ახევეენ — ჰკრავენ.

საუკეთესო ყველის გულა გამოდის თხის ტყავით. ეს სრულიათ არ ეონავს. ცხვრის ტყავის ყველის გულა მალე წყლიანდება და საჭიროებს ხშირ-ხშირათ ნაწრის მოყრა-მომშრალებას, რომ მატლი არ ჩევისიოს.

სატიკეს მამკუპრელევს აზლევდენენ. ტიკი(ს) ყურში ლულუქს (მილაკი) ვუგდევდენ, ჩუპესთან კი ქაფს (პოლორჭიკი), ყალან (დანარჩენ) აღვილევს, ყბიზგბი ყეირი (ყბის, პირის გარდა) შიგნიითანი მაგრა ვუყრავდენენ. მამკუპრელევ საქართლოათი მანასულატარ ქართლოვ კეპტეოდენენყ (იყენენ ხოლმე).

ქვრქ-ის და ქუდის შესაყერათ ტყავს ლევ. შექვრქევეს და მეფუფყევეს აძლევდენ. შექვრქეები ტყავს ჯერ დოღანაღით, ანუ ტოღანაღით ჰქნის (გამოქნა) — ფხეკავს — ალბოვს, შემდეგ უფარაათი (პატარა ასტამს ჰგავს) ფხეკავს. ათეთრებს. გამოქნილ-გათეთრებულ ტყავს სჭრის და ჰყერავს ქვრქს ან ფაფავს (ტყავს ან ქუდს).

ნაბღისა და ლართის, კილიკისა და ძიჩის შეთელვა

ნაბღის შემთელავნი ლეკები იყენენ. ქორწილის წინ ან სხვა საჭირო დროს მოჰყავდათ თავის სახლში ქეჩაჩი (მენაბღე ლეკები, უწონავდენ მათ თითო ნაბღისათვის ათ გირვანქა გარეცხილ, გამშრალ მატყლს და აგვიინევდენ (ათელინებდენ) ნაბღევს, ჩიგლაშევეს. ნაბღ დააგვევლა(თ) (ნაბღის დასაგებათ, შესათელავთ) მატყლს ჯერ საჯრეთი ჰსხრტავდენენ, კიდე აათი (კინთით) ჰქენტავდენენ — აბევდენენ. გაპენტელ-გაბუბულ მატყლს ჰშლიდენენ ჯეჯიმის შალზე დაგებულ ყალიბზე (ნარმი შეკერილი ოთხკუთხა საფენია), ზედ აწყაპწყაპევდენენ თბილ წყალს, ყალიბს ზედ დანათენ მატლითავ (მატყლიანათ) აგორევდენენ-აგორგლევდენენ ერ(თ) კანჭი(ს) სისქე წოორ (სწოორ) ხეზე, ჰხევდენენ (ახვევდენენ) უიჟიმი(ს) შალში და ფეყით აგორევდენენ ჰემ (თურქ., თან) ჰთელავდენენ. ცოტა ხნის შემდეგ ყალიბითგან იღებდენენ ჩიგლამას (ნახევრათ, ოღნავ შეთელირი ნაბაღი. თურქული ჩიგ-უმს) და თუ მორღინებ (საბნისთვის) უნდოდათ, აღარ სთელავდენენ, თუ არა, მას ატანებდენენ ყალიბის და ჯეჯიმის შალის შორის. ყალიბში ჰფენიდენენ ახალ ნაბღი(ს) მატყლს და ისევ ისე სთელავდენენ. პირველ ჩიგლამაჟ(ს) გამოცხოვა (გამოცხოვა) ნაბღ ქნაში იმა გამაჟონდენენ, დრვდენენ (სდებდენენ ცალკე).

ამ წესით სთელავდენენ იმდენ ნაბაღსა და ჩიგლამას, რამდენიც ოჯახს ესაჭიროებოდა. ნაბაღს აკრავდენენ ჯეჯიმის შალზე ან მწყემსები წამოსასაშაით ხმარობდენენ, ხოლო ჩიგლამას კი მორღინ(ს) მითილში აგლევდენენ მატყლი კოლა(დ) (მაგიერ).

ჩოფუზსაც (თექასაც) იმავე წესით აგვედენენ, მხოლოდ მის მატყლს ყალიბზე ჩოფუზი(ს) ბიჩინით (თურქ., გამოჭრილობით, მოყვანილობით) ჰფენავდენენ. ნაბაღს, განსაკუთრებით სამწყემსოს და ჩოფუზს, ფეხით შეთელვის შემდეგ ჰთელავდენენ, ამას თურქულათ ყოლამიშ ქნას ეძახიან. საჭირო მოყვანილობით შეთელილ ჩოფუზს მარტო გვერდების გაყერვა და ნაპირების ამოხვევლა ესაჭიროება.

ცხენის, ვირისა და ჯორის მომშენებლობა

უწინ ზოგიერთებს ჰყოლიათ ცხენი ილხიევ (თურქ., ჯოგები), ხოლო უმრავლესობას ერთი ორიოდ ცხენი ჰყოლია შესაჯდომად. ჯოგის ცხენები ყოველ-

თვის თავისუფალი, გამუდმული ყოფილან და არ უხმარიათ შაჯღომელა და აკვიბე (თურქ., ტვირთისთვის) განაჩრეინზენი, ანუ (ალ.) გამწყნილიზენი (გახედილის) ყერი (თურქ., გარდა).

ჩონ (ჩენი ცხენევი და დლისტნელი ცხენე ერთმანეთს მიკონან, მართო იმათ ცხენ თაში გამოცდილი და აკვში დაჩრულ (დაჩეუელია). უწინ ერთნაირი ცხენისთვის ქურთი ცხენ-ი უძახნიათ.

ცხენის ბაჯალას კვცს ეძახიან; დაძახნის (მოწოდების) დროს კურისაც ეძახიან. უწინ დელდა ცხენს ჰაკს ეძახოდნენ, ესლა მადიანს ეძახიან, მამალს — ულაყს, დაყრარულს (დაყოდილს) — აბუს (თურქ.).

ცხენ დაყრარაში იმი კაკლევს გამაქონ, ზროხა დაყრარაში კი ზოგ გამაქას, ზოგ კი შიგავ აბრუნევს და ბაწრით ჰკრავს, რათა (რამოდენიმე) დღეს უკან სხნის კიდე (კიდე).

ცხენს ინახვენ ან ცალკე თავლაში (ვინც კარგათ ინახავს), ან კი — ზროხის სახლის ერთ კუთხეში.

შანჟდომ (საჯღომ) ცხენს დღეში ორეე წყალ დალევნევა, დილაზე ჭერი და ბზეა, მასკნი ბალახ (თევა), სალამოზეაც ჭერი და ბზეა მიცემა ეუნდ. საკვებს ცხენს ან ახურში (ბაგაში) უყრიან ან (ჭერსა და ბზეს) თავზე ჰკიდებენ თორბით (პარკით) და იქიდგან სკამს. დღეში ერთხელ მაინც თიმარ ექცევიან (თურქ., დაურევა, დაფხანა; ექცევიან — უშერევიან) ყაშავით (სამურველით) და შალი ნიგლეჟით ჰჭმენდენ. ზროხსაც, განსაკუთრებით კამეჩს, დღეში ერთხელ დაურევა-ჩამოცოცხვა უნდა, რომ ადვილათ გასუქდეს და კარგათ იყოს.

ცხენის სამყოფელი ადგილი სუფთად უნდა იყოს გამოხვეტილი, მას მეტი ძოვლა-ძიხედნა სჭირდება. კარგი მომვლელი ვაზფხულზე ცხენს ლურჯ ბალახზე არ უშვებს და თვით ზაფხულშიც ჭერს და ბზეს არ აკლებს (ჭერს მაინც ყოველთვის აკმევს). ყველანი სცილობდნენ ხოლმე კარგი მორდა კვიცის მისაღებათ რომ თავის ჰაკ-ი, ანუ (თურქ.) მადიან-ი) კი მორდა ულაჟობ დეულაჯინასყ (დაინერგინათ).

მეცხვარეები ცხენს ვირსაც ალაკინევენენყ ყათირ, ანუ (ალ.) ჭორი დანი-ზოსაც (მოიგოსო). ჭორი მთაში ტვირთისათვის ძალიან კარგი და შემძლებელი პირუტყვია.

ვირს მართო დაღესტნელები, შექელები და მეცხვარეები აშენებენ, ინახავენ ტვირთის საზიდათ.

კვი (თურქულად კვცს ყულონ, ურია, ტაჩა, დილაღს უძახიან, რა განსხვავებდა მათ შორის არ ვიცი) გაჩრეულ, ანუ (ალ.) გამწყნელ ჭნაში ნაცოდნ კაცს აჩრეინვენ (ახედინებენ). თუ გიშით იორდაა, მაშინ ადვილათ შეიძლება იორლაზე მიჩვევა, ხოლო თუ გიშით იორდა არ არის, მაშინ მხოლოთ მოკლე იორლის დაჩვევა შეიძლება. ამისათვის ერთი მხრის წინა და უკანა ფეხს (ანუ კლავს და ფეხს) ვადაბავენ ისე, რომ სიარული შესძლოს და ატარებენ. ასე ერევა კვიც მოკლე იორდას. გამხედნაეის ხელში კარგა ხანს რჩება. ხშირათ მერძოს (ლამაზი, ჩქარი ნაბიჯით სიარული) ასწავლიან. ცუდი გამხედნაეის ხელში კვიც ჩაკჩაკს, ანუ ჩანჩალს სწავლობს.

ძალიან პატარა მანძილზე მინდორში წასვლის დროს ჩიფლაყ (თურქ. უბელო) ცხენზე ჭდებიან, ხოლო სხვა შემთხვევებში ჰემანზენ (ჰაკაშავენ) — ქვეშ წელზე აფარებენ ჭერ საოფლეს (პატარა ნაბის ნაჭერი), შემდეგ თეჭალთუს, თეჭალთუზე ადრევენ (ადღენ, ადგამენ) უნაგირს (უწინ ასე უძახნიათ, ესლა თურქულად ასპაბს ეძახიან), კუდის ძირში უდებენ ყუშხუნს (საძუე), შემდეგ მოსართავევს, ანუ ყოლანევს (ვიწროთ მოქსოვილია. თუ ტყავისაა, თასმას ეძა-

ხიან ეხლა) უჭირებენ და ყბაში უღოვენ ყანთარალას (თურქ. აღვირი. უწინ უხმარიათ ენის ქვეშ ამოსადები ლაგამ-ი). ბევრს სამკერდეძეც (სამკერდულიც) ჰქონია. უწინ კაი საჯდომ ცხენზე ყაჯარი უსათუოდ იყო ხოლმე გადაფარებული უნაგირს ქვეშიდგან. უნაგირი შესდგება კეხ-ის, ანუ ყალთადის (წახურულათ), ხასტულის, მოსართავების, ძუჯანგუების — ყუშუნისა და ხურჯინის და საკერელ თასმებისგან.

მუქი-ს (ტვირთის) ცხენს სასტულს არ ადებენ, სამკერდულს არ უკეთებენ და არც ყაჯარის აფარებენ. მას ყალთაღზე, ანუ კეხზე ჰკიდებენ სავსე ხურჯინს და ხურჯინის თვლებზე აწყობენ პატარა მუქის ტუმრებს და ჰკრავენ. უნაგირი ისე უნდა დაედგას და დაეკრას, რომ არც უკან უმაზე (მენჯზე, გავაზე) დატურდეს და არც წინ — მინდავზე (მხრებში).

ცხენის კისრის თმას ძალმანს (თურქ., ფაფარს) ეძახიან, კუდის თმას — ზუას.

შეციებისას ცხენი ავად — ყაძსარ (თურქ., დახუთვა) ხდება. ზოგჯერ თავი-(ს) ავადყოფად საპყალ (ცხვირ დაციმინევაში, წკლუნტ ჩამოსულად) უჩნდვის. დაღლოლ, ოფლიან ცხენს თუ ქარ მოხტო, შირაჲ ეყრევის (ადგილ-ადგილ თმა ეკირკნება, სციევა). მოუვლელობით ან გადადებით ხშირათ ყოთურის (ჭიცი) ეყრება. ჩუმაჲ უწინ არ იცოდნენ, ბევრისთანას (უმრავლეს) ავადმყოფაჲს ზროხი ჰირს ეზახოდნენყ.

თ უ შ ე თ ი

მიძროხეობა

მთხრობლები: გიორგი წვერაიძე, 55 წ. (სოფ. შტროლთა); კიმოთე მურთა-
ზაშვილი, 57 წ. (სოფ. ხისო); ადო მიშოძე, 95 წ. (სოფ. კეველო); გიორგი გაწი-
რიძე, 65 წ. (სოფ. შენაქო); გიორგი ჭიჭურიძე, 90 წ. (სოფ. შენაქო); ხუტო
ხულაკაური, 66 წ. (სოფ. ფარსმა).

ზოგადი მოკლე ცნობები მესაქონლეობის შესახებ. უწინ (XIX ს. პირველ
ნახევარში) ხალხი უმთავრესად ხენა-თესვით ცხოვრობდა. საქონელი ცოტა
იყო. ჰყავდათ თითო-ორი ფური, ხარი, ცხენი და ორიდან ორმოცამდე ცხვა-
რი. საქონელი მაშინ შირაქში არ დადიოდა. ზაფხულში აქავე, თუშეთში, სოფ.
ხახაბოსა და შტროლთის მთებზე (კეხი, შანტლოვანი, საზვინე, შუამთა, ფიწალ-
მთა) ტრიალებდა საძოვრად, ზამთარში კი სოფლად ბაშტეში ჰყავდათ. მერე
(XIX ს. მეორე ნახევარში) მესაქონლეობას უმთავრესად და მეცხვარეობას
ფართოდ მიჰყვეს ხელი. მთებზეც გაფართოვდნენ და შირაქშიც გავიდნენ. ეს
დარგი ხალხის ცხოვრების მთავარ წყაროდ იქცა. უკანასკნელ ხანს ყველა პა-
ტარა მეცხვარეს ჰყავდა ორმოცდაათი-ასი ცხვარი, საშუალოს — სამასი-ოთხა-
სი, დიდს — ათასი-ათას ხუთასი; წოვებში და ფშაველებში იყვნენ ისეთებიც,
რომელთაც ჰყავდათ ათი ათას სულამდე. ადრევე XIX ს. პირველ ნახევარში
ძროხა მეტი ჰყავდათ, ვიდრე შემდეგ XIX ს. მეორე ნახევარში.

საქონელი არის მსხვილფეხა — ფური, კარი, ცხენი, ვირი, ჯორი (ჯორცხე-
ნა); წვრილფეხა — ცხვარი, თხა; მრგვალჩლიქიანი — ცხენი, ვირი, ჯორი;
ჩლიქგაყოფილი — ფური, კარი, ცხვარი, თხა; ჩლიქგაყოფილი არის: რქიანი
— ფური, კარი, ცხვარი, თხა; ურქო — ფური, კარი, ცხვარი.

ურქო საქონელს დოლა ეწოდება.

ყველა ადგილობრივი ჯიშია ჯორის (ჯორცხენას) გარდა, რომელიც შემო-
ყვანილია და იშვიათიც არის.

ფური, ანუ ძროხა და კარი. ფურისაგან იბადება კბო (ხბო); ის ან ხაკარე
კბო არის, ან — საფურე კბო. კბო ძუძუს სწოვს სამი კვირა, მერმე დედას
ააშორებენ და ერთ კვირას მოწველილ ზეს (რძეს) ასმევენ. შემდეგ ზეს აღარ
ასმევენ; აკმევენ თივას, ბალახს როშს — ნახევარ წლამდე. წლისა რომ გახდება,
საკარე არის მოზვერანე, საფურე — დოკველანე (ჯახებზე ერთი წლის მოზვერანს
და დოკველანს ტანანს ეძახიან). მოზვერანე სამი წლისა რომ შესრულდება, მე-
ოთხე წელში, თუ თამამია, შებამენ — ის უკვე კარია სიკვდილამდე. დოკვე-
ლანე ორი წლისა რომ შესრულდება, მესამე წელში კმოს დაღბადებს (მოიგებს)
მაშინ იქნება ფური და ესე რჩება ბოლომდე.

მაე ფურზე იტყვიან: იკარაო, იკარებაო. ფურმა თუ ერთ წელს არ მოიგო, ის ბერწია. თუ სულ არ მოიგო — ურწანი. კეპყაჟი მოხვეერსა ჰქვია. მან ჯლეკა, ანუ რჩილა იცის (იტყვიან: ვაგჯლივასო).

ფური და კარი ფერად არის წითელი, შავი, წაბლისფერი, ჩაღისფერი, კრელი.

საქონლის ნიშანი. ნიშაჟი — შუბლზე დიდი თეთრი [ლაქა]; იტყვიან — ფურზე. კარზე, კმობზე.

ნიკორაჟი — შუბლზე პატარა გურგვალი (მრგვალი) თეთრი [ლაქა]; იტყვიან — ცხენზე. კარზე, ფურზე.

სალარი — შუბლზე წვრილი, გრძელი თეთრი [ხოლი]; იტყვიან ცხენზე.

წაბლაჟი — შვინდისფერი, იტყვიან — ცხენზე, ფურზე, კარზე.

წოროტაჟი — მწვეტრქიანი; იტყვიან — კარზე, ფურზე.

კიკინოი — შუბლზე ზოგ ფურს გრძელი თმა აქვს დაგვრეზილი (დაგრეზილი).

ფერდულაჟი — იტყვიან ფურზე [როცა] ფერდები ჰრელი აქვს.

ზაოში საქონლის მოვლის წესი ასეთია: ფური, კარი, ცხენი და ვირი ზამთარში. გიორგობისთვის პირველიდან აპრილის გასვლამდე, დაბმულია ბაშტეში ბაგაზე. აპრემდე თივას, ჩაღას (ბურდოს), ბზეს, წიწკს (არყის ნეკერს), ფოხვს (ფოხვის ხეკერს). ვერხვს (ვერხვის ნეკერს). ცირცლისა და მურყნის ნეკერსაც ხმარობენ გაპირების დროს. საქონლისათვის საქმელს დაყრას საჭმლის ან ჭამის დაღება ეწოდება (საქონელს საქმელ ან ჭამაი დუგლეთავ, ე. ი. დაუღეთო. ჭამას იტყვიან აგრეთვე პურზედაც და ჯალზედაც).

საქონელს დღეში ერთხელ, შუადღისას, გარეკავენ წყალზე (წყაროზე). წყალი გაყინულია. ყინულს ჩატეხავენ, ე. ი. ჩაამტვრევენ და ისე დაალევიანებენ წყალს.

მაისის პირველიდან საქონელს გარეკავენ სამოვარზე და იქ რჩება გიორგობისთვის პირველამდე.

საქონელს ცალ-ცალკე აძოვებენ: ფურებს და დიკევლებს ცალკე, კარებს ცალკე. ცხენებს — ცალკე. პატარა სოფლებში მოხვრები ფურებთან ჰყავთ.

ფურის და დიკევლის გროვას უწოდებენ ძროხას, ჯარისას — კაროვანს, ცხენისას — ჯოგს.

ძროხას სოფელი აძოვებს მახლობელ მთაში დილიდან საღამომდე; საღამოთი საქონელი ისევ შინ ბრუნდება.

საქონელს აძოვებს ან თვითიული კომლი ჭერი ან კიდევ — მეძროხეი (მენახირე). ჭერით როცა აძოვებენ, თვითიული კომლი იმდენ აძოვებს, რამდენი სული საქონელიცა ჰყავს. მეძროხე დაქირავებული არ არის. მას აქვს ჭამაგირი სულზე ერთნახევარი, ორი ლიტრა ქერი მარცვლად. ის მსახურობს ექვსი თვე (მაისის პირველიდან გიორგობისთვის პირველამდე). სასმელ-საჭმელი, ბინა და ჯალბან-წინდა მოჭერისა, ე. ი. იმ კომლისა, ვისიც ჭერია. თვითიული კომლი იმდენი დღე ინახავს მენახირეს ჭამა-სმით და სხვა, რამდენი სული საქონელიცა ჰყავს.

კაროვანსა და ჯოგს უშვებენ სამოვარზე მახლობელ მთაში (ცალ-ცალკე) უკაცოდ. ზაფხულში ხანდახან პატრონი ავა, მარილს აიტანს და აპმევს ხარსაც და ცხენსაც. ასე უშვებენ ათ-ოცდაათ ხარს, ან ცხენს.

დიდი სოფლები — ომალო, შენაქო და სხვა, რომელთაც ბევრი ხარი და ცხენი ჰყავთ. ცალკე კაცს ქირაობენ, სახელდობრ, ორას-სამას კაროვანში ჰყავთ ერთი კაცი, რომელსაც მეჯაროვნი ჰქვია, ან კიდევ — ერთი კაცი და ერ-

თი ბალლი (ბავშვი, ბიჭი) — ორი მეკაროვნე. ასეთ სოფლებს მოზვრები ძროხაში კი არ ურევიათ, როგორც პატარა სოფლებს, არამედ კაროვანში ჰყავთ.

დიდ ჯოგში ჰყავთ ერთი კაცი — მეჯოგე.

მეკაროვნეს და მეჯოგეს ჯამაგირად ეძლევა სულზე ერთი ლიტრა ქერი მარცვლად. ჭირაჲ ან ჭერწ, ე. ი. საჭმელი მეკაროვნეს თავისი აქვს, მეჯოგეს კი ან სოფლისა, ან თავისი; ეს პირობის დადებანა.

შენიშვნა: თუ საქონელი გარეთ დარჩა, კაცი ხანჯარს მოაბრუნებს და ქარქაშში უყუდლმა ჩაიშვავს (ჩაირქობს), ან ღუქარდს (მატყლის საკრევი მაკრატელი) ბაწარს დაახვევს და დახვეტავს, ან ღიაცი თმას გაღნასკევავს (გაყვანძავს). ამას იზმენ (იზამენ) დაღამებისას. ეძებენ დაკარგულს და მანამდის ცოცხალს ან მკედარს არ იპოვნიან, არ გახსნიან. ამას „მგლის პირის შეკვრას“ ეძახიან.

ბარში საქონელს ასე უვლიან: სოფ. ალვანში ძროხები ან ბაშტეში უბიათ, ან, თუ კარგი ზამთარია, მეძროხე ჰყავთ, ოღონდ იქ მეძროხის ჯამაგირი ძვირია — თვეში სულზე იღებს ერთ ლიტრა ქერს ან სიმინდს. ვარი თუ მოცლილია, ძროხაში ურევია. უმეტესი ნაწილი კი ვერ ცლილობს, მუშაობაშია. ცხენი როცა ალვანშია, ან ცალკე მეჯოგე ჰყავთ, ან შეიძლება მეძროხესვე ჰყავდეს ჩაბარებული; ჯამაგირი ისივე ექნება, რაც ძროხანზე. ვირი ან სახლში ჰყავთ. ან ცხვარში. სახლში ამუშაებენ წისქვილში, შეშაზე და სხვა. ცხვარში აზოდღენებენ წყალს, შეშას და სხვას. მგზავრობისას ბარჯს აპყიდებენ.

შირაქში თითო-ოროლა ბერწი ძროხა მიჰყავთ. ცხენებიც იქვეა. ვთქვათ ბინაში არის ათას ხუთასი (ახვარი, ოცდაათი ცხენი. ოცი ძროხა. თუ ბინა ამხანაგებისაა, შაშინ მათ სამსახური განაწილებული აქვთ: ერთი მემცხვარეა, მეორე — მეჯოგე, შესამე — მეძროხე, მეოთხე — მეზინე, ან კიდევ ჭერ-ჭერით არიან. თუ ბინა ერთი პატრონისაა, მაშინ მას ცალ-ცალკე ჰყავს მემცხვარე, მეჯოგე. მეძროხე, მეზინე და ვინმე მწყემსი.

საქონელს აბამენ გირკლით. გირკალწ მოხრილი ხეა, რომელსაც ბოლოებთან აქვს ქვდები (ქდეები); ერთ ქვდებზე გამოძებულია მუშის კვალაწრ (დაგრებილი წისელი ყულფით), რომლის მეორე პირიც გადაეცმება მეორე ქვდებზე. გირკალი ჩამოეყრება საქონელს კისერზე და კვალაწ დაეკეტავს მას ყულთან. გირკალზევე არის ჭარჯაჲ (დაგრებილი წნელი) თავსა და ბოლოს ორი წუწუტით (ყულფი): ერთი წუწუტი გირკალს აქვს გამოდებული, მეორე კი მარგილს ან მანას ან გაჯვრეტილ ქვას.

მეცხვარეობა

მთხრობლები: გიორგი წვერაიძე, 55 წ. (სოფ. შტროლთა); კიმიოთე შურთაზაშვილი, 57 წ. (სოფ. ხისო); ადო მიშიძე, 95 წ. (სოფ. კვავლო); გიორგი გაწიძე, 65 წ. (სოფ. შენაქო); გიორგი ჭიჭურბიძე, 90 წ. (სოფ. შენაქო); ზუტო სულაკაური, 66 წ. (სოფ. ღარსმა).

თუშური ცხვარი უწრიანია. თუშრო ცხვარი ჰყავთ ლეკებს ლეკეთში და თათრებს — ელდარ-სამუხის რაიონებში. ასეთ ცხვარს თუშები ზულაჲ ცხვარს ეძახიან. თუშური ცხვარი, თუშების სიტყვით, ღუშიანა და უყუდო; ნამდვილად კი იგი ცხიმოყულიანია.

ბატკანი გაჩნდება თებერვალში¹. ღედალი იქნება ღედალ ბატკანწ, მამალი — მამალ ბატკანწ. ექვს თვემდე (მარიაობისთვემდე) ისინი ბატკნე-

¹ დრო აქაჲ და ქვევითაჲ ძველი სტილით იგულისხმება.

ბი არიან. მარიამობისთვის გაიპარებთან და გახდებთან: დედალი — დედალ
თოხლმ. მამალი — მამალ თოხლმ. ჩაეღენ შირაქში, გაიკვებებთან ზამთარში.
მოვა ვაზაფხული და მარტის გასულს გაიპარებთან. ერთი წლის დედალი იქნე-
ბა შიშაქმ, მამალი — ჰედლიღმ. მოვა მკათათვე. ჰედლიღს ან საჭიშედ გაუ-
შვებენ და ის ცხვარში შეშვებეს დროიდან, ე. ი. ენკენისთვის ნახევრიდან (ერთი
წლისა და შვიდ თვე-ნახევრისა) ხლება ყოჩმ, თუ არადა. დახვევრვენ მკათათვე-
ში (ერთ წელიწად-ნახევრისას. დახვევრილი უფრო სუქდება და დასაკლავ-
გასაყიდადაც სარგებლიანია). გაასუქებენ და გახყილიან ან დახკლავენ. სახელი
იხუე ჰედლიღმ რჩება. შიშაქს კი ორი წლის შემდეგ, ვაზაფხულზე, ბატკანი
ცყოლებდა და ბატკნის ყოლის შემდეგ ის უკვე ცხვარია.

ცხვარი და ყოჩი ცალ-ცალკეა, რომ წარამარა არ იწერბოხ, ე. ი. არ იმუ-
შაოს (ცხვრის განერბება, ცხვარი გაიწერბაო, ცხვარი ეწერბებო). ერთმა-
ხეთში მათ ერთ დროს შეუშვებენ, რომ დოლი (ბატკნის მოგება) ერთ დროს
მონდეს. უშვებენ ენკენისთვის — ნახევარში (ახალი ცხვარიცა და ყოჩიც ახლა
ერთი წლისა და შვიდ თვე-ნახევრისა) და ამ დროიდან დაწყებული გიორგო-
ბინთვის პირველამდე ყოჩი ცხვარში დადის. ამის შემდეგ კი ყოჩი უნდა გამო-
ვიდეს ისევე თოხლში (ე. ი. თოხლებში) იმისათვის, რომ არ გაჭანდავდეს (არ
გალუბდეს), რადგანაც თოხლში იეიწყებს ცხვარში ნერბას (ე. ი. მუშაობას).
ცხვარში რომ დარჩეს, განერბილი ცხვარი ნელავდება (გვიანდება), ე. ი. ცხვარს
ბატკნის შობა უგვიანდება, ზამთარიც უსწრებს, ვეღარ სუქდება და ჭანდაგი
რჩება. ყოჩი ყოჩად რჩება ორ-ოთხ წლამდე იმითომ, რომ სიბერეში რომ შე-
დის, მატყლი უთხვლდება და აღარ უშვებენ, თუ დახვევრეს, მაშინ ეძახიან
ნაყოჩარს. რაკი დაიხვევრება, ის ან უნდა გაყიდონ, ან თვითონ დაკლან.

ჰედლია იხვევრება მკათათვეში (წელიწად-ნახევრისა) ან — ცოტა აღრე.
ამის შემდეგ ის სუქდება შემოდგომამდე, ორი თვე ჯა შემდეგ საკლავად იყი-
დება. თუ პატრონმა ვერ გაყიდა და ისევე დარჩა, მაშინ მას მოვლილ ჰედლიღს
ან ძველ ჰედლიღს ეძახიან. ესე იყო ძველად. ეხლა კი სარგებლიანობის გუ-
ლისათვის ამდენი ხანი არ შეინახვენ. შეიძლება შეინახონ ერთი წელიწადი
[შემდეგ] ან გახყილიან, ან დახკლავენ.

შიშაქი ბატკნის ყოლის შემდეგ ბოლომდე ცხვარად რჩება, ოღონდ იტყვი-
ან: ერთნაყოლმ (ე. ი. პირველად რომ ბატკანი გაუჩნდება), ორნაყოლმ (მეო-
რედ გაჩენის შემდეგ), სამნაყოლმ (მესამედ გაჩენის შემდეგ), ოთხნაყოლმ (მე-
ოთხედ გაჩენის შემდეგ). მერტი კი ზებერ ცხვარს ეძახიან.

ბარში. როგორც სიღნაღის, ისე ზაქათალას ან კახის რაიონებში
ცხვარი იღენს მხოლოდ რვა-ცხრა ნაყოლამდე, რადგანაც აქ ზედმეტად
წყლიანი ალაგებია, ცხვარი ზიანდება, ღვიძლი ეზრდება და წყლისა ჯა ქაო-
ბენის გამო პეპელა უჩნდება. ხოლო ეღნარ-სამუხის და „ადრბიუენის“ რაიო-
ნებში კი თერთმეტ-თორმეტ-თხუთმეტ ნაყოლამდეცა სძლებს. იქ მლაშე აღ-
ვილება და მუხრვალე საშუმელი, რაც ცხვრისათვის სასარგებლოა.

ბატკანი დედას სწოვს თებერვლის ნახევრიდან (ე. ი. დაბადებიდან) მანისის
ერთ კვირამდე, ე. ი. ორი თვე და სამი კვირა. ამის შემდეგ ბატკანს აშორებენ
ჯღდას და ცალკე ჰყავთ.

ცხვარი ფერად არის: ცია-თეთრმ, ე. ი. მთლათ თეთრი, როდესაც სხვა
რომელიმე ფერი არ ურევია; ჰერლმ — შავი-წითელ-თეთრის ნარევი; შავმ-
შავი; ლეგა-ლეგა, ხატრისფერი, თვალებში ცოტა წითელი თუ ურევია,
მაშინ ეძახიან თვალწითელ ცხვარს.

ცხვრის კულს რიკი ჰქვანს.

თხა. დაიბადება ციკანი: ღელალ ციკანნ ან შამალ ციკანნ. ღელალი ციკანი იგებს ერთი წლისა და ხდება ჩეფიჩი, თუ ორი წლისა მოიგებს — წალბ. მესამედ რომ მოიგებს, მაშინ არის თხა და ეს სახელი შერჩება სიბერემდე. მამალი ციკანიც ერთი წლის შემდეგ არის ჩეფიჩი. წელიწადნახევრის შემდეგ ან იუვერება და ჰქვიან ვაცუნნ, ან კილევ ორი წლისას საჭიშედ გაუშვებენ (ოცზე — ერთს) და მაშინ ხდება ბოტრ. ბოტად იქნება ორ-სამ წელს. მერმე, თუ კარგი გამოვიდა, ცხვრის წინამძღოლად იყოლიებენ. მაშინ დაიყვერება და იქნება ვაცი და ასე იქნება სიბერემდე.

თხა ფერად არის: შავნ, თეთრნ, ლეგაჲ და სხვა (ცხვარივით).

ცხვარი ზამთარში ჩვეულებრივ შირაქში არის, თუშეთში (მთაში) კი თითო-ოროლასა ჰყავს, ისიც ძალიან ცოტა.

ცხვარს მთაში ბაშტეში ინახავენ სხვა საქონელთან ერთად. საკმელს ან ბაგაში უდებენ (ცხვრის ბაგა დაბალია) და იქ აჰქმევენ ან კილევ საბლით ჩამოუკიდებენ მალა. ცხვარი გარეშემო შემოეხევეა და ისე ჰამს. ცხვრის საკმელი იგივეა, რაც ცხენისა, ძროხისა, მაგრამ უფრო მეტად თევია. ზამთარი თუ მსუბუქია, გარეთ ჭურ-ბალახზედაც აძოვებენ.

ცხვარი შირაქში ფარეხებში არის. მთის საძოვრიდან ცხვარი შირაქში მიდის ენკენისთვის პირველიდან თვის დამლევამდე. შირაქში ცხვარს ჯერ გარეთ ატრიალებენ, მერმე გიორგობისთვის პირველიდან ფარეხებში შეიყვანენ და იქ არის მარტის თხუთმეტამდე ან აპრილის თხუთმეტამდე. ცხვარი დღისით სულ გარეთ არის საძოვარზე, ღამე ფარეხშია; თუ ძალიან ცუდი ამინდია, მაშინ ფარეხიდან გარეთ არ გამოიყვანენ დღე-ღამე. ან თივას აჰქმევენ, ან მშიერი ჰყავთ. ფარეხში თუ ბევრი ცხვარია, თოხლი და ყოჩი ცალკეა და მოსაგები ცხვარი — ცალკე. თუ ცოტა ცხვარია (ორასი-სამასი სული), მაშინ ერთად არის.

დოლი. გზაფხულზე, თებერვლის ნახევარში, იწყება დოლნ, ე. ი. ბატკანის მოგება. ახლად მოგებულ ბატკანს ჭოხში ან ფარეხში უყეთებენ კორაკანს (პატარა სადგომია), ან — ჭალურს (დიდი სადგომია) და იქ ათავსებენ. ბატკანი იმ ადგილებშია, დედა კი საძოვარზე.

კორაკანს პატარა საბატკნეა, სადაც თავსდება ათი-ოცდაათი ბატკანი; ის გამართულია ცხვრის ფარეხის კუნძულში. იწვნება წნელისაგან, ძირს დაუგებენ ფიჩხს ან უფრო კაქახს და იმაზე აწვენენ ბატკანს უფრო იმისათვის, რომ ბატკანი მშრალად იყოს.

ჭალური დიდი საბატკნეა, თავსდება ორასი-სამი ბატკანი. გამართულია სწორედ ისევე, როგორ კორაკანნ.

ბატკანს აწოვებენ ყოველ დილას და საღამოს. ცხვარი რომ მოვა, გაუშვებენ ბატკანს და დედა შვოს იპოვნის. თუ დედამ ბატკანი ვერ იპოვნა, მეცხვარეებში არის მცნობნ, რომელმაც დედას უნდა უპოვნოს თავისი ბატკანი. შესაძლებელია ისეც, რომ ერთმა ცხვარმა სხვა ბატკანი მოაწოვოს. ბატკანი მშრალად არის, თუ დასველდა, დედა აღარ მოაწოვებს, რადგანაც ბატკნები ერთმანეთს ახტებიან და ამ ხტუნაობისაგან დასველებულთ ცხვარბანეთზე სული (სუნი) ვაღაჰქვთ და დედა აღარ იკარებს. ამაზე იტყვიან: ცხვარმა ბატკანი აძოულაო. მაშინ დედას ბოძე დაბამენ და სცემენ. ბატკანსაც ფეხებზე გამოაბამენ. დედა ჯერ სცემს, არ იკარებს, მაგრამ ორ-სამ დღეს, რაკი ბატკანიც აწუხებს, ისევ შეიყვარებს და მოაწოვებს.

ცხვარი ზაფხულში ჩვეულებრივ მთაში არის ბინებში. აპრილის თხუთმეტიდან ცხვარი შირაქიდან მთისაკენ წამოვა; გზას თუშეთამდე ორი კვირა უნ-

და; შეიძლება მეტი ხანიც მოუნდეს, რადგანაც იქიდან ნელა ატარებენ. თავიანთ ბიზნესს რომ მიატანენ, ცხვარს დაასვენებენ. ჯერ ისევ ერთად ჰყავთ ერთი კვირა, ათი დღე. შემცხვარე ბინას მოამზადებს ყველაფრით: ქოხით, ბაკით, კურკლით (კოდი და სხვა), ჯერით (საქმელით), მარილით და სხვა. ამის შემდეგ ცხვარს დაარჩვენ: ბატკანს ცალკე, მშრალ ცხვარს — ცალკე, ჰედილასს და ყოჩს — ცალკე. თუ საქონელი (ცხვარი) ბევრია, მაშინ ბატკანი და მშრალიც ცალკეა და თუ ცოტა, მაშინ — ერთად.

ბატკანს ჯერ პირველად — ორი კვირა — იქავე მახლობლად აძოვებენ და მერმე, როცა მალე ადგილებზე თოვლს აიღებს და გაშრება, იქ გარეკავენ, რადგანაც ბატკანს ცხელი ადგილი არ უხდება, გრილი ადგილი და გრილი წყლები უნდა. ღამე ცხვარი ბინის გარეთ დგება. იმ ადგილს ჰქვია ნაწილარნი (თათრები არხაჯს ეძახიან). ბატკანისათვის არის ორი ნაწილარნი: ერთი პირველი გაზაფხულისა — უფრო თბილ, ბარ ადგილას, მთის ძირებზე, მეორე — ზაფხულისა — მთის მაღლობებზე.

ცხვრის ნაწილარი ცალკეა. ცხვარი ნაწილრიდან აიშლება დილით, გავა საძოვარზე. შუადღისას მორეკავენ ბინაზე მოსაწველად, შერეკავენ ბაკში, მოსწველავენ. მერე ისევ გარეკავენ საძოვარად. საძოვს და ღამისათვის დაბრუნდება ნაწილარში.

ცხვარი იწველება ორ თვეზე მეტ ხანს. როცა წველა გათავდება, ბერწ საქონელს, შიშაქსა და მეწველ ცხვარს ისევ ერთმანეთში გაურევენ, ესე მარია-მობისთვის პირველში. ამ დროს შეუდგებიან ბატკნის გაპარსვას.

ცხვრის გაპარსვას შეუდგებიან ენკენისთვის პირველში. ცხვარი მეორედ იპარსება გაზაფხულზე, აპრილის შუა რიცხვებში (თხა კი იკრიბება წელიწადში მხოლოდ ერთხელ — თიბათვის პირველიდან).

ცხვარსა და ბატკანს მარილს აჰმევენ. ცხვარს აჰმევენ კვირაში ერთხელ. ოთხშაბათს და პარასკევს არ აჰმევენ — რეტიანობა იცის ან ნაღირი დაზიანებს. ბატკანს, როდესაც მარილს აჰმევენ, იმ დღეს ოთხ-ხუთჯერ წყალი უნდა დაალეინონ. თუ იმ დღეს გაუადარდა, ბატკანი წყალს ველარ დალევს და გაფუქდება, ფილტვები დაუშავდება.

ავადმყოფ ბატკანს გულბანდს (ბალახია) აჰმევენ: მას ძირიანად იღებენ, ახმობენ, ფქვავენ, მარილში ურევენ და ისე აჰმევენ — ავადმყოფს არჩენს.

ცხვრის დაყვერვა. ცხვარი, თხა და მოზვერი ერთნაირად იყვერება, ცხენი და ვირი კი სხვანაირად. დასაყვერად ჰედილას დაწვენენ გულაღმა ორნი — მყვერავი და ფეხები მჰკრელი. პირველი ორივე ფეხით ცხვარზე არის გათხული შუაზე და ფეხებით იჭერს ცხვარს მუცელთან თავის მხარად. მეორეს კი ცხვრის უკანა ფეხები გაწევით უჭირავს ცალ-ცალკე განივრად, გაშლით — თითო ფეხი თითო ხელით. მყვერავი აიღებს ორივე ხელით ყვერს, წვერს ლაჭებში დააბრუნებს, კაკლიანი წვერი ძირში უნდა წავიდეს და სტომაქზე მომბული (მომბული) ძარღვი შუაზე მოიგრიხება, ზევიდან მოუჭერს ბაწარს და ესე ექნება ორი ეამი (ეამი — დღე და ღამე). მერმე შეხსნიან და ყვერი ისე დარჩება, დადულდება, ძარღვი მოკვდება და ველარ იმუშავებს. ამის შემდეგ ჰედილა სუქდება; იმას ან დაკლავენ ან გაყიდიან.

ცხვრის გროვას ეწოდება ფარაჲ, ფარის მოწყვეტილ ნაწილს კი ოც-ოცდაათ სულს — ნოტოჲ. ფარა არის დიდი და პატარა. ფარაში შეიძლება იყოს სამასი სულიდან ათი ათას სულამდე. ათი ათას სულს ერთად ვერ მოუვლიდნენ. მას გაკყოფდნენ ათ ფარად. შეიძლებაოდა ათას ხუთასი სულიც ჰყოლოდათ ფარაში, თუ ადგილი ხელს უწყობდა.

ცხვრის პატრონს, ანუ ცხვრის მესაკუთრეს მემცხვარე ჰქვია. თუ ცხვარში დაჭირავებული კაცია, ის არის მწყემსი. მწყემსი საერთო სახელია; ის ჰყავდა დიდ მემცხვარეებს ყველა საქმეზე, სახელობრ, მემცხვარედ, მებატყნედ, მეთოხლედ, მებერწყედ, მებინავედ. სიტყვა მწყემსის მაგიერ ჩობანსაც ხმარობდნენ.

თუ ცხვარში დაჭირავებული კაცი არა ჰყავთ და ცხვარი ერთმანეთში ურევიათ, მაშინ ისინი ამხანაგები არიან. ამხანაგობაში შრომა განაწილებულია: ერთი არის მემცხვარე ან მესაწველავე (მეწველ ცხვარშია), მეორე — მებატყნე (ბატყნებშია), მესამე — მეთოხლე (თოხლებშია), მეოთხე — მებერწყე (ბერწყებშია), მეხუთე — მებინავე (ბინაშია); მისი მოვალეობაა: შეშა, წყალი, ბაჟის დასუფთავება.

ამხანაგობას ერთი გამოცდილი კაცი ჰყავს უფროსად, რომელსაც სხვანი ეკითხებიან. ის არის ხარქაღი. კახეთში მას ბინისთავს ეტყვიან. ხარქალი ზრუნავს, რომ ბინას ჯერ არ ჯირა (საზრლო) და საძოვარი არ მოაყლდეს. ის სულ აქეთ-იქით დადის და საქმეს არიგებს; ის მებინავეც არის და ბინის საერთო მეთვალყურეც. თუ სხვანაირად წავიდა, თავის მაგიერ ბინაში სხვა ვისმეს დაარჩენს.

მემცხვარე გამოცდილი ექიმიც ცხვრისა. იმან ყველა ავადმყოფობა იცის.

ცხვრის პატრონი თუ ცალკე უძღვება თავის ცხვარს, მაშინ შემოსავალიც მისია. თუ რამდენიმე ამხანაგი არის შეერთებული, მაშინ ისინი შემოსავალს ცხვარზე იყოფენ. მეწველი ცხვირიდან შემოსულ ყველს ცხვრების მიხედვით იზიარებენ, მატყლს კი ყველა თავ-თავისას გააპარსავს. ანაბარი ცხვრის შენახვაში მშრალი იქნება თუ მეწველი, ცხვრის პატრონი შემნახავს თხუთმეტ სულში ექვსი თვის განმავლობაში აძლევს ერთ თოხლს, სულზე ერთ გირვანქა მარილს (თავის ცხვარს აქმევს) და ორ გირვანქა კალს (ქერის ფქვილი) მემცხვარისათვის და კიდევ ოც სულზე — ერთ წყვილ ქალბანს. ხოლო ცხვრის შემნახავი ცხვრის პატრონს აძლევს სულზე ათ-ცამეტ გირვანქა ყველს და ერთ გირვანქა კალს.

მეცხვარის ტანისამოსი და იარაღი. შალის შალვარბ, პერანგბ, წინდაგბ, პაჭვიბ, ქალბანბ, ახალურბ, ჭამარბ, თექაბ, ტყაიის ქულბ.


ჭამარზე ჰკიდია ხანჯარბ, ღანაბ, კოჩხოა წყლისათვის (ჩამოკიდებული კოჩხოს საკიდაცხე), კვესბ (ტალი ჩემოდანში, ანუ აბავაში აქვს) ცეცხლისათვის; სალესბ (ან გაჯვრეტილია და წელზე ჰკიდია, ან ჩემოდანში უძევს); ქალბნის ჩხირბ ცხენის ძვლისა (დაბმული ჭამარზე თასმით); კობბ, ტყლაპბ, ან ჯღანბ ქალბნის საეკრებლად (ჯღანი დახეული ქალბანია; იქიდან ტყლაპებს სჭირან და დახეულ ადგილას უდგებენ). საღუმეაცე კოლოფი (ღუმით თოფისა და თასმი-სათვის). ზურგზე ჰკიდია კალის გულაბ ან მჭრის გულაბ ჭალითა და კალთით. ხელში უჭირავს კამპიანბ (ტოტიანი) ჯოხი. კამპბ (ტოტი) სამია: ორი მადლა და ერთი ქვევით, ხელის მოსაკიდებელის ქვეშ. სიმალლით არის ორ მეტრამდე. ასეთი გრძელი იმიტომ არის, ცხვარი რომ მოუყვდეს, ჩააბრკობს ამ ჯოხს მიწაში, ჩამოკიდებს ცხვარს და გაატყავებს. ცხვარს ააფეშხვავებს ზურგის ძვალს, მკერდსა და ჯივარს, თავ-ფეკსა და შიგნით მუცლის ქონს (ე. ი. ჩობალს) თითონ გაიწირავს (დაიტოვებს), გაიკეთებს საკმელს და ჭამს. დანარჩენს კი, დაუძახებს ბინაში და იქიდან მებინავე წავა, ის ჩამოიტანს ბინაზე. ეს დანარჩენი არის ორ ფეშხოა და ღუმეაცბ.

მწყემსს ცხვრის პატრონი ზაფხულში აძლევს თხუთმეტ სულზე ერთ თოხლს, ჭამა-სმაცე პატრონისაა, ტანისამოსი კი — მწყემსისა; ასე ურიგდებიან ექვსი თვით. ზამთარში კი მწყემსს ბევრი წვალეა აქვს: ის მოვალეა ბალახიც

უშოვნოს და ბინაც. ამიტომ ათ სულზე ერთი სული ეძლევა — თოხლზე — თოხლი, ცხვარზე — ცხვარი, თუ ფულად იქნება, მაშინ იანგარიშებენ იმავე მისაცემ საქონელს იმ დროის ფასით.

თუშების შემდეგ მემცხვარეობაში უფრო თავგადასდებული და გამძლე არიან უკანამხრელები (გარეკახელები — საგარეჯო, კაკაბეთი და სხვა) და თათრები (იორ-მულანლო და ელდარ-სამუხი). მათ თუ საკმარისი ჰამა-სმა აქვთ, ზამთარში თუნდა გარეთ იყვნენ ცხვრის მოძოვებაში, არაფერს არ ინაღვლიან. ორ-სამ ლამეს შეუძლიათ ფეხზე გაათენონ. შეუპოვარი ხალხია.

თუშს ცხვარი (და სხვა საქონელიც) ძლიერ უყვარს და იშვიათად იმეტებს დასაკლავად ან გასაყიდად, სხვები კი ადვილად იმეტებენ.



სურ. 5. მეცხვარის ბინის საერთო ხედი და გენგეგმა თავფარავანის საზღვრულ საძოვრებზე.

ბინის მოწყობილობა. ჩვეულებრივ ცხვრის ბინა გამართულია სადმე მთის ძირას, ვაკე ადგილზე, ხევის ახლოს. აქ არის ქოხი და მის წინ ბაკი. ქოხი მემცხვარეების საცხოვრებელია; ის ქვის ყორის ერთთვლიანი ორფარდულა შენობაა, სიგრძით დაახლოებით 5 მეტრი, სიგანით — 4 მეტრი, სიმაღლით შუაზე — 1,7 მეტრი, გვერდებზე — 1,25 მეტრი. წინა მხარე ნაწილობრივ ღიაა. კარიც აქეთა აქვს. სიგრძის შუა ხაზზე უდგას ორი ბოძი; ამ ორ ბოძსა და უკახა ყორეზე გადებული საყარე; მასზე აწევია ყავრეები ორფარდულად (დაქანებით ორ მხარეს), ყავრეებზე — არყის წიწკი (ტოტები), მის ზევიდან ხავსი და სულ მალა — მიწა. იატაკად პყარია.

ქოხში წინ, ჯვარდის ყორესთან გამართულია კერა. აქ დაყუდებულია ორი კუთხიანი ქვა ქვაბის დასადგმელად. ამის ცოტა მაღლა ყორეში „შეშვებულია“ გრძელი ჯოხი, რომლის ნაწილიც კერაზე არის გამოშვებული. მას ქვაბის საკიდლად ხმარობენ. კერის ასწვრივ ყავრეებს ზევიდან აწყვია სიბი ქვები, რომ ქერს ცეცხლი არ გაუჩნდეს.



სურ. 6. მეცხვარის ბინის ინტერიერი თეფარაქანის საზაფხულო სამოვრებზე.

ქოხის უკანა ნაწილში არის ტახტი ყველის გუდების დასაწყობად. ის გამართულია ხეებისა და წვნილსაგან ბოძებზე დაყრდნობით. ზევიდან აფენია არყის ხის ფოთოლი ან ბალახი.

ქოხში არის მემცხვარის ქურჭელი: ხონი — თაბახი ქალის გასაზეულად; ქიტები — ღრმა კოვზები; კოხები — კოვზები; ჯამბი — ხისა — საჭმლისათვის; ცულა.

ქოხის გარეთ არის ხოხი (მაგარი, ფოლადი) ქვაპარლის დასაფქველად, ე. ი. დასანაყად. ის სწორპირიანია.


ბაკი გამართულია ქოხის წინ, დაახლოებით ხუთ მეტრზე. ეს არის არყის, ან ცირკლის მანით და წნელით შეღობილი ადგილი ცხვარს მოსაწყველად. კარი აქვს ერთ მხარეს. ბაკთან არის ნიჩაბი, გაკეთებული ფრქვის ხისაგან. ნიჩბით ბაკს ასუფთავებენ. ბაკს საჭიროების მიხედვით აკეთებენ. თუ ბევრი ცხვარი ჰყავთ დიდ ბაკს მართავენ, თუ ცოტა — პატარას.

ქოხის წინვე, ნაპირის ხაზზე დგას ორი ჩხა, ე. ი. კაპიანი ხე ჩარკობილი მიწაში. მათზე გადებულია სწორი ხე. უკანასკნელზე ფენენ ყველის საწურავაც ტილოს პარკებს; მასზედვე ჩამოჰკიდებენ დაკლული საქონლის ხორცს და სხვას.

ცხვრის საყვები ბალახი. ქარცხენ — წვრილი, წმინდაფოთლიანი, რძიანი ბალახია. ამოდის მაისის პირველიდან და ძლებს მარამობისთვის პირველამდე. სამყურაძენ — სამყურიანი ბალახია; ნოყიერი, ქარცხენზე მაღალი იზრდება. ამოდის გაზაფხულზე და შემოდგომამდე ძლებს.

მზიანაძე — რძიანი, ვრძელი, უფოთლო ბალახია ხახვის ფოჩივით. ამოდის გაზაფხულზე, სძლებს მკათათვის პირველამდე.

ყვავისმჩილაძე — ბატის ფეხივით ფოთოლი აქვს გაშლილი. ძლიერ დაბალა, მიწაზე გართხმული, ნოყიერია. ამოდის გაზაფხულზე, სძლებს ორი თვე.



სურ. 7. მეცხვარის ბინის გეგმა და კრილი თეფარაუანის საზაფხულო საძოვრებზე.

მელისკულაძე — ბუსუსიანი² ბალახია, დაბალი, ნოყიერი. სოფლის ექიმები მას კრილობისთვის ხმარობენ. ამოდის გაზაფხულზე, ძლებს ორი თვე.

კრაზანაძე — რძიანი ბალახია. როცა მომეტებულად ძოვს მას ცხვარი, ტუჩებზე მუწუკებს აყრის. ამოდის პირველ გაზაფხულზე, სძლებს შემოდგომამდე.

ჭიშკი — წვრილფოთლიანი ბალახია, მიწაზე ჯართხმული, ნოყიერია, ცხვრისა და ცხენისათვისაც საუკეთესო ბალახია. ამოდის გაზაფხულზე, სძლებს შემოდგომამდე.

ვაცისწვერაძე — ქუჩი ბალახია, მაღალი, ამოდის კლდიან ფერდობებში ჭგუფად (ქუჩად). ცხვრისა და ცხენისათვის საუკეთესო საქმელია. ის ზამთარშიაც დიდი ხანი ძლებს და მთა ადგილებში საქონელი დიდი ხანი ამით იკვებება.

კვლიაფი — ქინძის მაგვარი ბალახია.

ცხვრის პარსვა. ცხვარს აქვს ბეწვი, ოხას — ბალანი. ცხვარი იპარსება, თხა — იკრივება. შპარსავენ ცხვრის გასაპარსად ადგილს გაასუფთავენს (დავვის) ან კიდეუ დაძვენს რამეს — ხალიჩას (სადა ფლასია), ხაკს და სხვას. გამართავს ფეკსამბელაძეს (ე. ი. ჩაარკობს მანას მიწაში, ჭკლეზე, ანუ ჭლეზე ბაწარს გამოაბამს. ბაწარს ბოლოში გაუყრის რიკს, ანუ ჩხირს). მერმე ცხვარს გულალმა დააწვენს და უკანა ორ ფეხს ფეკსამბელაძით დაუბამს (ბაწარს ერთი ორჯერ გადაახვევს უკანა ორ ფეხზე, რიკს შიგნითა მხარეს, ფეხებზეა, ამოატარებს და ზევით მოუქცევს გარდიგარდმო. ამით ფეხები იკეტება და ცხვარი ველარამოდრავებს მათ (წინათ უკანა ფეხებს პატარა ბიჭებს აწვრინებდნენ თურმე, ფეკსამბელაძე უკანასკნელ ღროს შემოუღიათ). წინა ორ ფეხს კი მარცხენა ხელით დაიჭერს. მარჯვენაში დაიჭერს ღუქარდს (მაკრატელს) და ჭერ წინა ფეხების გვერდებს (გარედან) გაუპარსავს, მერმე — მუცელს და იქვე პატარა მანძილზე გვერდებსაც — ორივე მხარეს. შემდეგ უკანა ფეხებს აუშვებს და ოთხივე ფეხს ბაწრით ერთად შეუკრავს გადაცვლით, ე. ი. ერთს — წინას და

² დედანოია: „ბერუსიანი“.

ერთს უკანას და კიდეც ისევე. ბაწარს ზედ გაშატავს (გაყულფავს, რომ ადვილად გაიხსნას). ამის შემდეგ ზოგი მპარსავი თავიდან პარსავს, ზოგი — დუმიდან (უკანა ფეხებიდან). ბოლოს, ჭერ გაუპარსავს გვერდებს, მერე — ზურგს. გაპარსულ მატყლს მპარსავი მოაქუჩებს ერთად, დაგრეხავს სიგრძეზე და შეხკრავს. ერთ პირს მეორე პირზე გაღმორუხევეს და ამოღნასკეავს (გამოკვანძავს). ამას ჰქვია ნაპარსი.

ზოგ ნაპარსს აქვს თებოვ ქონის მაგვარად; ასეთი მატყლი კარგი ხარისხისაა და წონაში მეტი მოდის.

ღელად ბატყანს უკანა მხარეს ფსლის გამო აქვს კორხლები, ე. ი. დამწვარი ადგილები (უკანა ნაწილი ფსლით უსველდება და კორხლები ზედ ეკვრება); ამაზე იტყვიან: „ცხვარი დამწვარი“. გაპარსვის დროს კორხლებს აჭრიან და ყრიან.

ცხვარს ყველა პარსავს, ეს საქმე ყველამ იცის. დღეში პარსავენ ორმოცდაათს. სოფ. ხისოს ყოფილ მცხოვრებ ლევა მურთაზაშვილს დღეში ასოცი ცხვარი უპარსავს სუფთად და წმინდად.

მპარსავემა პარსვისას თუ ცხვარს ტყავი გაუჭრა, გაჭრილ ადგილას ან ნახშირს დააყრის, ან კარბოლის სიმყავეს ახმარებს, ან ნაფტალინს დააყრის, ან სკიპიდარს წაუსვამს.

ცხვრის დაავადებანიც. ცხვარს სხვადასხვა სატიკივარი უჩნდება, სახელდობრ: ჩიჩრახნი — ცხვარი შემოდგომის გაყინულ ნოლს (ნოლი ახალი ბალახია) რომ მოძოვს, ფალარათი ემართება და კვდება. ეს სატიკივარი თუ გაჩნდა, მთელ ფარას გაწყვეტს. წამალი არა აქვს.

პეპელაჲ — ბრტყელი ჭიაა და ცხვარს ღვიძლში უჩნდება. შეეყრება (შეხვდება) ბარში კუანტიან (კაობიან) ალაგზე ბალახის ძოვის დროს. სატიკივარი თუ ნაღველში გაუჯდა, ცხვარი მოკვდება. წამლად ხმარობენ შხამაძს (ბრტყელფოთლოვანი ბალახია) ძირს. მას ნაყავენ და დაფქულ მარილ-მდოგვში გახსნიან და ცხვარს შეაქმევენ.

ღურაღ — შეციებულ ცხვარს უჩნდება. ზამთრის შეციებულს ზაფხულზე გამოაჩნდება: თავი დაუსივდება, ყიყვი ჩამოუვა, ღუმა გაუქმება და მოკვდება. წამალი არა აქვს. თუ საჩქაროდ ღურაჲ (ე. ი. მწვანე) ბალახს შეხვდა, მორჩება, თუ არადა — არა.

ხიხაშლეა — ცხვარს ჭიგარი უწყულულდება. არა რჩება, კვდება.

თურქულ — ცხვარს ფეხები უწყულულდება და ვერ დადის. წამლობენ შაბიამნით.

ქეცი — ცხვარს ტურ-პირზე მუწუკებად დააყრის და ველარა ძოვს. მაზუთს უსვამენ და ისე არჩენენ.

ძუძუს მშრეტელაჲ — ცხვარს ძუძუ უსივდება. სამუდამოდ შრება. წამალი არა აქვს. ასეთ ცხვარს პყარს, ე. ი. ძუძუწამხდარს, მშრალს ეძახიან.

ყუთორი — ცხვარს მატყლი სცევივა. წამლად უსვამენ შაბიამანში გახსნილ თამბაქოს ან მაზუთს.

ყვავილი — ცხვარს ტანზე მუწუკებად დააყრის და ცხრა დღეში რჩება ან კვდება. თუ მორჩა, ტყავი სძვრება.

კრაჭუნაჲ — ცხვარი კბილებს აკრაჭუნებს, თვალებს აბრიალებს და კვდება.

რეტი — ცხვარს ტინი უწყალდება, გონება ეკარგება, პირს აცმატუნებს, მაგრამ ბალახს ვერა ძოვს.

ბრმავება — ცხვარს თვალებზე ბინდი გადაეკვრის და ბრმავდება. თვალებს მარილ-გოგირდინი წყლით ბანენ.

კუპის კმობა — ცხვარი მუცელში იკვრის და ვერ გადის. ნაღვლისა და ტყიარის სიმსივნე უჩნდება. ასეთ ცხვარს ცხვრის უდაღვენ.

ნაბარვე — ბარიდან მთაში ამოსულ ცხვარს ზოგჯერ მთის წყალი სწყენს, იბერება და ზოგი იხოცება.

ყარაო — ზამთრობით ფარეხში დამწყვედულ ცხვარს ზოგჯერ საკეები შემოაკლდება. მდას კარავს და ვერა კამს. ამის გამო ხშირად მსუქანი და უფრო ჯიულ ცხვარი იხოცება.

ბედნიერი — ცხვარს ტყირაზე მუწუკი გამოუვა და უცხად კლავს, ორისამი სათი ვერა ძლებს. ლოცით სწამლობენ, მაგრამ სანამ კაცზე ან მსხვილ საქონელზე (ცხენზე და სხვაზე) არ გადავა, არა რჩება.

გველისძუა — თოხლის ავადმყოფობაა. შემოდგომაზე, როდესაც თოხლი გაყიხულ-თირთილან ბალახს ძოვს, ფილტვებში გრძელი, თეთრი ქია უჩნდება. ამ ქიას გველისძუა ჰქვია (კახეთში არწივს ეძახიან). წამალად ბენზინს მარილში გახსნიან. ღიყის თესლს შეურევენ და აქმევენ, მაგრამ ძნელი მოსარჩენია.

ნაწლევის ქია — უჩნდება ბატკანს ნაწლევში დედიდან დარჩევის შემდეგ თიბათე-მარიამობისთვეში. ის თეთრი, ტყლაპი, გრძელი ქიაა. ბატკანს ხოცავს.

მარგ — თხის სატყეარია. მარგი რომ შეეყრება, თხა ორი დღე სიმწრისაგან ჩხაის და უცხად კვდება.

ცხვრის სერის სახელწოდებები. პატრონი ანაბარავ საქონელს, ანუ ცხვარს, როდესაც სხვასთანა ჰყავს ჩაბარებული და თვითონ ვერ მისდევს, სერს ადებს.

სერი სხვადასხვანაირია, სახელდობრ: თბე — ყური აქვს გამოჭრილი. არის წინ თბე, უკვენ თბე.

ჰაღეა — ყური კედესავით არის ამოჭრილი. არის: წინ ჰაღეა, უკვენ ჰაღეა. წათლილ ან წამოთლილ — ყურის წვერია წაჭრილი ირიბად. არის: წინ წათლილ, უკვენ წამოთლილ.

ისრის კილოა — ყურის წვერია ამოჭრილი.

დანის ფხა — ყური გვერდიდან არის შეჭრილი და თავგანებებული. არის: წინ დანის ფხა, უკვენ დანის ფხა.

ახეულ — ყურის წვერია ახეული ზევით.

ყურის წვერმოჭრილ — ყურის წვერია სწორედ წაჭრილი.

სერებზე იტყვიან: თბიან, კვდიან, წათლილ ან წამოთლილ ისრის კილოიან, დანის ფხიან, ახეული. სერი ან მარჯვენა ყურზე არის ან მარცხენაზე. იტყვიან — „მარჯვენა ყურახეული“ და სხვა. სერის გარდა „ანაბარავ საქონელსავე“, გაპარსულია ის თუ გაუპარსავი, ადებენ წითელი ან ლურჯი (ლალი ფერის) საღებავის ლიშანს (ნიშანს), რომელსაც უკეთებენ თავზე ან მხარზე ან მეჯის თავზე.

ცხვარში საყარაულოდ ჰყავთ ძაღლები. იმას ცხვრის ძაღლს ეძახიან. რომ ან ქურდი, ან მგელი არ შემოვარდეს.

ძაღლსაც ეტყვიან: „თოეს!“ და გავა სანაპიროზე.

ცხვარში საყარაულოდ ჰყავთ ძაღლები. იმას ცხვრის ძაღლს ეძახიან. ის საუცხოო ჯიშისაა. გარეშე ადამიანსა და ნადირს ბინის ახლო არ გააკარებს. არის კიდევ შინა ძაღლი, ის სახლში ჰყავთ.

3 ჰეკელან, სიხაულა, ყარაო, მარგ-ს აღწერილობა ამოღებულია ს. მაკალათიას წიგნიდან — „თუშეთი“, მცირედი შესწორებებით („თუშეთი“, თბ., 1933 წ. გვ. 61). შესიშენა კავთელის შემკრებს.

მთხრობლები: გიორგი წვერაიძე, 55 წ. (სოფ. შტროლა); იოზ ბაზულაიძე, (სოფ. დადიკურთა); სილო მურთაზაშვილი, 57 წ. (სოფ. ხისო).

ფურის წველა. ფური იწველება დილით და საღამოთი. წველიან ზის ხა-წველადაც ღურკში (რძის საწველი კასრი). თუ ბევრი ფური ჰყავთ, ზეს (რძეს) ყოველდღე ურვევენ (სდღვებავენ), მაგრამ ეს იშვიათია. უშეტეს ნაწილად რძეს აგროვებენ საკედე ქვაბში და როცა ერთი შერევა (შედღვება) დაგროვდება, მერმე შეურვევენ (შედღვებავენ). საკედე ქვაბს ზევიდან აფარებენ ლასტს. აქ რძე შეიძლება დარჩეს ზაფხულში სამი დღე, ზამთარში კი ერთი-ორი კვირა. თუ მეტი დარჩა, გაფუჭდება. შესარევე ზეს (შესადღვებ რძეს) საკედე ქვაბიდან გადაიღებენ ჩხუტში (ხადღვებელში) კოჩხოთი. ჩაზღებენ შიგ ბრუნელს (ხარველა) და ურვევენ (დღვებავენ). შერევის (დღვების) დროს წყალს ასხამენ. თუ რძე ძალიან ცივია, მაშინ პირველად აღუღებული წყალი უნდა დაასხან, ბოლოს, შედღვების დროს კი ცივი წყალი. ზაფხულში ბარში სულ ცივი წყალი უნდა ურიონ, თორემ გაწყალდება. სიცხეში ნახევარი მაინც ცივი წყალი საჭიროა. წყალს თანდათან ასხამენ ჭურჭლით. ორი საათის შემდეგ რძე კარავხ, ანუ კარაქს მწვგლებს („კარავის მოგდება“). მას მოხდიან ქაფქირაყით ან კოჩხოთი, ჯამით და იშვიათად ხელით. რძეს ურვევენ კიდეც და კარაქს თანდათან სულ მოხდიან. კარაქის მოხდის შემდეგ ჩხუტში რჩება ღოვი, ე. ი. კარაქმოხდილი რძე (ჩუმბა).

მერმე დოვს კალტს (ხაჭოს) მოხდიან: ზოგი მაშინათვე მოხდის, ზოგი გვიან. ამისათვის დოვს ჩხუტიდან საკედე ქვაბში გადაიღებენ, ცეცხლზე შემოდგამენ, გაათბობენ და კალტს მოხდიან.

თუ დოვი რძის შერევის შემდეგვე მოათბეს, მაშინ კალტი ქვაბის ძირს წავა, სველი (შრატბი) კი მდლა დაადგება. სველს კოჩხოთი მოხდიან, ძირში დარჩება შეკრულ კალტი, იმას პარკში გადაიღებენ, ცოტა გაიწურება და გამოვა ტკბილ (ტკბილი) კალტი, ამას ჰქვიან ტკბილად მოთბობაჲ (ერთი მეორეს ეტყვის: „ტკბილად მწვტობ[ა] ან მყავედავ?“).

თუ დოვს ერთი, ორი საათი დაუგვიანდა და მერმე მოათბეს, კალტი მდლა წამოვა, თავზე მწვგლებს („კალტის მოგდება“). კალტს მოხდიან, პარკში გადაიღებენ და გაიწურება (ქვაბის ძირში დარჩება ცოტა კალტი. იმას და ავრეთვე მდლიდანაც ცოტა კალტს სველით სახვრეტად (სახვრეტაცწ) აიღებენ ცალკე ჭურჭელში). ეს იქნება წამყავო კალტბ. ამას ჰქვიან მყავედ მოთბობაჲ.

თუ დოვს დრო ძალიან დაუგვიანდა (მაგალითად, დილიდან საღამომდე), გაფუჭდება, დამყავდება. მაშინ იმას აღუღებენ: ჭბთბ (ღრმა კოვზია) ურვევენ და კალტი ძირს წავა, დაილექება (ცოტა მდლაც დარჩება). სველს გადაწურვენ და კალტს ამოიღებენ.

პირველ და მეორენაირად მოხდილი კალტი კარგი კალტი არის, მესამენაირად მოხდილი კი გაფუჭებულია და პირველ და მეორე კალტში უნდა გადაურიონ, ისე არ ვარგა.

კალტს ერთნაირად აკეთებენ. ცოტა ხანს დიდ (კალტის ჩასაყარაც) ჯამში ჩახყრიან, ჩახფშევტენ (ჩაფხვნინან) და ესე იქნება ზაფხულში — ერთი დღე და ღამე, ზამთარში კი ერთი კვირაც შეიძლება იყოს. მერმე ამოიღებენ, კვერებად გააკეთებენ და გასაკმობად შეაწყობენ ოთხკუთხ წნელის გოდორში (კატას და ჩიტს არიღებენ), რომელსაც საკალტია, იგივე კიშტება, ანუ კისტე ჰქვიან. კიშტე

ლია ადგილას, საფარს ქვეშ არის ჩამოკიდებული; მზე თუნდა ადგებოდეს, თუნდა არა. ჰაერი კი უნდა ხედებოდეს. თუ ჰაერი არა აქვს, გაფუჭდება.

კალტს ხმარობენ „სატნად“ პურთან ან ქალთან. თუ ჯამში „ჩაფშვეტილი“ (ჩაფხენილი) კალტი დიდი ხანი მარილდაუყრელი დარჩა, დაბუყტუნავდება, ე. ი. წახლნა. დაბუყტუნავება საზოგადოდ ლობისა და გაფუჭების ნიშანია. კალტი ცოტათი რომ დაბუყტუნავდეს, კარგია: ცოტა ძაფი ეძლევა, წებოსავით ებმება და თუ ცოტა მეტი ხანი დარჩა, და ძალიან დაბუყტუნავდა, ის უკვე სულ გაფუჭებულია, ქია ეხვევა და გადასაყრელი ხდება. თუ ქია არ დაეხვია, მაშინ სხვა კალტში შეიძლება შეურიონ, თუ არადა, გადაყრიან. ცოტათი დაბუყტუნებული კალტისკენ საუცხოო ზავიწი კეთდება. ის ძაფით არის ვაბმული. ახალი კალტისაგან კი კარგი ზავიწი ვერ გამოდის, ის თხელდება. ამისთანა ზავიწზე იტყვიან „კალტი გადორანავდაო“, ე. ი. გათხელდაო (კალტის გადორანავება — გათხლება). დაბუყტუნებულ კალტს ბუყტუნავ კალტში ჰქვია.

კარგი რძე ორ საათში შეიღვებება, მაგრამ ხან შერევა „გადონრეც“ (შედღვება გადაირევა) და მთელი ღლეც უნდა. მაშინ ჩხუტს „უმძრახანს შანგმბენ“ (ნიშანს შეაბამენ).

უმძრახანს თვალის შელოცვის ნიშანია, გაკეთებული თურსაყის (უზანი) ჩხირისაგან. უმძრახანს საკუთრივ თურსაყის ტოტსა ჰქვია, რომელიც უმძრახანად არის მოტანილი სახლში. ის ყველასა აქვს. ყოველ წელიწადს ოცობას, ანუ ხარებობას ღიაცქი დილაადრე ადგება, უმძრახანს წავა და თურსაყის ხის ტოტს მოშქრის, მოიტანს და შეინახავს, როცა დასჭირდება, იხმარებს. მაგალითად, რძის შედღვების, გადარევის დროს ტოტს პატარა ჩხირას მოსტეხავს, გახვრეტს, საკმელთან და ცოტა ტყვიასთან შეახვევს ძონძში, ბერღიაცს თვალისას შეალოცვინებს (იმათ იციან ამის ლოცვა) და წითელი ბაწრით ჩხუტს შეაბამს. ხან კი მარტო თურსაყის ჩხირს აბამს.

უმძრახანს აბამენ აგრეთვე კარგეურიან ძროხას, ხარს (თუ ავად გახდნენ).

კარაქს მოხდის შემდეგ ინახვენ ქვაბში (ძველად უნახავთ საკარაქე ჯამში), ზევიდან წყალს ასხამენ, რომ არ გაფუჭდეს. კარაქს აგროვებენ და ორ-სამ მოხდას, ესე ოც-ოცდაათ გირვანქას ერთად აღნობენ. შედგამენ ქვაბით ცეცხლზე და ჯერ ერთხელ მოადღებენ, გადმოიღებენ, დაღვამენ და გაიყინება. ცალ მხარეს კოვზით ჩაუხვრეტენ და რაც შიგ დოვია შერეული, გამოიწურება. მერმე კიდევ მეორედ შედგამენ ცეცხლზე, მოადღებენ, გასწურავენ საცერში ან ტილოში და ცალკე ჭურჭელში, ღურკში (კასრივით არის) შეინახავენ. ეს არის ერბო.

კარაქის გადნობის შემდეგ ქვაბის ძირში რჩება ნაძირალაც ერბოსი, ბეწვი და სხვა, რომელსაც როჭვი ჰქვია.

სარძევე ჭურჭელი. საყდრე ქვაბი რძის დასაყენებლად და დოვის გასათობობად.

ჩხუტნ ბრუნელით რძის შესარეველ, ანუ შესადღვებად.

გომრულაც ბაკან კარაქის შესანახად.

ხაკარაქე ჯამი კარაქის შესანახად.

საერბოე ღურკი ერბოს შესანახად.

საერბოე ბაწუნაწი ერბოს შესანახად.

ღურკე, ანუ კასრი რძის მოსაწველად.

კოჩხო რძის გადასადღვებად.

ქოჯო რძის საწურავაც ცოცხია, გაკეთებული მაკატის ხისაგან (გაქერქილია). მას რძის ჭურჭლის მოსარეცხადაც ხმარობენ.

კალტისათვის [იხმარება]: საკალტიაჲ, ანუ კისტეა, საკალტე ლასტნი, საკალტე ხონჩაა, საკალტე ჭამი, საკალტე ჩანთაა.

ცხვრის წველა. წველიან ზაფხულში ბინაზე სამ თვეს. ცხვარი ღილით სიძოვარზეა. მოსაწველად მორეკავენ ბინაზე შუადღისას, დაახლოებით თორმეტ საათზე, შერეკავენ ბაკში, (შემოდობილი ადგილია). ბაკის გარეთ დგას ზის (რძის) დახაყენებლად კოდნი (ზის დაყენება), ე. ი. კოდი მოწველილი რძის ჩასახსმელად. კოდს ზევიდან ადგას ზის საწურავად კათხაა, რომელშიაც ჩაგებულია ჭინჭარი ან ჭინჭრის ღედაა, ან ვაცისწვერაჲნი; ბალახის ზევიდან ან ბალახის ქვეშ დაფენილია ტილი. მწველავეთი აიღებენ ზის საწველავად კასრებს და დაუწყებენ ცხვრის საათითად წველას. წველავენ უკანიდან, ანუ უკანა ორი ფეხის შუადან. თვითუღკერ მოწველის წინ ხელს ჩაისველებენ რძეში და ძუძუებზე მოუსვამენ, რომ დაუღბეს რძის ჩამოსაშვებად. მერმე ორივე ხელს ცურაზე შოუპერენ და სტვირებიდან (ძუძუები) გადის რძე. შემდეგ სტვირებს ჩამოსჩხენტავენ, ანუ ძუძუებს ჩამოწურვენ (სტვირების ჩამოჩხენტვაჲ), რომ რაც ხელის მოკერის შემდეგ შიგ რძე დარჩა, ისიც გამოწველონ (მოწველის შემდეგ, იგივე ცხვარი შეიძლება ორ-სამჯერაც ჩამოჩხენტონ). მწველავეთი თვითუღკერ, როცა კი კასრებს გაავსებენ, ჩაახსამენ კათხაში, საიდახაც ჩადის კოდში. ასე წველიან მთელ ცხვარს. მოწველას როცა მორჩებიან, ცხვარს ბაკიდან გარეთ გამოუშვებენ.

ამის შემდეგ მეყველე (ყველის გამკეთებელი) კათხას კოდიდან გადმოიღებს და, კოდს ზევიდან თუ უსუფთაო რამე არის რძეში, იმას ამოიღებს ჭამით და ხელმოკრედ გასწურავს. მერმე კოდში ჩაუშვებს შაბოშს, ანუ ღედას (საყველებელს), დაურევს ორკაპი ჭოხით, ზევიდან გადაფარებს ტოლს (შალს) და ნაბდებს, რომ თბულად იყოს. რძე ესე დარჩება ერთი საათი. ის „შიცგდებს“, ანუ შედღეღება და იქნება დელამოწნი. მაშინ იმავე ორკაპი ჭოხით დაურევს კიდეც, რომ დელამოწნი დაიფხვნას და ისევ იმ საფარებელს გადააფარებს. დარჩება ესე ნახევარი საათი.

ამის შემდეგ მეყველე ხის ჭამით ამოიღებს შრატს („სველი“ ფურისაჲ) ცალკე საკედე ქვაბში. როცა იმას მთლად ამოსწურავს, მაშინ გრძელი ხის დანით ან ჩეხულებრივი ხანჭლით კოდში „დარჩომილ“ ყველს ნაჭრებად დასჭრის. მიიტანს ყველის პარკს, „ჩახეიდებს“ კოდში, ამოიღებს ყველს და პარკში „ჩახყრის“, რაც ერთ კვერს ეკმარება, ესე რომ თხუთმეტ გირუნქაზე ნაკლები არ გამოვიდეს. ამოიღებს და მიიტანს ყველის საწურავად ფიცარაზე. პარკს პირს მოუგრებს მრგვალად და შრატს გაწურავს. გაწურვის დროს ყველს მრგვალი კვერის მოყვანილობას აძლევს (ყველი ზომიან უნდა გაიწუროს, რომ უხებირო არ გამოვიდეს). მერმე პარკიანათვე დამებს ფიცარაზე და დაფარებს ნაბადს, რომ ყველი არ გაცივდეს. დანარჩენ ყველსაც ისევე ამოიღებს და ისევე გააკეთებს, რამდენიც უნდა ყველი ამოვიდეს. ტილოში შეხვეული იდება ორი საათი. შემდეგ გამოიღებს პარკიდან და ჩააწყობს ყველის გულაში. გულაში ჩადებს ჭერ ერთ ყველს, დააყრის ორ მუჟა „დახირშულ“ (ხვრიშ) მარილს, მერმე შერებს და თითო კვერის ჩადების შემდეგ ასე დააყრის.

ყველს მარილი ძირიდანაც უნდა ჰქონდეს და ზევიდანაც. გულას პირს ბაწარს ან კანაფს მოაკრავს ქანჩით (რიკზე გამოღებულ ბაწარს). მერმე გაბერავს ფეხიდან (მისი წინა ფეხი ჭერ თავისუფლად არის დარჩენილი). გაბერვის შემდეგ ამ ფეხზედაც მოაკრავს ბაწარს და დასდებს საყველე ტახტზე, რომელიც ქონშია გამართული და რომელზედაც ვაცისწვერაჲ არის დაგებული. ზევიდან დაფარებს ნაბადს, რომ ორ დღეს მინიმ თბილად იყოს. ახალი ყველი გულაში წყავს უშვებს (წყაყა ყველის გამონაყური შრატია).

ყველს რომ მარილი თანაბრად გაუქდეს, გუდას რამდენიმე დღე დღეში სამჯერ აბრუნებს. ოცი დღის შემდეგ ყველი საკმელადაც კარგია და შეიძლება კოლეც გაიყიდოს.

ყველის პატარა კვერს (სამიდან ხუთ გირვანქამდე) კონჩხულაჲ ჰქვია, დიდს კი (თხუთმეტ-ოც გირვანქამდე) — კვერბე.

თუშური ყველი მსუქანი და გემრიელია. ის ნაღებმოუხდელია. რძე ნაღებს მოივლებს ერთი დამე ჭურჭელში დგომის შემდეგ. ყველის ამოღების შემდეგ კოდში დარჩა შრატო. იმას საკედლეში გამოასხამენ. „შემოზღვამენ“ ცეცხლზე, მოაღულევენ. ზევიდან კალტს მოივლებს. ამოიღებენ და იმასაც ტილოში გაწურავენ. მერმე მარილით გაზელავენ და კმობის ან ცხვრის გულაში ინახავენ. შემდეგ კიდევ შეიძლება კალტი ორ-სამჯერ გაზილონ, ის უფრო „კარგაყვადობ“ (კარგი ხდება), ერბოს უშვებს. კალტი ზამთარში შირაქში მიაქვთ და მეცხვა-რეები „სატნაღ“ ხმარობენ.

კოდის ძირში შრატის გამოსხმის შემდეგ რჩება ყველის ძირ ან დელა-მოწის ნამცეცები, რომელსაც მეცხვარეები თავიანთ სახერეტაცდ კასრში გამოასხამენ, ცოტა რძესაც დაასხამენ; დამჟავდება და ისე ხმარობენ; ეძახიან შუაგეს, რომელსაც ქიტით ხვრეტავენ; ძლიერ მარგებელი საკმელია.

ცხვრის რძე ერთიორად ნოყიერია ძროხისა და თხის რძეზე.

თხა იწველება ცხვართან ერთად და მისი რძე ცხვრის რძეში ერევა, ცალკე მისი ყველი არ კეთდება.

ძროხის ყველი კეთდება სწორედ ისევე, როგორც ცხვრის ყველი.

შაბოში არის მაწოვარი (ძუძუმწოვარი) კმობის (ხბო). ანუ ბატენის ფაშვის ნაწილიდან ანაჰერი დვრიტა. აჰკრიან ათი დღის მაწოვარს (ამის შემდეგ ეკარგება). შეინახავენ ორ თვემდე ან ქობში ცეცხლის „სიცხოლუზე“ ან შზეზე, რომ გახმეს. გახმობის შემდეგ ის შაბოშია, ე. ი. საყველეზელი. როცა მისი ხმარება უნდათ, მოსკრიან კოდისათვის საკმაო ნაჰერს, წერილად „ჩაშკრიან“ ჯამში, დაასხამენ თბილ წყალს და შაბოში გაიხსნება. პირველად თბილი წყალი უნდა, მერმე შეიძლება შრატიც დაასხან. შაბოშს წურავენ „შაბოშის საწურავაყით“. უკანასკნელი საცრისმაგვარი მოყვანილობისა და შიგ ბალახი აგია. ერთი ხბოს შაბოში გააკეთებს ხუთ-ექვს ფუთ ყველს, ერთი ბატენის შაბოში — ორ-სამ ფუთს.

სარძევე ჭურჭელი. ზის (რძის) დასაყენებლად კოდი, ანუ კოდი მოწველილი რძის ჩასასხმელად, გაკეთებული ერთიანი ცაცხვის ხისაგან, მხოლოდ „მსკერი“ (ძირი) ცალკე ხეა, შესმული ჰქვებიდან. მას (მსკერს) გარედან შემოკრული აქვს არყის ხის ყაბყუოდ (სალტე), რომელსაც თავები ერთმანეთში აქვს ჩაბანებული. ზომით არის საშუალოდ, სიმაღლით 0,8 მეტრი, სიგანით პირთან 0,7×0,6 მეტრი, გარშემო 2 მეტრი. კოდი და სხვა ჭურჭელიც ბინაში იმდენი აქვთ, რამდენიც ესაჭიროებათ.

საწველაჲვაც კასრი გაკეთებული ვერხვის ან არყის, ან ცაცხვის ხისაგან მალლა პირთან საკელეთი, ზომით არის საშუალოდ, სიმაღლით 23 სანტიმეტრი, სიგანით პირთან 25×23 სანტიმეტრი, გარშემო 75 სანტიმეტრი.

ზის საწურავაჲც ხოკერონ გაკეთებული ცაცხვის ქერქისაგან საცრისმაგვარად (რკალით). ქვეშ ძირთან ჯარდინად გაყრილი აქვს ორი წვრილი ჩხირი და მასზე შიგნით დაფენილია ვაისწვერაჲ ან ჩაღუნაჲ, ან ჩინჭრის დედა, ან სხვა ბალახი. მასში იწურება რძე. ზომით არის, საშუალოდ, სიმაღლით 23 სანტიმეტრი, სიგანით პირთან 40×27 სანტიმეტრი, გარშემო 1,7 მეტრი.

ყველის ხაწურავაჲნ გაკეთებული ფიჭვის ხისა ან ქვისაგან. ის ბრტყელია, გული ჩაღრმავებული აქვს. მასზე იწურება ყველი. ზომით არის, საშუალოდ, სიგრძით 1,27 მეტრი, სიგანით 0,4 მეტრი, სისქით 7 სანტიმეტრი.

საქედე ქვაბნ სპილენძისა, ორყურიანი, დიდი ზომისა — შრატის მოსადულებლად.

ჯამნ ხისა.

საქონლის დაკვლა, ტყავის გამოყვანა და გამოყენება

ძთხრ. გიორგი წვერაიძე, 55 წ. (სოფ. შტროლთა).

ფური, ჯარი ერთნაირად დაიკვლის. დაკვლის დროს საქონელს ოთხივე ფეხს შეუკრავენ, რომ არ გაინძრეს. დააწვენენ გვერდზე. ყელს მიუბრუნებენ აღმოსავლეთის მხარეს და ხანჯარს ყელში ჩაუყრიან და ისე გამოსხეპავენ, პირდაპირ მალა არ გადაუსვამენ, რადგანაც ეს „ბუსურბნის“ წესიაო. მერმე ყანყრატოს ძელის ტეინს გაუჭრიან (უმისოდ არ მოკვდება და ხორციც უგემური). ნახევარი საათი ისე გააჩერებენ. მერმე გულალმა გადააბრუნებენ. ტყავს შუა შუტელზე გადასერავენ. ოთხივე ფეხს მალიდანვე ჩაუხევენ გადასერილ ტყავამდე. მერმე დაიწყებენ ტყაებას⁴. ატყაებენ დანებით. ტყავი ხორცს ადვილად სცილდება. როცა გატყაებას მორჩებიან, ტყავს ძირს კარგად გაფენენ. აპურიან ბარკლებს, მზრენს, მუტელზე გადაშქრიან, ნაწლავს და ფაშვს გამოიღებენ, გვერდებს აპურიან. დარჩება მარტო ზურგის ძვალი. ფირტვები და ლეიძლი ფაშვსა და ხაწლეუებს გახყება ჭერჭერობით და [შემდეგ] იქიდან გააყალკებენ. ზურგის ძვალსაც ტყავზე სამად გადაშქრიან. იმასაც ცალგან გადაიღებენ და დარჩება მარტო ტყავი.

ტყავს მალა ადგილზე გადახფენენ სადმე; სისხლს კარგად ჩამოხფხეკენ, ორად შემოხეკენ, წაახევენ და ერთ ღამეს ისე შეინახავენ (ბეწვი ტყავს გარედან ექნება): წაყრიან ან შაბიამანს და მარილს. ან კიდევ მარტო ნაყარს. ლურსმნებით ან ლართხებით გაშქიმავენ მაგრა (ლართხი გრძელი ჯობია (ტყავისათვის მას გამწვეტებენ ორსავე მხარეს; ტყავს ნაპირებში ცოცოტას გაჭრიან და ამ გაჭრილებში ლართხებს გაუყრიან). გააშრობენ მზეზე, ჰაერზე; თუ ძალიან ცხელი დღე არის, მაშინ გრაღში აშრობენ (ცხელ მზეში გამშრალი ტყავი უეარგისია, ვერა ძლებს). ჩამოიღებენ და შეინახავენ. იმას ან გახყიდიან, ან ქალბნის შოლტებად დაშქრიან.

თავსაც გაატყაებენ და ცულით დაჭრიან.

დიკველაჲ თუ ორი წლისაა, ისევე დაიკვლება, როგორც ფური ან ჯარი. საქონლის სხეულის ასობები: თავნ, კისერნ, ქედნ, ზურგის ძვალნ, ზურგის მალა (ყუდის მხარეა), მხრებნ, გვერდებნ (ფერცხალნ გვერდის ძვალია), სუკებნ, მკერდნ, მკერდის კალთაჲნ. ჭიგარნ (შიგნეული), ბარკლებნ (გაზებნ მუხლის ქვეშითა ძარღვებია, იტყვიან „საქონელს გაზებ დნეჭერესო“), ფეხებში თავის ჩლიქებით.

ჯიგრის ნაწილებია: ფირტვნ, ლეიძლნ, ფაშნ და ნაწლავებნ.

ფირტვის აქვს ფირტვებნ, ფირტვის მილნ, ყირყინტაჲნ (ყაყრანტო — ყანყრატო), გულნ, გულის ყურებნ, გულის ჩონჩხებნ.

4 სოფ. ომალოს მცხოვრებმა მკაცრო ბილიძემ მიამბო: „წინა ცხენის გატყაება წესათ არ იყო; ვინც გაატყაებდა, კანონს ზღებდეს, რათ გაატყაეო“.

ღვიძის აქვს: ღვიძლი, ღვიძლის სტვირები, ღვიძლის ქონი, ნაწლელნი, თირკმელალები.

ფაშს აქვს: სასულაჲ, ფაშნი (ფაშვი). გუბჯაღნი (ფაშვზე არის მობმული, ფოთლიანი ნაწილია), საქსნეა (შაბოში, ანუ საყველებელი მისგან კეთდება), ფაშის ყურა, ტყირაპაღნი.

ნაწლევები: სახვე ნაწლევნი (მსხვილია და მსუქანი), წმინდა ნაწლევნი (წმინდა და სისუსუქნი ცოტა აქვს), მგლის ნაწლევნი (სქელია ძალიან და ორი არწინის სიგრძე იქნება; მოაჭრიან და გადაადგებენ, არ იჭმება).

ცხვარიც ისევე აღმოსავლეთისაჲ დაიკვლის. დაკვლის დროს ფეხებს არ უკარინ. დაკვლის შემდეგ ცოტა ხანს შეაჩერებენ, თავს მოსჭრიან და უკანა ფეხებს ჩაუხევენ ბარკლებიდან დუშამდე. ბარკლებს და დუშას დაბლავე გაატყავებენ. შემდეგ ცხვარს მალა კაჩოზე (კაპზე) ჩამოხკიდებენ. ტყავს გადმოაჭრებენ. ჩამოწვენ და თანდათან ჩამოაძრობენ ხელით. ხანდისხან დაწასაც ხმარობენ. მუცელს გაუჭრიან და ნაწლევებს, ფაშს, ფირტეს და ღვიძლს გადმოიღებენ. მკერდს აუჭრიან. მერმე ააფეშხოებენ, ანუ ნაწილებად დაჭრიან და ორი ფეშხო და ერთი ზურგი იქნება, ე. ი. სამი ნაწილი; მეოთხეც მკერდი იქნება. „ესე ცალგან ჩამიჭრება“ (ჩამოიჭრება).

ტყავს გადმოაბრუნებენ: ბეწვს შიგნით მოუქცევენ, ტყავს კი გარეთ. შიგნით ორკაპ ჯოხებს გაუკეთებენ, რომ ტყავი გაშლით იყოს და ასე ჩამოხკიდებენ ჩხაზე (კაპიან ხეზე) გასაშრობად. თუ ძალიან ცხელი დღეა, მაშინ გრილოში დახკიდებენ. ასეთ გატყავებას, როდესაც ტყავს არა ჰკრიან და ისე ატყავებენ, გულდურად გატყავება ჰქვია.

არის კიდევ მეორეგვარი გატყავება, რომელსაც უახსურად გატყავებას ეხანიახ. მაშინ ტყავს მუცელზე და ფეხებისაჲც გაჭრიან. ასე ატყავებენ ცხვარს, როდესაც ტყავი ტყავკაბად უნდათ და სხვა.

თხა და ხბოც ისე დაიკვლის, როგორც ცხვარი.

საქონლის დასაკლავი იარაღებია: ხანჯარი და დანა.

ტყავებისაგან აკეთებენ გულებს, სახელდობრ: ყველის გულას აკეთებენ ცხვრის ტყავისაგან. ტყავს, ერთი კვირისაა ის თუ ერთი წლისა, თუ მატყლიანია, გაკრეპენ, დააბობენ: სადაც დახეულია ან გაჭვრეტილია, ხარატოლს (პოლორქიკს) გაუკეთებენ. კისერზე და ფეხებზე კანაფს მოაკრავენ (წინათ ბაწარს აკრავდენ) და დუშის მხარეს ღიას დაურჩენენ ყველის ჩასაყრელად. გადმოაბრუნებენ: ბეწვს შიგნით უზმენ და გულა მზად არის. როცა უნდათ, ჩაყრიან ყველს და პირსაც მოაკრავენ.

მკრის გულას, ან ჯალის გულას აკეთებენ თხის ან ხბოს ტყავისაგან. იმასაც ბეწვის მხარე შიგნითა აქვს, ოღონდ ბეწვი გაფხეკილია, გასუფთავებულია. მასში მემცხვარეები ჯალსა (დაშუშული ქერის ფქვილს) და სატანს (ყველი, კალტი) ინახავენ.

ვიტანს აკეთებენ ხბოს, ცხვრის ან ნადირის ტყავისაგან; ისიც გულაა. ხმარობენ წისკვილში საფქვავის წასაღებად, ან საკნავეზე თესლის გასატანად: მწვემსები კი კალისათვის.

არის პატარა გულისებური ქურქელი, რომელსაც საკალტი ფაშნი ან ფაშნი ჰქვია. იმას აკეთებენ ცხვრის ფაშვისაგან: ფაშვს გარეცხავენ, გაბერავენ, და ჩამოხკიდებენ. გახმება. მემცხვარეები კალტს ჩაყრიან და ცხვარში ატარებენ.

მთხრობლები: სიდო მურთაზაშვილი, 57 წ. (სოფ. ხისო); ნინო წვერაიძე, 63 წ. (სოფ. შტროლთა).

მატყლისგანვე დიაციები ნაბღებსაც თელავენ.

ნაბღები სხვადასხვანაირია, სახელდობრ: საფენი ნაბაღი, თექა-ნაბაღი, საქულდე ნაბაღი, საოფლეა, ქევანი.

საფენ ნაბაღი ორნაირია: საგორავის ნაბაღი მკვსათვის ეწერა და გრძელი. [ხოლო] საგებლის ნაბაღი ტახტისათვის განიერია და მოკლე. ფერად ორივე თეთრია ან შავი. საგორავის ნაბაღს აქვს ნაქრელები: ჭარანაჯი, ალვის ხეა, გატოტილაც, შიბი, ჭირკვანაჯი და სხვა.

საფენ ნაბაღი ყველა ერთნაირად ითელება. სანაბდე მატყლს გაღაარჩევენ. გარეცხავენ, გააშრობენ, დაწეწვენ. ორნი ან სამნი დადებენ ტოლს (შალს), თუ საფენი კრელი უნდათ, ნაქრელს გაუკეთებენ: აიღებენ ფერადი მატყლის კერეულს (ფთილას), აქიდან პატარ-პატარა ზოლებად გამოიღებენ მატყლს და დაეჭრებენ, ე. ი. თონთლედ გნსწორებენ გრძელად და რა სახეც უნდათ. იმ სახეს გამოიყვანენ; თუ საფენი სადა უნდათ, მაშინ პირდაპირ მატყლს დაეჭვირ-ან, დაეწინწლებენ ადუღებულ წყალს (დანამავენ) ფთხილად, რომ არ დაეჭვი-ტოს, დადებენ ან ძირს, ლასტზე (ძველად), ან ტახტზე (ეხლა); დაეხვევენ ტო-ლიანად (შალით) და სთელავენ მკლავებით ჭერ ერთი მხრიდან, მერმე — მეორე მხრიდან. პირველ გათლილს თხანთხაღი ეწოდება. მერმე ტოლს გამოიღებენ, მხოლოდ ნაპირებში ცოტას დაატანენ და ისე გაახვევენ ტოლშივე და სთელა-ვენ; მერმე გვერდებზე, პირქვე აბრუნებენ და სთელავენ. ასე სთელავენ ათჯერ (გვერდებიდან თელვის დროს გვერდებიც უსწორდება და ისედაც სწორდება საერთოდ). მერმე გააშრობენ. კიდევ დაასხამენ ცხელ წყალს და ისევ ტოლში გაახვევენ, ახლაც ისევ ყველა მხრიდან თელავენ ექვსჯერ. ამით თავდება ნაბ-ღის თელვა.

ნაბღის ნაქრელი: ჭარანაჯი, ტოტიან ალვის ხეა, ზოღი, გატოტილაჯი, შიბი, ჭირკვანაჯი, მთვარეა, თვალნი, გადაგრეხილი თვალნი, ჭვრიან თვალნი, დობიკის კაჯი, ჩიტისფეკანაჯი, მოკნენტილანაჯი კანჭულაჯი, მოგარეზილი. ანუ მობრუნებულ ჭირკვანაჯი, ჭვარი, ბალიში და სხვა.

თექა-ნაბაღი თექისათვის (კაცის ტანისამოსია) იხმარება. ის სადაა, თეთ-რი. შავი ან ლევა. ითელება ისევე. როგორც საფენი ნაბაღი, მხოლოდ მას მესამედაც უნდა ექვსჯერ მოთელვა, რომ უფრო მაგარი და წყალგაუვლი გამოიღდეს.

საქულდე ნაბაღი თუშური ქუდისათვის იხმარება. საქულდე ნაბაღი ითელვა ბატკნის ყვერის, ყურის, თვლების და სახის გარეშემო ადგილების ნაქრეკანე-ბისაგან, რომელსაც ხუჭუჭა ჰქვია. ის რბილი და კარგია. საქულდეს სხვა მატყ-ლისაგანაც თელავენ, მაგრამ ის არ ვარგა, კარგი არ გამოდის. საქულდეს ორ-სამჯერ ჩეჩავენ; მერმე სამჯერ თელავენ თექა-ნაბაღით. ის შარდისფერია და. როცა მოითელება, თავშავაში შეღებავენ შავად; მერმე აშრობენ; გამშრალს ბეწვის ვასაცულელად ცეცხლის ალზე ტრუსავენ.

აღრევე, გათელამდე, შეღებვა არ იქნება, შეღებილი მატყლი არ გაითე-ლება (თუ აღრე შეღებეს, მაშინ უნდა გაიჩეროს და ისე გაითელოს) თუ საქუ-დე გაფუჭდა ან ძალიან თხელი გამოვიდა, მაშინ ხუთჯერაც თელავენ და ექვს-ჯერაც.

საოფლე ცხენზე. უნაგირის ქვეშ. სულ დაბლა. ზურგზე დასაფენი ნაბაღია (ერთკეცი). საჯღომი ცხენისა — შავია ან წითელი, ან თეთრი, საბარგესი — თეთრი. ითლება საფენი ნაბაღივით.

- ქვეანი საოფლეს მალლითა ნაბაღია (ორი-სამი-ოთხი კეცი), თეთრი, ითელება საფენი ნაბაღივით.

ცხენისა და ვირის მომშენებლობა

მთხრობლები: გიორგი წვერაიძე, 55 წ. (სოფ. შტროლთა); კიმოთე მურთაშაშვილი, 57 წ. (სოფ. ხისო); ადო მიშიძე, 95 წ. (სოფ. კვაელო); გიორგი ვაწირიძე, 65 წ. (სოფ. შენაქო); გიორგი ჩიჭურიძე, 90 წ. (სოფ. შენაქო); ხუტო სულაკაური, 66 წ. (სოფ. ფარსმა).

ცხენი. იბადება კვიცი: ღელაღი — ფაშატ კვიცი, მამალი — ულაყ კვიცი. წლამდე იმათ ჩული (პატარა) კვიცი ჰქვია; მერმე, ორ წლამდე ტანაც კვიცია. ფაშატი სამი წლისა მოიგებს და გახდება კვიციან ფაშატ. ულაყი შეიკმაზება მეოთხე წელს. დაიყვარება სამი წლის ზევით ათ წლამდე და შეიძლება სიბერემდეც ისე იყოს, თუ ჯიშინაია. თუ ავია და ცხენებს ებძვის, მაშინ დაიყვარება, თუ გინდა ჯიშინაიც იყოს, ხდება იაბოა. იაბოდ დარჩება ბოლომდე.

მაკე ცხენზე და ვირზე იტყვიან: იჭურაო, კურავსო.

ცხენი გაიქედნება სამი წლისა თუ თამამია, ისე კი, საერთოდ, ოთხი წლიდან იხელნება. თუ ფაშატი, პირველად ბარგს აპკიდებენ; თუ იაბოა, ძალით დაიჭერენ და ზედ შეასხდებიან.

იაბო ცხენი ჰყავთ საჯღომად ან სატარებლად (საჯღომ ცხენი, სატარებელ ცხენი). ფაშატი ცხენი ჰყავთ საბარგედ (საბარგე ცხენი).

საჯღომ ცხენს საძოვარზე აბამენ, ჩვეულებრივ, საბლიან ავშარაყით, საბარგო ცხენს კი — ყელზე გამონასკული საბლით. საბელს ბოლოში უკეთებენ ხის მანას (პალოს), რომელსაც აქვს ჰკლიან (ჰკლიანი) თავი და მწვეტი წვერი, წვერს თავზე ქვის დაკვრით მიწაში ურჭობენ.

ცხენი ფერად არის წითელი, ლურჯი, წაბლისფერი, ჩალისფერი, შავი, ლევა, კრელი.

უსაბრუნო ცხენი მიუბრუნებელ გაქირიან ცხენსა ჰქვია, ძვალმაგარი ცხენი — მსხვილძვლიან ცხენსა.

ცხენს აქვს კბილები, ანუ კბილები (წინიდან უკანისაკენ): წინა მოსაძოვ კბილები; სალაგმე კბილები, ორ-ორი თითო მხარეს; ის ცალკე ამოსდის მეოთხე წელს; სველი (სქელი) კბილები; საქერე კბილები, ორ-ორი თითო მხარეს; ესენი სულ უკანა ღრუ კბილებია. ფაშატს ღრუ აევსება ათ წელზე, იაბოს — თერთმეტ-თორმეტ წელზე.

ვირი. იბადება შიტრუყაყი, ანუ ჩოკი. [არის] ფაშატ შიტრუყაყი ან ულაყ შიტრუყაყი; ორივე სამ წლამდე შიტრუყაყ არის. სამ წლიდან შეიკმაზება და ეძახიან ვირს. ფაშატი ვირი სამი წლისა შიტრუყაყს მოიგებს და იქნება შიტრუყაყი ან ვირი. ულაყი სამი-ოთხი წლისა დაიყვარება და იქნება იაბო ვირი. თუ არ დაიყვარა, მაშინ მთელი სიცოცხლე ულაყი ჰქვია (ქიზიყელებსა და კარბელაქნის ლეკებს სულ ულაყი ვირები ჰყავთ — ხალისიანი). ვირი ფერად არის შავი, ლევა, თეთრი.

შენიშვნა: არის ბალახი, რომელსაც „ვირის ნარს“ ეძახიან, მას ლეკეთში საქონლის საქმელად ხმარობენ, ძალიან მაწივრობა, ე. ი. მარგებლობა აქვსო.

ცხენისა და ვირის დაყვერა. ცხენი და ვირი იყვერება გამოკრით. გამოს-
კრიან მთელ ყვერებს ასე: გაუკრიან დანით ერთი ყვერის ტყავს ზევიდან,
გამოაჩენენ ყვერს, ტყავს თანდათან ქვევით ჩასწევენ და ყვერს კაკლის გარეთ
გამოიტანენ. აქ ორივე მხარეს ყვერის კაკლის ქვევით ბაწრით მაგრად დაუქე-
რენ არტახებს (არტახები მრგვალი რიკებია, ორივე მხარეს დაქვდელი). მერ-
მე მეორე ყვერსაც ასევე უზამენ (უზამენ). შემდეგ დანით მოსკრიან ორივე
ყვერს, კაკლისაკენ პატარა ადგილსაც დაარჩენენ, რომ არტახი არ გამოსცქვრეს
(არ გამოსძვრეს). ამ მოკრილ ადგილზე დააყრიან შაბიამანს და ისე გაუშვებენ.
არტახმოქერილი დარჩება ორი დღე-ღამე. მესამე დღეს აუშვებენ და ისევე შა-
ბიამანს დააყრიან და მერე მოურჩება.

ცხენისა და ვირის ავადმყოფობა. ცხენისა და ვირის ერთ-ერთი ავადმყო-
ფობა არის საკმობი. ის ცხვირის სატიეარია. საქონელს ცხვირში აქვს კანა-
ტელა და მის გარშემო, ორივე მხარეს — ხორცი, რომელიც სუნთქვას უშლის.
საქონელი აღმართში სულაც ვერ დადის. ავადმყოფობას ამოკრით არჩენენ.
ამისათვის საქონელს ფეხებს შეუკრავენ, წააქცევენ, დააწვებიან და ავადმყოფ
ნაწილში ამოსდებენ ნემსკავს და ძირს დანით ამოაპრიან. ამოკრილ ადგილას
მარლის ან შაბიამანს ჩააყრიან (მოუშუშავსო) და მერმე თვითონ მოურჩება.
საკმობს კვიცსაც აპრიან.

საკმაზი (საკაზმი). უნაგირს საჯღომი ცხენის საკმაზი არის. აქვს წინა ტახ-
ტაჲ, უკანა ტახტაჲ და გვერდის ფიცარი, ორი. გვერდის ფიცრებს აქვს წინა
ფიტოლნი [და] უკენა ფიტოლნი. გვერდის ფიცრებს გვერდებზე (ორსავე მხა-
რეს) აქვს ორ-ორი საუზანგე ჯვრელი, რომლებზედაც რკინის აბზინტით, ანუ
ბალთით ჩამობმულია მტყელი (ბრტყელი) თასმა ბოლოში რკინისავე უზანგით.
მასვე მაღლა აქვს ორი ხვრელი, რომლებზედაც გამობმულია საძუე თასმა
ნაბლით ძვის ქვეშ. ფიტოლებსაც აქვს ორ-ორი ჯვრელი, რომლებზედაც ჩამო-
ბმულია თასმის საწყვეტებში, ორ-ორი წყვილი თითო მხარეს. არის წინა საწყვე-
ტები [და] უკენა საწყვეტები.

უნაგირს ზევიდან მთლად ტყავი აქვს გადაკრული. უნაგირზე დევს ტყა-
ვის ბალიში, რომელშიაც ჰყრია მატყლი. ბალიშს აქვს ოთხი ყურნი; ყურები
გაბერილია, წელი — ჩაზნექილი. უნაგირს ქვეშ უგია თიქალთოჲ, იგივე თე-
ქალთოჲ, ე. ი. სუფთა მოქარგული (დაქრელებული) ნაბლი შავი ან ყვითელი
ფერისა. ნაპირი სატინისა აქვს. ნაპირს ძველად მონაყულნი ერქვა, ეხლა გადა-
ნაყულნი ჰქვიან. თიქალთო არის ცალპირაჲ, ე. ი. ცალკეცი და ორპირაჲ —
ორკეცი. თიქალთოს მაგიერ ზოგი სქელ სუფთა ტყავსა ხმარობს. თიქალთოს
ქვეშ არის საოფლეჲ, ე. ი. ნაბლი, ორკეცი; მას წინ ამობმული აქვს ამოსაჭი-
კი — თასმა, რომელიც ჩამოცმულია წინ ტახტაზე.

ბალიშის ქვეშ არის მოსართავი — ბრტყელი და გრძელი [ზონარი] მუ-
ცელზე შემოსაპირებელაჲნი, მოქსოვილი ბაწრისაგან აკაზმაზე, კრელი ან ზო-
ლიანი. მას ერთ მხარეზე აქვს რკინის გროლნი, ანუ რგოლი, მეორე მხარეს —
თასმაჲ. ბალიშის ზევიდან არის გარსაკრი ან ფოთოლქაში. ე. ი. თასმა მუცელ-
ზედვე შემოსაპირებელი. იკვრება ბალთით მარცხენა მხარეს. ზოგ უნაგირს
აქვს სამკერდეჲ; ის თასმისა: მაღლა — ორტოტი, ძირს — ცალტოტი; ზოგს
კიდევ — ჩულნი. ჩული ორია: ერთი უნაგირის ქვეშ დაეფინება, მეორე ბალიშ-
ში. პირველი დილია, მეორე — პატარა. პირველს გული ფლასისებური აქვს,
ნაპირები კი ჭეჭიმიანი, მეორე კი მთლად ჭეჭიმიანია. ორივეს ნაპირებზე ბაწ-
რით ჩამოკიდებული აქვს ქოცოცაყები (ქოცოცაყი) ბაწრის ბურთები. იქსო-
ვება აკაზმაზე ჭეჭიმის მაგვარად. ზოგნი მიცვალებულის ხარჯში ცხენს ზევი-
დან გადააფარებდენ ხოლმე ჭიგარს. ის შავი ფარჩაჲ.

კეხნ საბარკე ცხენის საკაზმია: იგი ისეთივეა, როგორც უნაგირი, ოლონდ მორთულობა (ტყავი, ბალიში, უზანგები, გარსაკრი და სხვა) არა აქვს. საწყვეტები ბაწრისაა.

ქოჭნ საბარკე საკაზმია. ქოჭი არის ცხენისაც და ვირისაც. პირველი დი-ღია, მეორე — პატარა. ხმარობენ შეშის საზიდად, სულადის წასაღებ-წამოსა-ღებად წისქვილში, ძნისა და თივის მოსატანად ძნელად მისაღვამ ადგილებში. ქოჭს აქვს ოთხი ტოლნ, ე. ი. კავიანი ხე თავში ჭკდეთი (ჭდე). ტოლი ორი დედაღია, ორი — მამალი. მამალი გაყრიღია დედაღში და თავზე გადაბმული არიან დაგრეხილი წნელი, რომელსაც საწნეუ ჭქვია. ტოლის კავებზე ჩამოც-მულია ვაღოებნ ხვრეტებით.

ქოჭს აქვს მოსართავნ, ე. ი. მუცელზე შემოსაჭერი [ზონარი], მოქსოვილი ბაწრისაგან გამართული გროლებით (რგოლებით). მასვე აქვს საძუფე, მოქსო-ვილი ბაწრისაგან, ნაბღით ძუის ქვეშ. ქოჭის ქვეშ საჭონელს უფენენ ნაბღებს. ვირის ნაბღებს ქვეანნ ჭქვიან. ის რამდენიმე კეცი ნაბღია, ერთად შეკერიღი.

ხაღავე. აღვირი ცხენის საღავეა. თასმისაა. აქვს: ხათაურაჯნ — თავზე გადამაველი ნაწიღი, შეკრული ბაღთით; ხაშუბლაჯნ — წერიღი თასმა, შუბლ-ზე გადამაველი, შეკრული ყელის ქვეშ პატარა ბაღთით. საცხვირაჯნ — ცხვირ-ზე შეცმული ნაწიღი; ჩანებნ — ორი ცოტა მოხრიღი რკინა, ერთმანეთზე გადაბმული და გვერდებზე გროლებზე (რგოლებზე) გაყრიღი. ტოტებნ — გრძელი თასმები, შემბული რგოლებზე ბოლოში პატარა ყულფით. ხმარობენ ჩვეულებრივ საჯღომი ცხენისათვის.

ლაგაშიც ცხენის საღავეა. ის აღვირისნაირია, ოლონდ მის ჩანებს შუაში გარდიგარღმო გაყრიღი აქვს პატარა მტყელი (ბრტყელი) რკინა და გვერდებ-ზედაც რკინისავე ტოტები აქვს გარდიგარღმო. ხმარობენ ფიცხი და ხამი — ახლად გახედნიღი ცხენისათვის.

ავშარასაც ცხენისათვის [ხმარობენ]. ისიც თასმისაა; ემსავესება აღვირის ზევითა, თავზე გასაკეთებელ ნაწიღს, ოლონდ არა აქვს ჩანები და ტოტები. საცხვირაჯ [ავგრეთვე] ირგვლივ არის შემოტარებული. საცხვირაჯს შიგნით აქვს რკინის ჩანჩიკნ (მოდრავი რგოღია) საბღის გამოსამბელად. ავშარას საცხვირაჯ და ქვევითა ნაწიღი შეიღლება რკინის ჭაჭვისაც ჭქონდეს. ავშარას ხმარობენ ჩვეულებრივი საჯღომი ცხენისათვის. მასზე მოაბამენ საბელს (საბ-ღიან ავშარაჯნ).

ქორაკაჯებნ ცხენისა და ვირის საღავე არის. აქვს ორი პატარა ხე, თვი-თეული სამი ნახვრეტით: ორი ნახვრეტი გვერდიდან არის, ნაპირებზე, მესა-მე — ზევიდან, შუაში. შუა ნახვრეტებში ამოყრიღია თოკის სათაურაჯნ, რომელიც თავზე გადაცემება. მას ბოლოებზე ნასკეები (კვანძები) აქვს. გვერდის ნახვრეტებში გაყრიღია თოკისავე ნაჭრები: წინ — საცხვირაჯნ, უკან — ხანიკ-ბურაჯნ, ბოლოებზე ნასკევით. ქორაკაჯებს ხმარობენ ავშარას მაგიერ. უყრი-ან ხამად გახედნიღ ცხენს, ვირისათვის კი ჩვეულებრივია.

მათრაჯი იხმარება ცხენის გასარეკად. აქვს მათრაჯი და ტარნ. მათრაჯი დაწნულია თასმის რვა ღოღით ანუ წვერით (ამ დაწნას რვით წენაა ჭქვია). მას წვერზე აბია ტაშნ (ენა). ტაში დაბმულია ტარზე თასმით. ტარია გაკეთე-ბულია ჭიხვის რქის ნაჭარაჯებისაგან (ნაჭრები). ნაჭარაჯები გახვრეტიღია და წერიღ ფოღადზე არის ასხმული. შუა და შუა დატანებული აქვს ვერცხლის, ან სპილენძის ფუღები სიჭრელისათვის. ტარს ბოლოზე აქვს კელის შესაცმე-ლაჯნ თასმა, ან ვერცხლის შიბნ (ძეწკვი) ყულფივით.

ბარგი. სამეზავროდ ბარგს ამზადებენ ცალუბად. თითო ცალი იქნება ორ-ნახევარ, სამ ფუთამდე. ორი ცალი ერთად არის საპაღნეა. ცალს მეტწიღად

ხაკში (საცალოში) აკეთებენ. ხაკს პირზე მოაკრავენ ბაწარს, მერმე ორ ჩათოს (ე. ი. თასმას ცალმხარეს რკინის გროლიანს, ანუ რგოლიანს) შემოარტყამენ, მაგრად დასჭიკავენ (მოუჭერენ) და მალლიდან გრძელ-გრძელ ყულფებს გაუკეთებენ კენის ტახტებზე გადასაცემლად. აკიდების დროს ჯერ ერთი ცალის ერთი ჩათოს ყულფი უნდა ჩამოეცეას ტახტზე, მერე — მეორე ცალისა, ერთმეორესთან გადაცვლით, რომ მგზავრობის დროს ცხენმა ადვილად არ ჩამოყაროს. ცალებს ყულფებით ჩამოცმის შემდეგ დნეკვეთენ, ე. ი. დასწევენ, გაასწორებენ (ერთი მეორეს ეტყვის — „დნეკვეთო“). ცალების წონა თანაბარი უნდა იყოს, რომ ერთმანეთისაგან გრევანქებითაც არ უნდა იყოს განსხვავებული.

საპალნეა არის ან მკვართეა, ე. ი. პატარა მოცულობისა და დიდი წონისა (მაგალითად ზარბაზანი), ან დიდი, ე. ი. დიდი მოცულობისა და მცირე წონისა. უკანასკნელზე (დიდ საპალნეზე) იტყვიან: „დიდ საპალნეს დიდ ყაბი (ე. ი. დიდი, ფართო ადგილი) უნდაე“, ან კიდევ — „დიდ საპალნეს დიდი ქარი აქვსო“. თუ საპალნე მსუბუქია, მაშინ მას (ორივე ცალს) ზევიდან გადაადებენ ნაბაღს, ფლასს და სხვა [რამეს]. ამას ჰქვიან ხართი.

გზაში ორი კაცი ამგზავრებს რეიდან-თორმეტამდე ცხენს. დილიდან წასული მგზავრი გზაზე ჩამოხდის საძოვრიან ადგილას შუადღისას, მერმე — საღამოთი. ამისთანა ადგილს ეძახიან საბინაო ადგილს; სადაც ჩამოხდის და ბარგს დააწყობენ, იმას — ბინახ. აქაც ერთი მეორეს ეტყვის: „ბინა (ანუ ღამე ღასადგომი ადგილი) დნეკვეთო“, ე. ი. დაიჭირეო. თუ მეზობლად სხვა მგზავრი დადგება, იტყვიან: „ის ჩენი ნამგალაჲ იყოო, ან „ისენ ჩვენ მონამგლეებ იყენეს ბინით, ღამე დგომითაო“.

როცა ერთ კაცს ბევრი ცხენი ჰყავს წასაყვანი და კაცი ესაუბროება, იქრავებს ვინმეს, რომელსაც ჰქვიან გამყოლაჲ, მას ცხენების პატრონი წასვლა-შაიც და მოსვლა-შაიც სამგზავროდ აძლევს ერთ ცხენს; გამყოლაჲმ თავისი ბარგი უნდა აკიდოს. შეიძლება გამყოლაჲ ფულითაც იქირავოს.

ცხენის მოვლა მთაში. ცხენი თუ ზაფხულში მთაში არ გაუშევეს, მაშინ სახლში ჰყავთ. უკანასკნელ შემთხვევაში მას საძოვარზე ან საბლით დააბამენ, ან კიდევ ბორკილს გაუყრიან და ისე გაუშევენ.

საბლით დაბამა. სამი-ოთხი საყენის სიგრძის საბელს მოაბამენ ცხენს კისერზე, საბლის ბოლოზე მანას (პალოს) გაუეეთებენ (მანას თავი ჰკლდანი აქვს, წვერი კი — მწვეტი. საბელს ჰკლდზე, ანუ ჰკლდზე მოახვევენ და გაკვანძვენ) და მანით დააბამენ საძოვარზე (მანას წვერით მიწაში ჩაარტობენ).

ბორკილ რკინისაა, შედგება გრეხილი ჯაჭვებისა და რგოლებისაგან. ერთ მხარეს აქვს ფეხის გასაყრელი გროლი (რგოლი) საეკრით, მეორე მხარეს — კლიტე ენით. ცალკე არის მისი გასაღებიც. ბორკილს ცხენს უყრიან წინა ან უკანა ფეხებში.

ჯოგის მოსაეღელად უწინ მეჯოგეებს თითო აჭილდა ჰყვანდათ. მას შეღავათს აძლევდნენ, არ ამუშაებდნენ, ბარგს არ აკიდებდნენ და სხვა. ის მგზავრობის დროს წინ უძღოდა ჯოგს, გასაჭირის დროს კი იცავდა მას (და სხვა საქონელსაც) სხვადასხვა საფრთხისაგან — მგლისა, უცხო ჯოგისა და სხვათაგან. ასეთი აჭილდა სეტყვის ნიშანს რო ნახავდა, თუ ჯოგი მაღალ ადგილას

იყო, დაუელიდა ცხენებს, დაიჭიხვინებდა, ზოგს უკბენდა კიდევ, აპყრიდა, თვითონ წავიდოდა, ცხენებიც თან გაჰყვებოდნენ, ჩამორეკავდა მათ ვაკე ადგილისაკენ, სადაც ქარიშხლის შიში არ იყო. სეტყვა ისე არ მოვა, რომ ქარი არ მოიყოლოს (უწინ ქარი მოვა და სიო, და მერმე — სეტყვა) და მაღლობ ადგილას ცხენებს კლდეში გადააყრის. ასე ჰყოლიათ აჭილღები უწინ სოფ. ილიურთის მცხოვრებ კუპრო თახჩიაიძეს⁵, სოფ. ბუხურთის მცხოვრებ ფიცხო ცოცანიძეს, სოფ. ხისოს მცხოვრებ ლევა და მიქო მურთაზაიძეებს და სხვებს.

⁵ დღღაშა გვარი „თახჩიაიძე“ მიწერილია არა შემკრების ხელით.

ფუნქცი

მმძროხეოგა

მთხრ. დარეგან ქურსიკას ას. პეტრიაშვილი ტუქსიშვილისა, 80 წ. (სოფ. შარახევი, მალაროსკარის თემი, დუშეთის რაიონი).

ძროხებს მისში მთაში გავრეკთ, იალაღზედ; ნაზამთრი, გაღუბებული საქონი იქ ძალე გონწართ შავარდება, მოღონიერდება, მაიმატებს. შემოდ-გომობით ბარში ჩამოვლალავთ, მარიანობისთვის გასვლაზედა. აქ ორ თვემდე კიდევ აქვს საქონელს საქმო, მერე კი ზამთარი მალე დადგება. ძროხა ბაგაზე დაებმის და საქმელი დაედება. საქონლის საქმელად ჩალა გვაქვს და თივა. თივა კი სჯობია, მაგრამ სულ თივა ვერ გასწვდება, ჩალაში კი ქერისა სჯობიან დიკისას, პურისას. საქმელს უღებთ. უყრით დილას და სღამოს. დღისით, თუ მზიახი და თბილი ამინდებია, ტყეში გაგვიდის, იქ საქონელი ცოტა ნეკრით პირს მოატყუებს, ტყეს გაქექ-გამოქექება, დისვენებს შვის ყუდროზედ, წყალს დალევს და შინ დაბრუნდება. უსაქმოდა თუ არის, მაშინ ნეკერს უკაფავთ ტყეში და ზოგჯერ მთელი თვეობით ასე ვინახავთ. საქონელი გაღუბდება, კუტადაც ჩაცვივა, ისე რომ დაწოლილი ვეღარ აღგება ზეზე სისუსტის გამო, კედით ვაყენებთ, ხელით ევხმარებით; ყველაზე მეტად მოსაგებ ძროხას უქირს.

ფური რომ მაიჩნევს, მალ-მალე თვალს ვავლებთ, იქ უღებთ, ბოსელში. მჩნევია რე ძროხა საბრთხილოა, რომ ბოჩოლა არ დააგდოს, გაუქანდეს და საქონელმა გაუტყულიტოს. როცა ფური ბოჩოლას მოიგებს, ბაგაში ჩაუსვამთ, დედა გალოკავს, გააშრობს და მემრე მოსაწოებლად მიუსვამთ. პირველად ცოტას მოვაწოებთ, რომ ხსენმა (ხბოს მოგების დროს ფურის ნაწველს სამი დღის განმავლობაში ხსენს ეძახიან) არ აწყინოს, მუცელი არ აატკიოს. ძროხას მათეულით, თვალყურს ვაღვენებთ, რომ ბუღენი დროზედ დაყარნეს (ბუღე და აგდოს) და დაგდებული ბუღე არ შესქამოს. თუ ბუღენი არ დაყარნა, ან დაყარნა და დაქამნა (შექამა), ფური გაბეჩავდება. ბუღე თუ არ დააგდო, მაშინ კი უფრო ცუდია. ვეცდებით, რომ დავაყრინოთ ბუღენი. ნაცარს ავხელთ ზომიერად ცხელ წყალში, თიკეში გავახვეთ და დავადებთ მალაზედა (ზურგის უკანა ნაწილი).

ბოჩოლას ვაწოებთ ყოველ დღილა-საღამო ორ ცურას, ორს კი მოვსწველავთ. ვაწოებთ პირველად ცოტ-ცოტას და თანდათან უმატებთ. სულ კი ბოჩოლას თვე-ნახევარს ვაწოებთ, მერე კი მოვსხლავთ. მოსხლეთის შემდეგ ბოჩოლას დღილა-საღამოს მოთბილო წყალს ვასმევთ. ამ წყალში ცოტა პურის გულსა და მარილს ურევთ, ზოგჯერ — ცოტაოდენ რძესაც, თივას ვაქმევთ და თუ თივა არა გვაქვს, ჩალას.

საქმელს თითო მოზს უყრით საქონელსა, რასაც ორ ხელს მსუბუქად მოვაჯღებთ. ფურებსა და ხარებს — ცოტა მეტს, ჰეპყებს კი ნაკლებს. მარილს ზამთრობით ხშირად ვაჭმევთ, კვირაში ერთხელ. კუტად ჩავარდნილ ძროხას თივას უშოვით, ზოგჯერ ქერ-მარილსაც ვაჭმევთ. ძროხას წვეღლის წინ ცოტა ხაგირებულს ვაძლევეთ (მარილს ავლოკინებთ). რომ რძე ჩამოდგას ხალისით. უწინ ეს საგირებელი არა სცოდნიათ, ნელად შამაიღეს (ბოლო დროს).

ერთი წლს ხბოებს წელგამოვლილი ჰქვიან, იმაზე ადრე ბოჩოლია, ანუ ხბო. ორა წლსას — კვებულაი, სამი წლისას სახარეს — მოზვერი, საფურეს — დევეული. მოზვერს ბუღასა და კურეტს ვეძახით. მოზვერი მესამ-მეოთხე წელში გამოიქნება, უღელში შეემბის, დახარდება. დევეულიც ასევე მესამე წელს გაიშავება. ზოგი ძროხა ბოჩოლს სულ არ მოიგებს, იმას ურწამს ვეძახით, ზოგი წელგამოშვებით იგებს, იმას — მეწელშუეს. ზოგი ადრე გაიშავება დევეული, იმას უხანთაყეს ვეძახით, ანუ კიდევ არუხანას. ზოგი ფური სამი თითოდან იწველება, ერთი დაყრუებული აქვს იმას სამითთას ვეძახით.

ბოჩოლამოგებული ძროხები გაზაფხულზედ ავარდნას იწყებენ, გასამაყელად. ავარდნილ ძროხას დავიჭერთ, დაეძამთ, რომ აღევნებულმა ხარ-მოზვერმა არსად გადაადგონ, არ შააქციონ. დაბმულ ძროხას ცალი ხელით კუღს დაუჭერთ გვერდზე, მეორე ხელით ცხვირის ნესტოებს, რომ იქით-აქეთ არ მიიპყდეს. იქ მიუყვანთ მოზვერს (ბულა, კურეტი) ერთს ან ორს და ვადვენებთ; ბუღების ორჯელ. სამჯერ მისელა საქმარისა ფურის გასამაყად. დევნების შემდეგ ძროხას ნახიარში აღარ უშვებენ მეორე დღემდე. თუ ბარში ვართ, საბლით დაეძამთ ბალახზე, თუ მთაში ვართ, საფურმოზვერში დავამწყდევთ (საფურმოზვერე პატარა ყორით შემოხვეული, ან ღონყაზედ და ხარინიებთ მოდობილი ბაკია ფური და მოზვერი რომ დეტციოს, იმ სიგანისა). ზოგჯერ ძროხა მეორ-მესამედ ავარდება უწესოდა. ძროხა მოხიბლულიაო, ვიტყვით, ან კვართი უძეო. რომ მოიშალოს ეს უწესოდ აჩემებული ზნე, გავახურებთ ნაღის ნატხეს, ან სხვა რამ მოპრტყელო რკინის ნაქერს და სამწურეში (საშარღე) დაედლამთ იმ კვირტზე.

წველა-დღეება გაზაფხულდან იწყება ჯერ ბარშივე და მერე მთაში. დილით, ბინდზე გავრეკავთ საქონელს, მოვადილაურებთ, მოვაძობთ და, მზე რომ ამოჩვეს, მოვალავეთ ბინაზე, ქოხებთან დავსწველავთ, წყალს დავალიებთ და გავშლით, გაუშვებთ საძოვარზედ უმწყემსოდ. საქონელი წავა ძოვადოვით და სანიავო ადგილებზედ დადგება, ბოიკას და ბაურას (ბორას) ერიდება. რომელიც ზაფხულობით ბეკრი იცის. შუადღისას, როცა მზე გადაიხრება, საქონელი სანიავობიდან დაიძვრის, გამოიშლება საძოვრებზედ და ნელ-ნელა ბინდში მოვა სადამოხედ. თუ ნამუშაველი (ყანა, სათიბი) ახლო არ არის, საქონელი ბაქში არავის უდგას, ნებაზე გაშვებული წევს. მოდილაურება მარტო საწველავი საქონისა და წვრილფეხა ჰეპყებისა, ანუ მოზარდი საქონისა ვიცით. ხარები კი მთელი სოფლისა (მემთეებისა) დილით, ბინდისას, ცალკე გაიშლება და თავგანებებული მიდის საძოვარზე — მთელი ხაროვანი. საწველი და ჰეპყობა ხაროვანს შეუერთდება სანიავობზე და სადამოხე მთელი საქონი ერთად ბრუნდება მოხებთან საბინაოში.

ბოჩოლებმა გაზაფხულზე ტილი იციან, ამისათვის გავაცხელებთ შრატსა, შიგ ერბოს, ქარაქს, ქონს ჩავადგებთ და ამ თბილი შრატით დავბანთ, მყუდროზე, მზის პირას, რომ მალე შეშრეს სისველე და არ გაცივდეს. საპოხის ძალა მკებნარსა ჰხოცავს. დაბანა თამბაქოს ჯოყრის ნახარშითაც ვიცით, შიგ მქვარტლსაც ჩაურევთ.

გაზაფხულზედ საქონელს ტყიბი უჩნდება, ამას წამალი არა აქვს. ხელითა ვხლეჩთ, ვაცლით.

შეაურებები იცის საქონელმა ზურგზე, ხერხემლის გასწვრივ, ძალიან აწუხებს საქონსა, მაგრამ არც ამის წამალი იციან. ხელის დაჭირებით ამოვადვდებთ, როცა ტყავში ამოხვრეტს.

მეცხპარეობა

მთხრ. გიორგი ჭრელის ძე თურმანაული, (სოფ. ხომი, მაღაროსკარის თემი, დუშეთის რაიონი).

მეცხპარედ ოცი წელიწადი ვიყავი. პირველი გამსუქებელი ცხვრისა ქოსა მთებია, მთები დაბალბალახიანი, სადაც უხვად მოიპოვება მკვლიავი, ქარციხი და დაბალი სამყურა — საწიწნი ბალახები.

ცხვარი ზაფხულში, გასუქების დროს ნაწილდება სამად: ბატკანი, პედილა და დედალი ცხვარი.

პირველი ღირსების საძოვრები მთის მწვერვალებისაკენ არის, სადაც მეტი სივრცეა. ამ მიდამოებს უმარჯვენენ ბატკანს, რომ წყალსაც მოხვდეს დღეში ორჯელ მიანც. ცხვარსა და პედილას კი იმაზედ ქვემოთ ერთგვარ საძოვარს ურჩევენ. ბატკანი თუ გინდა კარგად გასუქდეს, ყოველ ხუთ დღეში მარილი უნდა აჭამო, მაშინ მადიანად და გემრიელად სძოვს. რაკი გაიპარსება, მაშინ კი ბატკანმა დაბლობებისაკენ უნდა დაიწიოს, ჩამოინაცვლოს დაბლისაკენ, სადაც ნაკლებად ცივა და ნიავე მომეტებულად არა სცემს. ასევე თავის წილად ცხვარსა და პედილს მოუხდება ქვევით დაწევა.

საერთოდ ცხვარს დიდად სათუთი მოვლა სჭირდება წყემსისაგან; დიდი სიფთხილე, სიფხიზლე, ყურადღება და დაკვირვება, რომ არ დასცხეს ზაფხულში ცხვარსა და არ გაფუქდეს. გასუქება და სიკეთე ცხვარს მაშინ ეტყობა, თუ სისხზე მოდის. სისხლის ადგომის ხშირი შემთხვევები ამისი ნიშანია. ცხვარს როცა სისხლი აუდგება, დაიწყებს ფეთქას და გაიბერება, მაშინ მიშველება სჭირდება: თვალის კილოში, ცხვირისაკენ ცხვარსა აქვს ძარღვი, ამ ძარღვზედ მსუბუქად დააცემენ მახვილი დანის წვერს. მაშინ იქიდან პირველად შავი ფერის სისხლი გამოვთვ. როცა შავი სისხლი შესწყდება და წითელი დაიწყებს გამოდენას, მაშინ მალე თავისთავად შესწყდება სისხლის დენა და ცხვარსაც ეშველება. თუ ძალიან უჭირს ცხვარსა, მაშინ ორსავე თვალის კილოში უნდა სისხლის გამოშვება, თუ არადა მარტო ერთში.

მატყლის ზრდა-მატებაც თუმცა სახარბიელო არის, მაგრამ, ვისაც უნდა კარგი ცხვრის ყოლა-გასუქება, იმან უმჯობესია ცხვარი მოადრებით გაპარსოს. მომეტებული მატყლი ცხვარს უშველად აწუხებს და მის გასუქებას აფერხებს. აგვისტოს პირველებში ბატკანი უნდა გაიპარსოს და მას თან მოჰყვეს ცხვრის გაპარსეაც და პედილისაც. გაპარსული, გასალთავებუდი ცხვარი მადიანად მისდებს ბალახს და სუქდება. რაც მეტად დაუგვიანდება გაპარსვა, ისე მეტად მძიმდება. ზანტდება; ხურდება. უმძიმს ძოვა. უხალისოვდება. რაც შეეხება ბანას, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მითომ ცხვარი გასუფთავდება, თებო მოშორდებაო და უფრო იხარებსო. ეს შეცდომა არის. ცხვარი ბანით კიდევაც თხელდება, იკლებს, რადგან გამუდმებული წესიერი ბანა შეუძლებელია, ერთხელ და ორჯელ კი არ კმარა, არ ეყოფა. ნაღვლიანდება, ისევ და ისევ მოიკითხავს. ცხვრის გასუქების დროს კიდევ აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ

ცხვარს ყავდეს გულდინჯი მწყემსი. არ აფხობდეს, არ აწუხებდეს მეტი ლალ-
ვით; ცხვარი ნებასა ჰყავდეს მიშვებული საძოვარზე, მაშინ მოსვენებით არის
ცხვარი. ცხვარი რაკი გაიპარება, დიდხანს მთაში ყოფნა არ უხდება, საბაროდ
უნდა ქნას პირი. საქირაო სახაროში მოადრებით წასვლა. გზაში ცხვარმა უკე-
თესია წელა იარის იმ ანგარიშით, რო ერთი დღის გზა დღე-ნახევარში გაიაროს.
არ აჩქარდეს, ისე მივიდეს საზამთრო ადგილს; ნამგზავრობა არ დაეცუოს; ეს
დიდი ხეირია ცხვრისათვის. საზამთროში მისელი[ს] შემდეგაც იმგვარივე სა-
ძოვარი შეურჩიო ცხვარს, როგორც მთაში, ე. ი. ქოსა, დაბალი ბალახი.

ბარში უმჭობესია ისეთი საძოვრები, სადაც უხვად მოიპოვება საშატიანი
ბალახები: ავშანი, ყარლანი და ხურახუმა. თუ ცხვარი სხვაგვარ საძოვარებში
ჩადგა, მაგალითად, მუროიანში, მაშინ მოსალოდნელია კარგად ვერ გაიარებო-
როს. ავშნიან-ყარლნიანში ცხვარს მარილიც აღარა სჭირდება. მუროში კი მა-
რილიც სჭირდება და მეტი გაფთხილება.

მოზარდი ცხვარი (გაპარსული ბატკანი) თუ მოხედა, მაგალითად, ერთგვარ
ბალახს, რომელსაც წბილა მუროს ეძახიან, ზარალი ხშირად აუცილებელია,
ქია გაუჩნდება ფირტვებში. ამ ქიას გველისძუახ ეძახიან (თეთრი ცხენის ძუა-
სა ვავს). ფილტვებში უჩნდება და ისე უმრავლდება, რომ ყელამდე მოადგება.
წამალიც არა აქვს. ეს ქია მუროსაგან უჩნდება ზამთარში. გველისძუა თვით
მუროში არის. მუროს წბილა (ღერო) იმ დროს რომ გადასტეხო, დაფქულია
გულში. წბილა მურო რაკი ვახმება, ქიაც მაშინვე უჩნდება. თუ ბატკანი წბი-
ლაში კი არა, მეორენაირ მუროში, თივთიკა მუროში, მოხედა, მაშინ კი საშიში
არ არის. თივთიკა მურო დაბალია, ღერო არა აქვს, ჭეჯილივით მოდის და წით-
ლად ხმება.

ავშანი მიწის პირზედ თითქმის მუდამ წელდია.

ყარლანი შავი, დაბალი აგრეთვე ყოველთვის წელდია. მეორე ჭურა ყარ-
ლანი — თეთრი მაღალი კი ხმება. აქ ცხვარი თუ მუდამდღე არა, ორ დღეში
ერთხელ მიინც წყალს უნდა მოხვდეს. მაგრამ, ამავე დროს, თუ ცივა და ქა-
რანი ამინდია, წყალიც საფთხოლოა; ცხვარს ღურალი შეიძლება გაუჩნდეს.
ღურალს წამალიც არა აქვს, მწვანე თუ ღურჯი ბალახის დღეში დაღურადული
ცხვარი ხველას იწყებს, ფირტიც უფუჭდება და ღვიძლი, ყელში ყიყვი უჩნდე-
ბა. როცა დასთბება, ზურგის სიმსუქნე სრულიად ეკარგება, ღუმეა უქვავდება,
უწითლდება და აბედივით მოექცევა.

ცხვარი თუ ძალიან თბილადა დგა ბინაში, არც ეს არის კარგი. სითბოდან
გარეთ გამოსულ ცხვარს ადვილად გაუჩნდება ღურალი. ამიტომ საძოვარზე
გაშლის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს დაკვირვებას და ამინდის შერჩევას.
დაუღევარ მწყემსს შეუძლიან მთელი ფარა გააფუქოს. უმჭობესია, ცხვარი
დიდხანს, თუნდაც ორი დღე, ბინაში დარჩეს, რადგან სიმშლით იმდენი საშიშ-
რობა არ მოელის, რამდენიც სიცოვისაგან, აგრეთვე სიცხისაგანაც. დილას,
გაშვების წინ, თუ თბილადა დგას ცხვარი, საქირაო ბინების საკმები აიხადოს
და ადგილობრივ ბინაში გავრილდეს ცხვარი. მერე გამოიშვას. გამოცილილი
მწყემსი თუ იგრძნობს, რომ სიცივე სახის ტიტველ ადგილებსა სწავს, სუს-
ხავს, იმ დროს ცხვარს არ გაუშვებს. დილის სიცივეს მოსდევს ღამის შხამიანი
ძალა (სუსხი), საღამოს სიცივეს კი ჭერ სულ არ უთავდება, არ ელევა მზის
საგაძალი — სითბოს ნაშთი. ამიტომ დილის სიცივე საღამოსთან შედარებით
მავნებელია. ცხვარი კვერცხივით მოსავლელია! ზამთარში ცხვრისთვის საუმ-
ჯობესო საძოვარი — შორიქიან ადგილებია. შორიქანი ქოსა ბალახია, თანაც
მლაშე. დაბალი ბალახია, მაგრამ ცხვარმა ცოტაც რომ მოძოვოს, ბევრად უკარგ-
სხვა ბალახებს სინოყერის გამო.

ცხვარი თუ მომეტებულ სითბოშია, დაცხოშილია, ბატკანი ადვილად წაუხდება მუცელში, ავშანნაჰში ცხვრის თბილად დაყენება არ ვარგა. თვითონ ეს ბალახი მზურვალებას აძლევს, ახურებს. ღურადიანი ცხვარი ბატკანს მთელს შიგვებს, მაგრამ რძეს კი აღარ მიაყოლებს და ველარც ის კარგი ბატკანი იხარებს. ცხვარი რომ დოღში შევა, მოიჩნებს, მაშინ კი თბილად ყოფნა ურჩევნია. დოღობის დროს თბილად მოვლილი ცხვარი რძესაც კარგს მიაყოლებს. ბატკანი ცალკე უნდა დადგეს საბატკნეში. მაგრამ ის კი ცხლად არ უნდა იდგეს, თორემ ზაფხულში იზარალებს საბატკნეში დაცხოშისაგან.

დოღი. დოღობის დროს დიდად საჭირო არი ბატკნის მცნობარე, რადგან თუ ის არა, მრავალი ბატკანი დედისაგან ათვალფუნებულე, მშვიერი დარჩება. დედამ ბატკნის მოძულეება იცის: სხვა ბატკნებში გარევის გამო, ბატკანი საკუთარ სუნსა კარგავს, საერთო სუნს ღებულობს, ისე რომ, დედა ველარა სცნობს, აღარა ღებულობს, აღარ აწოვებს. მცნობარემ იცის, ატყობს, რომელი ბატკანი რომელი დედისა არის, თუნდაც თეთრი ბატკანი შავისა და შავი თეთრი დედისა იყოს. აძულეზულ ბატკნებს დედებს დაუბამენ ფეხით და ბატკნებს მიუყრიან გვერდში თვითოეულს სათითაოდ. ამისათვის ბინებში მოწყობილია კორაკანები. ამ კორაკანებში თვითოეულ ცხვარ-ბატკანს ცალკე ჩაპყრიან, შეავარონ, შეათვისონ ერთმანეთს.

მახინჯი მოშობების დროს, როცა ბატკანი თავით მოდის და ფეხები უკან დარჩა გაბრუნვილი, მწყემსი დასველებული ხელით, ოთხი თითის საშუალებით, ფეხებს ფთხილად წინ მოუბრუნებს, თითებს შუა მოიყრის და გარეთ გამოსწევს.

ცხვრის მავნე ბალახებიც არის საძოვრებში, ასეთია: ჰყანტის ბალახი — პეპელს უჩენს. პეპელი და ღურადი ყველაზედ საშიშია ცხვრისათვის. თუ ხმელი წელიწადია, მოსალოდნელია ტკიპის გაჩენა. ამიტომ ცხვრის ბინა უნდა აიშალოს, აიბერტყოს და სხვა ალაგას გადაიდგას. ძველ ნაბინავარს კი ცეცხლი უნდა მოეკიდოს. ბინაში გაჩენილი ტკიპი (ბინის ტკიპი) ძალიან მავნებელია და ამიტომ ცხვრის პატრონი მუშებს შეყრის, დაიშველიებს, ან ფასით ამუშავებს. ცხვარს გასტკიპავენ: ხელით ცხვრის ტანზედვე სტყულეტენ, სრესავენ, მატყლიდან ტკიპის გამოყვანა არ შეიძლება, სხვა წამალი კი ტკიპის წინააღმდეგ ჩვენ არ ვიცით. ტკიპის დაყრა იცის ყურებიდან დაწყებული ხერხემლის გასწვრივ ბოლომდე. წესიერების მოყვარულმა მწყემსმა ორ დღეში ერთხელ მაინც უნდა გამოხვეტოს და დაასუფთაოს ცხვრის ბინა.

საძოვრის გამოწოვვა, ე. ი. ძოვების წესების ცოდნა და დაცვაც საჭირო არის და აუცილებელი. ცხვარი ერთბაშად არ უნდა გაიშვას მთელ საძოვარზე. თავის წილ ყორულს მწყემსმა ცხვარი უნდა მიაყოლოს ერთი მხრიდან და წესიერად გადაუნაცვლოს. დღისით ისევე ძველ ნაძოვებში! აძოვოს, საღამოს ბინისკენ რო პირს იჭამს, ცხვრის მირეკვის ორი საათით წინ, ხაშში უნდა მიუშვას ერთხელ გასაძლომ მანძილზედ, რომ მდიანად გაძღეს, გალადღეს. ცხვრები კიდეც იცნობენ და ელოდებიან ამ საათებს, როცა პატრონი ხამისკენ უმარჯვებს და გამოცოცლებაც ეტყობათ მაშინ.

მთხრ. გრივოდ ჩოხელის ძე ჩოხელაშვილი (სოფ. კუქეკა, მადაროსკარის თემი, დღუშეთის რაიონი).

ცხვრის პარსვა. როცა ბევრი ცხვარია გასაპარსი, მარტო პატრონი და იმის ოჯახი ვერას გახდება: ან მუშებ იშველიებს მატყზედ, არადა საპარსის მუ-

¹ დედანშია: „ნაძებში“.

ნათ შაჰყრის. ფასის მუშებს ათ გაპარსულ ცხვარზედ მეთერთმეტე ცხვარი თავისთვის (მუშას) უნდა გააპარსინოს. საპარსის მუშებს კი საკლავი უნდა დავკლას, არაყი ასვას, პატივი სცეს.

საპარსავს რომ შევადგებთ (დავიწყებთ), თვითელი მპარსავი თავისთვის გამართავთ ფეხჩასაკრავს: დავასკობთ მიწაში მარგილს, რომ კაშმერჩენილი თავი მიწის ზევით გამოიღოს ხელზე უჩანდეს, მარგილს თავზედ ბაწარს გამოვადგამთ. ამ ბაწარს ბოლოში პატარა ჩხირს შევადგამთ. გასაპარსავ ცხვარს დავიქვართ. წავაქცევთ, უკანა ფეხებს მარგილთან მოუტანთ, მარგილზე მომბულ ბაწარს ფეხებზე დავახვეთ გამომბულ ჩხირამდე. ჩხირიან ბაწარის ბოლოს ჩაუვადებთ კანკებს შუა და ცხვარი უკანა ფეხებით ჩაყრული იქნება იმ მარგილზე. დავიქვართ ცალი ხელით ცხვრის წინა ფეხებს, მეორე ხელში — დუქარს. პარსვას ვიწყებთ პირველად მუცლიდან. მუცელს რა გავაპარსავთ, ფეხჩასაკრავიდან გამოვხსნით და მეორე ბაწარით (შესაკრავი ბაწარით), რომელიც ყველა მპარსავს კისერზე აქვს ჩამოკიდებული, ოთხსავე ფეხებს ერთად შეუქრავთ, რომ წინა ფეხები უქვენივებს შუა იყოს ჩაყრილი.

ახლა პარსვას კისრიდან დავიწყებთ. ჩავევებით ცალ გვერდს და მივაყოლებთ დუქარს ისე, როგორც მთიბელი ცელსა. ნადუქარდალი სწორად უნდა მისდგედეს ერთურთსა. როცა ერთ გვერდს ჩავეპარსავთ და ჩავათავებთ, ვთქვათ მარჯვენას, რომელსაც მაცხენა ხელით ვპარსავდით, ახლა მარჯვენა ხელში ავიღებთ დუქარს და მარცხენას ჩავეპარსავთ. ორივე გვერდის პარსვას ზურგზე გავათავებთ, დუმსთან. რომელი მპარსავიც ნადუქარდალს ორივე გვერდიდან ერთად მოიტანს და დუქარდის კვალებს ერთად შეყრის, ერთმანეთს შეახვედრებს, იმას ვეძახით კარგ მპარსავს; აგრეთვე — ვინც დღეში სამოცამდე ცხვარს გააპარსავს. გაპარსულ ცხვარს ბაწარს მოვხსნით და გავადებთ. საპარსავი ცხვრის ნოტო იქვე გვიდგა (ნოტოს ვეძახით ფარიდან მოხხლავთ ცხვრების ჭგუფს).

ვიდრე მეორე ცხვარს დავიქვართ გასაპარსად, ჯერ ნაპარსის მატყლს წამოვკრავთ ხელს, გადავფენთ, ნაპირებს მიუსწორ-მიუსწორებთ, გადავხვევთ გრძლად. ერთი ხელით რა ვასწორებთ, მეორეთი ვხვევთ, ვკრებთ და ბოლოს ამ გაგრებილ ნაპარსს ერთ ხელის მჭაზედ გადავიხვევთ ისე, რომ ნაპარსის ბოლოები ერთი ერთ ხელში და მეორე მეორეში გვიოკრავს. როცა მატყლს ვგრებნავთ, თან ხელზედ ვიხვევთ, ნაპარსის ბოლოები ერთად მიგვაქვს და ორსავე ბოლოს დახვეულ ხელში მოვიყრით, მაშინ ამ დახვეული ხელით იმ ნაპირებს ზევით ამოვსწევთ, ისე რომ ხელსაც დავამქვინთ და ნაპარსის ბოლოებსაც თან ამოვიყოლებთ, ამოვიტანთ. ესე გამოიკვანძება ნაპარსი და ამ კვანძებს ყველა მპარსავი თავისთვის ცალკე გორაში აწყობს. ახლა სხვა ცხვარს დავიქვართ და ისევე მოვექცევით, როგორც პირველს.

პარსვის დროს მოგვიხდება ცხვრის დაქრა, მაშინ თუ დაქრილ ალაგას ნაქრევი ტყავი ზედვე შერჩა, რომ არ დასივდეს, არ წყლულდეს, ზედმეტ ტყავს მოვაქვრით და ვადავადებთ. დაქრილ ადგილზე კი ნავთში ან წყალში ასვრილ დანაყრლ ნახშირს წვაცხებთ, დავაყრით, რომ ბუზები არ დაეხვიოს და არ ჩამოვხდეს. ბევრი საპარსავის დროს პატრონი მარტო დაჰყურებს, მპარსველებს გაპარსული ცხვარი მიუღის და გასაპარსავს აყენებს იმის ალაგას და სხვა.

გაპარსული მატყლიდან რაც სახლში გვეკირდებოდა, ვადავარჩევდით საშინაოდ, რაც არადა ერთად მიუწონდით მყიდველს. თუ გაპარსვის წინ ცხვარი გაბანული იქნებოდა (გაზაფხულზე), თუ არადა გაზაფხულის მატყლი, რისვი, ნაკლებ ფასში წავიდოდა, ვიდრე შემოდგომას რაც ფასი დაედებოდა. მატყლი

მაშინ ფასობდა, თუ კარგი მაზანდა ექნებოდა, ექვსი მანათი ფუთი, თუ დაიწვედა მაზანდა, ხუთი მანათი, ამისდაკვალად გაუბანელი ცხვრის მატყლს აკლდებოდა ფუთზე მანათი.

მთხრ. გიორგი ჭრელას ძე თურმანაული (სოფ. ხომი, მალაროსკარის თემი, დუშეთის რაიონი).

ცხვრის ავადმყოფობანი. ყოილი საშიში ავადმყოფობა არის ზამთარში. ზაფხულობით კი ისე საშიში არ არის. თიბათვის მერე, გაპარსვამდე, ადვილად იხდის. ყოილის წამალი აცრა არის და მორიდება.

თურქულის წამალიც არ არის. გაარიდებენ ცხვარსა.

პეპელი ჭყანტისა და ნაფეტვარის ბალახისაგან უჩნდება (წამლობენ ხარისძირა ბალახის ძირით, ფესვებით). ხარისძირა იანვარში ამოთხრილი (უქუხარი) უნდა განმეს, დაიფქვას, მარილში გაერიოს და აჭმიონ ცხვარსა.

დაიამნებული. (იამანი) სისხლის მოწამლვაა. ამის წინააღმდეგ საჭიროა დაწყულელებულ ადგილის გარშემო გაცხელებული ერბო ან ქონი დაესხას, ან გაცხელებული სპილენძის ქობის ძირი დაედვას და მოიდალოს, რომ სიმსივნე აღარ ვიზარდოს. იამანი მგლის დაგლეჯილს უჩნდება და პარსევაში დაჭრილს.

ნაბარევი ისეთივე არის, როგორც კაცისათვის ციებ-ცხელება. ცხვარმა ნაბარევი იცის თვრიმლის და ძეძვის ჭაგების კენეტახედ. გულბანადიც გულზედ ყვითლად მოეკიდება და გაუწყალებს. ნაბარევის წამალი ერთგვარი კლდის ბალახია, მარილში გარეულს აძლევენ. შველის.

მთხრ. ბასილ შიოს ძე წოწკურაული (სოფ. მუქო, შუაფხოს თემი, დუშეთის რაიონი).

ცხვარს აღრინდელ დროში ყველა ინახავდა ცოცოტას. შორს არ მისდენიათ (არ მიყავდათ), ადგილობრივ ჰკვებავდნენ. მეგრე გამოსულან ზოგიერთები, გაუბეერებიათ ცხვარი და შორადაც დაუწყიათ სიარული. უწინდელ დროში ძალიან მტრიანობა ყოფილა და შორს წასვლაც საშიში იქნებოდა. ცხვარს ბევრი მოვლა სჭირდება მთაშიც და ბარშიც, ზამთარში და ზაფხულში, ყველას ერთად საით იტყვის კაცი, რომელი ერთი მოაგონდება. ყველა გათენებული და დაღამებული დღე თავის ჭერ პასუხსა თხოულობს. კაცს ბევრი რამ არც კი მოაგონდება. ცხვარს სიყვარული უნდა, მიყოლა, თავის დადება. ცხვრის პატრონმა თავი არაფრით არ უნდა დაზოგოს, დასვენება არ მაიკითხოს, დღე-ღამე ერთნაირად უნდა გაჩანდეს.

ცხვარს კარგი საძოვრები აკეთებს, აშენებს და ერთგული მწყემსი. კარგ საძოვარზე ვიტყვით სამატთანიაო; აი, სხვადასხვაზედ კიდევ — ხმელი, უწყლო, ან კიდევ ჭყანტებო და სხვა. სამატთან ბალახებულ თივლება: მკლიავი, ქარცხვი (კაციცა სქამს) და სამყურა, ნამკლოვანებში — ფათალა.

მავენებელი ბალახებია: შხაშა, სასიფარა; ზამთარში ცული საძოვრები — ბარწიანი, ან ვრაკლიანი.

ცხვრის სატკივრებია: ბენდიერი (ციმბირის წყლული), პეპელი, თურქული, ფირტეწამხდარი, ყოილი, დურადი, ნაბარევი, ჩიჩრახი ანუ წიტა.

წიტა. ბარიდან ამოსული ცხვარი და ძროხაც მთაში გახდება ავად, სიცივეზედ. სისხლზე დაიწყებს გადენას და მალე კვდება. პეპელი ზამთარში, ხმელზე უჩნდება ლეიძლში. გაჭრის დროს ბევრი მოჩანს ლეიძლში, ნაუღელაში. ფჩილის მსგავსია და ბეპელასაც გავს.

ბედნიერი უჩნდება ღვიძლზედ, ფირტვზედ, ტყირაზედ და სხვა.
თურქული პირს უწყრულებს, უდოყეებს (უმუწუკებს), ფეხებს უსიებს,
იწყულულებს, ქოჩაჩებს აძრობს.

ფირტვწამხდარი: ფირტი წაუხდება სიცხე-სიცივისაგან და მარილისაგან.
რეტი — [უჩნდება] სიცივისაგან და სხვა.

უოლი. დაყრის შიგნით და გარეთ ტყავს უწყრულებს — უხვრეტს.

დურადი — ცხვარი დაღნება, ღუმა გაუმავრდება, გაუქვადება, ხორციც
გაუწყალდება.

ხისხლის ადგომა მარილის ქამაზედ მასდის, წყალს რომ ღროზე ვერ მოხ-
ვდება.

თია ერთგვარი სიმსივნეა, გამოუვა ცხვარსა. გაუჭრიან, გამოერწყვის და
მოურჩება.

წამლობა. პეპელს ვერასა შველენ, ვერც თურქულს. ამბობენ, ჭლახის ეკა-
ლი რომ გაუყარო, შველისო. ფირტვწამხდარსაც ვერასა შველენ, პირიდან
ჩაუბერნებენ, გაპბერავენ, მერე სცემენ, გვერდებზე აყვრება ფირტვები და
მორჩებაო. დურადის წამალი დიჟის წვენი და ვეძის მარილია. სისხლამდგარს
თვალის კილოში პატარა ძარღვს გაუჭრიან, ცოტა სისხლი გამოუვა და ეშვე-
ლება. ფეხმოტეხილს ძვლებს დაუწყობენ, გაუსწორებენ; დაასველებენ თიკვსა,
დააყრიან მარილსა და შეუხვევენ. რეტის ღროს ყურის ამოხვრეტა, ან სულ მო-
ჭრა შედგათს აძლევს.

სასარგებლო ბალახებში ავშანსა, ყარდანსა და ხურხუმას მლაშე გემო
აქვს, ახურებს ცხვარსა და ლეშს არ აგდებინებს, არ აკლებინებს, — ხურხუ-
მა — ყველაზედ მეტად. ამ ბალახებზე გამოკვებული ცხვარი კარგად გამოსუ-
ლა მუღამაც.

წველა და რძის ნაწარმი

მთხრ. დარეჩან ქურსიკას ას. პეტრიაშვილი ტუქსიშვილისა, 80 წ. (სოფ.
შარახევი, მაღაროსკარის თემი, დუშეთის რაიონი).

ფურის წველა. რძეს ცაცხვის კასრში, ანუ ტაგანში ეწველათ. ნაწველს
მაშინვე ვსწურავთ და დიდ ბაკნებზედ (გობებზედ) ვაყენებთ დასაციებლად.
რძე ბაკნებზე დაცივდება, ნაღებს თავზე მოიგდებს. მაშინ ამ ნაღებს მოვხდით,
ბაკნის გარშემო თითით, ან კოვზით მო[ე]სწმენდთ მიკრულ ნაღებს და ბაკნის
პირით გადაღშვებთ ხის სარძეულში, ამ დიდ ქვაბში ხელის დახმარებით, რძის
მიჩქალაფუნებით, ან გაბერებით (შებერვა). გაწურვა ეხლა საცრის საწურ-
ვებით ვიცი, წინად კი ბრაწის კონა გვქონდა საწურაად, ან ჭვარედინად ჯო-
ხებგაყრილი და შიგ ქუჩჩაგებული ხოკერი.

ბაკნებში დარჩენილ რძეს ქობში ჩავასხამთ, შევათბობთ, რომ თითს ოდ-
ნავა კბენდეს; შიგ ჩაურევთ ყველის წამალას და თბილად დახურვილს დაე-
დგამთ, პატარა ხანს დავაძლით, ყველი შეუგდებს, მოვა, შედვდდება (ახალს
და დაუმარილებელს ყველს კუშუშულას ვეძახით). როცა ყველი შეუგდებს,
ქვაბს ცეცხლზე დავდგამთ, ხელით ან კოვზით დაურევთ. ყველი დატყდება,
შრატს გამაყოფს, ამ შრატს გადავსწურავთ ზოგს ჭამით და ზოგს ქობის პი-
რით სხვა ქობში. ყველს ჩავდებთ საწურავ პარკში, გავსწურავთ ხელის მოჭე-
რით, ან ქვაზე დავდებთ პარკით და ზემოდანაც სუბუქ ქვას დავადებთ. ცო-
ტა ხნის შემდეგ ყველის კვერს პარკიდან ამოვიღებთ, გულაში ან კასრში ჩავა-

წყობთ და მარილს დავაყრით. ყველის ნაწურს — ტკბილასშრატს ვადუღებთ, მოხაჭოვდება, და გავსწურავთ თუ შესანახად ღირს, თუ არადა, ახალ-ახალს ეხმარობთ ასახვრეტად, პურს ჩავყრით და ვსჭამთ. როცა ბევრაა, ვსწურავთ, ვამარილებთ, გავზელთ და ქოთანში ან გულდამი ვინახავთ; ყველის ხაჭოს ვეძახით კალტხა. კალტი უმთავრესად ცხერისა ინახება, ძროხისა — იშვიათად. ძროხის ტკბილასხაჭონი შემთევების ყოველდღიური საქმელია, ვინც კი ნაღებსა ჰხდის და ყველს ინახავს.

ნაღებმოხდილი რძე, როცა დამეყავება სარძეულში, მაშინ ჩავსხამთ ვარიაში და შევდღებთ. კარაქს ამოვარჩევთ, ამოვიღებთ ბაყანზე, ცივი წყლით გავრეცხთ, რომ დოვი (ღა) გამოშორდეს, კარაქის ამოღების შემდეგ რჩება დოვი (ჩვენში უღულარ, მაწინად შეუღდეღებელ რძეს ვამეყავებთ და ვდღებთ). დოვს გვავათბობთ, ხელს რომ ცოტათი ჰკბენდეს, ხაჭონი დათბებიან, გამთბარი დო მოხაჭოვდება, ხაჭოთ გავსწურავთ. შრატს ძალღებს ვაჭმევთ, ძროხებსაც ვასმევთ. გაწურულ ხაჭოს კი მარილს დავაყრით, მაგრად გავზელთ ხელით, შევჭკვერავთ თავმომრგვალო და ძირპრტყელ კვერებად (ხაჭოსკვერა), დავაწყობთ ძობანზე (წყებლებისაგან მოქსოვილი ლასტი), რომელიც შუაცეცხლის თავზე — საბოლესი — გვიკიდია. აქ ხაჭოსკვერები სითბოსა და ბოლზე გამოშრება. გამხმარ ხაჭოსკვერებს შემდეგში კარგად გავრეცხავთ თბოლ წყალში შალთი და ქვევრში ჩავაწყობთ (მიწაში ჩადგმულ ქვევრში). იქ მათ თავისებური გემო მიეცემა, გარედ ობის კანი გადაეკვრის, დაღებება, ფერსა და გემოს იცვლის, ყვითღდება და თან ფხვიერისაგან ძაბიანი ხდება; ამას ვეძახით დამბალ ხაჭოს და სატანადა ეხმარობთ (პურს შევატანთ), როგორც ყველსა.

გარეცხილ კარაქს მთაში დიდ საკარაქე სიპზე დავაკრავთ, რომ მზემ არსაიდან შეხედოს და ნიავე სცემდეს; კარაქი გაშრება, გამკვრივდება და რამდენიმე ხნის შემდეგ სიპზე დაგროვილ კარაქს საკარაქე კასრში მაგრა ჩავდებთ და ასე მიგვაქვს ვასაყიდალ, ან ბარში საშინაოდ, ერბოდ ვადასაღნობად. ერბოს დუღება, გადაღნობა რომ გვინდა, კარაქს გავაღნობთ, ზევით მოვდებულ ქაფსა და პერს ძოვხდით, ნამდნარს ბაგნებზედ დავასხამთ, რომ დოვმა ძირს დაიწიოს და ერბო ზევით მოექცეს, შემდეგ ნამდნარს ისევ ქვაბში გადაუშვებთ ისე, რომ ძირს დაწეული დოვი არ გადაპყვეს. ავადუღებთ და ამ წამადუღების დროს ცოტაოდენ ფქვილს მოუკიდებთ, ცეცხლიდან ვადმოვდგამთ; ერბო დაცივდება და, თუ გაწურვის შემდეგ კიდევ შერჩა ან დოვი, ან სხვა რამ უსუფთაობა, სულ ძირს დაილიკებს, ძირს დაჭდება მოყრილ ფქვილთან ერთად. შემდეგ ერბოს ქოთნებში ან სხვა რამ ჭურჭლებში ჩავაყენებთ. რაც ძირში დარჩება ერბოს გადაწურვის შემდეგ, იმ ნაძირალას ცალკე მოვახობთ კიდევ ერბოს, რომელსაც ნაძირალას ვეძახით. შიგ ხაჭოს ჩავაყრით, გავაცხელებთ და პურთანა ვსჭამთ.

შედღებების დროს რძე რიგზე დამეყავულია, ზოგჯერ კი მომეტებულად ან ნაკლებად; ამის გამო რძე არც ერთნაირად იღვავდება, არც კარაქი და ხაჭო მოღის ერთნაირი; ზოგჯერ ბევრი ღღვება უნდა, ზოგჯერ დროზე შეიღვავდება, ზოგჯერ კი ისე მოიხიბლება რძე, რომ ველარას გაუგებთ. მაშინ თვალნაკრავს, ნათვალღვს ვეძახით და შევალციინებთ ვინმეს. ზოგჯერ, როცა ღღვება გავციდიდხნდება, დავვიქენჩღვებიან რძენი (ასე ვიტყვი); ძალზე დამეყავებული რძის შედღებებისა და დოს გაწურვის შემდეგ საწურაში რჩება ხაჭოს მსგავსი ნამკვავი, რომელსაც კატაშს ვეძახით (კატაში), ძალღს ვაჭმევთ. აგრეთვე ხან ცივია რძე, ხან თბილი ღღვების დროსა, და მაშინ, თუ ცივია, ადუღებულ წყალს დავაშველებთ, ჩაუსხამთ ვარიაში, თუ თბილია რძე, მაშინ ცივ წყალს დავას-

ხამ, რომ კარაქი დროზე მოვიდეს, კარგად შეიკრას და შეიყაროს. უწყლოდ შედღებების დროს კი კარაქიცა და ხაჭოც უფრო კარგი მოდის.

რძეს ვარიათა ვლღებთ. ვარიათ ჩამოვკიდებთ ჰერში ჩამომბულს წნე-
ღებთ ხის თაემოკაულ ჯობებზედ, ისე რომ ვარიას თავსა და ბოლოს წნელის
ხომრელი (დიდი, განიერი) ჩიჭიტები რომ აქვს (წნელის რგოლები) გადად-
ბული (შემოცმული), ამ ჩიჭიტებსაც თითო წნელის პატარა ჩირჩოლი აქვს
გამომბული, რომლითაც ვარია კავებზე, საკიდებლებზე ჩამოეკიდება. ერთ
თავში დაუჭლებით ვარიასა და ფეხის მიწოლით ვაქანებთ, ვანჩქლევეთ, ვლღებთ,
თან ვარიათ პირს ავხდით, ვსინჯავთ დროდადრო, ხომ არ აჩნდა კარაქი. პირ-
ველად რძე ღღებებაში აქაფდება და შიგ გაჩნდება ფეტვის მარცვლისტოლა
ნამცეკები კარაქისა. შემდეგ იმატებს, აქაფების დროს ვიტყვი — „რძე აწერ-
პერკაო“ (დისახა კარაქი), როცა იმატებს — „კარაქი აჩნდაო“ და როცა დამ-
სხვილდება კარაქი — „შესაყრელად მოვიდაო“. კარაქის შეყრას (შეიყარა)
საბოლოოდ ვარიის ნელი ქანებით და იქით-აქეთ მიზაყებით დავამთავრებთ.
ამის შემდეგ ვარიათ ავყულებთ. ერთ-ერთ ძირზე დავდგამთ აყულებულს მი-
წაზედ და შიგნიდან ვარიის შუა წელში გამოჭრილ პირიდან (ვარიის პირნი)
კარაქს ამოვარჩევთ.

რძეს აგრეთვე ჩხუტითაც ვლღებთ. ჩხუტიც ისეთივე არის, როგორც ვა-
რია, მაგრამ ის უფრო დაბალია და ძირი მხოლოდ ერთ მხარეზე აქვს შეგდ-
ბული, მეორე მხარეს კი პირლია არის. მიწაზედ ძირით დავდგამთ, დავყულებთ,
ჩავსახმბთ შესადღებებ რძეს და ბარნელაის (ბარნელა) აღმა-დაღმა ჩქვლეფით
(ჩხუტით) ვლღებთ. ბარნელა ჩხუტის სიმაღლე ჯობია და თავზე ჩამოცმული
აქვს და უძრავად დამაგრებული თითო ციდის სიგრძე და ორი თითის სიპრტყე
ფიცრის ნაჭრებისაგან ჯვარი. ეს ჯვარი რძეში დაწოლის დროს დაღმა, თუ აღმა
ამოტანის დროს, რძეს ურევს, მდგვალავს ერთურთში და საბოლოოდ სლღე-
ბავს. ცოტა რძე ჩხუტში იდღვიბება, ბევრი კი ვარიამი.

ბევრი გაზიდვა (წვალება, ჯაფა) უნდა საქონსა და წველა-ღღებებს, იმაად
არც კი ღირს... სამ წლამდე ტყუილად, მუქთად, უსარგებლოდ უნდა კვება,
მერეც, როცა მოიგებს პირველ ხბოს დეკეული, პირველა ხბოს, რომელსაც
ზვარას ვეძახით, ვერ შეიწახავთ, არ გავზრდით, დავკლავთ. ზვარა არ გაიზრ-
დება, ეგრეა წესი, უნდა დაიკლას.

მთხრ. გიორგი ჰრელას ძე თურმანაული (სოფ. ხომი, მაღაროსკარის თემი,
ღუშეთის რაიონი).

ცხვრის წველა. ყველის წურვა. კარგმა რძემ კარგი ყველი იცის, კარგი
რძე კი — ქოსა მთებმა, ყველიც ყვითელი და გემრიელი. ცხვარი ორნაირად
იწველება — ბერაში და ბაჟში.

ბერა წარმოადგენს ორს ერთმანეთის გასწვრივ აგებულს ყორეს, ორს
მხარეზედ ვახსნილს, იმდენი სიგრძე-სიგანისას, რომ ორას-სამასი ცხვარი დაე-
ტოს ამ ყორეებს შუა. მიაყენებენ მოსაწველავ ცხვარსა ყორეებს შუა განივრად
ვახსნილ მხრიდან მოვიწროვებულ მხარისაკენ. ამ სივიწროებში ჩაუსხდებიან
მწველავები. ცხვარს თითოობით იბერენ და სწველავენ ჯერ ორსავ ხელის მო-
ჭერით და მერე ცალკე ცურების ჩამოწველვით. მოწველავთ ცხვარს ისტუმ-
რებენ მეორე მხარეს. ბაჟში კი ცხვარი მთლად შიგ არის დამწყვდეული². დაე-

² დედანშია — „დამწყვდეული“.

რევიან ძველადები, მწყემსები სწველავენ და იქვე უშვებენ. ცხვრის მოსაწე-
ლავად ბერას ამკობინებენ.

რძის უხლება, რაც უფრო თბილი გაიწურება და ხის ქურჭელში ჩაღებდა,
კარგი გემოს ყველი გამოდის. რძეს რომ ჩასწურავენ, წამალსაც მაშინვე უგ-
დებენ — დედას, ანუ ღვრიტას. დააცდიან, ვიდრე ყველი შეუგდებდეს, ანუ
მოვიდოდეს, შედედებოდეს. როცა ყველს შეუგდებს წამალი, მოურევენ
ნიჩბური სარეველით. დარევის შემდეგ კიდევ ღასდგამენ და დააცდიან, რომ
შრატი (ტკილაშრატი) ზევით მოიგდოს და ყველმა ძირს დარწოს, ძირზედ
დაეცეს, დაჭდეს. შემდეგ მოახობენ შრატსა და ჩაასხამენ ქობში. ძირსდამჭდარ
ყველს კი გადაიღებენ ტილოს პარკებში და გასწურავენ. პარკებს ნაპირებს
ერთად მოუყრიან და მგორებენ. როგორი სახის კვერიც უნდათ, პარკში იმგე-
რად დასვამენ ყველს პარკით პტყელ სიპზე, ან უმჯობესია, მაშინათვე ხელის
დახმარებით გამოსწურვენ, სასურველ სიმრგვალებს მისცემენ კვერებს და
გულაში ჩააწყობენ. როცა ბევრი რძეა, კვერებიც ბევრი მოვა და გულაც გაივ-
სება. გამოწურულ ყველს ჩასდებენ სათითაოდ გულაში და თითო კვერზე
თითო მქანე მარილს დააყრიან. ყველით სავეს გულას დაბერავენ, პირს მაგრა
მოაკრავენ და დაწვენენ. მალ-მალე გვერდს მოუქცევინ, ღღეში ორჯელ-სამ-
ჯერ. მარილს თანაბრად შეისვამს და კარგი ყველი დადგება.

რძის გასაწურავად წინად იცოდენ დგნალის ქერქისაგან შეკერილი ჭვა-
რედინად ჯოხებგაყრილი ხოკერი, რომელშიაც მულამ ახალახალ წმიდა ქურჩის
ბალახს ჩააგებდენ და ამ ხოკერში გაატარებდენ რძესა. ეხლა კი რძის გაწურ-
ვა ვიცით: ხის კასრს გადავფენთ პირზე სამკეცად ტილოებს და იმაში გავსწუ-
რავთ როგორც რძეს, ისე ყველის წამალსაც.

ყველის წამლად ყველას სჯობია ბატკნის ღვრიტა. საუკეთესო გემოს³
ყველი მოჰყავს. ღვრიტის დაყენება ქოთანში ვიცით: ჩავდებთ ქოთანში და
ჩაუსხამთ ტკილაშრატს, ყველისას, აუღუღებულს. ყველს რაც შრატი მოე-
ხობა, ავადუღებთ ქვაბში. ძალიან მოხარშული არ ვარგა, მშრალი გამოდის.
ცომად მოეხარშავთ, გავსწურავთ, მაგრა გავზელავთ, ყველის ზომაზედ მარილს
დავყარით, გულაში მაგრა ჩავდებთ⁴ და პირს მოვაკრავთ. ამას ვეძახით ჩოჯს,
კალტს და კიდევ ცხვრის ხაპოს.

მთხრ. ბასილ შიოს ძე წოწყურაული (სოფ. მუქო, შუაფხვოს თემი, დუშე-
თის რაიონი).

ყველის წურვა. დილაზე, როცა ნამი მზეს დაინახავს, მზე რომ ამოვა,
ცხვარს მაშინ გავშლით საძოვრად. მზის ამოსვლამდე ცხვარი არ გაიშლება,
ნამიანი ბალახი, ვიდრე მზე არ დახედავს, ცივია და სწყენს ცხვარსა, სჩიჩრა-
ხავს. მოშუადლების დროს, საწველავ ცხვარს მოვალავთ, საწველავში შევ-
რეთ. საწველავები იციან ღასტებით მოხვეული ან ყორით იმსიგანე, რომ
საწველავი ცხვარი ქუჩად დადგეს. აქეთ-იქით გასაქანი, მისაწყვეტები ადგილი
არა რჩებოდეს, მწველავს აუღგომლად შეეძლოს იქვე, თავის წინ მარჯვედ
დაიჭიროს ცხვარი. ცხვარს ორივე ხელის ნეფსა და თითებს მოავლებენ, მოუქი-
რებენ და რძე თავისით გამოიცილება ცურებიდან ორ მოშუშხუნე გაძალებული
თეთრი ნაკადულის სახით და ავსებს მწველელის წინ მუხლებს შუა მომწვედე-
ულ საწველავ ხის ტაგანს, ან რეინის კასრს („ვედრას“), ანუ ქობებს. მწველავ-
თა სიმრავლე საჭიროა, რომ რძე თავის დროზედ გაიწუროს თბილად. მწვე-

³ დედანია: „გომოს“.

ლელა რიცხვი საწველავი ცხვრის სიბევრე-სიცოტავებზედა ჰკიდია. მწველა-
ვინა დაჯარებაც იციან, — ვინც მალე აავსებს საწველავ ტავანს, მოუსვამს
საწვე ტავის პირზე ამდგარ რძის ქაფს პეშვსა და კისერზე დაასხამს იმას,
ვინც ჩამორჩა წველავში.

ნაწველ რძეს რაოდენობის მიხედვით ერთს ან რამდენიმე ჭურჭელში გას-
წვრავენ. თუ წვიმიანი ამინდია, რძეს გასათბობად აღუღებელი წყლის ჩამა-
ტება სჭირდება. გაწურულ რძეს ყველის წამალას ჩაუსხმენ და ერთ ჭურჭამია
ხანა დააციდინ. რძე იმ დროს თბილად დახურული დგას. როცა წამალი შეუგ-
დუნეს და ყველი მოვა. მაშინ სარეველით ან ხელით დაურევენ, ყველი დატყდე-
ნა. წივნიდან შრატო გამოცალკევდება. ამ შრატს ჯამებით მოსწურვენ, მოა-
ხობენ და სხვა რომელიმე ჭურჭელში ჩაასხმენ ერთად. ყველი კი გასწურვენ
ტრლას პარკებში. გაწურვულ ყველს პარკიდან ამოიღებენ, დააწყობენ სადმე,
საღებებს მიაფარებენ, რომ თბილად შეინახოს, ვიდრე აფუვდება. როცა
აფუვდება, ყველის კვერს ჩასდებენ გულაში.

გულდები ცხვრისა, თხისა და ბოჩოლის მთლიანად გაძრობილი ტყავისა
იცოთ. ბეწვი შიგნით უნდა ქონდეს გულას და კანი გარეთ. კისრის ადგილას
და წინა ფეხების ნაძერობი ბეწვის მხარეს გამოუკრავთ, ცალ ფეხს გამოუკრა-
ვად დაეკვდებთ. როცა ყველის კვერებს ჩაეწყობთ და პირს მოეკრავთ გუ-
ლას, მაშინ ამ ცალი ფეხიდან გავებრავთ და დარძლას მოეკრავთ. თუ შემთხვე-
ვით გულა სადმე დაზიანდა, გაიხია, იმ ადგილას ხარატულით გამოვ[ე]კრავთ.
თუ ყველი ცოტა იწურება და გულა ერთად არ ივსება, მაშინ გულა მალა
ბაწრებითა გვაქვს ჩამოკიდებული. განიერი პირით ყველის კვერებს თანდათა-
ნობით ვაწყობთ შიგა, ვიდრე აავსება, მერე კი პირს მოუკრავთ და დაჯავა-
რებთ და დროგამოშვებით გვერდს ვუქცევთ, რომ მარილი თანასწორად აიღოს.

რძის გასაწურავად დგნალის ხოკერსა ვხმარობთ. ხოკერს ჯვარედინად
ჯობებს გაუყრიო ძირში, რომ იმ ჯობების ბოლოები გარეთ გაშვირდეს, რითაც
ქვეშ დადგმულ ჭურჭელზე დაეკვამთ. ხოკერში ახალ-ახალ წმნდა ბალახს
ჩაეკვებთ სქლდა და შიგ გავსწურავთ რძესა. დარში ნაწველი რძისა საუკეთესო
ყველი გამოღის, ავდარში ნაწველი კი მდარე არის. [აღუღებელი] წყლის გა-
რევა სჭირდება რძეს გასათბობად. ყველის შრატს აღუღებენ და ხაჭო მოვა.
ამასაც გასწურვენ, დაამარილებენ, გაზელენ და გულაში ჩადებულს ინახავენ.

საქონლის დაკვლა

მთხრ. გიორგილე გუშას ძე ბერიძიაშვილი (სოფ. კუჭეკა, მაღაროსკარის
თემი. დუშეთის რაიონი).

წვრიფხვ დასაკლავ საქონელს წამოვაქცევთ მიწაზე, ფეხებზეა მოვიგ-
დებთ, მარცხენა ხელით თავს მალა აუწევთ ისე, რომ ყელით ჩვენს გარეშე
იყურებოდეს, სისხლის გამოსვლის დროს დამკლავი არ დათხიფოს. მარჯვენა
ხელში ავიღებთ დანას ან ხანჯალს, გაუყრიო მახვილ წვერით ყელში, ან, თუ
ბასრი იარაღი გვიჭერია ხელში, პირდაპირ გაუსვამთ ყელზედ. მახვილის და-
მატებით დარტყმით გადუჭრით სამგლე (კისრის) ძვალსა, ცოტა ხანს ეგრე
დაეკლდით, მახან სულს დალევდეს და სისხლით დაიკლუბოდეს. შემდეგ და-
ეწყებთ გატყავებას.

ხბოსა, ცხვარსა და თხას მუხლებთან გადაეჭრით წინა ფეხებს და სამათა-
რავესთან — უკანა ფეხებს. შემდეგ უკენა ფეხებზე ტყავს ჩაუსერავთ სა-

კურკლემდე ორივე მხრიდან. დანის საშუალებით ტყავს პირს აუღებთ, ტყავსა და ხორც შუა მკილს ჩავაყოლებთ და ბოლოს მთელი ტყავ კისრიდან გადაძვრება.

გაუქრით მუცელს მკერდამდე, ამოვაცლით ჩოხალს (მუცლის ქონი), გადამოვადგებთ ფაშნაწლევს, მოვგლეჯთ იმ ნაწლევს, დვრიტაზედ რომ აბია. გავგლეჯილ ნაწლევის თავებს ორივეს გავნასკვავთ, რომ არ დაისვაროს. წვერილ ნაწლევს ამოვახვევთ ხიფად ფუხურამდე და იქ მოვგლეჯთ. გაუყრით დანას ამოხვეულ ნაწლევს და გავქრით შუაზე, გამოვნასკვავთ ერთიანად და დავაგდებთ გარეცხამდე, ფუხურა ნაწლევს (სქელ ნაწლევს) მოვქრით, გადავადგებთ. დანარჩენ ნაწლევებს გაუყრით სიგრძეზე დანას და ბოლომდის გავხვეთ და თან გავუფხვეთ შიგნითა კანს დანით. ნაწლევები ჩათავებდა საკურკლესთან და იქ გადავქრით. ფაშს მოვაქრით სახულეს ისე, რომ ფაშიდანაც მოჰყვეს ცოტა. შემდეგ ფაშს გამოვბარუნებთ, გამოცლით, გავუფხვეთ და დავაგდებთ გასარეცხად. ახლა ღვიძლ-ფირტვს ამოვიღებთ, ნაულელას (ნაღველას) ავაცლით ფთხილათ, რომ სხვას არაფერს გადაუღვაროს. გულ-ღვიძლსა და ფირტვებს ცალკე დავკვიდებთ, ან დავდებთ. შიგანგამომხმულ ხორცს დუშას მოვაქრით და შუაზედ გავფეშხვავთ. ამ ფეშხვებს, ანუ ნახევრებს ცალ-ცალკე ავაქრით მხრებსა და ფერცხლებს. ფერცხლების აქრის შემდეგ ბარკლებიც ცალ-ცალკე არება. რბილ ხორცს მოვაქვრით, მარილში ჩავდებთ და ვინახავთ. ხორცგამოჭრილ ძვლებს მალე მოვიხმარებთ.

ძროხას ან ხარს წამოვაქვევთ, წინა და უკანა ფეხებს ცალ-ცალკე შეუყოვნავთ. დაცტაცებთ რქაში ხელსა და გაუყრით ყელში ხანჯარს. შემოსერავთ დიდი და პატარა ქიჩაჩების შუაზედ ტყავსა, ჩაუსერავთ ორივე წინა ფეხებს მკერდამდე, სადაც ორივე გავლებული ნასერი ერთად უნდა მივიდეს. უკენა ფეხებსაც ასევე ჩაუსერავთ საკურკლემდე. შემდეგ მუცელზე გავსერავთ თავიდან ბოლომდე და დანის საშუალებით აუღებთ ტყავს პირსა და გადავატყავებთ მთელ ტყავსა. საბრთხმელი ჭოხების საშუალებით ტყავს გავართხამთ, დავკვიდებთ და გავაშრობთ საქალმედ. მწვადს, ე. ი. მბილ ხორცს, სულ გამოვქრით და კოდში ჩავაწყობთ, ჩავამარლებთ ისე, რომ თვითიულ ფენას ჩაწყოების დროს მარილი თეთრად ფარავდეს. ხორცგამოჭრილ ძვლებს ქერში, საბოლევში დავკვიდებთ თმარილოდ. გაშრება, გახმება, საჭიროების დროს ჩამოვიღებთ, გავრეცხავთ და მოვხარშავთ. გულ-ღვიძლს, ფირტვებსა და თირკმელებს მაშინვე მოვიხმარებთ. ღვიძლს ცეცხლზე შევწვავთ, გულ-ფირტვს ქონით ერთად მოვხარშავთ, საქონლის შიგანიდან ამოღებულ ქონს კვერბად შევეკრავთ და ქერში დავკვიდებთ. ქონს შევეკრის დროს დავამარილებთ.

ტჰაჰის ბამოჰჰანა

მთხრ. გიორგილე გუშას ძე ბერძიაშვილი (სოფ. კუქეჰა, მდაროსკარის თემი, დუშეთის რაიონი).

ტჰაჰის გამოჰჰანა, ე. ი. გაწელა იცოდენ საჭეგლით და მაჭაგნით. დიდრონი და სქელკანიანი ტჰაჰისთვის საჭეგელს ჩასდგამდენ. ცხვისა და ბოჩოლის ტჰაჰებს მაჭაგნით გაწელდენ. ძროხის ტჰაჰს, როგორც ძველად, ისე ახლაც, ნედლს გაართხვენ, ე. ი. გაშლიან მთელ საფართზედ, სიპრტეზედ და თავებდამწვეტებული გამოწვდოზე ცოტა მოგარძო ჭოხებით, საბრთხმელბით დასქიმვენ. ლატნებს, ანუ საბრთხმელებს ტჰაჰის სიღლე-სიციტაჰის მიხედვით,

რამდენიც დასჭირდება, აღმა-ჩაღმა და გარდი-გალმე ჭვარედინად დააწყობენ ტყავის კანის მხრით. ნაპირებს დაუხვრეტენ ტყავსა და ლატნის მწვეტ წვერებს გაუყრიან, თან ზომიერად სკიმვენ, რომ სართხმელებმა საჭირო დონეზედ დაიმავროს. ასე გართხმულ ტყავს დაჰკიდებენ საბძელში ან სადმე, რომ არ აზნოხს, არც მეტმა სიცხემ და არც სინესტემ. ზოგი ტყავს მშრალ ალაგას კერის მახლობლად ვაართხამს, რომ შინაური სიმშრალით და ზედ სიარულით გამოშრეს. მიწაზე გართხმულ ტყავს ჩხირებს ჩაუყრიან ნაჭვერთებში, დასკიმვენ ტყავსა და ჩხირებს მიწაში ასკობენ. ტყავი გამოშრება. თუ საყვეგლით გამოყვანა არ უნდათ, დასჭირავენ საქალმისათვის საჭირო ზომის სიგანით, ტყავს სჭრიან ან სიგრძით, ან სიგანეზე. ამ დაჭრილ ნაწილებს შოლტებს ეძახიან; თუ საყვეგლით გამოყვანა უნდათ, მაშინ საყვეგელს მოამზადებენ.

საყვეგელი ამხამრად კეთდება: ვასთლიან კაცის წელის, ანუ სარტყლის სიმალლე ბოძსა, მიწაში ჩასაქლომ თავს მთლიანს გაუწირვენ. მეორე მხარეს კისერს გამოუთლიან. ამ ბოძს მიწაში ჩასმენ ისე, რომ კისერი ცისაკენ ეჭიროს სწორად. შემდეგ გააკეთებენ საჭიროების მიხედვით ორ წყვილს ტოლს ფიცრებს, ტოლად გახვრეტავენ შუაგულში. აგრეთვე ფარგლის კვალის მიხედვით ოთხსავე ფიცარს დახვრეტავენ ბოლოებში. ნახვრეტებში ტაბიკებს ჩაუყრიან ისე, რომ ორი წყვილი ფიცარი, ჭარის რკალებივით გადაემბის ერთმანეთზედ სასურველ ზომამზედ დაშორებით. ეს ფიცრები ორ-ოლი ერთმანეთზე ჭვარედინად დაეწყობა, ორი ჭვარი გაკეთდება და ერთმანეთის პირდაპირ ვაშლილი ხელის სიმორეზე ჩამოცმული დადგება ბოძის კისერზე. ფიცრების შუა ამოჭრილი ნახვრეტებით ჩამოაცვამენ ბოძს კისერზე, ბოძის კისერი, სადაც ფიცრებს შუა მოვა, გახვრეტილი უნდა იყოს. ამ ნახვრეტში გაუყრიან და გაამაგრებენ სოლებით ტყავის ერთ ნაპირს, შემდეგ ფიცრებისათვის შერჩენილი ტანზევიდან დაკრულ ხელის მოსაკიდებელ ხეების საშუალებით ატრიალებენ, აბრუნებენ საყვეგელს, ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. ტყავი ტაბიკებს შუა მიძვრება ტრიალის დროს, ეხვევა ბოძს კისერზე, ექლიშება ტაბიკებს, ბრუნების მიმართულების მიხედვით, ხან ერთი და ხან მეორე გვერდით, იფშვინტება, იკუნჭება, იყეცება, იგრიხება და თანდათან ღბილდება, კანი ეყრება. საყვეგელში ჩამბის დროს ტყავი შემბალი უნდა იყოს კანის მხარეზედ.

მაჯაგანი. ტყავეები ცხვრისა და ბოჩოლისა ნედლი დამარილდება; მარილი შაბგარეული დაეყრება. ახლად დამარილებული ტყავეები ჭერ შეხვეული ინახება რამდენიმე დღეს, რომ შაბმარილი ჭამოს, გაუჭდეს თანაბრად, შემდეგ გაიფინება გრილ ადვილას და შრება. ამგვარად გამშრალ, გამხმარ ტყავს კანისაკენ დაალობენ ისე, რომ ბეწვის მხარეზედ არ დასველდეს. ჩამოაბამენ ბოძზე ან კედელებზე ჭრის (ბაწარი მომხოდ დაგრეხილი და მოორკეცებით გამოხასკული). ამ ჭრის შაბით გამოამბენ ტყავს რომელიმე ნაპირით და მაჯაგნით ჩამოხელენ ყველა მხრიდან, ხან ერთი კიდურით ჩამოამბენ ტყავსა, ხან სხვით. შემდეგ ჩამოხსნიან, დაახვევენ, რომ ბეწვი შიგნით ჰქონდეს, დასდებენ, პრტყელ ხის კუნძზე და ხვედაით გაბეგვენ კარგა ზორბად. ახლა ისევ მაჯაგნით ჩამოხელენ და ასე გაიმორებენ, ვიდრე სასურველ დონეზე არ მოიქნევა ტყავი. შიგნით კანი ეეყრება, დამჩვილდება.

ცხვრის ტყავს საცემლად ჰკერავენ და გულუდაც ხმარობენ, ფქვილის საზილად, ტომრის კვალად, ბოჩოლის ტყავს გულად ამზადებენ, სათესლავი შოლტა (გულა), სამწყემხო, სასაგმლე და სხვა, აგრეთვე ჩასაცემლად იხმარება. ტყავს სიმბრისათვის და სისველის ამტანობისათვის პოხავენ, უსვამენ კანისაკენ დუმას, თხის ტყავიც ასევე იხმარება ჩასაცემლად, ხოლო უფრო ტიკების კეთება იციან ამ ტყავისაგან.

მთხრ. გიორგილე გუშას ძე ბერიძიაშვილი (სოფ. კუქეკა, მაღაროსკარის თემი, დღუშეთის რაიონი).

ნაბღის თელვა ფშაეში ბევრიც არ იყოდენ. სთელავდენ კია ზოგიერთი ოჯახები თავისთვისა. გასაყიდად კი აქ ნაბაღი არავის გაუკეთებია. თუ ვინმე გასთელავდა ნაბაღს — მარტო თავისი საჭიროებისათვის.

მატყლს⁴ დასჩეჩავდენ, სწორ ადგილზე დაფენილ ფარდაგზე დააფენდენ, გაშლიდენ და გაასწორებდენ დაჩეჩილ მატყლსა. იმდენი უნდა დაეკეთა მატყლი, რა სისქის ნაბაღიც უნდოდათ მოეთელათ. ერთი ფარდაგი რომ ძირს ეგო სანაბდე მატყლს, მეორეს ზემოთ გადააფენდენ. დაასხამდენ ცხელ წყალს და შეხვევდენ მურგვლად ფარდაგებში, ზედ წვრილად დაგრეხილ ბაღნის ბაწარს დაახვევდენ ირიბულად ჯერ ერთ მხარეს და მეორედ მეორე მხრისაკენ — ცერად; თავებსაც შეუკრავდენ შეხვეულ სანაბდეს და ასე გააგორებდენ გასწორებულ ადგილზე დასხდებოდენ მუხლებზედ დამკლავული დედაკაცები და აგორებდენ წინ და უკან ძქლავებით, მანამდე დალაღავდენ საგორავსა და, როცა დაატყობდენ, რომ ძაგრად შეხვეული ნაბაღი მოთელვის გამო ფარდაგში დაფოხდა, დაფოქრაქდა, დაიჩუთქა, მაშინ ისევ გამოხსნიდენ, დახედავდენ, უთანასწორო ადგილებს (თუ სადმე მატყლი ან ჩავებდა, ან თელვაში ერთნაირად არ ძოძყვა ხათელი) კიდევ შეასწორებდენ და ახლა მეორე გვერდზედ შახვევდენ ძაგრამ და შეკრავდენ ისევ ბაწრით. ისევ ისე ააგორებდენ, ვიდრე კიდევ დალაღავდენ. ახლა ისევ სხვა გვერდზე შეახვევდენ და ასე იმეორებდენ, მანამ ნაბაღი საჭირო სიმაგრეს არ მიიღებდა. თან წყალს ახმარებდენ. როცა გამოხსნიდენ, თუ ნაპირები წინათვე, მატყლის დაწყობა-დახვევის დროს შებრუნებული არა ჰქონდა და ნაპირები ამის გამო მრგვალად არ ექნებოდა მოთელილი, მაშინ მაკრატლით შემოუსწორებდენ. ასე გასთელავდენ ქვეშ დასაგებ და ცხენის საკეცებლად გამოსადეგ ნაბღებს.

შინ მოთელილი ნაბღები არ იყო კარგი, არც ვათელილობით, არც სიმტკიცით და სილამაზით: უბრალო, თეთრი, დაუჭრელებელი ნაბღები იყო, მალეცა ფუჭდებოდა. ნაბღები ნაყიდი მოჰქონდათ: ზოგს ალავეერდობას შეძენილი, ზოგს თელავში და ქალაქში. საუკეთესო ნაბღები გუმფრიდან მოდიოდა, მემცხვარეებს მაჰქონდა ან ქალაქში იყიდებოდა.

ამ ოცი-ოცდახუთი წლის წინათ მაღაროსკარის თემში, სოფ. კუქეკაში მცხოვრებმა ივანე დათვიას ძე ბერიძიაშვილმა მოიგონა და გააყეთა ნაბღის სათელავი ჯერ სოფ. კუქეკაში, სოფ. აკამათის ახლოს ჩამომდინარს პატარა ხევში, შემდეგ გადიდებული და ახლად მოგონილი, გადაკეთებული, ააგო სოფ. შარახევში. წყლის ღირდონი ჩარხით აამუშავა, ისე რომ ამ წყლის ჩარხის დარძხედ მოხერხებულად მომხული მკლავი ააგორა დაგებულ ნაბაღზე. ნაბღის სათელავს, რომელიც საკუთარი ხელით ააგო და თვით რკინის ნაწილებიც თვითონ გაუკეთა, ზედ მოაბა მატყლის საპენტიც. ისე რომ, როცა ნაბაღს სთელავდა, იმავე დროს ერთი წყლის ჩარხის საშუალებით მატყლიც იპენტებოდა. აქვე ფიქრობდა ივანე ბერიძიაშვილი სასათაე მოწყობილობის გამართვას, კიდევ გამოსცადა და უნდა სათელავ-საპენტავზედ სასათაეც გადაემა, მაგრამ ციმბირის წყლულმა უღროოდ იმსხვერაპლა. სათელავი ქარხანა კი დღევანდ-

⁴ დედანშა: „მატლს“.

ლაშვე გაუქმებული დგას: აღარც მატყლი იშოვება და აღარც ქარხნის მომ-
ლელ-მომხმარებელი. როცა ეს ქარხანა ამუშავდა, მთელი ფშავის მცხოვრები
მოაწყდა და აუარებელი შეკვეთა ჰქონდა, ქარხანას დღეღამე ამუშავებდა.
ივანე ბერიძიამვილს მეტსახელად „ფაბრიკა“ დაუძახეს და ამ სახელით იხსე-
ნებენ დღესაც. მხვინელ-მთესველი, მესაქონლე და სრულიად უსწავლელი, ში-
ნაჯაცი იყო. ყველა ნაწილს რომ სათანადო დაწესებულებებს ფშავის ეს ერთად-
ერთი და „საკვირველი“ გამომგონებელი შეუქმნეველი დარჩა. მისი ქარხნის
შესწავლა კი ჭკრაც შესაძლებელია. ქარხანა მთლიანად დგას, ვიდრე სახურავი
(ყარტისა) არ უღალატებს.

ცხენის, მირისა და ჯორის მომშენებლობა

მთხრ. ბიჭური ბადრიშვილი (სოფ. შუაფხო, დუშეთის რაიონი).

მარტო ცხენ-ჯორების და ვირების მოშენებას აქ, ფშავში, არავინ მისდევს
არც ეხლა და არც ძველად მისდევდნენ. სხვა საქონელთან ერთად თითო-ორილი
ცხენი ყველასა ჰყავს. ისე კი, ძვირად იქნება ფშაველი, რომ ერთი ცხენი მაინც
არა ჰყავდეს — ერთი იაბო (ხვადი) საფერხედ (საქლომად), სამთაბაროდ, ბარ-
გის საზიდავად, წასვლა-მოსვლისათვის, სამგზავროდ; მეორე ხდალი — ხანა-
შენოდ და მეურნეობაში გამოსაყენებლად სხვა ცხენებთან ერთად მთაბარობი-
სათვის, ძნა-თივის სატვირთავად, საწისქვილოდ და სხვა.

ჯოგის ყოლა მარტო დიდმა ცხვრის პატრონებმა იცოდნენ და ისინიც იქ
არ აშენებდნენ — მინდორში, შირაქსა და თრიალეთზე მიუღიოდათ. ცხენის
ჩიშისა ბევრი არა გაიგება. რაც შეუძლავ, ყველა ცდილობს, თავისი ხდალი
ცხენი კარგს აჯილდას გააჰყავინოს. ზოგს ამის გულისათვის გასაჰყავი ცხენი
ძალიან შორსაც მიჰყავს, სადაც კარგ აჯილდას გაიგონებს. მაგრამ უფრო კი
ისე ხდება, ყველა სოფლის ცხენები ერთმანეთს ხედებიან თავის იალადებზე
და იქ იჰაკნებიან. ავია თუ კარგი, როგორც ხდალი, ისე აჯილდა არავინ ფიქ-
რობს, ცხენი ბედნად კარგი გამოდის თავისთავად. ჩვენ ვიტყვი: ამა და ამ
კაცს კარგი ჩიშის ცხენები ჰყავსო, მაგრამ, როგორ იყოლია იმ კაცმა ეს კარგი
ჩიში, რალა ბედნად იმას გამოუვიდა ასეთი ცხენები — მუხლადა მატარებელი
და სხვა, ამის ცოდნა, არც პატრონს და არც სხვა ხალხს, არა აქვს. მარტო კი
იმას რტყვიან: ამა და ამ კაცს, ამა და ამ ოჯახს, ანუ გვარს თავიდან ჰყოლია
კარგი ცხენები და ეხლაც იმიტომ ჩამოუღის ასეთი.

ცხენს სიკეთეს მანძილით და გამძლეობით ატყობენ: სამოც-ოთხმოცი
ვერსი უნდა გაიაროს, დალაღვა არ შეიტყოს, ხანგრძლივი მგზავრობა-მუშაო-
ბის დროს ლეში არ დააგდოს. სიკეთეს გარეგნული ნიშნებითაც ატყობენ:
მაგრად ჩადგმული, მხარ-მკერდგანიერი, ქიჩაჩებმრგვალი, მუხლმომალლო,
ინდაოში (თუ მინდაოში? — ასეც იტყვიან) მაღალი მოყვანილობის, გავასქე-
ლი და მრგვალი და არა მწვეტი და ძირს დახრილი; დაბალი, წმინდა ბეწვი
გადალესილი, ცხვირის მუშტუკები (ნესტოები) განიერი, თვლები დიდრონი
და ყურები სწორად აცქვეტილი.

ცხენის თვისება და ხასიათი ბევრნაირია: სახალი (სუსტი), უანტი (მძიმე,
ჭიქტი), ფხიტი (მარდი, მუხლადი), ჯაგლაგი (უხანო და უამური ნაბიჯისა),
ჯაგჯავა, ფთხვარი (ფრთხება), გაქანებული, აღმათი და სხვა.

ერთი წლისას ორივე სქესისას კვიცს ვეძახით, ორი-სამი წლისას —
ხდალს — ხდალი კვიცი, ხვადს — ხვადი — ერთი წლის კვიცი. ორი-სამი წლის

კვიცს საერთოდ ფაშატს ეძახიან — ხლალი ან ხვადი ფაშატი, ანუ კიდეე — ხლალი ან ულაყი ფაშატი. სამი წლის შემდეგ ხლალი კვიცს გააჩენს, ხლალი ცხენი ჰქვია, ხვადს — აჭილდა.

საფერხე ცხენს ჰქვრს აჰმევენ, როცა ცხენი მუდმივ მგზავრობასა და მუშაობაშია. ჰქვრს აჰმევენ დილას და საღამოს, ორჯერად, ერთ ლტრამდე.

ცხენის ღამბა. ვისაც ზედმეტი ხლალი ცხენი ჰყავს, გაკვება არ შეუძლიან და არც გაყიდვა სურს, ის ამ ცხენს სხვას მისცემს სანაშენზიაროდ, — ღაუბამს ოთხი წლის ვადით. ვადის გასვლაზედ ნაშენს (ნამატს) ერთურთ შეუბადლებენ და გაიყოფენ, ცხენი კი ისევ პატრონს უბრუნდება.

გასვლნა (გაწვრონა) როცა უნდათ, ცხენს დაიჭერენ. ჩვენში ცხენი სუხელში იზრდება საქონელთან ერთად ზაგაზედ, ბალღებისა და დედაკაცების ხელში ნახევრად თითქმის გახედნილიც არის, თოკის ჩადებას დაჩვეული, ზურგზე შეჯდომასაც — ცოტათი. საბელს ჩაუდებენ საცხვირით მაგრად და ტიტველზე შეჯდებიან; ასე ატარებენ კარგა ხანს, ვიდრე შეჯდომას აღარ იუცხოვებულეს, შემდეგ კი კეხსაც დაადგამენ საღთად; მერე ცოტა ბარგსაც აჰკიდებენ და ცხენი ნელ-ნელა და მალე გახედნილი ხდება. ჭოგის ცხენებს კი უფრო ძნელად ხედნიან. დაქერაც კი უძნელდებათ. იმისათვის რომ გასახედნი ცხენი დაიჭირონ, ჰამანღები აქვთ, მრგვლად დაწნული საბლებისა; შორიდან ესვრიან და შაბით შემოუფლებენ ყელზედ. თოკი ყელში წაუქერს, ცხენი ბევრი ზიდილისა და ბრძოლის შემდეგ წაირჩობა, წაიბნდება, დაეცემა. მამინ დაიქერენ, წესიერად შეამბენ თოკა და შეუდგებიან გახედნას, იქაც ზედ შეჯდომით, ტიტველაზედ და ასე ვლევა-ტარებით.

აჭილდას როცა დაჰკოდავენ, შემდეგ ასე აღარ ეძახიან. ახლა იაბო ცხენო, იტყვიან.

ავადმყოფობა ცხენმაც ბევრნაირი იცის. მე მარტო ზოგი ავადმყოფობა შემძლია დავასახელო: ჰოთაო — ახველებს, ხეინტლი მოსდის ცხვირში, გახდება, გაჯანდადება, გალუბდება. კვიცს ყელშიაც წაუჭირებს. წამლად არყის ზოკოს (სოკო) უბოლებენ ცხვირში და შეელის. აგრეთვე კვერცხს ნაჭუჭიანად ჩაადებენ ძმარში, გადნება, გაიშლება, ცოტა გოგილდს (გოგირდი) გაურევენ შიგა და პირში ჩაასხამენ. ეს წამალი შეელის.

ყიზილყუში — ნაწლაეებში უჩნდება. ნაწლაეები ეხლართება, ოფლი მოსდის, გორავს და მალე კვდება. უნდა არბინო, რომ დაიქანცოს; ის შეელის.

ოფი. ფენი დაუჩირქდება — ბაყაყი. შემდეგში დაუფუტურდება. ამოსჭირახ, ფენში დაჩირქულ ალაგას გამოსთლიან, დასდაღვენ ცხელი რკინით, მერე დაწეწილ კანაფს დაადებენ სქლად, ზედ ნალს დააყრავენ.

ღამაღი. დამალი კბილის ძირებზე უჩნდება. დაუსივდება კბილის ძირები, კბილებზე გადმოფარება. სტიკვა. ველარა სძოვს. სიმსიენეს დანით გამოათლიან, მარისს დააყრიან და მორჩება. აჭილდას როცა კითხულობენ, ჰერ დედას და მამას გაიგებენ, შემდეგ, — თვითონ როგორია, გაზდილობით, თამამობით და სხვა.

სანაშენო ცხენს, დედას, თუ ძვალმსხვილი და დიდილიანიია, კარგ სადედედ ითვლება და, უფრო უკეთესად, თუ მატარებელი და იორდაც არის.

ვირს ჩვენში არავინ აჭიშებს. თავისნებას არიან მიშეებულები. პატრონი მხოლოდ მაშინ მიუგდებს ცოტაოდენ ყურადღებას, როცა მუტრუკს დაუგდებს — მგელმა არცა გამიბლიდოსო, რადგან ძალიან უყვარს თურმე მგელს ვირის ჩოჩორი და თვითონ ვირის ყურები კი ყველაფერს ურჩევნიანო.

ვირის პატარა შვილს ჩვენში ჩოკს ეძახიან, როცა წამოიზრდება — მუტრუკსა და ჩოჩორს. ვირს სიკეთეობაზე თუ არჩევენ, კისერზე უყურებენ. თუ

სქელი კისერი აქვს, რომ ძირს ვერ დაუხარეს, ვერ დაუღუნეს, კარგი ვირია, აგრეთვე — თუ მსხვილი წვივ-ფეხი აქვს.

ჯორის ყოლა-მოშენებასაც არავენ მისდევს ფშავში. ძალიან ძვირადღა ჰყავთ; ალბათ იმიტომ, რომ ძალიან ჭიუტი, უდრეკი და გაიჭერა საქონელია; ამავე დროს მოურჯულებელი, მწიხლავი და დიაც-ყმაწვილისათვის სახიფათო, ოჯახისათვის ფათურაკიანი. ძველად კი ხშირად ჰყავდათ, უფრო ჩვენს ზემო ფშავში და. თუ ვისმე ჰყავს ეხლაც — უფრო შუაფხოს თემში ვინცა ცხოვრობს. ძალიან სასარგებლო, ამტანი და ტვირთისათვის შესაფერი, აღმათ-დაღმართის ოსტატი მოსიარულე, ღონიერი და არც კარგ-უკეთესი საკვების მთხოველი. ღარიბი საკვებითაც თავი გააქვს.

ვისაც სანაშენო, ე. ი. ხდელი ცხენი ჰყავს და ჯორი უნდა გაიჩინოს, იმას თავის ცხენი მოჰყავს იმ კაცთან, ვისაც ცხენებზედ დაჩვეული ვირი ჰყავს. იქ მიიყვანს, გააჭაყნიან და თუ ცხენმა ჯორი გააჩინა, მაშინ ვირის პატრონს ხუთი მანეთი უნდა მისცეს.

როგორც ჯორს, ისე ვირს ფშავში ჰკმაზავენ ქოჭით და აზიდვინებენ ყოველგვარ მძიმე ტვირთს: ძნას, თივას, ხისა და ქვის მასალას, შეშას და ბარგს მთაბარობის დროს. თავი რომ მაგრამ დაუჭირონ, ქორაკს უღებენ ცვირზე.

პირიქითი ხეხუართი

სამონლის მოვლა

მთხრ. მინან უშიშაის ას. შუქიაური, 50 წ. (სოფ. ახიელი, არხოტის თემი).

პეკსურეთ ხეხებენ ფურებს, კარებს, ცხვარს, თხა-ვაცს, ცხენებს, ჯორებსა-ღ', ცოტას ვირებსაც. საქონს დიაც უელის-ღ', მწყემსობითაც დიაცებ უფრო წყემსობენ. ზამთრის ორჯელ ნეხეთ დაუხეებენ — ერთხან დილასა, ერთხან საქონს წყლევაში. საქმელს ერთხან დილა დაუდებენ, კარებს — თივასა საქონთ (ფურებს) ჩალას, მემრ — საქონთ წყლევაში (ძროხებს, ცხენებს, ცხვარს და ყველას, რაცა ხეაეს წყალს გარეთ დააღეინებენ მდინარეზე და აძას საქონთ წყლევა ჰქვიან); მესამედ წუხრ დაუდებენ ჩალას. დადებიდგე საქონთ სამჯერ შავლა უნდ. რასაც ბაგაჩიით საქმელს გადმახყრიან, იქვე ბაგაჩიავ უნდა ჩაუყარან. მჩნევიარე¹ ფურებს დილა კას თივას დაუდებენ, ნაროანს, დიუიან-შუქუიანს, ლაგოანს, აკანა-სამყურიანს. გაუკეთებენ კოტისა² ბუჟის შიგონი არეულ ლაფსა³ აქმევენ დღეში ერთხან. ზვებილგე (ხოს მოგე-ბილგე) ორს დღეს თბილ წყალს ასმევენ, შინ უზიდენენ წყალს. ოთხ კვირაეს საქარე კბოს აწოვებენა-ღ', სამს კვირაეს ხაფურეს მასხლტებ კბოს წინ-წინ ზისცვარგარეულ წყალს ასმევენ, მემრ ტპისველს შაშჩევენ, ლაფს აქმევენ. პურიან ქერქზე მარილს დაუყრიანა⁴ აიმიოთ მარილის ლოკას ასწავლიან.

ხვად ცხენს დილა ერთილ-ღამეჩი დაუდებენ კას ნაცელავ თივას. მემრ დილა კიდე, საქონთღებაჩი, მისცემენ ქერიან თოფრას. ხვად ცხენს დღეჩი თივას ოთხჯერ აქმევენ სრუ. ჯდალ ცხენსაც ოთხჯერ აქმევენ, თუ საზვებნ-ას, თუარა, სამჯერაც ძლიე დაუყრიან თივასა⁵ ჩალა-ბზეს. ბერწ ცხენს კარგად არ უვლიან, ხვადს კი სრუ წმედენ, ბანენ გრილი წყლით, ფხევენ საურლით, ძალია ასუფთაებენ. ჯორსა⁶ ვირს საქონთან ხეხებენ, ცხვრის ნავაბარ თივას დაუყრიან, ჩალა-ბზესა-ღ' ყარტსაც აქმევენ. ცხვარს დილას აქმევენ, თონღებსა⁷ ლუბ ცხვრებს — ცალკე, სხვას — თხა-ცხვარს — ერთად; მემრ, წუხრ — ყველას ერთად. საცხვრეს დღეჩი ერთხან გამასწმედენ. კას ცხვარს დღისით ბალახზე გაღალავენ, ზამთრისაც ბალახს აძოებენ. ლუბსა⁸ სუსტ, ბეჩიე ცხვარს შინ დააყენებენ, შინ ხეხებენ.

ზაფხულის კარავანი (რაც ბერწია, უწველო) ცალკე მიდის მთაჩია⁹ მეკარავნებს დააყებენ, ისებერ-წყემსობენ. საწველავ საქონი შინ რჩებოს. საწველ საქონს ან წილით წყემსობენ, ან თავთაისას წყემსს დაუყენებენა-ღ' ცალ-ცალკე წყემსობენ (მთელი სოფლის ძროხები ერთად მიდის სამოვარზე და სოფლის ყოველი კომლი მორიგეობით წყემსობს, გარდა ერთის პატრონისა.

¹ მჩნევიარე — მოსაგებად მოპირებული ძროხა.

ვსაც ერთი ძროხა ხყავს, ის ერთ მორიგებულს მისდევს და მეორეს უშვებს; სხვა ყველა თავის რიგზე წყემსოს. ძროხების ასეთ მოვლას წილის საქონობას ეძახიან. ანუ წილის წყემსობას. რაიც კარაენის გარდა შინ რჩების საწველავ საქონი, იმ საქონის ნებს უხვეტენ დღეჩი ერთხან, დილას. ცხვარსაც ან წილით წყემსობენ, წყემსს დაუყენებენა-დ', ან თავთავისას წყემსობენ ცალ-ცალკე. ბატკანს, ვაც-ვარძსა' ბერწ ცხვარს — ცალ-ცალკე წყემსობენა-დ' მეწველს თხა-ცხვარს ცალკე — ზამთრამდე, მანამ წერბს (მაჰალ ცხვარს) დაურევენ ცხვარში. ცხენ-ჯორებს ზაფხულის მთაჩი გაუშობენ ან კელთ ხყავა-დ' ბალახზე საბლით ამბენ.

მთხრ. გიგია კინჰარაული, 70 წ. (სოფ. შატლი).

ქვესურებს უფრო ზგელფეკ საქონი-ხყავ, ცხვარს უფრო არ ინახვენ. საქონსაც წინავ ცოტას კეებევდეს, ეხლა უფრო ბევრს ინახვენ. წინავ ოთხ-ხუთ ფური-ხყვანდ, ეხლა ხუთმეტამდინ ინახვენ. ძროხები ზაფხულის მთაში დაუდის საძოვრად, ზამთრის კი ბაგაზე დაამბენა-დ' აქმევენ ჩალა-თივას. საქონი საშუალოდ გიორგობისთვის ორს კვირაში დაამბენა-დ' აპრილში გავ ბალახზე, მაშინაც ახალ ბალახი ძალიან ცოტარ-ას მასული. ამ დროს აქმევენ ბაგაზე. ფურებს აქმევენ ქერისა' ჭიშქნის² ჩალას, კარებსაც ჩალას აქმევენ ჯაზაფხულის პირამდინ.

ქვესურებს ხყავ თითო ცხენი, ან ცხენი-ცალ-დ' ერთი ჯორი. ხედი³ ცხენი ზამთრის სრუ თივაზედ უდგას, ან თივის ზვინზე ხყავ მიმბული. კენაში კარებსაც თივას აქმევენ, ფურიც, როსაც იჩნევს, თივაზედ დააყენებენ. ფურებს ჩნევაში ხანდხან ლაფსა⁴ აქმევენ.

ცხვარსაც ზამთრის თივას აქმევენ. ზამთრის საცხვრე-აქვ სახლის შიგათი. საცხვრეს წინ დაწულ-აქვ ლასტი, ლასტში გაწირულ ცხვრის თავის გამასაყოფ ალაგები, ლასტის წინ მიკრულ ბაგაი. იმაში თივა ჩაიდების, ცხვრები ლასტში თავს გამახყოფენა' წინ ბაგაში ჩადებულს თივას ჭამენ ისრ, რო თივას არ გასთელვენ ფეკით. ცხვარს მარილს აქმევენ ისარნაში, კვირაში ერთხან. ისარნაში ჩახყრიან დანაყილს მარილსა-დ' ცხვრები შამაზევევიანა' ჭამენ.

წველა ღა რძის ნაწარმი

მთხრ. მინდია გაბური, 75 წ. (სოფ. კიმა).

საქონს წველვენ დილასა' წუხრ. დილას ბალახზე წასვლამდი გამასწველვენ ზაფხულისა ზამთრის — საქმლის დადებამდი, ნეხვთ დახვეტიდგე, წუხრ ზაფხულის — ბალახზეით მასვლიდგესა' ზამთრის კი საქმლის დადებამდის უნდ გამასწველვაი.

ზისცვარს წველვენ საწველელჩი. საწველელ ან ხისარ ან სპილენძისარ შიგათზე მკაალული. გამასწველულს ჩაახმენ ხის ბაკან-ხომიკებჩი ან სპილენძისა-დ' დაკიქულ ბაკნებჩი. ნადილავებსა' ნაწუხრავებ ზისცვარს, თუ უღირს,

2 კიშქენი — შერია.

3 ხედი — იაბო.

4 ლაფი — ფეკილი და ბუზალაყი ერთმანეთში არეული ან თბილ წყალში ჩაყრილი ქატო, ან ქორტი.

5 ისარნა — გძელი, ცოტათი იმოთხრილი ხე.

ცალკე-ცალკე ამასსწორევენ, თუ არადა — ერთად. სამხრობის დროს (სადილის დროს) ბაკნებში ჩასხმულ ზისცვარი თავზე ნაღებს მაიდგამს. ნაღებს საზეურჩი წახვდიან, ჯერ ბაკანში ნაპირთ თითს მუღსმენა-დ' მეგრ საზეურჩე წაღებრნებენ. საზეურჩი ხისარ ან სპილენძისარ მაღალგვარ კასრს სამი-ოთხი მტკაელის 'ამაღლეი. ნაღებმაღლიდ ბაკანჩი დამრჩალ ზისცვარს ქვაბჩი ჩასწურევენ სარცხათა-დ' ეიმას საკუსნე-ხქვიან. სასარცხაერ ხის მავვარ ბალახი, მწყურეილას ისხამს (მწყურეილა საკმელ ხილრ. 'შალშვისა' თეთრწითელაის ფერიც ას). საკუსნე ცეცხლზე შამხვიდებენა-დ' იმთენა(დ) გათბობენ, რო კელს არ სწვევდას, ჩააწურებენ წამალას. წამალა მუძმწოვრის კბოს დვარტაჩი შაქუთეხილ ქსენრ. კბოს როსა დახკუნენ, გამარიდებენ სადვარტას (წამალას), იმარით წამაასხმენ ქსენს (ქსენი კბოს მოგების შემდეგ პირველ სამჯერ მოწოვილ ჭიქანში ნაღგომ რძეს ხქვიან). ჭამჩი წამაასხმენ, შაკერიებულს გასწყუეტენ, მარლის ან შაბს მააყრიან, იმავ სადვარტაშიავ ჩაასხმენ. მეგრ იმას ან საკიდელზე ჩამახვიდებენ, ან ასაყართაზე, საკვამლეჩი, გასკმობად, გამასასვლე-ლად. წამალას ცოტ-ცოტას მაშპრიანა' ჩასღებენ საწამალავეს პარკაჩი, ან ცოტას — ჭურჭელათაჩი, ზე ტპისველს დაასხმენ. წამალაის დაწურებიდგე საკუსნე შაუღღებს; აიმას მავრა მაურევენ ორის კელით, ერთად მააგორებენ, შახყრიანა-დ' კუსს ამასწურავენ, ბაკანჩი ჩასღებენ, მავრად გასწურენა-დ' სათანთანაოს ძმარიანს კასრაჩი ჩასღებენ, ზე მარილს მააყრიან. სათანთანაო კასრა ბეწიკუა კოფარ ხეთ-ექესს კუს ეტევის, სამმობრ-ას. სათანთანაოშიით სატანს ვადასხმენ კოღში ან ქვევრჩი, აიმას დაუსხმენ ძმარს (სატანის ნაწურ ცომ ტპისველჩი ჩახყრიან მარილსა-დ' ძმარ იქნების). სატანს დაადებენ ქვას, რომ სატან ძირისკე წავიდას. ზე სარქველს დაახურვენა-დ' აღარა უნდ. კუსის ამაწურედგე ტპისველს (შრატს) ჩაასხმენ რკინის ქვაბშია მავრა აღდღიღებენ. დღიღიღედგე ძირჩი კალტ ჩაიყრებისა-დ' აიმას ტპისველის თორს, ანუ თორს-ხქვიან; გაწურვიდგე კალტრ-ხქვიან. კალტს საგულეჩიაც წმარობენ ან პურს ატანენ, ან კალტისკვერაებს დააკეთებენა-დ' ლასტზე დააწყობენა-დ' გააკმობენ.

ბაკნებში[თ] ნაჯად ნაღებს აგროვებენ ხეთი-ექესს დღეს: საზეურჩით ნაღებს ვადასხმენ საღვებელჩი. საღვებელ ორნაირრ: ერთრ-ას ჩასარევაო (ყუიკაი), მეორერ — ჩამასამბელი საღვებელ, ან ორიაი. ჩასარევაში ბირნელაით ურევენ, აისრ დღვებენ ნაღებს. ბირნელა გძელ, სწორ ხერ. იმას ბოლოზე ოთხკუთხად ამპურილ ფიცარნ-აქე შამაცმული, რომ შიგ ნაღებმ აიარჩიარას. ბირნელა[თ] დღვებიდგე კარაქს ზეთი მაიდგამს ქალებივ ამაიღებენ ბაკანჩი ან ქვაბში. ვარეცხენ გრილ წყალჩი-დ' შინახვენ კასრაჩი.

ჩამასამბელ საღვებელს ორ ძირნ-აქე, მირგვალრ-ასა-დ' გძელი, შუაში ამპურილ-აქე ერთ გვერტზე იმთენად, რომ კელ ჩადიოდასა-დ' ამადიოდას შიგ. აიმაშიით კარაქს ამაიტენას ნაღებსაც იმისას ჩაასხმენ. მეორე გვერდში კი ცოტა ამპურილ-აქე, იქით კი დღვის გამასაშობი. დღვის სარცხათ გასწურევენ ან საცერაით, კატაშსა-დ' შავშუას არ გაუშობს, სურნელ იქნების. საღვებელ მირგვალრ-ას ხისარ, ღრუიანი-დ' გამათხრილი. ნაღებს ჭამით ჩაასხმენ შიგ. ჩასხმამდი ქვეთა ხაკვრეტჩი ხის ტარის ჩხირას ვაშჩრიან, მავრა ვააშპობენ, რო ნაღებ არ ვამვიდას. სანაღბე ამპურილს სერას დააფარებენ, ნაღებ რო არ იმასახს დღვებაჩი. მეგრ ან ორს, ან ერთ ქალი ზისცვართ ზღვებენ. დაღვებიდგე კარაქს ამაიღებენა-დ' დღვთ ქვე გამასწურევენ. კარაქს გრილ წყალჩი ვარეცხენა-დ' შინახვენ. დღვთ დაათბობენ. გათბობიდგე კალტს მაიდგემენ დღვნი ზეთიად ხარშონ იქნებია. ხარშოთ, თუ უნდ, კალტს მაკდიანა-დ' გას-

ხურვენ თუ არა, ასახერეტად⁶ მივიშვებენ. კარაქ რახა დაჯროვდას, ოთხჯერ დადღებულს ან მეტს, ან ნაკლებს ერთად გააძნობენ ქვაბში. გამდნარს კარაქს კარგა გასწურვენ, ძალიან⁷ სუფთად, სურნელად სურნელ ქვაბში. სურნელად გააკეთებენ, ძირჩიით დოვს გამაარიღებენ. ცეცხლზე დახკიდებენ, ამაღლებენ, ამაღლებილდგე ფქვილს დააყრიან; ფქვილ დოვსა ნარეცხ წყალს მათირებს. ერბოს გარდა ყველა ძირს დაეცემის. რაც ძირს წავ, კარაქის ძირხქვიან. მემრ, დაგრილებილდგე, ერბოს საერბოეს კასრჩი ვადასწურვენა-დ' შაინახვენ. კასრჩი ჩანმხულ ერბოს წურულ ერბონ-ხქვიან.

საქონლის დაკვლა

მთხრ. შინდია გაბური, 75 წ. (სოფ. ჰიმლა).

საქონელს კვლენ ჭვარში, როგორც ხქელფეკს, ისრაც წვრილფეკს. რაიცი ღლეობაში დაიკვლის, ისრ-შჩების დასტურ — კელოსნებსა, რაიცი საშინაოდ უნდ, იმას ვაასუქებენა-დ' სთველთ უღლეობოდ დახკვლენ.

ზეღლფეკს გაუყრიან საბელს, წაქეცენა-დ', შახკონვენა-დ'. გამაშკრიან ყელს, დაზღებენ გულადმ დაკლულსა-დ' დაამაგრებენ ყუნჭით (კუნძი), დახვევენ დანაით ტყავს ყელშიით კულამდენ, წინას ფეკზეით, მეორეს წინას ფეკის ქაჩებამდენ, უკენას ფეკზეით მეორე უკენაის ფეკის ქაჩებამდენ; მემრ გაატყავებენ დანაით. ვატყავებილდგე აურჩევენ სასულას⁸, რო შიგათობის გამატანაში ნაჭამი არ ამაუვიდასა-დ' კორც არ წააქდინას. ვადასწევენ ფაშ-შიგაურთა-დ' ზოგები მთხილად დანაით ამაშკრიანა-დ' ვადაიღებენ ლასტზე. ასწევენ დიაცები, ვაიტანენ ცალკეს, დასკრიან დასკლიან, წაიღებენ წყალზედა დაღრეცხენ, დასკრიან ცოცოტად, ჩახყრიან ქვაბშია ცოტად აღულებენ, მემრ ჩაშკრიან საპარსკლითა-დ' ჩაამარილებენ კასრში, მემრ იმის გულიანებს აცხობენ, ქადისკვრებს.

დაკლულის კორცს ახფელკვენ (დასკრიან) ცულით ასო-ასოდ: ახყრიან მკრებს, გვერდებს, ბარკლებსა-დ' ზურგს. გვერდებს ლეშიანად შახკიდებენ ასაყარზე, სადაც ვამაშკრებისა⁹ შეკვამლდების. სხვა ასოებს კი ცალკე ვამაშკრიანა-დ' ძვლებს საკვამლეშიაგ შახკიდებენ. ძვლებს აღუღილებენ შეკვამლებილდგეს უბრალო წყალში. ლეშს კი დასკრიან კელის ოდოდნადა-დ' ჩაამომბენ კასრში. დაზღგმენ გრილს ალაგშია¹⁰ თუ არ ვათბ, წლამდინ შაინახვებთ.


ლეშს ხქვიან ჩამარილებულს საძმობის კორცი. ლეშისგულიანებს აცხობენ. ქადისკვრებს, აღუღილებენ ხინკალსა-დ' აღუღილებენ ყაურმას⁷.

კიმური

კიმური — ხქვიან ძროხის ან ჯარის ტყავის საზელს. მასკრიან დიდს ხეს, მაიტანენ კარებიითა-დ' სოფელში ისეთს ალაგში დაზღებენ, რო უფრო ყულდრო

⁶ სასულა — საყლაპვი შილი.


⁷ მთხრობის მ. ვაბურის ცნობები „ძროხის ტყავის გამოყენების შესახებ“ იხ. „მასალები“, ტ. III, ნაწ. I, გვ. 143—146.



1



2



იყოსა ხალხიც ადვილად იყრიდას თავს. აჟ იმ ხეს ერთს პირში ამამჟირიან ღირ-
მად ლარივით, ამჟირილსთანით კიდევ შასთხრიან შიგათი, რო კედის ბოლო
დაიჟირას. ამათხრილს შუას ალაგში გაუხვრეტენ ზეთეებს პირებს, გაუგდებენ
შიგ წნელს, ისიც კედის ბოლოს დასაჟერად უნდ. მიიტანენ წახვეულს ტყავს,
დაზდებენ კიმურზედან ორნი დააბრუნებენ, ერთი კაცი კედს დაიჟერს, ასწევს
კედს მალლა, გადააბრუნებენ ტყავს, შემრ დააწვეების კედს ჩაიზილებიხ ტყა-
ვი-დ' ახლა კიდევ-დ' გაიზილებიხ ტყავი.

ს ე ე ი

მიცხვარეობა

მთბრ. ვახუტა ხეთაგური, 90 წ. (ყაზბეგი).

ცხორს უნდა სრული ხუთი თვე, როცა იწერებოდა. [ყოჩა] თუნდა გაუჩველით მარტისთვინა და თუნდა თებერვლისთვინ და იანვრისთვინა. მეგრე, როცა დოლი დაიწყებოდა, სადღოლო ცხორს ცალკე დაარჩევდის. ხუთ თვეზე მიიგებს. ბატკანს, როცა იგებს, ზოგს თავისი დედა თან გამოჰყვება და ზოგს არა, და, ვინც კარგი მეცხორეა, უნდა დაიხსომოს, რომელი რომელი ბატკანია, როცა იგებს. ბატკანი შინ რჩება, მაგრამ არც ძრიალ სიცივე უნდა იყოს და არც ძრიალ სიცივე; სიცივეში ბატკანი ურთერთს ასხლება და ხოცს.

ბატკანი შინა რჩება და ცხორი საძოვარზეა. ესე რომა, მზე მისული რომ იქნება, მაშინ მდრეკენ საბატკნე ცხორს და, თუ თბილა, ბატკანი გამოშვებულა და, თუ არადა, ბაკჩია თავისთვინ. ცალკე აქეთ დახურული, რომ წვიმა არ გაღვარდეს და არ დასველდეს ბატკანი. ეხლა მოღრეკენ დედალ ცხორს და, როცა ბაკში შამოვა ცხორი, გამოუშობენ ბატკანსა და დაიწყებენ თავთავის დედის და ბატკნის ძებნას და მაშინ უნდა ყოჩალი მწყემსი, რომ დედას თავისი შვილი მიუყვანოს და მშიერაჲ არ დარჩეს ბატკანი. ახლა ზოგნი ბაკის კარებზე (მზარეზე) დაუდგებიან და ცხორი გამოდის და ბატკანი უკან რჩება. იქ უდგანან, რომ ბატკანი არ გააყოლონ. ცხორს შუალამედე აძობენ და მეგრე დილაზე უნდა აძოონ.

ჩვენებურ ცხორს დუმა ტიტველი აქვს — შაქს ვეძახით. შაქი, რომელსაც ოთხკუთხი დუმა აქვს და უკან ტიტველი აქვს, უკანიდან სიცივე შეეპარებოდა და გაზაფხულზე გამაჩნდებოდა, დაუსიედებოდა და გაუმავრდებოდა დუმა, გახდიდა. ამის წამალი არ იყო.

პეპელას უჩენდა ქყანტიანი ადგილი.

პასუხები კითხვებზე:

1. საბატკნე დახურულია ფიჩხითა და ქანდარებითა და ზედ ნავგი აყრია ცხვრისა, დემრას ვეტყვი. დემრა — ცხვრის ნეხვი.

2. საბატკნეში ფიჩხს დაუფენენ, ზედ ლერწამს დააყრიან და იმაში ბატკანი არა სველდება.

3. საძოვრები — ჭუთა, ართხმო (ხეცსურების), მადრანდელეთი (ოსების, თრუსოში).

4. [საკვები] ბალახები — ფათარი, ხათხვრა, ქუჩი და სამყურა — ხევის მთებში; ავშანი, ყარლანი, შოროქანი — ყიზლარში.

5. ფარეხი გადმოხურულია, ბაკი — გადმოუხურავი, უბრალოთ შემოღობილი.

6. ცხვარი ყიზლარისაკენ გორგობისთვის პირველში მიდიოდა.

7. ცხვრის წველა იწყება თიბათვეში. იწველებოდა ცხვარი შვიდი კვირა, თვე-ნახევარი. ბატკანი ყიზლარიდან მებებში დაბრუნებამდე სწოვს რძეს შემდეგ კი მოსხლეტენ — წველის დაწყების წინ.

მსხვილფეხა საქონლის სახელი სქესისა და წლოვანების მიხედვით. [ახლად დაბადებული] — ერთ წლამდე — ხბოა, ერთი წლიდან — ჭოჭვი, სამი წლისა რომ გახდება — დეკუელი, მოზვერი — სამიდან ოთხ წლამდე. როცა მოიგებს ხბოს, ფურია.

მთხრ. იოსებ გიგაური, 55 წ. (ყაზბეგი).

ცხვრის ბაკი ორნაირია: საჯამთრო და ხასთლო. სასთლო ბაკები კეთდება სასთლო ბალახების მახლობლად. ბაკი კეთდება ლერწმისა ან წნელისა — ორჯოჯის ეძახიან, მაღალი, დიდი ბუთქია ძირი და ფართოდ არის გაშლილი გარშემო. იმას ამოპვლეჯენ. ბაკის ამგვარად გაკეთებული გვერდის სიგანე ერთ საყენს უდრის. ერთრიგათ რომ ამ ბუთქებს დააწყობენ, მერე დააყრიან მიწას და ახლა კადე მორე წყება ბუთქებისა, შემდეგ კვლავ მიწა და ა. შ. კედლის სიმაღლე კაცის სიმაღლეს უდრიდა. ასე კეთდებოდა საჯამთრო ბაკი, ხოლო სასთლო ბაკს ასე მტკიცედ არ აკეთებდნენ¹. საბატკნეში ამოთხრიდნენ თხრილებს, გადაფარებდნენ ფიჩხს და ზემოდან ყარტს (ყანაფის ყარტი, ძირტკბოლას ყარტი) დააყრიდნენ. აწყობდნენ ქვიდსაც (როგორც წნელი, ისეთი მოდის. ქართველები ქვდს ეძახიან ალღუშაის და რუსები „გრებენჩუქს“).

პასუხები კითხვებზე:

1. ყორულს ინახავდნენ დოლიანობის პერიოდისათვის.

2. გასაყიდად ან დასაკლავათ მეცხვარე ყოველთვის შედარებით უვარკის ცხვარს გაიმეტებდა მხოლოდ. არჩევდნენ ცხვარს ჭიშის, მატყლის და რძიანობის მიხედვით.

3. თებერვლის დოლიანობისათვის ყოჩს ცხვარში ენკენისთვეში გაურევდნენ. ყოჩი ერთი თვის განმავლობაში იყო გარეული.

4. მებებში ცხვარი ჩამოპყავდათ „ნახევარ მაისში“ (ახალზე) და ყიზლარისაკენ დაიძრებოდნენ ოქტომბრის ნახევარში.

ცხვრის ავადმყოფობანი. ჩიჩრახი (ფალარათი) მთაზე თვირთვილმა იცის. მწყემსმა დილით ადრე არ უნდა გაუშოს ფარა მთაზე, მზე რომ მოვა, მემრე შეიძლება გაშვება.

ჭურთული (თურქული) — ფეხები ასტიყვდება, ეყვლება ჩლიქები და ორივე ჩლიქის თავები ეეყრება. ცხორი უნდა დილა-საღამოთი გრილს წყალში გაჰყარო და ან ზღვაზე დააყენებენ და მორჩება ცხორი.

ყოვილი — გამაყარის მუწუქებს თაე-პირზე, იღლივში, ღუმის ძირს. ყოვილიან ცხორს ცალკე დაარჩევენ („ტაერიჩნებისაგან“ მწყემსებს უსწავლიათ აცრა და ახლა ასეთ შემთხვევებში უტრიან).

საკვები ბალახი. ყიზლარში დაბინავების დროს არჩევენ ისეთ ადგილს, სადაც საჯამთრო ბალახიცაა და სასთლოც (მწვანე ბალახი, რომ ცხვარი არ გახლეს). კუტიშლაზე — გართხმულია მიწაზე, ცხვარი ფენით გადააყარის თოვლს და ისე სჭამს.

¹ იხ. „მასალები“, ტ. I, გვ. 197.

ყარღანი — მაღალია, ერთ არშინამდე, მლაშეა, კართოფლის ბუჩქივითაა, მოყვითალოა.

ავშანი — როგორც ცოცხი, ისეთია, დაბალია, ლემანი (ლურჯი).

წითელწვერა — დაბალია, წითელი წვერები აქვს.

ხურხუშა — მიწაზე გაშლილია, გართხმულია. მლაშეზე მოდის. პატარა-პატარა „ფათვლები“ აქვს.

კენკრა — ეკალივითაა და ეკალსაც ეძახიან. როცა ცივა, მაშინ კენკრს ცხვარო.

სასთლო ბალახები: კაპიოტა — პრტყელია და ჩვენებურ ღელის ბალახს ჰგავს.

ბუმბლა — მაშინ ამოიყრის, როცა ავდრის შემდეგ ორი კვირის განმავლობაში კარგი ამინდი იქნება და მალე ხმება.

მთის ბალახი: სამყურა, კვლიავი და იონჭა. საბალახოების სახელები: ხოკეი, საჭოგე, წყრობი, ჩათა, წვერნი, დარიალა, წოწენხი.

ყურარისაკენ გამგზავრების წინ მეცხვარეები გააერთიანებდნენ თავიანთ ფარას. გააერთიანებდა შვილი და მეტი მეცხვარე.

შიშლიკი — გაერთიანების დროს ცხვრის რიგრიგობით დაკვლა.

წველა და რძის ნაწარმი

მთხრ. ნინო ქირიკაშვილი, 77 წ. (ყაზბეგი).

ერბო. კარაქს ძირალი ცეცხლი არ უნდა („რაიო, კარაქს აღნოფო, რო პატარა ცეცხლი დაგინთიო“ — იტყვიან-კე). დულილიჩა ჩაყარი მარილსა გემოვნებაზე. ის პერი ზედ რო არ ამოდის, სულ ძირით კი ნულარ ურევე, მაშინ კოვხს ხან წაღმა წამოჰკრავ და ხან უკულმა და დაწყდება პერი, პერი ქვეით წავა და კოვხით უნდა გაისინჯოს, დაწყდება თუ არა. თუ ერთი შედღეების კარაქია. მაშინ დაწვნიობის შემდეგ ერთი მჯილი ფქვილი უნდა ჩაყაროს და თუ ორი შედღეებისა, მაშინ — ორი ხელის მუქა. მემრე რევა უნდა და პერი დაუწყდება და წამოდულდება, მერე კიდევ პერი წამოვა, გადმოიღებს ნაღულს და წყალით დაღნამავს და პერი ქვეით წავა, დაადიან და გადასწურვენ.

მაწონი. რქეს ააღლებენ და შეაციებენ ცოტათი, შემდეგ მაწვნის დედას მისცემენ და თბილათ შეახვევენ. მერე დღეს მაწონი უკვე შედღედება. მაწვნის დედის მაგიერ შეიძლება ცოტა ღილა გაურონ.

ტყავის გამოყვანა

მთხრ. ნინო ქავთარაშვილი, 75 წ. (ყაზბეგი).

როგორც ახლა ჩვენა მთის ხალხი ვართ, ყველის ნაწვლიტს ვაყენებთ დიდ ბუნაგჩიგა, ჩვაყენებთ იმ ხველსა დიდ ბუნაგჩიგა, დიდ „ბოჩაშია“, ის დამყავდება. იმას უზამთ ცოტა მარილსა და ერთი ჯამი ფორი და შეფუედება ერთურთხიგა. მამრე, იმის შამდეგ, როცა გაფუედება, ავიღებთ იმ ტყავებსა, დაგბერტყთ და იმაჩი ჩაყვრით. იქნება ისა ჩაყრილი ერთი კვირე (ზაფხულში) და, როცა აცივდება, მაშინ მეტიც იყო [ხოლმე]. მამრე ამოვიღებთ, თერგზე წავიღებთ და დაღვრეცხთ იმეებს. მამრე გავფენთ იმეებსა ბეწვისაკენა და როცა იმას შატყობთ, რომ ცოტა შაშრა ის ბეწვი, მაშინ ჩამავიღებთ; ახლა შაბი და

მარილი — მეტი წილი მარილი და ცოტა შაბი, ეგრე რო. ორი წილი კი ნუ იქნება მარილი და შაბზე ცოტას მეტი იყოს — სამი წილი მარილი, ორი წილი შაბი. ძალიან გააწყალის ერთურთიგა; ძალიან გაწყალება უნდა იმას, ფორიც უნდა; რამდენიც მარილი და შაბია, იმდენი ფორი უნდა. მამრე იმას დავუსვამთ, დავაყრით, კარგა გავლესათ, შავხოვთ ნაპირებს, მამრე ჩავდგამთ იმას ერთ-მანეთიგა და იქნებიან ერთ კვირამდე და ღენახვით, როგორსაც შაიშრობს. მალ-მალ ნახვა უნდა. შეერთდეს რაც დარჩომილი, გასაღობი იქნება იმ ტყავზედა. იმის შემდეგ ავიღებთ და გავფენთ და შაშრება, ცოტას ხანს შაშრება, ძალიან გახმობა არ უნდა. მერე მაჭაგანას ვეძახით. ჩამოვკიდებთ და იმითი დავზელთ. იმას რო ჩამოვზელთ, ბევრი ზელა არ უნდა იმიტომა, რომა მამრე ცელით უნდა ჩამოვმართათ. ცოტა დაზელის შემდეგ, მამრე ცელისპირს ვეძახით, იმათი ვასუფთავებთ. აყრიან ზემოდან სიმინდის ჟქვილსა და მისდევენ ცელისპირით. მერე გამოსჭირან და შაკერამენ.

თუ სველი არ იქნა, წამოვადულებთ ფორსა, ჩავყრით სიმინდის ფქვილსა და უნდა წამოვადუდეს, ჩავყრით „ბოჭკაში“ და ისიც უნდა დამჟავდეს, იმაჩი-გან ჩავყრი და ისაც კარგი სილაგია. აქ ეკალზე მოდის. ზუთუს ვეძახით. ამოვტყლიზე ისა და თბილი წყალი დაუმატე, მამრე ყველის მარწყალია, ის ჩაურე და იმის სილაგი გავაყეთე. უმარილო კი არ შაიძლება, მარილიც უნდა.

პასუხები კითხვებზე:

1. ფორის მომზადება. ქერს ჩაპყრიან წყალში, წყალში არის-კე ერთი კვირე, მამრე იმას წყლიდან ამოიღებენ, დაპყრიან „პოლზე“, დააგროვებენ და შეახურებენ (გაღფარება უნდა ტყავების ან ბრეზენტის). ის შეხურდება და ამ შეხურების დროსა ღივს გამოიღებს. ის როდესაც გამოიღვდება, გათბება, ნიადაგ შეერთდება. მერე იმას აიღებენ იმ ადგილიდან და ფშენეტას დაუწყებენ, გაშლიან და ესე სამ დღესა ერთმანეთში უნდა ახურან. უნდა შაგროვონ ერთათ და მამრე, როცა შახურდება, იმას დილაზეც უნდა ადგილის გადაცვლა და საღამოზედაც და როცა ძლიერ გახურდება და სიტკბო მიეცება, მამრე უნდა გარეთ გავიტანოთ და გარეს ისე, რომა წისქვილმა დაფქვას. გადატან-გად-მოტანა იმიტომ უნდა, რომ არ დამჟავდეს და ტკბილი გამოვიდეს. ფშენეტენ იმიტომ, რომ ერთად შეკონილი როცა არის, მაშინ ობი უჩნდება და მჟავდება.

2. ხველი — ყველის შეწურვის შემდეგ დარჩენილი წყალი.

3. „ბოჭკაში“ ჩახხმულ სველის, ჩაყრილ მარილის და ფორის დასამჟავებლად ერთი კვირაა საჭირო. ამის შემდეგ, ცხვრის თუ ბატკნის ტყავი მეტის-მეტად რბილდება და მოქნილი გამოდის. ასეთ ტყავისაგან იკერამენ ტყავის „ტულუფებს“, ქულებს და სხვას.

მთხრ. ნინო ქუშაშვილი, 52 წ. (ყაზბეგი).

ყველს რომ მავწურამთ, ჩვენ იმას ხველს ვეძახით, იმის სიმჟავეს ვაყეთებთ და, მემრე იმასთანა ცოტა მარილი უნდა ჩავყაროთ და არაყს რო ვაკეთებთ-კე, იმის ხათასაც ჩავასხამთ-კე. სიმჟავე რო ვაკეთდება, იმას ვეტყვიოთ სილაგს. იმას შემდეგ ამოვიღებთ იმასა და დავრეცხთ და დავაშრობთ ბეწვისა-კე. შვაყრიოთ შაბსა და მარილს და ექვსი დღე გვაქვს-კე იმაჩი. მემრე დავაშრობთ ისრევა და დავზელთ, მაჭაგანას ვეძახით, იმითი ჩამოვზელთ.

პასუხები კითხვებზე:

1. ხათა [არის] ის. რაც არყის გამოხდის დროს დარჩება, დაილექება. საჭიროა ორი ვედრო სველი, ერთი ვედრო წყალი და ერთი ვედრო ხათა. ეს ნარევი ერთი კვირა უნდა იდგეს და დამყავდება. მარილი საჭიროა ერთი გირვანქისოდენა. სილაგის დამყავების შემდეგ შიგ ჩასდებენ ტყავებს და დასტოვებენ სილაგში ექვსს დღეს. ექვსს დღეში ტყავი ბეწვისაყენ გაშრება და საერთოდ კი ისევ სველია და ასეთ ტყავს დააყრიან შაბ-მარილს (ორი წილი მარილი, ერთი წილი შაბი) და ფორსაც აურევენ. ფორი უნდა იყოს შაბის და მარილის (ერთად აღებული) ნახევარი. ასეთ ნარევის ტყავს მოაყრიან არა ბეწვისაყენ. არამედ შიგნიდან და შეახვევენ და „დავაწყობთ ისრე“.

ახილაგებენ ცხვრისა და თხის ტყავს.

ფორი — ქერს „მეშოკით“ ჩავდგამთ წყალში: უნდა იყოს ასე ექვსი შვიდი დღე. შემდეგ ამოიღებენ და დაყრიან იატაკზე და გაშლიან, ზემოდან რამეს გადაახურაძებს. რაშდენიზე დღეში ასეთ მდგომარეობაში „გალივდება და გაიმბება ერთურთში“. ამის შემდეგ იმას გაფშენეტენ და ისევ „თბილათ შახვევენ“; ქერი დატკბება, შემდეგ გაახმობენ და დაფქვავენ.

გაღვრება-გაბმას უნდა ოთხი დღე, გაფშენეტის შემდეგ კიდევ ორი-სამი დღეა საჭირო ზურვისათვის.

მ თ ი უ ლ ე თ ი

მეცხვარეობა

მთხრ. გიორგი ყველაიძე, 93 წ. (სოფ. ყველაანი, ღუშეთის რაიონი).

ჩვენა შამადგომაზე რომ წავიდოდით თავქვენა, თვით-თვილს რო დააგლებდა, მაშინა ცხორი ძრებოდა და ცხორს თბილათ ვინახამდით. გაზაფხულზედა, თუ ბალახი იქნებოდა, გარეთ გამოდიოდის და თუ არადა, ფარეხში უნდა ყოფილიყო. მწყემსი ძალიან უვლიდა ცხორსა. ბატკანს რო ცხორი მაიგებდა, შიშაქი რომ ყურს არ უგდებდა, მაშინ მარილს ავალოკინებდით და პირში ბატკნის ლებაროს გაეავლიდით და ბატკანს შაიყვარებდა. ბატკანი თუ დასველდებოდა, მაშინ ცხორმა მიიყენის, ცოტ-ცოტა იძულებდა ცხორი, მაგრამ დიდი შოვლა ჰქონდის. როცა დოლი გამოვიდოდა, მაშინა ყორული ჰქონდა ბინისა გვერსა, შორს ვერ წავიდოდა და ჰაერს და წვიმას არ დაეკრა, მაშინ უნდოდა ბინა.

დოლში სულ ფეხზე უნდა დგომა, რომ დედა არ აუჩიოს და თუ აიჩივა, მაინც იცნობს გამოცდილი მწყემსი, ხელში სწონიან. მწყემსს მარხე თოლი აქუ. ცხვრის დაავადებანი. ქურთულხა (ე. ი. თურქულს)! სიცივე, გრილი, ვარიდებდით და სიცივეში არ ავადმყოფობდა. ბინას უცვლით ცხორსა და ისა შველოდა. ღამე გრილზე ეყრებოდა.

ყოილი (ყვაელი)² — უხადი ძალიან ძნელი იყო. პირველათ რო ცხორს ყოილი გამაჩნდებოდა, იმ დროსა ერთი ცხორი უნდა დაგეჭირა და დედაშიწაში უნდა დაგეშარხა და მოისპობოდა. როცა ყოილი იქნებოდა, არც ცეცხლზე მოხარშვა, არც შეწვა არ შეიძლებოდა და მწყემსი ეგრე მარხული დადიოდა.

აბაგელი რო აჩხდებოდა, ვინც წყალკებში მუშაობდა, ეხლა ნავთის ურეველით მარილში და იმას ვაქმევდით და წყალზე ერთი დღე და ღამე არ გაუშვებდით და მორჩებოდა.

რეტი — არა შველოდა რა. თოლები უყუევდება, თოლებში უნდა შეხედოდა ის არ მორჩება, თუ თოლებს ეგრე აფეთებს, ის არ მორჩება და, თუ არადა, მაშინ ორივე ყურებს ამოუხვრეტდით და გამაუვიდის სისხლი და ვადარჩის. თუ ძალიან ძალა ჰქონდა და, მაშინ თოლებში ველარ გამაბიხდის, დაფეთდის.

გაზაფხულზე, როცა მწონე (მწვანე) მოვიდოდა და თვირთვილს დასდებდა, სანამ კარგა არ მოდღევედებოდა, ცხორი არ გამოუშვის, ისევე შამადგომაზე. კარგი მწყემსი ამით ატყობდის და ცხორს არ უშვებდა მზის კარგა ამოს-

1 ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა დედანში ჩამატებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ.

2 ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა დედანში ჩამატებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ.

ვლადის. ცხორსა მთა უყორს ქოხა, რომელიც არის მზის პირი და ჩრდილისამ ჩიჩრახი იცის, ვერ ასრულებს ცხორს.

კვლიავი (ქარცხვი), დიყი (წამალია ცხორისათვის, სწმენდავს) სწმენდავს ცხორს და სისხლათ გადის.

ბარათ ცხორი გასუქდება, მაგრამ ზამთარში წვინტილი იცის და სნეულობს. მთისა ათი წელიწადი სძლებს და ათ ბატკანს გაზდის ერთი ცხორი.

ხაკვები ბალახი. ყოზღარში: ავშანი, ყარღანი — მლაშე ბალახებია, ცხორი იმას მისდევს და სქამს. ყარღანი დაბალია, მაგარია და მჟავეა, სწმენდავს ცხორს. ავშანი — დაბალია.

საძოვრები: თლისი, უჭორო (მჩაბლიანთი იყვის); თრუსოსაკენა ხატიმთა-შია, წითელძირშია, პირდაპირშია, ნეფისკალოშია, გვრიტეულაშია (ოსების მთა არის). ართხმო (ხუთი ბინა ღებდა), ნარიანაა, ტუსამწორე, თხილოვანაა (ლაგათხევს), დიდაყანი, ნაბავარნი, კურკუტო (არახვეთის მთა, ქიმბარიანთ მთა), საკოხერი, თლისი, უჭორო, გვრიტა, ხატიმთა. 10000 ცხორი უნდოდა თითო მთასა. სუ ქოხა, დიყი და სხვა ბალახი იყვის.

მეცხვარის ძაღლები. ბატარა ლეკვს თეოს დაუგდებენ ერთი სამი დღე, ძერე აუშვებდნენ, დაიპერდნენ, გაწკებლამდენ კარქათა და წავიდოდა და იმ თავის ადგილს დაწებებოდა და იქ სხვასაც აღარ მიუშვებდა. თეო — ნაპირი.

პასუხები კითხვებზე:

1. ზარალი ყველას აქვს, მაგრამ მაგარი მწყემსია. თავი აფუქებს მინდორს და ცხორი არა სძოვს და კარგი მწყემსი აპყრის ცხორსა და გადაიყვანდის.

2. დოლი — ხუთი მთორე უნდა გამაიყვანოს ცხორმა და მეხუთეზე დოლია. დოლი ადრე რომ მოსულიყო, უნდა ჩამოგვემო ათი დღე თებერვალი. ნაადრე ბატკანს ეწოდება ბიჭა ბატკანი.

3. ყოჩს ცხორის პირველ ღვინობისთვეში გაურევენ. ენკენისთვეში რომ გეეროდა, მაშინ გაიყვანდა თებერვლის ათ დღეს.

4. ნერბვა — ცხორში რომ ყოჩს გაურევენ.

5. ლეპრო — ბატკანი რომ დაიბადება, თავისი ლეპრო აქვს იმასა, სველია და იმას ვეძახით ლეპროსა (ლორწო. — ვ. ჯ.).

6. ყორული — შენახული საძოვარი. ასეთ საძოვარში ცხვარს გაუშვებენ დოლიანობის დროს — დედა ცხვარს ბატკნებით. მოსძოვს აქ და ბევრი რძე ექნებაო.

7. ახლად დაბადებული, მინამ გაიპარება, „მარიანობის თვემდე“, ბატკანიაო; როცა გაიპარება, თოხლი; წელიწადი რომ მოუხრულდება, მაშინ გახდება შიშაქი (დელალი) და ჭედილა (მამალი).

8. ცხვრის დაავადებანი. ყოილის დროს მუცელზე და ფერდებში წითლად დააყრის, ცხორი გაკავებული დადის და მწყემს ფინთი თოლი აქვს და შეამჩნევს. თუ შეერია, მაშინ თავი არ უნდა გასტუსო, ხორცი არ უნდა მოხარშო, თბილათ უნდა იყოს და მაშინ ადვილათ იხდის. ნაყვავილევ ცხორს აღარ სწველიან, იმას ცალკე გაიყვანენ.

პეპელი ცხორს ღვიძლში უჩნდება.

ჩიჩრახი — მუცელში გასჭრის, ფაღარათია.

ცხორი რომ ლაღში დგას, მაშინ იცის, ბიშმას აჩენს. მაშინ გარედან გაასუფთავებენ, შაბიამანს და შაბს დააყრიან, შეუხვებენ და ის მოარჩენს.

მუცლის ტყვილი — ცხორი მიწაზე ხოხავს და მაშინ მეცხორე დასტაცებს წინა ფეხებში ხელსა, დაუქახუნებს, გადმოაბრუნებს ზურგზე, ფეხით მუცელს

დაუზღელს, ამოატრიალებს, უკანა ფეხებს გაუწევეს და გაუშვებს. ცხორი გამო-
ჩანმართულდება.

9. ბერა — უბრალოთ შემოდობილი ადგილი, სადაც ცხვარს წველიან.

ყარალული — იავაშად სადგომია, ქარი რომ არ შეუვიდეს ცხორს.

ფარეხი — თუ ყარალული არის, საჭირო აღარაა.

10. მატყელი, რომელიც გრძელია. ის არ ვარგა, მატყელი უნდა მბილი (რბი-
ლი)³ იყოს, ხელით ამჩნევენ.

11. პარსვა [იწყებოდა] შამადგომაზე. ენკენისთვე რომ ჩამავიდოდა. ბატ-
კახი ძარიანობისთვეში გაიპარსებოდა: გაზაფხულზე — აპრილ-ს გასულსა. ან
ორი კვირა მაისი რო ჩამაეიდოდა. ზოგი მწყემსი ექვსოცს გაპარსამდა.

12. ქორფა ბატკანი ორ თვემდე სწოვდის და მემრე მოვსხლტდით. ქორ-
ფა — რომელიც ბოლოს, ნახევარ აპრილში, მაისში გაჩნდება. დღეში ორჯერ
სწოვდენ ძუძუს.

13. სერა — ზოგსა ყური ჰქონდა მოკრილი, ზოგს გახეული, ზოგს წათ-
ლილი წინიდან, უკანიდან, გვერდიდან. მწყემსი ერთნაირსერტიან ცხორს მაინც
არჩევს თავ-თავისას.

მთხრ. გლახა ნაზღაიძე, 65 წ. (სოფ. ზემო მღეთა, დუშეთის რაიონი).

[საძოვარზე] ბატკანი ცალკეა და ცხორი ცალკე. ბატკანს პირველი ბალახი
უნდა, დაბალი და უნდა იყოს ან წყალი მარჯვე, ან — ზოგი (ზევაი)⁴, რომ
დადგეს ზოვზე. ღამის სადგომი უნდა იყოს ქვიანი და ქედი უნდა იყოს, მაშინ
მატყელი მოდის. ეს ზაფხულის, ეხლა ზამთრის.

ზამთარში აქედან წავა ცხორი, უნდა უშოვოთ სხვა ბალახი, სხვა ადგილი.
რო მივლენ იქ, ყიზლარში, ჯერ ჩვენთვის უნდა გაითხაროთ პატარა ბინა და
„ფჩჩს“ გაეაკეთებთ, მემრე მოვიტანთ ხე-ტყეს და ცხორისათვის უნდა გავა-
კეთოთ ბინა. გაეკრით შიწას და ჩაეყრით სიმგურგვალას, მაღალი ჩალა იცის.
იქ თოხლი ცალკეა და ყოჩი — ცალკე. გაუტეთებთ ბინას — ფარეხს. მაგა-
ლითად, ფარეხის გვერდზე გაკეთდება საბატკნე. საბატკნე ესე კეთდება: სიგა-
ნე 3 მ და სიგრძე 5—6 მ და გადავხურავთ ჩალით და რბილი, მოთიბული
ბალახით. იმიტომ ვაყენებთ ჩალას ალმაცრივ, რო წყალი არ ჩავიდეს. მემრე
ამას შიგ უშუაში გავწვალამთ, ჩალას ჩაეყრით და ეხლა იმიტომ ვწოვლამთ,
რომ ჩვენი დოღი არის ოთხი კვირა და იმ ბატკანს სულ ერთად ხომ არ შეე-
ყრით? ორი კვირისა ცალკე არის — საქორფე და ორი კვირისა — ცალკე-
თავ-თავადი კარები აქვს გამართული. ბატკანი, რომელიც არის, გაუშვებთ და
დაითავთავისებენ და ბატკრები ვერ ცნობენ და ჩვენ მიუყრით, როგორც
დღემ ბალს ძუძუ ჩაუღოს პირში, ისე ცხორში; ბატკანი რო დედას ვერა
ნახამს, მწყემსი მიუყვანს. საბატკნეს ძირზე თხრილებს, „კანავებს“ გაუჭრით,
მერე ამ ამოთხრილზე გადავაფარებთ ფჩჩს — ალღუმას და მემრე — რბილ
ჩალას. ზედ ბატკანი წვეს და შარდი ჩალის თხრილებში და ბატკანს გვერდები
არ უსველდება.

ზოგი ადგილები ისეთი უმადურია, რომ ცხორს რო შასცივდეს, კიდეც
დაძრება, იქ ძარილიანი ბალახი არ იცის. არც სიტყეს იტანს ცხორი — ბერ-

³ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა დედანში ჩამატებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ.

⁴ სიტყვა „ზეაი“ დედანში ჩამატებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ.

წობა იცის. ცხორი უნდა იყოს ზომიერათ. თუ მწყემსს ფარეზში სცივა, მაშინ ეს ცხორისათვის კარგია.

რომელსაც ადგილშიც დადგები, იქ მიწის გორებს გავაყეთებთ და იქ დაუცემთ ჩონს და მეძრე ავშანს დაკვრეფთ და ჩონზე მოვაკრამთ და ამას სარათას ვეძახით. სარათას ყორულღს პირებში დაუცემენ, რომ არავინ გაუშვას ცხორი. ყორულში ცხორს დოლიანობის დროს გავუშვებთ.

თხა. ცუქანი შემოდგომანე გახდება ჩეზიჩი (დელალი და მამალიც ერთია), გახაფულზე — წალა (დელალი), რომ მოიგებს წლისა — ნაწაღარი. ერთი წლის მამალი ზოტია (ვატუნა), სამი წლის უკან დაიფერება და მაშინ დაერქმევა ვაციო. იმიტომ კოლავენ, რომ დაჯოღავი ბრიყვია და, გარდა ამისა, დაკოდილი სუქდება. უთხოთ ცხვარი ვერ წავა, თხა უნდა გაუძღვეს.

ცხვრის დაავადებანი. საცა ადგილში სისხლი აუღვის, ის ჩვენ ვიცოდით. რომ მოსძოვდა ბალახს, გაიბერებოდა და ქაქანს დაიწყებდა და თუ სისხლი ჩქარა გამოუშვით თვალის ძირებიდან, მორჩება და თუ სისხლი დაბრუნდა, მაშინ მოკვდება. ესე კიდეც, თუ ქვა გამოგორდის და მოხვდის, მაშინაც სისხლი აუდგება ცხორსა და მაშინაც მწყემსმა სისხლი უნდა გამოუშოს. ორსავ თვალში სისხლი უნდა გამოუშვით და თუმც ალოკა, მორჩება მაშინ ცხორი.

კიდევ ცხორმა იცის, რომ უცბათ რაღაცას მოსწოვს და დაწვება და ადგება, მუცელს იტყენს, მაშინ წინა ფეხებს გადაწვებით და დაიწყებენ, მუცელს დაუხელთ და მორჩის ცხორი.

ცხორმა იცის კოკლობა; ჭიჩს მოვითლით და შაბიამანს მოვაცრით და შეუხვევით და მორჩება ცხორი.

ყუთური — შუნივით არის, მუწულებივით გაუჩნდება და მაშინ შაბიამანს, თამბაქოს და მარილს ვაღუღებთ და იმას დავაცრით და თუმც ვერ გავიგეთ, მაშინ დაუელის და სულ დაუქერს ფეხებს.

პეველი იმან იცის, თუ ჭაობში მიუშვებთ, ჭალაში — მყრალ ბალახში და მეძრე თუ იმას ჩქარა მოვასწარით, მაშინ კაი მთაზე უნდა წავასხათ, თუ კაი მწყემსია და ახლომს, რომ ცხორი ჭალაში ყავდ, მერე უნდა მთაზე წაასხას. უნდა მწყემსმა იცოდეს: ერთი კვირის შემდეგ მარილი უნდა აქამოს მწყემსმა ცხვარს, ესლა იმ მარილთან თვე თუ მეტი გავა, წყალში უნდა გაშინოს ცხორი, გავიდეს და გამოვიდეს. იმ მარილთან — ბალახი, კარგა დილით უნდა გაუშოს და ოხშობამდე (ვახშობამდე) უნდა აძოოს (თერთმეტ საათამდე). ეს აქა; ახლა უნდა წაასხა მთაზე, კარგ მთაზე, ისე, რომა კაი ბალახი უნდა იყოს მთაზე. უნდა იყოს ქარცხვი, კვლიავი, ხაყურა და იონჯა. ცუდი ბალახი ცხორს არ ასუქებს.

[საკვები] ბალახი: კუტიშაშე — ბუჩქათ ამოვა და როგორც ფეტვი, ისე ყურძენივით ისხამს, მლაშე, თუ იმას შესჭამს ცხორი, არ შასცივა; შავბაღახა — გადატლაპულია, უფრო მომსხოა, ვადაბელტილია, ლურჯია და ისხამს როგორც ყურძენი, ქათმის თვალისოდლებს; წითელწვერა ბალახი — წაწითოთა, ცოცხივით მაღალია, ნახევარ არშინის სიმაღლეზე ამოდის და აქვს ტოტები: ავშანი — ლურჯია, ნაძვს წააგავს; ბუშბლა — მწვანეა, შემოდგომით იცის, ცხვარს რქა მოსდის მაშინ.

მეცხვარის ძაღლები: კარგი ხოდი (ე. ი. ხვადი) უნდა იყოს. კულზე დაჩხრეკენ — ასწვეენ კულთა და არ უნდა შაწკმუნოს. თითითაც სინჯავენ — თითზე დაწვენილი არ უნდა მაიხაროს. იმ ლეკვს უნდა ქონდეს დიდი თავი და მწვეტი ტუჩი არ უნდა ქონდეს. ორ თვეს დელასთან იქნება, მერე უნდა მოუწველოთ რძე და იმითი კვებოთ. მერე უნდა გვეყავდეს კარგი ძაღლი და ის თავად გაწვრთნის. ესლა როცა დედა მოშორდება და რძეს ვაჭმევთ, მეძრე ავიღებთ

თეოზე ნაბადს და დავაბამთ, რომ ქობში არ წავიდეს და ლეკვი წავა და თეოზე იმ ხაბადზე დაწვება და დეიჩვევა. მემრე ძალღებში გაუშვებთ, საცა ცხვარი წავა, იქით უნდა წავიდეს და ასე გეჩვევა. ზოგი ლეკვია, რომ ერთი შეხედვით დიდი, კარგია, მაგრამ მძინარია და მაშინ მწყემსი მიეპარება ღამე ჩუმით და მძინარეს ნაბადს გადააფარებს და გვერდში დაჰკრამს და მერე, ამის შემდეგ, მეტად ფხიზლადა.

პასუხები კითხვებზე:

1. ნერბვა — ყოჩს გაურევენ ღვინობისთვის იანვრამდე. ხუთი თვის განმავლობაშია ცხვარი მკეთ. ოც დედალ ცხვარზე ერთი ყოჩი საკმარისია.

2. დოლი — ორი კვირა რო ჩამოვა თებივლიდან და თუ ნელად გაურევთ, მარტიდან დაიტანს. ბატკანს ორჯელ აწოვებენ დღეში — დილით და საღამოთი.

3. ყიზლარის საძოვრების სახელწოდება: — გაიდუჯი, არეშო, კაპაია, ბერეზინკა, სალდატკა, რაზდოლი (ტავერითან ხახლანოვის ადგილი იყო), კურდუჯი და ჟარკოვი. ჩვენი საძოვრები: ნეფისკალი, არაგვისთავი, შავჯორი, ტბა, უჯორო, შავიანა, გოხიანა, სანგალი, დვრიტაული, გალადური (დიდი და პატარა), დოჯის მთა, თიბილეთ მთა. აქედან ოსეთის საძოვრები: უჯორო, სანგალი, დვრიტაული, გალადური, დოჯის მთა და თიბილეთ მთა. დანარჩენი ზემოჩამოთვლილი საძოვრები მთიულეთისაა.

4. ცხვრის ფარის გზაზე მოძრაობის დროს კვების ასეთი წესი იყო: სადაც ფარა დადგებოდა, უნდა გადაზომილიყო გზის მარჯვნივ და მარცხნივ ორმოცდაათ-ათი საყენი და მხოლოდ ამ განსაზღვრულ მანძილზე შეიძლებოდა ფარის გამოკვება.

5. კარგი მატყლი მოკლე ბეწვიანია, ხშირი და რბილია, ცუდი — გრძელბეწვა და ხმელი.

6. დაბადებიდან ნახევარწლამდე ბატკანია, ნახევარი წლის შემდეგ წლამდე — თოხლი. წლის შემდეგ — შიშაქი (დედალი) და ჭედილა (მამალი). წელს რო გადასცდება დედალი, მოიგებს და განდება ნაშიშაქარი, მამალი (ჭედილა) კი ყოჩი განდება. მეორე წელში რო გადავა და შემდეგშიც „კბილებიდან დავიწყებთო ცნობასო“ — ერთნაყოფი, ორნაყოფი და ა. შ. ერთნაყოფს — წინ ორი ბრტყელი კბილი აქვს ამოსული და დანარჩენი კი — წვრილი. ზეით კბილები არა აქვს. ორნაყოფს — წვრილი კბილები ამეზრდება და წინა ორ კბილს უტოლდება. თუმცა გატოლებული არაა. სამნაყოფს — კიდევ არა აქვს გატოლებული. ოთხნაყოფს — სულ გაუტოლდება ქვედა ყბის კბილები. ზედა ყბაში კბილები არა აქვს. შეიღრვანაყოფს კბილები დაუწვრილდება, დაუცვდება, ძირს დავა, ისე რომ, ათნაყოფს შიგადაშიგ გასცივია კბილები. ყოჩი. მეორე წელს რო გადასცდება, ნაყოჩარია და, როცა დაკოდავენ, მოვლილი ეწოდება, ძალიან სუქდება.

მთხრ. ვასილ ბუჩუყური, 30 წ. (სოფ. ქიშბარინი).

ყიზლარიდან მავალის აქ ცხორი, დაისვენებს აქ, ერთი თვე იქნება თუ მეტი, როგორც ბალახი შაჰხედება, ან მთაზე გარეკენ. მერე პარსვა მავალის, გაჰპარსავენ ცხვარსა და მერე მეორე ადგილი არის, იქ გარეკენ ცხორსა და შეიმატებს საქონელი. მემრე ცხორი დაიპარსება მთელი და შემოდგომით ყოჩს გაურევენ, ყიზლარში რო ჩავალის.

ცხვარს მატყლის ღირსებებისდა მიხედვით ორ ნაწილად ყოფენ: რბილ-მატყლიანი და მშრალმატყლიანი.

თხა იშვიათად იყრიება, რადგან ზამთარში ვერ გასძლებს. თუ გაკრეპავენ თხას, მის ბალანს საბეღების დასაწნავათ იყენებენ.

ცხვრის დაავადებანი. რეტი — დროდადრო მოუეღოს და ტრიალებს ცხორი. რისგან ეერევა ტენი, არ ვიცო.

მუცლის ტკივილი — დაუზელთ მუცელს, ფეხებს დაუმტრევეთ, მოეძაგრაამთ და ეშველება. ცხორი რო დაიწყებს წოლვას-დგომას, იძაგრება და იმაზე შევატყობთ-კე.

ბებერას შაყოლებს ცხორი და თუ მოვასწარით თავის დროზე, ის ბებერა უნდა ვიშოვოთ და პირში გამოუქცილოთ და ეშველება-კე.

თვალის ძირში ძარღვი უნდა გაუქრათ და სისხლით თავ-პირი მოუთხუბნოთ და იმის ორთქლი თუ წავალის-კე, რაღაც ეშველება-კე. ისე ატყობენ, რომ თავს მალა აიღებს და ბალახს აღარ უყურებს. გაიბერება ცხორი სისხლისაგან, სისხლი აუღდება-კე და მაშინ სისხლს უყრით თოლის ძირიდან და მორჩება.

ფეხი თუ გაუფუქდება, გაფუქებულ ქიჩს წვერ მოაქრიან და სისხლს გაროუშვებენ, მერე შაბს და შაბიამანს ერთმანეთს აურევენ, დააყრიან და შეუხვევენ.

თუ ფეხი მოსტყდებოდა, მოტეხილ ადგილას ტყლაპზე წასმულს ცომს შემოახვევენ, მერე წკებლებს დააკვრენ და შეუხვევენ.

ყიზლარის ზამთრის ბალახია: კუტიმლაშე, ავშანი, შავბალახა, ყარდანი, მაგარი ბალახია და სიცივეში კარგია ცხორისათვის. თუნდა სულ ყინულზე ეყაროს ცხორი.

კუტიმლაშე — დაბალი როგორმეა და განაბულია.

ავშანი — მოსულია და ჩვენებურ ავშანსა ჰგავს, კუტიმლაშეზე მაღალია. შავბალახა — დაბალია, განაბულია-კე და ხშირე ამოვა ალაგ-ალაგ.

ყარდანი — მაღალია, თოვლში იმასა სქამს ცხორი, თოვლი ამ ბალახს ვერა ჰჭარავს. აქ, ჩვენ მთებში იცის ქვიშა ბალახი (დაბალი ბალახი), კვლიავა და სამყურა.

სამოვრები: ნეფისკალო, არაგვისთავი, სანგალი (ოსეთისაკენ), დეკიანი (ოსეთის მარჯვე-მარჯვე), ჩაბარუხი, დვრიტეული. სანგალს არა სჯობია სხვა სამოვარი, იქ ნაირნაირი ბალახია, მაგარი და ცხორს კარგა ასუქებს, გზისპირია. იქ კვლიავაიც არის, სამყურაიც, ქვიშა, ქუში ბალახიც. რომელიც დაბალი ბალახია, იქ ბატკანი დაუდის და რომელიც მაღალია, იქ — ცხვარი. დაბალი ბალახები — კვლიავა და სამყურა — ბატკნისათვის ძალიან კარგია.

მთხრ. ივანე ნარიშანიძე, 70 წ. (სოფ. შონჩა).

პასუხები კითხვებზე:

1. ნებრვა იწყება ნაწევარ ღვინობისთვეში, დოლი — თებერვლის ნახევარში.

2. ჩვენ მთებში ცხორი სამ თვეს არის (ზაფხულში), ენკენისთვეში გაემზადება და ყიზლარისკენ წავა ღვინობისთვეში.

3. ყოჩი დედალ ცხორში, არც ჩვენ მთებშია გარეული და არც ყიზლარში, გზაში გაურევეთ მხოლოთ.

4. ზამთრის ბალახები: კუტიმლაშე დაბალია, ლურჯია, ფოჩები აქვს გადაშლილი. ცხვარი როცა ამ ბალახს სჭამს, ზამთარში არ გაიყინება. ავშანი დაბალია, წითელბალახა — მაღალია, წითელია თავიდან და ყვავილები წითელი აქვს. საზაფხულო ბალახი — სამეურა და კვლიავი.

მსხვილფეხს საკონლის სახელი სქესისა და წლოვანებისა მიხედვით

მთხრ. გაბო ინაშვილი, 56 წ. (სოფ. ვეძათხევი, დუშეთის რაიონი).

კამეჩი — ერთ წლამდე ეწოდება ბერწულა, ერთი წლიდან ორ წლამდე — ჯაქი და შემდეგ კამეჩი. კამეჩს უღელში შეაბამენ ხუთი წლისას და თუ კარგი კამეჩის გამოყვანა უნდათ, უღელში შვიდი წლისას შეაბამენო, ხუთი წლისას ხარივით ძალა აქვს.

მთხრ. ილიკო ბურდული, 30 წ. (სოფ. არახეთი).

[ახლად დაბადებულს] ერთ წლამდე [ეწოდება] ბოჩოლა, ან ხბო, ერთი წლის შემდეგ — მოცალო ან კვებულა, ორი წლის ზევით მამალს — მოზვერი და დედალს — დეკეული.

მთხრ. ივანე ნარიშანიძე, 70 წ. (სოფ. შონჩა).

ერთ წლამდე [ეწოდება] კვებულაჲ, ან ხბო (ერთია), ორ წელს იქით — მოზვერი (სახარეს), დეკეული (საფურეს).

მთხრ. გლახა ნაზლაიძე, 65 წ. (სოფ. ზემო მლეთა).

წლამდე — ხბო, ან ბოჩოლა, ერთი წლის შემდეგ მოგებამდე [დედალი] დეკეულია, მამალი კი — მოზვერი, ორ წელს ზევით მღეწავს ეტყვიან და მესამე წელში გუთანში შეებმის.

წველა და რძის ნაწარმი

მთხრ. სალომე წიკლაური, 24 წ. (სოფ. დუმაცხო).

კარაქი. რძეს დალას, ანუ ნაღებს მოხდიან და დააგროვებენ სამი დღის განმავლობაში, შემდეგ ჩაასხამენ სადღვებელაში და შედღვებამენ. სადღვებელა დაწვეხილია, ე. წ. დოთქუნთაზე, რომელიც ორ ფეხს შორის გადებული ბრტყელ ხეს წარმოადგენს. დოთქუნთა აადვილებს სადღვებელას რყევას. სადღვებელას ზემოთ, პირზე გადაკრული აქვს ტყავის სერაჲ, რომელიც შეკრულია პირის გარშემო დოთქირსაკრავით. სადღვებელას გვერდზე გაკეთებულ ნაჩრეტს შუშუტა ეწოდება. კარაქს აკეთებენ აულულარ რძის ნაღებისაგან. მაგრამ შესაძლებელია რძეს ნაღები არ მოხადონ და პირდაპირ ჩაასხან სადღვებელაში დაღამოუხდელი რძე. სადღვებელაში კარაქის შედღვების შედეგად რჩება დო. როცა დოს აადულებენ, ხაჭოთ იქცევა.

ყველი. ჟერ რძეს მოვწველამთ, დავასხამთ პინაზე და საღამოზე მოვყრიოთ ხალებს. ჩავასხამთ ქობში, ნალეებს შეეინახამთ, დანარჩენს ქობში ჩავასხამთ და გავთბობთ, შემდეგ ძროხის ღვრიტაჲა წყალში, წამალას ვეტყვიოთ, დავასხამთ იმის წყალსა თბილ რძეს, ის შააყენებს, ამოვწურამთ პარკში და ყველია. პარკში შეყენებულ ყველს ჩავდებთ ხონაში. ძირში და ზემოდან მარილს დავაყრიოთ და შავინახამთ.

ყველს ინახავენ ქვევრებში, რომლებიც მიწაშია ჩადგმული, ქვევრებში ჩადებულ ყველს მარილს დააყრიან და ძმარ დაასხამენ. ასე ყველი ერთ წელიწადს შეიძლება შეინახოს.

ცხვრის ან თხის ღვრიტა დამარილებული აქვთ შენახული. როცა საჭირო იქნება ყველის შედგება, მათლიან პატარა ნაქერს, ჩაადგებენ წყალში, იქნება ასე ერთი დღე და ღამე და შემდეგ იმის წვეს ჩაასხამენ რძეში და რძეს დაკვეთავს.

მთხრ. გიორგი ყველაიძე, 93 წ. (სოფ. ყველანანი).

ყველი. ერთი დღი კასრი გვექონდა. მეწველით ცხორი, რძე გავწურით, ჩავასხით ხსენი (ბატკნის ღვრიტა), დაურივიოთ და დავდგამდით, ნაბადი ვადავაფარით და თავის ძალა აყენებს ყველს. როცა შაიკვრება, მერე უნდა ერთმა ამიილოს, მეკოდეს ვეძახით და ჩასდებს პარკში, გამასწურვენ და მერე ამიილის და გულში ჩასდებს. დავასხამდით უმზეურ წყალს და მარილს დავაყრიდით და გულს თავს მოუკრავდით, ხანდიხან დავაქანქყარიოთ, რომ მარილი ყველგან გაუქდეს. ამ თიბათეში ჩაიღება და თუნდა ერთი, თუნდა ორი წელიწადი იყოს, არ გაფუჭდება.

იყო ყველის ოცგირვანქიანი თავები, მაგრამ მეტი კი არა, რადგან გულში ვერ ჩაეტევოდა.

ხსენი. ბატკანი მოკვებოდა, იმას ამოვაცლით ღვრიტას. შავრეცხამდით, მარილს დავაყრიდით და საბოლზე ცეცხლით ვაგაშრობდით; მერე ამოვხვევდით პარკში, მერე ქილაში ყველის შრატს ჩავასხამდით და რამდენჯერაც ამოიღებდენ, იმდენჯერ შრატს დაუმატებდენ. რომელიც ჩვილი ბატკანი მოკვდება, იმასა აქვს ხსენი, დიდს ხსენი აღარა აქვს, რადგან რაც ამიიზრდება, ამოდის ხსენი და ქრება. ღვრიტაში ხსენია და იმას წამაპყრი, გარეცხამ და მერე ისევ ჩაპყრი, მარილს დააყრი და საბოლზე ვააშრობ. ღვრიტას ჩასდებენ ყველის შრატში და ასეთი შრატი ყველის დასაკვეთად კარგია.

მთხრ. შიო ნარიმანიძე, 40 წ. (სოფ. შონჩა).

ბოჩოლასა აქვს ხსენი ფაშის (ფაშვი) გვერდზედა. იმას ამიილებენ, ტილოში შავხვევთ და გავხსნით სველში (ყველის წყალს ეწოდება სველა). ერთ ფუთ რძეს ერთი „სტაქანი“ უნდა.

ყველის დედა (ხსენი) გამთბარ რძეში უნდა ჩაისხას. ნახევარ საათში შეიკვრება ყველი, მერე ამოიღებენ და ჩადებენ ტილოს პარკში, რომ წყალი გაუვიდეს და მერე ჩასდებენ ქვევრში ან „ბოქვაში“, ძმარს დაასხამენ და მარილს მოაყრიან, ორ თვეში დაყველდება.

კარაქს სდლებავენ საღვებელაშიაც და ვარიაშიც. ვარია — ცილინდრი-სებური ხე, რომელიც ჩამოკიდებულია ოთახში და მასში ჩასხმული რძე იღვწობება რწევით.

მთხრ. ბიჭია სისაური, 49 წ. (სოფ. იუხო).

ღოს ამავე დროს ეძახიან ჩუმასაც.

როცა პინაში რძეს ჩაასხამენ, ზემოდან დაახურავენ დაწნულ სახურავს, ე. წ. ქირვაჯას. კარაქის შესაღლეებად პინიდან ნაღებს (ღალას) იღებენ და სარძეულში აგროვებენ.

წამალი. ხსენი ბოჩოლაის ან ბატკნის უნდა იყოს. დააყრიან მარის, შაბს და არაყსაც დაასხამენ. მერე დაჰკიდებენ და კარგა გააშრობენ ორი თვის განმავლობაში. ყველის გაკეთების დროს მოსკრიან დვრიტას პატარა ნაქერს და ჩასდენ ან უბრალო წყალში და ან ყველის შრატში; იქნება ასე ოთხი-ხუთი დღე და მერე ასეთი ყველის შრატი ვარგისია ყველის დასაკვეთად. ამას წამალს ეძახიან. წამალი ორმოც ლიტრა რძეს ორი ლიტრა მინც უნდა.

საჭუდე ტყავის გამოყვანა

მთხრ. შიო ნარიმანიძე, 40 წ. (სოფ. შონჩა).

გაატყავებენ ბატკანს ან ცხვარს, მერე გავრეცხთ ტყავს და დავახილაქებთ — დაეყრით მარის და შაბს, შევხვევთ და ერთ კვირას ეგრე უნდა იყოს. ერთი კვირის შემდეგ მაჭეგანით ჩამოქნიან. ტყავი ჩამოკიდებულია და მაჭეგანით მიჰყუებიან და ჩამოქნიან. მაჭეგანს ბოლოში თოკი აქვს მობმული, იმ თოკში ფეხს გაუყრიან და ხელით ასწევენ, ხოლო ფეხით ჩამოსწევენ. მაჭეგანი მოქნის ტყავს, რო აღარ განმეს.

გულამაყარი

მეცხვარეობა

მთხრ. მახარობელ აფციაური, 68 წ. (სოფ. წინამხარი).

პირველ ღვინობისთვის საზამთროთ უნდა მეგმზადოს ცხვარი და მწყემსი. ექვს კვირამდე უნდა გზაში ცხორს. იანვრამდე არც მივა ცხორი ბინაში. იანვარში, თებერვალში და მარტში როცა ბინაშია, ბინის მარჯვე ბალახი იქნება. იმან უნდა შინახოს. გამრავლება? როგორც ეცდები, კამ კაცებთან მოხედები და ცხორი კარგა გაიკვებება, ასი ცხორი ოთხ-ხუთ წელიწადში თითქმის ათასი გახდება და თუ იყიდიან და ჩაუმატიან, გამრავლება იმითაც იქნება.

ყოჩი დედალ ცხორში პირველ ღვინობისთვის უნდა გაირიოს და ცხორი იწერებება და მარტის ოთხი-ხუთი რო ჩამოვა, ცხორი დოღს დაიწყებს, ბატკანს იგებს. მაშინ ცხორსა დღე და ღამე ფეხზე დგომა უნდა, როგორც წყალი არ დადგება, ეგრე მწყემსი.

ცხვრის მატყლი გაკვებაზეა — კაი, მსუქან ცხორს ათი-თერთმეტი გირვანჯა მაინც ედგმის. კაი მატყლი — ბილი (რბილი) მატყლია და მეორე მშრალი მატყლია. ეგ ცხორზედაა, ბედენაა, აქაურ ცხორსა შირაქის ცხორი სჯობია, როგორც ძაული, ისეთი მატყლია. შლაშე — მატყლს აშრობს. იქაურ ბალახს მატყლი ბილი გამოყავს. მამალი ცხვრის და ბერწის მატყლი კარგია და დედლის, ბატკანს რო ზღის, ის იჩაგრება და ისეთი ვერ არის. სირბილით დედალი ცხორის სჯობია.

თხის ბეწვისაგან შალი არ იქსოვება, იმისაგან „მეშოკებს“ ქსოვენ.

ცხორი მიგვეყავდა ყოზლარის მხარეს. ქირა ასზე სამი თუმანი იყო წინათა, მემრე და მემრე აიწვია.

ცხვრის დაავადებანი. ყოზლარის ბოლოსა ერთი ხელი ბალახი იყო, თუ ცხორი იმას შესჭამდა, მაშინვე გაიბერებოდა და მინდორზე თავს აიღებდა. თუ მწყემსს თოლი ექნებოდა და თამბაქოს შეაქმევდა, მუცელს დაუზელამდა, ფეხების კანკუტს დაიწყებდა და მოარჩენდა. ეს ბალახი რთველზე იცის. მეორე ხელი ბალახი არის, რომელიც გაბერავდა ცხორსა და თუ მეცხვარე დროზე უშველიდა და სისხლს გამოუშვებდა, ცხორი მორჩებოდა: თუ იმავე უამად დაინახა, თოლის ძირს ერთი ძარღვია, იმას გასჭრის და მორჩება, თუ არადა მოკვდება. მეორე კიდევ გზაფხულის ბალახია, რომელიც უცბათ გაბერავს და თუ სისხლს გამოუშვებს მეცხვარე, ხო კარგი. ცხორი რო დაკოკლდებოდა, ქირი ავარდებოდა, იმ ქირს სულ მოვითლით და შაბსა და შაბიამანს ერთურთში დავნაყლით, დავბანდით, შეუხვევდით და გზაში აღარ გაუშვებდით და სამი დღე დაეკოკლებდით. ერთხელ შეხვევის შემდეგ სამჯერ უნდა ნახო, იმ ქირში თუ რამე იქნებოდა, ის უნდა მეეცალოს და შაბიამანი უნდა დააყაროს. მეცხო-

რემ ეგრე უნდა იცოდეს ცხვარის სიცივეცა და სიცხეცა, როგორც შენ ეს ქალაღი იცი; თუ ცხორი შეჰყარა და დააცხუნა, ცხორი თავვისოღენა ბატკენბს დაყრის.

საკვები ბალახი, ავშანი — მლაშე ბალახია. როგორც არყით გამაძღარ კაცს არ შესცივია, ისე ცხორსა, თუ ეს ბალახი ჰამა. ხურხურმა — ქერსა გავს. ზღვის პირებზე მინდორზე იცის. ყარღანი — მაღალი იზრდება, ფიჩხივითაა; თოვლობის დროს იმასა სჰამს ცხორი. კუტიმლაშე — დაბალი ბალახია. კაპოეტა — წმინდა ბალახია. წითელწვერა — ფიჩხივითა დგას თოვლობაში (ყველა ზემოჩამოთვლილი ბალახი ყიზლარშია გავრცელებული), ჩვენ მთებშია — სამყურა და კვლიავი.

პასუხები კითხვებზე:

1. შიშაქი — პირველად რო იგებს. რთველზე თოხლი იქნება და გაზაფხულზე შიშაქი გახდება. შიშაქს შველა უნდა დოღის დროს.

2. მომშობიარებული ცხერის მოწველა არ იქნება, იმას აქვს ხსენი, რომელიც ბატკინათვის აუცილებელია. თუ ის ბატკანმა არ მოწოვა, მოკვდება.

3. ბატკანი მარტიდან დაწყებული თიბათვემდე სწოვს და მერე ცხვარი მოიწვლება. „ქობებში და ვედროებში“ წველიან; ვინც კამ მწველავია, ფუთი რძე უნდა მოწველოს ერთ მოწველაზე.

4. ფარეხი — ცხერის სადგომი; გადახურულია. ბაკი — ცხერის სადგომი, უბრალოდ შემოღობილი, გადაუხურავი.

5. ჰედოლა — ორი წლის ცხვარი, ყოჩი — ოთხი-ხუთი წლის.

6. თუ ცხვარს ჰეა მოხვდა რქაში და დაუზიანა, მაშინ მატლი უჩნდება რქაში. მატლის წინაღმდეგ ნაფტალინს ხმარობენ.

7. ყუთური — ცხერის ავადმყოფობაა, რომლის დროსაც ცხვარს ისე უხმება მატყლი, როგორ ხეს ქერქი.

8. თურქული — გზებზე საითმე აჩნდება, დრომ როგორმე იცის, ქიჩები ვარდება და მატლი შეიძლება გაუჩნდეს. ამის წამალი ნაფტალინია.

9. საძოვრები: ნარიანა (მთაა, საცხერე), ღაძხევი, ოზანო, ქვენა მთა (საცხერე), ქიდაქი (მთაა), ოსაურაა (საცხერე), საბლო (საცხერე), ქმოსტი, როშკა (სამასი-ოთხასი ცხვარი მოღის), ნაროვანი (ყველა ზემოჩამოთვლილი საძოვარი გუღამაყარშია); ძაფა — ოსეთში, უჯროო — ცხინვალის მხარეს, ნეფესკალო — მთიულეთში, გაღადღური, ბიდარაა — კავკასის მხარეს.

10. ჰართული ცხორი მხოლოდ დუმიანია, წინათ კი შავნა ცხორი ყოფილა. ეს თეთრი ცხორი თუშურია.

11. გაზაფხულზე ცხვარი მაისში უნდა გაიპარსოს, შემოდგომაზე — პირველ ენკენისთვეში. ღვინობისთვეში ცხვარი მთაშია კიდევ, გიორგობისთვეში გაზაზე უნდა იაროს.

დუქარდი — ცხერის საკრეკი მაკრატელი.

12. ლუბი ცხვარი — გამხდარი, ბეჩაი ცხორი.

13. ჩობანი — გამოცდილი მეცხვარე. ჩობანი ფარაში ერთია და იმას ყავს თანაშემწეები — „პოდმოსკები“. რასაც ჩობანი ეტყვის, ისინიც ისე უნდა მოიქცენ.

„წინანდებურად ერთურთის ბაძი გვექონდას და ამიტომ პატრონი ცხორისა კარგ მეცხორეს გადმოიბირებდა და იმაზე იყო ცილობა და იმად შაჰყარის საქონელი კაცმა“.

ცხორი თუ ეხლა არ ავიდა მთაზე, საიალალოზე, შიგა ჭივარი უფუქდება და ფუქდება. მთაზე უნდა იყოს. ბატკანი უნდა სუ ავილიო საიალალოზე და, როცა დაცხება და დასვენება უნდა, საცა დიდი ზოვია (ზვავი), იმაზე უნდა დაჰყარო, თორე მიწაზე რო დარჩეს, ზევიდან მზე დააწვება, ქვეშით მიწა გაახურებს და ავად ხდება ის ბატკანი. ცხორი გარეგანდება და იმასა შუბლსაც უხვრეტენ: იმაში ჰია აქსო და წყალი უდგება. ის წყალი რო გამოაღის, ცხორი ვასადდება. ცხორი ზამთრობითა არც თბილათ დაყენებას ამოებს ფარეხში და არც ძალიან სიცივისა იტანს. თბილათ რო დადგეს, შიგათ ბატკანი უღებება. დილითა უნდა მწყემსმა იცოდეს, რომ გადადუღოს, სანამ მიწაზე დეეცემოდეს, გაყინდება და იმისთანა დროს მწყემსმა ცხორი რო გამოუშოს, მოყინამს და გაზაფხულამდე კი ვასძლებს და მერე მოკვდება.

ბატკანსა როცა რომ მარილი მოუნდება, მარილი უნდა დაუფანტოს ბალახზედა, რომ შიგათ ფილტვი ან ღვიძლი არ გაუფუქდეს.

ზაფხულში [რამდენადაც] დაბალი ბალახია, ცხორს ის ურჩენია და, რო აგრილდება და მაშინ — დიდი; მდიდარი ბალახი უნდა მარიამობისთვეში, მთაში კი აღარ არის და ცხორი ბარად დაიწვეს მაშინ. ზოგი ზარამაცი მემცხორეა, დაჭდება და სიცხეზე უნდა დეეყაროს ბატკანი და იმაში ფილტვი ეკვრის გვერდზე. ვახდა ის ბატკანი ავთა და მწყემსმა თუ ნახა, უნდა დაიჭიროს ის ბატკანი და [ბატკნის] პირი პირში უნდა შაიდვას, ისი უნდა ვაბეროს, როგორც ტიკპორა, მემრე უკანა ფეხები უნდა დაიჭიროს და ესე დაჩეჩოს და ფილტვი ავარდება და მორჩა ბატკანი.

ტალახში რო ცხორი დგა, ფეხი უფუქდება იმასა, უღებება ის ფეხი ის ჩლიქები უნდა მეეცალოს, შაბი და შაბიამანი დეეყაროს, შაუზვიოს და ეხლა სხვა ჰიჩი წამოუყა და მორჩა.

თვეში რო ცხორი ჩადგება, ბატკანი უნდა მაიგოს, მაშინა რო მწყემსმა დააფრთხოს, ხელათ ბატკანი ვადამრუნდება და ცხორი ვაბერწდება. აი ასეა, ათსნაირად მოელა უნდა საქონელსა.

ცხვრის დაავადებანი. ცხორი ვახდება ავათ, ბალახს შასკამს ისითსა, რომა ვაიბერება. იმასა სისხლი გამოუშვით თოლის ძირებში, ისე ფეხს უსომლით მუცელზედა და მორჩის და ვასადღის.

პასუხები კითხვებზე:

1. ბალახები. შორაქანი — ვადატყლაპული ბალახია. ყარღანი და ავშანი — ახურებს ცხორსა, ზამთრისია. ზურხუმა — ბარშია ძალიან. მლაშინი ადგილი უყორს ცხორსა და საცა მლაშეა, იმაში ვრილათ უნდა დადგეს ცხორი. მთაში — საშუურა და კვლიავი (ზაფხულის ბალახია).

2. ხამოვრები: ოზანო, შირიმინი, ღამხევი, ქვენა მთა, ნარიანა, საფურე, ბაკურხევის თავი, ფხიტური, საღიხე, საქუხარა, ღორღანი, ოსავი, მეორე ოსავი, ქიჭოლი, კიტოხის თავი, ლუთხუმის საცხორე, საჯოგე — ფახვიჯსა, საყორნის ხევი; ლუთხუმს — უკენჭუყარუ, სავორბე, წისქვილხევილი თავი, ფუნდუკი.

3. ჩიჩრახი — ფალარათი, მუცელი ასტივიდება და ვასკრის მუცელში.

4. გულბანდი — სიცხე აქუ ცხორს, გულზე დეეხვევა რამე და გულბანდი არის. გულბანდი ნაბარევი მოსდევს. ამის წამალია ქისტური ღვია.

5. ნაბარევი — შირაქში რო დიდხანს დარჩეს, სანამ ქალაქს შემოვასწრობს, მანამდე ნაბარევი მოჰყვება. ამის წამალია ღვია მარილში არეული.

6. ჭია — ყიზლარისაყენ ჭია მოსდევს ბატკანს. სანამ ბარშია, მანამდე ბატკანი ამ ჭიის გამო იხოცება, როცა მთაში ავა, იქ ზოვზე (ზევაზე) უნდა დადგეს და დაპყრის ჭიასა.

7. პეპელი — ცხორს ეს კყანტი. წყლიანი ბალახისაგან უჩნდება ჭალაში. ცხორს მთა უყარს. პეპელი ჩნდება ღვიძლში და ხვრეტს. გაპვლიანებულ ცხორს წაპალი არა აქუ.

8. თეთრ ყოჩს ბილი მატყლი აქვის: კარგ ყოჩს დუმა ლამაათ (ლამაზათ) შემოკუღლილი უნდა ქონდეს. ჭუჩი მატყლი აქუ თეთრ ყოჩს. ჭრელი ყოჩი არ ვარგა, ცხორი ფუჭდება, ვრელდება.

9. ქუჩი მატყლი — ხშირი მატყლი (ზოგი კი თხელ მატყლაა არის).

10. ცული მატყლი — როგორც ბალახი არ ამოვიდის ისეთი, იარმისხეწვაის ვეძახით.

11. თხის ბალანი სულ ერთია. მაგრამ შიგ რომელსაც თევთიყი აქვის, ის კარგია. თხის ბალანს აქ ხმარობენ ხურჯინათ.

12. ბატკანი [დაბადებიდან] შემოდგომამდე არის, რო გაიპარსება, თოხლია, ზამთარს რო გამოივლის, მერე უკვე ჰედლიაა (მამალი); „ორ წელს რო გამაივლის, მაშინ ყოჩია“. დედალი ბატკანი, თოხლი, შიშაქი (წელს რო გამოივლის).

13. ბიჭა — დედალ ცხვარში უდროოდ შეპარული ყოჩის ნაადრევი ბატკანი.

14. ცხორი თუშური სჯობია, ხევსურულ ცხორს თხელი მატყლი აქუ.

მთხრ. ფილიპა ჩოხელი, 70 წ. (სოფ. ჩოხი).

ნაწლავები რო ღეენასკვება, ცხორი გაივრისება, მაშინისა წინა ფეხებს დაეტაცებდით ფეხებში. მუხლებში ამოვატრიალებდით, მუცელს ფეხით დაუზელამდით და მოვარჩენდით იმასა. სისხლი რო აუდგებოდა ცხორსა, ხამ ბალახს რო მოსძოვდა, იმასა თოლში სისხლს გამოუშვებდით. თუ თავისი სისხლი ენით არ მოლოკა, ის არ მორჩება, მოკვდება. ბებერას (ობობა. — ვ. ჯ.) რო შეაყოლებს ბალახს ცხორი, მაშინაც სისხლს თოლიდან გამოვადენთ და იმ სისხლით თავ-პირზე გადაუსო, როგორც პირი დაბანო და თუ ვერ მოასწრო, მაშინ ის დასივდება და მოკვდება.

გველმა რო უქბინოს. მაშინის გოგირდი აუხრჩოლოს და გაავლოს, რაზედაც ნაკბენია. ერთნაირი ბალახია, ცხორს ბერავს, ხოცავს და იმასაც ისივ სისხლი შველს, ესაც თოლიდან, ან ყური უნდა მოსჭრა.

ბატკანს რო ცხორი იგებს, მაშინისა ვშველით ხელითა გარედანაც და შიგნიდანაც.

ნაწლავები კითხვებზე:

1. „ნაწლავების დასკვნა“ ბალახის ბრალია, რა ბალახია, არ იცის.
2. ზოგიერთი ბალახივე იწვევს სისხლის ადგომას. „მაშინის გაიბერება ცხორი და შნექას (ქშენას. — ვ. ჯ.) დაიწყებს, ფეტქავს“.
3. ბებერას რო შეაყოლებს ცხორი, მაშინის თავ-პირი დაუსივდება და თავის ქნევას დაიწყებს.
4. ბალახები. ყიზლარში: ავშანი (მლაშეა), ყარღანი, კუტიმლაშე, წითელწვერა, ფითრა (გადატყლაპულია მინდორზე); მთაში — კვლიავი (თეთრად თავი ამოუვა, დაბალია, ქვიშიან ადგილას იცის) და სამყურაა.

5. როცა ცხორი დაისიცხება, ფილტვი უფუქდება. იმას ბალახი არჩენს. საძოვარს შეუცვლიან და რჩება.

6. პირველი ხუთი თვის განმავლობაში ბატკანია, შემდეგ, წლამდე — თოხლო, მეორე წელს — ნათოხლარი, მესამე წელს ზეით — ყოჩი. დედალი — ბატკანი, თოხლო, შიშაქი — გაზაფხულის იქით, შემდეგ ცხორი.

7. თხა [ახლად დაბადებულ] ციკანია, ნახევარ წელს ზეით — ჩებჩიჩი; თხა, რომელიც პირველად იგებს — წალი, ორ წლამდე — ვაცუნა, ორი წლის ზეით — ვაცი.

მთხრ. ივანე აფციაური, 62 წ. (სოფ. ღუმაცხო).

ცხვრის დაავადებანი. ცხორი გახდებოდა ავათა, ბებერას მოაყოლებდა, დაუსივდებოდა თავ-პირი. იმისათვის სისხლი უნდა გამოგვეშო, ბებერაა გამოგვეყულიტა პირშია და მორჩებოდა. სისხლი თავ-პირზე უნდა გავგვესო და გავგველოკებინა და მორჩებოდა. ქვა მოხვდებოდა და არ მოკვდებოდა, იმასაც სისხლს გამოუშვებდით და მორჩებოდა. თუ ფეხი მასტყდებოდა, იმას პატარ-პატარა ჯოხებს გაუკეთებდით, ცოშს წავაცხობდით, შეუხვევდით და მორჩებოდა. იქნებოდა შეხვეული სამი კვირა, ერთი თვე. ზოგ დროსა ნაწლავები გაშენახვევებოდა ცხორს, იმისთვინა ფეხები უნდა დაგვემტვრია, სამჯერ ამოვვეტრიალებინა თავ-ფეხებსშუა, ფეხით მუცელი დაგვეზილა, სისხლი გამოგვეშო და ისიც მორჩებოდა. თუ ხორცში ღრმით შევიდოდა მატლი, მაშინ წაუსობდით ცოშსა, რომ სული შეხუთოდა მატლს, შეუხვევდით და მორჩებოდა. კიდენ ჩხამაის (ბალახია — ვ. ჯ.) წვენს ვასხამდით და დაიხოცებოდა. ჩხამაის ძირებს დაენაყამდით და წვენი გამოუვიდოდა. ის წვენი ძალიან ძრიალია და ძალიან ბევრის დასხმა არ შეიძლება, ძალიან მათრობელა ბალახია, მაღალ მთებზე იცის.

საკვები ბალახი — ავშანი, ყარღანი, წითელწვერა, ბუმბლა ბალახი. როცა მალაშე ბალახი მასწყინდება, მერე ბუმბლა ბალახში უნდა მივიდეს. სამწონე ბალახია და ის უნდა მოსძოვოს. ჩვენ მთებში ზაფხულში იცის: კვლიავი, სამყურა, ქუში ბალახი (კლდეებშია) მაგარი ბალახია.

მთხრ. გიორგი ბეჭაური, 50 წ. (სოფ. გამსი).

ბერა — ცხვრის საწველი შემოლობილი ადგილი.

ბაკი — ლერწმებით შემოლობილი ადგილი. ლერწმების კონები დამაგრებულია მავთულით. ბაკში ფარას იმისათვის შერეკავენ, რომ ნადირმა არ გააფუქოს.

ფარები — არა მარტო შემოლობილია, არამედ გადმოხურულიც.

წველა და რძის ნაწარმი

მთხრ. თამარ აფციაური, 65 წ. (სოფ. წინამხარი).

ზაგო. სადღვებელში გადღვებილ კარაქს რო ამოიღებენ, დო დარჩება, იმ დოს ცეცხლზე ნელ-ნელა შეათბობენ, წამოადუღებენ და მოხაჭოვდება.

ტყავის გამოყვანა

მთხრ. ფილიპა ჩოხელი, 70 წ. (სოფ. ჩოხი).

მაჩვენებს ერთ ბოლოში, ორ თითს შუა გაკეთებული აქვს ცელის პირი, ხოლო მეორე მხარეზე მობმული აქვს წნელი, რომელშიაც ტყავის დაზეულს დროს ფეხს გაუყრიან და ფეხის დაწვეით ცელის პირს ტყავის ზედაპირზე გაატარებენ. მოღესილი პირი ტყავზე დარჩენილ ყოველგვარ ხორცის ნარჩენებს და სხვას წამოიღებს და ამგვარად, ტყავსაც გაასუფთავებს და დაარბილებს კიდეც.

მთხრ. გიორგი წიკლაური, 100 წელზე მეტის (სოფ. ზანდუკი).

ტიკპორა — გავხდით კისრიდან მამალ თხას ტყავს, შემდეგ უნდა შაბმარლი დაგვეყარა იმისთვინა და მერე, ვინც კუპრავი იყო, იმასთან მიიტანდენ და მზათ იყო. კუპრს შიგნიდან, ბეწვისყენ უსმენ; ტიკს ბეწვი შიგნითა აქვს.

მსხვილფეხსა საქონლის სახელი სქმისისა და წლოვანების მიხედვით

მთხრ. მახარობელ აფციური, 68 წ. (სოფ. წინამხარი).

ხარი. ხბო [ეწოდება] ერთ წლამდე, მაზვერი — ერთი-ორი წლისას, შემდეგ — ხარი (უღელში შეაბამენ ოთხი წლისა).
ძროხა. ხბო [ეწოდება] ერთ წლამდე, დეკეული — სანამ მოიგებს, შემდეგ — ძროხა.

მთხრ. ფილიპა ჩოხელი, 70 წ. (სოფ. ჩოხი).

ახლად დაბადებულს ეწოდება ხბო — ერთ წლამდე, კვებულა — ერთი წლიდან ორ წლამდე, მოზვერი — ოთხ წლამდეა, შემდეგ ხარია ან ძროხა. დედალ ხბოს საფურეს ეძახიან.

ნაბღის შეთელვა

მთხრ. მახარობელ აფციური, 68 წ. (სოფ. წინამხარი).

მატყლი უნდა გაიპენტოს. როგორც ბამბა. ქისტები თეთრსა სთელენ და ბეწვი საით გამააქვთ, ჩვენ არ ვიცით, ჩვენი უბეწვოა. გათელილ მატყლს ფინზე გაშლიან და დააგენ, როგორც კარგი ლოკინი დააგო. მერე ცხელ წყალს დაასმენ, მერე გადახვევენ ბრეზენტს და ხვევენ და ერთურთს შეებმის. გაშლიან ახლა მეორე გვერდზე და ესე შეითელება ნაბადი.

თხის ბალანს იყენებენ საბღებისათვის. ფარდაგებს და მით უმეტეს შალს თხის ბანლისაგან არა ქსოვენ.

ქართლი მტკვრის ჩრდილოეთით

მთბრ. ანდრო ოხჯანოვი, 80 წ. (სოფ. მუხრანი).

მსწავლეთა საქობის სახელი სქესისა და წლოვანებისდა მიხედვით: კამეჩს. ერთ წლამდე ეწოდება — ზაქი, ორი წლისას — კვებულა, ფურზაქი — სანამ ეყოლება, ფურკამეჩი — როცა ეყოლება. უღელში მამინ შებაამენ კამეჩს, როცა შვიდი წლის გახდება.

წველა და რძის ნაწარმი

მთბრ. თებრო ლალიაშვილი, 65 წ. (სოფ. ბაზალეთი).

ძროხას ძუძუები უნდა მოუსველო ცივი წყლითა, მერე უნდა მოსწოვოს ხბომა და დაეიწყებთ წველასა.

მაწონი. რძეს ავადულებთ, იმას ცოტა — ერთ კოვზს დოს უზამთ, როცა ცოტა თბილი იქნება, შავხვეთ თბილათა და მაწონი გაკეთდება. ერთ ღამეში გაკეთდება მაწონი.

ღო. რძეს შავინახამთ დიდ ქილაში, დამკავდება. მერე ვადულებთ ხუთ-ექვს საათს, მერე გადმოვიღებთ, ჩავასხამთ ქილაში, რო გაცივდება, გავწურამთ ტილოს პარკში და შავინახავთ მიწაში. ადულებულ რძისაგან ღო კეთდება, ხოლო აუღელდარისაგან ხაჭო. მიწაში რომ ვინახამთ, ზეიდან ერბო უნდა ჩავასხათ, რომ სუნი არ ჩაუვიდეს და მიწაში წყალი უნდა დაუსხათ ხოლმე. ეგრე ორ-სამ თვეს ინახება ღო. ადულებულ რძის დამკავებას ორი ღლე უნდა.

კარაქი. ადულებული რძე უნდა ჩავასხათ სადღვებელაში (ნახევარზე ნაკლები უნდა იყოს) და დაეიწყებთ დღვებას. კამეჩის რძეს საკარაქეთ ოთხი-ხუთი საათი უნდა დღვება და ძროხისა კი უფრო მალე იღვებება. დროდადრო შეღვებვის მდგომარეობას არკვევენ სადღვებელის გვერდის ნაჩრეტიდან, რომელსაც შუშუტო ეწოდება და რომელიც დღვების პროცესში ხის ჯობთ ან სიმინდის ფუჩეჩით არის დაცული.

ერბო. გავაცხელებთ კარაქს, ვადულებთ და ცოტა ფქვილს — ერთ კოვზის პირს დაუკიდებთ და როცა დაწყდება და ის ჭურდო, ნაღული რაც ექნება, ცალკე მაიდლებს და მერე გადმოვიღებთ, გავწურამთ და შვეინახამთ. ერბოს ინახვენ მიწაში, ზემოდან ფოთლებს დააფარებენ.

გემო ქართლი

მიძროხეობა

მთხრობლები: პეტრე ტატოს ძე ევანატაშვილი, 80 წ.; დავით გიორგის ძე კავლელაშვილი¹, 80 წ. (სოფ. რუისი, 5. I. 1936 წ.).

ძროხა რომ მოიგებს, ვიტყვით, ხბო მოიგოვო. მარტში რომ მოიგოს, მეორე მარტამდი ხბოს ვეძახით; ერთიდან ორ წლამდე კვებულახ ვეძახით, ორიდან სამ წლამდე — კალოს მოვიდაო, ვიტყვით; ერთ ნეკს (ძუძუს კბილი რომ არის, ნეკს ვეძახით) დააგდებს. მეორე კალოს რომ მივა, მეოთხე წელიწადში გადავა და მეორე ნეკს დააგდებს; იმას მეორე კალოს ვეძახით. მესამე კალოს რომ მივა, მესამე ნეკს დააგდებს და გახდება ხუთი წლისა. მეექვსე წლიდან კი ხარია, მერე გუთანშიც შევაბამთ და საღაც გინდა. მესამე წლიდან გამოვქნით.

ძროხა. დაბადებიდან ერთ წლამდი — ხბოს ვეტყვით, ერთი წლიდან ორ წლამდე — კვებულახ ვეტყვით. სამი წლიდან გავა (სამაჟინარათ და იმაკებს და ვიტყვით, ერთ კალოს არის მოსულიო. მერე მოიგებს და ვეძახით ახალდელა ძროხას. რომ იმაკებს, ვიტყვით, დეკეულმა იმაკაო, მოიგო და გახდა ძროხა. გაყიდა რომ გინდოდეს, კითხამენ: პირველი არისო? ორ ნაყოლია თუ სამ ნაყოლიაო?

ფურკამეჩიო ეგრეა, დაბადებიდან ერთ წლამდი — ზაქს ვეტყვით, ერთიდან ორ წლამდე — კვებულახ ვეტყვით. ორიდან სამ წლამდი — ნეკს დააგდებს და კალოს მოვიდაო. სამიდან ოთხ წლამდი, იტყვიან, მეორე კალოს მოვიდაო. ოთხიდან ხუთ წლამდის კი მესამე ნეკს დააგდებდა, გახდებოდა მერე კამეჩი. მეექვსეში წავა...

ლალიანი ძროხა — სუქანი რძე აქვს და სქელი, კარაქი მეტი ამოღის.

მთხრ. ილიკო აღექსანდრეს ძე ცხველაძე, 45 წ. (სოფ. კეხისჯვარი, 1. 1936 წ.).

ძროხა რომ დაიბადება, ერთ წლამდე ხბოს ვეტყვით, ერთი წლიდან ორ წლამდე — კვებულახ. სამი წლისას დეკეულს ვეძახით. პირველ[ად] რომ მოიგებს, ძროხას ვეძახით; ურწანას — ვეძახით, რომელიც არ იმაკებს; ბერწს კი — მეორე წელს რომ არ იმაკებს, ან ცარიელს.

ხარი რომ დაიბადება, სახარე ხბოს² ვეტყვით ერთ წლამდე; ერთი წლიდან ორ წლამდე — კვებულახ, მესამე წელს კი მესამე კალოს ვეძახიან.

¹ დედანშია: „კავლელაშვილი“.

² დედანშია: „სახრე ხბო“.

დედალ კამეჩს დაბადებიდა[ნ] სამ წლამდე საფუტრე ზაქს ვეძახით. სამი წლიდან თუ არ იგებს, ურწანას ვეძახით, ფურკამეჩს კი — როცა იგებს და მოიყვანს.

საქონლის სადგომი დარბაზთან რომ იყო, იმას გომურს³ ვეტყვოდით, ახლა კი ბოსეულს ვეტყვით. საქონელს ფიცრებს დაუფენთ დასაწოლად, იმას ზღვეს ვეტყვით: ბაგას კი ვეძახით, სადაც საქონელი საქმელს ქამს. ცხენს რომ ჩაუყროთ საქმილს, იმას თავი აქვს გამოყოფილი ზევით და ქანდარას ვეძახით ან ახურს. ბაგაზე ჩაშოვებაზე წნელს ან ჭაქვეს⁴, მერე [ცხენს] ჩამოევლება ყელზე რკალი თავის ზედაგარდათი. მა[გ]რამ როდესაც რკალი არა გვაქვს, ზედაგარდა, რკალი, ბაწრის გაშოსამბავი, მაშინ გავაკეთებთ კარგ წნელს რკვალად, რომელსაც რჩოლს ვეძახით და გადმოვადებთ თავზე.

ქველად რძეს მთაში წველიდნენ გორდაში, ანუ თაბახში, შინ კი სარძეველაში წველიან.

მთხრ. ილარიონ ნიკოლოზის ძე გლუშიძე, 48 წ. (სოფ. ჩორჩანა, 10. XII. 1935 წ.).

ჩოჩობა — საერთო სახელია ყოველგვარი სულდგმულისა.

მთხრ. ვანო გარსევანის ძე ნადირაძე, 60 წ. (სოფ. ბრეძა, I. 1936 წ.).

ჩანგალა[ს] რქებგადაფარჩხულ კამეჩს ვეძახით. გვრიტას ეძახიან თუ კარგი, კობტა არის კამეჩი. ლომას — ეძახიან კამეჩს თუ ცოტა ნაცრისფერია. კროლიას ეძახიან შავს და კობტა რქიან კამეჩს. ხაჩჩეგლას — ეძახოდნენ ზანტ კამეჩს.

მთხრ. სოსო გიორგის ძე აკოფაშვილი, 73 წ. (სოფ. ბებნისი, II. 1936 წ.).

ჭართი ხარი — დავარდნილ ხარს ქვიან შინდი[ს]ში.

ბუნხნიკა კამეჩი — პატარა კამეჩი.

მეცხვარეობა

მთხრ. ნიკო სვიმონის ძე ნინიკური, 90 წ. (სოფ. თიღვა, I. 1936 წ.).

ენც მეცხვარს დაწლებს, იმას შემცხვარეს ვეძახით. მეცხვარი რომ დაიბადება, მანამ შემოდგომას გაატარებს, მანამ ბატკანს ვეძახით. ექვსი თვის შემდეგ ვეძახით თოლხს⁵. მერე ის თოლხი გაიპარება, იმ შემოდგომაზე, ენკენისთველენობისთვეში. გაიპარება რა ისა, თუ თამამია, კიდევ ბატკანს იყოლებს წლის თავზე.

ბატკანი ან კრავი რომ დაიბადება, შეიძლება გამოყვეს გრუზა ბალანი (კულულისანი ბალანი). ის ვარგა უფრო ქულებისათვის, როგორც ლამაზი, დავრეხილი. არის კიდევ ბატკანი, რომ მას გამოყვება ფარცახი შატყელი (ეს არის უფრო გრძელი ბეწვი და შეკრული არ არის, ეს მატყლი უფრო გაშლილია).

³ დედანშია: „კომური“.

⁴ დედანშია: „ძაქეს“.

⁵ ასეა დედანში.

⁶ ასეა დედანში.

არის კიდევ მუშევრით რბილი მატყლი (ე. ი. აბრეშუმით წმინდა მატყლი გამოდის). ეგ მატყლი უფრო დასართავად, კარგი შალების და კარგი წინდებისათვის იხმარება. ცულ მატყლს ჩვენ კვირტიანს ვეძახით⁷. ის არის ლოგინისათვის გამოსადეგი.

მამალი ცხვარი რომ დაიბადება, იმას მამალ ცხვარს ან მამალ ბატკანს ვეძახით; შემდეგ, ექვსი თვის მერე, როცა გაიზრდება და დასრულდება — ვეძახით ყოჩს. თუ საშენებლად უნდა ჯიშისათვის⁸, გაუშვებთ ერკემალათ (საშენებელი ცხვრებისა)... მაგრამ თუ დაიკოლება, მეორე წლის მერე, ვეძახით ვერძს.

ჩვენში არსებობს იმერული და ქართლური ცხვარი. იმერული ცხვარი სხვადასხვაფერადია, ტანად პატარაა, ღუმა სულ პატარა აქვს, კული — გრძელი, ბეწვი პატარა, მხოლოდ გასუქება იცის; პატარა რქები იცის, ჩლიქები თავის შესაფერისი აქვს.

ქართლური ცხვარი თუ მამალია, რქები დიდი იცის, საშუალო — ღუმა, ოთხ გირვანქაზე ნაკლები არ იცის.

საცხოვრებელ ბინას ჩვენ ფარებს ვეძახით. სათხეც არის; ზამთარში დაბურული იყო, ჰერიც ჰქონდა და ყავარიც. ქვეშ მიწა არის, სუფთადება ყოველ დილით და საღამოთი. იმის პატივს ეძახიან დრემლას. ზაფხულის ფარები არ არის შემოწული ირგვლივ, მხოლოდ ფართო ალაგი უნდა იყოს, ისიც მალაღალავზე, ზევიდან ჩრდილის გულისათვის გადაფარებული უნდა ჰქონდეს.

ზაფხულში ცხვარი უნდა გავიდეს დილით ადრე, რომ ინათებს, რაკი-ლა დაცხება⁹, ხის ჩრდილში უნდა იყოს. მერე კი ვეღარ ძოვს, რაკი-ლა დაცხება, მერე კი ერთიმეორეს ეხუტებიან, ცხვარი ცხვრის ჩრდილს მიზღვეს. საღამოთი გვიან უნდა მოვიდეს, რადგან რაკი-ლა მზე გადაიწვეს, სიგრილეში უფრო ჭამს.

ცხვარმა ჯავრი იცის. რაკი რომ გაზაფხულდება, ცხვარს გართობა უნდა. გატარება-გამოტარება უნდა ცხვარს, მაგრამ რაკი სახლში ემწყვრევა, მაშინ ჯავრი იცის. ჯავრის შემდეგ პეპელი უჩნდება იმას (ეს არის ფილტვების ავადმყოფობა). მერე თუ დაძალა იმან, ვერ გადაიტანს, მოკვდება. ზამთარში იმას კორდბს თივა უნდა და ძენძი-ძენძი ლობოი; კარგი საკვებია ცხვრისათვის. თუ პეპელიანი ცხვარია, ის ძლიერ არ გასუქდება.

ცხვარი მარტის ნახევრამდე, აპრილამდის მოიგებს. აპრილში, ერთი კვირის შემდეგ მოგებიდან, სუყველა რომ მოიგებს ერთობლივა, თუ კარგი ბალახია, დაუჩრჩვენი და ცალკე დაუჩრჩვენი ბატკნებს. ცხვარს ძალიან ადრე გარეცქივენ, მოუღილავენ (მზე რომ წამოდგება კარგად), შუაღლე კი არ იქნება, მაგრამ მორეკავენ, რომ შიმშილით არ მოკვდეს ბატკანი. ერთი კვირის შემდეგ, რაკი-ლა შეეჩრევა, მერე დაუწყებენ წველას. რძე ცოტა იცის, მაგრამ ნოყიერია. [ჩიქანს] ორთავეს ორი ხელით ერთად ჩამოეწველით; ჩიქანი თითონ ის არის, სადაც ღრუბელი აქვს ჩამდგარი. აი ღრუბელს რომ გაანძრევს რაღა [რძე] ძირს დაიწვეს, ხელს რომ აუტყაპუნებთ ჩიქანს, მაშინ რძე ჩამოიყრება.

საკვები ბაღახი. ცხვარს უყვარს სამყურა ბაღახი. სამყურა ბაღახი დაბალია, დედაშიწაზე არის გატყებნილი, სამი ფოთოლი აქვს, სამი-ოთხი ღერო აქვს.

⁷ დედანშია: კვირატ.

⁸ დედანშია: ჟიშისათვის.

⁹ დედანში აქაც და ქვევითაც არის: „დაცხება“.

ხვართკა ბალახი. ამას [ცხვარი] ძალიან ეტანება, უფრო უყვარს კორღზე გაჩერება, უფრო კლდიანზე, მაღალი ბალახია. იქ მოდის უფრო წმინდა ბალახები.

შვრია ბალახი. ეს უფრო ცოტათი მალა მოდის, ნახევარ არშინზე შეუძლიან ავიდეს, ფოთოლი გრძელი და წვრილი აქვს. თამამი ბალახია.

მთხრ. ალექსი გიორგის ძე მესხიძე (მეცხვარე), 90 წ. (სოფ. ქვენატკოცა, I. 1936 წ.).

ცხვარს რომ დაებადება, იმას ბატკანს ვეძახით. თუ დახუჭუჭებული მატყლი აქვს, იმას ვეტყვით კულუდას ან გრუზა ბატკანს. დედას ორი წლიდან დამაკვებამდე ვეძახით შაშუს¹⁰, შემდეგ, როცა ბატკანს მოიყვანს, ვეტყვით დედა ცხვარს. მამალს ორ წლამდე ბატკან ვეტყვით, ორ წელიწადს იქით კი ერკემაღს ვეტყვით. ცხვარს რომ დავკოდავთ, იმას ჰედლაას ვეტყვით, თოხლს — ერთ წლიდან მესამე წლამდე ვეტყვით.

ცხვარს ორჯერ ვპარხავდით ღუქარდებით, ერთ — გაწაფხულზე, ერთ — შემოდგომაზე.

თავჯვარი მატყლი დაბრუნებული ბუღანი მატყლია; ამ მატყლს ჩოხებზე ხმარობენ, მოკლებანალა იყო, რბილი იყო, მეორე — აყრილი მატყლი გრძელბანალა იყო, მაგარი კაი იყო, მაგრამა კი არ კეთდებოდა კარგი შალი, ხმარობდნენ წინდებათ. აყრილი ფარცანი მატყლი იყო.

ტარტლი მატყლი ღუმებს ქვეშ რომ მოვჭირდით, იმას ვეტყოდით, არ ვარგიყო და გადაეყრიდით.

ქართული ცხვარი კარგი ღუმეიანია, ხანდახან ნახევარი ფუთი, ფუთი გადავა, გემრიელია, კარგი გამძლეა.

თუშური ცხვარი უგემურია, სხვილი ცხვარია და დიდი, მოზერისხელა იზრდება თითო, ბალანი კარგი და რბილი აქვს.

ჯავახური ცხვარი — გლახა, „გაშეპილი“ ბალანი აქვს, ღუმეა კარგი აქვს, მაგრამ გემო არა აქვს.

იმერული ცხვარი — გემრიელია ქართულ ცხვარზე, მაგრამ ეს არის — ღუმეა არა აქვს. რივი (კული) აქვს.

ცხვრის ბინას ფარებ ვეძახით. ცხვრები ფარებში გვეყავდა. მიწური ფარები იყო, გათხრილი, მალლიდან ეხურა და ძირს ფარები იყო; ეს საზამთროდ იყო. ზაფხულითა ბალოები გვექონდა დანობილი და ზედ ლასტები გვექონდა შემორტყმული; იმას ჩვენ ზაკს ვეძახდით. მამლის ყვილისას გავრეკავდით ცხვრებს, ძობდენ¹¹. როდესაც დაცხვებოდა¹², ჩრდილის ქვეშ დაეყრებოდა.

ცხვრის დაავადებანი. ცხვლება იცის ხოლმე, რომ დაცხვებოდა იხოცებოდა, რომელიც ჩრდილში ვერ შევიდოდა, დაცხვებოდა იმითა და მოკვდებოდა. კიდევ არაა ავადმყოფობა, ყინვაში რომ გამოვა, გაცივდება, მზეს გაუშტერებს თვალს, მაშინ მზე ჭრის, თვალსა ჰკრავს, გვამსა რკინასავეთ გახდის, მოახრჩობს სულა, ღუმას კი ქვასავით გახდის და გახდება როგორ აბედი.

სისხლის მორევა. სისხლი რომ მოერეოდა ყებში¹³, სისხლს გამოუშვებდით და მორჩებოდა. ჰირნახულში ჰირნახულსა ჰვამს ცხვარი, ხმელ უგრეხელსა, ისე დაწყებინებს ხრამა-ხრუმსა, რომ სულ სრიმს გაავლებს (მოსპობს).

¹⁰ ასეა დღანში.

¹¹ ასეა დღანში.

¹² ასეა დღანში.

¹³ დღანშია, „ყებში“.

საკვები ბალახი, ცხვარს უყვარს ხიჭაბალახი, მალალია და რძე აქვს, ფო-
თოლი წვრილი აქვს, არშინი იზრდება.

ხვართქა ბალახი — გამბულია ძირს, გადატყაპნული ფოთოლი აქვს, ღიდი
არ იზრდება.

მთხრ. ილიკო აღექსანდრეს ძე ცხვედაძე, 45 წ. (სოფ. კებისჯვარი, I.
1936 წ.).

მამალს ერთი წლიდან ორ წლამდე თოხლი ჰქვიან, სამი წლიდან კი —
ყოჩი. დედალი რომ დაიბადება, ერთ წლამდე დედალი ბატყანი [ქვიან], ერთი
წლიდან ორ წლამდე კი — თოხლი, ორი წლიდან კი — დედა ცხვარი.

ცხვარს იანვარში და თებერვალში რომ ეყოლება, ნაადი ბაჭიას ეტყვიან
იმ ორ თვეში. მარტში და აპრილში თუ მოიგო, იმას ეტყვიან დოღს, ნამღვი-
ლი დროა. თუ მაისში და თიბათვეში მოიგო, იმას ნაგვიანებს ეტყვიან.

სხვილი მატყლი რომ იქნება, იმას ვეძახით ფაცუე მატყლს, თავკვერი
წმინდა და კარგია. კულა მატყლი აქვს ბატყანს.

ცხვარი რომ დაიბადება, თუ გვინდა რომ [მატყლი] კარგი კულულიანი იყ-
ვეს საქუდეთ, შეუმშრალ[ს], ლორწოიანს ჩაეაცმევთ პერანგს და მესამე დღეს
თავს მოვკვრით...

ცხვარი ორჯერ იპარცება წელიწადში; აპრილში რომ იპარცება, ცხვარს
ძაშის ხაკლები მონახდული მატყლი აქვს. ენეინისთვეში კარგი მატყლი აქვს,
სუფთა და კარგია.

მთხრ. პეტრე ტატოს ძე ეგნატაშვილი, 80 წ. (სოფ. რუისი, 5. I. 1936 წ.).

დაბადებიდან ერთ წლამდის ბატყანს ვეტყვით, ერთიდან ორ წლამდის
თოხლს — ვეტყვით, ორიდან სამ წლამდის შაშიყს ვეტყვით. სამიდან ოთხ
წლამდის ჭედოლა არის გამართული. სამ ნეკს რაკი დააგდებს, მერე ბებერია.

წველა და რძის ნაწარმი

მთხრ. ნიკო სვიმონის ძე ნინიყური, 90 წ. (სოფ. თიღვა, I. 1936 წ.).

ცხვრის წველა. რძეს ერთად მოეაგროებთ და ყველის დედას უნაბთ, მა-
ჭიკი რომ არის-რა. შემდეგ იმას ხელით ამოვაცენებთ, გაწწურავთ ქვაბში, მერე
ამოვაცენებთ, ხელში ამოვწურავთ და დავედებთ თეთვზე, რომ შიგ შრატის არ
ჩარჩეს. დავაყრით იმას ორჯე ვვერღზე მარლის: ის მარლი გაუჯდება შიგა
და ამეგრებს. როცა გამაგრდება, მერე ჩაიდება წათხში.

რამაიკ ვწველოთ, იმას სარძევს ვეძახით, მერე კი ქვაბში ამოგვყავს.

მთხრ. აღექსი გიორგის ძე მესხიძე, 90 წ. (სოფ. ქვენატკოცა, I. 1936 წ.).

ცხვრის წველა. რომ აგრილებოდა, ისევე ძობდენ, მერე წავასხამდით და
შოვწველიდით საწველავეში. მერე ჩაწველავედით ღიდი კასრში და ჩაეწურავ-
დით ღიდი ტილოში, საწურავში. მერე ავდგებოდით და აურევდით ყველის დე-
დას, ჩობახსა. შედგებოდა და დაურევდით ხელით და მოშრატდებოდა; მერე
შრატს ტილოში ჩავასხავდით და დაიწურებოდა, პარკში დარჩებოდა ყველა.

ყველის დედას ვაყენებდით ღორის მაკიეთა. ღორს რომ დავხოცავდით ხოლმე. გვაძინან ამოვიღებდით [მაკიეს], დავკიდებდით მალა, გახმებოდა, მერე ჩავავლებდით ქილაში და ყველს იმ საათში შეაყენებდა: შიგ მარცხს ჩავყრიდით და შაბს და შეაყენებდა.

ყველს ვაყენებდით აგრეთვე ბალახით. სახელი ვერ მომიგონია, ზედ კურკები ასხია ისე, როგორც ატამა მოისხამს; იმას მოვკრუფდით და ყველის დედაში ჩავავლებდით, მაკიეშია და იმ წამსვე დააყენებდა ყველს, შამბს და მარცხს უზამდით კიდევ. გასახმობ ყველს ავიღებდით, დავჭრიდით, მარილს კარგად დავყრიდით, რაც ბევრს დავყრიდით, მით უფრო კარგი იყო; შიგ გორდაში ვავლებდით და შემდეგ ქილაში ჩავაწყობდით. ცხერის შრატს ხაჭოთ მოვადულებდით ხოლმე, გადმოღულდებოდა ერთი — ორჯერა, გადმოვდგამდით და ჩახაჭოვდებოდა შიგა, შემდეგ ჩავახამდით ფარკში.

მელორეობა

ძმბრ. სტეფანე პავლეს ძე ჯოჯიშვილი, 96 წ. (სოფ. ღირბი, XII, 1935 წ.).

მელორხზოვეს წყემს ეძახოდნენ, ღორებისას და ხზოისას. რომ დაიბადებოდა, პატარას, გოჭს ვეძახდით, მერე — ბურაკს¹⁴ და მერე ღორს. კერატი — ძაძალი ღორია, ...სანაშენო, ნეზვი — ...დედალი ღორია სანაშენო¹⁵. მამალი თუ არის, ჭერ კერატი იქნება — ორი-სამი წლისა და მერე ტახი ვახლებდა. მამალ ღორს ტახს ვეძახით, მანამ დავკლავდეთ, კერატად ითულება.

სალამოზე რომ მოვიყვანდით ღორს, ვისაც კარგი პატრონი ყავდა, ქერიოზე დააყრიდა სიმინდას. ღორებს საღორეში ვამწყვდევდით, რომ მოვიდოდა სამწყვესოდანა.

გორგი აფთიაშვილი ვახტემული მელორე იყო, ღორის ფარა ყავდა.

გორგი აფთიაშვილი შევარდენია ტყისაო,
ღილაზე ადრე ადგება, ჩაუდის წყლის პირებსაო,
ერთი კლდე წამოწოლოა, ბელაქანია ძევესაო,
დევებს უნთიათ სანთელი, ერთმანეთს შეხედესაო,
— მოღე ეს ბიჭი დავახჩოთ, ამბავს ვინ მიუტანსაო.
გორგიმე ღორი აშალა, დააკრა ფერდი ძირსაო.
პერეთხევემინ რომ ჩარეკა, ხარგალა¹⁷ დაღვა ხისაო.
მოყამაგირემ შეხედა, ფიცე თქვა მეუფისაო:

— გემინ რომ ტყეში ვიყავი, ნავალი ენახე მტრისაო.

— ვი, შე გლახა, შე წუწყო (გიორგიმ უთხრა), ვი, შენ გიორგისაო.

— დაუჩოქე და ვესროლე, მოეარტყე გულისპირსაო.

(მექომავე ეუბნება გიორგის).

— ზავ თოფის ამბავი ვიცი, უცებ დაუცემდა ძირსაო (გიორგი ეუბნება),

მანგლის რომ საყდარი არის ნაშენი ქვეტკარისაო,

იქ რომ ლეები აწყვია, ნახიან გიორგისაო.

დაურდრენია პირები, პირს მატლი ამოდისაო.

14 ასეა დედანში.

15 დედანში: „კერატი მამალი ღორია, რომ ჭოშუე გადადის. ნეზვი — რომ ამსევეს (შეივსებს ხორცს) და ის გადადის დედა ღორზე“.

16 სოფ. პერეთხევეში რკო ან წაბლია.

17 ხარგალა გუჯეთა — ღორებს, გარშემო შემოუწნა წენელისა (კოტებს რომ დაუღვამთ. ძროხებს, სამეგრელოში, საფხაზეთოში).

ლორს უყვარს რკო, წიფელა, წაბლი და ბროწოული, მაგრამ სიმინდით გასუქებული ღორი ჯობიან ათწილად. ღორის ქადა — ბალახია, გაატყელებულია, არც კუჭი აქვს, არაფერი, ხვართქლასაც ვეძახით.

ალავერდი ბალახი — გუთანმა ან ღორმა უნდა მოგლიჯოს, დაბალია, ფოთოლი აქვს, ძირი აქვს მხოლოდ მაგარი. ღორი კიდევა ჭამს ჭანგა ბალახს — დაბალია, წვრილი ფოთოლი აქვს, მეტად გემრიელი და ტკბილი ძირი აქვს.

ლორს ვაჭმევთ საჭმელს გეჯაში. ჯერ მოვადუღებდით წყალსა, შემდეგ ზაფერიდით საჭმელსა, სიმინდის ფქვილსა აურევიდით, ავლავავდით და იმას ზალაფავს ვეძახდით და ვაჭმევდით...

მთხრ. თეოფილე ზაქარიას ძე ციმაკურიძე, 52 წ. (სოფ. თერეგვანი, I. 1936 წ.).

არის ლორი[ს] ჯიშში [რომელიც] ექვსი თვის აიძვება, არის წლაამდის არ აიძვება; ეს ღორის ჯიშს გააჩნია. ძველი ღორის ჯიშში ცოტა გოჭები იცის, დაუგდებს ოთხ-ხუთს, ექვსამდე. ქართლური ღორი უფრო კარგია და ღირი იზრდება.

გოჭს ვეძახით რომ დაიბადება, როცა პაწაწა არის, სამ თვეში. მერე, ოთხი-ხუთი თვის შემდეგ, ბურაკი ჰქვიან, დედალს — ნეწვი. ბურ[ვ]აკს ვეტყვით საშენებელს; თუ სამამლეა, მაშინ იმას — სატახენს, ტახი-ბურ[ვ]აკს ვეტყვით, წლის შემდეგ — კი ტახს ვეძახით. მერე, რომ განდება ორი წლის ტახს ვეტყვით.

მაკე ღორს რომ ვინმე დაარტყავს და გობეჭს დაყრის უღდეურად, იმას ვეძახით გაბერწებას. ღორმა წელიწადში ორჯერ იცის გაჩენა. თუ აქამე, ღორი ყველაფერს ჭამს — სიმინდს, ქერს, პურის მარცვალს, ბალახებს; არის ისეთი მცენარე რომ ღეროიანად თხრის, ეძებს კიდევ თეროს. თეროს [აქვს წვრილი ფოთლები და ლამაზი წითელი ყვავილები, ფესვებზე — ქლიავისოდენა გამსხვილება] შავი [ფერის]¹⁸. მაჩიტა ბალახი არის თითის სისხო, არის მიწაში ღრმათა, ძირი თეთრი აქვს და გემრიელია, ღორი დაყვება და ამოთხრის.

ჭანგა ბალახი, რომელსაც უფრო ზამთარში ჭამს, ის არის ანლო-მახლო დედამიწაში ჩვეულებად და უფრო მალე პოულობს. შემოდგომაზე არის კიდევ კარგი საჭმელი რკო და წიფელა.

რასიც ღორი ცხოვრობს, იმას ხაღორეს ვეძახით. საღორე არის ოთხი-კუთხიანი, სახურავი აქვს და კარები. ზამთარში [საღორეში] უნდა იყოს თბილი მიწა.

ლორი მანამ დაიკოვდება და ყვერებს ამოუღებდეთ, ტახს ვეტყვით, თუ არადა კერატს.

ლორმა იცის ავაცყოფობა ხოკი. ყელი დაუსივდება, ნამგლევს რომ ჭამს, მაშინ უჩდება ხოლმე: ხოკიან მგლის ყაყრანტომში შელოცამენ, ჩაუყრიან და გაატარებენ შიგ ქერს და აჭმევენ ღორსა მერე.

ციცინა ავადმყოფობა. ციცინა ავადმყოფობის დროსაც ყელი უსივდება, შემდეგ კი კვდება.

¹⁸ ქართ. ენის განმარ. ლექსიკონი. დედამიწი არის: „თეროა რკველი დედამიწაში, თავზე აქვს ლამაზი ბალახი, ქვეშ კი არის შავი, ის არის ნიგოზს რომ ვეტყვით, იმის სისხო“.

მთხრ. სტეფანე პავლეს ძე ჭოჭიშვილი, 96 წ. (სოფ. დირბი, XII. 1935 წ.).

ხორცი თუ ძღვნად გვერდოდა, მაშინ ღლიავში დავეკლავდით (შიგ გულში), თუ შინისათვის გვერდოდა, ღორს თავს მოვპირიდით, ჩავდებდით ვარცლში და ბეწვს ცალკე ავიღებდით და ჭაგარს ცალკე; მერე გამოვწვლავდით, გულს ამოვიღებდით, ფილთვის ამოვიღებდით, თირკმელსა, სუკებს ამოვიღებდით, ამაზე თავნაკარი¹⁹ არა იყო, ერთი ვინმე მოკეთე მოგვივიდოდა და იმას ჩაუხობბავდით. დავანაწილებდით ასო-ასოთა — პირველად ავიღებდი ბეჭს — ორს, მეორეს — უკანა ბარკლებს, მერე კერდს — ორს. მერე — სამ წიბოს (სულ ექვსს), ორს ფენტხს (წიბოს ქვევით, იმას ძვალი არა აქვს); მერე თავსა გავპირიდით და სარქველს ავიღებდით და ქვედა ყბას — ცალკე. თავს აბრამიანს ვეძახდით. დავპატუვებდით მეზობლებს, ნათესაებს, გავატარებდით [დროს] და მრავალჯამიერს დავიძახებდით — მოგვილოცია ღღესასწაული, დავასწროს მრავალ ამ დროსა“.

„ჩონგურო, ჩემო ჩონგურო,
მალა მოჭრილო ხისაო,
მამიდაჩემის ნაქონო,
ბებიაჩემის ხნისაო“.

ამას ტოლიბაში შემოსძახებდა.

წელი რადგან ძელიანი იყო, შესანახად არ გამოდგებოდა ბოლომდი და იქვე შეეკამდით ახალდაკლულს, სხვას შევინახავდით. ღორად დავამარილებდით, დავაყრიდით მარილის დასერილში და დავვიღებდით კავზე. ბებური ღორი თუ იყო — იმას გვატყავებდით, თუ ყმაწვილი ღორი იყო — იმას ტყავიანად ავიღებდით ასო-ასო. ზოგი რომ დაკლავდა, ჩაკიდებდა თონეშია, კომშის, დაფნის ფოთელს ჩაყრიდა, ხორცს მანეულს ამოვაფარებდით, გავკიდებდით ჭოხზედა და დავაფარებდით ზედ ფიცარს, როგორც წაბლი, ისე დაიბრაწებოდა.

ღორს რომ დავკლავთ, მანამ გამოვწვლავთ, მანამ გავიგებთ ღორის ფეტველას, დახორკლილი აქვს ზღმურდელასავით (ძროხას რომ აქვს, ავადმყოფი რომ არის, კანსა და ხორც შორის არის, მოუტყერენ ხორცსა და ამოვარდება). ღორს რომ დავკლავთ და ლევს სულს, მაშინ წაუსველებთ ნაგუზალს და ვეტყვით — „დააგდე ღორო ჩვეულო, ფეტველა გაიქრეო“. ფეტველა გაიპარება რაა.

მთხრ. ალექსი იოსების ძე კოცინაძე²⁰, 46 წ. (სოფ. ბულაური, ხაშურის რაიონი, 7. II. 1936 წ.).

ღორის დაკვლა და დანაწილება. დავკლავთ ღორს გულში, შემდეგ დღლა-რეში გავბუტავთ, შემდეგ გავფატრავთ, გამოვაცლით შიგნეულს, მერე მოვპირით თავს, მერე — ყულაფშარას (ყბასა და ბეჭებს შუა), შემდეგ ავპირით წინა ბეჭებს, მერე უკანა ბაყვებს, მერე გვერდის წყნელებს; ორივე გვერდებს ოთხ ნაჭრად დავპირთ. ბერხემალს შუაზე გავპირით ორ ნაჭრად, მარილს დავაყრით და შევინახავთ შაშხათ.

¹⁹ ასეო.

²⁰ ასეო.

ძმბრ. ვასილ ქარსიძე, 70 წ. (სოფ. ზერტი, XII. 1935 წ.).

ლორის დაქრა ნაწილებად. ჯერ გამოეწეღავ, შემდეგ ყანყრატოს ამოუ-
ლებ, შემდეგ თავ-ფენთს ამოვიღებ თირკმელების გაყოლებით, შემდეგ ფაშვს
ამოვიღებ, შემდეგ ჩავჭრი და ჩავკუწავ, შემდეგ ფილტვის ამოღება, გულის
დაკვლა, ჭიგარის ამოცლა და სვირიაზე დაწყობა. დანა ნეგნებს ჩამორდა მერე
დაგორება ლორის და გულის ჩაჭრა, ლორის აწევა და კულის სიგრძეზე აყენება
და მალის ჩამოჩხება, შემდეგ შიგნიდან ამოცლა და ღილის²¹ ამოღება, სამწი-
ბურზე დაქრა-ჩართვა (წიბოს ნეგნს²² ვეძახით), ბეჭის ამოღება, ბეჭის ჩატანა
და აღება... ღილის ამოცლა და გულად წაღება, მერე ხორცის გაღარიბება, რომ
შეკრეჩილივით არ გამოვიდეს ბეჭის ლორად²³ გამოყვანა. რაც შეიძლება ბეჭს
ნუ გაიტან, შემდეგ ცოტა წაპერანგება (ცოტა მარილს წაყარი), ბევრი მარილის
ჩაყრას კი დამარილებას ეძახიან. წინა ფეხები ბეჭებია, უკანა ფეხებს კი
ეტყვიან ტლუს ან ბარკალს.

ძმბრ. მიხელა აბრამის ძე კოფიაშვილი, 85 წ. (სოფ. სურამი, 9. II. 1936 წ.).

ჯერ დავკლავთ, მერე გავშინჯავთ ჭიგარს, ამოვიღებთ ღვიძლს, ფაშვს. თუ
ფიჭვი, ტერეფა წამხდარია — ქრისტიანებს, და თუ არა, თუ ქაშერია — ჩვენ
(როცა ტყირპი არ არის დაკრული). წინარი (წინა ფეხი) სხვა არის, უკანარი
(უკანა ფეხი) სხვა არის. დავძარღვავთ იმას და იქიდან გაამღება (ქაშერია, მე-
კუთენის რომ [ვ]ქამო). მერე მოვიტანთ და დავალბობთ წყალში, ის დაძარ-
ღული რომ დაღებდა, სისხლი გამოეცლება, მერე წყლიდან რომ ამოვი-
ღებთ, გავრეცხავთ სამჯერ, რომ სისხლი არ ჩაყვეს, გაამღება (რომ ქაშერი
იქნება). [საქონლის] დასაკლავ დანას საქენას ვეძახით. კარგი გალესილი უნდა
იყოს, სამჯერ გაუსობთ ყელში, ყრონტში რალა.

დამკვლელს მოხეტს ეტყვიით. ხახამი — ჰქვიან შემსწავლელს, წესები
რომ იცის. გატყავებით ხლახი ატყავებს, დაკვლით კი ის ვერ დაკლავს. თუ
შესანახად უნდათ, გასხეპაუდნენ ჰოკებს, ააკრადნენ და ააყენებდნენ. შემდეგ
მიუტანდნენ დაბაღს. დაბაღი — გამომყვანი, გამოიყვანდა სამოგვედ, საპირედ
ტყავსა.

სათუღი²⁴ საჩეხი დანა არის საქონლის. ხორცს ჩამოკიდებდნენ ჩანგალზე,
ხორცს ჭირკვეზე დადებდნენ.

ქათამს — ერთხელ უნდა გასმა და ზედ ყააში (ყანყრატოს თავში) გა-
მოჭრიან. ქათამს გავაძრობთ ბუმბულსა, წყალში დავალბობთ, ჩვენ სისხლისა
გვეშინია, არამია ის სისხლის.

ტყავის გამოყვანა

ძმბრ. ზაქარია ფარსადანის ძე დარაზაშვილი, 57 წ. (ქ. გორი, 2. II.
1936 წ.).

საქონელი რომ დაიკვლის, ტყავი გამოვა, შემდეგ გავფხიკავთ, ტყავს ბა-
ლანს გავაცლით, გავრეცხავთ წყალში, შემდეგ გამოიყვანა შამბსა და მარილში.

²¹ ასეა.

²² დედანშია: „ნეკს“.

²³ დედანშია: „მლორად“.

²⁴ დედანშია — „სათური“.

შემახა და მარალს დავფქვათ ერთად, ორი წილი მარალი, მესამე შაბი იქნება. [ტყავს] ჩავლებთ კასრში და იქნება ერთი კვირა. მერე ამოვიღებთ და გავჭიმავთ ფუკარის ჩაღანგარზედა (ოთხკუთხია), ერთი ყრა გვერდით დაიწყება, და ერთი კიდევ — თავსა და ბოლოს. შემდეგ, რომ გაცმება, ავაძრობთ, მერე დავჭრით შინაზე.

მთხრ. მიხაკა გიორგის ძე შახნაზაროვი, 100 წ. (სოფ. მეჭერისხევი, XII. 1935 წ.).

ტყავი სილაქში (მარალსა და ქატოში) გამოგვეყავდა, ცხვრისა, ბატკნისა. თალარში (თალარი ქეისა იყო) ჩაყვრილით და ჩახაცმელ ტყავენს გამოვიყვანდით. ჯერ გავლენილით (ლღუს გავაცლილით), მერე ჩაყვრილით თალარში [რომელშიც] ქატო და მარალი იყო არეული, ორ ღღეში ერთხელ უნდა აგვერია. მერე, ორი კვირის შემდეგ, ამოვეყვრილით, გავაშრობდით. მერე, ბოლოს, კიდევ უნდა დავვენამა და შეუბერავდით პირითა, დავაწყობდით და გავასუფთავებდით იარალით, დავარბილებდით და მერე გავფხეკავდით და ქურქს შევკრავდით.

მეშის გავეთება. გინდა ცხვრისა, გინდა თხისა ტყავს ჯერ დავყვლეფავდით (გავფხეკავდით ბეწვებისაგან ცელით). თრიმლი მოქონდათ ტყიდან (თრიმლი ხე არის). იმას გაახმობდენ და დაბეგვამდენ კუნძში, საბეგველით. კასრში ჩაყვრილით თრიმლსა ერთ ფუთს, ტყავი რამდენიც გვინდოდა, ჩავაგდებდით, წყალს ჩავასხამდით და თრიმლსა და ტყავსა აურევდით; ორ ღღეში ერთხელ უნდა აგვერია. ერთ კვირასა დარჩებოდა და მერე გავაკეთებდით.

იარალებს ვხმარობდით ცელსა და დოღანაქსა. ცელს ვხმარობთ ტყავის გასაფხეკად; დოღანაქში ფეხს გაუყვრილით ძირში, კანაფში და ზევით ვფხეკავდით ტყავს.

მელას ჩაუტყავენდით ჰვანგებს და გავაყოლებდით ტყავს.

დათვის თავის ტყავს გავაყოლებდით ყურებსა... ტყავს გავსხიავდით, როგორც საქონლის ტყავს და ისე გავახმობდით. ჯოხებს, რაზედაც ვახმობდით, ხასხიავს ვეძახოდით.

მეცხენობა

მთხრობლები: პეტრე ტატოს ძე ეგნატაშვილი, 80 წ.; დავით გიორგის ძე კავლელაშვილი, 80 წ. (სოფ. რუისი, 7. I. 1936 წ.).

იერიში სიარული. ცხენმა იერიში სიარული იცის, ხან გაჭენებული წავა, ხან ტარებით წავა.

გამუდმებული მატარებელი. გამუდმებული მატარებელი არ შეშლის სიარულს, თუ წავა, გაქანებული მიდის, თუ არადა, ჩახჩახს არ დაიწყებს.

გახტომილი — მიდის მოწყვეტილი, რომ გაღაბტება და გაღაბტება, მოხხეპილი რომ გაღაბტება, ოთხზე რომ წავა.

იორღა მოკლე-მოკლე კოკავს, ნელა მიდის, მიკოკმანებს; რაც უნდა გაუჯერდე, მაინც მიკოკმანებს, მოკლემუხლა ცხენია, არც ჩახჩახებს, მიდის ძუნძულით, ჩახჩახშია კოკმანა.

ქართლი მტკვრის სამხრეთით

მემროხეობა

მთხრ. ზაქრო ღემორაშვილი, 94 წ. (სოფ. ყარალაჯი).

ხარხა, ძროხასა, კამეჩსა ვაშენებდით, ვისაც ცხვარი ყავდა — ცხვარსა, თხა-ღორსა. სახელებად დაეარქმევდით: ნიკორას — ნიკორა იყო, შავსა — შავლა იყო, თეთრსა — მურასა, თაფლას — თაფლასა, შავსა — შერმასა; ძროხას — ღეკნას, მარუხას[ს]; მარუხა თუ დაერქმიათ, მაშინვე მოკვდებოდა ხოლმე, როდი ვარგოდა. რა ფერიც იყო, იმას დაარქმევდნენ ძროხასა, მურა იყო თუ წაბლა.

ღეკნას ღეკეულს ეძახდნენ. სამი წელიწადი უნდა იყოს ღეკეული, მეოთხეზე უნდა მოიგოს. ჯერ ხბო იყო, მეორე წელიწადს კვებულას დაუძახებდით, მერე — მოწვერი, მერე, მეოთხე წელიწადს, ხარი, მერე შააბი და ხანი; კამეჩი — ზაქი პირველად, მერე გაიზღება, კამეჩი, მეტი სახელი აღარა ჰქვიათ. ძროხამ რვა უნდა გაზარდოს, მეტსაც გაზარდის, თორმეტიც გაუზარდია, მაგრამ ღონე კი აღარა ჰქონია; ისე ყოჩად ხარებს ვერ მოიგებს, პატარა ხბოს მოიგებს, თითონაც დაბერდება დასაკლაუათა. მეც სამოც წელიწადს, ოთხმოც წელიწადს კარგი ვიყავი და რაკი დაბერდი, აღარ ვარგვივარ.

მეცხვარეობა

მთხრ. ზაქარა ღემეტრაშვილი, 49 წ. (სოფ. ყარალაჯი).

ცხვარი არის ნაირიჩიშისა. ზოგი კარგი ჯიშისაა, ზოგი არ არის საყოლი, არ უნდა შეინახო. კაი საყოლ ცხვარს ვეძახით კაი მატყლის ცხვარს. კაი ჯიშის რომელიც არის, იმას მატყლი გრძელი აქ, ღიდი, ის არის კარგი. რომელსაც პატარა, კუტა, ფაცახი მატყლი აქ, იმას ვეძახით უვარგისსა. ფაცახს ხმარობენ ლოგინისთვინ. არის კიდევა შავი ცხვრის მატყლი წინდებისთვინ.

სახელებს ვეძახით ცხვარსა, როცა ლუქმას ვაქმეთ: კობტასა, „ღვინ-ღბივინ“ ვეძახით, შემოგხვდამს მაშინვე, ხელზე იცქირება. ეს არი ცხვარსა ენა არა აქ, ისე გონებთანია ცხვარი. ცხვარი როგორც რო გულთმისანი, ისეთია. ვერ ამბობს, ისე კი სულ ყველაფერი იცის, როდის რა უნდა მოხდეს — თოვლი როდის უნდა მოვიდეს, რო მოღრუბლულია, ქურდი როდის უნდა მოვიდეს, ირევიან ერთმანეთშია, ფრთხება, ვერ ამბობს და ფრთხება და, როდესაც ჩვენ ბინაში ვართ და უღვევართ ცხვარსა, ჩვენ ავღვებით, ჭრაქს ავანთებთ და უვლით გარშემო, ვეძებთ რა არის. თუ მგელი მოდის, ადგება ცხვარი, რევას დაიწყებს და სირბილსა. ჩვენ ვივებით და ავღვებით მაშინ ჩვენა.

მთაში მივდივართ ჩვენა მაისის გასულს: აურევთ ერთად ცხვარსა. რო-
გორც გულთმისანი, ისე მიდის ცხვარი, მივლევთ უკან ჩვენა მეცხვარეები.
ეხლა ჩვენ როდესაც რომა ავალთ მთაში, ბინაში გავიმართებით, დავარჩევთ
მამალი ცხვარი რაც არი, ყოჩებს ვეძახით, იმან უნდა განერბოს დედალი ცხვრე-
ბი და დაურევთ ღვინობისთვის ნახევარში... მარტის ნახევარში დოლი უნდა
იყოს. დოლს ვეტყვი — ბატკნები უნდა დივიგონ. ოთხ თვეს უნდა ატაროს
მუცლით, ღვინობისთვის ნახევარიდან რო გაინერბება. მაგრამ როცა არის შეპა-
რებულა, შეგვეპარება მამალი და განერბამს, ის არის უდროოდ მოგებულა...
წელიწადში ერთხელ უნდა ეყოლოს ბატკანი, ერთხელ უნდა ანაშენოს. ჩვენ
ვიცით: პირველი ბატკანი რო ეყოლება, ფოთოლი უნდა მოუტანოთ ფარეხში,
მუხის ფოთოლი. იმას ვაჭმევთ, სანამდის ძოვნა ისწავლიან, ეს არის, ფვარე-
ზობთ, რო ითამამოს ბატკანმა, ძუძუ არ ეყოფა. დღე მატულობს, ფოთოლსა
სკამს, საღია ის ფოთოლი. განა ბალახს არ მიუტანს, მაგრამ ბალახი სწყინს
იმ დროს, ფოთოლი კი რგებს. როდესაც რო გავა და დედას გაჰყვება, ის თავის
სურვებით ნახამს და შესკამს. არ კი შეიძლება რო ცხვარს მოშივდეს. უნდა
თვალეებში შესტყვიროდეს მწყემსი, საათივით არის ცხვარი, ამალი ეძგერება და
დაიხოცება, თუ დაუგვიანდა და ვერ გავრეკეთ თავის დროზედა.

მთაში ცხვარი ერთი ყრა აქ არის და ნახევარი ვერსის მანძილზე — მეო-
რე, დედამ რო დაიბლავლოს, ბატკნები გაიგებენ, მოსწოვენ მაშინ და რძეს
ველარ ვიშოვნი. სამ ყრათ არის გაყოფილი ცხვარი — ერთი არის, მშრალს
ვეტყვი (მამალი), დედა ცხვარი — ცალკე, ბატკანი — ცალკე. იმისთინა
გვყავ ცალკე, ვწველამთ იქა და ყველი გამოგვყავ იქიდანა. გადღებულს ვე-
ძახით, გარკვილი რო გვყავს მინდორზე. მოერკამთ, ასე რო ათ საათზე, და-
ვასვენებთ ცხვარსა, რო რძე ჩაიყუნოს, მერე ავდგებთ და ბინა გვაქ, იმ ბინაში
გამოვწველამთ; ერთი ექვსი კაცი ვსხედვართ და ვწველამთ.

ზამთარში ცხვარი მალალი არი: თუ გაცივდა, ხელათ გაცივდება, დასძრამს,
ზამთრით რო გაცივდება, ზაფხულით დაიხოცება, ზარალი იცის. იმას არც
უნდა სცხელოდეს ფარეხში. სიციხეცა სწყინს და სიცივეცა, ისე რო, არც უნდა
ძრიც ცხელოდეს, არც უნდა ძრიენ სციოდეს.

პარსევა. აპრილის პირველში ზაფხულია, მაშინ ვაბანებთ წყალში. აპრილის
გასულს უნდა გავპარსოთ ერთხელ, შემოდგომის პირველში, ენკენისთვის ნა-
ხევარში მეორეთ უნდა გავპარსოთ ცხვარი.

ცხვარს რო გავკრებამთ, მატყლს რო გავაკეთებთ, იმ ნართ დავგრებამთ,
ერთი ხარე ეგრე რო გადავიდეს, მეორე ხარე — ეგრე, და შევკრამთ კვანძათ,
კვანძს ვეძახით. ვპარსამთ ლუქარდებით, ლუქარდები გვაქ. მატყლსა აქამდინა
შინათ ვხმარობდით, მოვიქსოვდით წინდასა, ხალათებს; ქალები გვიქსოვდნენ.

თხის ბალანიც გამოსადეგია, თოკებს ვაკეთებთ.

ცხვარის დაავადებანი. ცხვარი გავიხდება ავთ, უნდა ვიკოდეთ რა სკირს.
ვთქვათ ეხლა ცხვარმა დაიწყო გდება, წოლა და იგრინება წელში. მაშინ ავიყ-
ვანთ ხელში და მუცელს დაუზღვამთ. იმიოაც ვშველით ჩვენა, ვთქვათ დაიწყო
ქაქანი ცხვარმა. გაზაფხულის პირზედა რალაც მავნე ბალახია, შექვამა და უსა-
თუოდ სისხლი უნდა გამოუშოთ. დანას ამოვიღებთ და თვალთანა ერთი ძარღვი
აქვს, დავკრამთ და გამოუშვებთ სისხლსა, იმას მეტი არა შველის. თვალეებში
მოდის სატკივარი, ან თავში კეტი მოხვდა. რო იგებს, თავის ტვინი არა აქ ალაგ-
ვება, ზიანდება — რეტინას ვეტყვი, როგორც ადამიანი ბნელიანი არის, ისე.
მაშინ ავდგებით ჩვენ, უნდა მივცეთ საშუალება, ყურები უნდა დაუხერხოთ,
თუ ეშველა — ეშველა, თუ არა, უნდა დაიკლას ან გავყიდოთ. იმას აღარ
ეშველება, ბნელიანს ვეტყვი. [არის ავადმყოფობა], ყვიაოს ვეტყვი. ყვიალი

არის, როცა მოუვლელათ არი ცხვარი, კუჭყიანი მდგომარეობის გამო ტალახი არი. იქიდან შეხვდება. ცხვარი უნდა იყოს სისუფთავეში, ყვავილი აზიანებს. სულ ყველაფერი მავნება მოსდევს იმას — ბერწდება ცხვარი, ბატკანი ყავს მუცელში, იხოცება კიდეც. ეგ ყვავილი იცის ზამთარში. იმას წამალი არ უდგება. მაშინ ჩვენ უფთხილდებით, სისუფთავეში უნდა ვიყოლიოთ, მწყემსებმა ეს ვიცით, ბინა უნდა უცვალოთ ყვავილიანს, მშრალში უნდა ვამყოფოთ. ერთი სიტყვით, ცხვარი ანგელოზივით არის, გაფრთხილება უნდა!

ცხვრის საყვები ბალახებია: გვართქლა, ვარდკაქაჭა, ფოთოლი მუხისა, სამყურა ბალახი — ის ასუქებს, ღიჯახ ვეტყვით, კარგია. შაპარს ვეტყვით, ის ასუქებს კიდეც.

წველა და რძის ნაწარმი

მთხრ. მაგდანა კობაიძე, 70 წ. (სოფ. კაბნები).

ფურის წველა. აი ასე, მარილით დაუდგამთ წინა ძროხასა და ისე მოვწველამთ, ჩვენ ხბორებით არ ვიცით წველა. მოვწველამთ საწველელ კოდებში, მერე ბინაზე დაეყენებთ რძესა. ერთი დღე იქნება, იმას არაფანს მოხვლით მეორე დღესა და არაფანს მოხვლით მერე ყველს გავაკეთებთ. არაფანს ჩავასხამთ დიდ კოდში, მერე, ბლომად როცა შეგროვდება, ჩავასხაეთ სადღვებელში და შევდღვებამთ. არაფანსა ვხვლით, ნაღები ის არი და არაფანს მოხვლილს ყველს ვადღებთ ქილაში, დავასხამთ რძის წყალს — შრატს. მარილს ჩაყვრით და ღვრიტას, იშვებით ვადღებთ, ყველის დედა ის არი. ეხლა რო გავაკეთოთ ხვალისთვინ, ხვალ დილისთვინა კარგია.

ღვრიტას ვყიდულობთ, მოგვაქვს, საცა ჰკლავენ საქონელსა, ისინი აკეთებენ შაბითა, მარილითა და ჰყიდიან ღვრიტას. მერე ჩვენ ჩაყვრით ქილაში მარილსა და შაბსა. ღვრიტას მარილი უნდა და უნდა იყოს შაბიანი, რომ შაადლოს რძე. მერე, რო ჰკობს შავდგამთ, გავათბობთ რძესა, გადმოვდგამთ და ესე დავასხამთ წამალას. მერე ამოვიღებთ ყველს და შევწურამთ თევშში. შემდეგ იმ ყველს გავიტანთ მზეზე, ყველი მოღუფდება, შემოვიტანთ, მარილს დაეყვრით, შუაზე დავეკრით და ჩავალაგებთ ქვევრში, მარილში.

პირველათ რო ძროხა მოიკებს, მას ექნება ხსენი, რძე კი არ ექნება, ესე სამ დღეს. იმას, რაც მორჩება, ყველის წამალაში უზამთ, შაბმარილს დაეყვრით და იმასაც ყველ[ი]ს დედაში უზამთ.

მთხრ. გიგა ბეგლაროვი, 60 წ. (წითელქალაქი).

ძროხის ნაწლავიდან უნდა ავიღოთ დედა — მაჭიკი, შაბი და მარილი უნდა დაეყაროს, მერე გაკეთდება ყველის დედა. სანამ ბალახს მოსძოვს, ქორფა ციკნიდანა, ქორფა ბატკნიდანა უნდა ამოიღოს დედა, ციკნის მაჭიკში არის თხილისტოლა, კაკლისტოლა ყველი. მერე ბალახს რო მოსძოვს, აღარ ვარგა. ღორის ფაში უნდა გარეცხო, დაეყარო შაბი და მარილი, გამოვა ყველის დედა.

შილდანი. ტყავისას ვიტყვით, შილდანი ფაშვზე აბია, ნახევარ არშინის (?) სიგრძე აქვს, შაბს დაეყვრით, მარილსა, ოთხ დღეს უკან გავასხამთ, მერე თბილ წყალში დალბება, მერე კიდეც შაბი და მარილი, ჩაყვრით და იქნება ყველის დედა.

ღვრიტას ციკნისას ვიტყვით, იმის გაკეთებული [ყველი] კარგია ძალიანა.

მთხრ. გიგა ბეგლაროვი, 60 წ. (წითელქალაქი).

იკვლის სხვიღფეხი საქონელი — ძროხა, ხარი, ცხვარი და თხა და ღორი — ზამთრითა. ციკან-ბატკანი, პატარა გოკები, ხბორები. ჭერ უნდა ფეხები შეუქრათ, ოთხი ფეხი, თოკით, მერე დავკლამთ: ყელს გამოვჭრით, დავაყენებთ ზურგზედა და გავატყავებთ სატყავებელი დანითა; კისრიდან, ღაბბიდან დავიწყებთ გატყავებას. პირველში ამოვა ორი ბეჭი, ორი ბარკალი, ოთხი ფეხი, მერე — ორი მკერდი, მერე ამოვა ორიცა წიბოები გვერდებისა, მერე ამოვა ჩალადაჭი ზურგზედა, ხერხეძალზე; მერე ამოვა სუკი¹ („ფილეინი“), შუაზე გაიჭრება, ორი განდება, ორი — კულუსუნი. ნაჭერი მეტი არ არის. ეგ ძროხა. მთელი ნაჭრები ეგ არის და მაშინ უნდა დაიჭრას, მივიტანთ კუნძზე, დავჭრით და გაიყროს ხორცი. გაყვილით წვრილათა. ამას ცული და ხანჯალი უნდა, სათულშიც. სათულს ეტყვიან გასალეს მასათს.

უქანა ფეხში [ამოვა] არტალა. ბარკლიდან გამოიღებენ ერთ არტალას, წველი ბარკლიდან — ორს. არტალა თავისი ცურით უნდა მოიხარშოს. არტალას თუ იყილი, ცური თუ არა აქვს, არ ვარგა.

ხაში და ფეხები, ჩლიქები. უნდა წყალი გაცხელდეს, გაკეთდეს და ერთად მოიხარშოს — იქნება ხაში დილითა.

ძროხის წელეები იხმარება ძეხვის გასაყეთებლად. ღორის წელეებსაც ძეხვებზე ხმარობენ, ვისაც უნდა, გაჰბერამს და შეინახავს.

ფანდურის ლარებს აკეთებენ ცხვრის [ნაწლავებისაგან].

ტყავსა ჩვენა დავაყრით მარილსა და მოჭეთ დაბღებსა. ხარის [ტყავისაგან] რუმბს ამოვიღებთ, ესე, ოცი ფუთი, ოცდახუთი ჩავა ღვინო. ცხვრის ტყავი არის მეზი; [იყენებენ] სარჩულებათ, თხისა — საპირე. საქონლის ტყავს მარილს დააყრი, გაახმოზ, მერე ქალაშენებს გააკეთებ.

რო დავაყენებთ საქონელს, ოთხი ფეხი უნდა შეუქრათ ხელით, მერე წავაქცევთ და უნდა გამოუსვით დანა, დავკლათ — ჭერ უნდა გავჭრათ ყელიდან, გატყავდეს, ფეხებამდინ უნდა ჩავიტანოთ შუაზედა, გავჭრა, გავატყაო, მერე ასო-ასო უნდა ამოვიღოთ.

მთხრ. ნიკოლა მამასახლისოვი, 38 წ. (სოფ. ხოვლე).

იკვლის სხვიღფეხი საქონელი. პირველი ხარისხი ამოდის კერდი, მეორე ხარისხი ამოდის ჩალადაჭი, მერე ამოდის კიხერი ჩალადაჭთან, ცალკე ამოდის; მეოთხე ამოდის სასუყე (ფილეინი), მეხუთე — მისი თირკმელები, სუკები ესე იგი. მეექვსე — ტვლივი (ტვლივი — კანჭი). იმტვრევა, ნახევარი ამოდის. ნახევარი იმსგან ამოდის (ნავარი — ტვინი): თავიდან — სახსრები, ბევრი აქ: ყბები — ცალკე. თავის ქალა ცალკე უნდა აიხადოს; ტვინი ცალკე უნდა გადაიდოს; ყბები. ქვემო ყბა ცალკე უნდა ამოვიდეს, ისიცა, ღრჭა ცხვირისა უნდა ამოვიდეს; ისიცა, ყური, ყურის ბარაბანი, ისიც ცალკე უნდა ამოვიდეს.

დაჭრა სახსრებზედა: ბეჭი იჭრება სამ ასოთ — მხარი, იღლია, მესამე — ფთა, ქვემო ფთა. ბარკალი იჭრება ერთ ნაჭრათ, იჭრება ტვლივი, მეორე ნაჭრათ — კანჭი, ქვემო რბილი ხორცი, „ფილეინი“ მისი. სასუყე („ფილეინი“) იჭრება ოთხათ: ორ პატარა-პატარა თირკმლათ იჭრება; ერთი კულუსუნი ამო-

¹ სიტყვა „სუკი“ დღანში აქაც და ქვევითაც ჩამატებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ.

დის. ძესამე თითონ „ფილინინი“; „ფილინინთან“ არის ჩალაღაჭი; ჩალაღაჭთან არის კისრის ღებობა, შერე კისრის ძვალი ამოდის, მთავარი ძვალი. შიგნეულობა: პირველი ხარისხი არის სუფი, მეორე — თირკმელები, ღვიძლი, შიგნეულობისა — ნაწლავი — ფაშვი. ფაშვის მიმყოლი — ელენთა, ზედ გადაკრულია იმაზედა, კუჭი, ხაშის კუჭი ესე იგი, წიგნარა ფაშვის გვერდზე, მეოთხე გადამამუშავებელი. ეგ არის ჭიგარი, გული, მასთან შეერთებული ნაღველას, ბურთი — ხაშარდე. ნაწლავებსა, ხაშს იყენებენ, წიგნარა და ისაა უმთავრესად; ხაში — ფაშვი და წიგნარა.

ტყის გამოყვანა. ტყათ ამოვიღეთ; ეს კისერი აიკრება დინგამდისინ ყბაში, მერე იმასა ვატყავებთ, რო ხელი გავმართთ შიგა, მაშინ იმასა კერდი აქ მთავარი კერდი. ამოვიღებთ იმასა, მერე მთლიანად მიღის ტყავი. კისრიდან ამოდის მთელი ტყავი. ესლა მავას უნდა დაეყაროს შაბზარლი. მერე უნდა გადაეგზავნოთ მკუშპრავთან. პოჭოჭი უნდა წინ მიღთან და უკან ტანთან, ორ აღვილას უნდა, მარჯვენა ფეხთან — მასრა, შიგნინდან — კუპრიელი; ტყის გასაკეთებელი წამალია კუპრიელი, კოლოტი — მოზვერისა — ამოვიღეს მთლიანათ. იხმარება ღვინისთვის და ნავტიკისათვის.

მთხრ. მოსე კაკიაშვილი, 48 წ. (ქარელი).

საქონლის დაკვლა ებრაელებში. [იკვლება] ხარი, ძროხა. კამეჩი, თხა, ცხვარი. დაკვლით კლავს ხახამი. აღმასის დანა აქვს გასაკუთრებული: თხისა ცალკეა, ძროხის, კამეჩის, სხვილფეხასი ცალკეა. ფრინველისა ცალკეა. სამათ იყოფა, რა.

დაკლამ და შეამოწმებს: თუ ვარგა, ებრაელებსა, თუ არა ვარგა, ქართველებს; მარტო ფილტვიდანა სინჯამს: თუ ფეცხალზე მიკრული აქ, გავებრავ იმ ფილტვსა, თუ გაუვიდა სული, უარგისია, თუ არადა, ვარგისია. ჩვენ ვკრით ორათ: უკანა ნაწილს ვყიდით ქრისტიანებში, წინა ნაწილს — ებრაელებში. ახლა იძარღვება იქ ბეჭებში, წინ ორი ბეჭი როა, გამოვიღებთ ძარღვს, ფერცხალის წინა ძვალსა. მერე დავეკრით და გავყიდით. რო მივყიდით, მაშინ წყალში დააღობოვენ ერთ საათს. მერე დააყრიდნენ მარილს და კიდე უნდა ყოფილიყო ერთი საათი და შერე გარეცხამდნენ წყალში და მერე... ქვებში. მორჩა!

— რომ ვამოსძარღვამთ? იმ ძარღვს გადავავდებთ, იქვე გვყავ ძალღები. სისხლის ძარღვია, არ იქმევა; უკანა ნაწილი იქმეოდა, როცა დაიძარღვებოდა. ხო იცი, სულ ძარღვია ბარკალში, ხოლოთ ზარალია. წინა ნაწილს დავეკრით, ბეჭს ცალკე, კისერი, ჩალაღაჭი, ფერცხალი, კერდი. თავი იყოფა ოთხ ნაწილათ: ენა ცალკე, ტვიჩი ცალკე, ყბები ცალკე.

საყანბო მასალა: დანა, მასათი, სათულო, კუნძი, ხასწორი, გირები.

გატყავებას] უკანა ბარკლებიდან ვიწყებთ, მერე ვატყავებთ მთლიანათ. ტყავს დაეყრით მარილს, გინდა რო წელიწადს ყოფილიყო, არ ვაფუქდებოდა.

ჩაჩხი. ბატი, ინდაური, იხვი, ქათამი, დედლის ყვერეული — დავოდილი ქათამი, მამალი. დაკლამს ხახამი, გაბტყენის პატრონი. ღეკემბერში და ოანვარში, როცა სუქანია წყალში მოკურავი იხვი, ბატი, მაშინ კუქსა და ღვიძლს ვიძღვებთ — ნახევარს კუქსა და ღვიძლს — ხახამს; თუ ვინცობაა, შორს მიაქცალ ფეხს. ვთქვავთ ველარ მოასწრო ამოღება, კაცო და... ეგ კრებიდან არის გადაწყვეტილი, როგორც კაცს დახვრებთა გადაწყვეტოს. ამ თვეებში ბატის და ხახამის სული ერთად არის და თუ ნაწილი არ ერგო ხახამს, ხახამის სული და დაკლული ფრთიანის სული ერთმანეთშია, რო დაკვლამთ, იმისი სულიც თან არ წაიღოს.

ხელით უნდა გავატყვნათ, მერე გამოვაცლით გულ-ღვიძლსა, მერე დავალბობთ წყალში, შემდეგ მარილ დავაყრით, მერე გავრეცხამთ, კიდევ დავაყრით მარილს. დარჩება ერთი კვირა მარილში. შემდეგ ჩამოვკიდებთ და გახმება თავისით. სისხლიდან თავისუფლდება — პირველი მარილის დაყრა, გარეცხვა, [ისევ] მარილი და, სისხლ დაცლის.

ლორიც იგივეა, ხოლოთ ლორი საქონლისაა: ძროხა, კამეჩი, ხარი, სულ ერთია. აპოხტი და ლორი ერთია.

კუპატი წელეებიდან კეთდება: უნდა გარეცხო მარილში, მერე გარეცხამ და ჩაპყრი ბრინჯსა. წყალში ჩააწყოფ, ქოთან იქნება და შეშჷამ.

ძეხვის [გაკეთება]. დაიკეპება რბილი ხორცი, გაიტენება გარეცხილი საქონლის წელი დაკეპილი შეკმაზული ხორცით, ხახვი, პილპილი, მარილი, გახმება და პახმელიაზე კარგია.

ვინცობაა დარჩა ჩაჩხი ოთხი თვე ან ხუთი თვე — ქვიან ოფიტო.

ფრთიანის გაატყენის დროს წყალში არ გავფუფქამთ, იმიტომ რომ სისხლი ჩხარშება, შიგ რჩება.


მესხეთი

ზოგადი ცნობები მესაქონლეობის შესახებ

მთხრ. პავლე ზედგინიძე, 114 წ. (სოფ. ზველი).

ჩვენ კუთხეში საქონელს ბევრს არ ინახავენ, რადგან საძოვარი [ადგილები] ნაკლებია. ცხვარს უფრო ურქო-ღუმთანს ინახავენ, მარა ბოლოს ნახევარ-ღუმთანის შენახვას დაადგენ, რადგანაც ზამთრის სიცივეს უძლებს, ზამთრობით კარგ დარებში გარეთ ბალახობენ ტყესა და მინდვრათ. ღუმთანს კი სულ სახლში ვკეებადით ხელით ხუთ-ექვს თვეს. ამ ბოლო დროს უფრო დავაცოტავით თხა-ცხვრის რიცხვი, რადგან საძოვარი ადგილები გადახნეს და ყანებად აქციეს. ჩვენ ახლა უფრო ძროხის შენახვას ვეტანებით, რადგან მისი შენახვა იოლია.

წველაში კამეჩი უფრო სარეინია და დიდი სასარგებლო, მარა ზამთარში მცივანაა და გვიკირს მისი შენახვა. აქეთ ვინახავთ, სხვა საქონელთან შედარე-




სურ. 8. მესაქონლთა დასახლ ბის სართო ხელი ზანზ-ბის საზაფხულო საძოვრებზე.

ბით, უფრო თხა-ცხვარს, შემდეგ — ძროხას და ხარს. ვირსაც ვეტანებით, ცხენს — ნაკლებ და ჯორს იშვიათად თუ შეხვდებით. ღორი გასაბჭოებამდე სულ არ ყოფილა სოფლებში და ქალაქშიაც ნაკლებს ინახავენ; ახლა კი ქალაქში ღორის შენახვა ძალზე გაიზარდა და სოფლებშიაც თითო-ოროლა გვყავს...

ცხვრის შეილს ვეძახით კრავს; შემოდგომაზე, რო გაიზრდება, დედალს ვეძახით შიშავს, მამალს — თოხლს; შიშავი რო მოიგებს [გახდება] ცხვარი და თოხლი — ვერძი.

თხის შვილი თიანია, ორი წლისა(?) არის წალი¹, როცა მოიგებს — თხა, სამი წლის თხას ვეძახით ბოტს.

კაშეჩის შვილი ზაქია, ორი წლისა, გამოზამთრებული, როცა მოიგებს, კაშეჩია. დედალ კაშეჩს ვეძახით ფურკაშეჩს.



სურ. 9. ქობის ინტ რი რი ზანზობის საზაფხულო სამოვრ.ბზე.


ძროხის შვილი ხზოა, ორი წლისა, გამოზამთრებული, სამ წლამდე — დეკეული, მამალი — მოზვერი, ან ბულა — დაუკოდავი; დეკეული როცა მოიგებს, პქეია ძროხა. მოზვერი ხარია.

ცხენის ახალმოგებულს კვიცხ ვეძახით, ორი წლისას — გამოზამთრულს, როცა ვახედნიან — ცხენს. დედალს ჭაკს ეძახიან, მამალს — ულაყს.

ვირის შვილს ვეძახით მუტრუყს, როცა მოიგებს — ვირს; მამალ-დედალ [ვირს] ცხენსავით, ჭაკს და ულაყს ვეძახით.

ლორის შვილი არის გოჭი; რო გაიზრდება, ბურაკი იქნება; მამალი ლორი არის ტახი, დედალი — ნეჭვი.

ჩვენი საქონელი ზაფხულში იკვებება მინდორში, ზამთრობით კი სახლში ხელით ვკვებავთ თივა-ბჭით, ხოლო ცხენს — ჭერითაც, ბზესთან გარეულს;



სურ. 10. ქობის 2 გმი და ქრლი a-a ზანზობის საზაფხულო სამოვრებზე. 1. შესაქონლ თა საცხოვრებელი დარბაზი, 2. მსხვილფეხაქ საქონლის ბოსლო, 3. სახბოვრე.

¹ წალი ეწოდება უკვე ერთი წლის თხას. რედ.

დღე-ღამეში ორჯერ ვუყრიო საქონელს — დილაადრიან და საღამოს. წყალს ერთხელ ვასმევო.

ფურკამეჩს ხარკამეჩთან ერთად უღელში აბამენ; ზოგორთები ძროხასაც ამუშაებენ უღელში.

ზაფხულში ხარკამეჩს მეხრე უვლის. როცა არ ამუშაებენ, დღე-ღამე საბალახოთ დაჰყავთ მინდვრათ და ტყეში.

ცხვარს მეცხვარე მწყემსავს. ღამით ცხვრის ფარას ძაღლები დარაჯობენ ნადირისაგან. თვითონ მეცხვარეც წელზე ხანჭლით და ხელში კომბალით ძაღლებთან ერთად იბრძვის ნადირის წინააღმდეგ, როცა ფარას დაერევა.

ძაღლებს კისერზე წვეტებიანი რკინის სალტე აქვთ შემოკრული, რა ნადირმა არ დაახრჩოს ბრძოლაში...

წველა და რძის ნაწარმი

ძნობრ. პავლე ზედგინიძე, 114 წ. (სოფ. ზეელი).

ფურის წველა. ძროხას და თხა-ცხვარს დღეში ორჯერ ვწველავთ... წველა დილა-საღამოს ხდება. ძროხის მოწყელის დროს პირველში ხბოს მიუშვებენ საწოვრათ, რა ძროხამ რძე ჩამოუყაროს, მერე მოაშორებენ ხბოს, ძუძუებს მობანენ და კასრში სწველავენ; რძეს წაიღებენ, გაწურავენ მატყლში და გობებში დაასხმენ ერბოხათვის. გობში დასხმული რძე პირზე ნადებს გაიკეთებს; მეორე დღეს პირს მოხდიან, ცალკე კასრში აგროვებენ. როდესაც ბევრი შეუგროვდებათ, ვარ[ი]ში ჩაასხამენ, რომელიც ჩამოკიდებული აქვთ ქერზე თოკებით და ორი ქალი აქეთ-იქით ხელით აქანებს მაგრად და დღებენ კარაქს. კარაქს ამოიღებენ, დარჩენილ რძეს (დოუუუნას) ჩაასხამენ ქვაბში, ყველის დედას ჩასდებენ და ცეცხლზე გაათბობენ, გააცხებებენ და კოვზით მოსწვევენ გვერდზე პირსა, ბოლოს ამოიღებენ პირს — ხაჭოს და ხელეებით აქეთ-იქით სწვევენ, რაც ყველია, ერთათ მუყურიან თავს ხელში, დააყრიან მარილს და შეინახვენ; ეს ჩეჩილი ყველია. ამ რძეში შეიძლება ყველის დედა [ჩასდოთ], ადულოთ და მერე ყველის ხეშში (ტომარაში) ჩაასხათ, პირი მაგრათ მოუკრათ, ხაყვილეზე დასდოთ, ზევიდან დაადოთ სიმძიმე და რა გაიწურება, ხეში დარჩება ჩუმა. შეიძლება დოთაც დავაყენოთ. როცა კარაქს შევდლობავთ, დარჩენილი რძე ვარიისა შეინახეთ; დო იქნება, ოღონდ თხელი დო.

ცხვრის წველა. ცხვრის ნაწველ რძეს სულ ყველათ ვავდებთ. მოვწველავთ ცხვარს, რძეს გავწურავთ, დიდ ქვაბში ჩავასხამთ, შევათბობთ ცეცხლზე და მივცემთ ყველის დედას და მოურევთ ციხებით. როცა შედვდება, ჩავასხამთ ხეშში, თავს მოუკრავთ და საყველეში ჩავდებთ, ზევიდან [დავადებთ] ფიცარს და ზედ ქვეს დავაწყობთ და გაიწურება. საყველის ღართან მიდგმულ კასრში ჩადის შრატის. როცა გამოიქაქება შრატისაგან, ტომრიდან ზლითი ყველს გამოვიღებთ, დაეჭრით და ჩავმარილავთ ქარსანგში. მეორე დღეს კიდევ შრატის ექნება დამარილებულ ყველს, ამოვრეცხავთ შიგვე შრატით და თითო ნაჭრობით ჩავაწყობთ სუფთა ქოთანში, დავადებთ ზევიდან ქვამარილს და დავასხამთ წყალს, ავავსებთ ქოთანს, პირზე ყველს სუფთა, მორგებულ ქვას დავადებთ, რა ყველი ქვეით დასწიოს და თავზე დავახურავთ ფიცრის ნაჭერს და შევიინახავთ. შრატს მოვადულებთ, ჩავასხამთ ხეშში და ყველსავით გავწურავთ საყველეში. ხეშში ჩუმა იქნება. შრატს გადავაქცევთ.

მაწვინის კარაქი. შევაგროვებთ რავდენიმე დღისას და კარაქს შევდვდებათ, დარჩენილ რძეს ვადულებთ, გავწურავთ, დო იქნება, ე. ი. სქელი დო.

ყველის დედას ამზადებენ ასე: საქონლის დვრიტას დაამარილებენ, გაახ-
მობენ და როცა დასჭირდებათ, გარეცხენ, ჩასდებენ კურკელში, დააყრიან მა-
რილს, ზედ დაასხამენ შრატს.

მთხრ. ზუფუარ ახლანახ ძე ჩომახიძე, 40 წ. (სოფ. ბოგა).

ზოგადი ცნობები ვირისა და ჯორის მომშენებლობის შესახებ. ჩვენში
ცხენის მოშენებას ნაკლებად მისდევენ, ვიდრე ჯაეახეთში, რადგან აქ უფრო
ვირს ვიყენებთ მუშაობაში, შეშის საზიდავთ და წისქვილებში საფქვავისათ-
ვის და ამიტომ აქ უფრო ვირს ვამრავლებთ. ცხენს კი, ვისაც უფრო საჭლომათ
ესაჭიროება, ჯაეახეთიდან იძენენ.

ვირის გამრავლება ხდება ნახირში გარევეით, სადაც როგორი უღაყი ვირი
შეხვდება ჭაკს, ის არის მოშენება ვირისა. ჩვენში ჯიშებს კი არ ვარჩევთ დი-
დათ... არც ჯორს ვამრავლებთ. შემთხვევით, ვირი როცა ცხენზე გადის, ჯორი
მაშინ ჩნდება ჩვენში და თუ ვინმეს ჯორი უნდა საყილდათ, ის სხვაგან ყილუ-
ლობს, ლენინაკანისაკენ.

ჯ ა ვ ა ნ ე თ ი

ზოგადი ცნობები მისაქონლეობის შესახებ

მთხრ. აღექსი ოქროპირის ძე ბერიძე, 59 წ. (სოფ. ჭიხარულა).

აქ ვაშენებთ უფრო ძროხას... ბუღებად უფრო ჭიშიანი ძროხების ხბორებს ვინახავთ. ჩვენი საქონელი წვრილი ტანისაა, მარა მაგარი აგებულობისაა. აქ მთა არის და უძლებენ სიცივეს. ეს საქონელი არაა მამაპაპური, გადაგვარებულია, მარა მაინც მოსდევს ძველიდან თავის ძალა-გამძლეობა.

ახლად მოგებულს ხბოს ვეძახით, მამალს — სახარეს და დედალს საფურე ხბოს.

ცხვარსაც ბევრს ვაშენებთ. ჩვენი ცხვარი ძველად იყო თათრული ჭიშის, წითელი. იმას კახელები ეძახდნენ „მაჭურს“, მერე გადაგვარებულია. ახლა ქართულ გვარზე გადაგვარდა. ჩვენი ცხვრები მეტი წილი რქიანი და დუმიანია.

ვაშენებთ თხასაც, რქიანსაც და ურქოსაც.

კამეჩის ვინახვამთ თათრული ჭიშისას, უფრო ჭკვიანსა და რძიანსა. თარსი კამეჩის შენახვას ვერადებით, რომელიც მოწველის დროს არ მიგვიკარებს. ასრევე ურჩობას იჩენს უღელში ხარ-კამეჩი.

ცხენის და ჯორის მოშენებასაც მივღევთ (ჯორს ჯაფახეთში ვირს ეძახიან). ცხენსაც ჭიშიანს ვირჩევთ; იყოს ღინჭი, წყნარი და კარგათ მატარებელი. ჯორცხენა (ჯორს ეძახიან) ჩვენში იშვიათია; ათასში ერთი, რო ჯორი ცხენზე გავიდეს.

ძროხი შვილ ვეძახით ხბოს; მეორე ზაფხულში, გამოზამთრულს და მესამე ზაფხულს — დეკეულს და მოწვევს (სახარეს), დეკეული როდესაც მოიგებს — ძროხას; მეოთხე წელიწადს მოწვევს ვეძახით ხარს. მესამე ზაფხულის მოწვევს კალოში პირველად ვეძახთ, სადაც იხედნება საუღღეთ. ბუღათ სამი ზაფხულის ხბოს ვინახავთ.

ახალმოგებულ ცხვარს ვეძახით კრავს, ექვსი თვის შემდეგ, შემოდგომამდე, დედალ კრავს შიშავს ვეძახით, მამალს — თოხლს. როცა მოიგებს შიშავი, ვეძახით ცხვარს, სამი წლის ცხვარს¹, მამალს ვეძახით ყოჩს.

ახალმოგებულ თხას ვეძახით თიქანს, მეორე წელიწადს — წალს. როცა მოიგებს წალი, ვეძახით თხას. სამი წლის მამალ თხას² ვეძახით ბოტს.

კამეჩის შვილს ზაქს ვეძახით, სანამღი მოიგებდეს, მოგებისას — კამეჩს. ფურკამეჩეხბსაც აბმენ უღელში.


ცხენის შვილს [ვეძახით] კვიცს, სანამღე შეიჭლომებოდეს, მერე ვეძახით ცხენ[ს]. მამალ[ს] ულაყ[ს] ვეძახით, დედალს — ჯაკს. ჯორი შვილს ვეძახით

¹ დედანშია: კრავს.

² დედანშია: თიქანს.

შუტრუკს, სანამდე მოიგებდეს, მერე ვეძახით ჯორს. მამალი ჯორი ულაუა, დედალი — ჭაკი ჯორი.

მესაქონლეობაში ხელს გვიწყობს მთა ადგილი... სახნავი მიწის უქონლობის გამო, ჩვენ საქონელს უფრო თევით ვკვებავთ და არა ბზით, საჭიროებაში —



სურ. 11. მსხვილფეხა საქონლის სადგომი — გომი შვენაბაღას საზაფხულო საძოვრებზე.

კოპტონითაც, მთელი ზამთრის განმავლობაში. ზაფხულში კი მინდვრათ იკვებებიან. ცხენს ზამთარში ბზესთან არეული ქერიოთაც ვკვებავთ.

ზამთარში ექვს თვეს სახლში ხელით ვკვებამთ საქონელს, დღე-ღამეში ორჯერ; დილაადრიან და საღამოს, ნავახშმევს უყრით თივა-ბზეს. წყალს ერთხელ ვასმევთ. ზაფხულში საქონელი უფრო მაღალ და ფოთლიან ბალახს ეტანება, თხა-ცხვარი — უფრო დაბალ ბალახებს. თხა ბუჩქებსაც კორტნის.

ჩვენი ქალები ცხვრის მატყლს სამ-ოთხ ხარისხით დაპყოფენ გაჩეჩვის დროს: გრძელბეწვიანს, საშვალოს, მოკლებეწვიანს და მსხვილბეწვიანს. გრძელბეწვიანიდან ქსოვდენ ხალიჩებს, შალებს, ჭეჭიმებს, ფიჩეებს; საშვალოდან — წინდა-პაიკს, ხურჩინებს, ტილოებს; მოკლებეწვიანიდან — ფარდაგებს და საშინაო წინდა-პაიკს. სხვილბეწვიანიდან — ხურჩინებს, საფქვილე ტომრებს.

გაპარსავდენ, კანძებათ მატყლს აართვამდენ ცხვარს, გარეცხავდენ და ჩეჩავდენ საჩეჩლებზე. დაართავდენ, დაძახავდენ, დახვეწავდენ და საჭიროებაში ღებავდენ სხვადასხვაფერათ. თხის ბალანიდან ქეჩებს თელავენ და ცხენების თორბასა, ფალღუმსა, ხურჩინსა ქსოვენ და ბაწრებს გრებენ.

წმელა და რძის ნაწარმი

მთხრ. ლავრენტი იოსების ძე ზედგინიძე, 77 წ. (სოფ. ბალანთა).

ძროხასა და ცხვარს წველენ კასრებში. ნაწველ რძეს გაწურვენ; ძროხის რძეს გობებზე დაასხავენ და დაფილავენ ერბოსათვის. ცხვრის რძეს კი საყველედ ჩაასხავენ დიდ ქვაბში, შესუგამენ ცეცხლზე, შეათობენ და მისცემენ ყველის დედას. მოურევენ ციცხვით და გააცხელებენ. როცა შედედდება, ჩაას-

ხაძენ ხეშშებში, ტილოს ტომრებში, თავს მოუვგრებენ მაგრად და მოგრეხილი პირით დასდებენ საყველღზე — ფართე ფიცარზე წინ ტუჩით, გობსავით ცოტა ამოჭრილი აქვს, სამ მაღალ ფეხზეა [შემდგარი]. ზეიდან მოკლე ფიცარს დაადებენ და ზედ — დიდ ქეას. ხეშშიდან იწურება და შრატის საყველის ტუჩში გადის და ქვეშ მიდგმულ კასრში ჩაწყრილებს. რამდენიმე საათში შრატის დაიცილება ხეშში ჩასხმული, შედგებულ რძე და შიგ ყველი დარჩება, რომელსაც ხეშშიდან გამოიღებენ რველად, როგორც დიდ პურს, დასჭრიან, გობში დაამარილებენ. მეორე დღეს ნახვენ, რო შრატი გამოსვლია, იმ შრატში ამოკრეცვენ მარილიან ყველის ნაჭრებს და ჩააწყობენ გარეცხილ სუფთა ქოთანში შესანახად; მერე დაასხმენ მარილწყალს. ზემოდან სუფთათ გარეცხილ, მორგებულ ქეას დაადებენ ყველს, რო ძირს დაწვეს და ზეით არ ატივტივდეს.

ცხვრის ყველის ნაღენ შრატს ქებაში მოადულებენ კარგათ და ხეშში ჩაასხმენ. იმასაც საყველღზე სიმძიმით დასწურვენ, როცა წვენი სულ გავა, დარჩება ხეშში დო, რომელსაც დაამარილვენ და შექამანდებში იხმარებენ.

ძროხის დაფილულ რძეს მოხდიან პირს ორი ღლის შემდეგ, რომელსაც ფილისპირს ეძახიან. შეაგროვებენ პირს ცალკე კასრში და რავდენიმე ღლის პირს ჩაასხებენ ვარ[ი] აში და ჩამოჭიდებენ მაღლა მარანის ჭერში თოკებით, რომელსაც წვერები ვარის აქეთ-იქით თავები აქვს დაბმული. ორი ქალი აქეთ-იქიდან ხელის კვრით აქანებს მძლავრათ ვარ[ი]ას და შიგ ჩასხმული რძისპირი ინჯღრევა და რაოდენიმე საათს შემდეგ უკვე კარაქს ამოიღებენ და დარჩეხილ შრატს ჩუშათ ხმარობენ, როდესაც მოადულებენ და გასწურვენ. კარაქს მაწვნიდანაც აკეთებენ. რავდენიმე ღლის ნაწველ რძეს მაწვნად შეაყენებენ და ინახავენ კასრში. როცა შეგროვდება, ჩაასხავენ ვარ[ი]აში და დღვებენ როგორც ზევით ვთქვით. კარაქს რო ამოიღებენ, დოს ხაჭოთ მოადულებენ. ეს ხაჭო-დოა.

ძროხის დაფილულ რძისპირიდან კეთდება კარაქი. დარჩეხილ რძიდან კი — ჩეჩილი ყველი, რომელსაც ასე აკეთებენ: შეათბობენ ქვებით ცეცხლზე და ყველის დღდოს მისცემენ; როცა შეცხელდება, ცოცხვით მოსწვევენ პირს თანდათანობით ერთ გვერდზე და, რო შეგროვდება ერთ გვერდზე, ამოიღებენ ყველს და ხელით ზილავენ, გასწვევენ აქეთ-იქით, მერე ერთად მოუყრიან თავს, დააყრიან მარილს და იქნება ძროხის ჩეჩილი ყველი.

ასე ცხვრის რძიდან ყველი კეთდება და მოადულებულ შრატიდან — ჩუშა. ძროხის დაფილულ რძიდან კეთდება კარაქი, დარჩეხილი დოუუუნიდან (ასე ეძახიან კარაქის ნაღვებ შრატს) აღულებენ ჩუშას, რომელსაც ნაღულს ხეშში გასწურავენ. მაწვნიდან იღვებება კარაქი ვარ[ი]აში. დარჩეხილ რძეს აღულებენ, გასწურავენ ხეშში ყველისავით საყველღზე და ჰქვია სქელი დო. დოუუუნი, რომელიც ზევით ვთქვით, შეიძლება ისე ხმარება, რო არც სოველულოთ, რომელსაც ეძახიან თხელ დოს.

საქონლის დაცვლა

მთხრ. გიორგი მურჯიანელი, 81 წ. (სოფ. ბარალეთი).

საქონელს რო დავკლავთ, ჭერ თავს მოვკრით, მერე გავატყავებთ, შემდეგ მუცილს გამოვწვლავთ, ამოვიღებთ შიგნულს, ქონს, გადავარჩევთ ცალკე ფაშებს, წილებს, ჯიგარს, თიკამელს; შემდეგ ასო-ასოთ ავკრით: ჭერ ავაკრით მხრებს, მერე უკანა ბარკლებს, წიბოებს, მერე გადავკრი წელიდან. ხერხემალის ძვლი. იმასაც კისერს მოვკრით და დავკიდებთ ჭერზე.

მანვე გვიხარა, ჩვენი ბუმბერაზი შოა აბულისა შოელ მესხეთ-ჩავახეთს გადასცემის და თანატოლთ უყურებს პირდაპირ დასავლეთით აქარის მთას. აბულის მთის გვერდით არის გოდორა შოა, გოდორა მთის გვერდით — სარეკი შოა, სარეკი მთის იქით — შავაბადა და თავკეთა მთები. ამ მთების მაღალი კალთები დაბურული ტყით შემოსილი ყოფილა. შარა პასკევიჩმა, როდესაც არზრუმიდან გადმოსახლა სომხებში, იმათ გაჩეხეს და გაატარეს ტყეები, როდესაც სახლები აიშენესო. კარგათ მახსოვს აბულის კალთების ტყეში ბევრი ნაღირი ბუღობდა — გარეული ღორი, დათვი, ირემი, შველი და სხვა.

მთხრ. დემეტრე გიორგაძე, 66 წ. (სოფ. სარო).

ძველადანვე ვიცით შემოდგომაზე საქონლის დაკვლა. ცხვარს და ბატებსაც ვკვავდით. ცხვარს ზოგს ვატყავებდით, ზოგს გულათ ხდიდნენ. ცხვარის ხორცს მეტწილად ვაყაურმებდით დუმიანათ. თუ სუქანი იქნებოდა ცხვარი, ყაურმიდან სხვა ქურქელში გადმოვსწურავდით ქონს. ყაურმას ვინახავდით კასრებში და ქოთნებში.

საქონელს ვკლავდით პრეტყელპირიანი დანებით. ერთიან ვატყავებდით და მერე ასო-ასო ამოვჭირდით ხორცს: ამოვიღებდით მხრებს, ბაყვებს, სუკს, დოშს, წიბოს და საკაჭკაძე (კუდლუსუნის ძვალი) წიბოს. სუქანი თუ იქნებოდა, ყაურმას ვაკეთებდით, თუ ქლე, ვახშობდით და კორკოტის შექამანდებში ჩაყარდით და ისე ვხმარობდით.

ხორციდან აბოხტებს ვიღებდით გასახშობათ. რბილებიდან ძებვებს ვაკეთებდით. ქონს საქმელად ვაღწობდით, სუქან ადგილებს ყაურმათ ვხრაკავდით. ფაშვს და წელებს კარგად ვრეცხავდით და ხაშთ ვაკეთებდით, ფეხებსაც თან. საძებვე ხორცს ვნაყავდით ხელეჩოთი და გრძელტარაიანი დანით. დავაყარდით და შევანელებდით მარილით, ხახვით, ბაბარით (სანელებლით).

საქონლის ტყავს საქალამნედ ვიყენებდით.

ცხენის, ვირის და ჯორის მომშენებლობა

ჩაწერილია სოფ. ვარევიანში³.

ჩავახეთში ცხენს ძალიან ცოტას აშენებენ, ვირს კი უფრო ბევრს აშენებენ, მეტადრე ხეობების სოფლები, სადაც კლდე-ღრეები და გზები არა აქვთ ურმის მისადგომით და ვირებს ინახავენ, რომელსაც აქ ჯორს ეძახიან, ჯორს კი ცხენჯორს ეძახიან.

ცხენი თუ გაციებულია ჩაზამთრებაზე, უგრახელით კვებავენ იანვრამდე. თუ ახორი თბილი აქვს, იანვრის დამდეგიდან ქერით კვებავენ.

ჰკვი ცხენის დასამაკებლად ეძებენ ულაყს წყნარს და კარგ მოსიარულეს. ახალდაბადებულ კვიცს დედის ძუძუზე არ მიუშვებენ, სანამღი ხელით არ გაძოსწველებს, რადგან აწყენსო. თორბას ამოსდებენ კვიცს, რო ძუძუ არ გამოსწოვოს, პატრონი თვითონ გამოსწველის დედას ძუძუს, კვიცს თორბას ახსნის და ისე აწოვებს. ერთი კვირის შემდეგ კი სულ ხსნიან თორბას, ვირის მუტრუქსაც ასე თორბავენ, როცა ახალად მოიგებს. ჯორს აქვთ არავინ ამრავლებს, თუ არ შემთხვევით, ცხენზე ვირის გასვლით ჩნდებიან, თითო ოროლა...

კვიცის გახედნა. კვიცს მესამე წელიწადს ხედნიან შესაჯდომათ ასე: ყელში თოკს წაუჭერენ, სულს შეუხუთავენ და კვიცი დაეგდება ძირს. როცა შეუხ-

³ შემკრებს მთხრობელი მითითებული არა ჰყავს.

სნიან თოკს, დარეტიანებული კვიცი ადგება, მაშინ შესვამენ ბავშვებს და ასე ხედნიან.

ტიტველა ცხენს აფარებენ საოფლე ნაბადს, ზევიდგან გადაახურავენ თაქალთოს და უნაგირს დაადგამენ, გადაუჭერენ მოსართავს, ზევიდან ბალიშს დაადებენ და გადაუჭერენ მოსართავს. უნაგირს უკან სამუე თასმები აქვს; ქორწილში პატარძლის შესაჯდომ ცხენს ბალიშის ქვეშ გადააფარებენ ხელით ნაქსოვ ყაჩარს⁴ და ზევიდგან გარშემო მოქარგულ წითელ მაუღს (ბორღოს ეძახნიან).

სატვირთო ცხენს კურტანს ადგმენ თავისი ფაღღუმით და მოსართავით, ყელზე ავშარით.

⁴ იგულისხმება ყაჩარი.

ზეგო ივერეთი

ზოგიერთი ცნობა მისაქონლეობის შესახებ

მთხრ. დიმიტრი ჰარელიძე, 50 წ. (სოფ. ცხრუკვეთი).

ჩვენში კამბეჩი იშვიათად თუ ყავს ვინმეს, იმიტომ რომ ხრიოკი ადგილე-ბია და კარგად ვერ გვივლის. ჩვენ სოფელში რაც უნდა მდიდარი ყოფილიყო გლეხი, ორ უღელ ხარზე მეტი არ მახსოვს, რო ყოლოდა. ძროხა გვეყავდა ორი-სამი. ძოვებით აქვე ვაძოვებთ ხოლმე — ჩვენ ეზო-ყანაში, ყანის პირებში, აქვე ტყის პირას ან მთაში.

საქონელს ჩვენში კიდევ ჩომახ უძახიან. ექვსს თვემდის ხბო ქვია, ან კოტი-ნახ ვუძახით; მერე, დედალს — დეკიულო; რო დამაყდება — ძროხა; მამალს — მოზვერი, ან კურო, სანამ დეიკოდებოდეს. რო დავეკოდავთ, მასუკან ხარი იქნება. ძროხის ძუძუებს და ცურს ერთათ ქვია ჭიქანი; ცური რბილი ნაწილია, შიგნით რო არი, ძუძუებს ზევით. [ძროხა] ორი-სამი წლის მაყდება ხოლმე.

ხაქონლის დავლა. საქონელს რო დავეკლავთ, მოვჭრით თავს, გავფატრავთ შუაზე, გადავამრობთ ტყავს დანით. ბეჭს ცალკე ევილებთ, ბარკალს — ცალკე, შუაქვალს — ცალკე, სათფილოს — ცალკე (სათფილოს ჰაჭებს ვუძახით, მღვდელს მივართმევდით ხოლმე), ფიჟებს, გვერდის წყნელებს — სუ ცალ-ცალკე.

ტყავს შევახვევთ და სამ დღეს დავდებთ; მერე გავშლით ეზოში, დავთლით სარებს, გადავკიპავთ ზედ ტყავს და ვახმობთ შუაზე; მერე ვინახავთ ზესხვენში. ქალამნათ როცა გვინდოდა, ცივი ნაცრით და ჩოტით გადავქეჟავდით და გავაცლიდით ბალანს.

ღორის მოშენება ყოველთვის ბლომათ ვიცოდით. ექვსს თვემდის — გოჭი ქვია; მერე, წლამდის — ბურჯაკი; მერე — ღორი. ფელიკებს ვუძახით ფერდებს მთლიანათ, კისრიან-ხერხემლიანა რომ ევილებთ, იმას ქვია თავ-ყულ-აფშარა, რაც დარჩება, ისაა ფელიკები.

წველა და რძის ნაწარმი

მთხრ. ლიზა ბიწაძე, 50 წ. (სოფ. ცხრუკვეთი).

ყველის ამოყვანა. წველა ვიცით ქოთანში. რძეს გავწურავთ, დოუბნევთ ხაკიდელს¹, მოურევთ ჭოხით, მერე მივადგამთ ცეცხლთან, შევათბობთ და ამოღიყვანთ ყველს: რო გასქელდება, ჩავეყოფთ ხელს, მოვაგროვებთ, დავზელთ

¹ საიდელოს დაბნევის ეძახიან მაქიის წველის ჩასხმას და ჭოხით შორევას.

და ამოვიყვანთ. მერე დავდებთ საინზე და დავაყრით მარილს. წაჭისაგან² გავაკეთებთ ხაჭოს — ნელ ცეცხლზე ვადუღებ და ვაკეთდებამ.

ამოყვანილ ყველს ჩავალბობთ ღერგში და დავასხამთ წათხს³. კაი გემო და სუნია რომ მიეცეს, ღერგში ჩავდებთ პიტნას და ტალხუნას, თავზე დავადებთ. თუ გვინდა, რომ ნაჩვრეტები გაუკეთდეს, ამოყვანილ ყველს უმარილოთ დავტოვებთ ერთ ღამეს, მეორე დღეს დავაყრით მარილს და გამოვა ნაჩვრეტებიანი.

მაჭიკს ასე ვაკეთებთ: ღორის კუჭს ვავადრობთ შიგნით ტყავს, ჩავდებთ ქოთანში, დავასხამთ ძმარს, მარილს; იქნება ერთ კვირეს. ამოვიღებთ, კიდევ ჩავაყრით მარილს და გავახშობთ, მერე, საკიდელის მისაღებათ, დავასხამთ მაჭიკს წყალს, მივცემთ ცოტა შაბს, დავდგამთ ერთ ღამეს და ვხმარობთ მერე — ორ-სამ კვირეს; რამდენსაც მოვაკლებთ, ჩავასხამთ წაქს და ჩოუმატებთ შაბს.

მთხრ. ხალომე შალამბერიძე, 70 წ. (სოფ. ცხრაწყარო).

ღორის ფაწზე ვადავადრობთ მაჭიკს, ჩავდებთ წინლათ ძმარში და შაბში; იქნება ერთ კვირას. მერე ამოვიღებთ მაჭიკს და გავავსებთ მარილით, მერე მოვკეცავთ, გოუყრით ჯონს და ჩამოვკვიდებთ ჰვარტლიან სახლში. ხმარება რომ გვინდა, გვრეცხავთ და ჩავდებთ ქოთანში ან კვანში⁴, მერე დავასხამთ ცოტა წყალს. ღამე რომ გავაკეთებთ, დილით ვადმოვწურავთ წყალს და ჩოურეთ რძეში. ამ წყალს ქვია ხამკვეთლო. მერე ამოვიყვანთ ყველს. ყველის მონარჩენ წყალს ქვია წაქი. მერე სამკვეთლოთ ვხმარობთ წაქს. თუ მაჭიკი აღარ იმუშავენს, ჩავუმატებთ შაბს და მარილს. ყველს რო დავამარილებთ და წვენს რო შეიყენებს, იმას ქვია წათხი. ეს უფრო მარილიანია წაქზე, ამაგრებს ყველს. ნადუღის⁵ ვაკეთება როცა გვინდა, წაქს მივადგამთ ცეცხლზე, ვადმოვადუღებთ ნელნელა თავდახურულ ქოთანში და ჩადგება ყველივით. ყველის ვაკეთება შეიძლება თავმორთმეული რძისაგანაც, მაგრამ გემოც ნაკლები აქ და სიმსუქნეც. კაი რძე რო გამოუვიდეს, ძროხისთვის ჯობია ახალგაზრდა, ღორთქი ბალახი.

მთხრ. თეკლე საღვებელაშვილი, 50 წ. (სოფ. ქალა).

ყველს ვიყვანთ ღორის მაჭიკით (მაჭიკს დავმწნით ხოლმე ძმარში). წველის მერე რძეს მივცემთ საკიდელს და ამოვიყვანთ ყველს. შევინახავთ წათხში. შრატს⁶ ჩავადუღებთ, ნამკეხები⁷ ვაკეთდებამ და გამოვა ხაჭო.

მთხრ. ტერეზია ბიწაძე, 81 წ. (სოფ. ცხრუკეთი).

მაჭიკს რო მოუწყობთ, ვამოვრეცხავთ ქოთანს და ჩავდებთ მაჭიკს შიდ, ჩავაყრით ცოტა ხვირიფ მარილს. მოვწველათ ძროხას, ვაგწურავთ რძეს ქოთანში, ჩავასხამთ საკიდელს — სამი შტოლის კოვზს, შედგება რძე; მერე მი-

2 სითხე, რომელიც დარჩება ყველის ამოყვანის შემდეგ.

3 მარილწყალი, ვადადუღებულ.

4 სარწყული კვანის კურტელი, ქოთნის მსგავსი.

5 ხაჭო.

6 წაქი.

7 შეიკრება, დაუნდავდება.

ვადგამთ ცეცხლზე ქოთანს, შედგება რძე. ოურევთ ხელს, მოვაგროვებთ და ამოვიყვანთ ყველს, ამოვლებთ და საინზე მოვაყრით მარილს, მერე შევინახავთ დერგში.

ქოთანში რო დარჩება შრატის, იმას მოვადულებთ და დავალევივინებთ ხბოს. რო ჩარჩება ყველივით ხაჭო, იმას ქე ვქვამთ. ყველს რო მარილს მოაყრი და გამოიღებს წვეწს, იმა ქვია წათხი. წათხს ჩაასხამ დერგში და აგროვებ შიდ ყველს. ყველს რო ამოვიყვანთ, მოვართმევთ შრატსა აპეს და იმა ქვია მაწვწის დედა. მერე მოვადულებთ რძეს, შევანელებთ ისე, რომ ნეკზე აღარ გვიკბინოს. ჩავასხამთ იმ დედას [ქოთანში], მოურევთ კოვზს, დავდგამთ თბილათ და კეთდება მაწონი.

საკიდელს ასე ვაკეთებთ: ღორის მაჭიკს გაკუჭავ, გარეცხავ, ჩამწნი ქოთანში — ძმარში. ორ კვირას უნდა იყოს ჩამწნილი. მაჭიკს მერე ამოიღებ და გაახმობ. რაც დარჩება წვეწი, იმას იხმარ საკიდელათ თითო „შტოლის“ კოვზს. შრატში რო საკიდელს ჩაასხამ, იმას იხმარ მერე საკიდელათ სამ „შტოლის“ კოვზს.

მთხრ. ლიზა ბიწაძე, 50 წ. (სოფ. ცხრუკვეთი).

კარაქის კეთება. მოვწველი რძეს, გავწურავ და გავაჩერებ ერთ ღამეს. მეორე დღეს მოვართმევ თავს და ჩავასხამ ბოთლში. ასე ვაგროვებ ოთხ-ხუთ დღეს; მერე ბოთლს ვაჭანჯლალებ, ვდღვევავ და ჩაწვება შიდ. მერე ერთს დავანძრევ მაგრა ბოთლს და გამოვა გარეთ. ჩაეზილავ ციე წყალში და გამოვა კარაქი.

ქვემო იმპრატი

მემროხეობა

მთხრ. აქვსენტი როსტომის ძე ნატრიაშვილი, 78 წ. (სოფ. ხანი, ბაღდადის რაიონი).

მე შესაქონლე მწვემში ვიყავი, ხარისა, ძროხისა, ღორისაც. ჩვენ უმაღლესი სახელის მქონე საქონელი გვყავდა და აჭარულიც. ესენი ორივე ერთია. ეს საქონლის ჯიში ურქო იყო, მომსხო... გრძელბაღნიანი იყო, მართლაც დიდი ბალანი ჰქონდა... ყურში. კულის ქენჯლს ხანდახან კიდევაც მოეჭრიდით. ქენჯლს ძველად ბალანს უძახოდით.

პირუტყვი რომ დაიბადებოდა, დაბადებიდან ერთ წლამდე ბელწს ვეძახოდით დედალსაც და მამალსაც განურჩევლად. ბელწს აგრეთვე ჩვენ ვეძახოდით ძროხას, რომ არ ეყოლება შვილი, რომ არ იმაკებს. დაბადებიდან ორ წლამდე კი — ხმოს, ორ წლიდან გახედნამდის მოწვევრს უწოდებდით. ორი წლიდან, სანამდე დედალს ხმოს არ ეყოლება, ეწოდება უშობელი, ზოგი დეკეულსაც ეძახის, სანამ ხმოს არ მოიგებს.

ზამთრობით სუ ყველას თავთავიანთ საქონელი სახლში მიყავდათ და ახორში ან ბოსელში ამწყვრევდენ. სადაც თივას ჩაუყრით ან ჩაღას, იმ ადგილს საპირეს უწოდებთ. საპირეს მეორენაირად ზაგას ვეტყვი. საპირეს ახალციხეში და სოფელ ხანში იმ ადგილს ეტყვიან, სადაც ჰამს პირუტყვი საქმელს. ზაგას კი სამტრედიის რაიონში ეტყვიან გაფიცრულ ადგილს, იატაკს, სადაც საქონელი ისვენებს (კ. კ.). მაგრამ ახალციხელები იმ ადგილს, სადაც საქონელი დამით თუ ზამთრობით ისვენებს, ზღუებს ეტყვიან. ჩვენ (ხანში) ახორში ფიცარი არ გვაქვს დაგებული საქონლისათვის. ზამთარში საქონელს დღეში თითო კონა ჩაღას ვაჭმევდით თითო სულს. დიდებს კი ორსაც ვაჭმევდით.

ძაისის რომ დეილეოდა (ძველი სტილით. — კ. კ.) მივიდოდით მთაში და მიგვეყავდა საქონელი საძოვრებლად. მეტყვევს თითო სულ საქონელში ხუთ შაურიდან აბაზამდის ვაძლევდით გადასახადს წლიურად. საძოვრებლად მიგვეყავდა საქონელი შემდეგ ადგილებში: ურემაში, დიდი გორაზე, ჭოჭებში, ჭუ-კანში, ბოლოკოურში. იქ ვდგამდით ბინას, რომელსაც ძელურ სახლს უწოდებდით. ავაშეხებდით რვალი ხეებისაგან სახლს. ჩავაწყობდით ხეებს ერთმანეთზე, დავხურავდით სახლის სახურავს ყავრით. სახლი უფანჯრო იყო, ერთ კარს დავკიდებდით. [საქონელს] დიღას გაუშვებდით საბაღახოთ და საღამოს კი მოვიყვანდით ბინაში. თუ ვინცობა ზარალი მოგვივიდოდა რაიმე, ვაჭმევდით მიწას და ჩავადებდით შიგ, რომ კირი არ გაჩენოდა. ძველად დედალი და მამალი საქონელი ერთად გვყავდა დამბული, შემდეგ კი დააცილეს და გააცილესაც ვეს. მე ბეითლობა არ ვიცოდით.

ბალახების ჭიმუშები, რომელსაც საქონელი ჭამდა და სათივედ იჭრებოდა: სამყური — საშვალ ბალახია, თოვა — მეორე ჭიმუშის ბალახია, ისიც საშვალ ოზრდება. სამყურაზე უფრო დიდი იზრდება. ხარკიბილა ბალახი მესამე ჭიმუშია. ეს ბალახები თითონ მიწამ იცის და ერთმანეთში არის არეული, ხვართქილა ბალახი, ნეშიც, ანჩხოლაც.

ჭულბეწს ჩვენ ვეტყვით სუქან საქონელს. რემან ჩვენ ვეტყვით გაუგებარს, შუესმენელს, გამოჩურჩუტებულ ადამიანს, ასე ვეტყვით — ეს კაცი რემა არისო.

მთხრ. სანდრო სერაპიონის ძე ხაჩიპერიძე¹, 45 წ. (სოფ. ოზჩა, ბაღდადის რაიონი).

დაბადებიდან ერთ წლამდის საქონელს ღედალი იქნება ის თუ მამალი ხბოს ვეძახით. ერთი წლიდან გახედნამდე მამალ საქონელს მოწვევრს ვეძახით და რომ გაიხედნება, მერე კი — ხარს. ერთიდან სამ წლამდე უშობელს ვეძახით ღედალ საქონელს, სამი წლიდან კი ძროხას ვეძახით. წითელ საქონელს წიქარას ვეძახით. წაბლისფერ საქონელს კი — ჭორას ვეძახით. შავგულას ვეძახით შავ საქონელს. ნიშას ვეძახით ლუმ (თეთრ-ნაცრისფერ) საქონელს. უვავილას ვეძახით ჭრელ ხარს. ნოთას ვეძახით შუბლკიოფა (შუბლთეთრა) ხარს.

კამბეჩი. ერთ წლამდე როგორც ღედალ, ისე მამალ კამეჩს კოტა ეწოდება; ერთიდან სამ წლამდე [მამალს] ზაჭი ეწოდება, გახედნიდან კი კამბეჩი; [ღედალს] — ფურზაჭი; რომ დამაკდება კი ფურკამბეჩი ეწოდება.

მთხრ. ფარნაოზ ეგნატეს ძე გიორგაძე, 80 წ. (ვანი).

ჩვენ გვყავდა მეგრული ჭიშის საქონელი. საშვალო ტანის არის, წელში საშვალაო, უფრო მოგრძოა, უკანა ნაწილი კი ფართე აქვს, რქებიანია. იმერული საქონელი დაბალია და პატარა რქები იცის. ზამთრობით საქონელს ბოსელში ვაქმწვერვედით. სადაც საქონელი საჭმელს ჭამს, საპირეს უწოდებთ, მეორე-ნაირად ახორს უწოდებთ. თუ ნამუშევარი იქნებოდა საქონელი, ორ კონას ვაქმევედით და თუ მოსვენებული იქნებოდა, მაშინ — ერთ კონას. ზაფხულობით, ივანობისთვიდან საქონელი ჭოგში მიგვყავდა. იქ გავიკეთებდით საცხოვრებელ ბინად კავრებს.

საქონელი ჭამდა შემდეგ ბალახებს: ბურჩხა[ს] — ჭალაზე ჭამდა, დაბალი ადგილს ეძახიან; ჭაილეს კი ეტყვიან, როდესაც წყალი იქნება ჩამდგარი და ცოტათი შეშრება. ბურჩხა ბალახი მალალი იზრდება როგორც ღომი, თაველი უგავს პურს.

ბესერა, ბესელა — ისლისნაგვარი ბალახია. საქონელი ამგვარ ბალახს ძალიანი ეტანება.

სამყურა ბალახი — ამ ბალახსაც საქონელი ძალიანი ეტანება.

წყულფეხა ბალახი — დაბალი, გადატყაპნული ბალახია მიწაზე, ფოთლები მოგრძო აქვს.

ძლუწა ბალახი — ჩამოგავს ღომს, საქონელი ჭამს, თავს რომ მომიწევ, გამოცხრება და სმას გაუშობს ძლუნს.

¹ ასეა.

წალიკა ბალახი — მაინცდამაინც საქონელი არ ეტანება, საშუალო ბალახია.

ბურტყულა — რძიანი ბალახია, იზრდება მაღალი, ყვავილები აქვს ყვირთელი, ფურცელი — მოგრძო. საქონელი ჭამს.

ხაოიშუბლა — კვების ფოთოლს ჩამოგავს, ძირი ძირტბილას ჩამოუგავს; შეიძლება კაცმა ჭამოს მისი ძირი. მის ფოთოლს საქონელი ჭამს.

რემა — ბრეველი საქონელი რომ იქნება, იმას ვეტყვი; რემა ხალხი მოდისო, ასედაც ვიტყვით.

მთხრ. ზურაბ ნიკოს ძე კინწურეიშვილი, 85 წ. (სოფ. გორდი, ხონის რაიონი).

ხარი. ექვს თვემდე ხაო ქვიან, საქნამდე წოვას დავენებებივით. ექვსი თვიდან სამ წლამდე — მოზვერი, სამი წლიდან კი ხარი ქვიან.

ძროხა. ექვს თვემდე ხაო ქვიან, ექვსი თვიდან ორ წლამდე — ჭაკელი, ორიდან სამ წლამდე კი — უშობელი, სამი წლიდან კი ძროხა ქვიან.

მოზვერს რომ გაუშობდენ საჯიშეთ, ე იმას კურო ქვიან. როცა უშობელი არ დამაკდებოდა, ეს იმას ბერწს ვეძახოდით.

ზამთარში საქონელს სახლში ვაბავდით. სადაც საქონელს საქმელს ვაპმეცვდით, საპირეს ვეძახოდით. საქონელს რომ ფიცარს გაუყეთებთ დასაწოლად, იმ ადგილს კი ბაგას ვეძახდით. ცხენს უკან მოდგმულში ვაბავდით და, სადაც საქმელს ვაპმევედით, იმ ადგილს ჭვინახარს ვეძახდით.

მეჭოგე მხოლოდ თავის საქონელს წყესავდა, მაგრამ სხვები, რომ თავთავიდან საქონელს მოაბარებდენ ზაფხულში საწყესათ, იმას მენახირეს ეძახდენ. ზამთარში საქონელს ჩაღასა და თივას ვაპმევედით.

საკვები ბალახები: კამა ბალახი — დაბალი ბალახია, ბუძგებნიანი. ჭურე — მაღალი ბალახია. მელეზერი — მაღალი ბალახია, ჭინჭილებიანი თავი აქვს. წელამი — მაღალი ბალახია, იმასაც ჭინჭილებიანი თავი აქვს, მაგრამ მელეზერთან შედარებით წელამს ლარიანი ფოთოლი აქვს. სამყურა — დაბალი ბალახია. მაყვალი — ეკლიანი მაღალი ბალახია. შყერი — ზამთრობით ჩაღას ვახშართ, დაბალი ბუჩქებიანი ხე არის. ესენი არის საქონლის საქმელის ბალახები.

ძთაში საცხოვრებელ ბინას ჩვენ თითონ ვაკეთებდით და კარავს უწოდებდით.

საქონლის დაავადებანი და მკურნალობა. თურჭულა — ფეხში და წივში ანთება და ფეხების დაგლეჯა იცის, პირში კი მუწუტები გაუჩრდება პირში თაფლს გამოუსობთ, ფეხში კი ღორის ბაგირს. ღორის ჭაგრისაგან დაბწილთ ბაწარს და შემოვახოვდით ფოსლიკაში.

წყლისეი — როცა დაემართებოდა საქონელს, უკეთებდით მამინ ბურძგეს. ბურძგე ტყეში იზრდება დაბალ ძიგებში და ლელებში (მატარა მდინარია). მოუხარჩავდით და დავალევიანდით იმის წყალს.

წელკავი — გაუჭრილთ კულს და სისხლს გამოუშობდით, შიგ ჩავყრიდით მარილსა და შაბს.

მთხრ. ბესარიონ ივანეს ძე ხრისტობანი, 93 წ. (სოფ. სოჩხეთი, ტყარბულის რაიონი).

დაუკოდავ პურტყვს (პირტყვს) კუროს უძახით (სამტრედიის რაიონში კი დაუკოდავ ხარს ბუღას ეტყვიან — კ. კ.).

კამბეჩს — ორ წლამდე, პატარას ზაქი ეწოდება. მამალს ბულა ეწოდება, დედალს ფური ეწოდება.

მეცხვარეობა

მთხრ. სანდრო სერაპიონის ძე ხაჩიპერიძე, 45 წ. (სოფ. ოფჩა, ბაღდადის რაიონი).

ოთხ თვემდე [ცხვარს] კრავი ეწოდება; ოთხი თვიდან ერთ წლამდე (დედალ-მამალ ცხვარს) თოხლი ეწოდება, ერთი წლიდან კი ცხვარი; ერთ[ი] წლიდან (მამალს) ვერძი, [ხოლო] დედალს ნეჯვი ეწოდება.

თხა. ერთ წლამდე დედალს თიკანი ეწოდება, ერთი წლიდან ორ წლამდე — ნეჯვი თხა. ერთ წლამდე მამალ თხას ეწოდება თიკანი, ორ წლამდე კი ვაცი-თხა.

მთხრ. ზურაბ ნიკოს ძე კინწურეიშვილი, 85 წ. (სოფ. გორდი, ხონის რაიონი).

ცხვარი. მამალს ორ თვემდე კრავი ქვიან, ორ თვიდან ერთ წლამდე მეწეხელი ქვიან. ორი წლიდან კი დაუკოდავს ვერძი ქვიან, ცხვარს კი უძახით ერთი წლიდან, ორი წლიდან. დედალს ორ-სამ თვემდე კრავი ქვიან; ორი თვიდან ერთ წლამდე მეწეხელს ვეძახით, ერთი წლიდან კი თოლხი, საქნამდე კრავი ეყოლებოდა, სამი წლიდან კი ცხვარს ვეძახით. მოკლებეწევიან ცხვარს ჭოსას ვეძახით, გრძელბეწევიან ცხვარს კი გრძელბეწევიან[ს].

თხა. მამალს ორ წლამდე თიკანი ეწოდება, ორი წლიდან კი თხა ქვია. ვაცი დაკოდილ თხას ქვიან. ბოტი კი დაუკოდავ თხას ქვიან. დედალს ორ [წლამდე] თიკანი ან დარჯა ქვიან, ორი წლიდან კი თხა ეწოდება.

თხამ იცის ერთგვარი ავადმყოფობა, რომელსაც ქერჩხ უწოდებთ, სხვა-ნაირად კი მუნი ეწოდება. როცა ქერჩხი დაემართება თხას, ხშირად ბინას უტყლით, მალ-მალე ეწამლობთ ელის (ხეა) კვირკვილით (მარცვლით), ჭყვარტლით (მურით), მარილით, შაბით და თუთუნით. აფენს შეურებლით ერთმანეთში და დავჩქქვაკვით და უსობდით. მაგრამ ეს ისეთი ცუდი ავადმყოფობა არის, რომ შეიძლება ასში ერთი ვერ გადარჩეს.

მთხრ. ბესარიონ ივანეს ძე ხრისტოშანი, 93 წ. (სოფ. სოჩხეთი, ტყიბულის რაიონი).

ცხვარი — ვერძი რომ დაიწმინდება, ცხვარი ეწოდება.

თხას — სამ წლამდე ბატკი ეწოდება. დედალს დედალი თხას უწოდებთ. მამალს მამალი თხას უწოდებთ.

წველა და რძის ნაწარმი

მთხრ. აქსენტი როსტომის ძე ნატრიაშვილი, 78 წ. (სოფ. ხანი, ბაღდადის რაიონი).

ფურის წველა. როდესაც [ძროხას] რძე გამოეღეოდა წველის დროს, მივახებებლით თავს წველას, მერე ხბო გამოწველიდა. ამის შემდეგ წაუსობდით ქონს ძუძუს თავებს, რომ არ გაფუჭებოდა.

რძეს ვწველიდით კარდალაში. კარდალა პატარა ქვაბია. მემრედ გავწურავ-
დით ნარმაში. კარდალა გაწმენდილი, გამოსუფთავებული უნდა ყოფილიყო,
თორემ აიჭრებოდა.

საქონელი რომ დეიკელის. გამოვიღებთ მაჭიკს. მაჭიკი აქვს საქონელს
ფაშასთან. მაჭიკს ჯერ გავასუფთავებთ, მემრედ გავრეცხავთ, შემდეგ დავა-
შარილებთ ძლიერ, შაბით, მარილით, არაყს უხამთ, თუ გვექნა. მერე ამოვი-
ღებთ და გავახშობთ. სწორედ მაჭიკისაგან გაკეთებულ წვესს საბნიერო ქვიან.

როცა ყველი გვინდა ამოვიყვანოთ, საბნიერს ჩავასხავთ რძეში. საბნიერმა
აფთოაქის წამალს აჭობა. მერედ ხელს მოუსობთ, მოვამრგვალებთ და ამოვი-
ყვანთ. დადებთ ჯამზე და დავაშარილებთ თბილი ყველს. მარილი შეკრავს
თბილი ყველს. შერმედ გამოსანთლულ დერგში ჩაყროთ. დერგს ჩვენ კიდევ
ხალამსაც ვერყვით: დერგში ასხია წათხი. კეთდება ასე: გადმოვადღებთ მა-
რილს წყალში, ძალიან მწყუთეს და ყველს რომ შიგ ჩავადებთ, კრავს და
ამაგრებს. ყველს რომ ამოვიყვანთ. დარჩება წვენი, რომელსაც წაქს ვერ-
ყვით. მაგრამ წაქს რომ გადავადღებთ, იქედან გამოვა ხაჭო.

მთხრ. ფარნაოზ ეგნატეს ძე გიორგაძე, 60 წ. (ვანი).

ფურის წველა. ძროხა რომ უნდა მოგვეწველა, ჯერ მოვიკიდებდით წინა
ძუძუების კინთაზე ხელს და მოვწველიდით, მერე უკანა ძუძუების კინთაზე
მოვიკიდებდით ხელს და მოვწველიდით. ცოტა რომ გამოვიდოდა, მაშინ ხელს
ავარტყავდით ძუძუებზე და ისევე მოვწველიდი, ბოლოს ხბოს მიუშობდი და
გამოწველიდა. ასე, ამგვარად, მოვათავებდი წველას.

რაშიაც რძეს ვწველიდით. რძის მოსაკავებელს, თუჯიას უწოდებდით. თუ-
ჯია იგივე პატარა კარდალია. თუჯიას აქვს ხელის მოსაკიდი, რომელსაც კარ-
ბას უწოდებთ. რძეს შემდეგ ჩავყვითავდით — გაეთობდით რძეს და შიგ
კვეთს ჩავასხავდით. კვეთს ვაკეთებდით ასე: ხვადავს ამოვართმევდით ფაშს,
გავრეცხავდით, ჩავლებდით ქურქელში, დაეასხავდით წაქიას. წაქია ყველს
რომ ამოვიყვანთ, მისი წვენია (სამტრედის რაიონში წაქიას სველს ეძახიან).
ფაშას ძმარი ექნებოდა დასხმული ერთი სამ დღეს. ასე გაკეთდებოდა სამკვე-
თო. პირველად რომ ამოვიყვანთ ყველს და რბილია, იმას ჭყლინტი ყველს ვე-
რყვით, შემდეგ გავახშობთ და ხალაში ჩავდებთ.

წაქია რომ დარჩება, იმას ერთს კიდევ მოვადღებთ და გამოვა იმისაგან
ნადული. ნადულს რომ წვენი დარჩება, ჩაუსხავთ ღორს როფში და შესვავს.
მაგრამ ქათმებს რომ წყალს ჩაუსხამენ, იმას უწოდებთ როფიას ან როფიჩა-
ლას. როფია არის ამოტოხილი გულიდგან. მას პატარა ხელი აქვს მოსაკიდათ.

მთხრ. ზურაბ ნიკოს ძე კინწურაძევილი, 85 წ. (სოფ. გორღი, ხონის რაი-
ონი).

ფურის წველა. ჯერ მოვწველიდით მარცხენა ძუძუს თითებს და მერე —
მარჯვენა ძუძუს თითებს. რძეს მოვწველიდით ნიგაში. ნიგათ ვთლით ცაცხვის
რგვალფულურიოიან ხეს კვადით (პატარა ნაჯახია), წვეპარით კი ამოვთლიდით
ცაცხვის გულს, კვადით კი გარედან გავთლიდით. წვეპარით შიგნიდან ვთლი-
დით და ვასწორებდით რგალად გულს. წვეპარს თავში ვცემდით ხის პატარა
უროს, რომელსაც კეკევის უწოდებთ.

ნიგაში ჩადის ბათმანი (20 გირვანქა) რძე.

ბოკონი. პატარა ბოკონში ამოვიყვანდი ყველს და დიდი ბოკონში კი დავაწყობდი ყველსა და სულგუნს. ბოკონში რძე ორიდან ხუთ ბათმანამდი ჩავიდოდა ბოკონს ვაკეთებდით კეკვით, წყეპარით და კვილეით როგორც ნიგას, მხოლოდ ხელსა და ტუჩს არ ვაუქეთებდით, რადგან ნიგიდან წყლის გადმოსხმა იყო საჭირო, ბოკონში კი ყველის ამოყვანა.

აფშარას ვაკეთებთ ხის ღრურსაგან, რომელსაც ყველის კალაპოტს ვეძახით. აფშარას ისე ვაკეთებთ, როგორც ბოკოს და როგორც ნიგას: გაუქეთებთ ფსეკრს და ჩავაჭენთ აფშარაში ქვევით, შემდეგ გაუქეთებთ თავსახურავს.

რითაც ყველი ამოგყავს, იმას სამკვეთოს უწოდებთ. სამკვეთოს ვაკეთებთ საქონლის ფაშვისაგან, რომელსაც ნაწას უწოდებთ. ჩავაგდებდით ნაწას ქურქელში, შემდეგ ჩავასხავდით სველს, ნაწას კი წინასწარ დავაყრით მარილს. სწორედ ასე ვაკეთებულს ვხმარობდით სამკვეთოდ. სამკვეთოდ ვაახლებდით მეორე დღეს, ისე კი სამკვეთო ყოფნიდა ერთ კვირას.

სულგუნის გაკეთება. ახლად ჩაკვეთილს ქყინტი ყველს ჩავყრიდით დულარეში, მერე ამოვიღებდით და მოვხვდით ხელში, პატარ-პატარად მოვჭრიდით და კიდევ აფშარაში ჩავაწყობდით. მეორე დღეს კი ამოვიღებდით და კიდევ ახალს ჩავაწყობდით.

მთხრ. კესა დავითის ას. ქუთეთელაძე² თათვიშვილისა, 62 წ. (სოფ. პატარა გუბი, ხონის რაიონი).

ჩემო ყველის გასაშრობია. ყველს რომ ამოვიყვანთ, ჩავდებთ ჭამში და ჯამიანათ შევდებთ ჩემოში; ვაშრება, წყალი გამოვუა და ყველი დაბერდება. ზაფხულში ჩემოს ჩამოვკვილებთ გარეთ ცხენზე. პაერი უქირქილებს და გაახმობს. ყოველ დილას ჩავდებთ ყველს ჩემოში. საღამოს კი ამოვიღებთ გამხმარ ყველს და ჩავაგდებთ ხალაშში. ზამთარში ჩემოს კვილებთ საშხალი სახლში. ჩემოს ვწნით თხნელის ან ტილიფის წნელისაგან.

საქონლის დაცვლა

მთხრ. ნიკოლოზ სამსონის ძე ბოკუჩავა, 45 წ. (ქ. სამტრედია).

ახლა საქონლის დაცვლა ასია: ფეხზე რომ დგას საქონელის შპიცს (ქართულად ამის სახელი არ იცის.—კ.კ.), უკანა ძარღვშია ეს ალაგი, რქა და რქა შუა, სადაც ხერხემალის ძარღვია, გამოვკლავთ გულს, მერმედ მივყვებით და ვატყავებთ. საქონელს გულს რომ გამოუკლავთ, ავაყენებთ ზურგით და დავიწყებთ ტყავებსა ზურგიდან. ჭერ გავშლი წინა ფეხებიდან ტყავს, მერე უკანადანაც გაიშლება. ვადიშლება ტყავი და საქონელი ტინტრაკა დარჩება. მერმეთ გამოვშიგნავთ და ამოვიღებთ ქონს... მემრეთ ამოვიღებ ფაშას, მემრეთ ამოვიღებ კვეთს, ჭინჭას (ჭინჭა კვეთზეა მომბული). მერე მოვკვილებ გულ-ყიას ხელს და ერთად გამოყვება ფიფვი, ტყლიპი, გული, მაგარი, თაფლასუქი (მაგრესა და ტყლიპს შუა არის მიმბული) ყირყიტინათ. სუკი არის გვერდით რომ დაყობა ზოლათ საქონელს. დარჩება უკანა წელი. ახლა ოთხათ ვჭრით საქონელს — უკანა ნაწილი ორად და წინა ნაწილი ორად. ძველად კი შეუბორკავდით ოთხივე ფეხებს და წავაჭრიდით თავს. მერე მოუკლავდით გულს, საქონ-

² ასეა.

ხელი გაჩერდებოდა არ „მინუტს“, საქონელი სანამ არ მოკვებოდა, ტყავებ-
ბას მანამ არ დაეიწყებოდა.

იჭრებოდა საქონელი [შემდეგ ნაწილებად]: ორი ბეჭი, ორი ბარკალი, ორი
„ფილენი“, ორი მკერდი, ორი „ანტრიოტი“, ერთი ჩალაყაჭი³.

ყასაბისათვის საჭირო იარაღები: სატყავებელი დანა, დანის ბუდე, ხორცის
საჭრელი დანა, გულსაკლავი დანა⁴ (ერთი ცინდა უნდა იყოს მისი პირი), სა-
თული⁵ (ხორცის გასაჩეხი დანა), ჩანგალი (ხორცის დასაკიდებელი), ჭრიკი
(კუნძი, ხორცის საჩეხი).

მეცხენეობა⁶

მთხრ. ტარასი სოლომონის ძე კახიანი, 55 წ. (სოფ. პატარა ეწერი, სა-
მტრედის რაიონი).

ჩვენში საჯიშე ცხენებათ ითვლებოდა ძველად ჩერქეზული ცხენი — ტა-
ნად მაღალი, კუდწვრილა, საერთოდ, თავი მსხვილი აქვს და ყურები პატარა,
სიარული იცის მოკლე, ლაფშური, მიდის ცოტა ჩქარად და ლამაზად. ჩერქე-
ზული ცხენი ფერად აღათა წითელია; აღათა წითელი არ არის, მაგრამ მუქი
წითელია.

უბარდოული ცხენი — მოკრო ფერის არის, საშუალო, ნაცრისფერი.
კუდი და ძუა სქელი აქვს ძალიან, ფლოქები ან ჩლიქები ფართე აქვს, წვეარი-
ვით მუცელი აქვს, მხოლოდ კერდი და გავა საშუალოზე, პირდაპირ ვაჟკაცუ-
რია. თავი და ყურები ჩერქეზულთან შედარებით უფრო მოდილო აქვს.

წერეთლის ჯოგის ცხენი — დღესაც ვამბობთ, რომ ეს ცხენი (როდესაც
კარგია) წერეთლის მზგავსი ბუშიაო. ის იყო რაღაც მოყვითალო ცხენი ფერად,
ზურგზე ნახევარი ვერშოკისხელა წურბელი გადაყობოდა. ლაფშურად მოსი-
არულე და მოთამაშე ცხენი[ა], ტანად საშუალოზე მეტი[ა], გავა და მკერდი
შედარებით საშუალოზე მეტი და ლამაზი [აქვს]. წერეთლის ცხენის ჭიში არსე-
ბობდა.

მეგრული ჯიშის ცხენი — ტანად პატარა და სქელი[ა]. ამაში შეიძლება
იგულისხმოდეს ლაფშური სიარული და თოხარიკული, იორდული; ამ ორში აუ-
ცილებელიც ერთ-ერთი ახასიათებს.

ცხენს ორ წლამდე — კვიცს უწოდებთ. ორი წლიდან მამალ ცხენს ულავს
უწოდებთ. დაბადებიდან ორ წლამდე თუ დაკოდილია, ლაფშას უწოდებთ.
ორიდან სამ წლამდე ფაშატ კვიცს უწოდებთ. სამი წლიდან კი ლაფშა ცხენს.
უროს კი ვეტყვით უხენარა ცხენს.

იორღა ხეარული — ჩქარი მავალია მაღალი თოხარიკი — შედარებით
იორღაზე ნაკლები სიარული აქვს, უფრო მოცილილია, უფრო ნელია. დაბა-
ლი ლაფშური — ძუნძულაზედ უფრო ნაკლები, ცოტას ჩეითოხარიკებს, მაგ-
რამ მაღალ ლაფშურს და თოხარიკს კი ვერ წამოეწევა; აქვს ნაბიჯით ჩქარი
სიარული. ძუნძული — ხტუნის სელაა.

ცხენის წვრთნის ხელოვნებას ხუროობას, ანუ მხედრობას უწოდებთ. თი-
თონ წვრთნელს კი მხედარს.

³ ასეა.

⁴ ასეა.

⁵ დედანშია: „სართული“.

⁶ დედანშია: „ცხენისნობა“.

როდესაც ცხენს კვიცი ეყოლება, კვიცი დაყობა დედას და ჩვენ მას ხელს არ მოკვირდებთ მესამე წლამდის. სამი წლის რომ შეიქნებოდა, დავიპყრდით კვიცს და გავხედნიდით, დავადგამდით უნაგირს. ექვსი თვის შემდეგ, როდესაც უნაგირით დაიწყებდა კარგით სიარულს, ჩვენ მას მათრახს არ შემოვკრავდით. შემდეგ ამ გახედნისა, ჩვენ მას გაულახავდით ტუჩს, ისე გავლახავდით, რომ ჩარბები თითქმის ლაგამით ჩაეხევიდა. ჩარბს ჩვენ უწოდებთ ცხენის ტუჩის ბოლო ნაწილს, სადაც ლაგამი ედება, ის სწორედ თითქმის ჩაეხეოდა⁷. ვალახვას კვიცებით, ტუჩებს რომ თითქმის მათრახის ტარით დაუჩინებდით. შემდეგ კვიცს გაუწობდით და მივცემდით თავისუფლებას, უნაგირს არ დავადგამდით და სულ თავისუფლად იყო ექვსი თვის განმავლობაში ან ერთი წლის განმავლობაში. სანამ ტუჩები და წარბები არ მოურჩებოდა. შემდეგ დავიპყრავდით და დაუწყებდით ხედნას, როგორც თავისუფალ თავარ ცხენს. მასთან შეიძლებოდა თამაშის სწავლება, გაქიანება, გადახტომა და ცხენის ჭიდაობა. თამაშის სწავლება ცხენისა — მოუქნევ ცხენს მათრახს და გავაქენებ, მაგრამ ხუთი საუენში უნდა შეჩერდეს და მობრუნდეს, ხელახლა აქეთ გამოქნედეს. ამას ვაწავლიდით ხედნის შემდეგ, როდესაც მეოთხე წელიწადში იყო ცხენი. თამაშს შევასწავლიდით ცხენს ექვსი თვის განმავლობაში.

გაქენებას პირველად ვასწავლიდი, როცა ხედნას დაუწყებდა: შემოვკრავდი მათრახს და გაქენდებოდა რამდენიც გინდოდა, მერე შემოვბარუნებდი და კიდე გამოვაქენებდი. დაწოლას ვასწავლიდით დაახლოებით მეოთხე, მეხუთე წლიდან. დაწოლისათვის წინა ფეხებს მოკვიდებდით ხელს და მოუღუნავდით და წაიჭეოდა. ამას რამდენჯერმე განუმეორებდით. ამას იმ ზომამდე შეითვისებდა, რომ მერმედ მკერდზე⁸ შემოვკრავდით მათრახს, ის მაშინვე დაწობოდა. ასეთი წვრთნა ჭირდებოდა ექვსი თვის განმავლობაში. თუ გინდა, რომ გადმოსტე და ცხენმა ვაგყვეს, ამ შემთხვევაში უნდა გყავდეს ცხენი შაქარზედ მიჩვეული. ჭერ სახლში რამოდენიმეჯერ ვაქმევდი შაქარს, შემდეგ დაუღებოდ წინ და ვაჩვენებდი შაქარს, ცხენი, როგორც შეხედავდა რომ ხელში რაღაც მიპირავს, მაშინვე მოვიდოდა და შემდეგ, როცა საღმე ვიქნებოდი და მიხლოდა, რომ ცხენი თითონ, მარტო წამოსულიყო, გადავადობდი კისრის ფაფარზედ აღვირს, მე წავიდოდი წინ და ცხენი უკან გამომყვებოდა. ამას ხედნის შემდეგ ვწერთნიდით.

გადახტომა ცხენის — გაუკეთებდით პატარა თხრილს და გადავანტუნებდით ცხენს. მერე დიდი თხრილს გაუკეთებდით, გადავანტუნებდით და უმატებდით თანდათან. ცხენი უნდა გადმომხტარიყო ოთხი არშინზე მაინც.

ჭიდაობა ცხენის — ჭერ შევკონავდით სამ კონა ჩალას, მერე გამოვაქენებდით ცხენს და დავატაკებდით შეკონილ ჩალას, ჩალას ვადალახავდა, გათამამდებოდა და გული მიეცემოდა ცხენს. ამას განუმეორებდით რამოდენიმეჯერ. შემდეგში დავაქიდავებდით სუსტ ცხენს, რომ ეს სუსტი ცხენი გაელახა, ემჭობინებია და გათამამებულიყო. ამის შემდეგ დავაწყებინებდით ჭიდაობას შეჭდომის დროს და ფალავნობას ცხენისას. ჭიდაობის დროს, როგორც ადამიანს, ისე მოუა ცხენს გული, თუ გული მაგარი გამოყვებოდა.

ოჩანი ცხენი — ცუდი ცხენია, გაჩერდება და თუ გინდა მოკალი, არ წავადეწის მტრ მას არ შეელის რა. მაგრამ თუ მოწყდა, შურღულივით გაქანდება. ღებს საერთოდ ჭოროზედ ხმარობენ, მაგრამ ღებს ოჩანი ცხენზედ ხმარობდენ

7 დედანშია: „ჩაეხეობოდა“.

8 დედანშია: „პერძზე“.

ძველები- დებს მამვინ ხმარობენ. როცა ცხენს შეუძლიან წასვლა და არ შერება. ცხენს როცა ხედნი და ოფლიანია, როცა ჩამოხტები, ის უნდა არონინო ერთი საათი, უნაგირს არ ჩამოხსნით. მაგრამ მოსართავებს მოუხსნით.

ცხენის ავადმყოფობანი. უა — ყელის ტკივილი: გაუსივდება ჭირყვლები. დაეყრილით შავ შაქრის სქელ ქალაღზე გოგირდს და მოუკიდებლით ცეცხლს, ცხენს ნაბადს გადაეფარებლით თავზე, უხრჩოლებლით ბოლს. ბოლვის დროს ცხენი დაანთხევდა, დააცინკვევდა და გასქდებოდა და უფრო ხშირად მორჩებოდა. ძალიან ნაჭიანებზედ იყო შემთხვევა, რომ წყალს დაალევიანებდნენ ცხენს და დაიწყებდა ქვლვას, გულის ძვერა აუარდებოდა. ამის საშუალებად იყო, ცოცხალ ღორჯოს გადაეყლაპინებლით ცხენს და მორჩებოდა. თუ არ არის დაწმენდილი მამალი ცხენი, მაშინ იცის ტრაბახის გაჩენა — ცის თავში მოგროვდება სისხლი, კბილებს გადმოეფარება შიგნიდან და უშლის ბალახობას. ამის გაწმენდა შეიძლება — ცა უნდა გამოჭრა კბილებთან დანით, დანას გამოუსობ და გამოდენი. მოუსობ მარილს, ცხენი დაიწყებს ტლიკვას და მორჩება.

ძოვარი — უჩდება ცხენს კუღზე, დაახლოებით კუღის ძირიდან ორი ვერშოკის დაბლა. კუღის მარჯვენა და მარცხენა მხარეს, სადაც ტიტველაა კუღი, უნდა გაუჭრა, სადაც ტიტველია, რომ გაიჭრება კუღი, იქ მოინახება ძარღვი, რომელიც კუღს აფხანებს ცხენს. გაჭრობთან უნდა ჩაუსო ხის სადგისი და მონახო ძარღვი. ძარღვი მიყვება სივრძეზე. შემდეგ გაუკეთდება ხის ჩანგალი, სადგისის ამონახოვზე ახოვ, ახოვ ხის ჩანგალზე, სანამდე არ გაწყდება იგი. ხის ჩანგალი ორთითა არის. მეორე კედრითაც უნდა კუღს ამორთმევა ძარღვის ამავე წესით. მაგრამ თუ მეორე კედრით დაგრჩა ამოსალები, მაშინ ცხენს კუღს მოუქცევს იმდენ საშუალებას იხმარს.

სახმობო — ცხენი როდესაც ძოვს, ტუჩებში მას, ცხვირის ნოშტებში უჩნდება სახმობი ხიტკი. სახმობის სივრძე ნახევარი ვერშოკიდან ერთ ვერშოკამდის იქნება. სახმობი ხიტკი ორივე კედრით უჩნდება ცხენს, რომელიც ხელს უშლის ბალახობას და ვერ გასუქდება. ამისათვის ავილებით და ცხენს გაუჭრით ცხვირის ნეშტს, მოენახავთ სადგისით ხინტკის და ამოვჭრით. ამოჭრის დროს გაგვექცევა ხინტკი, მაგრამ კილო მოვძებნით და ასე თლად ამოვჭრით ძირფესვიანად რაც არის ნეშტის შიგნით, ორივე კედრით.

მთხრ. სანდრო ხერაპიონის ძე ხაჩიბერიძე, 45 წ. (სოფ. ოფჩა, ბაღდადის რაიონი).

ერთ წლამდე — კვაცი ეწოდება, ერთი წლიდან (მამალ) დაუკოდავს ულავი ეწოდება ან ვავა. სამი წლიდან კი — ლაფშა. ერთი წლიდან (დელდალს) ფაშატი ეწოდება, ან ფაშატი კვიცები.

თოხარიკი — გამბული სიარული რომ ექნება, ძან ჩქარა რომ მიდის. ლაფშური სიარული — ნაბიჯით სიარულს ვეძახით. გამფრინავ ცხენს — გამქცევ ცხენს ვეძახით, საჭირითოდ რომ გამოგვეყავს.

მთხრ. ზურაბ ნიკოს ძე კინწურიეშვილი, 85 წ. (სოფ. გორდი, ხონის რაიონი).

ცხენი. მამალს ორ წლამდე კვიცი ქვიან. ორი წლიდან საქნამდი არ დაიკოდება — ულავი. სამი წლიდან ლაფშას ვეძახით. დელდალს სამ წლამდი ფაშატი ქვიან, საქნამდი არ იხედნება. სამი წლიდან, თუ ვხედნით ცხენს, მაშინ ჰაკს

ვეძახით. მაგრამ თუ ვხედნიდით, მაშინ ურას ვეძახოდით. კარგი მოსიარულეს თოხარიკი ეწოდება, მაგრამ ნაბიჯით მოსიარულეს ლაფშა ეწოდება.

ვირი. მამალს ორ წლამდე კოკორი ეწოდება. ორი წლიდან კი, რომ გავხედნიტ, ვირი ეწოდება. დედალს ორ წლამდე ჩოჩორი ქვიან. ორი წლიდან, რომ გავხედნიტ, ვირი ეწოდება.

მთხრ. ბესარიონ ივანეს ძე ხრისტობანი, 93 წ. (სოფ. სოჩხეთი, ტყიბულის რაიონი).

ცხენი. მამალ ცხენს ლაფშას ვეძახით, დედალს ჰაკს ვეძახით, დაუწმენდავს (დაუკოდავს) კი ვაყას ვეძახით.

თოხარიკი ცხენი — რომ შეჭდები ცხენზე, ტანში არ გაგარყევს და წავეჯოგოგო.

ძუნძულიე — აძუნძულდება, გლახა ცხენი რომ იქნება, მალლა-მალლა გახტუნებს.

იერიში — როგორც ჭირითი ვისვრის, თოხარიკზე უფრო ჩქარია.

მთხრ. კესა დავითის ას. ქუთათელაძე თათეიშვილისა, 62 წ. (სოფ. პატარა გუბი, ხონის რაიონი).

ღარგესება — ცხენების შეჭიბრებას უძახით.

ქვემო რაჭა

საქონლის მოვლა

ძმბრ. სამსონ ჯოხაძე, 90 წ. (სოფ. ღვიარა, 25. VII. 1935).

საქონელს შინაც ვზდილით და კიდემაც ვყიდულობდით. ჩვენში მოყავ-
დათ გასაყიდათ ოდიშური, ქართული, თათრული, ყარაჩული, ოსური ჭიშის
ხარები. კამეჩი ჩვენში არ იცოდა და არც ახლა იცის. ძროხა უფრო შინაური
გვყავდა. ცხვარიც შინ გაზდილი ვიცოდით — კულიანი ცხვარი. ღუმიანი ცხვა-
რი ჩვენში არ ხეირობს. ერთხელ ვიყიდეთ „იარმუკაში“ (ბაზრობა) ოსისაგან
და ორ თვეში კული თლა დაელია. თხემე მეგრელებს მოყავდათ, იმათგან ვყი-
დულობდით, მოშენებას უფრო არ ვეძებდით. ღორი შინაური გვყავდა —
გრძელცხვირიანი, ტანათ მაღალი, ფერათ შავი ან ჭრელი. ჩვენებური ღორი
კარგი სანაშენოა, ადვილათ სუქდება, მარა რუსული ღორისოდენა ხორცს ვერ
იბამს. ვემოთი ჩვენი ღორი სჯობია. ხარებს ვხმარობთ და როცა მუშაობას
ველარ შესძლებს. გავასუქებთ და დავეკლავთ. უსაქარათაც ბევრს დაუკლავს.
სახორცეთ უფრო ნებიერი იყო შერჩეული. ნებიერთ უფრო უშობელა
(ერთ-ნახევარი, ორი წლის ძროხა, რომელსაც ჭერ ხბო არ მოუგია) არის კარგი-
ზოგს ორი უღელი ხარი ყავდა და ორი ძროხა, ზოგს — ერთი უღელი ხა-
რი და ერთი ძროხა. უხაროც ბევრი იყო. ამა. გაქვიერებულ კაცს ხარს ვინ მის-
ცემდა?! საჯიშე მოზვერს (ორი-სამი წლის ხარი, ანუ უკეთ — სახარე) არ
დაგვოდავდით და არც ახლა ვკოდავთ ოთხ წლამდე. უშობელასაც ვარჩევდით
ჯიშათ. ჩვენებური ძროხა ყველა კარგი მეწველი არ არის.

ღორებს დავასუქებთ და შვა გიორგობისთვეში ვკლავთ. ღორის ბანლიდან
ჯაოს (ჯაგარი — ზურგის ბალანი) ავარჩევთ და ვყიდით. ნარჩევალას დავგრე-
ხავთ და ცხენის დასაბოგს მოკლე ბაწარს და ხარის აპეურებს ვაკეთებთ.

ზოგი თხა მიწაზე დაათრევს ბანალს იმდენა აქვს, ზოგი თლა ქოსაა ისე,
რომ არ გეიპარცება. თხის ბანლიდან წინათაც და ახლაც ვგრეხთ ხართავისა-
ბელებს და აპეურებს, ტყავისაგან გუდას ვაკეთებთ და საკუპრეთაც (ტიკი)
ყიდულობენ.

ხართავისაბელებს. საბორკილე ბაწრებს და აპეურებს ასე ვქსოვდით:
ჭერ დავწეწდით ხელით ბანალს, მოვუყრიდით თავს, ავიღებდით ორკაპიან
ჯოხს, კაპს შოვებამდით ბაწალზე და დავატრიალებდით ჯოხს, ბანალი ივრიბე-
ბოდა და გრეხილი თანისთანობით, რამდენს გავწევდით ჯოხს, გძელდებოდა,
თან გრეხილს ჯოხზე ვახოვდით. მერე შევავორტოლებდით, გინა. სამტოლათ,
გინა, ოთხტოლათ გავხდიდით. შევაგრეხდით ერთმანეთს და თავებს გამოუსკე-
ნიდით.

¹ ნებიერი — სპეციალურად ნასუქი საკლავი.

რახან სიტყვამ მეიტანა, იმასაც გეტყვი, ხარის ტყავს რომ კოლოტათ ვაკეთებთ. ხაკოლოტე ტყავს ბანალს შევაკრეპავთ ძირზე, დავალბობთ და ნაკიდურებებს შეიშავებთ დანით. მერე ხარახის ძაფით რგვალად შევკერავთ. ნაპარცს შიგნით შოუქცევთ და ღვინის ჩასასხამ ყელს დოუტოვებთ. ყელში წვრილი ბაწარი ექნება გაყრილი და იმით მოეკვრება თავი. კოლოტით ჭალიდან ვზიდავთ ღვინოს. დიდხანს კოლოტში ღვინო არ გვიჩერება.

კუპრი კოლოტით კი არ ეიკერება. ერთიანია და ჭიპზე მოქიმულია ხარატულით (ბზის რგოლი — ჩასმული აქვს ტიკს მუცლის შუა ნაწილზე და ბოლოზე. ნახვრეტის ამოსავსებათ).

საბალახოზე ხარებს, ძროხებს, მოზერებს. უშობლებს ერთად ვღვინთ, ბოჩოლებს (ერთი წლის და ცოტა მეტის ხბოები) ცხვრებთან და ბატებთან — ცალკე. ლორებს კიდეც — ცალკე. უბნა-უბნა გვაქ საბალახოები, დასამხრის ადგილებზე. ყმაწვილები მწყემსავენ. ვისაც მწყემსი არა ყავს, სხვა მწყემს მიბარებს. მწყემსი ჭირათ მოსავალს, ან მოსავლის კვალობაზე ფულს აიღებს. ზაფხულში დილას რომ წადენიან მწყემსები, შვადლეზე მოდენიან. ნასამხრებს ისევე წადენიან. ერთ წლამდე ხბოს სახში ვაჭმევთ. დიდ საქონელთან გამორცუვდება.

ჩვენი საბალახოები ნამეწყრალი ადგილები, სხდებები (ყანის განაპირა დაუმუშავებელი მიწა) და ვოლდებია (ქვიან-როყიანი ბუჩქნარი). ამიტომ თავთავ საქონელს ზაფხულში საჯოგეში (მთაში) ვღვინთ. იქ მეჭოგეს გავეურიგდებით, ქირაში მივებარებთ. სახში მეწველ ძროხებს დავიტოვებთ. ვისაც წუწკი ძროხა ყავს, მუდამ დაბმული უნდა ყავდეს საბალახოთ რომ მოიყვანს, თვარა მეველეს (ყანების მცველი) ხელში ჩააგდებს პატრონს. რავე გინდა, ორი ძირი სიმინდი რომ გადაჭამოს ყანაში შეპარულმა ძროხამ, თუ შეველემ მოასწრო, ორ ძირს ორ ბათმანათ დავიჭენს. რას უზამ, მეველეს ჩვენ თითონ მივიციტო უფლებდა.

ლორებიც დაკაპტობული (დაბორკილი) გვყავს. თხა ვისაც ყავს აქ, ზამთარიც გარეთ ყავს. დიდი მოვლა იმას არ უნდა, ბუჩქების ნეკებს ხრავს.

ზამთარში ბოსტელში ვაბამთ ხარებს და ძროხებს — ბაგაზე; ცალკე ბაგაზე — მოზერებს და უშობლებს. ბოჩოლებს ცალკე დავუდგამთ მოწნულ გოდრებს და საკვებს ჩავუყრით.

ხარებს და ძროხებს, უშობლებს, მოზერებს კვებავთ ჩალით (სიმინდის ჩალით). ბზით, თივით. დღეში ორჯელ ვაჭმევთ. ბოჩოლებს თივას და ლობიობარდს ვაჭმევთ, ცხვრებს — ლობიობარდს და ჩალას. ლორებს ჭატოთი. ნარცხით (გომბის ნარცხი, ლობიოს ნახარში წვენი) და ჭიჭკვი სიმინდით (მოუმწიფებელი სიმინდი, დაზარალებული სიმინდის ტარო) კვებავთ.

გაზაფხულზე ნაზამთარი ბანალი ჰყვება საქონელს და აწუხებს — ნეხვი ეკვრება ბანალზე და უჭერს ტანზე. საურგელი (რკინასა, კბილებიანი „როთქის“ მოყვანილობის) გვაქ, მოყვობით და ვაუროვებთ ხარებსა და ძროხებს, უშობლებს, მოზერებს. ბოჩოლებს ხელითაც ვაცლით ნაზამთარს. საქონელს დაურგება ყოველთვის უნდა, წვირე ვცდებ; კაი, მარა ბევრი ამას არ ეძებს და მინამ თითონ არ ჩამოცილებდა ნეხვი საქონელს ავით თუ კარგათ, ნეხვი უნდა ეკიალებოდეს (ეკიდოს).

ცხენს საჭლოთ ვხმარობთ. დავეკირდებოდა, ქუთაისიდან მოგვეკონდა ცხენით მარტილი ფუთობით. კალოშიც კი ვიბამთ ცხენს. ცხენს ზაფხულში საჯოგეში ვღვინთ, გავებარებთ, ან ნასათობარში ვაბამთ და ისე კვებავთ. შემოდგომაზე ვუშვებთ ჭალებში. ცხენს თუ ბოსელში არ დავაბამთ ცალკე, თავ-

სახშიც შეიძლება კუნძულში დავახათ. იტყვან: ცხენი რომ მისჩერებია ადამიანს, კარგია.

ჯორი და ვირი თითქმის არც კი ვიცით.

საქონლის დაავადებანი. საქონელმა იცის ტკიპა, წერილია, რუხი. საფანტივით ჩამოეკიდება საქონელს ლარძაყინში (სახსრების ახლო) და მუცელზე სწოვს სისხს და კარგა მსხვილდება. ხელით ვაცლით.

საქონლის დიდი ავადმყოფობა ჭირია. როცა ჭირი რომელიმე მოსახლისას გაჩნდება, მაშინვე გადაუხიზნავთ საქონელს ნომორებით. ავანტყოფ საქონელს გარეთ არ გამოვამშვებებთ და სადაც მოკეტება, იქ დავამარხებთ ღრმით. ჭირიანი საქონლის მინაკარებ ტანისამოსს სახში არ შევიტანთ დოუზდულრავათ. რა რომ აცრა შემოვიდა, თვარა ჩვენ ვერაფრით ვერა უშველოდით ჭირს. შელოცვის მეთი არაფერი ვიცოდით. გულს თუ დააქერებდი, თვარა, ამა შელოცვა რას უშველოდა!

საქონელმა იცის დასიცხვა. ეს უფრო იოლი (მსუბუქი) ავანტყოფობა იცის კიდეც თურქული: ახველებს საქონელს და ფეხები უძიგძიგებს. ნაძვის და ფიჭვის გამხმარ ნაუნს ვუჩხოლებდით (ვუკვამლებდით) ცხვირში, ცოტათი შველოდა. ეხლა კაი დროა, ექიმები დადიან და ისინი გვშველიან.

თუ სახარედ გვინდა, მოზვერს ორ წელიწადზე დაველოდეთ, რომ ტანი აიყაროს და დასრულდეს. სახარე მოზვერს, როცა გვინდა დაკოდვა, წავაქცევთ, ფეხებს 'შუა სხვილ კეტს გავუტარებთ და ფეხებს ამ კეტზე მიუუკრავთ. ორ კაცს უკავია კეტი. კეტიანა გადაეაბრუნებთ და მერე ძვრას ვერ იზამს. ყვერებს თავში წვრილ ბაწარს გავუჭერთ და უკან გამოვწვეთ, დავადებებთ ხის ჭორკზე. უროს ავიღებთ და ამით დავუბეგავთ ყვერებს. რომ შეღატყობთ, რომ ყვერები გალახულია, ბაწარს კიდე უფრო გავუჭირებთ, გარშემო დანაყულ ნიორს წავაცხებთ, კეტს გამოვხსნით და მოზვერს აუუშობთ. ერთი კვირის შემდეგ ბაწარს შევაჭრით. ცხენი როგორ იკოდება არ ვიცი. ცხვარს დაკოდავენ და თლა გამოულებენ ყვერებს, მერე აყერავენ ჭრილობას.

გოჭს თუ გვინდა, კერათ (მამლათ) შევიჩინავთ და არ ვკოდავთ ერთ წლამდე. სახორცე გოჭს კი მეოთხე თვეზე და მესამე თვეზეც კკოდავთ. ამოულებთ ყვერებს, ნაცარს შევყურით და ისე აყერავთ.

წველა და რძის ნაწარმი

ქვემო რაჭაში [ძროხის] რძის წარმოებას მისდევენ. აქაური ცხვრის წველა ჯერ არავის უცდია და არც შეიძლება ეს ცხვარი „მეწველად“ გამოდგეს.

ძროხას წველიან ქალები დღეში ორჯერ — დილა-სალამობით. საწველ ქურჭლად ხმარობენ თიხის ქოთნებს. სხვადასხვა ზომის ქოთნები აქვთ. ქოთანი მუდამ გარეცხილია და წმინდათ ინახება. თუ რძით ან შრატით არ აქვთ მოკავებული, კარგად გამორეცხენ, წმინდა წყალს ჩატოვებენ. შეინახავენ სამზარეულოს ხის „შყავებში“ (წინად „სილარობში“) ან პირქვე დაამხობენ ბუჯერზე ან ფიტონზე. მოწველის დროს კიდეც ხელმეორედ გამორეცხავენ. ხელის საწკებ და ძროხის ძუძუს საწკებ წყალს (ცოტოდნათ დასასველებელ წყალს) ჩატოვებენ. ძროხა დაბმულია, ხშირად — აშვებული წველის დროს, მითუმეტეს რომ მწველავთან შეჩვეულია. მწველავი მიღის ძროხასთან ქოთნით, ჩაიმუხლავს, ძუძუებს დაუსველებს ძროხას და ხელს „დაიწკებებს“, ქოთანს პირქვე გააჩერებს, რომ წყალი დაწდეს; ამის შემდეგ ქოთანს მიუდგამს ძროხას ჭიქნის ქვეშ და ორივე ხელით ორ-ორ ძუძუს აწვება ძირს და წველის.

თუ როგორ ამზადებენ ყველს. ამის შესახებ ზევითაა მოყვანილი საუბარო². ყველს გადაწეიდენ (მოხარშავენ და მოზელენ). გადაწეილ ყველს გვაჯილხ უწოდებენ. იციან გვაჯილის გახმობა მზეზე. ეს ყველი დიდხანს ძლებს და თანაც გემრიელი საქმელია.

აქა-იქ იციან რძის თავის მორთმევა — რძის თავს ეძახიან რძის ნართმევს. რძის თავს ან პირდაპირ საქმელათ ხმარობენ, ან აღუღებულ რძეში გაქნიან და ჩაასხამენ ბოთლებში, თავს დაუმცობენ, ანძრევენ ხელით ერთი საათის განმავლობაში. ბოთლში გამოიყოფა კარაქი, რასაც გამოდენიან ბოთლიდან ბოთლის ძროს ხელის კვრით. კარაქის კეთება უფრო ზემო რაჰის სიახლოვის ნიზუნია, ხოლო ქვემო რაჰის ეს ვერ შეეუთვისებია (თვით ზემო რაჰაში მხოლოდ რამდენიმე მისის სოფელში მისდევენ კარაქის წარმოებას). კარაქს ზემო რაჰიდან გამოთხოვილი ქალები აკეთებენ და დიდი სადღევების მადიერ კარაქის მოხადღებათ ბოთლებს ხმარობენ.

საქონლის დაკვლა

მთხრ. აღექსანდრე გიორგობიანი, 60 წ. (სოფ. ლაღიში, 28. VII. 1935).

საკლავი ვიციტ ფსხვილი და წვრილი. ფსხვილი საკლავია: ხარი, ძროხა; წვრილი — ცხვარი, თხა, ღორი, ბურაკი (რვა თვის ან ერთი წლის ღორი). ორი-სამი კაცი უნდა, რომ ფსხვილი საკლავი დეიქლას. ერთი კისერს მოუგრიხავს — რქებში ჩასქიდებს ხელს, ხარი გადაიზნიქება და თუ ერთბაშად არ დაეცა, ფეხებში წიხს კრავენ და მაშინ კი დაეცემა. ორი კაცი უნდა დააწვეს ფსხვილ საკლავს თეძოზე და მხრებში, რა არ წამოხტეს. მესამე კი მჭრელ დანას გამოურეგს ყელში, საკლავი დაიხროტინებს, თავი მოსცილდება კისერს. ცოტა უნდა ვაცალოთ ხარი იქნება თუ ძროხა და როცა ხორცი აღარ იძივძიგებს, შეეუღღებთ გატყავებას. პირველათ ფეხებს მოეკრით მუხლის სახსარში, მუხლიდან ჩავუსერავთ ტყავს მუცლამდე და კისრიდან გავფატრავთ მუცელზე. საკლავი გულამა. დავიწყებთ ფეხებიდან ჩატყავებას მოკლეწვერიანი დანით.

როცა ვატყავებთ, დანა ხშირ-ხშირად უნდა გავუსვათ ქვაზე პირის ასაწყობად. გატყავებულს ხელზე ვიფენთ და ვკიმათ. თან მარჯვენა ხელით დანას უსობთ. როცა ერთი გვერდით ზურგამდი ჩავატყავებთ საკლავს, ამ გვერძე ტყავს გადაუფენთ და გადმოვარუნებთ, მეორე გვერდს დაეუწყებთ ჩატყავებას და მთლად კულამდი გავატყავებთ. კულს წავაკრით, ტყავს გავშლით და ზედ გულამა გავაჩერებთ გატყავებულ საკლავს. კარგი მჭრელი დანით ასოებათ ავიღებთ. პირველათ ბეჭებს ავიღებთ, მერე ბარკალს, ერთსაც და მეორესაც: მერე კერდი ამოიქრება, მერე თეძოები, სათფილო, სხაპი, კისერი, მერე გულ-ჩონჩხი და შიგანი უნდა ავიღოთ და გვერდებში გადავქრათ. ბარკალი ერთი ასოა, ბეჭეც ერთი ასო, თეძო და გვერდები — ორი ასო (ნახევარ თეძოს ერთი გვერდი ეღება და აქედან ერთი ასო მიიღება), სათფილო — ერთი ასო, სხაპი — ნახევარი ასო, კერდი — ერთი ასო, შიგანი და გულ-ჩონჩხი ღვიძლს გარდა — ერთი ასო, თავფენი — ერთი ასო, სულ — ათი ასო. კისერი დეიქრება და ასობს უნდა გაყვეს. ღვიძლიც დეიქრება და სამწვადედ გაყება ასოებს.

² იხ. „მასალები“, ტ. III, ნაწ. II, გვ. 188.

³ სადღეება ხისგანაა გაკეთებული.

⁴ დედანშია: „გტყავებთ“.

სახორცი ასობათ მინამ ეიღებოდეს, მანამ საკლავი გაყიდულია მორიგე-ბით; თითო ასო ზაფხულზე და უფრო ადრეც (ვაზაფხულზე) გაყიდული გვექონდა საშემოდგომო სიმინდზე. ეყიდილით სამ ბათმანათ, კოდათ, ზუთ ბათ-მანათაც, ძალიან სუქანი რო იქნებოდა.

შემოდგომაზე ხორცი უკვეთენაა, უფრო მსუქანი. შემოდგომაზე დაკლუ-ლი, რაც უნდა სუქანი ყოფილიყო, კოდს არ გადასცილდებოდა ასო, მიტომ რომ სიმინდი მაშინვე იკრიფებოდა.

ტყავს შევანოვთ, რომ ნატყავები შიგნი იქნეს. მესამე დღეს გავსხლიპავთ (გავსკიპავთ) ნედლი თხილის მაგარი წყნელით და გავდებთ კაჩაზე. ორ-სამ კვირეზე ხმება. შზეზე გამხმარიც შეიძლება. ეს უფრო მღარაა, სენიც იცის.

ტყავის გამოყვანა

გამხმარ ტყავს დავსერავდით დანისპირით ქალაქის ზომაზე — სიგძით სამ ჩარეჭზე და სიგანით ექვს ვერშოკზე. ამ ზომაზე ავეკრიდით საქალაბნეებს. თითო შოწდილ ბარის ტყავში საშუალოთ თუთხმეტი ქალაბანი ამოდის, ყვე-ლაზე უკეთესი ზეზურგისაა (ზურგის შუა ხაზის), ყველაზე გლასა — ფენტე-ბის და მუცლის, დანარჩენი — საშეალო, რჩება ნაკიდურები. ამათ ქალაბნეები დასაბანდავით ვხმარობთ.

ცხვარს და თხას სსქანაირად ეატყავებთ. ერთი კაცი დაკლავს ცხვარს. და-კლულ ცხვარს ჩამოვიდებთ შრამელის სარტყელზე ან ხის შტოზე ბაწრით: ერთ უკანა ფეხზეა ჩაქცრებული ბაწარი და ისე ჰკილია. წინა ფეხებს გადავუ-კრით სახსარში მუხლთან და ერთ უკანა ფეხსაც. უკანა ფეხებს ჩავატყავებთ (ე. ი. სამუხლედან ჩაიტყავება) და ბარკლებს შუა გავკრით ტყავს. მერე რგვლათ ჩავატყავებთ და ტყავი გააცილდება წინა ფეხებს და კისერს. ამისთა-ნა ტყავს გავტენით თივით და გავკიდებთ მზეზე. გახმება და ხალთას (გულდას) გავაკეთებთ.

როცა საკუბრეთ გვინდა ცხვრის ტყავი, მაშინ ოთხში უნდა ამოვიდოთ. სა-კუბრეთ უფრო უკეთესი და მიღებული თხის ტყავია. ოთხში ასე ვიღებთ: და-კლულ თხას დავკიდებთ კისრით, დავკრით ფეხებს და დაუწყებთ სულის ბერ-ვას კანჭებიდან (მუხლის თავებიდან), ოთხივე კანჭიდან და კისრიდანაც ჩავებ-რავთ. ეს ასე უნდა გავაკეთოთ, შიტომ რომ ტყავი ადვილად მოსცილდეს ხორცს. ცოტაზე დანისპირით მოვყობით კისრიდან რგვლად. მემრე მუშტით დავაწობით და თან შიგნი ჩავეუდებთ მუშტს. მუშტს მხრებამდი ჩავეუტანთ და ასე ბითუმათ შემოვაცლით ტყავს ხორცს. მერე მხრების კანჭებს დავუწყ-ყებთ შიგნი შეწევას და ტყავს წინ წამოსწევით, კანჭებს გასცილდება ტყავი. მთელი მხარი თავის კისრიან-კანჭებიანა ამოვარდება და ძირს დავწევთ ტყავს — ერთიანად ვასძვრება ბარკლებსა და თეძოებს. არსად, კისრისა და კანჭების თავებს ვარდა, ტყავი ვაჭრილი არ იქნება. ამ ტყავს დავაყრით შაბს, შევანოვთ, რომ ხატყავები შიგნი მოხედეს და გავავდებთ ქვრზე. იჭებება ფე-ხით. ერთ-ორ თვეში გამოდის საკუბრეთ.

გეგმ რაჭა

საქონლის მოვლა

მთხრ. მაქსიმე ქრისტესას ძე ბიჭაშვილი, 85 წ. (სოფ. გლოლა).

მოშენება ვიცოდით ძროხებისა და ხარების, თხა-ცხვარი მომრავლება ვიცოდით, ხოლოთ ვირი და ცხენი აქა-იქა ყავდა მცხოვრებელს. ზაფხულ ბალახი წელაძღე იცის ჩვენში, მარა ზამთრის სარჩო გვიძნელდება მეტათ. ჩვენში დიდი ზამთარი შოდის. რომ შოთოვს, ქვე კი აღარ აილებს. როცაა გვიან გაზაფხულზე არილდება¹ და გაღნება თოვლი. საქონელი ბოსელებში გვიბია თბილათ, თხა-ცხვარი კი სათხეში არიან. შუადღეზე გამოვრეკამთ წყალზე სარწყულებლათ², თვარა ისე თბილ ბოსელში არიან, სულ ბურბული³ აღით, რომ შეხედო იმათ. ისე უხარია საწყლებს მზეში, რომ სულ კუნტრუშით მიდიან წყალზე.

აქ უფრო ყარაჩაული ჯიში საქონელი ვიცით. იქაური საქონელია მოჭილაგებული⁴ მთლათ ჩვენში.

ძროხა რომ ატყდება, თავს დაიცვამს. თვეში რომ ჩადგება, დაიშვენებს ძუძუს, თან იწმენდს. მერე რომ ხზოხ მოიგებს, ამას მოყვება მომყოლი — ხახბოე. ეს მომყოლი არ უნდა შექამოს ძროხამ, თუ არა ძუძუ გაუშრება და დარჩება ისე.

ხზოუკა საძროხე ან სახარე გამოვა. ერთი წლი ხზოა, ორი წლი რომ გახდება, უშობელას და მოზგს უძახით, მერე დეკეულია ან მოზვერი სამ წლამდი, ამი მერე ძროხა და ხარია. დაუკოდავ ხარ ვეტყვით ქანას (სოფ. გლოლა, უწერა), ბუღას — გოლოს (სოფ. ღები, ქიორა). დაკოდავს სხვანაირად დახვლვას უძახით. დაკოდილზე დახელუღიაო, ასე ვიტყვით.

დაკოდავ. თუ ერთი წლი საქონელია, პირდაპირ გაუსერამთ ყ-ს და ამოვაცილით. თუ მეტი ხანისაა, მაშინ სხვანაირად ვიცით: ჯონ(ს) შუა გავხეტაქამთ, დაუძებნით ძარღვს და მოუტნევთ ჯონი ნახეთქში, მერე შაბიამანს შემოვადებთ და გაუჭირებთ ბაწარ და ეს მოკლამს ამ ძარღვს. დაიკოდება ასე და კარგი ხარი დადგება მერე.

საქონელ მარილი უხდება. ზამთარ დამონვა უნდა სამონველით⁵ მალ-მალე ხარებ(ს), ძროხუტებს ვინ აღირსებს საბრალოებს სამონველ(ს).

1 არილება — ადგილადგილ რომ აქრელდება თოვლი მიწის გამოჩენით.

2 სარწყულებლათ — წყლის დასალევად.

3 თბილი ანაორთქლი რომ აღინდება სიცივეში საქონელს, ბურბულს ეტყვიან.

4 მოჭილაგებული — მოშენებული.

5 თავი დაიცვა — ე. ო. დამაქდა.

6 სამონველი — საქონლის დასავარცხნი, დასაურავი.

ცხვარი ვიცოდით თუშური — თეთრი, მადემატყლიანი, ყარაჩაული მერე მოჰილაგდა — რუხი და შავი. ცხვარი ცოტა ვიცოდით, მეტი იყო თხა. თხას ზამთარ ნეკერიო⁷ გავკვებდით, ცხვარი ფირსიკია⁸ ი ტიალი!

ცხვარ ორჯელ ვპარცამდით — ახალ გაზაფხულს და შემოდგომაზე. მატყლი ნაზამთრი ჯობია. ცხვარი საპარცავათ ვიცით დიდი მაგრატელი — თუქარდი⁹ და იმითი ვპარცამთ. ერთი ცხვარი ნაპაც(ს) მატყლი¹⁰ ქვია. შევხვევეთ გურგლათ და როცა დაგვეკირდებო, გამოვიყენებთ.

თხა-ცხვარიც კაი შენახვითაა, თუ არა, ზაფხულს გაყვება კარქი მინაპირება¹¹: მარილი, წყალი და მშრალი ბოსელი, დაურთება — სამონელით. რაც ბეწყო ჩამოუთა, იმიგან ქალები თამთიყი ქულებს აკეთებენ, შევნიერათ. მატყლი ფეშტებათ¹² ცივია. თხა-ცხვარი ნაზამთრ პატყვ დელო¹³ ქვია.

თხა მეტი მთელია¹⁴, სატყვიარი არ იცის. ცხვარი გლახა ბლახ რომ ძოვს, პეპელი უჩნდება გულ-ღვიძლში... წამალი არ ვიცით. დაკლულ ცხვარმა იცის ფეტველა, თეთრი კაკლებია სულ ხორცში დაყრილი. მღუღარეში არ ამოყვება და იკმება.

მთხრ. სოლომონ დავითის ძე ლობჯანიძე, ხვანენთი, 86 წ. (სოფ. ლები).

მითანე (ე. ი. იმისთანა) ხარები მოყვანა ვიცოდით, მე და ჩემმა ლმერთმა, იმათი ნაბანი დაილეოდა, ვა, შეკაცო! მუშა კაცითვის კაი საქონელი ფასი არა არი-რა. ჩემს თავათ კაი ხარები რომ შემშურდება კაცითვის, ისე კაი ქალი არ შემშურდება ი, დალოცვილები, რომ შეხედო მთაში ხარი ჯოგს, იმათი ყურებით ვერ გაძლები — დილა მზი ამოსვლისას რომ მიეზავებია¹⁵ საბალახოთ! თუ დათვი დაინახეს, ჰე, მაშინ უნდა უყურო სეირ(ს), რომ შექნიან ერთი ბღუილი და გაექანებია მკენ; თვალი სერი კი არაა აქვეყ-ყე. იცოცხლე შენ და მე — იმას არბენებენ, ი. ბლიტას! თავი რქაზე ააგებენ თუ მიეწიენ.

ძროხას თუ არ ეკუთვნის და ისე უმართებულთ აღრე მოიგო, იტყვან — უმართისიაო, ე-ე უყოლი რომაა ჯერ სულ.

ძროხი პირველ ხბოს ზვარა ქვია. უმალ ზვარა საზდელათ არ შეიძლებაო-და; „არ ვარგიაო“, იტყოდნენ. რძი სამი დღი წველას აქცევენ, არ იკმევა. სხენი¹⁶ ქვია. მეოთხე დღემდე არ ვიცით რძი ჰამა. სამი დღე სულ სხენია — ორი წლი ხარია, თუ ძროხა, კვებულს ეტყვიან. თუ სამი წლისაა მოზვერი, მაშინ გავხედნით, მოვიჩვენო მოზვერ(ს).

ძროხა რომ არ დამაკდება, იმას ბერწ უძახით. ხბო რომ არ შერჩება, იმას უიღბლოს ვეტყვით.

ცხვარი მოიგებს კრავს. ერთი წლი ბატკანია, ორი წლი — შიშაქი; სამი წლი — ირიკი, თუ დაყოდილია, თუ არადა — ვერძი.

7 ნეკერი ეწოდება ნორჩ ტატებს, რომელთაც პატარა კვირტები ასხია.

8 ფირსიკი — სუსტი, უღონო.

9 თუქარდი — დიდი მაკრატელი.

10 „მატყლი“ — ერთი ცხვრის განაპარტი.

11 მინაპირება — მოვლა.

12 ფეშტი — მთლიანი, ბოლქვიანათ ამოღლეჯა ბალანის.

13 დელო — ნაკელი.

14 მთელი — ჭანსალი.


15 მიეზავება — როცა საქონელი მიბალახობს.

16 სხენი — პირველი სამი დღის წველას, როცა რძე ჯერ კიდევ ყვითელია, ეწოდება სხენა.

ვირი. ჩვენ ჭორუკას უფრო უძახით, რომ მოიგებს, ჩოჩორი ქვია. სამი წლი იკაზმება¹⁷ ი ტიალა.

ცენი შვილ კვიცინა ქვია. ორი-სამი წლი კვიცია, სამი წლი—ფაშატი, ოთხი წლი—ჭაკი ან ულაყი, დაუყოღავი თუა, ვარყა ქვია.

საქონელი თუ კაი გამოკვებილია, არც კი ეტყობა ზამთრი ვაჭირდება. გული ბოლოზათ გამოყვება, თუ არადა გაზაფხულზე ტყბა უჩნდება კანში. რომ შეხედო, სულ დაკოებილია იმეებით. კანს დაუხვრეტს და ჩაუჭდება ხორცში. ამის წამალა მარილიანი ღორი ქონი. ეს უნდა დაცხო და მოარჩენს. თუ ჭლიბა გაურდა, იმას შველის მწარე ხანჭკოლა ნახარში. ტილები და ამისი ბატონი ისაა. დაღარიბებულ და მკვლე საქონელს უჩრდება ეს მკებნარი.



სურ. 12. შესაქონლეოთა დასახლების საერთო ხედი და გენგემა სარწივისძირის საზაფხულო საძოვრებზე.

ჭიროლი — გრძელი ამოგობილი, მთლიანი ხე, რომელიც შედგმული აქვს ღარზე გადმოდინარე წყაროს წყლის მოსაცავათ, საქონლის სარწყუებლად. აკეთებენ ფიჭვისა, ნაძვის და ჩიხრისაგან (ლეჩხუმში — კოლი).


ხარებში ვიცით გარჩევა: კვამლა — კვამლიფერი, ჭორა — არც მთლათ შავი და არც კვამლიფერი რომ იქნება, წიქარა — მოწითალო ფერის რომ იქნება, ქერა — რუხი-მოთეთრო, ვეფანა — მიწიფერი რომ იქნება, ნიშა — შებლზე რომ იქნება თეთრი, ღომა — ჭრელი რომ იქნება; ფარდელა — მუცელზე თეთრი რომ ექნება, ზურეშა — ციფერი რომ იქნება ხარი, მოთეთრო, ჭიხვა — რქა რომ ჯიხვივით ექნება. ხარი თუ ავია და რქენა-ტაკება იცის, არ გავაჩრებთ, გავეყილით. შშვიდობიანი რომ იქნება ხარი, იმას ღორის ვეტყვი.

¹⁷ იკაზმება, ე. ი. იხედნება ტვირთსაზიდად.

საქონლი ჰირი. ცხენს ემართება, ი, ტიალას, ერთი ანათმყოფობა ყიალა დაქიანობს აღმა-დაღმა. რაცალა ეშმაკები შეუსხდებიან ი დასალუბავს, ქვეყა-



სურ. 13. ჰობის ინტერიერი სარწივისძირის საზაფხულო საძოვრებზე.



სურ. 14. ჰობის გეგმა სარწივისძირის საზაფხულო საძოვრებზე.

ნათაე პირ კი აღარ აკარებს მიწაე. მიღონდება მერე და გახდება ყება, წაუღია შენი და ჩემი ჰირი, გაჰმავეს ფეხებს. გონია ჯათიდგან მოღის ტიალას. მეორეა და დაემართება — ჰოთა. გაუჭდება ცხვირში, გაუღდავს და არჩობს სამაუ-გოთ¹⁸. ცხვირიდგან სულ სკვინტლებ აყრევინებს, თუ გამოტეხილია¹⁹, თუ

¹⁸ სამაუგოთ. — უშნოდ.

¹⁹ გამოტეხილი — იტყვიან, როცა სატკივარი გამოჰყავნებულა, გამოტეხაო.

არადა, რომ დაუმწიფდეს, უხრჩოლებენ მოკიდებულ გოგირდი სუნს ცხვირში და ეგ არი იმი წამალი.


მთხრ. მაქსიმე ქრისტესას ძე ბიჭაშვილი, 85 წ. (სოფ. გლოლა).

ცხენმა იცის წედავი. ის რომ მოუვლის სულ დაგვრემავს²⁰ მუცელში. ამის წამალია გოგირდი, ანუ ჩექა²¹ და თოფი წამალი უნდა დანაყო, ორივე გახსნა წყალში და დააღვეიო. მაშინვე შველის.

ლორი ჭირი ყაპოა. ყელში გამოებმის ბუწუკივით²². როცა ერთ ადგილ თავ მოიყრის, უნდა გაჭრა და გამოუშვა სისხლი.

ხარი ჭირია თურქული. უსკდება ჩლოქები და კოქლობს. მოურჩენელია.

გეზოხი ძროხასაც უჩდება და ხარსაც. ცეცხლი დადებული რომ რამე იქნება, ისე გააშავებს — ჭერე ბეჭში, მერე გადადის ყველგან. მდულარეში არ ამოყვება. არც ამას შველის რაიმე.



სურ. 15. ქობის კრილი a — a სარწივისძირის საზაფხულო საძოვრებზე.

ბატონი — თალაყაური ქვია ოსურათ. ძალიან უბედურია, ადამიანსაც შეეკმნება,²³ თუ არ მოერიდა. რასაც კი შეეკმნება, სისხლათ დაუვლის და სისხლათ განბეთქავს მთლათ. ისე ეს ტყლიბი ტკივილია. წმინდა რძე და მაწონი აქრობს.

მთხრ. ლოლომონ დავითის ძე ლობჯანიძე, სვანენთი, 86 წ. (სოფ. ღები).

საკვები ბალახი. კაი რძიანი ბალახია საშუურა და, შხიური ადგილის — ვაციწვერა. ვაციწვერა ყველა საქონლითვინ კარგია, ისე მეტათ ჭამს ცხენი და თხა-ცხვარი. წმინდა, ფტყელფოთლებიან ბალახს, რძიანი რომ იქნება, ლაქაშს ვეტყვით. კარგია გორი ბალახი, ფარი ბალახი, ვაკი ბალახი. ცუდია ჭარი ბალახი და ჩრდილუანი, უმზეო. მთი ბალახი ცარიელი ქონია. ძრიელია, რაღაცა დღეს შეჭამ[ს] საქონელი, იმდღესავე შეატყობიებს-ყე.

ცხენი საბალახოთ კარგია დიჟე და სარო, მაგრა უხდება იგი. ერთი ბალახია კიდე ძალიან კარგი — ბორბალა, ხორცი და რძეა სულ მთლათ, ერთობ შემრგე ბალახია- იმი მერე კარგია კაცი საქმელი ბალახი: მუყუდო, მაწარა, ლატო და სხვა.

²⁰ დაგვრემავს — მუცელში რომ დაუვლის და დაგრეხავს რამეს, ტკივილი.

²¹ ჩვენ ძველ ენაზე გოგირდს ჩექა ქვიაო, მითხრეს სოფ. გლოლას.

²² ბუწუკი — მუწუკი.

²³ შეჭნა — ივადმყოფობის გადაღება.

მთხრ. ნინო ალექსის ას. რეზივიაშვილი, სეხნოენთი, 69 წ. (სოფ. კიორა).

ძროხა იწველება ძროხულათ, მუქით, თხა-ცხვარი კი — გვაჭურათ. მოვწველათ კასრში ხი მანიაში, ან სხვა რამეში. გავწურამთ ხი საწურში და ჩაუასხამთ ხი გობებში ან ფილში. მეორე დღეს წავართმევთ თავს, რძი თავს (ნადებო), კოზით და უყრით თავს ერთ ყურთანაში. მოვდღობამთ ვარიაში. ვარაიას ჩამოვებამთ ბაწრით მალა და ორი ქალი, ერთი ერთი თავიკენ უჭიკიანებს, მეორე — მეორე თავიკენ და დლობენ. მოდლობილ ხმით გავიგებთ, როცა რომ მოიდლობება, აგორდება კარაქი შიგნი და თავითვინ წავა მდო. კარაქი რომ გადადნება, ერბო გამოვა.

ერბოს დამზადება. ნელ ცეცხლზე ჩოინით შემოვკიდებთ კარაქს. ნება-ნება გავათბობთ. ზეით წამოიღებს თეთრ დუქს, ამას ერბოს პერი ქვია. პერს მოვართმევთ კოზით და მერე ცოტუნეია მარილს უზამთ. თუ ცოტა ფქვილუკას ამოუკიდებთ, კარგია. წამოდულებს მერე გადავდგამთ, დაიწმენდს. ამი მერე, ცოტა რომ გაგრილდება, გადაუშვებთ ფილში სუფთათ, რომ პერი და ნაძირალი რამე არ გადაყვეს და შევიწინაზეთ გრილ ადგილზე.

ყველი ცხერისა ჯობია, ერბო და კარაქი ძროხის.

აუტკრელ რძეს წმინდა რძეს უძახით, აჭრილს — შემდგარს. რძეს თუ თავი წავართვით, შემდგარი რძე დარჩება; თუ შემდგარი რძე სახაზეთ გვინდა, ცეცხზე შემოვდგამთ და ნელნელა აიხაჭვება. გადავდგამთ და ხაჭვას მოვაცლით ცოტახნი მერე. ცალკე ხაჭვა წავა და ცალკე შრატი. შრატი თუ გადავადუღეთ, ნადული და წაქა გამოვა. ნადული ნადულათ იხმარება და წაქა ყველები საწათხავათ და სილაქის დასამზადებლათ. ვა ბეჩა კაი წველა ფასი — არაფერია ქვეყანათაე.

წმინდა რძიგან ვიცით აირანი, ჯურტი და მაწონი. რძი თავიგან ვაკეთებთ ხაჭვანაყრილს. ახალ ხაჭვას ჩავუხელთ რძი თავში ან ადუღებულ რძეში და ამას უძახით ხაჭვანაყრილს.

რძითავის ხავიწი ვიცით: რძითავს შემოვდგამთ ჩოინით ცეცხლზე და კაა გავაჭრებთ დულილით. მერე ამოუკიდებთ ფქვილუკას და ურევთ მაგრა, ხან იქით და ხან აქით სრიალობს. ახლა ეს გამოუშვებს ერბოს და იმაში მოისკენება სულ მთლათ, თუ კაა მარჯვეთ არ აბრუნე ჩოინაში, ქვე გადაგისიადლება ჩოინითგან. რომ გადმოვდგამთ და გავარიგებთ, თავი წილს ქვე-კი ვერომელი გაათავებს, ისეთი ტუნტეა (ნოციერი).

ჭიკა. ჭიკა ფაფა ყველი და ერბოთი და ფქვილით ერთიმეორეში ჩაზეული და ფაფავით გაკეთებული. ესეც ისეთი ტუნტეა, რომ ორ ლუკმი მეტ ვერ შექამ.

ჰაირანი. ადუღებულ რძეს, ცოტა რომ შეგრილდება, უქმონან ჰაირნი თესლ და თავისით, ერცახე ნამცეცი რომ ჩავდო, თავისით გაიზდება ხელათ. რომ შეხედო თეთრი-რუხი ფერისაა, ღრუბელივით იბუნტება. თხელი მაწონი რომ იქნება, იმითანე გამოდის ჰაირანი. სისხლნაკლი, სნეული და უღონო ადამიანითვინ ამაე კარგი წამალი არ იქნება. საქმელათ მხიე, შემრგე და უწყინარიცა.

რძი გობები ყოველ დილა-საღამოს უნდა დაირეცხოს, თუ არა, აიჭრება რძე. ნარძევი გობი ვასარეცხი ვიცით ჭინჭარი და ბლი ქერკი. ისე ვახდის, ახალი გათლილი გგონია კაცს.

ყველი. ახლათ მოწველილ წმინდა რძეს რომ გავწურამთ, მერე საკიდელს უზამთ. თბილ ადგილზე დავდგამთ და მალე უზამს მაშინ საკიდელი. დაურევთ, მოგაყენებთ. მოეტყმუშნით ხელით, ამოვიყვანთ ყველს და გავწურამთ კარგა. უზამთ მარისს და ჩავლებთ წათხში. საკიდელს საქონელი მაჭიკიდგან ვაკეთებთ. გავრეცხავთ, მარისს და ძმარ უზამთ და ასე ვამყოფებთ სამი დღე. მერე ვავშრობთ და, როცა გვინდა, დავალბობთ და ვხმარობთ.

საქონლის დაკვლა-დანაწილება

მთხრ. ილიკო გიორგის ძე ხიდაშელი, 70 წ. (სოფ. ხიდაში-საკაო).

საქონლი დაკვლა კი არაა საქმე, ხორცი ადებია ასო-ასოთ. ისეთი კაცი უნდა მოეძებნოთ, რომელმაც კარქათ იცის ალება. მერე გავიწილავთ. შეწორებით გაყოფთ. როგორც ერთი ღმერთი, ისე გამოვა კარქა გაყოფილი. მერე წილსა ვყრით — თავთავი ჩხირებ დავყარით და, ვისაც რომელი მოხვდება, იმას წააღებს. რომ არ მოტყულებ, უნდა მიხვიდე²⁴ სახსარზე და ისე გაქრა. შიგნულიც შესწორებით გაიყოფა.

საქონელ რომ დავკლავთ, კან შემოვსერამთ და სახსართან ფეხებ დავქირით. იმი მერე მუცელზე და ფეხი კანზე გაიფატრება და ჭერ ერთ გვერდ შევატყავებთ, მერე მგორეს. მერე გამოვშვიანავთ. გამოვიღებთ ფუშ²⁵ და წილებს, მერე ჭიგარს; ფილტვი-ფიფვი, ღვიძლი, გული, ტყლიაი გამოვიღებთ. ამი მერე ავქნით²⁶ ასო-ასო. ჭერ ბარკლებ ავატლით. მერე თემოებს, ბეჭებს — წინა ფეხით, კისერ ცალკე ავაქრით. ზურგი ძვალი რომ დარჩება, იმასაც დავქრით და გავწილავთ ჭერ ოთხათ, თვითოს ფეხი²⁷ ქვია. თუ ფეხი შუა გაყვავით, ჩლიქი²⁸ იქნება. მერე ჩლიქი ნახევარი²⁹, ვიტყვი და ასე შეწორებით გავიყოფთ. სახწორი ჩვენ არ ვიცოდით ამითვინ. ახლაც რომ დიაკვლება საკლავი, იმას ასე გავწილავთ, როგორც მოგიყევი და. მერე წილ ვყრით. რამდენიმე კაცი შევდგებით და გავიწილავთ.

ლორი და ნებები³⁰ შაშხი. ჭიროლ-გობში დავკლავთ ღორს, იმაში დღღღრით გავფუფქავთ; ჭერ ზურგი ჭავას (ჭაგარს) ავატლით და ისე გავფუფქავთ. დანებით გავწმენდამთ, გამოვწვლამთ, მერე გავშიგნით — ამოვიღებთ შიგნულიობას. მერე დავამხოთ თავდაღმა, დავადებთ ზურგზე ხართავისაბეღ³¹ და იმი გაყოლებით გავსერამთ იქით-აქეთ. მერე გავიტანთ მთლათ და ამოვიღებთ ზურგი ძვალ. დარჩება ნახევარი აქით და ნახევარი იქით ღორი ნაქერი. თითოს ფელიკი ქვია. ერთ ღორს ორი ფელიკი აუა. ზურგი ძვალი, შიგანი და თავ-ფეხი მეთი იმას არა აკლია რა. ფელიკებ(ს) ავატლით ჰაჭათან შიგნი ქონს,

²⁴ მიხვიდე — ამ შემთხვევაში ნიშნავს: მოძებნო სახსარი.

²⁵ ფუში — დიდი ნაწლავი.

²⁶ „ავქნით“ — იტყვიან „აიღებთ“-საც, ე. ი. ავქრით, დავქრით ხორცს დაკლული საქონლისას.

²⁷ ფეხი — ერთი მეთხებილი საკლავის ხორცი.

²⁸ ჩლიქი — ერთი მერვედი საკლავის ხორცი.

²⁹ ნახევარი ჩლიქი — ერთი მეთექვსმეტედი საკლავის ხორცი.

³⁰ ნებური — სახალწლოთ გასუქებული ხარი. იმ ზაფხულ ამგვარ ხარს აღარ შეაბმენ უღელში, გაუშვებენ იალაზე მთაში და, მთიდან რომ ჩამოვა, მერმეც განსაყოფებულთა კვებენ. ამ გასუქებულ ხარს ახალწლიწადს დაკლავენ.

³¹ ხართავისაბეღი — უღელი ხარის რქებში მოსაბეღი ბაწარი (ღველი).

რცმელა³² ქვია იმას. კეცებ შუა დანაილ მარილ ამყოლ გავათბობთ და მოც-
ხე მარილით, ფელიკი დასერილებში ჩაყვრით. ვამარილებთ გობში. დავებუ-
ნავთ (მაშინ სიცივეა). ხუთი დღე ასე დავტოვებთ, მასუკან ამოვიღებთ და გა-
კვიდებთ კვამლიან სახლში და იქ გამოვა როგორც ბროლი. ესაა როლი. ხარი
ხორცი დაძარილებაც ასე უნდა, ხოლო ნაკლები მარილი უნდა.

ტაპის გამომუშავება

მთხრ. თომა პეტრეს ძე დვალიშვილი, 78 წ. (სოფ. ნიგავებში).

ავილებთ შრატს, ამაში მარილს ჩაყვრით ზომავზე, კასრზე ორ მუქ მარილ
ჩაყვრით და გავაკეთებთ სილაგს, ხილაქს. ამაში ჩავავდებთ ნელდ ტყავს და
მეოთხე დღეს ამოვიღებთ. თუ ხარი ტყავია, იმას შვიდი დღე უნდა ჩადება.
რომ ამოვიღებთ, ბანალი თავისათ გაცვირდება, გაიღვლიანება სულ. ავღებთ
და მოვხვლთ საზელაში, საღებელში (სოფ. ლები და ქიორა). საღებელი უბრა-
ლო ჭირკია, ამოჭრილი ნაპირზე და იმაში ხის ტარი უგია, რიკით. რომ ტყავს
მოუყოლებთ, დაწვება მეორე კაცი. კიდე ასე, კიდე ასე და ერთი რომ ქვე
უბრუხებს ტყავს საღებელში, მეორე ხან აწემს, ხან დაწემს საღებელი ტარს.
როცა კარგა მოვხვლავთ, შახტიანივით გახდება.

ცხვარი ტყავს და თხი ტყავს მაჭავანით მოვხვლთ. ჩამოვიღებულა მალა
ტყავიც და მაჭავანიც. ჩამოყვრამთ ფეხს. ფეხი მაჭავანშია გაყოფილი და ასე
ვხვლამთ სულ. თერთი თოვლივით გავხდით. მოვაფრკეთ მერე ფქვილს და და-
ნით გადავფხვკავთ კიდე. დავკრით და ვიყვრამთ ტყავს და გინდა, ტყავკაბას,
კრაველი ქულს. ამეებითინ თუ გვინდა ტყავი, იმას სილაგში არ ჩავდებთ.
ფქვილ და მარილს წავაფრკემთ, ზაფხულ ერთი დღე და ზამთარ ორ დღე ასე
შეხვეულ ვამყოფებთ და მერე გავაშრობთ მზეში და მოვხვლთ მაჭავანით.
საგულეთ რომელიც გვინდა, არ გავფატრავთ გატყავებისას — გულუკათ გა-
ვატყავებთ იმას.

გულათ ვიცი თხი ტყავი; თხი ტყავი — თანათ, ცხერი ტყავი — ტანი-
სამოსათ და ქულებათ. თხი ტყავი წინსაფარიც ვიცი.

ხარი ტყავს გავსხლიპამთ—სახსლიპავით³³. კვამლში ერთი თვე გავახმობთ.
მერე ხწორი შიმშათი დავკრით შოლტებათ: ზე ზურგი შოლტი, გავი შოლტი,
გვერდი შოლტი, მუცლი შოლტი [რომელსაც] ფერთხი ქვია. პატარა ხარი
ტყავში თითო წყვილი გამოდის, დიდი ხარის თუა, ორი წყვილი. თხი ტყავი
გულა და ტიპიც კეთდება — საღვინეთ. პატარასი — კუპრიელათ.

ტყავის საღებელი, მოსახელავი იარაღი წარმოადგენს უბრალო მრგვალ
ხის კუნძს, რომელიც ერთი თავისკენ ამოღარულია და კიდეები დაკბილული
აქვს. ამოღარულში დავებული აქვს ასაწევ-დასაწევი ხისავე ტარი, რომელიც
გაყვრილია რიკით საღებელის ნაპირებში. ორი კაცი, ერთს ტყავი უჭირავს და
ცხენურად გადამჭდარი კუნძზე უყოლებს ტყავს საღებელში ტარის ქვეშ ორი-
ვე ხელით, ხან — ერთი მხრით და ხანაც მეორე მხრით; მეორე კი საღებელის
ტარს ხან აღმა აწევს და ხან კიდე — დაღმა ამგვრათ ზელავენ საქალამნე
ტყავს. მეორე თავი მიწაზე აქვს დანდობილი და წინისკენ ორი ჭოხის ფეხი
აგია.

32 რცმელა — ქონის სქელი ფენა, მუცლის ღრუდან ქაქებაში, რომელსაც აკლიან, გა-
დალღობენ ცალკე ქონად. რცმელა მხოლოდ ღორს აერთმევა, სხვა საქლავს კი არა.

33 სახსლიპავი ეწოდება იმ ჭოხებს, რომელიც გასაქვიანთ გაუკეთდება ტყავს.

ლექსები

საქონლის მოვლა

მთხრ. სტეფანე გიორგის ძე კვირიკაშვილი, 89 წ. (სოფ. ჩხუტელი).

საქონელი ჩვენ-ჩვენთვის ვიცით — უღელი ხარი და ორი-სამი ძროხა. თითო-ოროლა თხა, ცხვარი გვეყავდა. შეძლებულ გლეხს მეტი ეყოლებოდა. ღორი ყველას ყავდა ცხენი ეგერ-აგერ ყავდათ. სულ ჩვენებური ჭიშის მომცროს საქონელი ვიცოდით. შეჩვეული იყვნენ ჩვენ ადგილ-მამულს.

ცხვარი ვიცოდით შორჩილი ტანის ჩვენებური — კატა-ცხვარი. ორჯელ იპარცებოდა: ახალფეხგასულს (გაზაფხულზე) და შემოდგომაზე. ნაზამთრი მატყლი უკეთესია. ზამთრი განარები მატყლი მეტი ღირდა, შემოდგომის მეტი ქიშეა¹. ნაპარცის გათვისება იცოდენ ორათ: კარგი თვისათ, დარეც — ისე.

ძროხა რომ ატყდებოდა, კაი ბუღას დავამაკებებდით. ძროხამ ხბო შოიტანაო, ვიტყვით, როცა ხბოს მოიგებს. ხბოს რომ მოიგებს, მოყვება პერანგი, იმას მოშეოლიც ქვია და ნადევარაც. ძროხას უჩდება ასოში (საშოში) ხორცმეტი, დაშალი მეტეკი, თვლებიანი რომ რამე იქნება, ისეთია, ამას ისდორას ვეტყვით. თუ ეს არ ამოიპრა და მერე არ ამეიწვა, არ მოარჩენს საქონელს.

ერთი წლის არის ხბო, ორი წლის — ბოჩოლა, სამი წლის — მოწვეერი, დიკეული, უშობელი, ოთხი წლის — ხარი, ძროხა.

წველის მოხაცემათ მუხუდოს დაფქულს თითო მუქს წამოუღლელებთ და ხელთბილს დავალევიებთ, რძე კარგი ექნება ძროხას.

წველა და რძის ნაწარმი

მთხრ. ქრისტინე მაქსიმეს ას. გობეჯიშვილი, 60 წ. (სოფ. ღვირიში).

ავიღებთ ქოთანს, გამოვრეცხავთ. ცოტა წყალს ჩავტოვებთ. იმითი ტუახ² გამოვბანთ ძროხას და გამოვწველით. გავწურავთ საწურში, ჩავასხამთ ჭურ-ქელში, ჩავჭნით საკიდლით³; საკიდელს საშიც ქვია. პატარა ჯოხს მოურევთ და ცეცხლი სიახლოეს დადგამთ. რძე დეიქნება, მერე ხელს (დაბანილი ხელით) ჩაუყოფთ, ჩაჭკრით ხელით მოყველულ რძეს. წაუყრით თავს და ამოვიღებთ ყველს. გვინდა, ჩეჩოში შეედებთ და, რომ აფუნდებოდა, მერე უზამთ მარილს, ურჩეხებია და მაშინთვე. ყველს დამარილებულათ ვინახავთ. თუ გვაჯილათ გვინ-

¹ ქიშე — ხელი, ურჩი მატყლი.

² ტუა — ქიანა, [ქიქანი].

³ საკიდელი — რძის საკეთილი.

და, იმას დამარჩილება არ უნდა. გოდუზელილ ყველს წეველა ყველი⁴ ქეია, გა-
დაზელილი რომ იქნება, იმას გვაჯილს ვერყვიოთ. სულგუნი რომაა მეგრულათ,
ჰე იმას ვერყვიოთ გვაჯილს. შრატს წამოვადულებოთ, იმაში აფუნებულ ყველს
დავეკრიოთ და ისე ჩავყრიოთ, ამყოლ ვაცლიოთ, ამევილებოთ და ჯამში გადავზელოთ
ხელიოთ, შერე წავაყრიოთ მარჩილს და შევიწახამოთ თავფართე ხალამში.

ერბო-კარაქის გაკეთება არ ვიცით. ვიცით ყველი და ხაჭვან⁵. ხაჭვას სვე-
ლისაგან ვაკეთებოთ. სველს ჩვენ შრატს ვეძახით. სველს დავადულებოთ ცეცხლ-
ზე, მოიხაჭვება. ჩავახამოთ ჩვიარის ჩანთაში და დავეწურამოთ.

ყველიერი თეთრ ორშათს ვიცით — ძროხების ლოცვა: ყველი, ერთი
ხმიალი პური, სანთელი და წყალი. ამეებს გობზე დავალაგებდით და წავიდო-
დით საქონელთახ, შემოვავლებდით თავზე: „ტაბლის გამჩენო, ისკელიტა მა-
დლიანო და დიდებულო, შენ მიეცი ჩემ ძროხას გამრავლება, გამთავნება, კაი
ძუძუ-შეკრდი“. ისკელიტას სალოცავი აქვეა ჩვენში. ხვამლობა დღეს ვიცით
იმისი დღეობა, წორეთ ამალლობა დღეს. ხვამლობა⁶ ვიცით ამალლობას.

საქონლის დაკვლა და ტყავის ბამოყენება

მთხრ. სტეფანე გიორგის ძე კვირიკაშვილი, 89 წ. (სოფ. ჩხუტელი).

საქონელს რომ დავკლავთ, ხორცს ავჭნით ასო-ასო. ჯერ ბეჭებს ავართ-
ვამოთ, მერე — უკანა ფეხებს, მერე — შეკრდი, გვერდები, სათბილო, ჰაჭვებიანი
ნაწილი ზურგისკენ, თქობები, კისრისკენ დარჩება სხამი და თავით კისერი.
ესენი ასოვებია. ასოები დეიხსნება ხახსრებში — ნაჭრებოთ, რავარც გინდა, ისე.

საქონელს რომ დავკლავთ, ზოგს გავატყავებოთ ოთხში — გუდურად, ზოგს
— ისე, უბრალოთ. ოთხშესი რომელი ვაკეთებდა გუდათ ღვინისთვის, რომე-
ლი ხალათთ (ზურგზე მოსაკიდებელი), სადაფქულეთ. მოუტუპარავ ტყავს ქე-
შელიც ქეია და გუდაც, მოკუპარულს კი კუპარო.

მთხრობლები: ლევან გოგინას ძე ხეცურიანი, 100 წ.; ბიჭინა ივანეს ძე
ჩხეტიანი, 98 წ. (სოფ. ღვირიში).

შავ ორშაბათს, დიდმარხვი მეორე დღეს, საქმელს არ ვკამდით სალაომ-
დი. არც რკინეთლის განძრევა შეიძლებოდა, ხელს ვერ მოვკიდებდით. სადმე
წავიყრიდით თავს და დროს გვაატარებდით სიმღერა და თამაშობაში. სალაომს
რომ მოვიდოდით სახში, დავგახვედრებდენ ტაბლას და ღვინო-სალოცავს. უფ-
როსი ქალი ვატებდა და თითო ლუკმა პურს ჩაასველებდა ღვინოში და დავგვირი-
გებდა ყველას. ეს დღე ნადირითვი არისო, ვიტყვოდით. საკლავს პირს შეუხვევ-
დით, ხადირი პირი შეკვრა იყო ეს — პირი რომ არ მოეკიდა საქონლისთვის.
ერთ დროში გველეშაბი ყოფილა ტვიშში. თურმე ი ურჯულო წყალ დარაჯობდა.
მეტი წყალი არ ყოფილა ახლო-მანლო. თუ ბოშს არ მიუყვანდენ, ისე წყალს
არ მიცემდა არავის. შევიდა თურმე ვაყინა შვილი. მამას თევთა რქმევია მისას-
თქმულობა ასეა და მართალიცაა. ეიჩემა შვილმა, რომ უნდა მოვკლა მაგი მხე-
ციო. მოუყვანეს ბოში და უნდა შეყლაპოს, რომ ვაყინამ დლოძახა, ვერ გადა-

⁴ წველა ყველა პირდაპირ დამარჩილებული ყველი ამოყვანისთანავე.

⁵ ხაჭვა — ის. რასაც აქ ხაჭვას უწოდებენ და შრატისაგან აკეთებენ, ზემო რაჭაში იმას
ნადული ეწოდება, ხოლო ხაჭვას თავმორთმულ რძის ნადულს უწოდებენ.

⁶ გვამლობა — დღეობა. ხვამლის მთავა ამისი სალოცავი და ამალლობას დიდი დღეობა
იციან თურმე.

ყლაპამო! მოუქნია ხმალი და შემოკრა. რომ დაჰკრა და საყენ-ნახევარი ევიდა. ზურგზე და სულ აჩეხა. ეს იყო ტვიშში, ახლაც სისხლი ცხია იქ სულ ქვებს... 'შავ ორ'შაბათს შავიტომ ვეტყვი და ვლოცულობთ ვაჟინა და ეივების.

რამაცა ცეხი გოუშვი! ხეცისა მტერი ეივების და მის შვილ ვაჟინას შეუწდოს!!! იტყოდა, რომ ილოცებდა უმფროსი კაცი. ყველა ვიტყვოდით: „შეუწდოს-ლოს-თქვა და გავტეხდით ტაბლას.

ცხენის აპაზგუშლობა

მთხრ. ივანე ლუკას ძე კოპალიანი, 59 წ. (სოფ. ლუხენი).

ანჩახი — ცარიელი ხის კეხი — გაუწყობელი.

ბალიში — სვერის ან ირმის ბეწვით გატენილი მეშის ბალიში, კეხზე.

ყუმი — ქვედა ბალიში, რომელზედაც ხის კეხი დაედგმის. მეშისაა.

საოფლე — ნაბდის ნაჭერი, რომელიც უშუალოთ ცხენს ზურგზე გადააფარებენ.

სამკერდე-საძუე — მთლიანი ღვედი, რომელიც ერთი მხრით კუდისკენაა წაღებული, მეორე მხრით კი წინ მკერდზე და მუცელს გაყვება მოსაპირებლგ-ბამდე. დამართში საძუე შეელის უნაგირს, რომ წინ არ წაცურდეს და აღმართში — სამკერდე, რომ უკან არ დაეცურდეს იგი. კეხის კოპულებს გაციროლი აქვს გრძელი და წვრილი ღვედები წინაც და უკანაც რისამე მისაკრავათ უნაგირზე. ამ ღვედეს უწოდებენ უწყვეტებს.

ლაგამი, აფგირი, აფშარა ცხენის პირის ასაბმელი ნივთებია.

საძუე, სამკერდე, აბჯანდის და ლაგამის ღვედები გაწყობილია ვერცხლის ან უბრალო თითბერის სამკაულებით, ხის კოპალები კი ძვალითა და ტყავით გადაკრული. ამის მოხელეს მეფუნაგირეს ვეტყვი. ძველათ ლაილაშში და ცაგერში ქვეყნის იყენენ, ახლა აღარ არიან და, თუ რამე დაგვკვირდება, სულ ხონიდგან მოგვაქ.

მანდილოსანი რომ ცხენით მიდის საღმე, იმას ცოტა ლამაზათ უნდა ცხენის შეკანა. წესი ასეთია ჩვენი.

უნაგირქვეშ ცხენს ასალს გადავაფარებთ. ასალი ოთხკუთხია, გადაკიდებ-ბი მოვლებული აქ ფოჩით. თავათ ღვინისფერია, დაქარგულობა ოქროსფერი აქ სირმით ან აბრეშუმით. ეს სულ ფარავს ცხენს — ძუამდი და პატროსანია შესახედავათ.

საპალნიანი ცხენისთვის სხვაგვარი მოწყობილობა გვქონდა: კურტანი, იმის ქვეშ ოქრო ან თოქალთო; უნაგირისას ყუმი ქვია, კურტანისას — თოქალთო; სამკერდე, საძუე, ქეჩა. „თოქალთო და მარტო ქეჩაო, მიტომ აღარ მინდა ბეჩაო,“ უჩივა თურმე ცხენი თავის პატრონს.

ცხენი დასაბმელი ბაწრის დაგრება ვიცოდით ღორი ჭაგრის. ცვარში რომ ვიცით ცხენის ბალახზე დაბმა, არ შედის წყალი იმაში და არ ალპობს, ეს უძლებს ცხენს. უძახით ბაგირის.

ქვემო სვანეთი

კუმან სამონლის მოვლა

მსხვილფეხა საქონლიდან ქვემო სვანეთში¹ გავრცელებულია ფურ (ძროხა), კან (ხარი), წვრილფეხა საქონლიდან — ღოღიწკ (ცხვარი), დაკგლ (თხა), ხამ (ღორი). ცხვარი სვანეთში პატარაა; დედალი ურქოა, მამალს კი პატარა რქები აქვს, კული ძალიან პატარა, სულ არა აქვს ღეშა.

ცხვარს ხახვეარ წლამდე ეძახიან უინაღ-ს, ერთი წლისას კი მეწხერდ, მერე კი ღოღიწკ-ს, დედალ ცხვარს — ზურაა, მამალს კი გიცარ-ს. ერთი წლიდან ორ წლამდე გიცარ-ს დაკოდვენ. დაუკოდავ ცხვარს ეძახიან ღუხ.

თხას ნახვეარ წლამდე ეძახიან ნელეშტ-ს, ორ წლამდე დარგ-ს, შემდეგ კი დაკგლ-ს. დაუკოდავი თხა არის მოტ.

ერთ წლამდე საძროხე ხბოს ეძახიან ღუნ-ს, ხბოს მოგებადღე ძროხა არის მე-სნავ, ძროგების შემდეგ კი ფურ. წლამდის სახარე ხბოს ეძახიან ლეკნწარი ღუნ-ს, ოთხ წლამდის — ღაბნა-ს, შემდეგ კი კან-ს. ორი წლის ღაბნა-ს (ხარს) დაკოდვენ (დაკოდვა — ლიღტვი ან ლიყრუფი).

ცხენი (ჩაუ). წლამდის კვიცს [ეძახიან]საბელ, წლის შემდეგ კი ფაშატ-ს. გახედნილ ცხენს ეძახიან ლგნჰუჩუ. ცხენს ორი წლიდან ოთხ წლამდე ლიყრუფი (დაწმენდენ).

ცხვარი და თხა ქვემო სვანეთში ძალიან გავრცელებული არ არის, მეტადრე თხა; ცხვარი უფრო მეტია — თითქმის ყოველ ოჯახს ჰყავს ორი-სამი ცხვარი, ან ცოტა მეტი; თხა კი თუ ეინმეს ჰყავს, თხუთმეტიდან-ორმოცდაათამდე. თხის ბალანს სვანი არ იყენებს, ცხვარი კი მატყლისათვის უნდა.

მატყელი სამ ხარისხად იყოფა: ნაქადრან (ქად — მუცელი, მუცლის მატყლი), რომელიც ძლადე ხარისხად ითვლება, რადგან ცხვრის წოლის დროს მატყელი უფრო ითვლება და ცელება; მეორე — კაცხ (მატყლის წვერი), მესამე — ქულა, რომელიც ითვლება პირველ ხარისხად და იხმარება ქულებისათვის, იქსოვება შალი და სხვა. კეცხ-იდან კი უფრო წინდებს, პაიჭებს ქსოვენ.

მაისიდან საქონელი იდენება მთებზე, სადაც რჩება სამ თვეს (მაისი, ივნისი და ივლისი), ძროხები კი ორ თვეს. მთაზე საქონელს ჰყავს სოფლიდან მიჩეხილი მწყემსები, იქვე აქვთ საგანგებოდ აგებული კარგები, სადაც დაბინავებულები არიან ქალები და მწყემსები. იშვიათია ოჯახი, რომ ერთი ძროხა მაინც არ ჰყავდეს, უფრო ხშირია — სამი-ხუთი ძროხა. წინად კი მეტრე, მაგალითად, შევიდო-რვა ძროხა ჰყავდათ ხოლმე.

თითქმის ყოველ ოჯახიდან ორი თვით ქალი მიდის ხოლმე ძროხებთან ერთად მთაზე; არის შემთხვევა, რომ ერთი ქალი ჩაიბარებს ორი-სამი ოჯახის ძროხას განსაზღვრული ჭირით, უმთავრესად ფულით და არა ნატურით. მთიდან

¹ დედანში მობრობელი დასახლებული არ არის.

სოფელში კვირაში ორჯერ-სამჯერ ეზიდებიან ყველს. მთიდან რომ საქონელი ჩამოვა, სამი თვის განმავლობაში (მარამობისთვე, ენკენისთვე და ღვინობის-თვე) ბალახობს ადგილობრივ, სოფლის მინდვრებში და ყანებში; თივას ამ დროს არავენ აკმევენ საქონელს, თივა კი დამზადებულია სოფლად ივლისში, და შთებზე, სადაც ძალიან ხშირად მიდიან სათიბად მარამობისთვეში. ამ სამ თვეში საქონელი მინდვრებიდან საღამოობით შინ იღენება, გარეთ რომ დაურ-ჩეთ, აუცილებლად ნადირი შექმას. გიორგობისთვეში კი, როდესაც მოსახლეობა დარბაზ-იდან მარაბ-ში ჩამოდის [საცხოვრებლად], საქონელსაც ბოსლებში აბამენ, მანამდე კი დაუბმელი ჰყავთ შიგ — მარაბ-ში.

სანამ ჩამოსახლებიან ქვემო სართულში, მარაბ-ი უნდა გაიწმინდოს, გაიფხიკოს, რადგან იქ დაგროვილია გაზაფხულის და შემოდგომის ენწ (ნაკე-ლი). ამ თვეებში დაგროვილი ნაკელი ითვლება პირველ ხარისხოვნად, ეძახი-ან ნანზავ ენწ-ს. ზამთარში კი, რომ გროვდება გვალ-ში, დაიყრება უკანიდან ლანწვალაშ-ში: ითვლება მეორე ხარისხოვნად. ნანზავ ენწ გააქვთ ყანაში მა-შინვე, მარაბის გაწმენდის დროსვე და ერთად ყრიან სასიმიინდე ყანაში, უფრო გამოფიტულ ადგილას; მეორე ხარისხის ენწს, ნალუნთ-ს კი ზამთარში დაგრო-ვების მიხედვით გაიტანენ, იმსაც სასიმიინდე ყანაში.

ოჯახი უკვე აღბინავებულია მარაბში, საქონელი კი ჯერ მხოლოდ ღამე იბნება; თუ ამინდი კარგია და მინდვრებში ცოტა ბალახი იშოვება, შინ მხოლოდ საღამოს აკმევენ, თუ გარეთ ბალახი სრულებით აღარ არის და თუ კიდევაც მოთოვა, მაშინ საქონელს დღეში სამჯერ აკმევენ. საკვებს აწვდიან დიდი გოდრით, რომელსაც ეძახიან .კვარ. საქონლისათვის საკვების მიმწოდებ-ლად მიჩენილია განსაკუთრებული კაცი, რა თქმა უნდა, ოჯახის წევრი, ჩვეუ-ლებრივ მამაკაცი, მაგრამ არა იშვიათად ქალიც. საქონლისათვის საკვების მიმ-წოდებლად შიჩხილ კაცს ეძახიან მკვარტიელ-ს. დილას, ადგომისთანავე, მკვარ-ტიელი შეუდგება თივის საქმეს.

კუმაშ (საქონელი) ბავაში აბია შემდეგი წესით: ნაპირში — უფრო ძლიე-რი, მაგალითად, ხარები, მერე კი ძროხები, რომ ძლიერმა უფრო სუსტი არ დაჩაგროს საკვების ჩაყრის დროს და კიდევ იმიტომ, რომ ხარი ბაგდან აღვი-ლად გამოიყვანონ სამუშაოდ.

დილის საკვები შეადგენს ჩალ (ჩალას), ვოჯ (ბზეს) და ქუნჩალა-ს (ფუ-ჩეჩს) და არა თივას. მეორე ჯერი კვებისა არის შუადღისას; მხოლოდ ჯერ სა-ქონელს გადენიან წყალზე იწმინდება გვალ-ი (გვალა-ლიხნე). გვალის დაწმენ-დას უსაუფოდ ქალი ასრულებს, უფრო ახალგაზრდა. შემდეგ საქონელს წყლი-დან მოდენიან, დაბამენ და მაშინვე მიაწვდიან მეორე ჯერ საკვებს. მეორე ჯერი საკვები უფრო ცოტაა, ვიდრე პირველი და მესამე, რომელსაც დაღამე-ბამდე აძლევენ. დილის კმევას ეძახიან ხეგ-ს, მეორეს — ლიმაიდნალ-ს (სამხ-რობა) და მესამეს — ვახშნობ-ს. ზამთრის საკვებს ძალზე მომპირნებობთ ეკი-დებიან, მეტადრე თივას, რომელსაც აკმევენ მომუშავე ხარებს და ხბომოგე-ბულ ძროხებს. ჭემ-ს (თივას) განსაკუთრებით ხენის დროისათვის ინახვენ ხარებისა და გასაზრდელ ხბოებისათვის.

ძალიან უფრთხილდებიან მაკე ძროხებს, ეშინიათ გაბერწყების (მაკე — აშდქე). ამის წინააღმდეგ პირველ წამლად შელოცვები მიაჩნიათ, რომლებიც ძალიან გავრცელებულია ქვემო სვანეთში. შელოცვა ყოველთვის [სრულდება] ქართულ [ეხაზე]. მაჭრან ლიშიზირ (მუცლის წახდენის საწინააღმდეგო შელოც-ვა):

სამჯერ სხელითა
ღვთითა, მაპითა,

სულითა წმინდითა,
აბრამისა წყაროზე
ღელა-შეილი მოდიოდა,
შეილმა დედას ანი სთხოვა,
ბანი სთხოვა;
ანი არ მისცა,
ბანი არ მისცა;
ანი დადგა, ბანი დადგა,
ცა დადგა, ცაში მარსკვლავი
დადგა, რაც ძროხამ ეს
შექამოს, იმ ძროხას
მუცელში ხბო დადგეს,
არც იმძვრა, უდროოდ,
არც იყარა; ღმერთო,
ეს ლოცვა ჩემი იყოს,
ბძანება შენი იყოს,
დრომდე, დრომდი,
მართებლობამდი².

ამის გარდა, თუ საქონელი ავად გაუხდა, ქამას უკლო, ის ამ მოვლენას
უფრო ხშირად ავ თვალს აწერს და ამისთვისაც შელოცვა არის მისი წამალი.
ამ შელოცვას ნათალყვი ღიმიზირ-ს (ნათვალევის ლოცვას) ეძახიან.

ღედა მარია, ღეთის დედა
მარია, ღედა მარია, რა გატი-
რებს, რა გაუღოვლებს;
რავა რა მატირებს, რავა რა
მაუღოვლებს, ჩამეიარა
ურია ქეთერმა, შამომთვალა,
შამომალა, შამომიგირძნეულა;
ქსელი ამიშალა ძოწეულისა,
სკამი ღამირღვია ოქროსა,
ცრემლი მაყრევირა
მარგალიტისა; ნუ შამომ-
ლალის ურია ქეთერმა,
ქსელი ნუ ამიშალის
ძოწეულისა, სკამი ნუ
ღამირღვიოს ოქროსა,
ცრემლი ნუ მაყრევირის მარგალიტისა;
გასკდა შავი კლდე,
გამოვარდა შავი ქალი,
მას გამოყვა შავი გველი,
ისე ტყდება, ისე გჭება
იმ ბავშვის, ქალის მღალავს,
მთვალავს გულში მახვილო,
თვალში ნაცარი,
ასი კონა ეკალი გულს
ასვია, ასი კონა მახათი
თვალს ასვია.
ფუ! აი რუღუი, რუი მის
მთვალავს, მის მღალავს
ამ ბოშს წმინდა გიორგის
ჩვარი სწერია.

² შელოცვის ტექსტი აქაც და ქვემოთაც ეკუთვნის სოფ. შვედის (ლაშხეთის თემი) მცხოვრებ 30 წ. მაგრაფ ცხუშარას.

წელავი, რომელიც უძეად ჰკლავს ხოლმე საქონელს, თავის შელოცვას თხოულობს.

ღმწირ — წელავი
ათი ქუთუნი, ჩარი ჩა-
რენი, სამი სოფელი,
ერსკენის შეილი,
ანისა, ვანისა, მოუკელი
კელასა, ერგო ცხენსა,
რუხი მგელსა.

წველა და რძის ნაწარმი

ქვემო სვანეთში საწველი საქონელი უმთავრესად ძროხაა; აქა-იქ თხაც არის, მაგრამ მხოლოდ ცოტა და ისიც უფრო ხშირად ქვემო სვანეთის ერთ თემში, ლენტეხში. მწველ ძროხას ეძახიან ლაშფფურ. იშვიათ (სწველიან) ძროხას დილა-საღამოს სეგდა-ში (ხის კასრებში). ლგჯე-ს (რძეს) სეგდა-დან ჩასწურავენ (ლიწვლი) თუჯის ქვაბში; პატარა თუჯის ქვაბს ეძახიან კარდალაჲ-ს. რძე იწურება — იწურებოდა უფრო ძველად — მთის ბალახის წერეჭჭვ-ის საშუალებით, რომელიც ჩაიდებოდა ლაწვდარ-ში — ხისაგან გაკეთებულ ოთხკუთხედში. ეხლა ამ ლაწვდარ-ში ნარმას ჩასდებენ ხოლმე ბალახის მაგიერ. გაწურვის შემდეგ რძიან ქვაბში ასხამენ ლალღერ-ს (საკვეთს) და ხის სამკაპიანი ფერთხ-ით (ბოძალით) ურევენ. ფერთხ-ი აუცილებლად უნდა იყოს მცენარე ადრა (იელი), რომელიც, როგორც ამბობენ, იცავს ნაწველს ცუდი თვალისაგან.

ლალღერ-ს აკეთებენ ამგვარად: აიღებენ მაჭიკ-ს, შეიძლება ღორის, ძროხის — უფრო უკეთესად მიანიათ ხბოს მაჭიკი — დაამარილებენ და შუაეცხლზე გაახმობენ; თითქმის მთელი ზამთარი ცეცხლზეა, გაზაფხულისთვის უკვე ვარგა მოსახმარებლად. გამხმარ მაჭიკს ჩასდებენ საკვეთისათვის ძიჩენილ ჭურჭელში, რომელიც ან თიხისა არის (თავმოჭრილი დოქი), ან — ხის სეგდა-ში; ადუღებენ წყალს და გაციებულს ჩაასხამენ სეგდა-ში, ჩაყრიან ძარილს, შაშხის ძელებს და მაჭიკთან ერთად ურევენ ფერთხ-ით. ამგვარად დაყვებულნი ლალღერ-ის ხმარება მესამე დღეს შეიძლება. ლალღერ — ჩაისხმება ზომამზე; რაც მეტია რძე, მეტი ისხმება, ნაკლებია — ხაკლები, — და თან ურევენ ფერთხ-ით. შემდეგ ჩადგამენ თბილ ნაცარში, დაახლოებით ერთ-ორ საათს. მეტი დაყოვნება ყველს აფუქებს. დაკვითილი რძე, თუ საკეთი კარგია, მალე შედდებდა, მაშინ ხელით აურევენ და მიადგამენ ნელ ცეცხლზე; ძალიან გაცხელებას არ აცლიან და ორივე ხელით ხელ-ხელა აერთებენ ყველის გუნდას და ისე იღებენ. ახალ ამოღებულ ყველს ეძახიან თოთ თაშ-ს. ჩასდებენ დაწულ ზერდ-ში (კონუსისებურ კალათში), რომელშიც მოთავსებულია შუადღემდე, რომ უფრო დაიწუროს და შემავრდეს. ზერდ-იდან ჩასდებენ შიგელ-ში, რომელიც წარმოადგენს ოთხკუთხედს ან დაწულია კალათისებურად ან ფიცრებისაგან არის გაკეთებული. შიგელს-ს აქვს სახურავი ან დაწული, ან ფიცრის. კარი კი ყოველთვის ფიცრისა აქვს. ამ შიგელ-ში გროვდება რამოდენიმე წველა. ქივ (წველა) არის ერთი ნაწველი რამოდენიმე ძროხისა ან შეიძლება — ერთისაც, მხოლოდ გარკვეულად ქივ (წველა) არის უფრო მოზარდილი, რომელიც ავისებს ზერდ-ს. რამდენადაც ქივ-ი კლებულობს თანდათანობით, სახელწოდებაც იცვლება, მაგრამ ხშირად განზრახ ამცირებენ ხოლმე, ერთი რომ ავი თვალისაგან დაიცვან და მეორე კი,

არ უნდათ სხვას გააგებინონ ყველის ოდენობა. ქივ — ერთი მოზრდილი წველა, ქიულ — უფრო ნაკლები წველა. კიმრდილ — კიდევ უფრო ნაკლები, კანკულ — სულ პატარა წველა და ჩხტულ — უუმცირესი წველა (ჩხტ — კენჭი).

დაკვეთილ რძეს ეძახიან ლაყელა როდესაც რძე ცოტა არის, ან უნდათ განზრახ შეამცირონ რძის ოდენობა, იტყვიან ხოლმე — ცვარილ, — ცოტა რძე, ცვარილულ — უფრო ცოტა: ყველის ამოყვანა — ლიჟმლე, ცვარილს ზეჟმლე — ცოტა რძისაგან ყველს ამოვიყვან და ასე შემდეგ.

შიგელ-ში რომ ქივები მოგროვდება, დაახლოებით — ოთხი-ხუთი, მერე იციან მისი შენახვა ასეთი წესით: თითო ქივ-ს დასჭრიან ორად თუ ზომავთა ქივ-ი, და — ოთხად თუ მოზრდილი ქივია. დაჭრილ ყველს დაამარილებენ, რაც შეიძლება მეტად და ჩასდებენ ხალამ-ში, თიხის ქოთანში, რომელიც მოაქვთ ხოლმე ლეჩხუმიდან, წყალს არ ასხამენ. გაავსებენ ხოლმე ხალამ-ს და დაადებენ ქვევს შიგ — ხალამ-ში და მერე თავზე სარქველს დაახურავენ. ასეთი წესით შენახულ ყველს ეძახიან კაზალ-ს, კაზალი შდიქ — კაზალ-ის კბილი; ეს ერთი სახეა ყველისა.

მეორენაირ ყველს ეძახიან ლეჭმარე, რომელსაც ლეჩხუმში გვაჭოლს უწოდებენ, სამეგრელოში კი სულგუნს. ლეჭმარე-ს ამგვარად აკეთებენ — უფრო ზაფხულობით: ერთი დღე-ღამის განმავლობაში ქივ-ი ოცხე (აფუქდება), მეტ-ზე უნდა იყოს ყველი, რომ ლეჭმარე გაკეთდეს; ვაცხელებენ ქვაბში წყალს — ერთ ქივ-ზე ერთი ჯამი წყალი უნდა, მხოლოდ წყალს არ ადუღებენ, შემდეგ ქივ-ს თხლად ჩასჭრიან ქვაბში და ჩოგნით ზელავენ. ქვაბში ყველი გაიწელება და მაშინ ქვაბიდან ამოიღებენ და თევზში ან პატარა გობში ხელებით აჭევენ (ზელავენ); მერე გააბრტყელებენ, შეალამაზებენ და ზემოდან დააყრიან შარილს. თუ შესანახავად უნდათ, ერთიმეორეზე დაადებენ, დაამარილებენ და ამგვარად შეინახება ხალამ-ში, უფრო ხშირად კი — ხის კასრებში. საპატარო სტუმრებისათვის ძალიან მიღებულია ახალი გაკეთებული ლეჭმარე. ხალამ-ში შენახული ლეჭმარე მაგარია, მკვრივი. იმას კიდევ ხშირად მზეზეც გაახმობენ ხოლმე, როდესაც საჩქაროდ გასასყიდად უნდათ. ხშირად აკეთებენ ხოლმე ლუსდუგ ლეჭმარე-ს, დაწულ სულგუნს, რომელიც უფრო სტუმრისათვის იციან, ან მიცვალებულის სულის მოსახსენებლად — საკურთხად. ლუსდუგ ლეჭმარე-საც მეტზე ქივ-ი უნდა, წყლის მეტი ვაცხელება, მეტი დახლევა შემდეგ ამ ყველს სამად, ან ხუთად გაანაწილებენ, გააგრძელებენ და მერე დასწნავენ ერთად, ან კიდევ ჩიტების, პატარა თხის სახეს მისცემენ ხოლმე და გაახმობენ, მაგრამ დიდხან არ ინახავენ.

მესამენაირი შესანახი ყველი არის ლგნე თაშ — დამდნარი ყველი, რომელიც ასე მზადდება: რამოდენიმე ქივ-ს გობში ჩასჭრიან და მაგრად ხელებით დაზეღავენ; კარგად რომ დაიხელება, ჩაყრიან ქვაბში — უწყლოდ და ცეცხლზე დასდგამენ, ურევენ ჩოგნით, ძალზე ვაცხელებენ, მაგრამ არ აადუღებენ. ქვაბში ყველი გაიქნება, გათხელება, ზედ შარილს დააყრიან დამდნარ ყველს და შემდეგ ქვაბიდან პირდაპირ ხალამ-ში გადასხამენ. თავს მოუკრავენ და შეინახავენ. ამოღებისას ეს ყველი გამაგრებულია, თავზე და გარშემო ერბო აქვს. ასეთი ყველი უფრო ხშირად ინახება მომცრო ხალამ-ში, რომელსაც დგამენ ბელელში და სძლებს ერთ წელიწადს. ქვემო სვანეთში ასეთ ყველს უფრო ხშირად ლაშხეთის თემში აკეთებენ, დანარჩენ თემებში, მაგალითად, ჩოლურ-ლენტეხში, არ იციან.

ყველის ამოღების შემდეგ რომ ზველ (სველი) რჩება, იმის გამოყენება იციან ნაღებ-ისათვის (ხაჟო), რომელიც ზაფხულობით მთაზე კეთდება ხოლ-

მე. სველს ქვაბში ერთს მაგრად წამოადუღებენ, მერე ნაკვერჩხალზე დასდებენ — ცალ გვერდზე, ნელი ცეცხლი აქვს და ნელ-ნელა ადუღებენ; ადუღებენ ნახევარ საათს, შემდეგ კი გადასდგამენ ცეცხლისაგან მოშორებით — ერთი საათით მაინც. ამ დროს ის ჩოტყურიში (ილექება) შემდეგ კი წერეჭყვის საშუალებით გაიწურება ნარმას ხმარობენ გასაწურადად; ქვაბში ბოლოში რჩება ნაღებ (ხაჭო), რომელიც ზაფხულობით სევანის ოჯახის ერთ-ერთ საკამადად ითვლება. წვენს, რომელსაც გამოჰყოფს ხოლმე ხაჭო, ეძახიან ნაწრეჭ-ს. ნაწრეჭი იხმარება ღორებისათვის, მხოლოდ ბევრს არ ასმევენ, რადგან შეიძლება მოკლასო.

ყველს უმთავრესად ზაფხულობით ხმარობენ, მხოლოდ მშრალად, პურთან ერთად ჭამა იშვიათად იციან; უფრო სიმინდში ურევენ ხოლმე, გამოცხობის დროს, — შეაზელენ ერთიმეორეს და ამ შეზელილ სიმინდ-ყველს ჩაურთავენ პურის ან უფრო ხშირად ქერის ცომში და ისე გამოაცხობენ; ასეთ პურს ეძახიან ლუკვენ-ს.

მხოლოდ სტუმრისათვის ან საქონლად იციან თაშარ-ების (ხაჭაპურების) გამოცხობა. მართო ყველს დაზელავენ, დაამარილებენ ზომავზე, სულ ცოტას ჩაურევენ სიმინდის ფქვილს, ზოგი კი არც ცოტას და მოზელილ, დაგუნდავებულ ყველს ჩასდებენ პურის ცომში, გააბრტყელებენ და დააყრავენ გახურებულ კა-ზე.

ყველისაგან აკეთებენ კიდევ თაფმგჯაბ-ს, რომელსაც ლეჩხუმში და ქვემო სვანეთშიაც ეძახიან ხაწამწვარს. ტაფაზე ან ჩოან-ში (საშუალო ზომის ქვაბში) სულ ცოტა წყალს ჩაასხავენ და აადუღებენ, შემდეგ შიგ ძალიან თხლად ყველს ჩასჭრიან, მხოლოდ ახალს კი არა, არამედ მეტხეს-ს — დღე-ღამის განმავლობაში აფუეებულს და ჩოგნით განუწყვეტლივ ურევენ, ყველი რომ დალხვება ქვაბში, ზედ დააყრიან პურის ან, უფრო ხშირად, სიმინდის ფქვილს, მოურევენ მაგრად, ადუღებენ. ამ დროს ის სულ ერბოს იყენებს თავზე და თუ ყველი ზომავზე მეტხე არის, მაშინ იმის გაწყვეტა ძალიან ძნელია — სულ იწეობა; ასე რომ ჩოგნით რომ აიღებ — კაცის სიმაღლეზეც კი არ წყდება. ასეთი გამოდის მამინ თუ ზომიერად არის ყველი მეტხე, თორემ, თუ მეტად, ან ხაკლებად არის აფუეებული, ასეთი გაწელვა შეუძლებელია. ქვაბიდან თაშმგჯაბს თეფშზე გადმოასხამენ და ხმარობენ უფრო ცხელს, რადგან ცივი ჰკარგავს გემოს და მაგრდება.

კუმავი ლიძინი — საქონლის დაკვლა, ტჰაპის უმნახბა

სახორცე — ლაძია. გარდა ღორისა იყვლება ძროხა, ხარი, ხბო, თხა და ცხვარი; დაკლული საქონლის ლიტფურე (გატყავება) იწყება კისრიდან. დასაკლავი მსხვილფეხა საქონელი უნდა იწყეს გულადმა; დაკვლის შემდეგ თავი მოიჭრება და შერმე იწყებენ გატყავებას კისრიდან. დანას ლგშერე-ს (გალესილს) ჩამოუსვამენ პირდაპირი მიმართულებით მუცელზე ბოლომდე; მარჯვენა ხელით დანას ამოქმედებენ, მარცხენათი კი ფრთხილად სწევენ ქვემოთ ტუფ-ს (ტყავს), რომ არ გაიჭრას. ტყავს რომ მოაქლიან ხორცს, გაშლიან და მერე გასწმენდავენ, რომ ზედმეტი არაფერი დარჩეს ზედ და დაეცავენ ოთხად. ამ მდგომარეობაში ტყავი არის ერთი დღე. შემდეგ იწყება ლედ-ის (ხორცის) მოკლა.

გატყავებულ საქონელს დაჭრიან ასო-ასო. პროცესს ეძახიან ლისურე. პირველად ამოიღება ბარჯ (მხარი) — ამას ეტყვიან ბარჯლე ლიკღრე-ს, შემდეგ მაშკარი — ლიკღრე (ბარკლებს ამოსჭრიან), მერე — ლესგარი ლიკღრე.

რე-ს (გვერდებს), ლესგარ-ის შემდეგ იღება სგაშურა (შიგნეული), რომელსაც წიკანტარ-ს ეძახიან; შემდეგ — სათბილარ, ფოყარ, სხაპ, ბერხეშალი, რომელიც საუკეთესო სამწვადელ ითვლება; ყველაზე ბოლოს რჩება კინჩხ (კისერი). ამით თავდება ასობის ამოღება, რაც ნაყახის და დანის საშუალებით ხდება. შემდეგ იწყება ტყავის მოვლა.

უნდა მოსჭრან ოცი ღერი კვედელ (წკნელი). გაუთლიან წვერებს ამ წკნელებს, გაშლიან ტყავს და, სიგრძე-სიგანეზე, ნაპირებში რამოდენიმე ლიფტე (ხახვრეტს) გაუკეთებენ და ამ ხახვრეტებში აქეთ-იქით შეარქობენ გათლილ-გამახვილებულ წკნელს, სიგრძეზე — ათ ღერს და ამდენსავე — სიგანეზე, რომელსაც ეძახიან ნაკპირუნ-ს, ორი ნაკპირუნ-ი კი ჭვარსახდ — კეთდება. ამის შემდეგ უნდა გახმეს-გაშრეს. ამისათვის მოათავსებენ ხოლმე სხვენზე, სადაც ორი-სამი კვირა არის. მზეზე გახმობას არ ეტანებიან, ვინაიდან ჰფიქრობენ ცეცხლზე გამხმარი უფრო მაგარი გამოდისო. ტყავის ამგვარად შენახვას ეძახიან ტუფი ლიკპირე-ს.

მსხვილფეხა საქონლის ტყავისაგან უმთავრესად ქალამნებს ჰკერავენ. საზოგადოდ სვანეთში ფეხსაცმელს, რისაც არ უნდა იყოს ის, ეძახიან ჩაფგლ-ს, მხოლოდ საქონლის ტყავისაგან გაკეთებულს — გვერწი ჩაფგლ-ს. გვერა იგივე მსხვილფეხა საქონლის ტყავია, ტუფ.

საქონელს, კუმაშ-ს გარდა, ეძახიან კიდეც მანგარ. მანგრა გვერა — საქონლის ტყავია.

ხბოს, ცხვრის და თხის ტყავისაგან აკეთებენ უმთავრესად ქაცო-ს გუდას. დაკლულ ცხვარს ან თხას, ან კიდეც ხბოს ჩამოჰკიდებენ ხოლმე სვეტზე და დანის საშუალებით რგვალად გაატყავენ; ამ რგვალად გატყავენულში, ისე რომ ბალანი შიგნითვე იყოს, ჩასტენიან, რაც შეიძლება მაგრად და ბლომად თივას და ცეცხლთან ჩამოჰკიდებენ ერთი-ორი კვირა. შემდეგ თივას გამოჰყრიან, ხელით მაგრად დაწელავენ, გადმოაბრუნებენ, ბალანი გარეთ მოყვება; იხმარება მგზაურობაში, ტყეში, სანადიროდ, პურის შესანახავადაც.

ლენტეხის თემში მეტადრე და ისე კი სხვა თემებშიც, თხის ტყავისაგან იციან ხოლმე კწე-ის — უსახელო ჩასაცემის გაკეთება, რომელსაც ერთი მთლიანი ტყავი უნდა შიყ-ის — უკანა ნაწილისათვის, ზურგისათვის, ხოლო მეორე — მთლიანი ტყავი ორად გაიჭრება და აქეთ-იქით გვერდებზე ზურგის ტყავს მიეკერება.

გეგმი საეპერალო

ამძროხეობა

მთხრ. ჩაგუ კვარაცხელია, 65 წ. (სოფ. ჭგალი).

მე სამჯერ გამიწყდა ძროხა¹. სულ ცოტა, რომ ვთქვა, ორმოცი წელიწადი ძროხაში ვარ. ძროხის შვილს ერთ წლამდე გინს ვეძახით, მეორე წელიწადს — ქაბლას (განურჩევლად სქესისა); მესამე წელიწადს კი მამალს ვეძახით მოზვერს, დედალს კი — ჭაკელას. მესამე წელიწადს ჭაკელი მაკდება.

ჯოგი ზამთარში ზღვის პირას გეყავდა. იქ იზრდება ფშკერი (წყავი) და ბარცხი (ბარძგი); როგორც რომ თოვლი მოვიდოდა, ამ მცენარეებს ვჭრიდით და ისე ვკვებავდით ძროხას. როცა დიდი თოვლი იყო, ცურუს (სუროს) ვჭრიდით და მით ვკვებავდით. თუ თოვლი სულ არ იყო, ძროხა თავისუფლად დიდოდა მინდორში და იქ იკვებებოდა.

მაისის ოცდახუთიდან ძროხა მთაში გეყავდა. მთაში ძროხა იკვებებოდა თვაზათი, სამყურათი და სხვა მცენარეებით. თვაზა ტყეში იზრდება, სამყურა კი — ტიტველ ადგილებში. თვაზას ძროხა შემოდგომაზე სჭამს. რა თქმა უნდა, ძროხას როგორც ბარში, ისე მთაშიც გულმოდგინედ ვწყვემსავდით: გეყავდა ერთი 10—15 წლის ბიჭი, რომელიც ხბოს უვლიდა, [ამას გარდა] ყოველ ამ მეწველ ძროხაზე — კარგი გამოცდილი მწველავი.

როცა მთაში მივდიოდით, ორი-სამი კაცი ერთად შევამხანაგდებოდით. ყოველ ას ძროხაზე საჭირო იყო ოთხი კაცი. ვირჩევდით ერთ მეჭოგეს უფროსად. შეამხანაგებულ პირებს საერთო კარავი ჰქონდათ. კარავს სამი საყენი სიგრძე ჰქონდა, სიგანე — საყენ-ნახევარი; კეთდებოდა იმ მასალისაგან, რა მასალაც იზოვებოდა მთაში. შიშველ ადგილებში (სადაც ხე არ იზრდებოდა) კარავს ქვისაგან ვაშენებდით და ვხურავდით ფიქვის ტოტებით ან ყავრით. ზოგ ადგილას წახელისაგან ვწნიდით კარავს და ყავრით ვხურავდით, ზოგჯერ — ისლითაც. კარავი მოგრძო შენობა იყო, შუაში ყებურს (შუაეცხლისათვის ოდნე ამალღებული ადგილი) ვაკეთებდით; ზედ ჩამოვკიდებდით ხისაგან გათლილ კაჩეს. ვისაც ჰქონდა, ჰკიდებდა რკინისაგან გამოქვილი ლარჭას. თუ მოგვეპოვებოდა, დასაწოლად ფიცრებს მივადგამდით კედელს; თუ არადა, გავშლიდით ნაძვის ტოტებს და ვწვევბოდით ისე, რომ თავი კედლისაკენ გვექონოდა და ფეხები შუაეცხლისაკენ.

დილით მოვავრკვებდით ძროხას მოსაწველად. ერთი კაცი წველიდა მზოლოდ ათ ძროხას. მოწველის შემდეგ ჯოგს გავრეკავდით საძოვრად. ერთი კაცი

¹ დედანში ამ თავს ეწოდება — „ჩხოლში ჯოგი (ძროხის ჯოგი)“.

თან გაპყვებოდა. ბავშვები წავიღოდნენ ხბოს საყარაულოდ. დანარჩენები კარავში რჩებოდნენ.

ძროხის მოსამრავლებლად ორმოც ძროხას მიუჩენდნენ ერთ კუროს (ხარს). ეს ორმოცი ძროხა ყველა მეწველი არ იყო. კუროს პატარაობიდანვე შეარჩევდნენ. ხბოს ძროხის ორ ძუძუს უტოვებდნენ მოსაწოვებლად. კურო თავის ნებაზე იზრდებოდა. მესამე წელიწადს უკვე გამოდგებოდა გასამრავლებლად. კუროდ აუცილებლად ჩვენებური ძროხის ხბო უნდა ყოფილიყო.

როდესაც ძროხას ვკლავდით, ან ძროხა დაშავდებოდა, ვატყავებდით. გატყავებას მუცილიდან ვიწყებდით...

მთაში როცა მივდიოდით, თან მიგვქონდა ნჯა, ბუყუნი, კალაპოტი, ჩაყვა და მურძა. ფქვილი ლაგუჯით ზურგზე [მოკიდებულ] მიგვქონდა.

მეცხვარეობა

მთხრ. გუსარი ციმიტია, 75 წ. (სოფ. ჯვარი).

ას თავ ცხვარს და თხას ერთად ჯოგს ეძახდენ. ძველად ცხვრის ფარა ცალკე იყო და თხისა — ცალკე. ცხვრის ფარას აუცილებლად გააყოლებდნენ ოცდაათ ან ორმოც თხას; თხის ფარაში კი ცხვარს არ გაურევდენ.

ცხვრის შვილს ერთ წლამდის კერებს (კრავს)² ეძახდენ, მეორე წელიწადს — ჭვანთს, მესამე წელიწადს კი ცხვარს. ჭვანთს დედას ეძახდენ, მამალს კი ვარჯაკს. მესამე წელიწადს დედალ ცხვარს ჭყვირს ეძახდენ, მამალს კი ერჯის.

თხის შვილს ერთ წლამდის ქაცარს ეძახდენ, მეორე წელიწადს დედალს დარჯას ეძახდენ, მამალს — ოჩაჯას; მესამე წელიწადს დედალს ყვირს ეძახდენ, მამალს — ოჩს.

ცხვარი ორნაირი ჯიშის გვყავდა: ღუმინი და უღუმო. უღუმო ცხვარს კატა-ცხვარს ეძახდენ, ღუმინს — ტყარე-ცხვარს.

ცხვარს ორჯერ კრეჭდენ: ერთხელ ენკენისთვეში, მეორეჯერ — აპრილში ან მაისში. ენკენისთვეში განაკრეჭ მატყულს ნაჯვალ მატყულს ეძახდენ, აპრილში ან მაისში გახაკრეჭს — ნაბუთუხს. ცხვარს კრეჭენ მაკრატლით. მატყლი იყო გრძელბეწვა და მოკლებეწვა. მოკლებეწვიან მატყლისაგან საჩოხეს ქსოვდენ, გრძელბეწვიანისაგან კი ნაბაღს აკეთებდენ.


ზაფხულში ცხვარი და თხა მთაში ჰყავდათ. რამოდენიმე ამხანაგი შეაერთებდა ფარას და ისე მიდიოდნენ მთაში. იქ ერთ საერთო კარავს აკეთებდენ. ცხვარს საძოვრად მდლა არეკავდენ. ამ ადგილს შუშველს უწოდებდენ; თხა უფრო დაბლა სძოვდა. ამ ადგილს უწოდებენ ჭაღონს.

ლამით თხას კარავში ღუმოვხუნუანდით (აბანაკებდნენ); ცხვარი კარავში არ მოჰყავდათ დასაბანაკებლად. დღე ცხვარი კარავს დაშორებული იყო, ზოგჯერ — ნახევარ ვერსის მანძილზე, სადაც დაუღამდებოდა, იქ რჩებოდა ღამის გასათევად. ცდილობდნენ, რომ ღამის გასათევად მოხერხებული ადგილი შეერჩიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლებოდა ცხვარი ფერდობიდან გადაცვენილიყო. ერთხელ მოხდა ასეთი შემთხვევა: მეცხვარემ ცხვარს ღამის გასათევად ვერ შეურჩია ადგილი. ღამით რალაცამ შეაშინა. ცხვარი გადაცვივდა და დაიღუპა.

² სიტყვა კრავი დედანში ჩამატებულია ივ. ჯავახიშვილის შერ.

ს ვათა შორის, ცხვარს ასეთი ზნე აქვს: ცხვარი ერთი თუ დაეშვა, ველარ დააბ-
რუნებ.



მეცხვარეს, რომელიც დარაჯობდა ცხვარს, ხელში ლაბაშა ეკავა. ლაბაშა
გრძელი კეტია, რომელსაც ქვემოთ რკინის წვეტი აქვს. ითლება ჩხარაზისაგან.



სურ. 16. მესაქონლეთა დასახლების საერთო ხედი და გენგეგმა
ღვირას საზღვრულ საძოვრებზე.

ჩხარაზი მავარი და დაბალი ტანის ხეა, იზრდება შუშელის და ქალონის (ტყის)³
განაპირას.

მეცხვარეს კარავიდან ღღეში ერთხელ უგზავნიდენ საკმელს. ამას ორჯოლს
ეძახდენ. მიმტანს ეძახდენ მეთიეს. მიჰქონდათ გუდიოთ მაწონი, ხორცი და სხვა.



სურ. 17. კარავის გეგმა და კრილი a — a ღვირას საზღვრულ საძოვრებზე.

როდესაც ამხანაგები არეკავდენ ცხვარს მთაზე, ერთს მათგანს აირჩევდენ
კარეშუნჩაშად (კარავის უფროსად). კარავის უფროსი შეაგროვებდა ამხანაგებს
და ანაწილებდა მოვალეობას: ერთს ნიშნავდა მეშხურედ (ცხვრის მწყემსად),
მეორეს — მეთხალედ (თხის მწყემსად), მესამეს — მეხელედ. მეხელე რჩებო-
და კარავში, ამზადებდა და არიებდა საკმელს, მაწონს ადებდებდა, ყველი ამოპ-

³ სიტყვა — ტყე — დედანში ჩამატებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ.

ყავდა და სხვა. მის დაუჯივრებელ არავის არ შეეძლო საჭმლის აღება, ამიტომაც მეხელეს ეძახდნენ კარეშმალიარაფალს. როგორც რომ ავილოდენ ამხანაგები მთაში, მაშინვე ხდებოდა შრომის განაწილება⁴. ჯერ აირჩევდნენ კარავის უფროსს, შემდეგ კარავის უფროსი ასახელებდა რომელიმეს მეცხვარედ. დანარჩენებს უნდა დასტური მიეცათ. ასე ირჩევდნენ მეშხურეს, მეთხალეს და მეხელეს. ამის გარდა ყოველდღიურად კარავის უფროსი თითონვე ნიშნავდა მეთიეს და მეშეშეს. წველით ყველა წველიდა, გარდა კარავის უფროსისა და მეხელისი.



სურ. 18. კარავის ინტერიერი ღვირას სახაფხულო საძოვრებზე.

მეცხვარედ ირჩევდნენ პატიოსან და გამოცდილ კაცს. საჭირო იყო ორი კაცი. ერთი მიდიოდა წინ, რომელსაც მეღუღეს (მეთავეს)⁵ ეძახდნენ; მეორე მისდევდა უკან; ეს იყო მეკუღლეუ. მეღუღეს ყველა პატივისცემით ეპყრობოდა. როდესაც მეღუღლეუ კარავში შემოვიდოდა, ყველა ფეხზე დგებოდა. საჭმლის ქამის დროს შუაში დასვაძმდნენ: ასე სცემდნენ პატავს.

როდესაც მეთიეს მიჰქონდა საჭმელი მწყვესებთან, ის იქ რჩებოდა და სცვლიდა მეღუღეს. მეღუღე ღამე იძინებდა, მეთიე ფარას დარაჯობდა, დღე ყი, ფარის ძოვების დროს, ის იყო მეკუღლეუ. მეორე დღეს მიდიოდა მეორე მეთიე, რომელიც სცვლიდა არა მეღუღეს, არამედ მეკუღლეუს. ასე ხდებოდა ყოველ დღე.


კარავის უფროსი იწვა ხვიშტაზე. ოთხი ბარჯგი იყო ჩარქობილი მიწაში, ზედ გადებული იყო დანები, დანებზე — ჯოხები. ეს იყო ხვიშტა. დანარჩენები მიწაზე იწვნენ. ქვეშ დაგებული ჰქონდათ ლაგვიმარაია. ლაგვიმარაია გვიმრის მსგავსი მცენარეა, იზრდება მაღალზე კონებად; ღერო რბილი აქვს. ყარავის უფროსი თვითონ არ იკეთებდა ხვიშტას, სხვა უშაადებდა.

მთიდან დაბრუნებისას კარავის უფროსი ყველას თავის ცხვარს უბრუნებდა. მეცხვარეს მთაში თან მიჰქონდა ლაბაშა, კაჟის თოფი ან ბერდენა, ბურკული (ყული), ნაჯახი და დანა.

⁴ თუმცა ამ აბზაცში მოტანილი ზოგიერთი ცნობა იმეორებს წინა აბზაცის ცნობას, მაგრამ არის ვარკვეული განსხვავებაც, ამიტომ ტექსტს ვტოვებთ უცვლელად. რედ.

⁵ სიტყვა — მეთავე — დღემდე ჩამატებულია ივ. ჭავჭავაძის მიერ.

ხავეები ბალახი. ცხვრის და თხის საუკეთესო საკვებ ბალახად ითვლება ჭაფურია, ახშრა და კენტირი. ჭაფურია დაბალი ბალახია, გემრიელი და სასარგებლო. ახშრა მაღალი და მსხვილი იზრდება. მოსჭრიან, გაატყავებენ და ისე აქშევენ ცხვარს და თხას. შემოდგომაზე ქრება. მას ადამიანიც კი სჭამს. კენტერი დაბალი ბალახია, პატარა ბუშტებისაირია. საკმეღად გემრიელია.



სურ. 19. კარაის კრილი ხ — ხ ღერას საზაფხულო საძოვრებზე.

მთხრ. ფიღო აფშილავა, 95 წ. (სოფ. ოცინდალე).

ძველად ასე ვიცოდით, რომ ღამე ფარას ერთ ადგილას დაეაბანაკებდით. ქვემოთ ცეცხლს დაეანთებდით. ცეცხლთან მიღუღე ყარაულობდა. ამ ადგილს ჩენჭარეს უწოდებდენ. ზევითაც ცეცხლს დაანთებდენ; იქ მეკუდელე იყო. მეკუდელე ღარაჯობდა, რომ ან ტურა არ სტუმრებოდა, ანდა ფარა არ აყრილიყო. ამ საღარაჯოს ქუმხარას ეძახდენ, თვით ღარაჯს — მექუმხარეს. მექუმხარე ღამე ფხიზლად იყო; ეძახდა ძაღლს, უსტვენდა, ხალსს ადვიძებდა. იმ ადგილს, სადაც მთელი სამწყსო იდგა, თჯფეს ეძახდენ; იმ ადგილს კი, სადაც ცხვარი იდგა, თიბის ეძახდენ.

მთხრობლები: ვიცი ფიფია, 75 წ. (სოფ. ჩქვალერი); ბათლომე ძაძამია, 70 წ. (სოფ. ჭვალი).

საქონლის საუკეთესო საკვებ ბალახად ითვლებოდა შვინშკილა, ახეშრა, ღოდე, ჩიქი, თვაზა, ჭურია, ბურღი, ზემეხი, მუხვატელა, ქობალი და სამყური. შვინშკილა ერთ არშინზე იზრდება. ფოთოლი მოგრძო და ვიწრო აქვს. რომ მოსწყვეტენ, რძე გამოდის.

ახეშრა შავი ბალახია, იზრდება ადამიანის სიმალლისა და თეთრი ყვავილები აქვს.

ღოდეს ფართო, დაჭრილი ფოთლები აქვს. იზრდება კაცზე მაღალი.

ჩიქი დაბალი ბალახია, დაჭრილი ფოთოლი აქვს. აგვისტოს ბოლომდე ცხვარს ჩიქზე არ მიუშვებენ. ეს ბალახი ცხვარს იცავს პეპლისაგან.

თვაზა გვარიანად მაღალი ბალახია, გრძელი და ვიწრო ფოთოლი აქვს. ცხვარი სძოვს ნორჩ თვაზას. ბებერ თვაზას ცხვარი არ ეტანება.

ჭურია ერთ არშინზე იზრდება. ჭურია გემრიელია, სანამ ნორჩია; როდესაც დაბერდება და ღერო გაუხვევდება, აღარ ვარგა.

ბურღი მაღალი, ფართოფოთლიანი მცენარეა. მისი ფოთლები ქოლგას წააგავს. ამ ბალახს საქონელი შემოდგომამდე არ ეკარება. სვანები ბურღისაგან ფხალს აკეთებენ.

ზეშეხი ძუხლაძლის იზრდება. ისხამს წითელ ნაყოფს. ღერო არ აქვს. თხისა და ცხერისათვის საშემოდგომო კარგი საკვებია.

მუხვატელა საქონლის საზამთრო საკვებია. დაბალი ბალახია, იზრდება კენტებს (ხრიოკ) ადგილებში. კენტებს ისეთ ადგილს ვეძახით, სადაც ძროხა ვერ დადის.

ქობალი იზრდება მთაში. მაღალი ბალახია. იკეთებს უბრალო თავთავს. ნორჩი ქობალი საქონლისათვის სასარგებლო საკვებია.

სამყურა მთაში იზრდება.

წველა და რძის ნაწარმი

მთხრ. ჩაგუ კვარაცხელია, 65 წ. (სოფ. ჭგალი).

ფურის წველა. ძროხას ვწველიდით დილით და საღამოთი. რძეს ვაგროვებდით ბუყუნში (ხის ქურქველი). ჩასხმის დროს რძეს ვწურავდით ხარაძავაში. ხარაძავა ხის ოთხკუთხედი, შუაში გადებული აქვს დანები. ჩავყრიდით შიგ ხის ხათალს, ან ჩავაფენდით გვიმრას. კვეთს ჩვენვე ვაკეთებდით, საყიდლად იშვიათად იშოვებოდა. რძეს, თუ ბევრი იყო, ყველის ამოსაღებად შეთბობა არ უნდოდა, რადგანაც ის თბილი იყო. ზოგჯერ რძეს შეთბობა სჭირდებოდა, მაშინ ასე ვიქცეოდით: ავადულებდით წყალს და შიგ ჩავდგამდით ბუყუნს. დილით შედედებულ ყველს ვიღებდით შუადღეზე, საღამოთი შედედებულს — დილით.

ახლად ამოღებულ ყველს ვდებდით ან ოჩოჩეზე, ანდა ლასტზე გასაწურად. როდესაც ყველი გაიწურებოდა და ცოტა გამაგრდებოდა, დაეჭრიდით და ჩავყრიდით ადუღებულ წყალში. მაშინვე ამოვიღებდით, დავდებდით ბარქაშში (გობში) და დაუწყებდით ზელას. ეს იყო სულუგუნს. სულუგუნს ჩავდებდით ხის კალაპოტში და დაეყრიდით მარილს. ყველის ნაწურს ავადუღებდით და, როდესაც ცოტა ვაცივდებოდა, ჩავასხამდით მიტკლის პარკში, ნელ-ნელა გაიწურებოდა. შემდეგ შევასვებდით მარილით და პილპილით. გემრიელი საქმე-ლი იყო.

ყველისა და ხაჭოს გარდა ვაკეთებდით მაწონსაც. მაწონს ბუყუნში ვადუღებდით.

მთხრ. ტაგუ ჰანტურია, 82 წ. (სოფ. ჩქვალერი).

ცხვრის წველა. ჰელრა. ჰელრას ეძახიან გულის ყველს. მწყემსები რძეს ხარაძავაში გასწურავენ და ჩაასხამენ გულაში, ცოტა მარილსაც ჩააყრიან. გულაში ყოველ დღე უმატებენ რძეს და ყოველ ჩასხმაზე უმატებენ მარილს. ზოგი მარილს ერთბაშად ჩააყრის და მერე რძეს უმატებს. გულა აუცილებლად თბილ იდგილას უნდა ეკიდოს. გულაში აგროვებენ ათ-თხუთმეტ ნაწველს. ყველი თანდათან ჩაიკვეთება. ამ ყველს გულის ყველს ვეძახით. ძალიან გემრიელია.

ტყავის გამოყვანა

მთხრ. ფილო აბშილავა, 95 წ. (სოფ. ოცინდალე).

ქაცელაში. ქაცელაშს ვაკეთებთ ციკნის ტყავისაგან, სხვა ტყავი არ გამოდგება. დავკლავთ ციკანს, ჩამოვკიდებთ უკანა ერთი ფეხით, მერე უკანა ფეხს

ჩავეროთ სიგრძეზე და ვიწყებთ გატყავებას. რომ გავატყავებთ, ჯერ კიდევ თან-ლ ტყავს ჩავდებთ კარწყალში. ორი საათის შემდეგ ვსინჯავთ, თუ ბეწვი სპერდა. ვიღებთ, გავაცლით მთელ ბეწვს, კარგად გავრეცხავთ და გადავებრუნებთ. ამის შემდეგ ფეხებს კარგად შევკრავთ, ვაებერავთ და ჩამოვკიდებთ გასაშრობად. ქაცელაშში ვასხამთ რძეს, არაყს, ვაკეთებთ გუდის ყველს. ქაცელაშის დამზადება ყოველთვის შეიძლება, მაგრამ სჯობს ზამთარში.

ლაგუჯი. ლაგუჯს აკეთებენ თხის ტყავისაგან. სალაგუჯოდ თხას თავიდან ატყავებენ. დაჰკლავენ თხას, ჩამოჰკიდებენ უკანა ფეხებით, რომ სისხლისაგან დაიცილოს. შემდეგ ჩამოიღებენ, ნიკაში და რქაში მოაბამენ თოკს და ისე ჩამოჰკიდებენ. კისერზე ჩაუჭირან ტყავს და თავიდან იწყებენ მუშით გატყავებას. გაატყავებენ, უკანა ნაწილს გაჰკერავენ თასმით და გადაუბრუნებლად გამოტენიან ნაღით ან ფუჩეჩით. ჩამოჰკიდებენ გასაშრობად. როდესაც გაშრება, ლაგუჯს დასცილიან, გადმოაბრუნებენ და წინა და უკანა ფეხებს წყვილ-წყვილად შეჰკრავენ. ლაგუჯს ხმარობენ მწყემსები.

მთხრ. იოსებ კვარაცხელია, 70 წ. (სოფ. ჯგალი).

ხართა. ციკანს ატყავებენ ისე, როგორც ქაცელაშისათვის. ფეხების თავებს და უკანა ნაწილს გაჰკერავენ, კისერთან გადაუტეხავენ და გაუყრიან თასმას. ამ თასმის საშუალებით ხსნიან და ხურავენ ხართას. ხართაში აწყობენ ასანთს, ფუღს და ქალაღს.

ნაბღის შემთხვევა

მთხრ. ზინა, ფაიანე და ჩავა ჰანტურიები (სოფ. ჩქვალერი).

ნაბღისათვის იღებენ მთის კარგ მატყლს. ზამთრის მატყლი ნაბღისათვის არ ვარკა. ერთ ნაბაღს სჭირდება ხუთი ოყა (15 გრ.) მატყლი. ჯერ მატყლი ხელოთ უნდა დაიწეწოს, შემდეგ საჩეჩელით დაიჩეჩოს. თითო ფატანას (ფარტენა, ფთილა) ჩეჩავენ ცეცხლთან გამბარს. გაჩეჩილი მატყლი ორად უნდა გაიყოს: ყუა [ცალკე] და ბეწვიანი [ცალკე]. ამას ომომირს და ოშულს ეძახიან. შემდეგ მშვილდით დაჰენტავენ. აიღებენ ჩაჩაბიას, დადგამენ მიწაზე და ორი ლანგვამით ომომირს გაშლიან ზედ. ჩაჩაბია გაკეთებულია ისლის ღეროებისაგან და მსხვილი ძაფითაა დამაგრებული. გაშლილ ომომირს ცოცხის საშუალებით თბილი წყლით დანამავენ. მერე ჩაჩაბიას მატყლიანად დაახვევენ. დახვეულს მიადგენ სამი კაცი, რომლებიც ცალი ფეხით აქეთ-იქით ქუდღერთანა (აგორავენ). შემდეგ ჩაჩაბიას გახსნიან, აიღებენ გათელილ მატყლს და ისევ იმ ლამპვამით დააფენენ მეორე წყება მატყლს. ისევ თბილი წყლით დანამავენ, დაახვევენ და აგორავენ. გათელილ მატყლს ჩაჩაბიას რომ მოაშორებენ, გაფენენ გრძელ სკამზე და იქ ზელავენ. აიღებენ სკამიდან და თხილისგან დაწნულ ღიდ ჩელტზე გაფენენ. დაასხამენ ცხელ წყალს და ისევ ზელავენ; მერე დაეცავენ და ისევ ზელავენ. კარგად რომ გაითელება, რკინის ხაფარცხლით ვვარცხნით. დავარცხნის შემდეგ ისევ ვდებთ ჩელტზე და ვანეაგრძობთ ზელვას. ვვარცხნით გარეთა პირიდან, რომ ბეწვი აიბურძნოს. ვვარცხნით ორჯერ. შემ-

6 სიტყვა — ფარტენა — დედანში ჩამატებულია ივ. ჭავჭავიძის მიერ.

დღე ნაბაღს უკუღმა პირიღან გადევეღებთ ცეცხლზე გასარუჯად. გარუჯეა სამ-ოთხჯერ უნღა. უკანასკნელი გარუჯვის შემდეგ მიგვაქვს ჩქარ წყალზე. იქ ორი-სამი კაცი გავშლით ნაბაღს, ჩავღებთ წყალში და ამოვიღებთ. წყალი წურ-წურით ჩამოღის, ბეწვი იშღება და იხვევა. ასე გავიმეორებთ რამოდენიმეჯერ, მერე წამოვიღებთ სახლში; მოვხარშავთ თხმელის ქერქს, შიგ ჩავყრით ქვრთ-ბაშს (ქვრთბაში შავი საღებავია). ამ ნარევეში ჩავღებთ ნაბაღს და მოვხარშავთ. ჩამოვღგამთ ცეცხლიღან გასაცივებღალღ. შემდეგ ამოვიღებთ და დავეკიღებთ მზეზე გასაშრობად. როღღესაც ნაბაღი გაშრება, ისევე მიგვაქვს წყალზე და კარგად ვრეცხავთ. წამოვიღებთ სახლში და სუფთა წყალში მოვხარშავთ. მერე კიღღე მიგვაქვს მღინარეზე და ამოვეღებთ, რომ ბეწვი გაიშალოს და დაიხვი-ოს. გაშღიღი მიგვაქვს სახლში და იქ ვაკრავთ კეღღელზე. კეღღელზე შრება, შეღღღე გავმოვქრით ნაბაღს.

ქუღღს უფრო პატარა ჩაჩაბია უნღა, ვიღღრე ნაბაღს. ძალიან კარგი ხარისხის მატყლია საქირო. მატყლი უნღა დაიჩეჩოს, ამოირჩეს გრძელი ბეწვი და დარ-ჩენიღი ყუა უნღა დაიპენტოს. დაპენტიღი მატყლისაგან ქუღღისათვის ქეჩას ისევე ამზადებენ, როგორც ნაბღისათვის. ქეჩას გადააკრავენ ხის კალაპოტზე, ქუღღი კალაპოტზე გაშრება. მოხსნიან, გააწყობენ ზონარით და ქუღღი მზად არის.

ქვემო სამეგრელო

მიძროხეობა

მთხრ. აღიქვის ბერუკიას ძე ბუკია, 81 წ. (სოფ. წინა გოლა, ხობის რაიონი, ხეთას თემი).

მთიან ადგილებში ვაშენებდით ცხვარს და თხას, ბარში კი ძროხას და კამეჩს.

კამეჩს წლოვანებისა და სქესის მიხედვით ეწოდებოდა: დედალს — ერთი წლისას — ზოკი (ზაქი)¹, ორი წლისას — ბზანგი, სამი წლისას — კამეჩი, ოთხი წლისას — კამეჩი; მამალს — ერთი წლისას — ზოკი, ორი წლისას — ზოკი, სამი წლისას — მაშაყარალი, ოთხი წლისას — შეფარნეჩე.

სამი წლის კამეჩი უკვე მუშა კამეჩი იყო და ეუწოდებდით მაშაყარალას, ე. ი. მოსავლის შემგროვებელს. ოთხი წლის კამეჩს მეფარნეჩეს ეუწოდებდით, რადგანაც მას 40 ფუთის გადატანა შეეძლო. ფარნეჩი ნიშნავს ორმოცს.

კამეჩი ტყეში გვეყავდა. იქ ვუყუებდით სადგომს, რომელსაც ობატეს ვეძახდით. ბატი მეგრულად კამეჩია. ზაფხულში კი უფრო ქაობიან ადგილებში გვეყავდა, სადაც მას შეეძლო ტალახში ჩაწოლა. კამეჩს ტყეში ტურა ვერ ავნიებდა. ზამთრობით ტყეში კამეჩი სკამდა ხავსს, სუროს და ბარცხილს. ზაფხულობით სძოვდა მავატიახს, ხაიას, შქიშქილს, კოჭორს და სხვა ბალახს.

მაფათიას ფეტვის მსგავსი ფოთლები აქვს. იზრდება რვა ვერშოკის სიმაღლის და მერე მოეფინება მიწაზე.

ხაია ისლის მსგავსი მცენარეა, მისი ღერო ორად ტოტანდება.

შქიშქილა ნიორის მსგავსი მცენარეა.

კოჭორი ცოცხის მსგავსი მცენარეა, წვრილ-წვრილი ფოთლები აქვს, იზრდება ნახევარი არშინის სიმაღლეზე.

მთხრ. შამშე გოგის ძე ლატარია, 80 წ. (სოფ. თორსადლევა, ხობის რაიონი).

ჩვენ გვეყავდა ძროხა, კამეჩი და ცხენი. საქონლისათვის სადგომი არ გვექონდა. ჩვენ კარავში ვცხოვრობდით და საქონელიც იქვე გვეყავდა. ზამთარი მკაცრი არ იყო.

ძროხას წლოვანების მიხედვით ეწოდებოდა: ერთი წლისას — გინი ფუჭი, ორი წლისას — ფუჭი ჭაბლა, სამი წლისას — ჭაქელი, ოთხი წლისას — ჩხოუ. ხარს წლოვანების მიხედვით ეწოდებოდა: ერთი წლისას — ხოჭი გინი,

¹ სიტყვა — ზაქი — დედანში ჩამატებულია ივ. ჭავჭავაძის მიერ.

ორი წლისას — ხოჯი ქაბლა, სამი წლისას — მოწვერი, ოთხი წლისას — ხოჯი. კამეჩს სქესისა და წლოვანების მიხედვით ეწოდებოდა: დედალს — ერთი წლისას — ბატი, ორი წლისას — ზაქი, სამი წლისას — ჯაყელი კამეჩი, ოთხი წლისას — კამეჩი. მამალს: — ერთი წლისას — ხოჯი ბატი, ორი წლისას — ხოჯი ზაქი.

მთხრ. კარპეზ ივანეს ძე კორძაია, 75 წ. (სოფ. მარანი, აბაშის რაიონი).

ჩვენ ძველად წვრილფეხა საქონლის გარდა გვეყავდა ძროხა და ხარი. ცხვარი გვეყავდა თათრული ჯიშის — დუმიანი, ქურთის — გრძელყუდიანი.

ძროხას და ხარს უჩნდებოდა ავადმყოფობა თურქულა. დააყრიდა ფეხზე და უჩირქდებოდა. უჩნდებოდა აგრეთვე წელკავი. უცებ მოუვლიდა ტყვილეუბი, მოსწყდებოდა წელში და კვდებოდა. ცხვარს განსაკუთრებით უჩნდებოდა თურქულა. [კ. კორძაიამ] მოვლა-მოშენებაზე იგივე ილაპარაკა, რაც დანარჩენმა [მთხრობელებმა].

მეცხმარეობა

მთხრ. ივანე გიტას ძე კეკუტია, 74 წ. (სოფ. ვახა, მარტვილის რაიონი, სალხინოს თემი).

ჩვენში განსაკუთრებით ვაშენებთ წვრილფეხა საქონელს — ცხვარს და თხას; მსხვილფეხა საქონლიდან ვაშენებდით მეგრული ჯიშის ძროხას. ცხვარი გვეყავდა მეგრული და გარაგანის ჯიშის.

ცხვარს წლოვანებისა და სქესის მიხედვით ეწოდება დედალს: — ერთი წლისას — კირიბი, კრავი², ორი წლისას — ქვაშთი, სამი წლისას — შხური (მხუარი)³; მამალს — ერთი წლისას — კირიბი, ორი წლისას — თწწწ, სამი წლისას — ერჯი.

ცხვარს ორჯელ ვერძელთ: აპრილში და ენკენისთვეში. ენკენისთვეში ანაკრეტი მატყლი პირველი ხარისხის იყო, აპრილში — მეორე ხარისხისა. ენკენისთვეში ანაკრეტი მატყლს ნაბღის დასამზადებლად ინახავდენ.

თხას წლოვანებისა და სქესის მიხედვით ეუწოდებთ: ჰყვირი (დედალს) — ერთი წლისას — ქაცარი, ორი წლისას — უხაფ, სამი წლისას — თხა; ოჩი (მამალს) — ერთი წლისას — ქაცარი, ორი წლისას — ოჩაგები, სამი წლისას — ოჩი.

დიდხანი არ არის, რაც ძროხას ვაშენებთ. ძროხას და ხარს წლოვანების მიხედვით ეუწოდებთ: ძროხას (ჩხოუ)⁴, ერთი წლისას — გინი, ორი წლისას — ქაბლა. სამი წლისას — ჩხოუ, ოთხი წლისას — ჩხოუ, ხუთი წლისას — ჩხოუ; ხარს (ხოჯი)⁵ — ერთი წლისას — გინი, ორი წლისას — მოწვერა, სამი წლისას — ოჩი-ოთხბილიანი, ოთხი წლისას — ექვსბილიანი, ხუთი წლისას — ხოჯი (ხარი).

თხასა და ცხვარს სხვანიირი მოვლა უნდა. ვუკეთებდით საჯამთრო ბინას. ეზოში შემოვლობდით ადგილს, ზევიდან გადავხურავდით. შიგ ერთ არშინის

2 სიტყვა „კრავი“ დედანში ჩამატებულია ივ. ჭავჭავაძის მიერ.

3 სიტყვა „ცხუარი“ — დედანში ჩამატებულია ივ. ჭავჭავაძის მიერ.

4 სიტყვა „ჩხოუ“ — დედანში ჩამატებულია ივ. ჭავჭავაძის მიერ.

5 სიტყვა „ხოჯი“ — დედანში ჩამატებულია ივ. ჭავჭავაძის მიერ.

სიწინააღმდეგობით დაუკავშირდა ფიჩხს. ასეთ სადგომს ვუწოდებდით მარაკას. გაივლიდა ზამთარი და ფარას გავრეკავდით მინდორში. მინდორში ფარა გვყავდა აპრილში და მაისში; თითო ადგილზე ვაძოვებდით ოც-ოც დღეს. სადაც ფარა სძოვდა, სამ ადგილას დავანთებდით ცეცხლს ნადირის დასაფრთხობად. ამას ვეძახდით ქუმხარას. იმ ადგილს კი სადაც დავაბანაკებდით ფარას, ვუწოდებდით თბუს.

ცხვირის საუკეთესო საქმელი იყო ბაია, რომელიც მას ყოველგვარ ავადმყოფობისაგან იცავდა. ზოგჯერ ცხვირს ეწვეებოდა ცხვირის ცემა და უცბად კვდებოდა. თხას უჩნდებოდა ფინჩი. თხა იწყებდა ბღავეილს და უცებ კვდებოდა.

ჩვენში მესაქონლეებს გვქონდა წესი, რომელსაც აზარას ვუწოდებდით. დაზარალებული მესაქონლე გამართავდა წვეულებას, მოსულ მესაქონლეებს დაზარალებულისათვის [უნდა ერქუქებიანთ] თითო თავი საქონელი. ამგვარად მას საქონელი აუნაზღაურებოდა.

მთხრ. იორდანე ლაზას ძე წულაია, 75 წ. (სოფ. ბალდა, მარტვილის რაიონი).

საქონლის დავადებანი. ჩვენ ვინახავდით ძროხას, თხას და ცხვირს, ცხვირს უფრო ნაკლებად. ვაძოვებდით მინდორში.

ერთი წლის თხას ვუწოდებდით ჭაცარს, ორი წლისას — დარგას (დედალი), სამი წლის თხას ვუწოდებდით დარგა თხას (დედალი), ოთხი წლისას — ოჩის მამალი).

ძროხას ერთი წლისას [ვუწოდებდით] ფუჯი გინს, ორი წლისას — ჭაკელს, სამი წლისას — ჩხოუს; ხარს — ერთი წლისას — ხოჯი გინს, ორი წლისას — მოშვარს, სამი წლისას — ხენდილი ხოჯის.

საქონელს უჩნდებოდა თურქულა. ამ ავადმყოფობის დროს პირი დაუღებოდა, ჩლიქები მოძვრებოდა და კვდებოდა. უჩნდებოდა აგრეთვე ყვამა, რომლის დროს ყელი დაუსივდებოდა და უცებ კვდებოდა. ჭაკელს უჩნდებოდა ჭვირკინა. ასტკივდებოდა ფეხები და კვდებოდა. ხშირად ძროხას ძუძუები გაუქვავდებოდა. ამ ავადმყოფობას ეწოდებოდა ბეწვი. თხას ხვარცა (მუნი) უჩნდებოდა. ფინჩითაც ავადმყოფობდა საქონელი. ეს ავადმყოფობა [ორი სახის] — დედალ-ძამალი იყო. საქონელი დედალს იტანდა, მამალს კი ვერა. უცებ დაიბღავებდა და კვდებოდა. ამ ავადმყოფობებს ვკურნავდით სხვადასხვა მცენარეულობით.

წველა და რძის ნაწარმი

მთხრ. ივანე გიტას ძე კეკუტია, 74 წ. (სოფ. ვახა, მარტვილის რაიონი, სალხინოს თემი).

ძროხის წველა. მოსაწველად გვქონდა ხის ჭურჭელი, რომელსაც წგვას ვეძახით. მოწველამდე მიუშვებდით ხბოს რძის მოსაყვანად და მერე დავიწყებდით წველას. ასე იწყებოდა ძროხა, ცხვიარი; თხა პირდაპირ იწყებოდა. რძეს ბუყუნში ჩავწურავდით. ბუყუნში ხის დიდი ჭურჭელია. ვწურავდით ხაზარაკას საშუალებით. ხაზარაკი ამოთლილ-ამოტოხილი მორი არის. ზედ დავაფარებდით გვირგვინს, ან თხილის [ხის] ნათალს. ზედ ვასხამდით რძეს და გაწურული რძე ჩაიწურებოდა ამოთლილში.

ყველის ამოსაღებად გაწურულ რძეში გაეურვედით კვეცირას (ყვეთს). კვეცი ასე მზადდებოდა: ახლად დაბადებულ ხბოს, ბატყანს, ციკანს და გოკს სამი დღე მივეშვებდით ძუძუს მოსაწოვად. შემდეგ დავკლავდით და კუჭიდან ამოკულებდით შედედებულ რძეს. ამას გავახმოვდით და გავხსნიდით წაქაში (ყველის ნაწური). ვინახავდით ბოთლებში.

კვეთგარეული რძე ცეცხლთან ახლო იდგა. ზევიდან მოადგებოდა წაქა. გადმოწურავდით. კიდევ მოიგდებდა წაქას და ისევ გადაწურავდით. ასე მთელ წაქას გადაწურავდით; კუბურებში დარჩებოდა ყველი. შემდეგ ყველს დაკვირდით, მოვხარშავდით წაქაში, მოვზელავდით და მერე ჩავდებდით აბშირაში, დავყარდით მარილს. ასე მზადდებოდა სულუგუნი.

წაქას ავადულებდით და ჩავასხამდით ტრპსიკაში. წაქა გაიწურებოდა და ტრპსიკაში რჩებოდა ხაჭო.

ცხვრის ყველა. გულის ყველისათვის ვამზადებდით თხის ტყავს. შიგ ვაგროვებდით რძეს ერთი კვირის განმავლობაში. ერთი კვირის შემდეგ შიგ ჩავყარდით პილილს და მარილს. თავს მოვეურავდით, გულში შედედებოდა ყველი. ეს ყველი ინახებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში. გულის ყველს ავცხურას ვუწოდებდით.

რძისაგან მაწონსაც ვადებდით.

საქონლის დაცვა

მთხრ. ბესა შამშეს ძე ღამენია⁶, 52 წ. (ქ. სენაკი).

ვკლავდით ძროხას, ხარს, ცხვარს და ღორს. დასაკლავად გვექონდა დანა და მახათი (სალესი) დაეწვენდით საქონელს, შევეურავდით მაგრად თოკით ფეხებს. შემდეგ ყელს გამოვკვირდით. ამის შემდეგ ვაგვირდით გულთან, რომ სისხლი შიგ არ ჩაქცეულიყო და ხორცი არ გაეშავებინა. უკანა ფეხებით ჩამოვკიდებდით და გავატყავებდით. ამის შემდეგ იხსნებოდა ასო-ასო: ბეჭი, წირღვი (არტალა), უკანა ფეხები, სუცი, ჩალაღაჯი (ნაწილი ბეჭსა და ბეჭს შუა), გუგუბა (გვერდის ნაჭერი), გვერდები, თავი და შიგნეული.

ტყავსაც ვამოვიყვანდით. ავილებდით კირს, გავლესავდით წყალში, ჩავასხამდით ქვევრში და შიგ ტყავს ჩავდებდით. დღეში სამჯერ ვურევდით. ერთი კვირა ტყავი კირიან წყალში იყო. ამის შემდეგ მოვხარშავდით მუხის ქერკს და ამ ნახარშიში გადმოვილებდით ტყავს. ეს ნახარში ტყავს აყვითლებს და ამაგრებს.

ტყავის ბამოქვანა

მთხრ. ისლამ უთუს ძე ჭლარკავა⁷, 55 წ. (სოფ. ნაგვაზუ, მარტვილის რაიონი).

გულა და ტიკი მზადდება ხარის, თხისა და ციკნის ტყავისაგან. ვაატყავებთ ხარს, თხას და ციკანს. ტყავი ისე უნდა ამოვიღოთ, რომ არსად ვაიჭრას, მხოლოდ ვაიხსნება მუხლებთან. შემდეგ ამაზე დავაყარით დანაყილ შაბს და მარილს და ისე დავახვევთ, რომ არ დაიბნეს და არც დაიღვაროს დაგუბებული

⁶ დედანშია — დამელია.

⁷ დედანშია — ჭლარკა.

შაბწყალი. ასე იქნება სამ-ოთხ დღეს. გადაბრუნება უნდა. მერე გავშლით და გავაშრობთ. ბეწვს გავკრეჭთ და კუპრს წაუსვამთ. მერე გადავბრუნებთ, გაქრილ ადგილებში ჩავადგამთ ხის რგოლებს და კანაფით მაგრად შევეკრავთ. გულა მზად არის. ტიკი და გულა ერთნაირად კეთდება. ტიკი კეთდება თხისა და ციკ-ხის ტუავისაგან, გულა კი ხარისა. რუშზე დიდი ხარის ტუავისაგან კეთდება. შიგ 40 ფუთი ეტევა.

გულის კეთება ვისწავლე კახეთში. ვაკეთებთ აგრეთვე ყვილის გულას. ტუავს წაუსვამთ წყალში გალუსილ კირს, დაეახვევთ და ერთი დღე შევინახავთ. ერთი დღის შემდეგ გავსინჯავთ, თუ ბეწვი ეცლება, ხომ გავასუფთავებთ, თუ ბეწვი არ ეცლება, ისევ კირს წაუსვამთ და შევინახავთ. როდესაც ბეწვს გავაც-ლით, გაქრილ ადგილებს შევეკრავთ კანაფით...⁸

ცხენის მომზენებლობა

მთხრ. შირონ გოჯას ძე კუტალია, 88 წ. (სოფ. ლარჩეაზენი, ხობის რაიონი)

ჩვენში ცხენი თითქმის ყველას ჰყავდა. ცხენისათვის ცალკე სადგომი არა გვქონდა, ვაბინავედით იქ, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით.

ცხენს სქეს-წლოვანების მიხედვით ეწოდებოდა: მამალს ერთი წლისას — ფაშატს, ორი წლისას — ომარკინდაშს, სამი წლისას — ონჭყაშს, ოთხი წლისას — ვარყას; დედალს ერთი წლიდან — ოთხი წლის ჩათვლით — ფაშატს. გამოუხედნავ ცხენს ვეძახით ურეკს.

ცხენის უკანა ფეხებს ვეძახით ჩუბახს, წინა ფეხებს — აბხახს, წინა ბარკალს — კვინჭიხეს, წინა წვივებს — წირღვხს, წინა კოქს — კონჭის, წინა ჩლიქებს — ჩორქოხს.

მთხრ. ნესტორ ნიკოლოზის ძე ნაღარაშვილი, 60 წ. (ქ. აბაშა, აბაშის რაიონი).

მესაქონლეობის დარგში ჩვენში მისდევდნენ მეცხენეობას და მეძროხეობას, რადგანაც აქ სულ მინდვრები იყო და მოვლაც ადვილი იყო. მთელი ფართობი თავისუფალი იყო, გლეხობა ნაკლებად ამუშავებდა მიწას. მინდვრებიდან ნაწილი ეკუთვნოდა ჰყონდილებს. ამ ნაწილს ერქვა საჰყონდილო. მეორე ნაწილი, ბანძის მხარეზე ეკუთვნოდა ხაინდრაეებს. ამ ნაწილს ეწოდებოდა ლეხაინდრე, ჰყონდილებს თავისი დიდი ჰქონდათ — ხაინდრაეებს თავისი. ჰკაი ცხენები ზამთარში ბარში. ჰყავდათ, ზაფხულში კი მიჰყავდათ ასნის მთაზე. ლაფშა ცხენები ოჯახში ჰყავდათ.

სქესის და წლოვანების მიხედვით ცხენს ეწოდებოდა: დედალს — ერთი წლისას — ფაშატი, ორი წლისას — ფაშატი, სამი წლისას — ჰკაი, ოთხი წლისას — ჰკაი ცხენი; მამალს — ერთი წლისას — ჰვირა, ორი წლისას — კვიცი. სამი წლისას — ვაჟა, ოთხი წლისას და ზევით — ულაყი. ცხენის ნაწილები: თავი, კისერი, ვაჟა, ზურგი, მარჯვენა და მარცხენა კუნთები, ფეხები, მკერდი. ცხენის ფეხები თავდება ჩორქოთი (ჩლიქებით), კისერზე აქვს ფაფარი.

ორ წლამდე ცხენს უნაგირს არ ადგამენ. ორი წლის შემდეგ უნაგირსაც ადგამდნენ და ხედნიდნენ კიდეც. გამოცდილი მხედარი გაიყვანდა მინდორში, შეაჯღებოდა და ხედნიდა.

⁸ დელანს აკლია ერთი გვერილი.

სქედავდნენ მხოლოდ იმ ცხენებს, რომლითაც დალიოდნენ. ცხენს ვწმენდ-
დით სამუნელით. ეს იყო ოთხკუთხა რკინის ფირფიტა, რომელიც ერთი მხრი-
დან დაღარული იყო, მეორე მხრიდან მიმაგრებული ჰქონდა ხელის მოსაკიდე-
ბელი სახელური.

ვირის და ჯორის მომშენებლობას ჩვენში არ მისდევდნენ, იშვიათად თუ
ვინმეს ჯორი ჰყავდა.

მთხრ. დათა ბასახ ძე ლატარია, 100 წ. (სოფ. გურიფული პირველი, ხობის
რაიონი).

ჩვენს რაიონში ცხენი ბევრი ჰყავდათ. აშენებდნენ სხვადასხვა ჯიშის
ცხენს: ტაიჭი, მერანი, მეგრული, ჩერკეზული, ყარაჩის და ოხური.

ტაიჭი მაღალი, გრძელთავიანი, წითელი და შავი ფერის ცხენი იყო; სიარ-
ული არ იცოდა კარგი. ცოცხლობდა თხუთმეტ წელიწადს. ეს ჯიში ჰყავდა
თავად-აზნაურობას. შუშა ცხენი არ იყო, გამოსადეგი იყო მხოლოდ დასაჭდო-
მად. ლაფშური სიარული იცოდა, ე. ი. ნაბიჯით სიარული.

მერანი ძალიან ლამაზი, საშუალო ტანის ცხენი იყო. თოხარიკი სიარული
იცოდა. გამოსადეგი იყო დოღისათვის. ეს ჯიში მდიდრებს ჰყავდათ. მერანი და
ტაიჭი განსაკუთრებულ ბინაში ჰყავდათ და განსაკუთრებულად უვლიდნენ.

ბ უ რ ი ა

ზოგადი ცნობები მისაქონლეობის შესახებ

მთხრ. ერშილე ნაკაშიძე, 75 წ.

საზოგადოდ ჩვენში მეხრეობა, მეცხვარეობა და მელორეობა ფართედ არ არის [გავრცელებული]. უმეტესად თვითელს ოჯახს თითო ძროხა, ნახევარი და შეთხედის მეტი არა ჰყავს; ასეა ცხვარიც და ღორიც. საზიარო ძროხა გავრცელებულია გურიაში — დროგამოშვებით ერთმეორეს მიუდენიან მოზიარენი თვიურად მეწველე ძროხას. ასეთია წესი: ვინც ზამთარში ინახავს საზიარო ძროხას, ნაწველი მისი არის. ამიტომ მეხრეობა, მეცხვარეობა და მელორეობა ამ სიტყვის მნიშვნელობით ჩვენში არ არის.

ჩვენში ყველა საქონელი არის რქიანი და ყურიანი. ცხიმკუდიან ცხვარს ჩვენში კატაცხვარას უძახიან, დუმიანი ცხვარია. კატაცხვარა ჩვენში უფრო შეგუებულია ადგილობრივ პირობებთან და მეტს სძლებს. დუმიან ცხვარს ჩვენში „პებელას“ ავადმყოფობა უჩნდება და იხოცება.

ზამთრობით საქონელს ინახავენ მისთვის დამზადებულ კონახში, რომელიც ჩაბოჯილია და თბილია; აძლევენ ხმელ ჩაღას (ღომის და სიმინდისას) და თევზს და ცოტა სიმინდსაც — გაზაფხულამდე. გაზაფხულზე გამოუშვებენ მინდვრის ბალახზე. ზაფხულში მირეკენ მთაში საძოვრად. გარდა ამისა განსაკუთრებული მიკუთვებული საბალახო საქონლისათვის ჩვენში არ არის.

საკვები ბალახები: მწუერის ფეხა, სამყური, ჭალადინი, ტრიეს კუდა, ყლარტა, კოლინდარი (ეზოებში ითვისება), იონჯა (ახალი შემოღებულია), სოია (ახალია).

ძროხას [ერთ წლამდე [ეწოდება] ფური, ორ წლამდე — დოჩი, სამ წლამდე — დეკნა (უშობელი), ოთხი წლიდან — ძროხა. ცხრა თვე მაკეა, იწველის ექვს-შვიდ თვეს, სძლებს ოცდახუთ წლამდე.

ხარს [ერთ წლამდე [ეწოდება] ხბო, ორ წლამდე — მოზვერი, სამ წლამდე — კურო (დაუკოდავი), ოთხი წლიდან — ხარი (დაკოდილი). ცოცხლობს ოცდახუთ წლამდე.

კამეჩი [ეწოდება] მამალს, ფურკამეჩი — დედალს, ერთ წლამდე ორივეს ეწოდება ღოდო, ორ წლამდე ზაქო, სამ წლამდე — დეკაული კამეჩი და მოზვერი კამეჩი, ოთხი წლიდან — კამეჩი.

ცხვარი — მამალი — ყოჩი, დედალი — დედალი ცხვარი, ერთ წლამდე ორივეს [ეწოდება] ბატკანი, ორ წლამდე კრავი (ვედილა), სამი წლიდან — ცხვარი.

თხა — მამალი — ვაცი, დედალი — თხაი, ერთ წლამდე — თიჯანი, ორ წლამდე — დარგა, სამი წლიდან თხა. სამ თვეს იწველის, სამ თვეს მკეა, სძლებს რვა წლამდე.

ღორი — მამალი — ტახი, დედალი ნეწვი; ერთ წლამდე გოჭი[ა], ორი წლიდან სამ წლამდე ნაწარდა, ოთხი წლიდან ღორი.

ცხვრის მატყლისა და თხის ბალანის დახარისხების შესახებ ცნობები ჩვენში არ მოიპოვება, ვინაიდან, როგორც ზევითა ვსთქვით, მეცხვარეობას ჩვენში საერთოდ არ მისდევენ.

ნაბღისა, ღართისა, კილიკისა და ქეჩის ხელობა ჩვენში არ ყოფილა.

წველა და რძის ნაწარმი

მთხრ. მენიკო ჩიჩუა, 60 წ. (ჩოხატაური).

საქონლის მოწველის წესი. საქონლის მოწველა ჩვენში ასეთია: ძროხას წველის ოჯახის ქალი ძუძუ — ცერების დაწიწვით. ძროხას ხბოს ამოცებენ და შემდეგ მოწვევენ.

[სა]წველ[ელი] კურკელი — ხაარა (თიხის ქოთან) წველის წინ განგებისად გამოირეცხება და შიგ მოიწველება ძროხა, თხა და სხვა. რომ გაიცილება, ისევე გამოირეცხენ და ისევე შეინახება მიჩენილს არდგილზე.

ყველის შეკვეთა. რძე ჩაიკვეთება კვეთით. კვეთი მზადდება ასე: ძროხის ან ღორის კვეთი ჩაიდება ძმარში, მარილში და არაყში ერთად შეზავებულში, შიგ იქნება ერთ თვეს ქოთანში (სამკვეთელში). მერმედ ამეილება და გადააყაროთ უნდა პურის ფქვილი, შეიხვიოს უნდა ქალღღმში, წამოაცვა უნდა ხის შემფურხედ და დადვათ ოჯინჯალაზე (ფურტზე) გასახმობათ. ათი-ოცი ღდის განმავლობაში გახმება. გამხმარს კვეთს მოსჭრა უნდა ცოტა ნაქერი და ჩასდვათ უნდა თიხის კურკელში (სამკვეთელში), ჩაასხით შიგ მოხარშული წყალი, მიუმატეთ ყველის წაქე, ინმარეთ ამის წვენი კვეთად (შემზადებული კვეთი). თანდათან ამატეთ წაქე. როცა კვეთს ძალა გამოეღევა, ხელახლად შეამზადეთ, როგორც ზევით გითხარით, ხმელი კვეთის ნაქერი და ინმარეთ.

ყველის შემზადება-შენახვა. თბილს რძეში ჩაასხით სუფთა განარეცხ ნარმის ჭინჭში შემზადებული კვეთი. დაახლოებით სამს ბოთლს რძეს შეკვეთავს ნახევარი ღვინის ჭიქა კვეთი. წმინდა გათლილ ჩხირით აურიეთ და დადგით ცეცხლთან, ადროვეთ შეკვეთამდინ. რომ შეცხელდეს, ხელით შეტეხეთ შეკვეთილი ყველი და მოაგუნდავეთ შიგ; ნელ-ნელა შეწურავთ და ჩადებთ თიხის კურკელში, მარილი მოაყარეთ თანდათან და დააწვეთ ერთიმეორეზე, შეიყენებს წვენს. ამას ქვია წაქე. წაქეში ყველი ინახება. თუ გამოშრა წაქე, ყველი გაფუჭდება. ყოველ შემთხვევაში, წაქეს ნუ გაუშროფთ. [წაქეს] უნდა ყოველ ათ-ხუთმეტ ღღეში გამოცვა: უნდა ამოაწყეთ ღერგიდან ყველი, გარეცხთ კურკელი (ღერგი) და ყველიც, წაქე უნდა გაწურო სქელს საცერში ან ღოლბანდში და მეორეთ ჩააწყეთ ყველი ამ გარეცხილ კურკელში და ზედ დაასხით ეს გაწურული წაქე. ყველი კარგათ შეინახება.

საზამთროთ შესანახი ყველი უნდა იყვეს მარიამობისთვის ნაწველი. როგორც ზევით გითხარით, ისე შეამზადეთ მარიამობისთვის ნაწველი ყველი და, როცა ჩააწყობთ ღერგში, ძალიან მწუთხე წაქე დაასხით, დახურეთ მაგრათ თავზე, დაჯორგეთ მაგრათ და შეინახება ზამთრისათვის. ამას ქვია ნადერგალი ყველი. გემოთი ცოტა განსხვავდება ჩვეულებრივ ყველიდან.

მთხრ. ბაბუსი ზევიარის ას. ანდლულაძისა, 60 წ. (სოფ. ძიმითი).

მოწველის წესი. საღამოს და დილას ძროხას დაეხამებოდა თავის ადგილას, მოვიშვებდებოდა ძროხის საწველ კურკელს — სპარას, გამოვამოცებებოდა ხბოს ძროხის ძუძუს — ცურს ორს ერთად და მეგრე — მეორეს, შემდეგ ვწველით ზევიდან ქვემოთ ძუძუს ცერების დაწიწვით.

სპარა არის საწველი კურკელი, თიხის პირფართო ქოთანის, ხელის მოსაკიდით და რძის გადმოსასახამი ტუჩით. სპარას რძის გაცლის შემდეგ მაშინვე გავრეცხავთ და სუფთად დავიღვწე ვინახავთ, სხვა რამეზე იმას [არა] ვხმარობთ.

ყველის შეკვთა. რძეს გავწურავთ საწურში ან დობანდში, ვასხავთ ქოთანში, რომელიც მხოლოდ სამკვეთავია. სამს ბოთლს რძეს დასჭირდება ორი სუფრის კოვზი, როცა მაგარი კვეთია, თუ არა — ცოტა ნაკლები. ზამთარში მივადგამთ, გამოვჩხრეკთ ცეცხლს ნაცარს, გარეგე მივადგამთ. თუ ზაფხულია, კვეთს ჩავასხამთ რძეში და დავდგამთ ბუხანდარაში თაროზე — ცეცხლთან არ მივიტანთ. როცა შეიმკვეთება, მაშინ მივიტანთ ცეცხლთან და შევათბობთ და ამოვიღებთ ყველს ნელნელობით. დავწურავთ, დავაგორებთ ყველს და ჩავდებთ წაქიან დერგში, ზედ მარილს დავაყრით. თუ შენახვა გვინდა, აქაღენ ამოვიღებთ და სხვა დერგში ვადავიტანთ, და თუ უფრო დიდხანს გვინდა შენახვა, ჩააწურავთ მეორე დერგში, მარილწყალს მოვხარშავთ და მოცხობთ დავასხამთ და ვინახავთ ხულაში. ეს ერთს წლამდე შეინახება, თუ მწაქე არ მოაკლდება. ყველი მწაქეს ზევით არ უნდა იყვეს. სადიდმარხო ყველი ინახება მარიამობისთვეში და მიაწვეს თებერვლამდინ...

კვეთი არის ღორის ან სხვა საქონლის შიგნეულის ნაწილი. ღორის კვეთს გავხთით, სხვას არა, მარილს ბლომით დავაყრით და შაბს, დავასხამთ კარგ ძმარს ან კონწაროსს, ჩავდებთ „ბანკაში“, დავხურავთ თავზე, სამი თვის შემდეგ გავაშრობ და მზათ იქნება... კვეთი კარგია (მძლავრი) ძველს მთვარეზე დაკლულ საქონლის. საჭიროების დროს ჩამოგვრით, პატარა ნაჭერს ჩავაგდებთ სამკვეთოში, სადაც მწაქე უნდა იყოს ჩასხმული. თუ მაგარი კვეთია, ტყვილა სველს ჩავასხამთ, თუ გლახა კვეთია, მწაქის ჩავასხამთ. სხვა დანარჩენი არ იცის...

საქონლის დაკვლა

მთხრ. ასალო დიანოს ძე ანთაძე, 82 წ. (სოფ. ბუქსიეთი).

ჩვენში საკლავი საქონელია: ძროხა, ხარი, ცხვარი, კამეჩი, თხა და ღორი. გატყავების წესი. დაკლული საქონელი ვადაბრუნდება გულადმა, გაიჭრება ტყავი სიგრძისად მუცელზე თავამდე. ტყავის ვახლა იწყება ფეხებდგან, რომელიც ჩაიჭრება უწინ.

გატყავების შემდეგ შიგნეულობა გამოიღება, შემდეგ ამოიჭრება ბეჭები ორი, ბარკლები ორი. დანარჩენი ტანი გაიჭრება სიგრძით და ცალ-ცალკე ამოიღება ასო-ასოდ — გვერდები, ხათბილო, სუკი და კისერი.

ტყავი ჭოხებზე გაიწვიება და მზეზე განმება საქალაბნეთ.

მთხრ. ხამსონ ეგნატეს ძე ურუშაძე, 55 წ. (ქ. მახარაძე).

გურიაში საკლავი საქონელი არის: ძროხა, ხარი, კამეჩი, თხა, ცხვარი და ღორი. იმათი გატყავების წესი ასეთია: დაკლული საქონლის გატყავება იწყე-

ბა კისრიდგან, შემდეგ დაიტოვება კისერი და გატყავება იწყება ბარკლებიდან, შემდეგ — ფეხები, მუცელი და ორივე მხარე; შემდეგ ასო-ასოდ ამოიჭრება: ჯერ ამოიღება ორივე ბარკლები, მერმე ორი ბეჭი, ამის მერმე — გულ-ღვიძლი, ფაშვი და კვეთი. საწური ჩვართ სისხლი ამოიწურება და შემდეგ ამოიღება ასოები: ჩაღადარჯი (საუკეთესო ნაწილია), მკერდი, „ფილენები“ ცალ-ცალკე (ამაში ამოიღება სუკები).

ტყავის შენახვა. ახალგაზდელი საქონლის ტყავი ჯერ გაიშლება და დაიმარილება კენჭი მარილით, შეინხვევა და დაიკეცება და ინახება, ორ წლამდე არ გაფუჭდება, შემდეგ აგზავნიან დაბახანაში.

დაუმარილებელი ტყავი კი ხმება წყნელზე გაწკიპული. თორმეტ ჯონზე გაწკიპული დაიდება მზეზე, ან კედელზე ლურსმნებით მოიკედება და გახმება მზეზე, შემდეგ ასპრიან კალამნებად¹.

საქონლის კვეთი არის წაბმული კუჭზე, კუჭი კი — ფაშვეზე. ამ კვეთს ცალკე ამოვიღებთ და ვინახავთ მარილში.

საქონლის დასაყლაღი იარაღები: დანა — ერთი დასაყლაღი და მეორე გასატყავებელი; მასათი — დანების პირის ასაწყობი ქვა; ხათული² — ხორცის საჩეხი ბრტყელი დიდი დანა, ორივე კედრით გაღესილი; ნაჭახი (პატარა ტული); ჩანგლები — ხორცის დასაყიდი რკინის კავებები.

ცხენის, ვირის, ჯორის მომწინებლობა

მთხრ. ერთილე ნაკაშიძე, 75 წ.

ჩვენში არის მხოლოდ საჯდომი და საჩაღანდრო ცხენები, რომელიც ბარგს ეზიდება და კიდევ — ეტლ-ურემში შესაბამელი ცხენები და ჯორები; რაც შეეხება ვირებს, ჩვენში ძალიან იშვიათად თუ შეხვდებით.

მამალ ცხენს [ეწოდება] ულაჟი, დედალს — ჰაეი (ფაშატი). ცხენს ორ წლამდე [ეწოდება] კვიცი, სამ წლამდე — კვიცი გასახედნი, ოთხი წლიდან — ცხენი. დაკოდლი ულაჟს ლაფშა [ეწოდება].

[ცხენის] ღირსება: ტარება — თოხარიკი, იორლა, ლაფშური (ნაბიჯით). ცხენის ნაკლი — ოჩნობა.

ორ წლამდე ჯორს [ეწოდება] ჩოჩორი, ოთხი წლიდან — ჯორი. არის სატარებელი თოხარიკი. მისი ნაკლია ხშირად ოჩნობა. ჯორით ბარგიც გადაგვაქვს (საპალნეები).

...ამ ცხოველებს ზამთრობით ინახავენ მათთვის საკუთრად აგებულს შენობაში — ცალკე, ან საცხოვრებელ ბინაზე მიშენებულ ახორში, რომელსაც პქეია თავლა; შიგ მოწყობილია ჩალის და სიმინდის ჩასაყრელი პირის ზაგა (ყუთისებური ქურქელი).

კვიცი ერთ წლამდე არ სცილდება დედას. კვიცის გახედნა შეიძლება, როცა ის შეიქნება სამი წლისა.

¹ ასეა.

² დედანშია: სართული.

პ ჯ რ ა

ცხენის, ვირის, ჯორის მომზენებლობა

მთხრ. ახმელ მადლიშვილი, (სოფ. ზემო ხინო, ქობულეთის რაიონი).

ჩვენში კი ხავენ¹ ცხენები, აბა რაით უნდა იმუშაოს ხალხმა. ყოველნაირი ჯიშის ცხენი ხავენ ჩვენში: ალათი ცხენი (ფერია ამფერი), ყირათი ცხენი — თეთრი, ძალიზაა — შავი ცხენი, ლურჯი ცხენი. ლურჯ ცხენ და ყირათ გამსხვა-ვება აქ. ყირათი თლა თეთრია. იქნება ყურაა ცხენი კილო. ყურაა ცხენი თაგვის-ფერია. აქანე ცხენი ნაკლებათ გამეიზდება. დაბალ ადგილებში გაშობილი ხავენ. ამ ადგილებში არ შეშჩება² ცხენს. ექვს თვეს დაბმულია და რაფერ შეშჩება. აქაურები ცხენს ყიდულობენ ქობულეთში, ზეგნელები ახალციხეში ყიდულ-ობენ. სამეგრელოდან გამოხავენ ჩვენში ცხენები.



სურ. 20. მესაქონელთა დასახლების საერთო ხედი გოდერძის საზაფხულო საძოვრებზე.

სიარულით გამსხვაებულთა ცხენები. არის თოხარიკი — მაგარი გაქცეუ-ლი და ლაფშური — არც ჩქარია და არც ნელი. გლაზა სიარულს ჭინჭრიკი ქვია; ამფერ ცხენს ჭინჭრიკაა ქვია. ყველას ჯობია ლაფშური, ნელა მივა და კარქა. თოხარიკი რეკავს კაცს, ჩქარა მივა. იგი სულ ოთხით მივა. თოხარიკი და ოთხით გასვლა სულერთია, ულთვინ არ წვევა თოხარიკით ცხენი, რაცხა ერ მან-ძილზე მიდის. შორს ვერ წავალთ თოხარიკით.

¹ ხავენ — ჰყავთ.

² იგულისხმება მუცელი, არ შერჩება კეცი.

ცხენის პატარა შეიღს კვიცი ქვია, დედალ ცხენს — ჭაკი, მამალს — ურა და ვაჟა.

ცხენს თივას და ჩალას ვაკმევთ. დავაბამთ ახორში. ცხენის განავალს ფუშნი ქვია.

აჟარაში³ ხავენ ვირი.

სოფ. შერისი, ქედის რაიონი⁴.

ჩვენში გვყავს ვირი. ვირს ჩვენ ჩოჩიას უძახით. პატარა ჩოჩიას ბაა(რ)ტყო (ბარტყი) ქვია.

³ აჟარა — ქობულეთელები აჟარას ზემო აჟარას ეძახიან.

⁴ შეგვრებს მთხრობელი დასახლებული არა ჰყავს.

ქიზიყი

მთბრ. ანანა მენთეშაშვილი, წიგნიერი (სოფ. ქვემო მაჩხაანი).

შინაურ ფრინველთაგან ქიზიყში აშენებენ ქათამსა, ინდოსა, ანუ ინდაურ-სა, ბატხა, იხვსა და აქა-იქ ციციბრს.

ქათამი. ქიზიყში საშუალო სიდიდის ქათამები იცის. ფერად თეთრი, მოყვითალო, შავი, ნაცარა, რომელსაც მეგრულას ეძახიან. ქათამი, როგორც საერთო სახელია, აგრეთვე კერძო მნიშვნელობითაც იხმარება და დედალ ქათამს ნიშნავს. დედალ ქათამს მოკლედ დედალსაც ეძახიან ისევე, როგორც მამალ ქათამს — მამალს.

ქათამს კვერცხის დასადებად საბუღარო აქვს გაკეთებული, გოგროხაა ჩამოკიდებული, შიგ ნაგალი (საქონლის ნაჭამი და ნარჩენი თივა), შეიძლება სუფთა თივაც იყოს, აქვს ჩაფენილი. ზოგი ქათამი დაჩვეულია და ყოველთვის მიდის და სდებს კვერცხს, ზოგს საბუღარს — ლაყ კვერცხს უდებენ შიგ. თუ კვერცხი საწიფილედ უნდა, მაშინვე ამოიღებენ და თბილად მატყლში შეინახავენ. კალათში ან გიდელაში მატყლია ჩაფენილი და შიგ აწყობენ. ქათამი როცა მოკრუნდება, კრუნალ დაძვამენ. ხუთმეტრიოდ კვერცხს დაუდებენ. საბუღარში კვერცხებს სანამ დაუწყობდნენ კრუნს, მანამ საწიფილედ კვერცხებს მამაკაცის ქულში ჩააწყობენ და ისე მიიტანენ საბუღარში. სხვანაირად არ შეიძლება. თუ ცივა საქათმეში, არ შეიძლება, კვერცხი გაუცივდება, მარანში იყოლიებენ, ზაფხულში კი საქათმეში. კარგი კრუნი იშვიათად ამოდის საბუღარიდან, ზოგი — დღეში ერთხელ და ზოგი რამდენსამე დღეში ერთხელ; რომ ზის, კამა იძდენი არ უნდა. როცა ამოფრინდება საბუღარიდან, ერთ გნაას დაიწყებს, რითაც პატრონს ატყობინებს თავის ამოსვლას. სამ კვირაზე დასჩეკავს, გამოიყვანს. თუ ბეჯითი კრუხია, დააკლებს კიდევაც. ნაჭურჭლებს ჩხირზე აასხამენ ხოლმე და ღობეში გაურქვამენ, ნუ გაიშლება. წიწილებს საცერში ამოპკრფენ და ცეცხლზე მოატარებენ და თან იძახიან: „ყვეო ბრმაო, ძერავ ბრმაო, ჭუჭუღებო თვალხილულო“. ვითომც ძერა ველარ მოიტაცებსო.

ახლად გამოჩეკილს წიწილა პქვიან. წიწილებს ფეტვს აქმევენენ წინათ, ეხლა ფეტვი აღარ არის და სიმინდის ფქვილს უფშრუჟავენ. რაც ხშირად აქმევენ, უკეთესია. რაც უფრო წვრილები არიან, მით მეტს აქმევენ; ეს უფრო მალე ზრდისო. ორიოდ კვირის შემდეგ ჭუჭუღა გახდება. მემრე თანდათან აჩვევენ საცეკის ჭამას. ბუზბული რომ კარგად მოუვათ, ორიოდ თვის შემდეგ უკვე საზოცები რომ გახდებიან, ჩაიხვებს ეძახიან. კრუნს უკვე თავი დანებებული აქვს. კარგად რომ დაიზრდებიან, ისე რომ დედალი პეპლვას დაიწყებს,

ხოლო მამალი დედლების პეპლას მიჰყოფს ხელს, დედალს ვარაჲს ეტყვიან, ხოლო მამალს მამლაყინწას.

ვარია ექვსი თვის შემდეგ კვერცხს დასდებს. ვარია რომ პირველად კვერცხს დასდებს, ამოიღებენ და ნახშირით გარეშაშაო დაჰხაზავენ და თან ამბობენ: „ვარიამა კვერცხი დადო ათი, ასი, ათასი, არც ბუდე მიიშალა, არც კვერცხის ღებაო“. სამჯერ იტყვიან და ჩასდებენ გიდელაში.

სამამლეს ჭუჭულობიდანვე ეტყობა სითამამეზე, ჩრიხვობაში და მამლაყინწობაში ხომ კარგად გამოირჩევა; რომელიც კარგია ფერით, სითამამით, სიყოჩაღით (დედლებს რომ იბრძვივებს), იმას სამამლედ შეინახავენ. მამალს ერთს ინახავენ; ზოგჯერ უბანში თუ ცოტ-ცოტა ქათმები ჰყავთ, მამალს ყველა არ შეინახავს, რადგან ჭერ ერთი ხარჯია მამლის შენახვა, რადგან კვერცხს არა სდებს, მეორე მამლებმა ჩხუბი იციან და ერთმანეთის ძიძგილი ამოსდიოთ სულაი. ზოგჯერ მთელი დღეობით, კვირაობით ძიძგილაობენ, ისე იქანებებიან, ისე ისისხლიახებენ ბიბილოებს, რომე მეტი აღარ შეიძლება, დგანან ერთ ადგილას და ველარ იძვრიან ადგილიდან, ველარცა ჰხედავენ. ბოლოს ერთ-ერთმა უნდა დაჯაბნოს, ან ერთ-ერთს პატრონი დაჰკლავს.

ზოგი ქათამი კვერცხს იპარავს. ამისთანა დედალს დაიპყრენ, ტანში მარლის ჩააყრიან, ფეხზე გრძელ ბაწარს მოაბამენ და უთვალთვალელებენ. შეწუხებული დედალი, მართალია, ცდილობს კიდევ ითაღლითოს, მაგრამ მაინც მიდის და მალე სდებს კვერცხს ბინაზე. პატრონი ამოუკრეფს. დედალი იპარავს იმიტომ, რომ, როცა მოკრუხდება, ჩუმაღვე დაჯდეს და გამოჩეკოს. პატრონს ყოველთვის კი არ უნდა კრუხად დასმა, იმიტომ მოკრუხებულ დედალს ფეხებს გაუკრავენ ხოლმე, ცივ წყალში ავლებენ და ცდილობენ, რომ მალე გადააკრუხონ და კვერცხის ღება გინახალებინონ.

კვერცხის დებვანი ქათამი რომ ხელში დაიპყრონ და ფრთები ატყალაშუნებინონ არ ვარგაო, დაფერცხებაო, კვერცხს აღარ დასდებსო (ერთი სიტყვიით გაბერწლებასავითო).

ქათამი, ინდო, ბატი ხან, როცა მსუქნად არიან, კვერცხს სდებენ უმალოდ, რომელსაც ნაფუტკანს ეძახიან. ნაფუტკან კვერცხიდან წიწილა არ გამოიჩეკება.

ინდოსა, ბატსა და იხვსაც ინახავენ, ოღონდ მათ მინდვრიანი და წყლიანი (იხვს და ბატს) ადგილი უნდათ, ბალახი უნდა ძოვონ მათ. ესენი თვესა სხედან საბუღარზე.

ახლად გამოჩევილს ჭუჭვი ეწოდება ინდოსასაც, ბატისასაც და იხვისასაც. ინდოს ჭუჭვებს მატობელას (ბალახია) უყეპავენ, სიმინდის ფქვილში უსკრიმავენ და იმას აჰმევენ, ბატისა და იხვის ჭუჭვებს — ჟუნერუკოს (ბალახია).

ინდაურს, ბატს და იხვს, სანამ კვერცხის ღებას დაიწყებდნენ, ჭუჭვები ჰქვიანთ, მემრე დედალს — დედა ინდო, დედა ბატი და სხვა; მამალს — მამალი ინდო და მისთანა.

როცა ქათმების მოყვანა უნდათ, „ჩუჩი, ჩუჩი, ჭუჭუ, ჭუჭუ“-ო იძახიან, ინდოზე — „პიი, პიი“-ო, ბატზე და იხვზე — „ბულო, ბულო“-ო; როცა გაყრა უნდათ, ქათმებზე „ჰაქშაი“ იციან, ინდოზე — „ინდოი“, ბატზე — „საიი“

ფრინველთა ასო-ასო დაჰრა. დაკლული და მოხარული ფრინველი შემდეგი წესით უნდა დაიპრას: თავი ხომ დაკვლაშივე ეპრება, აგრეთვე — ფეხებიც. ჭერ მოაჭრიან კახერს, მემრე ფრთას ან ცალკე, ან მხრითურთ; თუ მხრითურთ მოაჭრიან, მემრე გადასჭრიან ფრთასა და მხარს. მნიშვნელობა არა აქვს ჭერ მარჯვენა უნდა მოეჭრას, თუ მარცხენა, უფრო მარცხენის მოჭრაა სახერხო.

მემრე გულისპირი ამოეკრება, მემრე — მეჯ-ბარკალი ორივე. მეჯი და ბარკალი მემრე გათათავლებდა. ზოგი ჯერ მეჯ-ბარკალს მოსკრის და მემრე გულისპირ ამოსკრის. მეჯებისა და ბარკლების ამოკრის შემდეგ მჯარს კიწები ამოეკრება (ორი აქვს), მემრე ხაბმელ-კალო ამოიღება, მემრე საწიწკარები (ორია, ნეკნებია ქათმისა), მემრე ბეჭები (ორი აქვს) ამოიღება. დარჩება კურტუმი მთელი ხერხემლით. კუჭი, ღვიძლი და გული გამოშვივანაშვივა ამოღებული და თავსა და ფეხებთან არის. ამ წერილ ნაპრებს ალუხ-მალუხს ეძახიან.

სუფრობის დროს კუქს დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ მხრივ, რომ მას თამადა იღებს უწილოდ, ქეიფის ბოლოს დასკრის იმდენ ნაწილად, რამდენი მოქეიფეც არის, დააწყობს თეფშზე და ჩამოატარებს და ჩამოუარებებს. ყველა ხითო ნაპერს აიღებს, მაგრამ არ უნდა შეჭამოს. ბოლო ხანს თამადა მოითხოვს თავის ქათმებს. ზოგი დაიძახებს: „ჯუჩი, ჯუჩი; კუჯუ, კუჯუ“ (თითონ ნაპერი თითო ქათმად ითვლება), ვისაც არ აღმოაჩნდება, ერთი ქათმით დაჯარიმდება. კურტუმი უწილოდ თამადისაა, დამკრელისა (თამადა კრის ხოლმე ქათამს. ნათლიაზე იცინა: „ნათლი, ქათამს დასთლიო?“). კურტუმი ყველაზე უკეთეს ნაპერად ითვლება. მემრე მისდევს ბეჭი, მემრე მეჯი, მემრე — გულისპირი, მემრე — ფრთა (გემრიელია, ზოგს ძალიან უყვარს), მემრე მხრის კიწები. აღნიშნულ ასოებს ერთგვარი სპირიტიულები მნიშვნელობაც აქვთ იმ მხრივ, რომ მაგალითად, კურტუმს, მეჯებს, ბეჭებს პატარებს არ შეაქმევენ, დიდების საყუთვნოაო.

ცნობილი ხალხური ლექსი ქიზიყშიც ფართოდ არის გავრცელებული:

„ქათმისა მიყვარს ენა,
მალღოდან გადმოფრენა,
მხარ-ბარკალ-კურტუმ-კისერი,
ცოტა რამ საწიწკარაო,
თუ საბეღლაც შე შიბოძებთ,
ისიცა ჩემთვის კმარაო“.
„კომში, კომში, კომალა,
კომში გადმოიყვარა
თინამ დაკლა ქათამი,

არ მაქამა ბარკალი,
ღმერთო იმას გაუწყვიტე
კრუხ-კუქულა-ქათამი“.
ვარ: „მართალია, მართალია,
ნეფემ დაკლა ქათამია,
მე არ მაქამა ბარკალი,
ღმერთო იმას გაუწყვიტე,
კრუხ-კუქულა-ქათამია“.

უიზნი კახეთი

მთხრ. ნინო ანდრიას ას. კენკიშვილი, 70 წ. (სოფ. გულგულა).

ინდაური ერთი თვე უნდა იჯდეს კვერცხებზე, ბატიც ერთი თვე უნდა იჯდეს კვერცხებზე, ერთი თვეც — იხვი, სამი კვირა — ქათამი. სამი კვირის მემრე გამაასხამს წიწილას. შავაჩვეთ ფეტვსა და იმას ვაქმევთ. ზოგი ქათამი გამაარჩევს ხოლმე კვერცხსა და, კაი ღედალი რომელიც არის, ფინთ კვერცხს შასქვამს და კარგებს გამაასხამს. მანამ მოგარიკლებიან და სიმიხდს შაპულაპავენ, მანამდის ფეტვს ვაქმევთ.

მანამდისინა გაფრენას ისწავლიან, მანამ სიმინდს შასქამენ, წიწილები არიან, მემრე ვარია ჰქვიან და მემრე — ქათამი. როცა დადებლდება, მაშინ ქათამია, კვერცხებზე რომ მოეკვება, მაშინ არის ღედალი.

ვისაც ადრეულა წიწილები უნდა, ზამთარში დასხამს. ეგ საკმელზე ჰკი-ღია, თუ აღამიანს იმედი აქვს საკმლისა, ადრე დასხამს.

ინდაურს გაუკეთებთ მატიტელას: მატიტელას დავეკრით ლამაზთ, დაეკეპავთ, მჰადის ფქვილში აურევთ და იმას ვაჭმევთ პატარა პიეზს. ხახვი ფოჩიც შეიძლება რომ დაუკეპოთ, ლავარძაღვაც, ჭინჭრის ფოთოლიც, ნივრის ფოჩისაცა სჰამენ, ხოლოთ სუყველაფერი უნდა დაუკეპოთ.

ბატისათვის დავეკრეთაჲმთ ეუნერუკასა და ღორის ქადას და იმას ვაჭმევთ, იმასაც უნდა დაუკეპოთ და მჰადის ფქვილში აურიოთ. ღორის ქადას ღორისთვინაცა ჰკეპავენ და აჭმევენ.

ინდაურს ჭერ პიეზი ჰქვიანთ და პიო-პიოს ვეძახით. მემრე კიდენ, კარგა ვარიკებივით როცა გახდებიან, ჭუკები არიან. მანამდისინ დაჩრახვლებიან, მანამდის კარგათ ჰამას შაიძლებენ, მანამ მატიტელასა სჰამენ. მემრე, როცა მოჩრახვლებიან, როცა ვებარები გახდებიან, მაშინ ბალახი აღარ უნდათ, არც ინდაურებსა და არც ბატებს.

ბატის ჭუკები როცა დაიზრდებიან, ბატები არიან. მანამ სიმინდის ჰამას შაიძლებენ, მანამდის ბატის ჭუკები არიან და ბული-ბულის ვეძახით ხოლმე.

იხვი ძალიან საადვილოა, ადვილი გასაზრდელია, იხვს აუფშრუკავთ მჰადის ფქვილს და იმას ვაჭმევთ. იხვებს წყალი მარჯვით უნდა ჰქონდეთ, რომ შიგ ისხდნენ ხოლმე, ყოველთვის იხვი-იხვი უნდა ვეძახოთ. პატარაობასაც და დიდობასაც იხვებს ვეძახით.

ერწო-თიანეთი

მთხრ. რუსუდან გედონის ახ. გლოვანი (თიანეთი).

ვარია ჰქვიან დედალ წაწილას, სანამ კვერცხზე მოიჭევივა. კვერცხზე რო მოიჭევა და წლისა გახდება, დედალს ვუწოდებთ. მამალსაც ვარიას ვეტყვით; სამამლე ვარიას რომ ერთი წელიწადი შეუსრულდება და მამალად გაუშვებთ, მამალს ვეტყვით.

